გ. ხაჭაპურიძე

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში

★

საქართველოს სსრ
სახელმწიფო გამომცემლობა
1954

S. O. 305060

ი. ბ. სტალინი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მე-19 საუკუნის დასაწყისში შექმნილი კონკრეტულ-ისტორიული ვითარების შედეგად საქართველო რუსეთს შეუერთდა.

რუსეთთან საქართველოს შეერთება მომზადებული იყო მათ შორის ეკონომიურ-კულტურული ურთიერთობის განვითარებით და უპასუხებდა ქართველი ხალხის ინტერესებს.

ცარიზმი, რომელიც ტანჯავდა და სულს უხუთავდა რუს ხალხს, განზრახ ნერგავდა განაპირა მხარეებში ფეოდალურ-პატრიარქალურ ჩაგვრას, რათა მასები სიბნელესა და შიშში ყოლოდა, გაეწირა ისინი უუფლებობის, დამცირების, სიღატაკისა და კატორღული შრომისათვის.

«რუსეთში, — წერდა ლენინი, — მოსახლეობის ნ ა ხ ე ვ ა რ-ზ ე მ ე ტ ი, თ ი თ ქ მ ი ს ს ა მ ი მ ე ხ უ თ ე დ ი (ზუსტად: 57 პროც.) განიცდის ნაციონალურ ჩაგვრას, ისინი არ სარგებლობენ დედაენის თავისუფლებითაც კი, მათ ძალმომრეობით არუსებენ»*.

თავისი პოლიტიკის წარმატების უზრუნველყოფისათვის თვითმპყრობელობა საქართველოში პოულობს სოციალურ დასაყრდენს ქართველი თავადაზნაურობის[1], რეაქციული სამღვდელოებისა და ბურჟუაზიის სახით.

მაგრამ არ შეიძლება რუსეთთან არარუს ხალხთა შეერთების პროგრესული მნიშვნელობისა და ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის გაიგივება.

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 327 — 328.

რუსეთთან საქართველოს შეერთებას, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ რუსეთს სათავეში ედგნენ მეფე და მემამულეები, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

რუსეთთან ქართველი ხალხის შეერთება ნიშნავდა «დიდი რუსი ერის.., პლეხანოვისა და ლენინის ერის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასი და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩეხოვის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის...» * კულტურასთან დაკავშირებას.

არარუს ხალხთა შეერთებით რუსეთთან, რომელიც კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა, ხდება უზარმაზარი ტერიტორიების ეკონომიური გაერთიანება, ისპობა ეროვნული კარჩაკეტილობა, ინგრევა პატრიარქალური საყრდენები.

განაპირა მხარეებში კაპიტალიზმის განვითარების პროგრესულობა ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა კავკასიის მაგალითზე.

«... რუსეთის კაპიტალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰ ქ მ ნ ი დ ა ბ ა ზ ა რ ს თავისი ფაბრიკებისათვის» **.

ლენინი მიუთითებს, რომ კაპიტალიზმის ისტორიული მისიის პროგრესულობის აღიარება სავსებით შეთავსებულია «...კაპიტალიზმის უარყოფითი და ბნელი მხარეების სრულ აღიარებასთან»...***

რუსეთთან საქართველოს შეერთების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის უერთდებოდა ქვეყანას, რომელიც შემდეგში მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრად გადაიქცა.

---

* ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, მე-5 გამოც., გვ. 33.

** ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

*** იქვე, გვ. 706 — 707.

რუსეთთან ერთად საქართველომაც განიცადა რევოლუციის მოძწიფების სწრაფი ტემპები. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, რომლითაც კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ქართველ ხალხს საშუალება მისცა სოციალისტური მშენებლობის გზაზე დამდგარიყო.

რუსეთთან საქართველოს შეერთებით მოისპო ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურების საშიშროება. მან თავი დააღწია მტრულად განწყობილ მეზობელ სახელმწიფოთა მუდმივ თავდასხმებს.

თურქეთთან და ირანთან მოელი რიგი წარმატებითი ომების შედეგად, რუსეთმა ამიერკავკასიაში მიიღო სტრატეგიული თვალსაზრისით ხელსაყრელი საზღვრები, და საქართველოც მისი დიდი ნაწილით აღდგენილ იქნა ისტორიულ ფარგლებში. შეწყდა ფეოდალური შინაომები, ბოლო მოეღო ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ დაქუცმაცებულობას.

საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი, უკვე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ჩაბმული აღმოჩნდა მსოფლიო კაპიტალისტურ ურთიერთობათა სისტემაში. ამ გარემოებამ ბიძგი მისცა ქვეყანაში საწარმოო ძალებისა და ახალი წარმოებითი ურთიერთობების განვითარებას.

ჯერ კიდევ ერეკლე მეორის დროს არსებული სპილენძსადნობი, ვერცხლისა და ტყვიის ქარხნების გარდა დაარსდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები. ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მუშაობდნენ კრამიტის, კირის, ტყავის, ხე-ტყის სახერხი და სხვა ქარხნები. საქართველოში ვითარდება ვაჭრობა. გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნილება საფაბრიკო საქონელზე. დაარსდა რუს ვაჭართა კომპანია რუსეთის მრეწველობის საქონლის შემოსაზიდად ამიერკავკასიასა და საქართველოში. ქალაქად და სოფლად აწყობდნენ ბაზრებს. განსაკუთრებით გაიზარდა შავი ზღვის ნაპირზე (სამეგრელოში) არსებული სავაჭრო პუნქტის მნიშვნელობა, სადაც მოეწყო ნავსადგური, გაიხსნა პორტო-ფრანკო და დაარსდა ქალაქი, რომელსაც რედუტ-კალე ეწოდა.

საქართველოს სავაჭრო ბურჟუაზია მიემგზავრებოდა ნიჟეგოროდის ბაზრობაზე, მოსკოვში და საზღვარგარეთაც: ტრიესტში, მარსელში და ევროპის სხვა ქალაქებში.

რუსეთისა და საქართველოს შორის სოციალ-ეკონომიური კავშირის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქციას (1814 წ.) და აგრეთვე რეგულარული მიმოსვლის მოწესრიგებას შავი და კასპიის ზღვებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, საქართველოში 1825 წლიდან 1850 წლამდე ქალაქთა რიცხვი გაიზარდა 5-დან 12-მდე, ხოლო ქალაქთა მოსახლეობის რაოდენობა 53.122 -დან 73.394 სულამდე.

დაიწყო ზოგიერთ ღონისძიებათა გატარება სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის. იწყება ცდა ისეთი კულტურების მოყვანისა, როგორიც არის ინდიგო, შაქრის ჭარხალი, ჩაი, თამბაქო. იღებენ ზომებს ყურძნისა და ხილის ახალი (ევროპული) ჯიშების გასავრცელებლად. ფოთში არსდება ფორთოხლისა და მანდარინის ხეების სანერგე, ეწყობა საჯიშე პირუტყვის ფერმები, ადგილობრივ მცხოვრებთაგან მებაღეების მოსამზადებლად ახალგაზრდებს სასწავლებლად აგზავნიან ყირიმში, ბესარაბიაში და ყიზლარში. 1845 წ. არსდება თბილისის ბოტანიკური ბაღი. საქართველოში შემოაქვთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ეწყობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, სოფლის მეურნეობის საუკეთესო ექსპონატები იგზავნება ასეთივე სახის გამოფენებზე რუსეთში. 1850 წელს დაარსდა «სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება», რომლის შემადგენლობაში შედიოდა საქართველოს ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწე. ამ საზოგადოებამ ფართოდ გაშალა მოქმედება, იგი სცემდა ჟურნალებს და აგრეთვე მეცნიერულ შრომებს და პოპულარულ ლიტერატურას სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

მეფის მთავრობა, უწინარეს ყოვლისა, თავისი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს განათლების დარგშიც. 1802 წელს თბილისში თავადაზნაურობისათვის დაარსდა ორკლასიანი «კეთილშო-

ბილთა სასწავლებელი», რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანი იყო საქართველოში. შემდეგში ეს სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა. 1817 წელს გაიხსნა სკოლები კულტის მსახურთა მოსამზადებლად, ხოლო 1848 წელს დაარსდა კავკასიის სასწავლო ოლქი. ამ დროისათვის საქართველოში არსებობდა 2 გიმნაზია, 14 სამაზრო, 11 პირველდაწყებითი და 12 კერძო სკოლა. ამ სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი 3 ათასს უდრიდა, რაც მთელი მოსახლეობის 0,4% შეადგენდა.

თბილისში 1819 წელს დაიწყო პირველი გაზეთის გამოცემა, მას «გრუზინსკაია გაზეტა» ეწოდებოდა, 1828 წელს გამოვიდა პირველი ყოველკვირეული გაზეთი რუსულ ენაზე «ტიფლისკიე ვედომოსტი», რომელმაც 1834 წლამდე იარსება. ეს გაზეთი ლიტერატურული დამატებით ქართულ ენაზეც გამოდიოდა. ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლიტერატურულ დამატებას.

«ტიფლისკიე ვედომოსტის» და მის ლიტერატურულ დამატებას ქართულ ენაზე სოლომონ დოდაშვილი რედაქტორობდა. 1838 წელს თბილისში დაიწყო «ზაკავკაზსკი ვესტნიკის» გამოცემა რუსულ ენაზე. მისი რედაქტორი იყო ქართველი მეცნიერი და ლიტერატორი პ. იოსელიანი. 1846 წლიდან თბილისში დაიწყო გაზეთ «კავკაზის» გამოცემა, ამ გაზეთთან ერთად იცემოდა «კავკაზსკი კალენდარი», რომელმაც 72 წელიწადი იარსება. მასში დაიბეჭდა მრავალი საინტერესო შინაარსის ეთნოგრაფიული, ისტორიული და სტატისტიკურ-ეკონომიური სტატია ამიერკავკასიის მხარის შესახებ. 1845 წელს თბილისში დაარსდა მუდმივი რუსული თეატრი, შენდეგ მოიწვიეს იტალიური ოპერის დასი. მალე თეატრისათვის საუცხოო შენობა იქნა აგებული. იგი ანცვიფრებდა თანამედროვეებს თავისი არქიტექტურით და შინაგანი მოკაზმულობის სილამაზით, რაც ცნობილი რუსი მხატვარი გ. გ. გაგარინის ესკიზების მიხედვით იქნა შესრულებული. 1846 წელს თბილისში გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა.

მაგრამ ეს ღონისძიებანი კულტურისა და განათლების დარგში სხვადასხვა მიზნებს ეხსახურებოდნენ: ისინი განირ-

ჩეოდნენ თავიანთი სოციალ-პოლიტიკური ბუნებით და ორ სხვადასხვა ეროვნულ კულტურას გამოხატავდნენ — რეაქციულსა და პროგრესულს.

«კრიტიკულ შენიშვნებში ნაციონალურ საკითხზე» ლენინი წერდა: «ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში — ვეტყვით ჩვენ ყველა ნაციონალ-სოციალს. არის ორი ნაციონალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკოროსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები» *.

ასევე იყო საქართველოშიც. ამ ღონისძიებათა ერთი ნაწილი მეფის თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულ მიზნებს ემსახურებოდა, რუსული ცარიზმის დიდმპყრობელური კულტურის გამოხატულებას წარმოადგენდა.

მაგრამ საქართველოში ვითარდებოდა სხვა კულტურაც — ნამდვილად ეროვნული კულტურა, რომლის მატარებელი და განმახორციელებელი იყო ქართველი ხალხის მოწინავე საზოგადოება, მეცნიერული და კულტურული მოღვაწენი. ქართველი ხალხის ამ კულტურის განვითარებაზე არსებითი და ნაყოფიერი გავლენა მოახდინა მოწინავე ველიკორუსულმა კულტურამ, რომლის გამომხატველნი იყვნენ პროგრესული რუსული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლები.

საქართველოში ჩამოდიან რუსი ხალხის მოწინავე წარმომადგენლები. მათ აინტერესებთ და აღაფრთოვანებთ არა მარტო ამ ქვეყნის ლამაზი ბუნება, რომანტიკა, არამედ ამასთან მათ სურთ გაერკვენ ნამდვილ ვითარებაში, შეიტანონ თავისი წვლილი რუსულ და ქართულ კულტურათა დაახლოების საქმეში. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდნენ მეფის მთავრობის მიერ კავკასიაში გადმოსახლებული დეკაბრისტებიც. იმ მოწინავე ადამიანთა შორის, რომლებმაც შესამჩნევი გავლენა მოახდინეს საქართველოს კულტურულ

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 21.

განვითარებაზე, იყო დიდი რუსი მწერალი ა. ს. გრიბოედოვი, რომელიც დეკაბრისტებს თანაუგრძნობდა. გრიბოედოვი დაახლოებული იყო მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან, მას ცოლად ჰყავდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი შესანიშნავი ქართველი მოღვაწის—პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი. საქართველოში გაიფურჩქნა დიდი მწერალ-დრამატურგის შემოქმედებითი გენია. გრიბოედოვმა თბილისში დაწერა თავისი გენიალური კომედიის — «ვაი ჭკუისაგან» — პირველი აქტები. მან შეიყვარა საქართველო როგორც თავისი მეორე სამშობლო, სწავლობდა ქართულ ენას, ჩინებულად იცნობდა ამ ქვეყნის ისტორიას და ეკონომიკას. მის ხალხურ შემოქმედებას.

საქართველოს მთავარმართებელ გენერალ პასკევიჩს ის ურჩევდა მიენიჭებია ქართველი ხალხისათვის დამოუკიდებლობა საშინაო თვითმმართველობის საქმეში.

1829 წელს არზრუმში მგზავრობისას თბილისში რამდენიმე დღე დაჰყო დიდმა რუსმა პოეტმა ა. ს. პუშკინმა. მას აღფრთოვანებით შეეგება მოწინავე ქართველი საზოგადოება. პუშკინი გაეცნო იმდროინდელ ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს და ხალხურ სიმღერებს.

ა. ს. პუშკინმა დიდი როლი შეასრულა რუს და ქართველ ხალხთა შორის კულტურული კავშირის განმტკიცებაში, ორიგინალური ქართული ლიტერატურის შემდგომ გაფურჩქვნაში და დიდად შეუწყო ხელი მასში რეალიზმის განმტკიცებას. ჯერ კიდევ პუშკინის სიცოცხლეში მის ნაწარმოებებს ქართულად თარგმნიდნენ ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ს. რაზმაძე, შემდეგ კი — ილია ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვ.

კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტებიდან, ან მათ თანაგრძნობ პირთაგან დიდ ხანს ცხოვრობდნენ საქართველოში პოეტი-დეკაბრისტი ა. ოდოევსკი, მწერალი ა. ბესტუჟევ-მარლინსკი, ა. ს. განგებლოვი, ა. ო. კორნილოვიჩი და სხვ.

ა. ო. ოდოევსკი დაუახლოვდა პროგრესული ქართველი ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს, დადიოდა ლიტერა-

ტურულ სალონებში. ის დაახლოებული იყო ა. ჭავჭავაძეს-თან, რომელმაც ქართულად თარგმნა მისი ლექსი «ვარდი და ბულბული». ეს ლექსი ქართული პოეზიის გავლენით იყო დაწერილი. ოდოევსკიმ საქართველოს მთელი რიგი საუცხოო და მგრძნობიარე ლექსები მიუძღვნა («საქართველოს ქორწინება რუსეთის სამეფოსთან» და სხვ.).

თანაგრძნობითა და პატივისცემით ეკიდება კავკასიის ხალხებს, მათ გმირულ ბრძოლას თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბესტუჟევ-მარლინსკი. ბესტუჟევ-მარლინსკის მოთხრობათა რომანტიკული გმირები, ასახულნი კავკასიის ცხოვრებიდან, დაჯილდოებული არიან ვაჟკაცობის, გმირობის, კეთილშობილების თვისებებით, მეგობრობის განვითარებული გრძნობით. საქართველოში ის ბევრ ქართველ მწერალს და პოეტს იცნობდა, დადიოდა ლიტერატურულ სალონებში. ბესტუჟევ-მარლინსკი ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური პატიმართაგანია, რომელმაც რამდენიმე ხანი ბნელ მეტეხის ციხეში გაატარა.

საქართველოში მგზავრობამ, ქართველ ხალხთან გაცნობამ, მისი შემოქმედების და ყოფაცხოვრების შესწავლამ, უდიდესი გავლენა მოახდინა ლერმონტოვის გენიის გაფურჩქნაზე. თავის ნაწარმოებში ლერმონტოვმა აღწერა საქართველოს ბუნებრივი სილამაზე და პოეტურ ფორმებში ასახა ქართველი ხალხის ცალკეული თქმულებანი («დემონი», «მწირი» და სხვ.).

XIX საუკუნის ყოველი ათი წლის განმავლობაში სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა ცვლილებანი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობის სფეროში, მის ყოფა-ცხოვრებაში.

ახალი სოციალ-ეკონომიური პირობები ხელს უწყობდა ქართული კულტურის შემდგომ განვითარებას. განსაკუთრებული წარმატება იქნა მიღწეული ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების საქმეში. XIX საუკუნის პირველი ნახევარი წარმოდგენილია პოეტ-რომანტიკოსების ისეთი ბრწყინვალე პლეადით, როგორიც არიან ა. ჭავჭავაძე,

გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი. მიუხედავად თვითეული მათგანის შემოქმედების ინდივიდუალური თავისებურებებისა, მათ საერთო მაღალი პოეტური კულტურა და საერთო მიზნები აერთიანებს. მათ შექმნეს სხვადასხვაგვარი შემოქმედებითი ჟანრების შესანიშნავი ნიმუშები, მდიდარი სოციალური პრობლემებით და ემოციური შინაარსით. პოეტ-რომანტიკოსებმა გაამდიდრეს ქართული პოეზია ახალი ტენდენციებით, მათ გააღრმავეს ქართული ლიტერატურის კავშირი რუსულ კულტურასთან, რუსულ ლიტერატურასთან. ქართველ პოეტ-რომანტიკოსებს რუსეთის მწერლობასთან აახლოებს და აკავშირებს შეგნება მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობისა სამშობლოს წინაშე და მისდამი სიყვარულის ძლიერი გრძნობა.

პოეტ-რომანტიკოსებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდ პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილს (1817 — 1845), რომელმაც შესამჩნევი გავლენა მოახდინა საქართველოს პოეზიის მთელ შემდგომ განვითარებაზე. ილია ჭავჭავაძემ იგი ახალი ქართული პოეზიის მამამთავრად აღიარა და აღნიშნა ბარათაშვილის პოეტური შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობა.

დიდი პოეტი თავისი ეპოქის მოწინავე ადამიანთა აზრებსა და გრძნობებს გამოხატავდა. აკაკი წერეთელი მას შემთხვევით როდი უწოდებდა ახალი ცხოვრების განთიადის წინამორბედს.

ბარათაშვილი ვერ ურიგდებოდა ნიკოლოზის რეაქციის ბნელ ხანას, მაგრამ მას შეგნებული ჰქონდა რუსული კულტურის მთელი სიდიადე და რუს და ქართველ ხალხთა ძმური მეგობრობის აუცილებლობა.

1842 წელს დაწერილ ნაწარმოებში «საფლავი მეფის ირაკლისა» ბარათაშვილმა ღრმად და დიდი ძალით აღნიშნა ის ახალი პროგრესული მოვლენა, რაც ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში ჩაისახა და განვითარდა, რაც იმის შედეგი იყო, რომ ქართველი ხალხი რუსი ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას დაუკავშირდა:

და მუნით ჰხიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართაკს აწ ხელი!

აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა.
აწ მოგვიგვრიან მრავალის მჯრით ჩვენთა მოძმეთა!

მშვიდობა შენსა წმინდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!
აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა,
და თაყვანსა - სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!*

ბარათაშვილი თავისი დროის შვილია, იგი გარკვეულ გარემოსა და პირობებშია აღზრდილი, მაგრამ მან გაუსწრო თავის ეპოქას საქართველოს ისტორიული განვითარების პერსპექტივების გაგების მხრივ და თავის ლექსში «შემოღამება მთაწმინდაზე» უწინასწარმეტყველა მას ნათელი მომავალი.

«რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!»

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში აღსანიშნავია განთქმული ქართველი მწერლების დანიელ ჭონქაძისა (1830—1860) და ლავრენტი არდაზიანის (1815—1870) შემოქმედება.

ფართოდ არის ცნობილი დანიელ ჭონქაძის მოთხრობა «სურამის ციხე», რომელიც 1859 წელს დაიბეჭდა. ავტორი ამ მოთხრობაში აშკარად და გაბედულად ილაშქრებდა საქართველოში არსებულ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ და იცავდა დამონებულ გლეხობას მემამულე თავადაზნაურებისაგან, რომლებიც ულმობლად ყვლეფდნენ და ჩაგრავდნენ ყმა-გლეხობას.

მოწინავე რუსული ლიტერატურის ტრადიციების დამცველი იყო მწერალი-დრამატურგი გიორგი ერისთავი (1811—1864). იგი გამოჩენილი წარმომადგენელია რეალისტური მიმართულებისა ქართულ ლიტერატურაში. თავის დრამატულ ნაწარ-

---

* ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თბ. 1945 წ., გვ. 72 — 73.

მოებებში («დავა», «გაყრა» და სხვ.) ერისთავი ასახავს ქართველი მემამულეების ყოფაცხოვრებას, გვიჩვენებს ყმა-გლეხობის მძიმე მდგომარეობას, მეფის მოხელეთა თვითნებობას. გ. ერისთავმა დაარსა ქართული პროფესიული თეატრი, რომელიც თბილისში გაიხსნა 1850 წლის 2 იანვარს. თეატრში თავი გამოიჩინეს ისეთმა ნიჭიერმა მსახიობებმა, როგორიც იყვნენ გ. დვანაძე, ნ. მეიფარიანი, გ. ჯაფარიძე, კორძაია, ნათიევი და სხვ. ამ თეატრში დადგმული ერისთავის პიესები «გაყრა» და «დავა» და ზ. ანტონოვის «ბზის დაბნელება საქართველოში» დღემდე ცოცხლობენ ქართულ სცენაზე, როგორც ქართული კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები.

გ. ერისთავის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე პირველი ქართული ჟურნალის «ცისკრის» გამოცემა 1852 წელს.

საქართველოში ახალ სოციალ-ეკონომიურ პირობებში ვითარდებოდა მეცნიერება და მეცნიერული აზრი. მოწინავე რუსულმა მეცნიერებამ დიდი გავლენა მოახდინა ქართველ მეცნიერთა მსოფლმხედველობის განვითარებაზე. მათ შორის იყო თეიმურაზ ბაგრატიონი. იგი 1810 წლიდან პეტერბურგში ცხოვრობდა, სადაც ეწეოდა თავის მრავალფეროვან მეცნიერულ-კვლევით მუშაობას. თეიმურაზ ბაგრატიონი განსაკუთრებით ცნობილია როგორც ისტორიკოსი.

აღსანიშნავია პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული სიტყვიერების პირველი პროფესორის, მეცნიერ-ფილოლოგის დ. ი. ჩუბინოვის (ჩუბინაშვილი — 1814—1891) მოღვაწეობა. მან ჩაუყარა საფუძველი ქართული ენის სისტემატურ შესწავლას, მანვე შეისწავლა და გამოაქვეყნა მრავალი ხელნაწერი და დოკუმენტი საქართველოს ისტორიიდან, გამოსცა ქართულ-რუსული ლექსიკონი და აგრეთვე რუსულ-ქართული ლექსიკონის ორტომეული.

1812 წლის სამამულო ომის სახელგანთქმული გმირის პ. ი. ბაგრატიონის ძმისწული პეტრე სიმონის-ძე ბაგრატიონი (1818—1876) იყო ცნობილი მეცნიერი და ინჟინერი, რო-

მელიც ფერადი მეტალურგიის დარგში მუშაობდა. მან 1843 წელს აღმოაჩინა მადნიდან ოქროს ამოღების ახალი წესი და საფუძველი ჩაუყარა ციანირების თანამედროვე მეტალურგიულ პროცესს.

რეფორმამდელ პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს მოწინავე ქართული ინტელიგენციის მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მოღვაწეობა სხვადასხვა დარგში და მისი დიდი როლი ქართველი ხალხის კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დაახლოებაში პროგრესულ რუსულ კულტურასთან და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან.

1832 წელს მთავრობამ აღმოაჩინა თბილისში თავადაზნაურთა შეთქმულება. დიდგვაროვანი ფეოდალების ერთი მუჭა შეთქმულებმა, რომელთაც არავითარი დასაყრდენი არ ჰქონდათ ხალხში, ირანის შემწეობით განიზრახეს ქართველი ხალხის წინსვლის შეჩერება პროგრესის გზაზე; მათ უნდოდათ «ეროვნული საკითხის» გადაწყვეტა თავისი კლასობრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მეგობრობის დარღვევა დიდი რუსის ხალხსა და ქართველ ხალხს შორის.

თავადაზნაურობას უნდოდა «...საქართველოს» სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული «ნაციონალიზმი» *.

* * *

ამიერკავკასიასა და საქართველოში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის განხორციელება XIX საუკუნის 60-იან წლებში დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც «ეკონომიური განვითარების მთელი მსვლელობა ბიძგს იძლეოდა ბატონყმობის მოსპობისათვის. მეფის მთავრობა, ყირიმის კამპანიის დროს

---

* ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 32.

ომში დამარცხებით დასუსტებული და მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა «ბუნტებით» შეშინებული, იძულებული გახდა 1861 წელს ბატონყმობა გაეუქმებინა»*.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში უფრო აქტუალურად, ვიდრე ეს წინათ იყო, მიმდინარეობდა ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს გადაქცევა რუსეთის მრეწველობის ნედლეულის ბაზად და მისი პროდუქციის გასაღების ბაზრად.

კოლონიათა ექსპლოატაციის კაპიტალისტური წესი მოითხოვდა საქართველოს ეკონომიკის რეორგანიზაციას, მეურნეობის ნატურალურ-პატრიარქალური ფორმების აღმოფხვრას, სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის და სასაქონლო მიწათმოქმედების განვითარებას.

60-იან წლებში საქართველოშიც წარმოიშვა კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებითი ურთიერთობათა შორის. სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ სოციალური წინააღმდეგობანი, იზრდებოდა გლეხთა ბრძოლა იმდროინდელი ცხოვრების მთავარი ბოროტების-ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამან შეუძლებელი გახადა ბატონყმობის შემდგომი არსებობა. ამიტომ ცარიზმი იძულებული იყო ზემოდან გაეუქმებია იგი და განეხორციელებია ზოგიერთი ბურჟუაზიული რეფორმა, რომელიც რუსეთის ცენტრში განხორციელებული იყო. ქართველი მებატონეები (ა. ორბელიანი, ი. ყიფიანი და სხვ.) ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ გლეხთა რეფორმის განხორციელებას საქართველოში. ისინი უხეშად ამახინჯებდნენ ისტორიულ სიმართლეს და ცდილობდნენ დაემტკიცებიათ, რომ მემამულეებსა და გლეხებს შორის ისეთი ურთიერთობა არსებობდა, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის. მაგრამ ბატონყმობის ლიკვიდაციის მოსზადებისას საქართველოში გლეხთა მასების ინტერესების წარმომადგენლებიც იყვნენ.

რეაქციული თავადაზნაურობის, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ გამოვიდნენ თავისი დროის მო-

---

* «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 5.

წინავე ადამიანები: დ. ჭონქაძე, ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, ა. ფურცელაძე და სხვ. მათ შეგნებული ჰქონდათ, რომ საჭიროა გამოინახოს გამოსავალი სოციალური წინააღმდეგობებიდან, საჭიროა ქართველი გლეხობის დაცვა ულმობელი ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან.

ამ ეპოქაში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ქართველი განმანათლებელნი (თერგდალეულნი), რომელთა იდეური ბელადი იყო ილია ჭავჭავაძე (1837—1907). ქართველი განმანათლებელნი ებრძოდნენ კონსერვატიული აზნაურობის იდეოლოგებს, რომლებიც იცავდნენ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას. ქართველი განმანათლებელნი ობიექტურად ხელს უწყობდნენ ცხოვრების ახალი, კაპიტალისტური წყობილების განმტკიცებას. ისინი ხელს უწყობდნენ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას, მათდა შესაბამად ახალი წარმოებითი ურთიერთობების განვითარებას.

ქართველი განმანათლებლების გამოსვლა საესებით შეეხამებოდა საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარების მსვლელობას.

«ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები,—გვასწავლის ი. ბ. სტალინი,—აღმოცენდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებამ საზოგადოებას ახალი ამოცანები დაუსახა» *.

აღმოსავლეთ საქართველოში გლეხთა განთავისუფლების კანონი გამოქვეყნდა 1864 წლის 8 ნოემბერს. იმერეთისა და გურიის გლეხები ბატონყმური მონობისაგან განთავისუფლებულ იქნენ 1865 წლის 13 ნოემბერს. გლეხთა განთავისუფლების კანონის გამოყენება სამეგრელოსა და ლეჩხუმის მაზრაში დაიწყო 1866 წლის 1 დეკემბრიდან. რაც შეეხება აფხაზეთს, აქ ბატონყმობის ლიკვიდაცია მოხდა მხოლოდ 1870 წელს, ხოლო სვანეთში კიდევ უფრო გვიან — 1871 წელს.

რუსეთში 60-იან და 70-იან წლებში გატარებული ბურჟუაზიული რეფორმებიდან საქართველოში სრულიად არ გა-

* ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თბ., 1952 წ., გვ. 685.

ტარებულა საერობო რეფორმა. სასამართლოს რეფორმა საქართველოში შემოღებულ იქნა 1868 წელს, მაგრამ ნაფიცი მსაჯულების გარეშე. რაც შეეხება 1870 წლის 16 ივნისს გამოცემულ ქალაქთა თვითმმართველობის რეფორმას, ის ჯერ მხოლოდ თბილისში გატარდა. ქალაქებში — ქუთაისსა და ბათუმში იგი განხორციელდა 1888 წელს, ხოლო ფოთსა და სუხუმში მხოლოდ 1892 წელს.

ბატონყმობის ლიკვიდაციის შემდეგ საქართველოში დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება. ამას უდიდესი ბიძგი მისცა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ რუსეთში.

კაპიტალიზმის განვითარების პროცესს მოჰყვა ღრმა ცვლილებები მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ეროვნული კულტურის ზრდა, ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება.

საქართველოს ეკონომიური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გზების გაყვანას. 1857 წ. დაარსდა «რუსეთის გემთა და ვაჭრობის საზოგადოება», დაიწყო რეგულარული მიმოსვლა ოდესასა, რედუტ-კალესა, ბათუმსა და ტრაპიზონს შორის. 1873 წელს გაიხსნა სარკინიგზო მიმოსვლა თბილისსა და ფოთს შორის. 1883 წელს დამთავრდა რკინიგზის ხაზის გაყვანა სამტრედიიდან ბათუმამდე და თბილისიდან ბაქომდე. XIX საუკუნის დამლევს ევროპული რუსეთი რკინიგზით დაუკავშირდა კასპიის ზღვას და მთელ ამიერკავკასიას.

1860 წელს თბილისში გაიხსნა პირველი მექანიკური ფაბრიკა, ხოლო 1863 წ. მუშაობა დაიწყო საქართველოში პირველმა (მირზოევის) საფეიქრო ფაბრიკამ. 1883 წ. თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები და დეპო, სადაც 3500-მდე კაცი მუშაობდა. 1890 წ. თბილისში ამუშავდა მთელი რიგი ფაბრიკები და ქარხნები: ტყავისა, საპნისა, ღვინისა და ა. შ.

1870 წ. დაიწყო მარგანეცის მრეწველობის განვითარება. მისი ცენტრი იყო ჭიათურა, მარგანეცის მადნის მსოფლიო

მარაგით. მაგრამ საქართველოს სამრეწველო განვითარება სრულიად არ შეესაბამებოდა მის შინაგან შესაძლებლობას.

ცარიზმი ხელოვნურად აფერხებდა საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარებას, ყოველნაირად ცდილობდა გადაექცია იგი სამრეწველო ნედლეულის წყაროდ და რუსეთის მრეწველობის გასაღების ბაზრად. საქართველოში არსებული ისეთ იშვიათ ლითონთა ბუდობები, როგორიცაა კალა, თუთია, ბარიტი, გუმბრინი, დიატომიტი და ა. შ. თითქმის სრულიად არ მუშავდებოდა. საქართველოს უმდიდრესი ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენებას «ფუჭ და მავნე ფანტაზიად» სთვლიდნენ.

მარგანეცისა და ნავთის ექსპლოატაციას მტაცებლური ხასიათი ჰქონდა.

სამრეწველო საწარმოების უმრავლესობა წვრილი და ტექნიკურად ჩამორჩენილი იყო.

ისე როგორც მთელს რუსეთში, საქართველოში განხორციელებულ გლეხთა რეფორმას მძიმე შედეგები მოჰყვა გლეხობისათვის.

კაპიტალიზმი ანგრევდა საქართველოს ნაციონალურ-პატრიარქალურ მეურნეობას, ნიადაგს აცლიდა ცალკეულ რაიონების სამეურნეო კარჩაკეტილობას და გზას იკვლევდა სოფლის მეურნეობაშიც, მას ბაზრისაგან დამოკიდებულს ხდიდა.

საქართველოში გლეხთა რეფორმის შემდეგ, მზარდი კაპიტალიზმის გავლენის შედეგად, გამწვავდა წინააღმდეგობა, ერთი მხრით, გლეხთა ძირითად მასებსა და, მეორე მხრით, მემამულეებსა და სოფლის ბურჟუაზიულ ფენას შორის. კიდევ უფრო გამწვავდა კლასთა ბრძოლა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არ შემწყდარა გლეხთა მასობრივი გამოსვლა, რომელიც მიმართული იყო ცარიზმის, მემამულეებისა და სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

რუსეთ-თურქეთის 1877 — 1878 წლების ომი ერთდროულად მიმდინარეობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და კავკასიაში.

დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა შეადგენდა მეფის რუსეთის მმართველი კლასების ნამდვილ მისწრაფებას, ამ ომს პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ხელს უწყობდა ბალკანეთის ხალხთა განთავისუფლებას თურქეთის დესპოტიზმისაგან და სამხრეთ საქართველოსა და სომხეთის მიწაწყლის ნაწილის განთავისუფლებას.

1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებათა ძალით, რუსეთს მიეკუთვნა აჭარა, ქართული მიწა-წყლის — მესხეთის ნაწილი, იგი თურქეთმა მიისაკუთრა XVI საუკუნეში. 1878 წელს თბილისში ჩამოვიდა აჭარელთა დეპუტაცია 16 კაცის შემადგენლობით. მათ შეხვდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები — ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვ.. ი. ჭავჭავაძე გაზეთ «ივერიაში» წერდა, რომ აჭარის საქართველოსთან შემოერთებით ხორციელდება ქართველი ხალხის საუკუნოებრივი მისწრაფება. ამ დროიდან აღდგენილია ერთიანი ხალხის ძმური კავშირი და საერთო ცხოვრება. საქართველოსთან აჭარის შეერთების შემდეგ განსაკუთრებით იზრდება ბათუმი. 1883 წელს ბათუმი რკინიგზით შეუერთდა ბაქოსა და თბილისს. აქ აგებულ იქნა საუკეთესო ნავსადგური შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე. 1900 წელს დამთავრდა ნავთსადენის გაყვანა ბაქო-ბათუმის რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ. 1898 წელს ბათუმში ირიცხებოდა 10 მსხვილი სამრეწველო საწარმო. ბათუმი თავისი სიდიდით ამიერკავკასიის მესამე (ბაქოსა და თბილისის შემდეგ) სამრეწველო და პროლეტარული ცენტრი გახდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში შესამჩნევი ხდება ქართული ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარება. ასპარეზზე გამოდის შესანიშნავ მწერალთა ახალი პლეადა. ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლები იყვნენ ქართველი ხალხის დიდი მწერლები — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. მათ დაამკვიდრეს ლიტერატურაში რეალისტური მიმართულება. ისინი გამოდიოდნენ როგორც თავისუფლებისა და განათლების მოსარჩლენი, იბრძოდნენ ნაციონალურ და სო-

ციალურ ჩაგვრის წინააღმდეგ. საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობენ მწერლები ა. ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა, გ. წერეთელი, ე. ნინოშვილი, ვ. ბარნოვი, დ. კლდიაშვილი, ი. ევდოშვილი და სხვ.

ვითარდება ქართული ეროვნული თეატრი. ქართველ მსახიობთა ახალ თაობაში გამოირჩევიან ბრწყინვალე ტალანტები: ლ. მესხიშვილი, ნატო გაბუნია-ცაგარელი, მ. საფაროვა-აბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ვ. აბაშიძე და სხვ.. ქართული თეატრის რეპერტუარი მდიდრდება როგორც ორიგინალური, ისე რუს და დასავლეთ ევროპის დრამატურგთა თარგმნილი პიესებით. ვითარდება ქართული ეროვნული მუსიკა, მუსიკალურ ფოლკლორზე დაყრდნობით. 1874 წ. თბილისში გაიხსნა მუსიკალური სკოლა, შემდეგში კონსერვატორიად გადაკეთებული. ამ სკოლამ დიდად შეუწყო ხელი საგუნდო ხელოვნების გავრცელებას საქართველოში, საოპერო ხელოვნების ჩასახვას, მომღერალ მსახიობთა და პირველი ქართველი კომპოზიტორების — მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილისა და ზ. ფალიაშვილის გამოჩენას.

მიმდინარეობს ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარება. საქართველოს მხატვართა უმრავლესობამ მხატვრული განათლება რუსეთში მიიღო. ისინი დიდი რუსი მხატვრების — რეპინის, სურიკოვის და სხვათა დემოკრატიული რეალიზმის გავლენას განიცდიან. ამ პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო ქართველი მხატვარი იყო გ. ი. გაბაშვილი. იგი რეალისტური ხელოვნების განმტკიცებისათვის იბრძოდა და თავისი შემოქმედება ქართული სოფლის და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის სწორად ასახვას მიუძღვნა. დიდი სახელი მოიხვეჭა ქართული რეალისტური ფერწერის ნიჭიერმა ოსტატმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ — ლ. რ. მრევლიშვილმა. ის სხვა მხატვრებისაგან განირჩეოდა თავისი სურათების რევოლუციური შინაარსით. ეს სურათები გამოხატავდნენ პროტესტს ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ცოდნის სხვადასხვა დარგში თავი გამოიჩინა ქართველ მეცნიერთა ახალმა თაობამ. ბუნებისმეტყველების დარგში

თვალსაჩინო ადგილი უკავიათ გამოჩენილ მეცნიერებს: ი. რ. თარხნიშვილს, ვ. მ. პეტრიაშვილს და პ. გ. მელიქიშვილს.

ლიტერატურისა და ფილოსოფიის დარგში სახელი მოიხვეჭეს პროფესორებმა: ა. ს. ხახანაშვილმა, ა. ა. ცაგარელმა, ნ. ბარათაშვილმა, და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. ზ. ბაქრაძემ. ისინი წერენ მთელ რიგ ძვირფას გამოკვლევებს საქართველოს ისტორიიდან და ლიტერატურის ისტორიიდან.

ვ. ი. ლენინის მოძღვრება ყოველ ეროვნულ კულტურაში ორი ეროვნული კულტურის არსებობის შესახებ ეხება ყველა ერის, მათ შორის, ქართველი ერის კულტურასაც.

ქართულ კულტურაში არასოდეს არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო «ერთიანი ნაკადი».

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გრ. ორბელიანმა კონსერვატული თავადაზნაურობის ძველი თაობის, როგორც თვითონ ამბობდა, «სახელოვანი მამების», პოზიციებიდან პოლემიკურ-პუბლიცისტური ლექსით «პასუხი შვილთა» მკაცრად გაილაშქრა ახალი პროგრესული საზოგადოებრივ-ლიტერატურული მიმდინარეობის წინააღმდეგ, რომელსაც ილ. ჭავჭავაძე მეთაურობდა. გრ. ორბელიანი ამ მოძრაობის მონაწილეებს უწოდებდა «უბედურ» ახალგაზრდებს, რომლებიც წინაპართა ენას და რწმენას ამახინჯებენ.

კონსერვატული თავადაზნაურობის პოზიციებზე რჩებოდა გ. ორბელიანი.

ახალი, მოწინავე სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობების წინააღმდეგ გამოდიოდა ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი.

ლიტერატურის კრიტიკოს კიტა აბაშიძის მსგავსი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის წარმომადგენლები, შემდეგში მენშევიკები, სოციალ-ფედერალისტები მტრულად უყურებდნენ დიდ რუსულ ლიტერატურას, ერთმანეთს უპირისპირებდნენ რუს და ქართველ ხალხებს.

ბატონყმობის ლიკვიდაციამ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ, ქვეყნის ეკონომიურმა კონსოლიდაციამ

შექმნა პირობები იმისათვის, რომ ქართველი ხალხი ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბებულიყო.

«საქართველო, როგორც ერი,—წერდა ი. ბ. სტალინი,—მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი»*.

საერთო ბრძოლაში ცარიზმის ეროვნული და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ძლიერდება და მტკიცდება რუს და ქართველ ხალხთა მეგობრობა. რუსეთის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა, ბუნებრივია, ებმებოდა რუსეთის საერთო რევოლუციურ მოძრაობაში. გასული საუკუნის 60-იანი წლების სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვ.. ქართველი ხალხოსნები ჯაბადარი, ზდანოვიჩი-მაიაშვილი, ა. ციციშვილი და სხვ. მონაწილეობას იღებენ რუსეთის ხალხოსნურ მოძრაობაში. ისინი გაასამართლეს «50-ის პროცესის» დროს და ციმბირში გადაასახლეს.

60—70-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის შემუშავებაზე უდიდესი გავლენა მოახდინეს დიდმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ბელინსკიმ, გერცენმა, ჩერნიშევსკიმ, დობროლუბოვმა. ქართულ პროგრესულ საზოგადოებაში განსაკუთრებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა ნ. გ. ჩერნიშევსკი.

ნ. გ. ჩერნიშევსკი დაკავშირებული იყო მრავალ ქართველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწესთან, უდიდესი თანაგრძნობით ეკიდებოდა კავკასიის ხალხთა რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმის და ბატონყმობის წინააღმდეგ და გულწრფელად უხაროდა კავკასიის ხალხთა ეროვნული კულტურის წარმატებითი განვითარება.

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 318.

ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა რუს და ქართველ ხალხთა კულტურული კავშირი.

თავის მხრით ქართველი ხალხის კულტურა ნაყოფიერ გავლენას ახდენდა რუს მწერალთა, მეცნიერთა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებაზე.

1851 წელს თბილისში ცხოვრობდა ნახევარი წლის განმავლობაში დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი, რომელიც დაკავშირებული იყო მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან. აქ დაიწყო მან თავისი დიდი ნაწარმოების «ბავშვობის» წერა. ტოლსტოის შემდეგშიაც აინტერესებდა საქართველოში მომხდარი ამბები, მას მეგობრული ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა საქართველოს მრავალ მოწინავე ადამიანთან. არა ერთხელ იყო საქართველოში გენიალური დრამატურგი ოსტროვსკი. 1883 წელს მან ქართულ თეატრში ნახა მ. მ. საფაროვა-აბაშიძის თამაში, როდესაც იგი პოლინას როლს ასრულებდა პიესაში «შემოსავლიანი ადგილი». ოსტროვსკიმ მსახიობს უთხრა: «სანამ თქვენ ცოცხლობთ, ჩემი პოლინა არ მოკვდებაო». გენიალურ რუს კომპოზიტორ ჩაიკოვსკის უყვარდა საქართველოში ჩამოსვლა. აქ მას ურთიერთობა ჰქონდა ბევრ მოწინავე ადამიანებთან, აქ დაწერა მან ზოგიერთი თავისი შესანიშნავი ნაწარმოები. საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებასთან დაკავშირებული იყვნენ კომპოზიტორები — რუბინშტეინი და იპოლიტოვ-ივანოვი. ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი აღნიშნავდა, რომ მის შემოქმედებაში დიდი როლი ითამაშეს საქართველომ და მისმა მოწინავე ადამიანებმა. გორკი წერდა: «მე არასოდეს არ მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში (თბილისში — გ. ხ.) გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზით, რომლითაც აი უკვე ოთხი ათეული წელია მივდივარ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნის დიადმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა გულთბილობამ, — სწორედ ორმა ძალამ მომცა მე ბიძგი, რამაც მოხეტიალე ადამიანი ლიტერატორად მაქცია».

საქართველოში დაიბადა და აღიზარდა ვ. ვ. მაიაკოვსკი — ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველ ხალხთან.

საქართველოს ეკონომიურმა, ეროვნულმა, საზოგადოებრივმა და კულტურულმა განვითარებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რაც საქართველოსა და რუსეთის მოწინავე საზოგადოების, კულტურული და რევოლუციური მოღვაწეობის მჭიდრო თანამეგობრობის პირობებში მიმდინარეობდა, მოამზადა ის ისტორიული გარემოება, რომ საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები ლენინიზმის დროშის ქვეშ დადგნენ.

* * *

ემ-19 საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გადამწყვეტ მომენტში, როდესაც კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ იმპერიალისტურ სტადიაში, რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა გადმოინაცვლა რუსეთში, რომელიც იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი და მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემაში ყველაზე სუსტი რგოლი იყო.

ამ დროს რუსეთში იწყებოდა უდიდესი სახალხო რევოლუცია, რომელიც მიმართული იყო თვითმპყრობელობისა და ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთების წინააღმდეგ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას რუსეთში ხელმძღვანელობდა რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც ყავდა ისეთი სერიოზული მოკავშირე, როგორიც იყო მემამულისაგან განაწამები და ექსპლოატირებული მრავალმილიონიანი გლეხობა.

ეს რევოლუცია იმპერიალისტურ ეპოქაში გარდუვალად უნდა გაზრდილიყო სოციალისტურ რევოლუციად.

რუსეთი გახდა რუსული და მსოფლიო კულტურის უდიდესი მიღწევის — ლენინიზმის სამშობლოდ, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმის სამშობლოდ.

ახალ ისტორიულ პირობებში მთელი სიმწვავით დადგა საკითხი რუსეთში მუშათა კლასის ახალი, მებრძოლი, რევოლუციური პარტიის შექმნის შესახებ.

ჯერ კიდევ 1883 წელს, საზღვარგარეთ, პლეხანოვის ხელმძღვანელობით შეიქმნა მარქსისტული ჯგუფი «შრომის განთავისუფლება», მაგრამ ამ ჯგუფმა «მხოლოდ თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია და გადასდგა პირველი ნაბიჯი მუშათა მოძრაობისაკენ».

1895 წელს პეტერბურგში დაარსდა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი», რომლის საქმიანობაც მიმართული იყო მარქსიზმთან მუშათა მოძრაობის შეერთებისაკენ. «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი» რუსეთში რევოლუციური პროლეტარული პარტიის პირველი ჩანასახი იყო. 1898 წელს შემდგარმა რსდმპ პირველმა ყრილობამ გამოაცხადა მუშათა კლასის პარტიის შექმნა რუსეთში, მაგრამ მას არ მიუცია პარტიის არც პროგრამა და არც წესდება.

მუშათა კლასის მებრძოლი, რევოლუციურ-მარქსისტული პარტიის, გმირული კომუნისტური პარტიის, II ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიებისაგან პრინციპულად განსხვავებული ახალი ტიპის პარტიის შექმნას საფუძველი ჩაეყარა 1903 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (რსდმპ) II ყრილობაზე, იმ ჭეშმარიტად ტიტანური მუშაობის შედეგად, რომელსაც ვ. ი. ლენინი ატარებდა გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისიდან.

მარქსისა და ენგელსის მოძღვრებისა და საქმის დიდმა განმგრძობმა, რევოლუციის გენიამ, რევოლუციის მეცნიერების კორიფემ, მშრომელი მასების დიდმა ორგანიზატორმა ვ. ი. ლენინმა, რომელიც შემოქმედებითად ავითარებდა მარქსიზმს და ეწეოდა შეურიგებელ ბრძოლას მარქსიზმის აშკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ, დაამუშავა მარქსისტული პარტიის ორგანიზაციული და იდეოლოგიური საფუძვლები.

რსდმპ მეორე ყრილობა აღინიშნა გენიალური ლენინური გეგმის გამარჯვებით, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთში პროლეტარული პარტიის შექმნას, პარტიისა, რომელიც ლენინს მიაჩნდა სოციალური რევოლუციისა და პროლეტა-

რიატის დიქტატურის პარტიად, კაპიტალიზმის დამანგრეველთა და კომუნიზმის მშენებელთა პარტიად.

ლენინი წერდა: «... მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია—და ჩვენ გადავატრიალებთ რუსეთს!»

«კომუნისტური პარტიის დიდი დამაარსებლისა და ბრძენი ბელადის ლენინის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი პარტიის მთელ ისტორიასთან, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წარმოშობასა და განვითარებასთან. ლენინის სახელი მთელი მსოფლიოს მშრომელთა დროშა გახდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის, ხალხთა ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში» *.

სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას თან სდევდა მუშათა მოძრაობის ზრდა ამიერკავკასიასა და საქართველოში.

90-იან წლებში რევოლუციურ მუშაობას აქ ეწეოდნენ გადმოსახლებული რუსი მარქსისტები. მარქსიზმის პროპაგანდისა და ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნის საქმეში დიდი როლი შეასრულეს რუსეთიდან გადმოსახლებულმა ვიქტორ კურნატოვსკიმ, ს. ალილუევმა, მ. კალინინმა, ა. კრასნოვმა და სხვებმა, რომლებიც თბილისში იმყოფებოდნენ. ამიერკავკასიასა და საქართველოში ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა ლენინის მოწაფე და მისი საქმის განმგრძობი დიდი სტალინი. ამიერკავკასიისა და საქართველოში რევოლუციური მუშათა მოძრაობის პირველ წლებში ი. ბ. სტალინის უახლოესი თანამოსანგრენი იყვნენ პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის შესანიშნავი მებრძოლები ალ. წულუკიძე და ლ. კეცხოველი.

ლენინურ-ისკრული ორგანიზაციები ამიერკავკასიასა და საქართველოში, რომლებიც რუსეთში პროლეტარული პარ-

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი. (1903—1953 წ.), გვ. 4.

ტიის აშენების გენიალური ლენინური გეგმით ხელმძღვანელობდნენ, — იბრძოდნენ სოციალიზმთან მუშათა მოძრაობის მტკიცედ შეერთებისათვის. ისინი აწარმოებდნენ ბრძოლას ლიბერალურ ხალხოსნობასთან, «ლეგალურ მარქსიზმთან», «ეკონომისტების» ოპორტუნიზმთან, დაქუცმაცებასა და წრეობანასთან, იბრძოდნენ პროლეტარიატის ძალების ორგანიზაციისა და შემჭიდროებისათვის რევოლუციური მარქსიზმის დროშის ქვეშ. ლენინურ-ისკრული პარტიული ორგანიზაციები ამიერკავკასიასა და საქართველოში გაბედულად ააშკარავებდნენ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, ასაბუთებდნენ ყველა ერის პროლეტარიატის კლასობრივი სოლიდარობის აუცილებლობას, გაბედულად იცავდნენ ინტერნაციონალიზმის იდეას მისი ყველა მტრის წინააღმდეგ, ხმამაღლა აცხადებდნენ ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის განუყრელ კავშირს მთელი რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან.

პირველი ქართული არალეგალური გაზეთის თბილისის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის ორგანო «ბრძოლის» სარედაქციო სტატიაში ნათქვამია:

«ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას» *.

ვ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალს კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას და აღნიშნავდა მრავალერიან მოსახლეობაში აგიტაციისა და პროპაგანდის მთელ სიძნელესა და სირთულეს.

ვ. ი. ლენინი სწავლობდა კავკასიაში ბოლშევიკური მუშაობის გამოცდილებას და ამ მუშაობას სახავდა როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განხორციელების ნიმუშს. გორკისადმი მიწერილ წერილში ლენინი წერდა:

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 6.

«ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები + სომხები + თათრები + რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა, ერთადერთი გადაწყვეტა» *.

1903 წლის მარტში თბილისში მოიწვიეს კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნის შესახებ, დაამტკიცა მისი წესდება, პროგრამა და აირჩია რსდმ პარტიის II ყრილობაზე გასაგზავნად სამი დელეგატი, რომლებიც II ყრილობაზე ლენინს მიემხრენ.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკური ორგანიზაციები ამიერკავკასიაში და საქართველოში უდიდესი ენერგიითა და შეუპოვრობით იცავდნენ რევოლუციაში ლენინურ სტრატეგიას და ტაქტიკას, პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციაში.

ლენინი კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ჩვენი პარტიის მებრძოლ ორგანიზაციებად სთვლიდა. პარტიის III ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით და მხურვალე მისალმება გაუგზავნა კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას. ლენინი კავკასიას იმ ცენტრების რიცხვს მიაკუთვნებდა, სადაც მისი განმარტებით: «... აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული» **.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, სტოლიპინის რეაქციის შავბნელ წლებში, მეფის რეპრესიების დროს, საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც ასრუ-

---

* ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 76.

** ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 127.

ლებდნენ პარტიის დირექტივას, უკან დაიხიეს სრული წესრიგით, რევოლუციური მუშაობისათვის ზიანის მიუყენებლად და გაშალეს უდიდესი რევოლუციური მუშაობა არალეგალური პარტიული ორგანიზაციის მშენებლობისა და განმტკიცებისათვის, აწარმოებდნენ გმირულ, თავდადებულ ბრძოლას თვითმპყრობელობაზე ახალი ძლევამოსილი იერიშის მოსამზადებლად.

«ლენინს ეკუთვნის ის უდიდესი დამსახურება, რომ მან პარტიისათვის ამ ძნელ დროს დაიცვა და განავითარა პარტიის თეორიული საფუძვლები—დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, რომელიც კომუნიზმის თეორიული საძირკველია. იდეურმა მარქსისტულ-ლენინურმა წრთობამ, რევოლუციის პერსპექტივების სწორმა გაგებამ ხელი შეუწყო ლენინის გარშემო დარაზმულს პარტიის ძირითად ბირთვს დაეცვა პარტია და შეენარჩუნებია მისი ძირითადი კადრები»*.

ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკები გადამჭრელ ბრძოლას ეწეოდნენ ლიკვიდატორების წინააღმდეგ და აწარმოებდნენ მზადებას პრაღის კონფერენციისათვის. ლენინის დავალებით ამიერკავკასიაში ჩამოვიდა ს. ორჯონიკიძე კონფერენციის მოსამზადებლად. პრაღის კონფერენციის მოწვევის საქმეში უდიდესი როლი ითამაშა ბაქოსა და თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა. ლენინი წერდა, რომ პრაღის კონფერენციის მოსაწვევად გამოყოფილი კომისია «შექმნეს კიევის, ეკატერინოსლავის, თბილისის, ბაქოს და ეკატერინბურგის ორგანიზაციებმა» **....

VI სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენცია შედგა პრაღაში 1912 წელს. მენშევიკები განდევნილ იქნენ რსდმპ-დან და ამით დასაბამი მიეცა ბოლშევიკების დამოუკიდებელი პარტიის საბოლოო ჩამოყალიბებას. კომუნისტური პარტიის ისტორიაში, მისი შემდგომი განვითარების, პროლეტარიატის

---

* «საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903—1953 წ.)», თ.ბ., 1953 წ., გვ. 14—15.

** ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 651.

დიქტატურის წარმატებით მოპოვების საქმეში პრაღის კონ-ფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

«ლენინის და ლენინური ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო გაერთიანებული ბოლშევიკების დაუცხრომელი ბრძოლა ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა» *.

---

* «საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903—1953)», თბ., 1953 წ., გვ. 15.

საქართველო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში

1914 წლის 19 ივლისს (1 აგვისტოს) გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. დაიწყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი. ააშკარავებდა რა პირველი მსოფლიო ომის მტაცებლურ ხასიათს და განსაზღვრავდა რევოლუციური მარქსისტების ამოცანებს ომის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ვ. ი. ლენინი წერდა: «ევროპის ომი, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ამზადებდნენ ყველა ქვეყნის მთავრობანი და ბურჟუაზიული პარტიები, დაიწყო. შეიარაღების ზრდას, ბაზრებისათვის ბრძოლის უკიდურესად გამწვავებას მოწინავე ქვეყნების კაპიტალიზმის განვითარების უახლესი, იმპერიალისტური, სტადიის ეპოქაში, ყველაზე ჩამორჩენილი, აღმოსავლეთ ევროპის მონარქიების დინასტიურ ინტერესებს აუცილებლად უნდა გამოეწვიათ და კიდევაც გამოიწვიეს ეს ომი. სხვა ერების მიწების დაპყრობა და ამ ერების დამორჩილება, მეტოქე ერის გაჩანაგება, მის სიმდიდრეთა გაძარცვა, მშრომელი მასების ყურადღების ჩამოშორება რუსეთის, გერმანიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების შინაური პოლიტიკური კრიზისებისაგან, მუშების გათიშვა და ნაციონალისტური

გაბრიყვება და მათი ავანგარდის განადგურება პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის დასუსტების მიზნით — ასეთია თანამედროვე ომის ერთადერთი ნამდვილი შინაარსი, მნიშვნელობა და აზრი».*

პირველი მსოფლიო ომი, რეაქციული და უსამართლო ომი იყო, რომლის მიზანს შეადგენდა სხვა ქვეყნებისა და სხვა ხალხთა დაპყრობა, რევოლუციური მოძრაობის ჩახშობა.

მსხვილი მრეწველები, ფინანსისტები და აგრარიები, რომლებიც გერმანიას ვილჰელმ მეორის საიმპერიო მთავრობის და მისი შტაბის მეშვეობით განაგებდნენ, ელვისებურ გამარჯვებას ვარაუდობდნენ და აწყობდნენ გეგმებს რუსეთის ყოველნაირად შესასუსტებლად, მისგან უკრაინის, პოლონეთის, ბალტიისპირა მხარის და ფინეთის ჩამოსაცილებლად.

გერმანელი ინტერვენტები განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებული ამიერკავკასიით, კერძოდ საქართველოთი, როგორც მთამადნეულითა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებით მდიდარი მხარით.

გერმანელთა სარდლობა ამიერკავკასიის ტერიტორიას უყურებდა როგორც რუსეთის წინააღმდეგ შემდგომი შეტევითი ოპერაციების პლაცდარმს.

ჯერ კიდევ ომის გამოცხადებამდე დიდი ხნით ადრე გერმანიის მილიტარიზმმა ფართო ჯაშუშური და დივერსიული მუშაობა გააჩაღა ამიერკავკასიაში, სადაც გზავნიდა თავის აგენტებს ტურისტებისა და სხვადასხვა სავაჭრო წარმომადგენელთა სახით. ჯაშუშური მუშაობისათვის ფართოდ იყენებდნენ ამიერკავკასიაში მცხოვრებ გერმანელ კოლონისტებს და გერმანიის საკონსულოთა თანამშრომლებს. ამ ჯაშუშებისა და დივერსანტების მუშაობას ხელმძღვანელობდა გერმანიის კონსული თბილისში გრაფ შულენბურგი[2].

«მეფის რუსეთი, — ამხანაგ სტალინის განმარტებით, — იყო დასავლეთის იმპერიალიზმის უდიდესი რეზერვი არა

---

* ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 15.

მარტო იმ აზრით, რომ იგი თავისუფლად უშვებდა ჩვენში უცხოეთის კაპიტალს, რომლის ხელშიც იყო რუსეთის სახალხო მეურნეობის ისეთი გადამწყვეტი დარგები, როგორიცაა სათბობი და მეტალურგია, არამედ იმ აზრითაც, რომ რუსეთს შეეძლო დასავლეთის იმპერიალისტების სასარგებლოდ გამოეყვანა მილიონობით ჯარისკაცები...

ცარიზმი იყო არამარტო მოდარაჯე ქოფაკი იმპერიალიზმისა აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ იგი იყო აგრეთვე დასავლეთის იმპერიალიზმის აგენტურაც, რათა პარიზსა და ლონდონში, ბერლინსა და ბრიუსელში აღებული სესხებისათვის ასეული მილიონობით პროცენტი აეფცქვნა მოსახლეობისაგან.

ბოლოს, ცარიზმი დასავლეთის იმპერიალიზმის უერთგულესი მოკავშირე იყო თურქეთის, სპარსეთის, ჩინეთის და სხვ. დაყოფის საქმეში» *.

მეფის რუსეთი პირველ მსოფლიო ომში საფრანგეთისა და ინგლისის მხარეზე გამოვიდა. ამის მიზეზი იყო რუსეთის ნახევრადკოლონიური დამოკიდებულება ამ ქვეყნებისაგან. მაგრამ ომში ჩაბმით რუსეთი თავის «საკუთარ მიზნებსაც» ისახავდა. მეფის მთავრობის მიზანი იყო გაეფართოებინა თავისი ტერიტორია ერთიანი პოლონეთის შექმნის ხარჯზე, ხელთ ეგდო ავსტრია-უნგრეთის ნაწილი — გალიცია და დაენაწილებია თურქეთი.

ჯერ კიდევ ომის წინა პერიოდში, მიუხედავად ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგობისა, თურქეთში განმტკიცდა გერმანიის გავლენა. 1913 წ. დეკემბრიდან თურქეთში მოქმედებდა გენერალ ლიმან ფონ სანდერსის სამხედრო მისია, რომელიც თურქეთის არმიის რეორგანიზაციას ახდენდა. 1914 წ. 2 აგვისტოს (ძვ. სტ.) დადებულ იქნა გერმანია-თურქეთის საკავშირო ხელშეკრულება[3].

იმავე დღეს თურქეთში გამოცხადდა მობილიზაცია.

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 88.

ბოლოს, 1914 წ. 10 აგვისტოს (ძვ. სტ.) დარდანელში შემოყვანილ იქნა გერმანიის ორი კრეისერი «გებენი» და «ბრესლაუ», რომლებიც თურქეთის მთავრობამ ფიქტიურად შეისყიდა. ამ ხომალდების გამოჩენის შემდეგ არა მარტო თურქეთის ფლოტი, არამედ თურქეთის არმიაც ფაქტიურად გერმანელთა სარდლობას დაექვემდებარა.

1914 წ. 28 ოქტომბერს «გებენი» და «ბრესლაუ» შავ ზღვაში შემოვიდნენ.

29 ოქტომბერს თურქეთის ნაღმოსნებმა ოდესის ნავსადგურში ჩაძირეს რუსეთის საკანონერო ნავი «დონეცი». 30 ოქტომბერს (ძვ. სტ.) «გებენმა» და «ბრესლაუმ» დაბომბეს სევასტოპოლი, იალტა, ფეოდოსია და ნოვოროსიისკი.

ამ ამბების შემდეგ, 1914 წ. 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. 5 და 6 ნოემბერს თურქეთს ომი გამოუცხადეს აგრეთვე საფრანგეთმა და ინგლისმა.

რუსეთ-თურქეთის საომარი მოქმედების დასაწყისშივე შეიქმნა კავკასიის ფრონტი შავი ზღვიდან ირანამდე. ამიერკავკასიისა და საქართველოს ტერიტორიები ფრონტისპირა ზონად იქცა. თურქებმა ისარგებლეს იმით, რომ რუსეთმა თავისი ჯარის ნაწილი კავკასიიდან დასავლეთის ფრონტზე გადაისროლა, და 1914 წ. ნოემბერში დაიწყეს შეტევა ყარსის მიმართულებით და შეიჭრნენ ბათუმის ოლქში (აჭარაში) [4].

ამიერკავკასიაში პანიკამ იჩინა თავი. ზეფის ადმინისტრაცია შეუდგა არქივებისა და ფასეულობათა სასწრაფოდ გატანას ბათუმიდან და თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, მიმდინარეობდა მეფის მოხელეების, თავადაზნაურობისა და მქონებელი კლასების ოჯახების ევაკუაცია და ა. შ. მაგრამ უკვე დეკემბერში რუსეთის ჯარები მიუხედავად თავისი მცირერიცხოვნებისა და ფრონტზე შექმნილი მძიმე პირობებისა კონტრშეტევაზე გადავიდნენ და სარაყამიშის ოპერაციაში გაანადგურეს თურქეთის შემომტევი 3 არმია. ამ დამარცხების შემდეგ თურქებმა ვეღარ მოახერხეს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შემოჭრა.

1914 წ. აგვისტოში რუსეთის არმია შეიჭრა აღმოსავლეთ პრუსიაში — პრუსიელ იუნკერთა ციტადელში. თუმცა მეფის რუსეთის არმიამ დიდძალი ზარალი ნახა და მარცხი განიცადა, მაგრამ მან მაინც აიძულა გერმანელთა სარდლობა. შეეჩერებინა შეტევა პარიზზე და გადაესროლა მნიშვნელოვანი ძალები დასავლეთიდან აღმოსავლეთ ფრონტზე. 1914 წლის სექტემბერში გერმანელთა არმიამ სერიოზული დამარცხება განიცადა მარნასთან გამართულ გრანდიოზულ ბრძოლაში.

რუსეთის ჯარმა გალიციაში წარმატებითი შეტევის შედეგად დაიპყრო ქალაქი ლვოვი და უძლიერესი სიმაგრე — პერემიშლი.

რუსეთის ჯარის აქტიური მოქმედების შედეგად ფრანგებმა შესძლეს ვერდენის დაცვა. რუსეთის შეტევამ 1916 წლის ზაფხულზე ავსტრია-უნგრეთი გამოიყვანა მწყობრიდან, ხოლო იტალია განადგურებისაგან იხსნა.

წარმატებით მოქმედებდა რუსეთის ჯარი კავკასიის ფრონტზედაც, მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციებს ხელს უშლიდა მომარაგების, სამხედრო საჭურველის და სატრანსპორტო საშუალებათა დიდი დანაკლისი, სუსხიანი ჰავა, ომის წარმოების სიძნელეები მთაგორიან ადგილებში. მიუხედავად მეფის სარდლობის უნიჭობისა, მხოლოდ და მხოლოდ რუს ჯარისკაცთა სიმამაცისა და ამტანობის მეოხებით და ცალკეულ მეთაურთა თაოსნობის შედეგად კავკასიის არმია 1916 წელს გადავიდა შეტევაზე და აიღო თურქეთის სიმაგრე არზრუმი, რომელიც წარმოადგენდა თურქეთის იმპერიის აღმოსავლეთ ოლქთა გასაღებს, დაიკავა ქალაქ ტრაპიზონის რაიონი და აგრეთვე ქალაქები — ბაიბურთი და ერზიჯანი

მაგრამ რუსეთის არმიამ ვერ შეძლო თავის წარმატებათა განვითარება და განმტკიცება მეფის მთავრობისა და მისი სარდლობის გამცემლობის გამო. მეფის რუსეთი არ იყო ომისათვის მომზადებული. ჯარისკაცები მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ იარაღი და საჭურველი არ ჰყოფნიდათ, ამასთან შეიარაღების ხარისხი მეტად ცუდი იყო. ამიტომ რუსეთის

არმია დიდ ზარალს განიცდიდა. ნაკლებად განვითარებული მრეწველობა და უკიდურესად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა ვერ უზრუნველყოფდა მტკიცე ეკონომიურ ბაზას ხანგრძლივი და თავისი მასშტაბით ჯერ არნახული ომის წარმოებისათვის. მალე რუსეთის მთელ სახალხო მეურნეობას განსაკუთრებით მძიმე კრიზისი დაატყდა თავს. იმპერიალისტურმა ომმა ერთხელ კიდევ გამოააშკარავა მეფის რუსეთის სოციალ-ეკონომიური სისტემის მთელი სიდამპლე.

უაღრესად სერიოზული შედეგი მოჰყვა ომს საქართველოს სახალხო მეურნეობისთვისაც.

საქართველოს ჩამორჩენილი და ნაკლებად განვითარებული მრეწველობა ომის ზეგავლენით დიდად დაეცა და შეფერხდა: მნიშვნელოვნად შეიკვეცა წარმოება, შემცირდა ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ მუშათა რიცხვი.

დარდანელის სრუტის დახურვის გამო მარგანეცის მრეწველობა, გათვალისწინებული უმთავრესად ექსპორტისათვის, ომის დაწყებისთანავე ღრმა კრიზისის მდგომარეობაში აღმოჩნდა. მარგანეცის საერთო ამოღება 1913 წლის 56.289 ათასი ფუთიდან 1916 წელს 15.085 ათას ფუთამდე დაეცა, ხოლო 1917 წელს 12.488 ათას ფუთამდე. მარგანეცის მრეწველობაში ჩაბმული მუშათა რიცხვი 3.477-დან 986 კაცამდე შემცირდა.

ქვანახშირის ამოღება 1917 წლის დამდეგისათვის შეადგენდა 3.379 ათას ფუთს, 1913 წელს ამოღებული 4.199 ათასი ფუთის ნაცვლად.

თამბაქოს წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით $^1/_3$-ზე უფრო მეტად შემცირდა.

ომის შედეგად დიდად დაზარალდა ძაფსახვევი მრეწველობა, რომელსაც ომამდე დაახლოებით 120 საწარმოო ჰქონდა: მისი პროდუქცია 1913 წლის 175,2 ათასი ფუთიდან 1915 წელს 59,7 ათას ფუთამდე შემცირდა.

ომის დროს დაიხურა ღვინის, კონიაკის და სარექტიფიკაციო ქარხნები (თბილისში, გორში და სხვ.), ადელხანოვისა და კომპანიის ტყავისა და ქეჩის ქარხნები, ტოლეს, კარპინ-

სკის ზეთსახდელი და საპნის ქარხნები და მრავალი სხვა. ფაბ-
რიკები თავდაცვით მუშაობაზე გადაიყვანეს [5]. თანდათანობით
ჩაქრა სიცოცხლე საქართველოს ისეთ დიდ სამრეწველო
ცენტრში, როგორიც იყო ბათუმი. აქ დაიხურა როტშილდი-
სა და მანთაშევის თუნუქის ყუთების დამამზადებელი ყველა
დიდი ქარხანა, ხოლო ნავთის პროდუქტებს ბათუმიდან მხო-
ლოდ ნავთსასხმელ გემებით ეზიდებოდნენ.

ბოსფორისა და დარდანელის სრუტის დახურვის გამო
თითქმის სრულიად შეწყდა საზღვარგარეთთან ვაჭრობა [6].

რკინიგზის ტრანსპორტი ომის დროს სულ უფრო და
უფრო ინგრეოდა.

კატასტროფულად იზრდებოდა გადაუზიდავი ტვირთის
რაოდენობა. ამის გამო ქალაქები სათბობის ნედლეულისა
და სურსათის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. მკვეთრად
შემცირდა აგრეთვე მარცვლეულის, შაქრის, მანუფაქტურის,
საგალანტერიო საქონლის, რკინეულის და სხვათა შემოზიდ-
ვა რუსეთიდან საქართველოში.

ომის სიმძიმეს განსაკუთრებით ძლიერ განიცდიდა საქარ-
თველოს ჩამორჩენილი და დაქუცმაცებული სოფლის მეურ-
ნეობა.

ლენინის სიტყვები: «მსოფლიოს არც ერთს ქვეყანაში არ
განუცდია გლეხობას «განთავისუფლების» შემდეგაც ისეთი
გაჩანაგება, ისეთი სილატაკე, ისეთი დამცირება და ისეთი
აბუჩად აგდება, როგორც რუსეთში» * ყველაზე მეტად შეიძ-
ლება გამოყენებულ იქნას იმ მდგომარეობის დასახასიათებ-
ლად, რომელშიც იმყოფებოდნენ გლეხთა მასები ამიერ-
კავკასიასა და კერძოდ საქართველოში 1917 წლის ბურჟუა-
ზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინ.

როგორც ცნობილია, დროებით ვალდებულ გლეხთა
ინსტიტუტი რუსეთში გაუქმდა ჯერ კიდევ 1881 წელს,
ხოლო ამიერკავკასიისა და საქართველოსათვის ანალოგიური
კანონი მხოლოდ 1912 წ. 20 დეკემბერს გამოიცა, ე. ი.

---

* ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 88.

31 წლით უფრო გვიან, ვიდრე ცენტრალურ რუსეთში. მაგრამ დროებით ვალდებულებითი ურთიერთობის გაუქმება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მემამულეთა კაბალიდან და ექსპლოატაციიდან გლეხთა ფაქტიურ განთავისუფლებას. მაშინ როდესაც რუსეთში გამოსასყიდი გადასახადები გაუქმებულ იქნა 1907 წლის 1 იანვრიდან, გლეხებმა საქართველოში, 1912 წლის კანონის მიხედვით, თავიანთი ნადელები მიიღეს გამოსყიდვით, მიუხედავად იმისა, რომ თვით ხელისუფალთა აღიარებით, გლეხებმა თავიანთი ყოველწლიური შენატანებით დიდი ხანია ზედმეტად გადაუხადეს მემამულეებს ნადელების ნამდვილი ღირებულება. ამრიგად, ამიერკავკასიისა და საქართველოს გლეხებს კიდევ უნდა გადაეხადათ მემამულეებისათვის 24 მილიონი მანეთი, მხოლოდ იმ «შეღავათით», რომ ამ თანხის გადახდა 56 წლით იყო გახანგრძლივებული.

1912 წლის კანონით მოწესრიგებული არ იყო გლეხების მიერ მემამულეთა ხელში მყოფი ტყით, საძოვრებითა და წყლით სარგებლობის საკითხები.

«ჩამონაჭრები» ისევე მემამულეებს დარჩათ. საქართველოში გადაუჭრელი დარჩა ისეთი არქაული, შუასაუკუნოებრივი ინსტიტუტის გაუქმების საკითხიც, როგორიც იყო ხიზნობა. მისი დედაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ გაქცეული ან უმიწაწყლო გლეხები განსაკუთრებული ხელშეკრულების, საიჯარო პირობების თანახმად, სახლდებოდნენ ფეოდალის მიწებზე, ბატონყმობის ლიკვიდაციის შემდეგ, როდესაც მიწის ფასმა მოიმატა, ყოფილი ხიზნების, «ამ მუდმივი მოიჯარადრეების» დატოვება აღარ იყო ხელსაყრელი მემამულეებისათვის. ამიტომ მემამულეები სასამართლოების მეშვეობით ცდილობდნენ ხიზნების გასახლებას, ან და თვითნებურად ადიდებდნენ საიჯარო გადასახადს. ხიზნების მდგომარეობა დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობაზე უარესი იყო, რადგან მემამულეთა მიწებიდან გასახლების შემთხვევაში ისინი ჰკარგავდნენ თავიანთი შრომის ნაყოფს: ბაღებს, სამეურნეო შენობებს და სხვ.

თვით კავკასიის ხელისუფალნი არ მალავდნენ იმ ფაქტს, რომ ხიზნური დამოკიდებულება მემამულეებისადმი არსებითად იყო ბატონყმური დამოკიდებულება. მაგალითად, 1915 წელს გამოიცა მეფე ნიკოლოზ II-ის ბრძანებულება თავად მაჩაბლების ოსი გლეხების ხიზნების ხიზნურ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ.

მეფის ამ ბრძანებულების სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებით სპეციალურად გამოყოფილი კომისია კავკასიის მეფისნაცვალ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს მოახსენებდა შემდეგს:

«თქვენი ბრწყინვალების ბრძანებით № 2718 (1915 წ.) მიმდინარე სექტემბრის თვის 6 რიცხვს, ჩვენ ადგილობრივ გამოვუცხადეთ დინავის, ურდლივარის, დინამაგის, კაშელურის, ეროგის, როკისა და კოშკის ხეობების ოსებს იმ ბრძანებულებაში გადმოცემული უმაღლესი ნებისყოფა:

1) რომ ოსები თავისუფლდებიან თავად მაჩაბლებისადმი ბატონყმური დამოკიდებულებისაგან: (ხაზგასმა ჩემია — გ. ხ.);

2) რომ თავად მაჩაბლების მიწებით სარგებლობისათვის გლეხებმა უნდა გამოუყონ მათ მიწის ყოველგვარი ნაწარმის მეათედი;

3) რომ მათ არ ეკრძალებათ, თუ მოისურვებენ, ითხოვონ სახაზინო მიწებზე დასახლება» *.

1912 წლის კანონის საფუძველზე გამოსასყიდ აქტებს დიდი გაჭიანურებით ადგენდნენ და ამას თან ახლდა ბოროტმოქმედებანი მემამულეთა სასარგებლოდ.

ამიერკავკასიის 5 გუბერნიის სპეციალურმა კომისიებმა, რომლებიც მემამულეთა ინტერესებს იცავდნენ, 1917 წელს 1 იანვრისათვის 6.184 გამოსასყიდი აქტის ნაცვლად სულ 2.795 აქტი შეადგინეს. ამრიგად, ამიერკავკასიის დროებით ვალდებულ გლეხთა 55 პროცენტი 1912 წლის კანონის შემდეგაც მემამულეებისაგან დამოკიდებული რჩებოდა.

---

* საქ. სსრ ცენტრ. სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 2, ს. 4212.

1912 წლის 20 დეკემბრის კანონი სრულიად არ შეხებია მემამულეებისაგან ხიზან გლეხთა დამოკიდებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის საკითხს.

ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების შენარჩუნება საქართველოში აპარტახებდა მშრომელ გლეხთა ძირითად მასებს და ძლიერ აფერხებდა გლეხთა მეურნეობის განვითარებას.

1917 წლის წინახანებში ქართული სოფლის გლეხების მემამულეთა მხრით ექსპლოატაციის, თვითნებობისა და უუფლებობის მკვეთრ სურათს გვიხატავს, მაგალითად, 1916 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ერთ-ერთი მონაწილის კორესპონდენცია:

«როგორც ძველად, ისე ახლაც, — წერს კორესპონდენტი,— ძალაშია გაწკეპვლა და მუშტი-კრივით გასწორება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველ დროს «თათქარიძეები» (ქართველი მემამულის სინონიმია. — გ. ხ.) ქართულად სცემდნენ და აგინებდნენ გლეხებს, ახლა კი ამას სჩადიან რუსულ ენაზე განსწავლულნი. შორაპნის მაზრაში გლეხებს აჩანაგებს თავ. დავით ბაგრატიონი, ქართლში კი ამას სჩადიან თავ. მდივნები და ციციანოვები».

ომის დროს სოფლებიდან არმიაში წაიყვანეს მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიანი ნაწილი. თბილისის გუბერნიიდან არმიაში გაიწვიეს 149 ათასი კაცი, ქუთაისის გუბერნიიდან 63,3 ათასი. ომის წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობაში ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მცირდებოდა წარმოების საშუალებები, ხელისუფალნი ახდენდნენ ცხენების, ხარების, აკაზმულობის რეკვიზიციას. სოფლად მუშა-პირუტყვის მწვავე ნაკლებობა შეიქმნა.

შინაური პირუტყვის სულადობა მკვეთრად შემცირდა აგრეთვე ჭირის საშინლად გავრცელების გამო. 1916 წლის 14—15 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან მოიწვიეს სპეციალური თათბირი, რომელმაც გამოარკვია, რომ პირუტყვის სიკვდილიანობა ამ მხარის ზოგიერთ ადგილას, კერძოდ ქუთაისის გუბერნიაში 30-სა და მეტ პროცენტს შეადგენდა. თბილისის გუბერნიაში პირუტყვის სიკვდილია-

ნობა აცრის შედეგად სიღნაღისა და თბილისის მაზრებში 20 — 30 %-ს აღწევდა.

ამ მიზეზთა გამო და აგრეთვე თესლის ნაკლებობისა და ხანგრძლივი გვალვის შედეგად 1915 წლის შემოდგომაზე მკვეთრად შემცირდა სათესი ფართობი. მაგალითად, კავკასიის მეფის ნაცვალის კანცელარიასთან 1916 წლის 7 მარტს საგანგებოდ მოწვეულმა თათბირმა აღნიშნა, რომ «თბილისის გუბერნიაში საშემოდგომო ნათესების ფართობი 30-დან 50%-მდე შემცირდა. რაც შეეხება საგაზაფხულო პურეულს, მისი ფართობი უფრო მეტად იქნება შემცირებული, ვიდრე საშემოდგომო პურეულისა».

სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებით, 1916 წელს ქუთაისის გუბერნიაში სათესი ფართობი 25 პროცენტზე მეტად შემცირდა.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პრესაც კი იძულებული იყო აღენიშნა, თუ რა სიმძიმით თავს დაატყდა ომი მშრომელ გლეხობას. გაზეთ «სახალხო ფურცლის»[7] კორესპონდენტი (ქუთაისის გუბერნიიდან), იწერებოდა:

«ერთის თვალის გადავლებით ვნახე ყანები ხონიდან ქუთაისამდე, სამტრედიიდან ხონამდე და რიონიდან ლანჩხუთამდე. მრავალი მამული დაუმუშავებელი რჩება. ეხლა თესვის დროა, მაგრამ ნახევარს დახნულიც კი არა აქვს. ამ მხრივ ხალხის გაჭირვება კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან ყანების გათოხვნა მეტ მუშა-ხელს თხოულობს, ვიდრე ხვნა-თესვა... ქალები ვერაფერს ხდებიან, გაჭირვებას ვერ უმკლავდებიან, ცუდად იკვებებიან, ცუდად იცვამენ, ციოდებიან და სნეულდებიან. ავადმყოფობა, სნეულება ძალიან გავრცელებულია, საერთო გაჭირვებამ ხალხის ჯანმრთელობა შეარყია... არ არსებობს საექიმო დახმარება. ხალხი ფიზიკური გადაშენების გზას ადგია».

ქართულ სოფელში პურის დიდი ნაკლებობა იყო და შიმშილი მძვინვარებდა. 1916 წლის მარტის საანგარიშო მოხსენებაში თიანეთის მაზრის უფროსი აღნიშნავდა, რომ მაზრის მოსახლეობის სამი მეოთხედი სულ უპუროდ დარჩაო.

«პირველ ხანებში, — წერს იგი, — მოსახლეობა შემცირებული რაოდენობით სჭამდა პურს, ახლა კი ორ დღეში ერთხელ ჭამს» *.

ოზურგეთის მაზრის შესახებ გაზეთ «კასპში» 1915 წ. 17 მაისს წერდნენ:

«გურიას ზიმშილი ემუქრება. არც ერთ გლეხს არ მოეპოვება სიმინდის საკმაო მარაგი ყანების დასათესად. არ მოიპოვება არც ზედმეტი მუშა-ხელი, დარჩნენ მხოლოდ მოზარდები, მოხუცები და ქალები. სამწუხარო სურათს წარმოადგენს ამჟამად გურული გლეხის ცხოვრება. ასეთი ეკონომიური კრიზისი გურულებს არ ახსოვთ».

ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა, ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები, მემამულეებისა და სოფლის ბურჟუაზიის მიერ გლეხთა მასების უსასტიკესი ექსპლოატაცია, აუტანელი გადასახადები, ყოველგვარი ახალი ბეგარა და ომთან დაკავშირებული გაჭირვება, მიწის მწვავე სიმცირე, მოსახლეობის შიმშილობა — ასეთი იყო ქართული სოფლის მდგომარეობა 1917 წლის წინახანებში.

სოფლის მეურნეობის უღრმესმა კრიზისმა, ტრანსპორტის მოშლამ, ფულის ტრიალის შერყევამ მკვეთრად გააუარესა საქართველოს ქალაქების მომარაგება სასურსათო პროდუქტებით. საგრძნობლად იზრდებოდა სპეკულაცია, ეცემოდა ფულის კურსი, ცხოვრება დღითი დღე ძვირდებოდა. 1916 წლის 21 თებერვლის საიდუმლო მოხსენებაში თბილისის პოლიცმეისტერი ზდანოვსკი, ახასიათებდა რა თბილისის ბაზრის მდგომარეობას, წერდა:

«...ცხოვრება იმდენად გაძვირდა, რომ ჯერ კიდევ გასულ წელს ქალაქის მოსახლეობის უღარიბესი კლასი მხოლოდ და მხოლოდ პურითა და სელშავის ჩაით იკვებებოდა. ახლა კი მისთვის ესეც ფუფუნებად იქცა, რადგან შაქარი გაძვირდა და აღარ არის» **.

---

* საქ. სსრ ცენტრ. სახ. საისტორ. არქივი, ს. 1654.

** საქ. სსრ ცსსა, ფ. 63, ს. 3.337, გვ. 72 — 74.

მსგავსად იმისა, როგორც ეს იყო პეტროგრადში, მოსკოვში, ივანოვო-ეოზნესენსკსა და რუსეთის სხვა ქალაქებში, ამიერკავკასიასა და საქართველოშიც მატერიალური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების გამო თავი იჩინა მშრომელი მასების უკმაყოფილებამ არსებული წყობილებით, წარმოიშვა სტიქიური მასობრივი მოძრაობა (ეგრეთწოდებული «ქალთა ბუნტი»).

ეს მოძრაობა დაიწყო ბაქოში 1916 წ. თებერვალში და შემდეგ მოედო აგრეთვე თბილისს, სუხუმს, ხონს, სამტრედიას, კულაშს და სხვა ქალაქებსა და სოფლებს.

საშინელი გაჭირვებით სასოწარკვეთილი მასების სტიქიურ გამოსვლებს, ცარიზმი უსასტიკესად ახშობდა და დახვრეტასაც კი მიმართავდა.

ოფიციალური შემცირებული მონაცემების მიხედვით, მარტო ბაქოში, უმთავრესად ქალებისაგან შემდგარი ჯგუფისათვის ტყვიის დაშენის შედეგად, მოკლულ და დაჭრილ იქნა 66 ადამიანი.

ამრიგად, ომი სულ უფრო და უფრო ამწვავებდა კლასობრივ და ეკონომიურ წინააღმდეგობებს, მან დიდად დააჩქარა რევოლუციის განვითარება.

* * *

პირველი მსოფლიო ომის მონაწილე მეფის მთავრობამ სრული მხაოდაჭერა პოვა საქართველოს ბურჟუაზიისა და მემამულეების მხრიდან. ომის შესახებ მეფის მანიფესტის საპასუხოდ თბილისის ქალაქის გამგეობამ თავის საგანგებო კრებაზე გამოიტანა გადაწყვეტილება, გაეგზავნათ ნიკოლოზ II-სათვის უქვეშევრდომილესი დეპეშა; გადაედოთ ომის საჭიროებისათვის დიდი ფულადი სახსრები და მიემართათ ტრამვაის გაფიცულ მუშებისთვის მოწოდებით, რათა მათ «შეეწყვიტათ გაფიცვა». კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის სასახლისაკენ მიემართებოდა «პატრიოტული» პროცესიები, ხოლო ბურჟუაზიულ-მემამულური პრესა ყველა ჰანგზე გაჰკიოდა «მეფისა და ხალხის ერთიანობაზე».

მაგრამ რუსეთის არმიის პირველმა მარცხმა დასავლეთისა და კავკასიის ფრონტებზე, ქვეყნის შიგნით სულ უფრო და

უფრო მზარდმა ეკონომიურმა ნგრევამ და ხალხის მასების გაძლიერებულმა უკმაყოფილებამ საქართველოს ბურჟუაზია და მემამულეები აიძულა განგაში აეტეხათ თავიანთი სეებედისათვის. ომის წარმოებით დაინტერესებული მქონებელი კლასების წრეებში თავი იჩინა ცარიზმით უკმაყოფილებამ და თვით სეპარატისტულმა მისწრაფებამაც კი.

«ნაციონალურ განაპირა მხარეებში, — როგორც ნათქვამია წიგნში — «სამოქალაქო ომის ისტორია სსრკ-ში», — დაიწყო რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული მღელვარება... გაძლიერდა ბურჟუაზიული სეპარატისტების მოღვაწეობა პოლონელებსა, უკრაინელებსა და ფინებს შორის, რომლებმაც მოქმედების ნაციონალისტური პროგრამა შეიმუშავეს. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლებას ვამჩნევთ აგრეთვე ლიტველებს, ამიერკავკასიის ეროვნებებს შორის და ა. შ. უკიდურესად გამწვავდა საერთონაციონალური მოთხოვნებიც განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ ბურჟუაზიამ იმპერიალისტური ომი გამოაცხადა ისეთ ომად, რომელიც თითქოს სუსტი ერების დასაცავად წარმოებდა»*.

უკმაყოფილების შესაწყვეტად ან ოდნავ მაინც შესანელებლად მეფის მთავრობა ამიერკავკასიაში ატარებს ნაციონალურ ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან პირფერობის პოლიტიკას, ფარისევლურად ჰპირდება მათ ომის დამთავრების შემდეგ მრავალ შეზღუდვათა გაუქმებას, სომხეთის «ბედის გადაწყვეტას», ზოგიერთი პოლიტიკური უფლებების «ბოძებას» და ადგილობრივ მართვა-გამგეობაში ჩაბძას.

1915 წელს, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მაგივრად კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა მეფის ბიძა, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვი, რომელიც მანამდე რუსეთის არმიის მთავარსარდალი იყო.

---

* «სამოქალაქო ომის ისტორია სსრკ-ში», ტ. I, «გოსპოლიტიზდატი» 1938 წ., გვ. 43.

თბილისში ჩამოსვლისას მან საჭიროდ სცნო აღეთქვა ბურჟუაზიისა და მემამულეებისათვის, რომ იგი ხელს მოკიდებდა ამიერკავკასიაში საერობო მმართველობის შემოღების საქმეს.

მართლაც, 1916 წლის აპრილს თბილისში მოიწვიეს კავკასიის მეფისნაცვლის თავმჯდომარეობით ფართო თათბირი ამიერკავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ. ამ თათბირზე მოწვეულ იქნენ ქალაქების, მსხვილი ბურჟუაზიის, თავადაზნაურობის, უმაღლესი მოხელეების, სამღვდელოების და «საზოგადოებრივი» ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირზე განიხილეს და მიიღეს ერობის დებულების პროექტი, რომელიც ამიერკავკასიის ერობებისთვის ითვალისწინებდა უფრო შეკვეცილ უფლებებს, ვიდრე მინიჭებული ჰქონდა რუსეთის ევროპული ნაწილის ერობას[9]. ეს პროექტი ზოგიერთი შესწორებით დამტკიცებულ იქნა კავკასიის მეფისნაცვლის მიერ 1916 წლის 4 ივლისს.

ამიერკავკასიის ბურჟუაზია და თავადაზნაურობა თანახმა იყო მიეღო ასეთი უფლებაშეკვეცილი ერობაც, მაგრამ მეფის მთავრობა მის შემოღებასაც აყოვნებდა. საერობო რეფორმას ამიერკავკასიაში ცარიზმის დროს არ ეღირსა განხორციელება.

* * *

უკვე პირველი მსოფლიო ომის დაწყების პერიოდში საგსებით გამომჟღავნდა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტი ლიდერების სიკოტრე და გამცემლობა. სოციალისტური პარტიების ბელადებმა და ხელმძღვანელებმა ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს, ისინი მონაწილეობდნენ ბურჟუაზიულ მთავრობათა კაბინეტებში, ყოველნაირად ეხმარებოდნენ იმპერიალისტებს, ხალხის მასების მოტყუებაში და ერთმანეთს უსისიანებდნენ მეომარი ქვეყნების მუშებსა და გლეხებს «სამშობლოს დაცვის» ყალბი ლოზუნგით.

«1914—1917 წლების პერიოდი,—წერს ამხანაგი სტალინი,— იმპერიალისტური ომის გაჩაღების პერიოდი, როდესაც ყველა, ან თითქმის ყველა, სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტია აჰყვა საყოველთაო პატრიოტულ გატაცებას და ჩაება თავისი ქვეყნის იმპერიალიზმის სამსახურში. ეს იყო პერიოდი, როდესაც II ინტერნაციონალმა თავისი დროშები დახარა კაპიტალის წინაშე»...*

აშკარად ოპორტუნისტული, სოციალ-შოვინისტური პოზიცია დაიკავა რუსეთში ომის დროს პლეხანოვმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა მენშევიკებს და მოუწოდა ხელი მიეცათ სახელმწიფო სათათბიროში სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ. განსაკუთრებით საზიზღარ როლს თამაშობდნენ ცენტრისტები, რომლებიც თავის სოციალ-შოვინიზმს «ჰუმარცხენე ფრაზებით» ფარავდნენ. რუსეთში ცენტრისტებად ითვლებოდნენ ტროცკი, მარტოვი, ჩხეიძე და სხვ.

კომუნისტური პარტია რუსეთში და საერთაშორისო ასპარეზზე შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა სოციალ-შოვინიზმისა და ცენტრიზმის წინააღმდეგ. ლენინმა რუსეთის სოციალ-შოვინისტებს მეფისა და პურიშკევიჩის სოციალისტები უწოდა.

სტატიაში «საქმეთა მდგომარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში» (1915 წ. ივლისი) ლენინი წერდა, რომ «ტროცკი... როგორც ყოველთვის, პრინციპულად არაფერში არ ეთანხმება სოციალ-შოვინისტებს, მაგრამ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ შ ი ეთანხმება მათ (სხვათა შორის, ჩხეიძის ფრაქციის «ბედნიერი შუამავლობის» წყალობით, — მგონი, ეს ასე იწოდება დიპლომატიურ ენაზე?)» **.

ქართველი მენშევიკები მსოფლიო ომის პერიოდში რუსეთის ოპორტუნიზმის პირველ რიგებში გამოდიოდნენ.

«სამშობლოს დაცვის» დროშით მათ სოციალ-შოვინისტების მოღალატური, გამცემლური პოზიცია დაიკავეს და აშ-

---

* ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 69 — 70.

** ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 342.

კარად მოუწოდებდნენ მხარი დაეჭირათ მეფის მონარქიისა-თვის. ქართველი მენშევიკები ეხმარებოდნენ ცარიზმსა და ბურჟუაზიას მუშათა და გლეხთა გაბრიყვებაში, წამლავდნენ მშრომელებს ნაციონალიზმის შხამით.

ქართველი მენშევიკების ლიდერი-ლიკვიდატორი ნოე ჟორდანია ჯერ კიდევ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში, როგორც საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, ოხრანკის ხელში ჩავარდნისას ფიცულობდა: «პატიოსან შრომას მივყოფ ხელს» და სინდისიერად შეასრულებ «რუსი ქვეშევრდომის ჩვენს მოვალეობასო».

ცნობილ შრომაში «წერილები კავკასიიდან» ამხანაგი სტალინი ააშკარავებდა ნ. ჟორდანიას და ქართველი მენშევიკების ლიკვიდატორობას და წერდა:

«...თბილისელი მენშევიკების «ახალი» ტაქტიკა წარმოადგენს რევოლუციით დადასტურებული პარტიული ტაქტიკის ლიკვიდაციას, ლიკვიდაციას, რომელიც მოითხოვს პროლეტარიატის გადაქცევას ზომიერი კადეტური ბურჟუაზიის მაჩანჩალად» *.

წერილში მ. ს. ოლმინსკისადმი 1913 წ. 3 ივნისის თარიღით ლენინი ნ. ჟორდანიაზე წერდა: «...ისე ვერაფრით დ ა ე ხ მ ა რ ე ბ ი ლიკვიდატორებს, როგორც იმით, რომ ა ნ ი[10] ანტილიკვიდატორად აღიარო» **.

როდესაც ომი დაიწყო ნ. ჟორდანიამ მოუწოდა მენშევიკური პარტიის წევრებს წასულიყვნენ ომში «სამშობლოს სიკეთის გულისათვის». ის დაჟინებით მოითხოვდა, რათა IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ხმა მიეცა სამხედრო კრედიტების დამტკიცებისათვის.

ახასიათებდა რა სოციალ-მენშევიკების პოზიციას ომის დროს, ლენინი წერდა: «ნაშა ზარია»[11], პლეხანოვი, ალექსინსკი, კავკასიელი სოციალ-დემოკრატების ბელადი ანი აშკარა სოციალ-შოვინისტები ხდებიან... ჩხეიძის ფრაქცია, თუმცა

---

* ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ ტ. 2, გვ. 208.

** ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 191.

მან ხმა მისცა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ (რუსეთში ბურჟუაზიულმა დემოკრატებმაც კი, ტრუდოვიკებმა, ხმა მისცეს მათ წინააღმდეგ), «ნაშა ზარიას» ერთგულ მოკავშირედ რჩება»*.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მენშევიკური პარტიის გავლენიანი წევრები — ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, ს. ჯიბლაძე და სხვ. რომლებიც 1915 წ. ივნისში დააპატიმრეს საპირველმაისო მოწოდებისათვის, უკვე იმავე წლის სექტემბერში კავკასიის მეფისნაცვალის ვორონცოვ-დაშკოვის განკარგულებით გაათავისუფლეს პატიმრობიდან და მათ მიმართ შეწყვეტილ იქნა ყოველგვარი დევნა**.

ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეფის ხელისუფლების მიერ მენშევიკ-ლიდერთა განთავისუფლების შედეგად, როგორც ეს ჟანდარმთა პოლკოვნიკ პასტრულინის მოხსენებიდან ჩანს, მენშევიკური ორგანიზაციის მუშაობა გამოცოცხლდა. 1915 წ. 4 ოქტომბერს ახალ-სენაკში (ამჟამად ქალაქი ცხაკაია) ქართველმა მენშევიკებმა მოიწვიეს თავისი კონფერენცია, რომელმაც მთლიანად მემამულეთა და ბურჟუაზიის იმპერიალისტური პოლიტიკის მხარდაჭერის პოზიცია დაიკავა.

«ამ კონფერენციაზე, — წერდა თავის მოხსენებაში 1915 წლის 1 ნოემბრის თარიღით ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ტრესკინი, — გაიმარჯვა თავდაცვის იდეამ, რასაც «ანი» იცავდა, ამის მტერმეტყველური დამამტკიცებელია თათბირის გადაწყვეტილება—მონაწილეობა მიიღონ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში. ამ გადაწყვეტილებით საბოლოოდ იცვლება ტაქტიკა კავკასიის სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც პასიური და საეჭვო ნეიტრალიტეტიდან გადადის აქტიურ გამოსვლაზე თავდაცვის იდეის სასარგებლოდ. ამის შესაბამისად შეიცვალა «თანამედროვე აზრის» მიმართულებაც»[12].

მენშევიკები პროპაგანდას ეწეოდნენ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშათა მონაწილეობის სასარგებლოდ, აქტიურ

---

* ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ 410.

** საქ. სსრ ცენტრ. სახ. საისტ. არქივი, ფ. 36, გვ. 3245.

მონაწილეობას იღებდნენ ეგრეთწოდებულ თავდაცვით ორგანიზაციებში და ა. შ. ისინი ცდილობდნენ მუშათა კლასის ინტერესები დაემორჩილებინათ ცარიზმისა და ბურჟუაზიის ინტერესებისათვის.

შიმშილობის ნიადაგზე მასების გამოსვლებს მენშევიკები აფასებდნენ როგორც დარბევითი (პოგრომული) ხასიათის გამოსვლებს. ცნობილია, რომ მეფის ხელისუფალთა ნებართვით ქუთაისის გუბერნიაში დადიოდა IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი ნ. ჩხეიძე მღვდელ ხუნდაძისა და პოლკოვნიკ მიქელაძის თანხლებით. ისინი მოსახლეობას ურჩევდნენ თავი შეეკავებინათ «მღელვარებისაგან».

ლენინი სამარცხვინო დაღს ასვამდა მენშევიკებს, რომლებიც ცდილობდნენ მასების უკმაყოფილება წარემართათ მთავრობის მიერ მოწონებული ლიბერალური «ბრძოლის» კალაპოტით, ხოლო ჩხეიძის მოქმედებას, რომელიც ეხმარებოდა ხელისუფალთ «თვითნებური» გამოსვლების შეწყვეტაში «ოპორტუნისტულ სისაძაგლეს» უწოდებდა.

მენშევიკები იცავდნენ იმპერიალისტურ ლოზუნგს — «ომი საბოლოო გამარჯვებამდე» და მით ეხმარებოდნენ ცარიზმს ფრონტიდან გამოქცეულ ჯარისკაცებთან ბრძოლაში, რომელთაც არ სურდათ ეომათ იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებისათვის.

«ს.-დ. მენშევიკების ფრაქციის წევრმა ჩხენკელმა და აგრეთვე ქუთაისის გუბერნიაში მყოფმა სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ჩხეიძემ, — აუწყებდა 1916 წ. 5 ოქტომბერს პოლიციის დეპარტამენტს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პასტრიულინი, — სხვადასხვა დროს იმოგზაურეს ქუთაისის გუბერნიაში და ეწეოდნენ მოსახლეობაში... აგიტაციას დეზერტირებთან ბრძოლისა და პოლიციის ხელში მათი გადაცემის სასარგებლოდ».

მეფის მთავრობა ხელს უწყობდა ქართველი მენშევიკების გამცემლურ მოქმედებას: მათი ხელმძღვანელები თავისუფლად დადიოდნენ, ისინი თვითმმართველობის ორგანოებში, თავდაცვითს ორგანიზაციებში მსახურობდნენ, მათ ნებას

აძლევდნენ გამოეცათ გაზეთები სადაც ებეჭდებოდა სტატიები «ერთიანი განუყოფელი რუსეთის» დაცვის შესახებ და სხვ.

კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილში პეტერსონი ტყუილა როდი წერდა მენშევიკებზე:

«ამჟამად არავითარი საჭიროება არ მოითხოვს რაიმე რეპრესიული ზომების მიღებას ამ პარტიის წევრთა წინააღმდეგ» *.

იმპერიალისტური ომის წლებში მხოლოდ ბოლშევიკების პარტია გენიალური ლენინის ხელმძღვანელობით, დარჩნენ სოციალიზმის საქმის ბოლომდე ერთგულნი, რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საბრძოლო დროშის ერთგულნი.

«ლენინი მაშინ, — წერდა ი. ბ. სტალინი, — ერთადერთი, ან თითქმის ერთადერთი იყო, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა სოციალ-შოვინიზმისა და სოციალ-პაციფიზმის წინააღმდეგ, ამჟღავნებდა გედებისა და კაუცკების ღალატს და სამარცხვინო დაღს ასვამდა ორპოფი «რევოლუციონერების» მერყეობას. ლენინს ესმოდა, რომ მას უმნიშვნელო უმცირესობა მისდევდა, მაგრამ ამას მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან მან იცოდა, რომ ერთადერთი სწორი პოლიტიკა, რომელსაც მომავალი აქვს, არის თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკა, ვინაიდან მან იცოდა, რომ პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა.

ცნობილია, რომ ახალი ინტერნაციონალისათვის ამ დავაშიც ლენინი აღმოჩნდა გამარჯვებული»**.

ომის დროს ბოლშევიკური პარტიის პროგრამული დოკუმენტი იყო ლენინის მიერ 1914 წ. აგვისტოში დაწერილი თეზისები: «რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ევროპულ ომში».

ამ თეზისებში გაცემული იყო პასუხი ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე, რომელიც წამოიჭრა პროლეტარიატის წი-

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 63, ს. 2748, გვ. 41.

** ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 70.

ნაშე იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით. ლენინმა გამოააა-აშკარავა პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტური ხასიათი და ამხილა ომისადმი შოვინისტურ მოწოდებათა სიყალბე, დაგმო II ინტერნაციონალის ლიდერების, მენშევიკებისა და ესერების გამცემლური მოქმედება.

«რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა, — წერდა ლენინი, — განსაკუთრებით და პირველ რიგში, ულმობელი და უცილობელი ბრძოლა ველიკორუსულ და ცარისტულ-მონარქისტულ შოვინიზმთან და რუსი ლიბერალების, კადეტების, ნაროდნიკების ნაწილის და სხვა ბურჟუაზიული პარტიების მიერ ამ შოვინიზმის სოფისტურ დაცვასთან. რუსეთის მუშათა კლასისა და ყველა ხალხის მშრომელი მასების თვალსაზრისით ნაკლები ბოროტება იქნებოდა დამარცხება მეფის მონარქიისა და მისი ჯარებისა, რომლებიც ჩაგრავენ პოლონეთს, უკრაინას და რუსეთის მთელ რიგ ხალხებს, და აღვივებენ ეროვნულ მტრობას ველიკორუსების მიერ სხვა როვნებათა ჩაგვრის გასაძლიერებლად და მეფის მონარქიის რეაქციული და ბარბაროსული მთავრობის განსამტკიცებლად»*.

იმ საკითხებმა, რ ო მ ლ ე ბ ი ც ლენინმა წამოაყენა თავის თეზისებში ომის შესახებ, შემდგომი განვითარება პოვა ლენინის სხვა შრომებში: «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია», «საქმეთა მდგომარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში», «საკუთარი მთავრობის დამარცხების შესახებ იმპერიალისტურ ომში», «სოციალიზმი და ომი», «II ინტერნაციონალის კრახი», «რამდენიმე თეზისი», «ევროპული ომი და საერთაშორისო სოციალიზმი» და სხვ.

1914 წ. დეკემბერში ლენინმა დაწერა ცნობილი სტატია «ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ», ეს სტატია გამსჭვალულია უდიდესი სიყვარულით სამშობლოსადმი, თავისი დიდი ხალხისადმი და ზიზღით მშრომელთა მჩაგვრელებისადმი.

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 4 — 5.

«ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, — წერდა ლენინი, — რადგან ველიკორუსმა ერმა აგრეთვე შექმნა რევოლუციური კლასი, მანაც დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს მისცეს კაცობრიობას ი.ავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშები...»*

ლენინი გენიალური გამჭრიახობით წინასწარ ჭვრეტდა, რომ «...დიდი იქნება სოციალისტური როლი ველიკორუსი პროლეტარიატისა, როგორც კაპიტალიზმით წარმოშობილი კომუნისტური რევოლუციის მთავარი მამოძრაველებლისა» **.

ომის დროს, 1916 წ. გაზაფხულზე ლენინმა დაწერა კლასიკური შრომა «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია». ამ გენიალურ ნაწარმოებში ლენინმა იმპერიალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური სისტემის ღრმა ანალიზის საფუძველზე, გვიჩვენა, რომ იმპერიალიზმი უმაღლესი და უკანასკნელი სტადიაა კაპიტალიზმის განვითარებაში, როდესაც იგი ლპობად, მომაკვდავ კაპიტალიზმად იქცევა.

«იმპერიალიზმი პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წინადღეა» ***—წერდა ლენინი. იმპერიალიზმის დროს, აღნიშნავდა იგი, უკიდურესად მწვავდება კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობა და წინააღმდეგობანი, რაც იმპერიალისტურ ომებს იწვევს, ხოლო ეს ომები ასუსტებენ იმპერიალიზმის ძალებს და შესაძლებელს ხდის იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევას ყველაზე სუსტ რგოლში. ამაზე დაყრდნობით ლენინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში, რომ სოციალიზმის "ერთდროული" გამარჯვება ყველა

---

* ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 112.

** ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 114 — 115.

*** ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 240.

ქვეყანაში შეუძლებელია კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების გამო.

ეს გენიალური დასკვნა, რაც სოციალისტური რევოლუციის ახალ, დამთავრებულ თეორიას წარმოადგენს, ლენინმა ჩამოაყალიბა იმპერიალისტური ომის წლებში დაწერილ სტატიებში: «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ» (1915 წ.) და «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა» (1916 წ.)

ვ. ი. ლენინი სტატიაში «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ» წერდა:

«ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლოა რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ, დ ა უ პ ი რ ი ს პ ი რ დ ე ბ ო დ ა დანარჩენ, კაპიტალისტურ მსოფლიოს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების დაჩაგრულ კლასებს...» *

სოციალისტური რევოლუციის ამ გენიალურ ლენინურ ფორმულირებას, რამაც გაამდიდრა მარქსიზმი და წინ წასწია იგი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობისათვის. სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია «რევოლუციურ პერსპექტივას აძლევს ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს, ანვითარებს მათს ინიციატივას თავისი, ნაციონალური, ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეტევის საქმეში, ასწავლის მათ გამოიყენონ ომის ვითარება ასეთი შეტევის მოსაწყობად და განამტკიცებს მათს რწმენას პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისადმი» **.

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 417 — 418.

** «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 210.

ლენინმა გენიალურად განჭვრიტა, რომ ყველა ხალხი სოციალიზმამდე სავსებით ერთნაირი გზით როდი მივა.

«ყველა ერი განახორციელებს სოციალიზმს, — წერდა ლენინი, — ეს აუცილებელია, მაგრამ ყველა განახორციელებს არა სავსებით ერთნაირად; თვითეული შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა სოციალისტური გარდაქმნის ამა თუ იმ ტემპში» *.

თეზისებში «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება» და სტატიაში «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» ლენინმა შემდგომ განავითარა ეროვნულ საკითხში ბოლშევიკური პროგრამის ძირითადი დებულებანი.

1915 წლის თებერვალ-მარტში ლენინის ხელმძღვანელობით ბერნში მოწვეულ იქნა რსდმ პარტიის საზღვარგარეთული სექციების კონფერენცია, რომელსაც საერთო-პარტიული ბოლშევიკური კონფერენციის მნიშვნელობა ჰქონდა. ამ კონფერენციაზე ლენინმა გააკეთა მოხსენება დღის წესრიგის ძირითად საკითხზე — «ომი და პარტიის ამოცანები».

კონფერენციამ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციები ომის შესახებ. ამ რეზოლუციებში მოცემულია პირველი მსოფლიო ომის განსაზღვრა როგორც იმპერიალისტური ომისა, ანალიზი «სამშობლოს დაცვის» სოციალ-შოვინისტური ლოზუნგისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგებისა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ, მეფის მთავრობის—იმპერიალისტური ომის დამარცხების შესახებ, რომლის დამარცხება ყველა პირობებში ყველაზე ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენდა.

ომმა ამხანაგ სტალინს მოუსწრო მიყრუებულ ტურუხანსკში, სოფელ კურეიკაში, სადაც იგი გადასახლებული იყო. მოწყვეტილი მთელ მსოფლიოს, დაშორებული ლენინსა და

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 81.

პარტიულ ცენტრებს, ი. ბ. სტალინი ემხრობა ლენინურ-ინტერნაციონალისტურ პოზიციას ომის, ზავის და რევოლუციის საკითხებში. ამხანაგი სტალინი გამოდის გადასახლებულ ბოლშევიკთა კრებაზე სოფელ მონასტირსკოეში (1915) და სამარცხვინო ბოძზე აკრავს კამენევის ლაჩრულ და გამცემლურ მოქმედებას ბოლშევიკური «ხუთეულის» — IV სახელმწიფო-სათათბიროს დეპუტატთა — გასამართლების დროს, სადაც ამ რენეგატმა, დაიმოწმა რა მენშევიკი იორდანსკი, უარყო ბოლშევიკური პოლიტიკა ომის საკითხში. სტალინი გადასახლებულ ბოლშევიკთა ჯგუფთან ერთად მხურვალედ მიესალმა ლეგალურ ბოლშევიკურ ჟურნალ «ეოპროსი სტრახოვანიას»[13], აღნიშნა რა, რომ ჟურნალის ამოცანას წარმოადგენს გამოიყენოს «ყველა ღონისძიება და მეცადინეობა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის იდეური დაზღვევისათვის ბ-ნ პოტრესოვების, ლევიცკებისა და პლეხანოვების უაღრესად გამრყვნელი, ანტიპროლეტარული და საერთაშორისოობის პრინციპებისადმი ძირფესვიანად საწინააღმდეგო ქადაგებისაგან».

პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, მეფის ხელისუფალთა გაუგონარი რეპრესიების შედეგად, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია მნიშვნელოვნად შესუსტებული იყო. ორგანიზაციის ბევრი ხელმძღვანელი მოღალული დაპატიმრებულ იქნა და საპყრობილეებსა და გადასახლებაში იმყოფებოდა. განსაკუთრებით დაზიანდა თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომლის მრავალი აქტიური წევრი ჟანდარმებმა დააპატიმრეს.

პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდნენ მენშევიკ ლიკვიდატორებთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, მათთან გაერთიანებისა და თანამშრომლობის პრაქტიკის წინააღმდეგ.

მიუხედავად სასტიკი ტერორისა და ომის პირობებში რევოლუციურ-პარტიული მუშაობის განსაკუთრებული სიძნელეებისა, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები უდიდესი ენერგიით რაზმავდნენ და ამჟიდროებდნენ თავიანთ

პარტიულ კადრებს, ერთი წუთითაც არ წყვეტდნენ ბრძოლას ბოლშევიკური პარტიულობისათვის, ამზადებდნენ მასებს რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის.

ბოლშევიკთა თბილისის ორგანიზაციას 1914 წლის ივლისიდან 1915 წლის 5 მაისამდე სათავეში ედგა ალიოშა ჯაფარიძე[15]. მეფის ოხრანკა ა. ჯაფარიძის მოღვაწეობის გამო შემდეგს წერდა:

«1914 წლის ივნისში თბილისს ჩამოვიდა, თუ საიდან — დაუდგენელია,... მეტსახელად «ალიოშა» და «ალიოშა ბალახანსკი», რომელმაც ხელთ აიღო ბოლშევიკური ორგანიზაციის შემდგომი ხელმძღვანელობა და პირველ კრებაზე, რომელიც შედგა 1914 წლის 25 ივლისს მამადავითის მთაზე, მოიწვია ორგანიზაციის დაუპატიმრებელი წევრები... ამ კრებაზე ალ. ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს შექმნას თბილისში მტკიცე ბოლშევიკური ორგანიზაცია. ამასთან ჯაფარიძემ დაუმატა, რომ ამ განზრახვით იგი მიემგზავრება ქუთაისში».

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ უდიდესი ენერგია გამოიჩინა და არამცთუ პარტიის ყველა არალეგალური ორგანიზაცია აღადგინა, არამედ ლეგალურ ორგანიზაციებში დიდი მუშაობა გააჩაღა. თბილისელმა ბოლშევიკებმა (მ. ჩოდრიშვილმა და სხვ.) ჯაფარიძის ხელმძღვანელობით გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება (პოლიციის შეუსუსტებელი თვალთვალი, სახსრების ნაკლებობა და სხვ.) და განჯაში (ამჟამად ‘კიროვაბადი) მოაწყეს არალეგალური სტამბა. კონსპირაციული მოსაზრებებით ეს სტამბა შემდეგ გადატანილ იქნა ოზურგეთის მაზრის ერთ-ერთ სოფელში. ამ სტამბაში დაიბეჭდა ს. შაუმიანის[16] მიერ დაწერილი ომის საწინააღმდეგო მოწოდება, საპირველმაისო პროკლამაციები, ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის[17] მანიფესტი და რეზოლუციები, 1915 წელს ბაქოში მოწვეულ ბოლშევიკურ ორგანიზაციათა კონფერენციების რეზოლუციები და სხვა უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები.

ომის დროს საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციები არსებობდნენ ქუთაისში, ბათუმში, სუხუმში, ფოთში, ჭიათურაში, ოზურგეთის მაზრაში და სხვ.. ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გადალახეს ყველა დაბრკოლება და იმპერიალისტური ომის ფრონტების მიღმა კავშირი დაამყარეს ლენინთან, რუსეთის სამრეწველო ცენტრების პარტიულ ორგანიზაციებთან და ლენინურ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციასთან [18]. კავშირი დამყარებულ იქნა აგრეთვე ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროსთან, რომელიც არალეგალურად მუშაობდა პეტროგრადში.

ლენინისა და პარტიის ცკ-ის სახელმძღვანელო მითითებათა შესაბამისად საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ომის, ზავისა და რევოლუციის მიმართ სწორი, ბოლომდე თანმიმდევრული, პროლეტარული, ინტერნაციონალური პოზიცია დაიკავა.

საქართველოს ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ რა ლენინის თეზისებით — «რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ევროპულ ომში», რსდმპ (ბ) ცკ-ის მანიფესტით «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» და სხვა პარტიული დოკუმენტებით, ერთბაშად და უყოყმანოდ აღმართეს ბრძოლის დროშა მტაცებლურ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკები ღრმა იატაკქვეშეთიდან, მეფის ხელისუფალთა სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, უდიდესი ენერგიითა და შეუპოვრობით ეწეოდნენ ფართო პროპაგანდისტულ, სააგიტაციო და ორგანიზაციულ მუშაობას მასებში.

ბოლშევიკური პროკლამაციების, ლენინის ლოზუნგების გავრცელებით ისინი დაუნდობლად ამხელდნენ გაბატონებული კლასებისა და სოციალ-შოვინისტების გამცემლურ პოლიტიკას, ათავისუფლებდნენ მშრომელ მასებს შოვინისტების გავლენისაგან.

საქართველოს ბოლშევიკები თავის პროკლამაციებში მშრომელთა მასებს განუმარტავდნენ, რომ მეფისა და ბურჟუაზიის ძალაუფლების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გარეშე სამართლიანი და დემოკრატიული ზავი შეუძლებელია.

ჯერ კიდევ 1907—1912 წლების პერიოდში ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ბაქო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ცენტრი გახდა.

ამ ხელმძღვანელ როლს ამიერკავკასიაში, ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია ომის დროსაც ინარჩუნებდა. მას სათავეში ედგა სტეფანე შაუმიანი. მისი მეშვეობით ლენინი დაკავშირებული იყო ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან და სახელმძღვანელო მითითებებს აძლევდა მათ.

ლენინი იცნობდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ღრმა კონსპირაციის მაშინდელ პირობებში, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მდგომარეობას და მუშაობას.

1915 წლის 1 ნოემბერს ლენინისადმი მიწერილ წერილში შაუმიანი საერთო შეფასებას აძლევდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების მუშაობას: «...საერთოდ ნებას ვაძლევ თავს ვიფიქრო, რომ მე და მთელ ჩვენს ნათესავებს ჩვენი ოჯახური დროშა მაღლა გვეჭირა და რომ თქვენ შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთ ჩვენი რეპუტაციის გამო» *.

ომიანობის დროს პირობების მთელი სირთულისა და სიმძიმის მიუხედავად 1915 წლის ოქტომბერში შესაძლებელი გახდა ბოლშევიკთა კავკასიის ორგანიზაციების თათბირის მოწვევა ბაქოში[19]. ეს თათბირი, რომელიც მიმდინარეობდა ს. შაუმიანის ხელმძღვანელობით, არსებითად პარტიული კონფერენცია იყო და მან დიდი როლი შეასრულა არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ საერთოდ კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შემდგომ მუშაობაში.

თათბირზე განხილულ იქნა: მოხსენება ომისა და მიმდინარე მომენტის შესახებ, ეროვნული საკითხი (ერთა შორის დამოკიდებულება კავკასიაში) და ორგანიზაციული საკითხი.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 2, ს. 78, გვ. 28.

თათბირის მიერ მიმდინარე მომენტზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: «ამჟამად საყოველთაო-სახალხო ამოცანაა ბრძოლა მეფის მონარქიის დასამხობად და მის შესაცვლელად დემოკრატიული რესპუბლიკით».

თათბირი ააშკარავებდა ომის იმპერიალისტურ ხასიათს და აყენებდა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ამოცანას.

«მთავარი გაკვეთილი, რომელიც უნდა გამოიტანონ ხალხებმა ამ საშინელი კატასტროფიდან, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ კაპიტალისტური წყობილების და მისი რეჟიმის მოსპობას, რეჟიმისა, რაც გამოიხატება დაუნელებელ «ბრძოლაში ყველასი ყველას წინააღმდეგ», მათ შორის კლასისა კლასის წინააღმდეგ, სახელმწიფოებისა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, ამ წყობილების შეცვლას სოციალისტური წყობილებით შეუძლია გადაარჩინოს ხალხები შემდგომი გამხეცებისა და გაჟლეტისაგან და გამოიყვანოს კაცობრიობა შემდგომი პროგრესის გზაზე».

შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ «რუსეთის მუშათა კლასისათვის აუცილებელია გლეხების და ქალაქის დემოკრატიის უფრო გაბედულ ელემენტებთან კავშირში გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს ბურჟუაზიულ და თავადაზნაურულ ბლოკთან და იმავე დროს ემზადოს თავადაზნაურობასთან და მსხვილ ბურჟუაზიასთან გარდუვალი სამოქალაქო ომისათვის» *.

ბოლშევიკთა კავკასიის ორგანიზაციების თათბირის ამ რეზოლუციას საფუძვლად დაედო დებულებანი რსდმპ (ბ) ცკ-ის ლენინური მანიფესტისა «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია», რაც ამიერკავკასიაში მიღებული იქნა 1915 წლის დამდეგს.

---

* საქ. სსრ ცსხა, ფ. 96, ს. 3147.

თათბირზე ბირჩიეს ხემძღვანელი პარტიული ცენტრი — რსდმპ (ბ) კავკასიის ბიურო, რომელიც შემდეგ წარმართავდა ამ მხარის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას. 1915 წ. 23 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში ს. ‘ბაუმიანმა აცნობა ლენინს ამ კონფერენციის და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ‘ესახებ [20].

თათბირის შემდეგ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობამ კიდევ უფრო ფართო გაქანება მიიღო.

მიღებულ იქნა ზომები მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს შორის პარტიული მუშაობის გასაფართოებლად და განსამტკიცებლად.

ბოლშევიკებმა გამოიყენეს ყველა ლეგალური შესაძლებლობა მუშაობის გასაშლელად პროფესიულ კავშირებში, საავადმყოფო სალაროებში, კოოპერაციისა და კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ამასთან ისინი ხელმძღვანელობდნენ თათბირის მიერ ორგანიზაციულ საკითხზე მიღებული რეზოლუციის შემდეგი მითითებით:

«ლეგალური ორგანიზაციებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიულ კავშირებს, უნდა გავაცხოველოთ და გავაფართოვოთ ისინი, სადაც კი კავშირები გადაურჩნენ განადგურებას რეაქციისაგან, და შევეცადოთ ნებართვის მიღებას დახურულთა აღსადგენად.

საშინელ სიძვირესთან ბრძოლის ნიადაგზე წარმოიშვა ფართო კოოპერაციული მოძრაობა. შეგნებული ამხანაგები უნდა შევიდნენ კოოპერატივებში, შეეცადონ მათს კიდევ უფრო გაფართოებას და განმტკიცებას, შეიტანონ მათში პროლეტარული იდეურობა და არ დაუშვან, რომ ისინი უბრალო დუქნებად გადაიქცნენ» *.

შემდეგ რეზოლუცია მიუთითებდა, რათა გამოყენებული ყოფილიყო ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტები, სასურსათო საქმის ორგანიზაციები და სხვ.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 7, ს. 2859.

ჯერ კიდევ ომამდე საქართველოს პროფესიული კავშირები დასუსტებული იყო რეპრესიების შედეგად, რასაც მიმართავდა მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები. ბევრი პროფკავშირი დახურეს, ხოლო მათი ხელმძღვანელი აქტივი კი დააპატიმრეს. საქართველოს ბოლშევიკები უპირატესი გავლენით სარგებლობდნენ მთელი რიგ პროფკავშირებში (მელითონეთა, მეზღვაურთა, გემო-კვების და სხვ.). ბოლშევიკები მუშაობდნენ კოოპერაციაში, სახალხო უნივერსიტეტში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. ამ ლეგალურ ორგანიზაციებში მუშაობა საშუალებას აძლევდა ბოლშევიკებს თავის მხარეზე გადაეყვანათ დემოკრატიული ელემენტები, და პოპულარული გაეხადათ მათ შორის ბოლშევიკური პარტიის ომისდროინდელი ლოზუნგები და ტაქტიკა.

ბოლშევიკებს მასების სტიქიურად მზარდი ბრძოლა შეგნებული კლასობრივი ბრძოლის რელსებზე გადაჰყავდათ. თბილისში, ჭიათურაში, ტყიბულში, ბათუმში, ფოთში, სუხუმში და სხვა ადგილებში ისინი შეუპოვარ, ყოველდღიურ რევოლუციურ ბრძოლას აწარმოებდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში. ამას მოწმობენ პარტიული დოკუმენტები. ამას ადასტურებენ ჟანდარმთა მოხსენებებიც. ასე, მაგალითად, თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ შედგენილ «1916 წლის პირველი თვეების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმოხილვაში» ნათქვამია:

«მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში თბილისში ხდებოდა ბოლშევიკთა მთელი რიგი კრებები, სადაც გამოქონდათ გადაწყვეტილებანი ორგანიზაციაში მუშათა წრეების რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმის შესახებ, ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშებისათვის იმ აზრის ყოველნაირად ჩაგონების შესახებ, რომ აუცილებელია მათი შესვლა ორგანიზაციაში, ვინაიდან ბოლშევიკური ორგანიზაცია ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც მარქსიზმის თვალსაზრისით სწორედ აშუქებს მიმდინარე მომენტის საკითხებს» *.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 7, ს. 2859.

საქართველოს ბოლშევიკები ააშკარავებდნენ ქართული მენშევიკების ცდას დაემორჩილებინათ პროლეტარიატი ბურჟუაზიის გავლენისათვის, ჩაებათ იგი ბურჟუაზიის თავდაცვითს ორგანიზაციებში, და ლენინის მითითებათა საფუძველზე ენერგიულად იბრძოდნენ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშათა მონაწილეობის წინააღმდეგ[21], ბოიკოტს უცხადებდნენ ამ კომიტეტებს. «ჩვენ წინააღმდეგი ვართ, — წერდა ლენინი, — სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობისა, რომლებიც ხელს უწყობენ იმპერიალისტური, რეაქციული ომის წარმოებას. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ააარჩევნო კამპანიის გამოყენება, მაგალითად, მონაწილეობა არჩევნების პირველ სტადიაში მხოლოდ სააგიტაციო და ორგანიზაციული მიზნებისათვის» *.

საქართველოს ბოლშევიკთა ამ მუშაობის წარმატებას აღნიშნავს თვით ჟანდარმთა სამმართველოც, რომელიც მიუთითებს, რომ ბოლშევიკები პროპაგანდას აწარმოებდნენ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების არჩევნების ჩასაშლელად და კიდევაც მიაღწიეს ამას.

ომის წლებში ბოლშევიკთა რევოლუციური მუშაობა გაიშალა აგრეთვე გლეხთა მასებში, და აგრეთვე ჯარისკაცებს შორის ფრონტზე და ზურგში. რსდმპ (ბ) კავკასიის ბიურო და ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაცია ბეჭდავენ და ჯარისკაცებს შორის ავრცელებენ სპეციალურ ფურცლებსა და პროკლამაციებს.

თბილისში ეს მუშაობა ტარდებოდა ჯარის ნაწილებსა და სამხედრო ლაზარეთებში, განსაკუთრებით ნავთლუღის გამანაწილებელ პუნქტში, სადაც ჩვეულებრივად რამდენიმე ათასი დაჭრილი იყრიდა თავს. არსებობდა ბოლშევიკების მიერ მოწყობილი ჯარისკაცთა არალეგალური წრეები. ბოლშევიკები აგიტაციას ეწეოდნენ მატროსთა შორის ბათუმსა და ფოთში.

---

* ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 491.

ფართოდ იყო გაშლილი ბოლშევიკების მუშაობა ფრონტზეც. ასე, მაგალითად, 1916 წ. ა. ჯაფარიძე ბარათოვის გვარით ტრაპიზონის წითელ ჯვარში მუშაობდა, საიდანაც ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების მუშაობას ფრონტზე. სერიოზული მუშაობა წარმოებდა თურქეთის ფრონტის სხვა უბანზეც არზრუმის რაიონში. ბოლშევიკების მნიშვნელოვანი ჯგუფი მუშაობდა ირანში, ჯარის იმ ნაწილებში, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ ხოის, დილმანის, შერენხანის და ურმიის პროვინციები. აქ არსებობდა პარტიული უჯრედები, მოგვარებული იყო სისტემატური კავშირი ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაციასთან. ბოლშევიკებს ძლიერი გავლენა ჰქონდათ აგრეთვე ჩრდილოეთ ირანში დაბანაკებულ არმიის ნაწილებშიც.

ბოლშევიკების მუშაობამ ჯარის ნაწილებში თავისი ნაყოფი გამოიღო: თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ დილმანში შექმნილ ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატების უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იყო ბოლშევიკი. ბოლშევიკები დიდი გავლენით სარგებლობდნენ შერენხანის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოშიც.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ ლენინმა და სტალინმა გააჩაღეს ბრძოლა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, ეროვნული სიძულვილის გაღვივების წინააღმდეგ, ერთი ერის მეორისაგან ხელოვნური გამიჯვნის წინააღმდეგ, პროლეტარიატის ეროვნებათა მიხედვით დანაწილების ცდათა წინააღმდეგ.

ამხანაგ სტალინის კლასიკური შრომა «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი», გამოქვეყნებული 1913 წლის გაზაფხულზე, ლენინის შეფასებით ყველა იმაზე უკეთესი იყო, რაც კი მარქსისტებს ეროვნულ საკითხზე დაეწერათ.

1913 წლის დამლევს გამოქვეყნდა ლენინის კლასიკური შრომა «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე». ლენინისა და სტალინის შრომები ეროვნულ საკითხზე ბოლშევიკების მძლავრ იარაღად იქცა მათს ბრძოლაში ბურჟუა-

ზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერნაციონალური შემჭიდროებისათვის. ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები იცავდნენ ლენინურ-სტალინურ პროგრამას ეროვნულ საკითხში და შეურიგებლად ებრძოდნენ ყველა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიას და ქართველ მენშევიკებს, რომლებიც ნ. ჟორდანიას მეთაურობით ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ გამოვიდნენ და ამ მიზნით «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას» მოითხოვდნენ.

«კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» არღვევდა მუშათა კლასის ინტერნაციონალურ ერთიანობას, ქმნიდა წვრილ ნაციონალისტურ ორგანიზაციებს იმ მიზნით, რათა პროლეტარიატი მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ინტერესების ჩარჩოებში მოემწყვდია და ჩამოეშორებინა კლასობრივი ბრძოლისაგან, და, რა თქმა უნდა, იგი ხელსაყრელი იყო მხოლოდ შოვინისტურად განწყობილი ბურჟუაზიისათვის. ამიტომ ბოლშევიკები გადაჭრით ებრძოდნენ «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიის» იდეას, რომელსაც ლენინი უწოდებდა «რეაქციულს, მავნეს, მეშჩანურს, ნაციონალისტურს...»*

ამხანაგი სტალინი, ამჟღავნებდა რა ეროვნულ საკითხში ქართველი მენშევიკების პოზიციის ოპორტუნისტულ და გამცემლურ დედაარსს, თავის შრომაში «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი» წერდა:

«...კულტურულ-ნაციონალური ავტონომია... ძველ ნაჭუჭებში ამწყვდევს ერებს, აჩერებს მათ კულტურის განვითარებას დაბალ საფეხურებზე, ხელს უშლის მათ კულტურის უმაღლეს საფეხურებზე ავიდნენ.

ამით ნაციონალური ავტონომია აქარწყლებს საოლქო ავტონომიის დადებით მხარეებს, ნულად აქცევს მას.

სწორედ ამიტომაა უვარგისი ავტონომიის ის შერეული ტიპიც — ნაციონალურ-კულტურული და საოლქო ავტონომიის შეხამებით... ეს ანტიბუნებრივი შეხამება კი არ აუმჯობე-

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 19. გვ. 606.

სებს, არამედ აუარესებს საქმეს, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ დაგვიანებული ერების განვითარებას აფერხებს, იგი საოლქო ავტონომიას ნაციონალურ კავშირებად ორგანიზებული ერების შეტაკებათა ასპარეზადაც ხდის.

ამრიგად, კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, საზოგადოდ უვარგისი, კავკასიაში უაზრო რეაქციულ წამოწყებად გადაიქცეოდა» *.

ომიანობის დროს ამიერკავკასიის გაბატონებული კლასები გაძლიერებით აღვივებდნენ ეროვნულ შუღლს აზერბაიჯანელებსა, სომხებსა და ქართველებს შორის, რითაც ცდილობდნენ ხალხის მასების ყურადღება აეცილებინათ მზარდი რევოლუციისაგან.

აურაცხელი სამხედრო მოგებითა და აღვირახსნილი სპეკულაციით უსაზღვროდ გამდიდრებულ სომეხ ბურჟუაზიას დიდად წყალობდა კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი. მადლობის ნიშნად სომეხი ბურჟუაზია ერთგულებას ეფიცებოდა ტახტსა და სამშობლოს. ამ მხრივ განსაკუთრებით იღწვოდა დაშნაკცუტუნის პარტია, რომელიც ასრულებდა სომეხი ბურჟუაზიის მებრძოლი ავანგარდისა და ცარიზმის ინტერესების დამცველის როლს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების 1915 წლის კონფერენციის რეზოლუციაში ეროვნებათა ურთიერთობაზე კავკასიაში ნათქვამი იყო:

«ომიანობის განმავლობაში ეროვნებათა ურთიერთობა კავკასიაში ძლიერ გამწვავდა იმ გაშმაგებული კონკურენციის გამო ლაქიობაში მთავრობის მიმართ, რომელსაც ერთმანეთს შორის აწარმოებდნენ სხვადასხვა ეროვნებათა გაბატონებული კლასები: სომეხი ბურჟუაზია, ქართველი თავადაზნაურობა და მუსლიმანი ბეგები...

სომეხი ბურჟუაზია, ხაზგასმით აღნიშნავდა და დიდად აზვიადებდა თავის არსებითად სრულიად უმნიშვნელო სამხედრო დამსახურებას მეფის წინაშე და ყოველივე შესაძლებელს

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 378—379.

აკეთებდა იმისათვის, რომ თავისთავი დაეპირისპირებინა თითქოს და არა იმდენად ერთგული ქართველი ხალხისათვის და თითქოს ლოიალური და თითქმის მოღალატე მუსლიმანი მოსახლეობისათვის.

მეორე მხრით, ქართველი და მუსლიმანი თავადაზნაურობა, კავკასიაში რუსეთის ხელისუფლების პირველი ლაქიების როლს ჩვეული, ვერ შერიგებოდა სომეხი ბურჟუაზიის უპირატეს გავლენას მეფისნაცვალზე და ურთიერთშორის ბლოკის შეკვრით ცდილობდა სახელი გაეტეხა მთავრობის, არმიისა და რუსეთის საზოგადოების თვალში სომხებისათვის, განსაკუთრებით მათი რაზმებისათვის.

ამასთან მუსლიმანი თავადაზნაურობა, რომელსაც მხარს უჭერდნენ კაპიტალისტები, და ქართველი თავადაზნაურობა, რომელსაც მხარს უჭერდნენ წვრილი ბურჟუაზია და ნაციონალისტური პარტიები, ცდილობდნენ, სომეხი ბურჟუაზიის მსგავსად, თავის კლასობრივ პოლიტიკასა და კლასობრივ ქიშპობაში ჩაებათ ხალხის მასები და მუსლიმან და ქართველ ხალხებში გაეღვივებინათ გაბოროტება და სიძულვილი მთელი სომეხი ხალხისადმი» *.

ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები თანმიმდევრული პროლეტარულ-ინტერნაციონალური პოზიციიდან ამხელდნენ გაბატონებული კლასების პოლიტიკას, მიმართულს იმისაკენ, რომ ბოეწამლათ ამიერკავკასიის ხალხთა შეგნება ნაციონალიზმისა და შოვინიზმის შხამით, გაეღვივებინათ ეროვნული მტრობა, გაეთიშათ მშრომელთა მასები, ჩამოეშორებინათ ისინი რევოლუციური ბრძოლისაგან.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირი კავკასიის ეროვნებათა ურთიერთობის გამო წინადადებას იძლეოდა გაჩაღებულიყო გაძლიერებული აგიტაცია სხვადასხვა ეროვნებათა მუშებსა და ხალხის მასებს შორის გაბატონებული კლასების დანაშაულებრივი და გამცემლური პოლიტიკის გამოსამჟღავნებლად. «საჭიროა, — ნათქვამი იყო რეზო-

* საქ. ცსსა, ფ. 7, 28593.

ლუციაში, — მოვუწოდოთ კავკასიის მუშებსა და მოსახლეობის ფართო მასებს არ აჰყვნენ ნაციონალისტური პარტიების გაბატონებულ კლასთა პროვოკაციას და ახსოვდეთ, რომ მხოლოდ ყველა ეროვნებათა დემოკრატიის ძმურ ერთიანობაშია მათი გამარჯვებისა და განთავისუფლების საწინდარი, და რომ, პირიქით, ეროვნული შუღლის შემდგომ გაძლიერებას შეუძლია კავკასია სისხლისმღვრელ ეროვნულ შეჯახებათა ასპარეზად გადააქციოს» *.

ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები თანმიმდევრულ ბრძოლას აწარმოებდნენ ამიერკავკასიის მშრომელთა ნამდვილი ერთიანობისათვის, ეროვნული ჩაგვრის სრული მოსპობისათვის. ისინი მოუწოდებდნენ მუშებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ ცარიზმის წინააღმდეგ.

ლენინური «სოციალ-დემოკრატი», ეჩიბოდა რა ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლას ნაციონალიზმის წინააღმდეგ, წერდა, რომ ისინი «კარგად და წარმატებით იცავენ დღევანდელ მძიმე დროსაც რევოლუციური მარქსიზმის დროშას კავკასიაში». «სოციალ-დემოკრატმა» საერთო შეფასება მისცა ბოლშევიკების მუშაობას კავკასიაში და აღნიშნა:

«კავკასიაში პარტიული არალეგალური მუშაობა ყველგან ძლიერ იზრდება. მოძრაობა იქმნება და მიდის მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტების ლოზუნგებით.

ფედერალისტებს [22] განსაკუთრებით არ მოსწონდათ ბოლშევიკური მიმდინარეობა კავკასიის სოციალ-დემოკრატიაში, და ისინი სასტიკად ესხმოდნენ თავს სწორედ ამ მიმდინარეობას. ანი, სოციალ პატრიოტი, ასევე ეკამათებოდა ბოლშევიკებს ლეგალურ პრესაში. «ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოლშევიკური მიმდინარეობა შესამჩნევად იზრდება კავკასიაში. ისეთი მსხვილი სამრეწველო ცენტრები, როგორიცაა ბაქო და გროზნო, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური მიმდინარეობის ჰეგემონიის ქვეშ იმყოფებიან.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 7, ს. 28593.

თბილისში და რამდენიმე სხვა პუნქტში ბოლშევიკები მცირე გავლენით როდი სარგებლობენ. მოწყობილია არალეგალური სტამბები. იბეჭდება ფურცლები და მოწოდებები» *.

* * *

1917 წლის მარტში თავის შრომაში «წერილები შორიდან» ლენინი წერდა: «იმპერიალისტურ ომს ობიექტური გარდუვალობით უაღრესად უნდა დაეჩქარებინა და წარმოუდგენლად გაემწვავებინა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს ომი უნდა გადაქცეულიყო სამოქალაქო ომად მტრულად განწყობილ კლასთა შორის» **. და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი სასტიკი რეპრესიებით უმასპინძლდებოდა რევოლუციურ მუშებს, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა მაინც ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა.

უკვე 1915 წელს რუსეთში ადგილი ჰქონდა 928 საგაფიცვო გამოსვლას, რომლებშიაც მონაწილეობდა დაახლოვებით 540 ათასი მუშა. 1916 წ. გაფიცვათა რიცხვი 1600-ს აღწევდა. ამ გაფიცვებში საერთოდ 1.300 ათასი კაცი მონაწილეობდა. გაფიცვათა 56% პოლიტიკური ხასიათისა იყო.

1916 წელს რუსეთის პროლეტარიატმა პოლიტიკური გაფიცვებით აღნიშნა 1905 წლის 9 (22) იანვრის «სისხლიანი კვირისა» და ლენის მუშათა დახვრეტის წლისთავები.

პროლეტარიატის ბრძოლამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია 1916 წლის ოქტომბერში, როდესაც გაფიცულები ყველგან გამოვიდნენ ლოზუნგებით: «ძირს თვითმპყრობელობა», «ძირს ომი!»

ცარიზმის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიისა და საქართველოს მუშათა კლასი ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მუდამ გამოდიოდა რო-

---

* «სოციალ-დემოკრატი» № 51. 1916 წ. 29 თებერვალი.

** ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 396.

გორც რუსეთის პროლეტარიატის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი. პირველი მსოფლიო ომის წინ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბაქოს მუშების გაფიცვა. 1914 წლის ივნისში ბაქოში გაფიცული იყო 29 ათასი მუშა.

ბაქოს მუშების გაფიცვას მეთაურობდა საგაფიცვო კომიტეტი, რომელსაც რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტი ხელმძღვანელობდა.

ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად გაფიცულები გამოდიოდნენ ლოზუნგებით: «ძირს თვითმპყრობელობა!», «გაუმარჯოს სოციალიზმს!»

იმპერიალისტური ომის წლებში ბაქოს პროლეტარიატი კვლავ რევოლუციური მოძრაობის პირველ რიგებში იმყოფებოდა ამიერკავკასიასა და რუსეთში.

1915 წელს გაფიცვები მოეწყო საქართველოს საწარმოებში. ასე, მაგალითად, თბილისში გაიფიცნენ ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშები. გაფიცვა გამოიწვია ხელფასის შემცირებამ. ივლისში გაიფიცნენ ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშები. ოქტომბერში გაიფიცნენ ტაიროვის, ალიხანოვისა და ტოლეს ზეთსახდელი და საპნის ქარხნის მუშები.

1915 წელს მუშათა კლასის ყველაზე დიდი გაფიცვა ჩატარდა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში.

მუშებმა მოითხოვეს:

1) მაღაროებში სამუშაო დღის 8 საათამდე შემცირება, ხოლო სხვაგან 9 საათამდე;

2) დღიური ხელფასის 30 პროცენტით მომატება;

3) დუქნებიდან პროდუქტების გაცემა დაწესებული ნიხრით, წინააღმდეგ შემთხვევაში დღიური ხელფასის 40 პროცენტით გაზრდა, პურის ფასის მოუმატებლად;

4) მაღაროებთან წინანდელი სახის სასადილოს გახსნა მუშებისათვის.

5) უფროს მუშებს აეკრძალოთ მუშების დათხოვნა თავისი პირადი შეხედულებით;

6) საგანგებო კომისიის შედგენა მუშებისაგან და მიენიჭოს მას განსაკუთრებული უფლება არაკეთილსინდისიერი მუშების დათხოვნისა».

მიუხედავად მეწარმეთა მუქარისა, რომ გაფიცულები დაპატიმრებულ და გაგზავნილ იქნებიან ფრონტზე, გაფიცვა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში იმდენად ორგანიზებულად და მწყობრად მიმდინარეობდა, რომ მუშათა მოთხოვნების უმრავლესობა დაკმაყოფილებულ იქნა (წოლხერელებში სამუშაო დღე რვა საათამდე შემცირდა, ხელფასს მოუმატეს და ა. შ.).

1916 წელი საგაფიცვო მოძრაობის შემდგომი განვითარებით ხასიათდება.

თებერვალში გაიფიცნენ კასპარიანცის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშები. 25 — 26 თებერვალს კვლავ მოაწყეს გაფიცვა ტყიბულის მაღაროების მუშებმა. მეწარმენი იძულებული იყვნენ დაეკმაყოფილებინათ გაფიცულთა მოთხოვნები.

აპრილსა და მაისში ხელფასის მომატების მოთხოვნა წამოაყენეს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ყველა დარგის მუშებმა. მეწარმენი იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ მუშების მოთხოვნა. მაისში გაიფიცნენ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხნის, ბეპეს სამანქანო სახელოსნოების, თამბაქოს ქარხანა—«კომეტას», ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკის და სხვა საწარმოთა მუშები.

შემდეგ თვეებში გაფიცვები მოეწყო ფოთის ნავსადგურში, სარქისოვის ძაფსახვევ ფაბრიკაში (სამტრედია), ენფიაჯიანცისა და ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნებში, «ტოლე და კომპანიის» სააქციო საზოგადოების საპნის ქარხანაში (თბილისში). გაიფიცნენ თბილისის ტრამვაის მუშები და მოსამსახურეები.

ხელისუფალთ განსაკუთრებით ეშინოდათ საგაფიცვო მოძრაობისა რკინიგზაზე. ომის გამოცხადებასთან ერთად ყველა რკინიგზა გასამხედროებულ იქნა და მას საგანგებო თვალყურს ადევნებდა «ოხრანკა» და პოლიცია. ამიერკავკასიის რკინიგზებს სათავეში ედგა სამხედრო გუბერნატორი.

ხელისუფალნი ანგარიშს უწევდნენ რკინიგზების როლსა და მნიშვნელობას ომის პერიოდში, რის გამოც რკინიგზელებს უკეთეს მატერიალურ პირობებს უქმნიდნენ და მუშათა ერთი ნაწილის მოსყიდვისაც კი არ ერიდებოდნენ.

«ამ მიზნით გასული წლიდან (1915 წ.), — წერდა ამიერკავკასიის რკინიგზების უფროსი, — მე ხელმძღვანელებს და მოსამსახურეებს საგრძნობლად გადიდებული რაოდენობით ვაძლევდი სასურსათო ბილეთებს იმ ადგილებში სამგზავროდ და სურსათის შესასყიდად, სადაც ეს შესაძლებელი იყო უფრო იაფ ფასებში; ვაძლევდი ავანსებს. თვითონ გზა ამზადებდა მთავარი სახელოსნოებისათვის სხვადასხვა პროდუქტებს და ურიგებდა მუშებს» *.

მაგრამ მოახლოებული სამეურნეო კატასტროფის პირობებში ხელისუფალთა ყველა ეს ცდა უნაყოფო იყო. არც ხელისუფალთა რეპრესიებს, არც მენშევიკების გამკემლობას, რომლებიც რკინიგზელებს შორის გამხრწნელ მუშაობას ეწეოდნენ, არ შეეძლო შეეჩერებია საგაფიცვო მოძრაობის განვითარება და ბოლშევიკების გავლენის ზრდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშებს შორის.

ომის დროს ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაცია რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიის დეპოსა და მთავარ სახელოსნოებში. ამას ადასტურებენ ოხრანკის მოხსენებებიც. კერძოდ, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკ. პასტრულინის მოხსენებაში «რკინიგზის მოსამსახურეებსა და მუშებზე მეთვალყურეობის შესახებ» აღნიშნულია, რომ ბოლშევიკებმა ფართო აგიტაცია ჩაატარეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშების მონაწილეობის წინააღმდეგ. საარქივო საქმეებში «გაფიცვების შესახებ თბილისის გუბერნიაში» არსებობს მთელი რიგი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ რკინიგზელ მუშების მრავალრიცხოვან გამოსვლას ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებით. ასე, მაგალითად, ამიერკავკასიის მთავარი სახელოსნოების მუშებმა

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 64, ს. 3362, გვ. 27—28.

და მოსამსახურეებმა 1915 წლის ოქტომბერში ეკონომიური მოთხოვნები წაუყენეს ადმინისტრაციას და თან დაემუქრენ მას, უარის შემთხვევაში გაფიცვის გამოცხადებით. მთავარ სახელოსნოების-მუშები და მოსამსახურეები პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნებით გამოვიდნენ აგრეთვე 1916 წლის ზაფხულში. 1915—1916 წლებში რკინიგზელებს უპოვეს ბოლშევიკური პროკლამაციები.

გაფიცვები არევოლუციონერებდა და ამჟიდროებდა პროლეტარიატს. მუშები პრაქტიკულად რწმუნდებოდნენ ომის მტაცებლურ ხასიათსა და გაბატონებულ კლასების დანაშაულებრივ პოლიტიკაში. ამ კლასებს ერთი მიზანი ჰქონდათ: ხელი მოეთბოთ სამხედრო შეკვეთებისა და უცხო მიწების დაპყრობის მეოხებით.

საგაფიცვო ბრძოლამ მუშათა პოლიტიკური აქტივობა გააძლიერა და აშკარად იწყო გადაზრდა ბრძოლაში იმპერიალისტური ომის გადასაქცევად სამოქალაქო ომად, თვითმპყრობელური წყობილების დასამხობად, ეროვნული ჩაგვრისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის მოსასპობად.

ეკონომიური ბრძოლის პოლიტიკურ ბრძოლაში გადაზრდის ნათელ ფაქტს წარმოადგენს თბილისის ტრამვაელთა მაგალითი.

თბილისის ტრამვაის მუშების მიერ 1916 წ. 1 მაისისათვის გამოშვებულ მოწოდებაში ნათქვამი იყო:

«...გავიფიცოთ 1 მაისს... ამ დღეს მუშები უარს ამბობენ მუშაობაზე და ერთდღიურ გაფიცვას აცხადებენ. ასე ხდება საზღვარგარეთ, ასე ხდება მთელს რუსეთსა და კავკასიაში. ჯერი თქვენზეა, ამხანაგებო! შარშანდელი გაფიცვით ჩვენ მივაღწიეთ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენმა მტრებმა ქედი მოიხარეს ჩვენი ერთსულოვანი გამარჯვების წინაშე მუშათა საქმისათვის...

ამხანაგებო! ჩვენ ვერ გავჩუმდებით, როდესაც მთელი რუსეთი გაფიცულია პეტერბურგისა და მოსკოვის მუშების მეთაურობით. ჩვენ ვერ გავხდებით მუშათა საერთო საქმის მოღალატენი. გავიფიცოთ, ამხანაგებო, რუსი მუშების სასი-

ხარულოდ და მჩაგვრელი კაპიტალისტებისათვის შიშის ზარის დასაცემად» *.

საგაფიცვო მოძრაობა ჩინებული სკოლა იყო. იგი საქართველოს პროლეტარიატს ახალი რევოლუციური ბრძოლებისათვის ამზადებდა.

ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობის, მუშათა საგაფიცვო ბრძოლის, ფრონტზე დამარცხებისა და საყოველთაო ნგრევის გავლენით რევოლუციური მოძრაობა იწყება საქართველოს სოფელშიაც. გლეხები უარს ამბობენ მემამულეებისა და კულაკების მიწების დამუშავებაზე, თვითნებურად ამცირებენ საიჯარო ქირას, არ ემორჩილებიან ხელისუფალთ და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით ქუთაისის გუბერნატორი აცნობებდა კავკასიის მეფისნაცვალს: «როგორც საერთოდ ცნობილია თქვენი აღმატებულებისთვის და აგრეთვე როგორც ჩემი პირადი მოხსენებებიდანაც იცით, სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების იდეებისა და ამოცანების თანამგრძნობი ყველაზე უფრო გურიის მოსახლეობაა, რაც დამტკიცდა ჯერ კიდევ 1905 წლის სახალხო მღელვარების დროს...

გურულ გლეხებში «დრტვინვა» დაიწყო, ისინი უარს ამბობენ მემამულეთა მიწების დამუშავებაზე, ყოველდღე აწყობენ არალეგალურ მიტინგებს, ხოლო აგიტატორები თავიანთი აგიტაციით აღელვებენ და ამხედრებენ მცხოვრებთ მთავრობისა და არსებული წყობილების წინააღმდეგ» **.

ქუთაისის გუბერნატორის მეორე მოხსენებაში კვლავ ხაზგასმულია, რომ გურიაში რევოლუციური ორგანიზაციების წევრები «გაძლიერებულ პროპაგანდას ეწევიან და რევოლუციური აჯანყებისათვის ამზადებენ მასებს, თანაც იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ რუსეთში რევოლუციის დრო ახლოდება, ამის გამო ხალხსა და ჯარებში ყველგან პროპაგანდა მიმდინარეობსო ***.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 63, ს. 2763.

** საქ. სსრ ცსსა, ფ. 63, ს. 2748, გვ. 39.

*** საქ. სსრ ცსსა, ფ. 63, ს. 3236.

რევოლუციური მოძრაობის სწრაფი ზრდა, როგორც რუსეთის ცენტრში, ისე ამიერკავკასიაში თანდათანობით მოიცავს რუსეთ-თურქეთის ფრონტის ჯარისკაცთა მასასაც [23].

არმიაში უდიდეს გამარეგოლუციონერებელ როლს ასრულებდნენ გაფიცვებში მონაწილეობისათვის ფრონტზე მოხვედრილი მოწინავე მუშები. ისინი ჯარისკაცთა მასებში პროპაგანდას ეწეოდნენ სამხედრო-პოლიციური რეჟიმის, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

მიუხედავად თვითმპყრობელობის მიერ მიღებული ყოველგვარი ზომებისა არმიის დასაცავად «რევოლუციური გადამდები სენისაგან», ბოლშევიკური ფურცლები, ბროშურები და ლოზუნგები უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდებოდა სამხედრო ნაწილებში. 1916 წლის დეკემბერში შინაგან საქმეთა მინისტრი თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსს წერდა:

«ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებით ადევნეთ თვალყური სამხედრო ნაწილების განწყობილებას საერთოდ, ყოველნაირად აღკვეთეთ აგიტაცია და მღელვარებანი ჯარში, რისთვისაც მუდმივი კავშირი უნდა იქონიოთ სამხედრო ნაწილების უფროსებთან»*.

ომის დასაწყისში ჯარისკაცთა შორის ვრცელდებოდა ბოლშევიკური პროკლამაცია სახელწოდებით «გამოუცხადეთ ომი ომს». «თქვენ გეუბნებიან, რომ მიდიხართ სამშობლოს დასაცავად შემოსეული მტრისაგან, რომელიც თავს დაგვესხა. ნუ დაუჯერებთ მათ, ამხანაგებო!—აფრთხილებდა მათ პროკლამაცია,—ომი დაიწყო არა ხალხის ინტერესებისათვის, არამედ იგი მთავრობამ და მდიდრებმა წამოიწყეს.

ყველა ქვეყნის ხელმწიფენი მიისწრაფიან გაადიდონ თავიანთი სამფლობელოები, ხოლო მდიდრები—ხელთ იგდონ ახალი ბაზრები თავიანთი საქონლისათვის.

ნუ ეძებთ მტრებს უცხო ქვეყნებში. ხალხის მტერი მეფის მთავრობაა. შეშინებული მუშათა კლასის რევოლუციური გა-

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 63, ს. 3019.

მოსვლებით ამა წლის ივლისში იგი ისწრაფვის წარმართოს ხალხის აღშფოთება გერმანელების წინააღმდეგ. დაე, ეს ნუ იქნება ამბანაგებო» *.

ეს მოწოდება უპოვეს ჯარისკაცებს თბილისის გარნიზონის ნაწილებში და სხვაგან. ერევნის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო იუწყებოდა, რომ სოფელ იგდირში პოლიციელმა ბაზარში გავლისას შეამჩნია 5 ჯარისკაცი, რომლებიც რაღაც დაბეჭდილ ფურცელს კითხულობდნენ. პოლიციელმა მოასწრო მხოლოდ სათაურის წაკითხვა. ეს სათაური იყო: «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია».

ჯარისკაცებმა, შეამჩნიეს თუ არა პოლიციელი, დამალეს ფურცელი და თვითონაც მიიმალნენ **.

ომის პირველი ორი წლის შემდეგ ფრონტსა და უახლოეს ზურგში ჯარისკაცთა განწყობილების მკვეთრ ილუსტრაციას წარმოადგენს მათი წერილები. ამ წერილების უმეტესობა, რომელიც სამხედრო ცენზურას გადიოდა, დანიშნულების ადგილს ვერ აღწევდა. ჯარისკაცები თავიანთ წერილებში ჩივიან ფრონტის განსაკუთრებით მძიმე პირობებზე.

«ზამთრისათვის კაზაკები შიშველ-ტიტველნი არიან, — წერს ერთ-ერთი მათგანი, — არ არის ჯუბები, ჩექმები, ნაბდის ჩექმები, თბილი საცვლები. პური საძაგელია, მასში ბუზები და სხვა სიურპრიზები მოიპოვება» ***.

ჯარისკაცთა მძიმე მდგომარეობას აძლიერებდა უფროსების მხრივ მხეცური მოპყრობა მათდამი. სულ ცოტაოდენი დანაშაულისათვისაც კი ჯარისკაცებს სასტიკად სჯიდნენ.

«ნეტავ ადამიანურად მაინც გვექცეოდნენ. ისე გვეპყრობიან როგორც ძაღლებს; ასე ცუდად ტუსაღებსაც კი არ მოეპყრობიან», **** — იწერება ფრონტელი ჯარისკაცი.

«ხშირად მებადება თვითმკვლელობის აზრი; ასეთ კატორღულ ცხოვრებას ისევ თავის მოკვლა სჯობია», — წერს მეორე

---

* საქ. სსრ ცსსა, ს. 3296, გვ. 2.

** საქ. სსრ ცსსა, ს. 3614, გვ. 7.

*** საქ. სსრ ცსსა, ს. 1913.

**** საქ. სსრ ცსსა, ფ 63, ს. 3019.

ჯარისკაცი—... არმიაში წესადაა შემოღებული როზგებით ცემა მცირეოდენი დანაშაულისათვის»*.

არმიაში ჯარისკაცთა განწყობილებას ახასიათებდა მტაცებლური ომის რაც შეიძლება მალე დამთავრების სურვილი.

«როდის დადგება ის მომენტი, — ვკითხულობთ ჯარისკაცის ერთ წერილში,—როდესაც ამ საშინელ ომზე ილაპარაკებენ როგორც ყოფილ ომზე. ომის შემდეგ ანგარიშს მოვთხოვთ ყველაფრისათვის. ჩვენ ყველაფერი გავიღეთ, რასაც ჯ ჩვენგან მოითხოვდნენ, მაგრამ განკითხვის ჟამიც დადგება»**.

თბილისში, სადგურის რაიონში, აღმოაჩინეს ფრონტელ ჯარისკაცთა მოწოდება, რომელიც იმპერიალისტური ომის ორგანიზებულად დამთავრებისაკენ მოუწოდებდა.

«პაპებო, მამებო, ძმებო და დებო! — ნათქვამი იყო ამ მოწოდებაში. — თქვენ მოგმართავთ პოზიციებიდან, მიიღეთ ზომები ომის დასამთავრებლად, საჭიროა ზავი, ჩვენ აქ პოზიციებზე დავიღუპებით, დროა უკვე შევწყვიტოთ სისხლისღვრა. ომს ჩვენთვის არაფერი კარგი არ მოაქვს, გარდა სიღატაკისა. დაე, წყეული იყოს ის, ვინც ზავის წინააღმდეგია» ***.

ჯარისკაცთა მასების ყრუ უკმაყოფილება აქტიურ გამოსვლაში გადადიოდა.

ასე, მაგალითად, 1914 წელს გამოსვლა მოაწყო 116-ე სათადარიგო ათასეულმა, რომელიც დუშეთში იდგა. გამოსვლის საბაბი იყო ერთ-ერთი ჯარისკაცის ცემა პრაპორშჩიკ ჭიჭინაძის მიერ. ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს პოლკოვნიკ კვინიხიძის მოთხოვნაზე დაესახელებიათ ამ გამოსვლის წამომწყებნი. 1914 წლის 4 ოქტომბერს სამხედრო სასამართლომ 20 ბრალდებულიდან 6 ჯარისკაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ****.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 63, ს. 3019.

** იქვე.

*** საქ. სსრ ცსსა, ფ. 94303, ს. 24.

**** საქ. სსრ ცსსა, ფ. 9, ს. 412.

1915 წ. 29 ივნისს 66-ე ქვეითი დივიზიის 263-ე გუნიბის პოლკის ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს შეტევის განგრძობაზე, რადგან პური არ იყო. ჯარისკაცები სისტემატურად შიმშილობდნენ და ამის გამო ისინი ძალღონისაგან სრულიად დაცლილი იყვნენ. 1915 წ. დეკემბერში შიმშილის ნიადაგზე მღელვარება მოხდა კავკასიის მე-6 მსროლელთა პოლკში.

1915 წ. ნოემბერში მღელვარება მოხდა ბათუმში მე-18 პლასტუნთა ბატალიონის ჯარისკაცთა შორის. ამ ბატალიონის ერთ-ერთ კაზაკს, სოლოვიოვს, სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს განზრახ «თავის დამშავებისათვის». როცა ეს პლასტუნებმა გაიგეს, ღამით საჩქაროდ ჩაიცვეს, ხელი დაავლეს შაშხანებს და გაემართნენ ჰოსპიტლისკენ სოლოვიოვის გასანთავისუფლებლად. ოფიცრების მიმართ გაისმოდა წამოძახილი: «რას უყურებთ და ელაპარაკებით მათ? კომენდანტმა ელშინმა ციხე-სიმაგრე გაყიდა და არაფერი უთქვამთ, ჩვენმა თანასოფლელმა კი თავისი სხეული დაიზიანა და ამისათვის უნდა დახვრიტოსო!» გაისმოდა სროლა. სასწრაფოდ გამოიწვიეს სამხედრო ნაწილები და პლასტუნები «დააწყნარეს».

კავკასიის ფრონტის შტაბის სამხედრო საცენზურო განყოფილება ჯარისკაცთა წერილების მიხედვით აღნიშნავდა, რომ არმიის ზოგიერთი ნაწილი უარს ამპობდა უფროსებისადმი დამორჩილებაზე.

«ჩვენთან, — წერს ჯარისკაცი (წერილიდან არ ჩანს, თუ რომელ ნაწილში მოხდა ეს ფაქტი.—გ. ხ.)—ერთი პოლკი მოითხოვს დასვენებას, შეტევაზე არ მიდის და არც არავის იკარებს, შემდეგ უნდოდათ 2 ბატალიონი გაეგზავნათ მათ წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბატალიონებმაც არ ისურვეს მათი დაწყნარება. ჩვენი ნაწილი ამ პოლკის უკან დადგა, მაგრამ არც ის გადავიდა შეტევაზე» *.

არმიაში პორაჟენცული განწყობილება იზრდებოდა, ომი აღარ სურდათ. ჯარისკაცთა ყველაზე შეგნებული ნაწილი ბოლშევიკებს ემხრობოდა, კავშირს ამყარებდა ზურგთან ორგანიზებული ბრძოლისათვის ომის წინააღმდეგ.

---

* საჭ. სსრ ცსსა, ფ. 63, ს. 3019.

სტიქიური პროტესტისა და პორაჟენცული განწყობილების გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა დეზერტირობა, რამაც კავკასიის ფრონტზე მასობრივი ხასიათი მიიღო. თავიანთ ანგარიშებში, განსაკუთრებით 1916 წლიდან, ყველა მაზრის სამხედრო უფროსი აღნიშნავდა ფრონტიდან გამოქცეულ ჯარისკაცთა მოზღვავებას ზურგის რაიონებში. ამასთან მოსახლეობა არამცთუ არ დევნიდა მათ, არამედ ყოველმხრივ ხელს უწყობდა და ეხმარებოდა პოლიციის ხელისუფალთაგან დამალვაში.

ადგილობრივი ხელისუფალნი ხშირად უძლურნი ხდებოდნენ ებრძოლათ დეზერტირებთან, რადგან ჩვეულებრივ ისინი შეიარაღებული იყვნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ ხელისუფალთ[24].

1916 წლის მეორე ნახევარში ხელისუფალთ არა ერთხელ გაუგზავნიათ დიდი სამხედრო ნაწილი, რათა დაესაჯათ დეზერტირები და მოსახლეობა, რომელიც მხარს უჭერდა ამ პირველებს. მაგრამ ჯარისკაცებს არ სურდათ უფროსთა ნებისყოფის ბრმა შემსრულებელნი ყოფილიყვნენ. მათ შორის სულ უფრო და უფრო იზრდებოდა სოლიდარობა. ასე, მაგალითად, 1916 წელს სურსათის ნაკლებობის ნიადაგზე ბაქოში მომხდარი არეულობის გამო კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილში გენერალი ორლოვი საიდუმლო ცირკულარში წერდა, რომ ჯარისკაცებს არ სურთ ხალხის წინააღმდეგ გამოსვლა, რომ თუკი ისინი «იღებდნენ რაიმე ზომებს არეულობის შესაწყვეტად, ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ მათთან ოფიცრები იყვნენ. ამასთან შემჩნეულია, რომ ასეთ შემთხვევებშიაც ჯარისკაცები მეტისმეტად მოდუნებულად და უხალისოდ მოქმედობდნენო» *.

თბილისის პოლიცმეისტერიც ადასტურებდა, არეულობის შემთხვევაში სამხედრო ნაწილების იმედი არ შეიძლება ვიქონიოთო. ის იუწყებოდა:

«სამხედრო ჩინების იმედი ნაკლებად უნდა ვიქონიოთ, ასეთი დასკვნა გამომყავს პატრულების მიხედვით. ისინი

* საქ. სსრ ცსსა, ს. 3376.

დუმილით, ზოგჯერ ღიმილით უმზერდნენ მომხდარ ამბებს. ამას მე იმით ვხსნი, რომ ქალების უმრავლესობა (სასურსათო არეულობათა მონაწილენი. — გ. ხ.) სათადარიგო ჯარისკაცთა ცოლებია» *.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციური გავლენა შეიჭრა კაზაკთა ნაწილებშიც, რომლებიც 1905—1907 წლებში ცარიზმის ყველაზე საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა.

თბილისში 1916 წლის 6 ივლისს, ღამით, პოლიცმეისტერის სამმართველოში საგუშაგოდ განწესებულმა დონის კაზაკთა ასეულმა გაათავისუფლა 18 პატიმარი, რომლებსაც პოლიციელების («გოროდოვოების») ბადრაგი მიჰყვებოდა, ამასთან კაზაკებმა «გოროდოვოებს» შეჰყვირეს: «შესდექით, არამსადებო!» და იარაღით დაემუქრნენ. ასეთივე თანაგრძნობით მოეკიდნენ 1916 წ. 8 აგვისტოს ბათუმში მომხდარი სასურსათო არეულობის მონაწილეებს პლასტუნთა ბატალიონების კაზაკები.

სუხუმში მომხდარი სასურსათო არეულობის გამო სუხუმის ოლქის უფროსი გენერალი ზასიპკინი 1916 წლის 11 ივლისს საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა:

«მე ზუსტი ცნობები მქონდა იმის შესახებ, რომ გარნიზონი: სათადარიგო ასეული, კაზაკთა ნახევარი ასეული და აგრეთვე ჯარისკაცები, რომლებიც ოლქში იმყოფებიან პოლიციის დასახმარებლად, ქალების მხარეზე იყვნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ: ქალებს დავეხმარებით, თუ პოლიციის მხრივ რაიმე ძალადობას ექნება ადგილი» **.

* * *

პირველი მსოფლიო ომის წლებში რუსეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს დიდი ლენინი ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთიდან. ბოლშევიკური მუშაობის ცენტრი იყო პეტრო-

---

* საქ. სსრ ცსსა, ს. 4375, გვ. 5.

** საქ. სსრ ცსსა, ს. 3376.

გრადი, სადაც იმყოფებოდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ვ. მ. მოლოტოვის მეთაურობით.

პეტროგრადის ბოლშევიკთა მოღვაწეობის ამ პერიოდზე ლენინი წერდა:

«...დიდი მუშაობა გააჩაღა ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა. რუსეთისათვის და მთელი ინტერნაციონალისათვის ეს ჭეშმარიტად არის ნიმუში სოციალ-დემოკრატიული მუშაობისა რეაქციული ომის დროს, უაღრესად ძნელ პირობებში. პიტერისა და რუსეთის მუშები მთელი ძალით დაუჭერენ მხარს ამ მუშაობას და გაშლიან მას შემდგომ, უფრო ენერგიულად, უფრო ფართოდ, ძლიერად, იმავე გზით» *.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს კავშირი ჰქონდა დამყარებული ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთანაც.

კომუნისტური პარტია იყო რუსეთში მზარდი რევოლუციის მაორგანიზებელი ძალა. ომის დროს იგი ერთადერთ სწორ რევოლუციურ ტაქტიკას ახორციელებდა, დაუნდობლად ებრძოდა სოციალ-შოვინიზმს, იმპერიალისტურ ომსა და ცარიზმს და მაღლა ეჭირა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა.

მხოლოდ კომუნისტურ პარტიას «...მხოლოდ ახალი ტიპის პარტიას, მხოლოდ პარტიას, აღზრდილს ოპორტუნიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით, მხოლოდ ოპორტუნიზმისა და ნაციონალიზმისაგან თავისუფალ პარტიას — მხოლოდ ასეთ პარტიას შეეძლო გადაეტანა უდიდესი განსაცდელი და დარჩენილიყო მუშათა კლასის საქმის, სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის საქმის ერთგული» **.

ცარიზმი თავს ატეხდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს სულ ახალ-ახალ რეპრესიებს როგორც რუსეთის ცენტრში, ისე ამიერკავკასიაში.

ასე, მაგალითად, 1916 წ. 18 აგვისტოს დააპატიმრეს ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაციის მთელი ხელმძღვანე-

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 490.

** «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 213.

ლი პარტიული აქტივი. როგორც ჟანდარმთა მოხსენებიდან ჩანს, ეს დაპატიმრება გამოწვეული იყო მით, რომ ხელისუფალთ გადაწყვიტეს «არ დაეშვათ ფურცლების გამოშვება და გავრცელება ბოლშევიკების კავკასიის ბიუროს სახელით, რომელიც წინადადებას იძლეოდა მოეთხოვათ ზავის დაუყოვნებლივ დადება». ოხრანკამ მძიმე ზიანი მიაყენა ამიერკავკასიისა და საქართველოს სხვა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ჯერ კიდევ 1916 წლის 7 მარტს დააპატიმრეს და ამიერკავკასიის საზღვრებიდან გადაასახლეს ს. შაუმიანი. მას უნახეს ლენინისადმი გასაგზავნი წერილი, სადაც ის წერდა, რომ მხურვალედ იცავდა ლენინის პოზიციას ომის საკითხში.

მაგრამ არავითარ რეპრესიებს აღარ შეეძლო შეეჩერებინა რევოლუციური მოძრაობის, ახალი აღმავლობა, რომელსაც ბოლშევიკები მეთაურობდნენ. ბოლშევიკების პარტიამ, შეიარაღებულმა სოციალისტური რევოლუციის გენიალური ლენინური თეორიით, შეძლო იმპერიალისტური ომის მძიმე პირობებში მუშათა კლასის, მშრომელთა ნასების დარაზმვა და აღფრთოვანება რევოლუციური ბრძოლებისათვის.

1916 წლის განმავლობაში ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკებმა მასობრივი არალეგალური მუშათა კრებები ჩაატარეს აგიტაციის გასაწევად მეფის თვითმპყრობელების წინააღმდეგ.

1917 წლის დასაწყისი აღინიშნა 9 იანვრის გაფიცვით. გაფიცვის დროს დემონსტრაციები ჩატარდა პეტროგრადში, მოსკოვში, ბაქოში, ნიჟნი-ნოვგოროდში.

18 იანვარს დაიწყო ბაქოს სარეწაოთა მუშების პოლიტიკური გაფიცვა, რომელსაც ბოლშევიკური ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა.

სამხედრო ცენზურის მიერ დაჭერილი ერთი ბაქოელი მუშის წერილი, რომელსაც იგი მშობლებს უგზავნიდა თბილისში, მეტისმეტად მკვეთრად გადმოგვცემს ამიერკავკასიის მუშების განწყობილებას 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინ.

«...უკვე 3 დღეა, რაც გაფიცული ვართ. — იწერება მუშა, — არ ვიცით როდის შევუდგებით მუშაობას. გაფიცვა დაიწყო

18 იანვარს. აგიწერთ რამ გამოიწვია იგი: საბუნჩაში გაიმართა საიდუმლო კრება, რომელზეც ჩვენი ამხანაგები ლაპარაკობდნენ სიძვირით გამოწვეულ გაჭირვებაზე და იმაზე, თუ როგორ ვუშველოთ ჩვენს გაჭირვებას. და აი სწორედ ამისათვის დააპატიჟრეს ისინი. ჩვენ ყველას გული ბოღმით აგვევსო, რომ ასე გვექცევიან. რამდენი სისხლი დაიღვარა და რამდენი კიდევ იღვრება, მაგრამ რა გამოდის? ახლა ჩვენ აღარ შეგვიძლია ძილი, თორემ ჩვენს წინაშე მაგარი რამ კედელი იმართება და მის გარღვევას ვეღარ შეეძლებთ» *.

ხელისუფალთ არ გამოპარვიათ გაჩაღებული ბრძოლის პოლიტიკური ხასიათი.

მეფისნაცვლის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილში 1917 წ. იანვარში ბაქოს მუშების გამოსვლის გამო შეშფოთებით იუწყებოდა, ბაქოს სამოქალაქო ზედამხედველობას ხელთ აქვს მასალები, რომლებიც მოწმობენ, რომ შესაძლებელია გაფიცვა განახლდეს და ისეთ საყოველთაო გაფიცვად გადაიქცეს, რასაც პოლიტიკურ ეკონომიური მოთხოვნები დაერთვისო.

ვ. ი. ლენინი წერდა: «... რევოლუციისათვის არ კმარა,— ექსპლოატირებულმა და ჩაგრულმა მასებმა შეიგნონ, რომ ძველებურად ცხოვრება შეუძლებელია და ცვლილება მოითხოვონ; რევოლუციისათვის აუცილებელია, რომ ექსპლოატატორებს აღარ შეეძლოთ ძველებურად იცხოვრონ და მართონ. მხოლოდ მაშინ, როცა «ქვედაფენებს» აღარ სურთ ძველი და როცა «ზედაფენებს» აღარ შეუძლიათ ძველებურად, მხოლოდ მაშინ შეიძლება რევოლუციის გამარჯვება. სხვანაირად ეს ჭეშმარიტება გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: რევოლუცია შეუძლებელია საერთონაციონალური კრიზისის გარეშე (რომელიც ექსპლოატირებულებსაც შეეხება და ექსპლოატატორებსაც)» **.

ასეთი კრიზისი მომწიფდა. მეფის რუსეთმა ვერ აიტანა პირველი მსოფლიო ომის სიმძიმე. ქვეყანა უფსკრულის პირას

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ 156, ს. 1939, გვ. 1655.

** ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 89.

მივიდა. 1917 წლის წინ რუსეთში ნამდვილი რევოლუციური სიტუაცია შეიქნა.

«ქვედაფენებს» აღარ სურდათ ძველებურად ეცხოვრათ და რწმუნდებოდნენ, რომ აუცილებელი იყო ცარიზმის დამხობა და მთელი ექსპლოატატორული წყობილების მოსპობა-აშკარა იყო, რომ ცარიზმი სასიკვდილო კრიზისს განიცდიდა. ცარიზმის წინააღმდეგ უკანასკნელ ბრძოლაში ებმებოდა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად საქართველოს პროლეტარიატიც, რუსეთის მუშათა კლასის ერთ-ერთი გმირული რაზმი. ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, იგი წინ მიუძღოდა რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში.

II

საქართველოს მშრომელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში

1917 წლის თებერვალს რუსეთში მუშათა კლასისა და გლეხობის მძლავრი რევოლუციური იერიშით დამხობილ იქნა ცარიზმი, რომელიც ამხანაგ სტალინის განსაზღვრით, «იყო იმპერიალიზმის ყველაზე უფრო უარყოფითი, კვადრატში აყვანილი, თვისებების თავმოყრა» *.

სტატიაში «რევოლუცია რუსეთში და ყველა ქვეყნის მუშათა ამოცანები», რომელიც დაწერილია 1917 წ. 12 (25) მარტს. ლენინი უდიდესი სიამაყით აღნიშნავდა, რომ «რუსეთის მუშებს წილად ხვდათ პატივი და ბედნიერება პირველთ დაეწყოთ რევოლუცია, ესე იგი დაეწყოთ დიადი, ერთადერთი კანონიერი და სამართლიანი, ომი ჩაგრულებისა — მჩაგვრელთა წინააღმდეგ» **.

თებერვლის ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუცია იყო უდიდესი გარდატეხა რუსეთის ისტორიაში და უმაგალითო შემობრუნება ჩვენი პარტიის ისტორიაში.

რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტროგრადსა და მთელს რუსეთში დაიწყო აღმოცენება საბჭოებისა, რომლე-

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 88.

** ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 461.

ბიც ჯერ კიდევ 1905 წელში წარმოშვა მასების შემოქმედებამ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები მუშათა კლასისა და გლეხობის დიქტატურის ორგანოს წარმოადგენდნენ. მაგრამ «იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობას უწევდნენ მასების უშუალო ბრძოლას ქუჩებში, შემთანხმებლური პარტიები, მენშევიკები და ესერები, დეპუტატების ადგილებს იტაცებდნენ საბჭოებში და ჰქმნიდნენ იქ თავის უმრავლესობას. ამას ნაწილობრივ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ბოლშევიკური პარტიის ლიდერების უმრავლესობა საპატიმროებსა და გადასახლებაში იმყოფებოდა...» *

ხელთ იგდეს რა ხელმძღვანელობა საბჭოებში, მენშევიკები და ესერები განაგრძობდნენ ბურჟუაზიასთან შეთანხმებისა და თანამშრომლობის პოლიტიკას. პეტროგრადის საბჭოს მენშევიკ-ესერთა ლიდერების ხელშეწყობით შეიქმნა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა. ამით პეტროგრადის საბჭომ ნებაყოფლობით დაუთმო ხელისუფლება ბურჟუაზიას. რუსეთში დამყარდა ისტორიაში არნახული, უაღრესად თავისებური ორხელისუფლებიანობა «...ორი დიქტატურის გადახლართვა ერთმანეთში ერთ მთლიანობად: ბურჟუაზიის დიქტატურისა... და პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურისა» **.

დროებითი მთავრობა მიისწრაფოდა განემტკიცებინა ბურჟუაზიის ბატონობა, ჩაეხშო მასების რევოლუციური მოძრაობა. ამ მთავრობას არც შეეძლო და არც სურდა მიეცა ხალხისათვის ზავი, მიწა და პური. იმპერიალისტური დროებითი მთავრობა განაგრძობდა ეროვნული ჩაგვრის მეფის პოლიტიკას.

ლეგალურ მდგომარეობაზე გადასვლის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის რიგებში თავი იჩინა უთანხმოებამ.

---

* «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 219.
** ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 51 და 52.

კამენევმა და მისმა მომხრეებმა — ბუბნოვმა, რიკოვმა და ნოგინმა დაიკავეს დროებითი მთავრობისა და ობორონცეების პოლიტიკისათვის პირობითი მხარდაჭერის ნახევრადმენშეკიკური პოზიცია. ოპორტუნისტების ამ გამცემლურ ხაზს უპირისპირდებოდა პოლიტიკა, რომელსაც პარტიის უმრავლესობა ატარებდა, პოლიტიკა უნდობლობისა დროებითი მთავრობის მიმართ და აქტიური ბრძოლისა ზავისათვის, მტაცებლური იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ობორონცობის წინააღმდეგ.

ი. ბ. სტალინი გადასახლებიდან რევოლუციურ პეტროგრადში დაბრუნდა 1917 წლის 12 მარტს. რევოლუციის ამ საპასუხისმგებლო პერიოდში ამხანაგი სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით სათავეში ჩაუდგა გაზეთ «პრავდას», ვ. მ. მოლოტოვთან ერთად ხელმძღვანელობს ცენტრალური კომიტეტისა და ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტის მუშაობას. პარტიის უმრავლესობასთან ერთად იგი გადაჭრით იცავს უნდობლობის პოლიტიკას დროებითი მთავრობის მიმართ, ამხელს ობორონცობას და მოუწოდებს საბჭოების განმტკიცებისაკენ, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, აქტიური ბრძოლისაკენ ზავისათვის.

ბოლშევიკური პარტია ეჩაღებს ბრძოლას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის. 14 მარტს გამოქვეყნებულ სტატიაში ამხანაგი სტალინი წერდა, რომ პარტიის მორიგ ამოცანას წარმოადგენს — «...წინ წასწიოს რუსეთის რევოლუცია...» ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ «...რუსეთის რევოლუციის ძალა მუშებისა და ჯარისკაცთა მაზარებში გამოწყობილ გლეხების კავშირშია», რომ «...ამ კავშირის ორგანოებს წარმოადგენენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები» და მოუწოდებდა — «განამტკიცონ ეს საბჭოები, ყველგან მოაწყონ ისინი, ერთმანეთთან დააკავშირონ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალური

საბჭოს, როგორც ხალხის რევოლუციური ხელისუფლების ორგანოს, მეთაურობით»...*

ბურჟუაზიული იდეოლოგები და პოლიტიკოსები ამტკიცებდნენ, თითქოს მეფის ხელისუფლების დაცემის შემდეგ ომის ხასიათი შეიცვალა და იგი უკვე იმპერიალისტური აღარ არისო. ბურჟუაზიული გაზეთები, მენშევიკები და ესერები ყოველ დღე დაჟინებით იმეორებდნენ, რომ ომი «საბოლოო გამარჯვებამდე» უნდა გაგრძელდეს თითქოს-და «თავისუფლების ხსნის» მიზნითო.

ბოლშევიკურმა პარტიამ გადაჭრით ამხილა ბურჟუაზიისა და მისი აგენტების ეს სიყალბე, რასაც მშრომელი მასების გასაბრიყვებლად ავრცელებდნენ. მან საფუძვლიანად დაამტკიცა, რომ ომი, ახალი, ბურჟუაზიული მთავრობის დროსაც ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ინტერესებისათვის წარმოებს, რომ იგი წინანდებურად იმპერიალისტურ, უსამართლო, მტაცებლურ ომს წარმოადგენს.

ბოლშევიკური პარტია გეგმაზომიერ და შეუპოვარ მუშაობას ეწეოდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასებზე თავისი გავლენის გასავრცელებლად, იბრძოდა როგორც მენშევიკებისა და ესერების ობორონცული ტაქტიკის წინააღმდეგ, ისე კამენევისა და სხვა იმდროინდელი ოპორტუნისტების ნახევრად-მენშევიკური პოზიციის წინააღმდეგ.

ბოლშევიკური პარტია დროებითი მთავრობისათვის ყოველგვარი მხარდაჭერის წინააღმდეგ გამოდიოდა და ამასთან აუცილებლად ცნობდა სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში.

სტატიაში «რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ» ამხანაგი სტალინი წერდა, რომ საჭიროა მთელი რუსეთის დემოკრატიის რევოლუციური ბრძოლის სრულიად რუსეთის ორგანოს შექმნა, რომელიც «...ხალხის რევოლუციური ბ რ ძ ო ლ ი ს ორგანოდან საჭირო მომენტში გადაიქცეს რევოლუციური ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ორგანოდ, რომელიც

---

* ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 2.

ხალხის მთელ ცოცხალ ძალებს დარაზმავს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

ასეთი ორგანო შეიძლება იყოს მხოლოდ სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო».*

რუსეთში მეორე რევოლუციის დაწყებისას პერიოდში ლენინი შვეიცარიაში იმყოფებოდა. მიუხედავად მეტად ძუნწი ცნობებისა იმ ამბების შესახებ, რაც რუსეთში ხდებოდა, ლენინმა გენიალურად განჭვრიტა მისი ნამდვილი აზრი.

სტატიებში «1917 წლის 4 (17) მარტის თეზისების მონასახი», «დეპეშა რუსეთს მიმავალ ბოლშევიკებს», «წერილები შორიდან», «რევოლუცია რუსეთში და ყველა ქვეყნის მუშათა ამოცანები», «რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში» — ლენინმა მოგვცა რუსეთის რევოლუციური მოვლენების ღრმა ანალიზი, გამოააშკარავა თებერვლის რევოლუციის თავისებურება და ჩამოაყალიბა ბოლშევიკური ტაქტიკის ძირითადი დებულებანი. ეს ტაქტიკა გენიალურად იქნა დასაბუთებული და განვითარებული აპრილის თეზისებში.

ლენინი 1917 წ. 3 აპრილს დაბრუნდა რუსეთში ემიგრაციიდან. ლენინის ჩამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური პარტიისათვის, რევოლუციისათვის. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ვ. ი. ლენინი განიხილავდა როგორც განვითარების პროცესში მყოფი რევოლუციის პირველ ეტაპს, რის შედეგადაც ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში გადავიდა. მას უნდა მოჰყოლოდა მეორე ეტაპი — სოციალისტური რევოლუცია, რომლის შედეგად ძალაუფლება პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ხელში უნდა გადასულიყო.

ვ. ი. ლენინმა თავის პირველ ცნობილ სიტყვაში, რომელიც მან პეტროგრადში ჩამოსვლისას ფინეთის სადგურზე წარმოთქვა, მოუწოდა პროლეტარიატს, მშრომელ მასებს

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 14.

ებრძოლათ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

«ცნობილ აპრილის თეზისებში ლენინმა მოახდინა ახალი აღმოჩენა, რომელმაც გაამდიდრა მარქსისტული თეორია, — იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმაა არა პარლამენტარული დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც წინათ მარქსისტებს მიაჩნდათ, არამედ საბჭოების რესპუბლიკა. ამ გენიალურ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფისათვის, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის»*.

* * *

პეტროგრადში დაწყებული რევოლუცია სწრაფად გავრცელდა მთელი რუსეთის ტერიტორიაზე, მათ შორის ამიერკავკასიაშიც. მაგრამ შინაური ვითარების თავისებურებამ დიდი გავლენა მოახდინა ამ მხარეში რევოლუციური მოვლენების განვითარებაზე. ამხანაგმა სტალინმა სტატიაში «ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით» ამიერკავკასიის რთული ვითარების ბრწყინვალე ანალიზი მოგვცა:

«რუსეთის ფედერაციის განაპირა მხარეებს შორის ამიერკავკასია, ვგონებთ, ყველაზე დამახასიათებელი კუთხეა ნაციონალური შემადგენლობის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მხრივ. ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელი თათრები, თურქები და ლეკები, ოსები და აფხაზები, — ასეთია ამიერკავკასიის შვიდმილიონიანი მოსახლეობის ნაციონალური მრავალფეროვნების არც თუ სრული სურათი...

ამიერკავკასიის მეორე, არა ნაკლებ დამახასიათებელი თვისებაა მისი ეკონომიური ჩამორჩენილობა. თუ არ ვიანგარიშებთ

---

* «საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903 — 1953)», თბ., 1953, გვ. 18.

ბაქოს, მხარის ამ სამრეწველო ოაზისს, რომელსაც უმთავრესად გარეშე კაპიტალი ამოძრავებს, ამიერკავკასია წარმოადგენს აგრარულ ქვეყანას მეტად თუ ნაკლებად განვითარებული სავაჭრო ცხოვრებით კიდეებზე, ზღვების ნაპირებზე, და პირწმინდა ბატონყმური წყობის ჯერ კიდევ მტკიცე ნაშთებით ცენტრში. თბილისის, ელიზავეტპოლის, ბაქოს გუბერნიებში დღემდე ბლოჰად არიან მებატონე თათარი ბეგები და ფეოდალი ქართველი თავადები, რომლებიც უზარმაზარ ლატიფუნდიებს ფლობენ, სპეციალური შეიარაღებული ბანდები ჰყავთ და თავიანთ ხელში უპყრიათ თათარ-სომეხ-ქართველ გლეხთა ბედი. არსებითად ამით აიხსნება აგრარული «არეულობის» ის მკვეთრი ფორმები, რომლებსაც ხშირად იღებს იქ გლეხთა უკმაყოფილება. აქვე უნდა ვეძებოთ იმის მიზეზი, რომ ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობა სუსტი და ჩამოუყალიბებელია (თუ არ ვიანგარიშებთ ბაქოს), ძალიან ხშირად იჩრდილება აგრარული «არეულობით». ყოველივე ეს ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს შეძლებული კლასებისა და ეგრეთწოდებული «სოციალისტური», მეტწილად თავადაზნაურული, ინტელიგენციის პოლიტიკური კოალიციისათვის მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ...

თებერვლის რევოლუციას არსებითად ცვლილებები არ შეუტანია მხარის მშრომელი კლასების მდგომარეობაში. ჯარისკაცები, სოფლის ეს ყველაზე რევოლუციური ელემენტები, ჯერ კიდევ ფრონტზე იყვნენ. ხოლო მუშები, საერთოდ სუსტნი, როგორც კლასი, მხარის ეკონომიური ჩამორჩენილობის მიზეზით, და ჯერ კიდევ მოუღონიერებელნი, როგორც ორგანიზებული ერთეული, მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლებებით აღფრთოვანების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და, როგორც ჩანს, უფრო შორს წასვლას აღარ აპირებდნენ. მთელი ძალაუფლება შეძლებული კლასების ხელში რჩებოდა. ეს უკანასკნელნი მაგრად ებღაუჭებოდნენ ძალაუფლებას და მოლოდინში იყვნენ, ხოლო ესერ-მენშევიკ სტრატეგებს ხალისით ანდობდნენ — მიეძინებინათ

მუშები და გლეხები ბრძნული სიტყვებით რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის, სოციალისტური გადატრიალების გახუხორციელებლობის შესახებ და სხვ.*.

ცნობა თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შესახებ ამიერკავკასიის მენშევიკ-ლიდერებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. რევოლუციის ზრდის პროცესი მათ სრულიად არ შეუმჩნევიათ. ამიტომ სავსებით გასაგებია დაბნეულობა, რომელმაც მოიცვა პირველ ხანებში მენშევიკთა ლიდერები, როდესაც მენშევიკურმა საოლქო კომიტეტმა IV სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკური ფრაქციის თავმჯდომარის ნ. ჩხეიძისაგან[25] მიიღო კონსპირაციული დეპეშა: «მთავრობაძე** გარდაიცვალა, აცნობეთ ნათესავებსა და ნაცნობებს».

მენშევიკთა ლიდერები ჯერ კიდევ არ იყვნენ იმაში დარწმუნებული, რომ მეფის ხელისუფლებამ სრული დამარცხება განიცადა და რევოლუციამ გაიმარჯვა, ამიტომ მათ გადაწყვიტეს სრულიად საიდუმლოდ შეენახათ მიღებული ცნობა პეტროგრადში მომხდარი რევოლუციური ამბების შესახებ და მოლოდინის ლაჩრული პოზიცია დაიკავეს. ამით ისარგებლა კავკასიის მეფისნაცვალმა და კავკასიის ფრონტის სარდალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვმა და პირველ ხანებში თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეძლო შეენაჩუნებინა ამიერკავკასიაში ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის ძველი აპარატი, რომელიც უცვლელად განაგრძობდა არსებობას თებერვლის რევოლუციის შემდეგაც.

მუშათა კლასის გამცემლებმა—მენშევიკთა ლიდერებმა ნ. ჟორდანიამ და ნ. რამიშვილმა მიაშურეს თაყვანის საცემად მეფის სატრაპ ნ. ნ. რომანოვს, რომ გამოეთქვათ მისთვის თავიანთი უქვეშევრდომილესი გრძნობები და შეეთანხმებიათ მასთან მენშევიკური პარტიის შემდგომი მოქმედების ხაზი.

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 55 — 56 — 57.

** «მთავრობაძე» — ე. ი. მთავრობა.

კავკასიის მეფისნაცვალ ნ. ნ. რომანოვთან ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშკილის დარბაზობის შესახებ სასწოაფოდ აუწყა თავის მკითხველებს მენშევიკურმა გაზეთმა «თანამედროვე აზრმა». «...დოლებითი მთავრობის მიერ მე დანიშნული ვარ უმაღლეს მთავარსარდლად, — ეუბნებოდა სოციალ-შოვინისტებს ყოფილი მეფის ბიძა, — მაგრამ ამ ორ-სამ დღეში თბილისიდან ვერ მივდივარ, რადგან აქ მოსაწესრიგებელი მაქვს ხელისუფლების საკითხი. მეტად დაინტერესებული ვარ ომის საქმით. მტრები უნდა დავაძარცხოთ, მე ვფიქრობ, თქვენც ეს უნდა გინდოდეთ.

რაც შეეხება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმას, ამას მომავალი დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს, სადაც მეც, როგორც ერთ მოქალაქეს, ადგილი მექნება. საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ მე ძლიერ კმაყოფილი ვარ კავკასიით, რადგან აქ არავითარი არეულობა არ არის. ბაქოში და თბილისში სამაგალითო წესიერებაა დაცული.

ეს, ჩემის აზრით, იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც აქ, კავკასიაში, დიდი გავლენა აქვს, წესიერების მომხრეა. მე იმედი მაქვს, რომ ეს ამიერიდანაც ასე გაგრძელდება» *.

ქართველი მენშევიკების ბელადთა ეს სამარცხვინო საქციელი — მათი საზიზღარი, გამცემლური მოქმედების მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს [20].

ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილთან მოლაპარაკების საფუძველზე მეფისნაცვალმა ნ. ნ. რომანოვმა აცნობა ყველა «გენერალ-გუბერნატორს, გუბერნატორსა» და სხვ., «რომ კავკასიის მხარის მოსახლეობა სრულ სიმშვიდეს იცავს და რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და თვით სოციალ-დემოკრატები კი გვპირდებიან, რომ მომავალშიაც დაიცავენ წესრიგს მოსახლეობაში». ქართველმა მენშევიკებმა საქვეყნოდ ცხადყვეს თავისი ერთიანობა მეფის ხელისუფლების წარმო-

* გაზ. «თანამედროვე აზრი» № 52, 1917 წ. 5 მარტი

მადგენლებთან და მათგან კეთილსაიმედობის ატესტაცია მიიღეს.

ამრიგად, იმ დროს, როდესაც რუსეთის დედაქალაქში რევოლუციურმა მასებმა რომანოვთა მონარქია დაამხეს, ამიერკავკასიაში მეფისნაცვალი ნ. ნ. რომანოვი თავის მოვალეობად რაცხდა «მოეგვარებინა ხელისუფლების საკითხი». მენშევიკთა ლიდერები არამცთუ ამის წინააღმდეგ არ წასულან, არამედ მეფისნაცვლის სამოქმედო პროგრამას შექმნილი მდგომარეობიდან ნორმალურ გამოსავლადაც კი სთვლიდნენ და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ნეფის ადმინისტრაციის შენარჩუნებას მხარეში.

ასე, მაგალითად, პირველ ხანებში თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ამიერკავკასიაში მეფის ხელისუფლების მთელი აპარატი მენშევიკების სრული თანხმობით ხელუხლებელი დარჩა. მეფის ბიძამ, კავკასიის ნაცვალმა უარი თქვა მეუე ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომის შესახებ მანიფესტის გამოქვეყნებაზე იმ საბაბით, რომ ეს მანიფესტი ჯერ კიდევ არ არის გაფორმებული კანონით დადგენილი წესითო. მანვე უარი თქვა რკინიგზის ხაზიდან ჟანდარმების მოხსნაზე იმის «შიშით, რომ შეუძლებელი იქნება შპიონაჟთან ბრძოლაო...» მეფისნაცვლის თანაშემწემ გენერალმა ორლოვმა საიდუმლო ცირკულიარი დაუგზავნა მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებს წინადადებით, რათა მათ ყოველგვარი ზომები მიეღოთ «სიმშვიდისა» და «გარეგნული წესრიგის» დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში იარაღიც კი გამოეყენებინათ. ამავე ცირკულარში ნათქვამი იყო:

«პეტროგრადში შექმნილია დროებითი მთავრობა სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტის სახით, როძიანკოს თავმჯდომარეობით, რომელსაც დასახული აქვს პატრიოტულ-სახელმწიფოებრივი მიზანი — დაამარცხოს რევოლუციური მოძრაობა, რისთვისაც ხელთ იღებს ძალაუფლებას იმ მომენტამდე, ვიდრე მთავრობა აღდგენილი არ იქნება»*.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 156, ს. 1789, გვ. 7,8.

ამავე ტაქტიკას ადგა თბილისის ქალაქის ბურჟუაზიული გამგეობა, რომელიც მზად იყო «დაემარცხებინა რევოლუციური მოძრაობა» და შეტევაზე გადასულიყო რევოლუციის წინააღმდეგ. იგი დათანხმდა, მხოლოდ დროებით შეეცვალა აბრა, არსებითად კი ყველაფერს ძველებურად ტოვებდა. ქალაქის გამგეობა, პოლიციის მილიციად გარდაქმნის საკითხში მხოლოდ სახელწოდების შეცვლით დაკმაყოფილდა.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა. რევოლუციის შეჩერება, ძველი წესების დატოვება საქართველოსა და ამიერკავკასიაში არ შეეძლოთ არც ძველ სახელმწიფო აპარატს, არც ბურჟუაზიასა და არც მენშევიკებს.

მალე ამიერკავკასიაში მასობრივი რევოლუციური მანიფესტაციების ფართო ტალღა ამთავრორდა. ხალხის მასებმა მენშევიკების ნებასურვილის წინააღმდეგ, ყველგან დაიწყეს ძველი ადმინისტრაციის გაუქმება. 4 მარტს თბილისში შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭო, ხოლო 6 მარტს — ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო.

ამავე და შემდეგ დღეებში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ჩამოყალიბება დაიწყო ქუთაისში, ბათუმში, სუხუმში, გორში და სხვა ადგილებში.

დაწვრილებითი ცნობები პეტროგრადის ამბების შესახებ თანდათანობით ვრცელდებოდა ამიერკავკასიის შორეულ კუთხეებში, და რადიოტელეგრაფის, დედაქალაქის გაზეთებისა და სპეციალური რევოლუციური ლიტერატურის საშუალებით ამ ცნობებმა რუსეთ-თურქეთის ფრონტის მოწინავე საბრძოლო ხაზებამდეც მიაღწია. დაიწყო მოძრაობა არმიაში.

ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ყველა ახალშექმნილ ორგანოში — მუშათა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრში, კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტებში — ხელმძღვანელ ადგილებზე თავიდანვე ქართველი მენშევიკები და ესერები მოექცნენ, ამასთან ესერები დიდი გავლენით სარგებლობდნენ არმიაში.

მენშევიკები და ესერები სარგებლობდნენ იმით, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციები ძალიან დასუსტებული იყვნენ ცარიზმის რეპრესიებით, ხოლო მათი ხელმძღვანელები საპყრობილეებში ისხდნენ ან გადასახლებული იყვნენ ამიერკავკასიის ფარგლებიდან, და მათ ყველგან თავიანთი კაცები გაჰყავდათ.

დროებითი მთავრობის დადგენილებით, მეფისნაცვალ რომანოვის ნაცვლად «წესრიგის სასწრაფოდ დასამყარებლად და ამიერკავკასიის მხარის მოსაწყობად» 1917 წ. 6 მარტს შექმნილ იქნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი («ოზაკომ»), რომლის შემადგენლობაში შევიდა სახელმწიფო სათათბიროს 5 წევრი: ბ. ა. ხარლამოვი (კადეტი), მ. ი. პაპაჯანოვი (კადეტი), მ. ი. ჯაფაროვი (მუსავატელი), კ. აბაშიძე (სოციალ-ფედერალისტი), ა. ჩხენკელი (მენშევიკი). «ოზაკომს» ამიერკავკასიაში უნდა გაეხორციელებინა დროებითი მთავრობის პოლიტიკა. მენშევიკები სავსებით კმაყოფილი იყვნენ «ოზაკომის» კონტრრევოლუციური შემადგენლობით, განსაკუთრებით როდესაც მასში შეიყვანეს მათი წარმომადგენელი ა. ჩხენკელი, რომელიც ყველაზე აქტიურ როლს თამაშობდა «ოზაკომში». მან ხელთ იგდო საშინაო მართვა-გამგეობის საქმეები და ბეჯითად იცავდა ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს.

თავისი მოღვაწეობა თბილისში «ოზაკომმა» იმით დაიწყო, რომ 1917 წ. 18 მარტს მოწოდებით მიმართა ამიერკავკასიის მოსახლეობას. ამ მოწოდებაში იგი ხალხს ყალბად პირდებოდა, რომ ახალი წესრიგი ადგილობრივ პირობათა და საჭიროებათა შესაბამისად იქნებოდა მოწყობილი. მოწოდებაში ხაზგასმული იყო, რომ ისეთი საკითხების გადაჭრა, როგორიცაა ეროვნული, აგრარული და მუშათა საკითხები, დამფუძნებელ კრებამდე უნდა გადაიდოსო. წინანდებურად უნდა ეხადათ მეფის ხელისუფალთაგან დაწესებული გადასახადები, უნდა ემოქმედნა ძველ სასამართლოებსა და დაწესებულებებს, მკაცრი სასჯელის მუქარით იკრძალებოდა

მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება, არმიაში პოლიტიკურ სამხედრო ორგანიზაციათა შექმნა და ა. შ.

ამრიგად, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ამიერკავკასიასა და საქართველოში ისე როგორც მთელს რუსეთში, ორხელისუფლებიანობა მყარდება. ერთი მხრით, ყალიბდება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, ხოლო მეორე მხრით, დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ორგანო «ოზაკომი», რომელიც დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული პოლიტიკის გამტარებელი შეიქმნა საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

* * *

ლენინი ბროშურაში «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში» წერდა:

«რუსეთი ახლა დუღს. მილიონობით და ათეული მილიონობით ხალხმა, რომელსაც ათი წელი ეძინა პოლიტიკურად, რომელიც პოლიტიკურად დაბეჩავებული იყო ცარიზმის საშინელი უღლით და კატორღული შრომით მემამულეებისა და მეფაბრიკეების სასარგებლოდ, გ ა მ ო ი ღ ვ ი ძ ა და პოლიტიკას დ ა ე წ ა ფ ა. მერე ვინ არიან ეს მილიონები და ათეული მილიონები? მეტწილად წვრილი მეპატრონენი, წვრილი ბურჟუები, ადამიანები, რომელნიც კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებს შუა დგანან. რუსეთი ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა.

უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი, ჩაახშო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ე. ი. მოიცვა მუშათა ფრიად ფართო წრეები და გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე» *.

ლენინის ეს დახასიათება ცენტრალურ რუსეთზე უფრო მეტად ამიერკავკასიას შეეფერებოდა, სადაც მუშათა კლასი,

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 52 — 53.

ამ მხარის ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო, ბაქოს გამოკლებით, უმნიშვნელო და პოლიტიკურად სუსტი იყო.

რევოლუციის მამოძრავებელ ძალად მენშევიკები ბურჟუაზიას სთვლიდნენ. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ «კლასობრივი მშვიდობის» შენარჩუნების საჭიროებას. ამ მხრივ დამახასიათებელია ქართველი მენშევიკების ლიდერის — ნ. ჟორდანიას გამოსვლა ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობაზე 1917 წ. მარტში. თავის მოხსენებაში «თანამედროვე მომენტისა და ტაქტიკის შესახებ» მან განაცხადა, რომ რუსეთის რევოლუცია მოახდინა სამმა ძალამ: პროლეტარიატმა, არმიამ, ბურჟუაზიამ, ამიტომ ამ ძალებმა შეთანხმებულად უნდა იმუშაონ, ისინი ერთმანეთს უნდა უთანხმებდნენ თავის გამოსვლებს და ორგანიზებულმა პროლეტარიატმა არ უნდა დააფრთხოს ბურჟუაზია, რათა იზოლირებული არ დარჩესო.

მენშევიკები, რომლებიც ამიერკავკასიაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ისინი ცრუ-დემოკრატიული ლოზუნგებით ფარავდნენ თავიანთ გამცემლობას და ნამდვილად ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს იცავდნენ რევოლუციური მუშებისა და გლეხების საწინააღმდეგოდ.

ისინი მხარს უჭერდნენ «ომს საბოლოო გამარჯვებამდე», იცავდნენ არმიას «მკვეთრი პოლიტიკური გამოსვლებისაგან» და თითქმის მთლიანად შეინარჩუნეს კავკასიის არმიის უფროსთა შავრაზმული შემადგენლობა.

მენშევიკები იცავდნენ «ერთიან, განუყოფელ» რუსეთს, ატარებდნენ დროებითი მთავრობის დიდმპყრობელურ ეროვნულ პოლიტიკას და იმის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, რომ უკრაინას, ფინეთსა და რუსეთის სხვა ეროვნულ რაიონებს დამოუკიდებლობა მისცემოდათ.

გამოდიოდნენ რა გაბატონებული კლასების ინტერესებიდან, ისინი საჭიროდ ცნობდნენ ჩვენს ქვეყანაში მომწიფებული სოციალური რეფორმების განხორციელება

დამფუძნებელ კრებამდე გადაედოთ, ხოლო მის მოწვევას თავის მხრივ ომის დამთავრებამდე დებდნენ. მენშევიკები აშკარად და საზიზღრად ღალატობდნენ მშრომელთა მასების ინტერესებს და გააფთრებით იცავდნენ საქართველოს გაბატონებული, ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს.

1917 წლის მარტის დღეებში, როდესაც პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლის შიშით პეტროგრადის მეფაბრიკეებმა და მექარხნეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რვასაათიანი სამუშაო დღის და მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, ქართველი მენშევიკები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ გადაწყვეტილება რვასაათიანი სამუშაო დღის შესახებ გადაედოთ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ისინი აგრეთვე იმასაც მოითხოვდნენ, რომ მუშათა კლასი ომის პერიოდში «ზომიერი» ყოფილიყო თავის ეკონომიურ მოთხოვნებში.

მენშევიკები ქადაგებდნენ «კლასობრივი მშვიდობის» შენარჩუნების საჭიროებას და მუშებს ურჩევდნენ ხელი აეღოთ კლასობრივი ბრძოლის ბასრ იარაღზე — გაფიცვაზე. მათი აზრით, ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულთ ორის კონფლიქტების მოსაგვარებლად არსებობდა უფრო ადვილი საშუალება — მოლაპარაკებათა და შეთანხმებათა გზა «მომრიგებელი კამერების» ხელშეწყობით. ისინი ცდილობდნენ უმნიშვნელო დათმობებით, უბადრუკი მოწყალებებით, ცალკეული მცირე რეფორმებით «შეერიგებინათ» კაპიტალისა და შრომის ინტერესები და ამრიგად, ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში დაეტოვებინათ.

მემამულეებისა და კულაკების ინტერესების დაცვით ქართველი მენშევიკები სოფლად ინარჩუნებდნენ ფეოდალურ ბატონყმურ ნაშთებს (დროებით-ვალდებულებითი დამოკიდებულება, ხიზანთა ინსტიტუტი და სხვ.) და ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებით იბრძოდნენ გლეხების მიერ აგრარული საკითხის რევოლუციური გზით გადაწყვეტის წინააღმდეგ. ამ მიზნით ისინი შეუთანხმდნენ აზნაურებს, «ბრწყინვალე» თავადებს, ყველაზე მეძარჯვენე შოვინისტურ და ნაციონალისტურ პარტიებს.

1917 წლის 24 მარტს თბილისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში «თავადაზნაურობის აქტივის» წინაშე ნ. ჟორდანიამ წაიკითხა მოხსენება მომავალი პოლიტიკური წყობილების შესახებ და მათ შეუთანხმა თავისი პარტიის მოქმედება.

თათბირზე გამონახულ იქნა საერთო ენა ქართველ მენშევიკებსა და თავადაზნაურობას შორის. ამ თათბირის ბევრი მონაწილე შემდეგში თვალსაჩინო როლს თამაშობდა საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მენშევიკურ მთავრობაში [27].

მენშევიკების კავშირი თავადაზნაურულ კონტრრევოლუციასთან ააშკარავებს მენშევიკთა ნამდვილ სახეს. მენშევიკების სახით თავადაზნაურებმა თავიანთი კლასობრივი პრივილეგიების ერთგული დამცველები პოვეს.

* *

საქართველოს ბოლშევიკების წინაშე, ისე როგორც მთელი პარტიის წინაშე, იდგა უმნიშვნელოვანესი ამოცანები: გაეჩაღებინათ ენერგიული მუშაობა დროებითი მთავრობის იმპერიალისტური არსების გამოსამჟღავნებლად, ახსნა-განმარტებითი მუშაობის გზით მიეღწიათ იმისათვის, რომ მას ყოველგვარი ნდობა დაჰკარგოდა მასების თვალში: მენშევიკებისა და ესერების გამცემლური როლის მხილების გზით მოეხდინათ მათი იზოლაცია მშრომელთაგან, მოეპოვებიათ უმრავლესობა საბჭოებში და ამით შეეცვალათ საბჭოების პოლიტიკა.

როგორც ცნობილია, რსდმპ პრაღის კონფერენციაზე 1912 წელს მენშევიკები პარტიის რიგებიდან განდევნილ იქნენ; ბოლშევიკები დამოუკიდებელ მარქსისტულ პარტიად გაფორმდნენ. მაგრამ საქართველოს ზოგიერთმა ბოლშევიკმა დაარღვია რსდმპ პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებანი და მენშევიკებთან შემთანხმებლობისა და თანამშრომლობის გზას დაადგა ტროცკისტული აგვისტოს ანტიპარტიული ბლოკის ოპორტუნისტული პრინციპის მიხედვით.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ლენინს არაერთხელ გაუფრთხილებია პარტია — ახალ პირობებში შესაძლებელია გამაერთიანებლობით გატაცების წარმოშობაო. 1917 წლის 17 მარტს წერილში ა. მ. კოლონტაისადმი ლენინი წერდა:

«ჩემი აზრით, ახლა მთავარია თავი არ გავაბმევინოთ სოციალ-პატრიოტებთან (ან, რაც კიდევ უფრო საშიშია, მერყეევებთან, როგორიც არიან ორგანიზაციული კომიტეტი, ტროცკი და კომპანია) სულელურ «გამაერთიანებელ» ცდებში და საკუთარ პარტიად განვაგრძოთ მუშაობა თანმიმდევრულ-ინტერნაციონალური სულისკვეთებით» *.

მაგრამ მიუხედავად ლენინის მრავალი გაფრთხილებისა თბილისელ ბოლშევიკთა ჯგუფი თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ფ. მახარაძის ინიციატივით, მენშევიკებთან გაერთიანების სასარგებლოდ გამოვიდა.

თბილისში ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანება ორგანიზაციულად გაფორმდა 11 მარტს, როცა არჩეულ იქნა თბილისის გაერთიანებული კომიტეტი.

ბოლშევიკებისა და მენშევიკების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებამ დიდი უარყოფითი როლი ითამაშა, რადგან ეს ხელს უშლიდა რევოლუციაში მენშევიკების ნამდვილი როლის მხილებას, მენშევიკებისა, რომლებიც, როგორც ლენინი წერდა სტატიაში «ორხელისუფლებიანობის შესახებ» «...კი არ აფხიზლებენ, არამედ აბნელებენ მუშების შეგნებას, კი არ აქაოწყლებენ, არამედ ნერგავენ წვრილბურჟუაზიულ ილუზიებს, მასებს კი არ ათავისუფლებენ ბურჟუაზიის გავლენისაგან, არამედ განამტკიცებენ ამ გავლენას მასებზე»**.

თუმცა თბილისში ბოლშევიკები ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შევიდნენ, მაგრამ მათ დაიტოვეს იმის უფლება, რომ დამოუკიდებლად ჩაეტარებინათ თავიანთი კრებები, ჰყოლოდათ აგიტატორებისა და პროპაგანდის-

---

* ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 313.

** ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 24.

ტების თავიანთი კოლეგიები, გამოეცათ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები და ლიტერატურა.

«გაერთიანების» პირველი დღეებიდანვე გამწვავდა პრინციპული უთანხმოება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის რევოლუციის ყველა ძირითად საკითხებში.

მაშინ, როდესაც მენშევიკები ბურჟუაზიული რევოლუციის ჩარჩოებით კმაყოფილდებოდნენ და ნერგავდნენ მასებში ნდობას ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისადმი, ბოლშევიკები ატარებდნენ თავიანთ პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მიმართული იყო რევოლუციის შემდგომი განვითარებისაკენ, მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის დარაზმვისაკენ, რათა მათ გაეჩაღებინათ ბრძოლა ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლისათვის.

ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-მემამულურმა კონტრრევოლუციამ და მისმა მსახურებმა — ქართველმა მენშევიკებმა არაჩვეულებრივი დევნა დაუწყეს ბოლშევიკებს და ცდილობდნენ მასებისაგან მათ იზოლირებას. «ჩვენს პარტიას, — ამბობდა სტეფანე შაუმიანი, — კიდევ არაერთხელ ამოსვრიან ლაფში და გაუპასპინძლდებიან მოშხამული ცილისწამებით. ჩვენი მტრები და მათი მსახურნი — მენშევიკები მთელი ძალღონით შეეცდებიან მოატყუონ მუშები და არ დაუშვან, რომ ისინი ჩვენ გამოგვყვნენ. ჩვენ მაინც ჩვენი გზით ვიარეთ და ვერავითარი ლაფი ვერ შეგვაჩერებს».

ბოლშევიკური იდეების გავრცელებისა და ბოლშევიკური ძალების შეკრებისათვის საქართველოში დიდ მუშაობას ეწეოდნენ ბოლშევიკური გაზეთები. 11 მარტიდან თბილისში რუსულ ენაზე გამოსვლა იწყო გაზეთმა «კავკაზსკი რაბოჩიმ»[28], რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ქართველი მენშევიკები ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ბოლშევიკური გაზეთებისა და ლიტერატურის გავრცელებას.

ბოლშევიზმთან ბრძოლაში მათ დაასწრეს რუსეთის კონტრრევოლუციის ღონისძიებებს (გაზეთ «პრავდის» დახურვა პეტროგრადში); 1917 წ. 19 აპრილს მუშათა დეპუტატების

თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა კონფისკაცია მოეხდინა და ფრონტზე არ დაეშვა «პრავდის», როგორც «მავნე და საშიში გაზეთის», 40 ათასი ეგზემპლარი. მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც პეტროგრადის მუშათა დელეგაციამ ამის გამო სასტიკი პროტესტი განაცხადა და როდესაც გაეგზავნა დეპეშა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს, მენშევიკები იძულებული შეიქმნენ ხელი აეღოთ თავიანთ გადაწყვეტილებაზე.

პირველ პერიოდში თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მიუხედავად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების არსებობისა, მუშების უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ამას მოწმობს, მაგალითად, გაზეთ «კავკაზსკი რაბოჩის» ერთ-ერთი კორესპონდენცია, რომელშიც აღწერილია თბილისის ფაბრიკის «ობორონას» მუშების მდგომარეობა:

«ამ ფაბრიკის მუშებსა და პატრონებს შორის წარმოიშვა კონფლიქტი შრომის მეტად არადამაკმაყოფილებელი პირობების ნიადაგზე. მუშებმა მოითხოვეს შრომის პირობების გაუმჯობესება, მაგრამ ფაბრიკის პატრონი არ უთმობს... 120-მდე მუშა ორ ცვლად მუშაობს, თვითეული 12 საათის განმავლობაში. 12 საათის განმავლობაში მუშებს უფლება არა აქვთ არც ჭამონ, არც ჩაი დალიონ და ამას მალულად აკეთებენ. მუშებისათვის არ არსებობს არც დღესასწაული, არც კვირა და ისინი მანქანების მსგავსად მუშაობენ. მათ არც საავადმყოფო სალაროები მოეპოვებათ, რის გამოც დაავადების ან დასახიჩრების შემთხვევაში მუშები ბედის ანაბარა მიგდებული რჩებიან. თავის ქანცგამწყვეტ სამუშაოში ისინი თვიურად 20—60 მანეთს იღებენ. ყველასათვის ნათელია, რომ ასეთი მცირე ხელფასით, პროდუქტებზე ახლანდელი სიძვირის დროს, მათ არ შეუძლიათ კვება და ძალ-ღონის შენარჩუნება» *.

---

* «კავკაზსკი რაბოჩი», 1917 წ. 23 მარტი.

მეწარმენი თებერვლის რევოლუციის შემდეგაც განაგრძობ-დნენ მუშათა მხეცურ ექსპლოატაციას. ამ მეწარმეთა ერთგულ-ი მოკავშირენი იყვნენ მენშევიკები, რომლებიც ყოველნაირად აფერხებდნენ მუშათა მოძრაობას, ფუშავდნენ გაფიცვებს. ისინი საზიზღარ აგიტაციას ეწეოდნენ საწარმოებში, ცდილობდნენ დაერწმუნებიათ მუშები, რომ ომისა და რევოლუციის პირობებში დროული არ არის მუშათა კლასის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხის დაყენება.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ჩნდებიან პროფესიული კავშირები. თბილისში მაისის თვეში ჩამოყალიბდა პროფკავშირების ცენტრალური ბიურო. ამ დროისათვის პროფკავშირთა რიცხვი 31-მდე ავიდა. ბოლშევიკები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ პროფკავშირებში მენშევიკების გავლენის აღმოსაფხვრელად და კიდევაც მიაღწიეს ამას ელექტრიკოსთა, მელითონეთა, მეტყავეთა და მეთამბაქოეთა პროფკავშირებში.

მიუხედავად მეწარმეთა და მენშევიკთა წინააღმდეგობისა, მუშათა მასები გაჰყვნენ ბოლშევიკურ ლოზუნგს და შეუდგნენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების — მუშათა თვითმოქმედების, წარმოების კონტროლის, შრომის დაცვის ამ პირველადი ორგანოების — შექმნას. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები თავიანთ ირგვლივ აერთიანებდნენ საწარმოთა მუშებს და ბოლშევიკების დასაყრდენ პუნქტებად ხდებოდნენ მასებზე გავლენისათვის ბრძოლაში. თბილისში ყველაზე მნიშვნელოვან როლს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ასრულებდნენ არსენალსა და ელექტროსადგურებში. ბოლშევიკები იბრძოდნენ წარმოებაში მუშათა კონტროლის შემოღებისათვის, რაც განხორციელებულ იქნა ზოგიერთ მსხვილ საწარმოში, მიუხედავად მეწარმეებისა და მენშევიკების წინააღმდეგობისა. მაგალითად, ბოლშევიკებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს ბათუმში პიტოევის გასამხედროებულ ქარხანაში, სადაც სანაღმო ყუმბარები მზადდებოდა. ამ ქარხანაში სხვადასხვა ეროვნების 500-ზე მეტი კაცი მუშაობდა — რუსები, ქართველები,

სომხები და სხვ.. ბოლშევიკებმა დასძლიეს მენშევიკებისა და ესერების გავლენა და წინადადება შეიტანეს განეხორციელებინათ ამ ქარხანაში მუშათა კონტროლი. ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მუშებმა. მალე ქარხანაში მტკიცე ბოლშევიკური უჯრედი შეიქმნა.

ბოლშევიკებს შეუპოვარი ბრძოლა მოუხდათ რვასაათიან სამუშაო დღეზე გადასვლისათვის. აპრილში ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა და მოსამსახურეთა ყრილობაზე რვასაათიანი სამუშაო დღის საკითხის შესახებ მოხსენებით გამოსული მენშევიკი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ თუმცა რვასაათიანი სამუშაო დღე არის სოციალ-დემოკრატიის პროგრამაში, მაგრამ «მომენტი მოითხოვს თავი შევიკავოთ მისი აუცილებელი განხორციელების მოთხოვნისაგანო» *.

მაგრამ ბოლშევიკური აგიტაციის გავლენით თბილისში უკვე მარტის დამლევიდან დაიწყეს რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღება მთელ რიგ საწარმოებში (ქალაქის ტრამვაი, სტამბები, სამკაზმაოები და სხვ.).

ბოლოს და ბოლოს, მუშების ზემოქმედებით მეფაბრიკეები და მექარხნეები იძულებული გახდნენ ფორმალურადაც ეცნოთ რვასაათიანი სამუშაო დღის დაწესება და 19 აპრილიდან დაიწყეს მისი ცხოვრებაში გატარება. როდესაც მენშევიკები პროლეტარიატის ამ მონაპოვრის ფაქტის წინაშე დადგნენ, მათ დიდი ხმაური ასტეხეს თავიანთ პრესაში მუშათა კლასის ამ გამარჯვების გამო.

საქართველოს პროლეტარიატს მარტო რვასაათიანი სამუშაო დღის მოპოვებით, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო. დაწყებული საგაფიცვო ბრძოლა გრძელდებოდა მუშათა ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ლოზუნგით.

გაფიცვები ეწყობოდა მთელს საქართველოში. ასე, მაგალითად, 1917 წლის აპრილის დამლევისათვის სერიოზულმა კონფლიქტმა იჩინა თავი მუშებსა და მეწარმეებს შორის

* გაზ. «კავკასსკი რაბოჩი», № 35, 1917 წ.

თბილისის საწარმოებში (ადელხანოვის ფაბრიკა, ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა და სხვ.).

გაჩაღდა აგრეთვე აგრარული მოძრაობა სოფლად. ბოლშევიკური პარტია აგრარულ რევოლუციას, რომელსაც უნდა მოესპო ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები და გადაეცა მიწა გლეხებისათვის, განიხილავდა როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ამოცანის შემადგენელ ნაწილს.

გაზეთი «კავკაზსკი რაბოჩი» ფართო პროპაგანდას უწევდა რა ბოლშევიკური პარტიის მოწოდებას სოფლად ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების რევოლუციური გზით ლიკვიდაციის შესახებ, 19 მარტს წერდა:

«საჭიროა ახლავე წამოვაყენოთ ღარიბი გლეხების ყველა უაღრესად არსებითი მოთხოვნა და მოვითხოვოთ მემამულეთა მიწის დაუყოვნებლივი კონფისკაცია» *.

ამიერკავკასიის საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობაზე ს. შაუმიანმა განაცხადა

«რაც შეეხება გლეხთა საკითხს, ჩვენ ახლავე უნდა გადავისროლოთ მასებში მიწების კონფისკაციის ლოზუნგი და გაბედულად უნდა ვიმოქმედოთ» **.

პირველ ხანებში თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი მენშევიკებისა და ესერების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და მათგან მოელოდა აგრარული საკითხის გადაწყვეტას. მაგრამ გლეხებს რეალურად არაფერი არ მიუღიათ ბურჟუაზიული ხელისუფლებისაგან: ისინი კვლავინდებურად იხდიდნენ აუტანელ გადასახადებს. მიწა კვლავ მემამულეებისა და ბურჟუაზიის ხელში რჩებოდა. უკვე აპრილიდან გლეხები იწყებენ აქტიურ ბრძოლას ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების მოსასპობად.

საადგილმამულო საქმეთა კომისიის პირველსავე სხდომებზე «ოზაკომს» მოუხდა გლეხთა მიერ მემამულეთა მიწების

---

* «კავკაზსკი რაბოჩი», 1917 წ. 19 მარტი.

** იქვე.

დატაცების საკითხის განხილვა. გორის მაზრაში ხიზანმა, გლეხებმა რომლებსაც საიჯაროდ ჰქონდათ აღებული თავად ციციშვილების მიწა 70 ათას ჰექტარამდე, უარი განაცხადეს რაიმე ბეგარის შესრულებაზე მემამულეთა სასარგებლოდ და გააძევეს ამ მამულის ადმინისტრაცია. გლეხებმა ეს მიწა თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს. ამავე მაზრაში გლეხებმა გააძევეს კულაკი მოიჯარადრეები, რომლებიც თავის მხრით იჯარითვე აძლევდნენ გლეხებს მიწას კაბალურ პირობებში. გლეხებმა ხელთ იგდეს თავად ერისთავების მიწები. ამავე მაზრის კავთისხევის სასოფლო საზოგადოებამ ხელთ იგდო სამონასტრო მიწები და უარი განაცხადა მიეცა მონასტრისათვის აღებული მოსავლის ნაწილი.

დუშეთის მაზრაში სოფ. მჭადიჯვრის გლეხებმა თავიანთ ყრილობაზე დაადგინეს ჩამოერთმიათ თავად ბაგრატიონ-მუხრანსკისათვის მთელი სახნავ-სათესი მიწა, ბაღები და აგრეთვე ტყე.

სოფელ აწყურში გლეხებმა თვითნებურად დახნეს თავად გრუზინსკის და კულაკების მიწები და მოშალეს მიჯნები. სოფელ ჟინვალის გლეხებმა მიწა ჩამოართვეს აზნაურ შაბუროვას.

მასობრივი ხასიათი მიიღო მიწების დატაცებამ თბილისის მაზრაში. ასე, მაგალითად, მანგლისში გლეხებმა ხელთ იგდეს სათიბები, რომლებიც მსხვილი მიწათმფლობელ კავრიეევებს ეკუთვნოდათ. სოფელ კუმისის გლეხები დაეპატრონენ ალავერდოვის მიწებს, სოფ. წოლოსკურის გლეხებმა გააძევეს მიწების მოიჯარადრე კაკაიანცი.

მიწების დატაცებამ და აგრარულმა კონფლიქტებმა მასობრივი ხასიათი მიიღო აგრეთვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. მოდიოდა ცნობები, რომ გლეხები მემამულეებისა და კულაკების მიწებს იტაცებდნენ აგრეთვე დასავლეთ საქართველოში. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის კომისრის სახელზე შემოვიდა შორაპნის მაზრის სოფელ ზვარის მემამულე ქალის კორძაიას განცხადება იმის გამო, რომ გლეხები აღარ იძლეოდნენ საიჯარო გადასახადს, რადგან

მათ მიაჩნიათ, რომ კერძო საკუთრება მიწაზე უკვე გაუქმებულია და მიწები გლეხების სრულ განკარგულებაში გადავიდაო. იგივე მემამულე ქალი იტყობინებოდა, რომ გლეხები თვითნებურად სჩეხდნენ მის ტყეს.

ქუთაისის გუბერნიის სოფელ სიმონეთის გლეხებმა ხელთ იგდეს ათას ჰექტარამდე მიწა, რომელიც მსხვილ კაპიტალისტს ანანოვს ეკუთვნოდა. აფხაზეთში (სუხუმის ოლქი), ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა სეკვესტრი დაედო დიდი მთავრის — რომანოვის მამულებზე — «სინოპზე» და «ძიამურზე».

მრავალი ადგილიდან იუწყებოდნენ სახაზინო და მემამულეთა ტყეების მასობრივი გაჩეხვის შესახებ. მაგალითად გლეხები ჩეხდნენ ტყეს ბორჯომის მამულში, რომელიც დიდ მთავარს რომანოვს ეკუთვნოდა. სახაზინო და მემამულეთა ტყეები მასობრივად იჩეხებოდა სიღნაღისა და თბილისის მაზრებში. გლეხები აძევებდნენ ტყის მცველებს და ხელთ იღებდნენ ტყეების მართვა-გამგეობის საქმეს.

მენშევიკები და ესერები შეძლებულ კლასთა ინტერესებს იცავდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ გაეწბილებინათ ბოლშევიკების მოწოდება სოფლად ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების რევოლუციური გზით მოსპობის შესახებ. ისინი დემოგოგიურად გაჰყვიროდნენ, რომ ეს იყო «ველური ანარქია», ბოლშევიკების «თვითნებობა», «სახალხო თავისუფლების ხელყოფა».

ბოლშევიკები შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ სოფლად პროლეტარული, ბოლშევიკური გავლენის გასავრცელებლად და განსამტკიცებლად, უღარიბესი გლეხობის დასარაზმავად და შესამჭიდროებლად, მისი კლასობრივი თვითშეგნების ასამაღლებლად.

1917 წ. 18 მარტს თბილისში მოწვეულ იქნა მუშათა დეპუტატების ამიერკავკასიის საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელსაც 17 საბჭოს წარმომადგენელი დაესწრო. ამ ყრილობაზე ბოლშევიკები ს. შაუმიანის ხელმძღვანელობით დამოუკიდებელ ხაზს ატარებდნენ. ყრილობა შეეცადა შეექმნა

სამხარეო ცენტრი. მის შემადგენლობაში ბაქოს ეთმობოდა 3 ადგილი ათიდან, მაგრამ ფაქტიურად ეს ცენტრი არავითარ საქმიანობას არ ამჟღავნებდა. სამხარეო ცენტრის ფუნქციებს ასრულებდა მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

21 მაისს თბილისში მოიწვიეს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა სამხარეო ყრილობა.

ყრილობას 261 დელეგატი დაესწრო. მათ შორის 143 კაცი გლეხთა დელეგატი იყო.

მენშევიკები ამ ყრილობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათ დიდის ამბით განაცხადეს თავის ბეჭდვით ორგანოში, რომ «ყრილობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები იქნება — ნაციონალური, მიწის და სასურსათო საკითხებიო» *.

ამასთან მენშევიკები სრული დუმილით გვერდს უვლიდნენ მუშათა საკითხს. ყრილობის მიერ ამ საკითხზე მიღებული რეზოლუცია თავის შინაარსით აბსტრაქტული იყო და არავის არავითარ ვალდებულებას არ აკისრებდა.

ყრილობის გადაწყვეტილებით მუშებსა და მეწარმეთა შორის წარმოშობილი კონფლიქტების და ხელფასის მომატების განხილვა მომრიგებელი კამერების საგანს შეადგენდა.

ბოლშევიკური ფრაქციის ინიციატივითა და დაჟინებითი მოთხოვნით ყრილობამ მოისმინა მოხსენება მუშათა კონტროლზე. ამ საკითხის დაყენებასა და გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინი «საბჭოების შესახებ რეზოლუციის თეზისების მონასახში» მიუთითებდა: «...ვიდრე დედაქალაქებსა და უდიდეს ცენტრებში მთავარ ძალ-ღონეს ვანდომებთ ძალების მომზადებას რევოლუციის მეორე ეტაპის **დასამთავრებლად** — ადგილობრივ უშუალოდ შეიძლება და კიდევაც უნდა წავწიოთ წინ რევოლუცია, გავახორციელოთ მუშათა დეპუტატების საბჭოების ერთხელისუფლებიანობა, განვავითაროთ

* «Известия Тифлисского СР и СД» № 43, 1917 г.

მუშათა და გლეხთა მასების რევოლუციური ენერგია, გადავიდეთ პროდუქტების წარმოებისა და განაწილების კონტროლზე და სხვ.» *.

ბოლშევიკური პარტიისათვის მუშათა კონტროლი რევოლუციის შემდგომი განვითარების ლოზუნგი იყო. ამიტომ სავსებით გასაგებია ის აგრესიულობა, რომლითაც გამოვიდნენ ყრილობაზე ბოლშევიკების წინადადების წინააღმდეგ ქართველი მენშევიკები; ისინი ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების საფუძვლებს იცავდნენ.

მენშევიკებმა ისარგებლეს იმით, რომ ყრილობის უმრავლესობას მენშევიკური პოლიტიკის მომხრეები შეადგენდნენ და მათ მიაღწიეს მუშათა კონტროლის შესახებ ბოლშევიკების მიერ წარმოდგენილი წინადადების უარყოფას.

ამასთან მენშევიკებმა განაცხადეს, თუ კაპიტალისტები მასობრივ ლოკაუტს მიმართავენ, მაშინ მუშებს შეუძლიათ დროებით მთავრობას მოსთხოვონ სახელმწიფო კონტროლის შემოღებაო. ეს იმას ნიშნავდა, რომ კონტროლი კვლავ იმავე ბურჟუაზიის ხელში რჩებოდა. ბოლშევიკები როგორც ყრილობაზე, ისე მუშათა მასებში ააშკარავებდნენ მენშევიკების მიერ პროექტირებული «სახელმწიფო კონტროლის» ანტიმუშურ დედაარსს.

სოფლად განუწყვეტლივ მზარდი რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით მენშევიკები იძულებული იყვნენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ყრილობაზე განსახილველად დაეყენებიათ აგრარული საკითხიც. მაგრამ ყრილობას არ შეეძლო და არც სურდა გადაეჭრა ეს საკითხი. მენშევიკებმა თავის დახავსებული არქივიდან ამოათრიეს მიწის მუნიციპალიზაციის თავისი ყბადაღებული პროგრამა და გააფთრებით ილაშქრებდნენ ყრილობაზე მიწის ნაციონალიზაციის, გლეხთა კომიტეტების შექმნისა და მემამულეთა მიწების რევოლუციური გზით ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად, აგრარული

* ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 297.

საკითხის გადაჭრა გადადებული უნდა ყოფილიყო დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

ბოლშევიკი-დელეგატები (მ. ცხაკაია, ა. ჯაფარიძე და სხვ.) გაბედულად ააშკარავებდნენ მენშევიკებისა და ესერების იმ ლოზუნგის რეაქციულობას, რომლის მიხედვით «მიწის საკითხის გადაჭრა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე» უნდა ყოფილიყო გადადებული; ბოლშევიკები ხალხის წინაშე მკაცრად ამხელდნენ მენშევიკების ცილისწამებას, თითქოს ბოლშევიკური პარტიის მოწოდება — რევოლუციური გზით მოესპოთ ბატონყმური ურთიერთობა სოფლად, — ეს იყო მოწოდება «ველური ანარქიისაკენ», «თვითნებობისაკენ».

სხვა საკითხებზე, რომლებიც ყრილობის დღის წესრიგში იდგა, მენშევიკებმა ისეთი რეზოლუციები გაატარეს, რომლებითაც «ნდობასა და მხარდაჭერას» აღუთქვამდნენ ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას.

ყრილობაზე მხოლოდ ბოლშევიკი დელეგატები ააშკარავებდნენ შეუპოვრად და გაბედულად მიმდინარე ომის იმპერიალისტურ ხასიათს, იცავდნენ უნდობლობის პოლიტიკას ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის მიმართ და ცხადყოფდნენ ყველა მისი დაპირების სრულ სიყალბეს. ყრილობაზე ბოლშევიკები ამხელდნენ მენშევიკებისა და ესერების გამცემლობას და მტკიცედ იცავდნენ ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში.

მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირველმა საოლქო ყრილობამ აირჩია სამხარეო ცენტრი, რომელშიც შევიდა აგრეთვე რამდენიმე ბოლშევიკი (ა. ჯაფარიძე, მ. ცხაკაია და სხვ.).

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებიც ლენინის მითითებებით სარგებლობდნენ, მუდამ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ რევოლუციურ მუშაობას ძველ არმიაში, რევოლუციის მხარეზე ჯარისკაცთა მასების გადმოყვანისათვის ბრძოლას. მაგრამ პირველ პერიოდში თებერვლის რევოლუციის შემდეგ მათ არ შეეძლოთ დიდი მუშაობის გაჩაღება კავკასიის

არმიაში; ჩანდა ძალების ნაკლებობა ბოლშევიკურ ორგანიზაციებში, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ მეფის ხელისუფლების რეპრესიებისაგან. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში და ჯარისკაცთა კომიტეტებში ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს ესერებმა და მენშევიკებმა. ამას მოწმობს კავკასიის არმიის სარდალი გენერალი ნ. ნ. იუდენიჩიც: «კომიტეტთა შემადგენლობა, — წერდა ის 1917 წლის 10 მარტს გენერალ ალექსეევს, — საერთოდ სასურველია იმ აზრით, რომ ისწრაფვიან განამტკიცონ უფლებრივი წყობილება და ომი საბოლოო გამარჯვებამდე აწარმოონ. კომიტეტებს ძლიერი გავლენა აქვთ გარნიზონებზე. თბილისში მოიწვიეს ჯარისკაცთა და ოფიცერთა კრებები, ამასთან უკანასკნელ კრებაზე თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გენერალი» *.

დროებით მთავრობის რწმუნებული იუდენიჩი იმედოვნებდა მენშევიკებისა და ესერების დახმარებით წარმატებითი ბრძოლა გაეჩაღებინა ბოლშევიკურ გავლენასთან არმიაში, შეენარჩუნებინა არმია როგორც თავისი ძალაუფლების განმტკიცებისა და იმპერიალისტური ომის წარმატებით განგრძობის იარაღი.

ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ჯარისკაცთა მასებში დინჯი ახსნა-განმარტებითი მუშაობით ნიადაგი გამოეცალათ ნდობისათვის ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისა და მისი პოლიტიკის მიმართ, ემხილებინათ ესერებისა და მენშევიკების გამცემლობა, გამოეგლიჯათ ჯარისკაცები უფროსთა შემადგენლობის გავლენისაგან და დაერწმუნებიათ ისინი, რომ რევოლუციის შემდგომი განვითარებისა და საბჭოებისათვის მთელი ძალაუფლების გადაცემის გარეშე ხალხი ვერ მიიღებს ვერც ზავს, ვერც მიწას და ვერც პურს.

კავკასიის ფრონტზე და ზურგის ნაწილებში ერცელდებოდა ბოლშევიკური გაზეთები «პრავდა», «კავკაზსკი რაბოჩი»

---

* საქ. სსრ ცსსა, ს. 1416, გვ. 123.

და ბოლშევიკური საგიტაციო ლიტერატურა. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში, ჯარისკაცთა კომიტეტებში მუშაობით, მიტინგებზე, კრებებზე გამოსვლით, ბოლშევიკები პოპულარიზაციას უკეთებდნენ ლენინურ ლოზუნგებს დემოკრატიული ზავის დაუყოვნებლივ შეკვრის შესახებ, მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ ჩამორთმევის შესახებ, შიმშილობასთან და ნგრევასთან ბრძოლის გადამწყვეტი ზომების შესახებ. ბოლშევიკები მოითხოვდნენ რეაქციონერი ოფიცრების გაძევებას არმიიდან და მეთაურთა თანამდებობაზე დემოკრატიულად განწყობილ პირთა არჩევას.

ბოლშევიკური გავლენა ყველაზე უფრო ადრე ვრცელდება კავკასიის არმიის სპეციალურ ნაწილებში, სადაც ჯარისკაცთა შორის მრავალი მუშა იყო. ამას მოწმობს, სხვათა შორის, მარტის დამლევს მოწყობილი ნებაყოფლობითი შემოწირულების შეგროვება ბოლშევიკური გაზეთის «კავკაზსკი რაბოჩის» დასახმარებლად. ამ ნებაყოფლობითი შემოწირულების შეგროვების ინიციატივა ეკუთვნის კავკასიის არმიის ზურგის საავტომობილო სახელოსნოს ჯარისკაცებს. მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაზეთ «პრავდას» ფრონტზე გაგზავნის აკრძალვამ თბილისის გარნიზონის ცალკეული ნაწილების პროტესტი გამოიწვია.

«გულწრფელ ამხანაგურ სალამს ვუძღვნით, — წერდნენ კავკასიის სამხედრო საავიაციო სკოლის ჯარისკაცები, — გაზეთ «პრავდას», «სოციალ-დემოკრატს», «კავკაზსკი რაბოჩის» და მათი მიმართულების სხვა გაზეთებს, მხარს დავუჭერთ ბრძოლაში ყოველგვარი ხელყოფის წინააღმდეგ, საიდანაც უნდა გამოდიოდეს ის» *.

ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს ინიციატივით მოწვეულ იქნა კავკასიის არმიის I სამხარეო ყრილობა. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა კავკასიის არმიის შტაბის მეოხებით 1917 წ 30 მარტს სპეციალური მოწოდებით მიმართა არმიას ყრილობის მოწვევის გამო. ყრილობა გაიმართა თბილისში და მიმდინარეობდა 23 აპრილიდან 25 მაისამდე.

---

* «კავკაზსკი რაბოჩი», №34, 1917 წ.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მიმდინარე მომენტი და ტაქტიკა; 2) დამოკიდებულება დროებითი მთავრობისადმი; 3) ომი და ზავი; 4) თავისუფლების სესხი; 5) მუშათა საკითხი; 6) მიწის საკითხი; 7) ეროვნული საკითხი; 8) დამფუძნებელი კრება და მისი მოწვევის დრო.

ეს დღის წესრიგი წინასწარ არ გამოუცხადებიათ და არ განუხილავთ ჯარისკაცთა კრებებზე, ასე რომ მასში ჯარისკაცთა მასების მოთხოვნებმა გამოხატულება ვერ პოვეს. სამხედრო ნაწილების დელეგატების გარდა ყრილობაზე მონაწილეობას იღებდნენ ჯარის კომიტეტებისა და გარნიზონთა საბჭოების წარმომადგენლები, რომლებიც უმთავრესად ესერებისა და მენშევიკებისაგან შედგებოდნენ. ყრილობაზე ბლოკი შეკრეს ესერებმა და მენშევიკებმა. ამ ბლოკის მიზანი იყო დაეცვათ ყრილობა კომუნისტური გავლენისაგან, არ მიეცათ კომუნისტებისათვის არც ერთი საპასუხისმგებლო მოხსენება. როდესაც იხილავდნენ კანდიდატებს კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოში, სადაც 150 კაცი უნდა ყოფილიყო არჩეული, კომუნისტებს ორი ადგილიც კი არ დაუთმეს. სამხარეო საბჭოში ადგილების უმრავლესობა ესერებმა მიიღეს.

კომუნისტები არ იყვნენ არჩეული არც საბჭოების პირველ სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატებად, ყრილობის, რომელიც პეტროგრადში გაიხსნა 1917 წ. 3 ივნისს. კავკასიის არმიის სამხარეო ყრილობის მთელი მუშაობა დროებითი მთავრობისა და მისი პოლიტიკისათვის მხარდაჭერის ნიშნით მიმდინარეობდა. დელეგატ-კომუნისტების პატარა ჯგუფმა (ყორღანოვი და სხვ.) ყრილობა გამოიყენა კომუნისტური პარტიის პოლიტიკის საპროპაგანდოდ. ეს ჯგუფი უშუალოდ მიმართავდა მასებს, ააშკარავებდა დროებითი მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას, ობორონცული პარტიების ტაქტიკას ომისა და ზავის საკითხში, აგრარულ საკითხში და სხვ.. დღის წესრიგის ძირითად საკითხზე კომუნისტებს თავიანთი წინადადებანი შეჰქონდათ და იცავდნენ მათ.

კომუნისტები ნათელყოფდნენ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის დამღუპველობას, ააშკარავებდნენ ომის იმპერიალისტურ ხასიათს და ყრილობაზე გამოვიდნენ განცხადებით, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მოიპოვოს ზავი, გადაარჩინოს ქვეყანა ნგრევას, მისცეს მიწა გლეხებს და პური მშრომელებს.

არმიაში რევოლუციური მუშაობის გაჩაღებისა და კომუნისტური პარტიის ლოზუნგების გარშემო ჯარისკაცთა მასების შემჭიდროებისათვის ხელის შესაშლელად, მენშევიკებმა და ესერებმა ყრილობაზე გაატარეს გადაწყვეტილება არმიაში პარტიული ორგანიზაციების აკრძალვის შესახებ. ბოლშევიკურად განწყობილ ნაწილებში ამ დადგენილებას, რომელიც უწინარეს ყოვლისა მიმართული იყო არმიაში კომუნისტური პარტიის მუშაობის წინააღმდეგ, ისე შეხვდნენ როგორც ჯარისკაცებისათვის პოლიტიკური უფლებების წართმევას.

«კავკაზსკი რაბოჩი» ამის გამო წერდა:

«რევოლუცია მოახდინეს მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა. განა შეიძლება ამის შემდეგ ჩამოაშორო არმია პოლიტიკას ან პოლიტიკა არმიას...

ჯარისკაცის პარტიის გარეშე დატოვება ნიშნავს მის დატოვებას პოლიტიკის გარეშე, მის სრულ ამოგდებას სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, რევოლუციის ძალების დასუსტებას და კონტრრევოლუციის ძალების გაზრდას»*.

წინააღმდეგ კავკასიის არმიის სამხარეო ყრილობის გადაწყვეტილებისა, კომუნისტები განაგრძობდნენ დაუღალავ მუშაობას ზურგში და ფრონტზე ჯარისკაკთა დასარაზმავად და არმიის ნაწილებში ქმნიდნენ პარტიულ უჯრედებს, რომლებსაც უმთავრესად არალეგალურად უხდებოდათ მუშაობა.

* * *

1917 წ. 24 აპრილს პეტროგრადში გაიხსნა რსდმპ (ბ) VII (აპრილის) სრულიად რუსეთის კონფერენცია. მას დაესწრო 133 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 18 სათათბირო ხმით.

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 37, 1917 წ.

აპრილის კონფერენციას თავისი მნიშვნელობით კომუნისტური პარტიის ისტორიაში პარტიის ყრილობის ადგილი ეჭირა.

კონფერენცია ლენინის ხელმძღვანელობით ჩატარდა. მის გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედო ლენინის აპრილის თეზისები.

კონფერენციამ პასუხი გასცა რევოლუციის ყველა ძირითად საკითხს და პარტია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ბრძოლისაკენ წარმართა. რევოლუციის განვითარების უახლოეს ამოცანად ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს». ეს ლოზუნგი ნიშნავდა ორხელისუფლებიანობის ლიკვიდაციას და მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადაცემას.

რევოლუციის მსვლელობაში უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა ეროვნულმა საკითხმა, დროებითი მთავრობა განაგრძობდა რუსეთის მრავალრიცხოვან ხალხთა ჩაგვრის ცარიზმის პოლიტიკას. კომუნისტური პარტიის ამოცანა იმაში გამოიხატებოდა, რომ გაეერთიანებია რუსეთის ყველა ერის ძალღონე რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის საბრძოლველად, საერთო მტრის—იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კონფერენციაზე ეროვნული საკითხის შესახებ მომხსენებლად გამოვიდა ამხანაგი სტალინი. ამხანაგმა სტალინმა დაიცვა და შემდგომ განავითარა ეროვნული საკითხის თეორია და პროგრამა და ჩამოაყალიბა პარტიის თვალსაზრისი ეროვნული საკითხის გადაჭრის შესახებ. ეს თვალსაზრისი ითვალისწინებდა შემდეგ ძირითად დებულებებს:

«ა) ხალხთა გამოყოფის უფლების აღიარება;

ბ) იმ ხალხებისათვის, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ფარგლებში რჩებიან,—საოლქო ავტონომია;

გ) ნაციონალური უმკირესობათათვის — განსაკუთრებული კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს თავისუფალ განვითარებას;

დ) ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნების პროლეტარებისათვის — ერთიანი განუყოფელი პროლეტარული კოლექტივი, ერთიანი პარტია» *.

ლენინმა და სტალინმა კონფერენციაზე გამანადგურებლად გააკრიტიკეს და ამხილეს პიატაკოვის ეროვნულ-შოვინისტური პოზიცია. პიატაკოვი ჯერ კიდევ ომის წლებში ბუხარინთან ერთად გამოდიოდა ერთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ [29].

აპრილის სრულიად რუსეთის კონფერენციის შემდეგ რუსეთში დაიწყო ახალი პერიოდი — მასების რევოლუციური მობილიზაციის პერიოდი.

საქართველოს კომუნისტურმა ორგანიზაციამ, ისე როგორც მთელმა პარტიამ, აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა, კიდევ უფრო ფართოდ გაშალა მუშაობა მასების აღზრდისა და ორგანიზაციისათვის. იგი ამხელდა მენშევიკებისა და ესერების ანტიხალხურ დედაარსს, ახორციელებდა მათ იზოლაციას მასებისაგან. საქართველოს კომუნისტებმა ფართო განმარტებითი მუშაობა გაშალეს. ისინი აძლიერებდნენ პროლეტარიატის დარაზმულობას, ქმნიდნენ კომუნისტურ ორგანიზაციებს არმიაში, ამჟიდროებდნენ უღარიბეს გლეხობას მუშათა კლასის გარშემო, დაუღალავად და ენერგიულად მუშაობდნენ რევოლუციის პოლიტიკური არმიის შესაქმნელად.

აპრილის კონფერენციის შემდეგ საქართველოს კომუნისტებმა ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირი გაწყვიტეს მენშევიკებთან და დამოუკიდებელი ორგანიზაციები შექმნეს. მენშევიკებთან კავშირის გაწყვეტის გამო რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტი, თავის 1917 წ. ივნისის მიმართვაში ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებისადმი, წერდა:

«მომენტის სერიოზულობა და წამოყენებულ ამოცანათა სწორად გადაჭრის უდიდესი სიძნელე დაჟინებით გვიკარნახებენ პროლეტარიატისა და მისი პარტიის ორგანიზაციული

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 61.

შემჭიდროების საჭიროებას სოციალიზმის დროშის ირგვლივ, სოციალიზმისა, რომელიც აშუქებს წმინდა პროლეტარული პოლიტიკის დაცვის ეკლიან და მძიმე გზას თავისუფალს გარედან შემოტანილი წვრილბურჟუაზიული მერყეობისაგან... მენშევიკები მხარს უჭერენ დროებით მთავრობას, რომელიც აქტიურად რაზმავს კონტრრევოლუციას და შეტევით იმპერიალისტურ ომს აწარმოებს; ისინი მხარს უჭერენ ეგრეთწოდებულ «თავისუფლების სესხს» და ეწინააღმდეგებიან ჯარისკაცთა დაძმობილებას ფრონტზე; ისინი ცდილობენ ინტერნაციონალის აღდგენას არა იმპერიალისტებთან კავშირის გაწყვეტის ნიადაგზე, არამედ შეიდემანებთან ერთად, რომლებიც ბურჟუაზიას მიეყიდნენ. ჩვენი პარტია იმ მიზნით, რომ დაიცვას პროლეტარიატი მისთვის უცხო გავლენისაგან, რევოლუციური ობორონცობისადმი ვერავითარ დათმობაზე ვერ წავა და გადაჭრით წყვეტს მასთან ყოველგვარ კავშირს. ამიტომ (თბილისის ორგანიზაციის) კრებამ დაადგინა: კავშირი გაწყვიტოს ობორონცობის თვალსაზრისზე მდგომ მენშევიკურ ორგანიზაციასთან, გამოიწვიოს იქიდან ყველა ჩვენი თანამოაზრე ბოლშევიკი და შექმნას რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისზე მდგომი ცალკე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია» *.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის ამ გადაწყვეტილებას მენშევიკებმა და ესერებმა ველური დევნითა და საზიზღარი ცილისმწამებლური ბრალდებებით გასცეს პასუხი. მათ აშკარა რეპრესიული ზომებიც კი გამოიყენეს ბოლშევიკური მოღვაწეობის წინააღმდეგ. მაგალითად, 8 ივნისს ესერ რებრუხის ხელმძღვანელობით ქუჩაში თვითნებურად დააპატიმრეს კომუნისტების ჯგუფი. საკომენდანტო სამმართველოში პატიმრებს შეურაცხყოფა მიაყენეს იქ მყოფმა ოფიცრებმა. როცა კომუნისტების დაპატიმრების ამბავი 218-ე სათადარიგო პოლკის საგუშაგო ბატალიონის ჯარისკაცებმა გაიგეს, ისინი შეცვივდნენ საკომენდანტო სამმართველოში და დაპატიმრებულნი იხსნეს შემდგომი შეურაცხყოფისა და ცემისაგან.

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 57, 1917 წ. 19 (6) ივნისი.

მაგრამ მიუხედავად კონტრრევოლუციური ბლოკის მიერ მიღებული მთელი რიგი საზიზღარი ზომებისა, კომუნისტების გავლენა მასებში დღითიდღე იზრდებოდა. კომუნისტურ პრესაში, კომუნისტი ორატორების გამოსვლებში მიტინგებსა და კრებებზე მუშები, გლეხები და ჯარისკაცები ნათელ და გასაგებ განმარტებას ღებულობდნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე. ისინი სულ უფრო მეტად რწმუნდებოდნენ, რომ ბოლშევიკური პოლიტიკა რევოლუციაში — ერთადერთი სწორი პოლიტიკაა, რომელიც მშრომელთა ინტერესებისათვის ტარდება, და რომ მენშევიკებისა და ესერების ბლოკის პოლიტიკა — ესაა ანტიხალხური პოლიტიკა, რომელიც ექსპლოატატორული კლასების ინტერესებისათვის ტარდება.

ზაფხულის თვეების განმავლობაში საქართველოში გრძელდებოდა საგაფიცვო ბრძოლა. მუშები მოითხოვდნენ შრომის მძიმე პირობების მოსპობას, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მომრიგებელი კამერები მუშების არავითარი ნდობით არ სარგებლობდნენ. მუშები გადაჭრით უარს აცხადებდნენ მათი შუამავლობის გამოყენებაზე.

კომუნისტების გავლენის გაძლიერება და რევოლუციური მოძრაობის ზრდა დამახასიათებელი იყო აგრეთვე პოლიტიკური მდგომარეობისათვის სოფლად.

გლეხების ყველა განცხადებას მიწის საკითხების პრაქტიკულად გადაჭრის შესახებ ხელისუფლების ორგანოები მუდამ ბიუროკრატულად პასუხობდნენ: «ვერ იქნება დაკმაყოფილებული, სანამ მიწის საკითხს დამფუძნებელი კრება არ გადაწყვეტსო».

დამფუძნებელი კრების ასეთი მომიზეზება გლეხთა უკმაყოფილებას იწვევდა. ისინი იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ტყუილი იყო იმედი მიწის საკითხის გადაჭრისა ახალ ხელისუფალთა მხრივაც. სოფლად სულ უფრო და უფრო მეტ თანაგრძნობას პოულობდა ბოლშევიკური მოწოდება — დაუყოვნებლივ ორგანიზებულად დაპატრონებოდნენ მემამულეთა მიწებს, მოეხდინათ ამ მიწების კონფისკაცია.

სოფლად არსებული კაბალის ყველაზე შიშველ ფორმას წარმოადგენდა შემორჩენილი პირობები საიჯარო ურთიერთობისა, ერთი მხრით, მიწის მფლობელ—მემამულეებსა, კულაკებსა და სამღვდელოებასა — და, მეორე მხრით, უღარიბეს გლეხობას შორის, რომელიც იძულებული იყო იჯარით აეღო მიწები. მათ შორის მიმდინარეობდა მძაფრი შეხლა-შემოხლა საიჯარო ფასის დაწესების ნიადაგზე.

მიწათმფლობელები ხელისუფალთა დახმარებით ცდილობდნენ საიჯარო ფასები 1916 წლის ნორმებზე მეტადაც კი გაედიდებინათ. გლეხები კი, პირიქით, ან სულ უარს აცხადებდნენ საიჯარო გადასახადის შეტანაზე, ანდა მის მძაფრად შემცირებას მოითხოვდნენ. თუ წინათ გლეხები იჯარაში მარცვლის ან თივის მოსავლის $^1/_4$-დან $^1/_2$-მდე იხდიდნენ, ახლა ისინი მოსავლის მხოლოდ $^1/_{10}$ ნაწილის გადახდას თანხმდებოდნენ.

გარდა ამისა, გლეხები გადაჭრით უარს ამბობდნენ გადაეზიდათ მემამულის წილი მის ბეღლებში. სიღნაღის მაზრის სოფლის კომიტეტებმა გლეხთა კრებებზე მიიღეს დადგენილება გადაეხადათ მემამულეებისათვის თვითეულ დღიურ სახნავზე მხოლოდ ორ-ორი მანეთი (მხედველობაშია მიღებული მიწის ფართობი, რომელიც გლეხს ერთი სამუშაო დღის განმავლობაში შეეძლო მოეხნა).

1917 წ. ზაფხულზე აგრარულმა მოძრაობამ ყველაზე მწვავე ფორმა ბორჩალოს მაზრაში მიიღო.

«მაზრის მოსახლეობა,—წერდა მაზრის კომისარი კალინოვსკი, — ყველგან შეიარაღებული ძალით იტაცებს კერძო მფლობელთა მიწებს, საზამთრო საძოვრებს. იგი ანგარიშს არ უწევს დროებით მთავრობას; დარწმუნება არ მოქმედობს. დატაცების ადგილობრივი ძალებით შეწყვეტა შეუძლებელია. საჭიროა სამხედრო ნაწილების საჩქაროდ გამოგზავნა»*.

მემამულეები ძლიერ შეშფოთებული იყვნენ გლეხთა მოძრაობის განვითარებით, კაბალური ურთიერთობის

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 2, ს. 1800, გვ. 36.

ძალდატანებითი ლიკვიდაციით. მემამულეებსა და სოფლის ბურჟუაზიას ერთმეოდა მიწა და შემოსავალი. ხელისუფლების სამხარეო ორგანოებში შედიოდა თავადაზნაურთა ორგანიზაციების საჩივრები და განცხადებები. ისინი მოითხოვდნენ გადამჭრელი ზომების მიღებას გლეხების მიერ მემამულეთა მიწების დატაცების წინააღმდეგ.

მენშევიკებმა და ესერებმა, სოფლად გლეხთა მოძრაობის ჩასაშლელად, ივნისში გლეხთა სპეციალური სამხარეო ყრილობა მოიწვიეს. ყრილობაზე მათ თავისი უმრავლესობა გაიყვანეს, ხელთ იგდეს ყრილობის ხელმძღვანელობა და მიაღწიეს იმას, რომ სოფლად ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების ლიკვიდაციის ძირითადი საკითხის გადაწყვეტის ნაცვლად ყრილობამ ხელი მიჰყო ისეთი მცირემნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, როგორიცაა მევენახეთა მომარაგება ყურძნის დაავადებათა საწინააღმდეგო ბრძოლის საშუალებებით, სასამართლოს გარდაქმნა და ა. შ.

ყრილობაზე მენშევიკები და ესერები მძაფრად დაესხნენ თავს კომუნისტთა წინადადებას მთელი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ მემამულეთა მიწების კონფისკაციის ნიადაგზე. მათ გაატარეს რეზოლუცია, რომელიც გმობდა გლეხების მიერ მიწების დატაცებას და წინადადებას იძლეოდა აგრარული საკითხის გადაჭრა გადაეტანათ დამფუძნებელ კრებაში. ყრილობაზე შეიქმნა გლეხთა დეპუტატების მენშევიკურ-ესერული სამხარეო ცენტრი, რომლის მოქმედება აშკარად მიმართული იყო სოფლის მშრომელთა მასების ინტერესების წინააღმდეგ.

დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს 27 ივლისს დაუგზავნა ცირკულარი მენშევიკ ა. ჩხენკელის ხელმოწერით. ჩხენკელი მოითხოვდა მიეღოთ ყოველგვარი ზომები, რათა არ დაეშვათ მიწებისა და წყლის დატაცება, ტყის თვითნებური გაჩეხა, და წინადადებას იძლეოდა სასტიკად დაესაჯათ ასეთ მოქმედებაში დამნაშავე პირები.

ამ ცირკულარით მოსახლეობას ევალებოდა ამიერიდან «უნარჩენოდ შეეტანა მიწისა და სხვა გადასახადები საადგილ-მამულო ბანკში».

სამხარეო ცენტრის მენშევიკ-ესერი მეთაურები თავადაზნაურობასთან შეთანხმებით მოქმედებდნენ და მისგან ფულად სუბსიდიებს იღებდნენ. არქივში შენახულია მიმართვა, რომელიც თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ თავადმა გრუზინსკიმ გაუგზავნა «ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოს». ამ მიმართვაში ნათქვამია:

«გლეხთა დეპუტატების წარმომადგენლებმა პ. გელეიშვილმა და გ. გედევანოვმა 6 ივლისს მიმართეს თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობას თხოვნით, რათა მას მატერიალური დახმარება გაეწია აღნიშნული საბჭოსათვის, რომელმაც ერთ-ერთ თავის ამოცანად დაისახა აღკვეთოს მიწების ძალდატანებითი დატაცება და საერთოდ ყოველგვარი ექსცესი მიწათმფლობელთა და გლეხებს შორის, რის გამოც საჭიროებს ფულად სახსრებს გეგმიანი მუშაობის ორგანიზაციისათვის. ბანკის გამგეობა საჭიროდ თვლის აუწყოს საბჭოს, რომ იგი სრული თანაგრძნობით ეკიდება საბჭოს ამოცანებს»*.

შემდეგ მიმართვაში აღნიშნულია, რომ სათავადაზნაურო ბანკმა გარკვეული თანხა გადადო «ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოს» განკარგულებაში. საბუთებით დასტურდება, რომ გლეხთა ცენტრმა 10 ათასი მანეთი მიიღო «ქართველ თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს საადგილმამულო კომისიისაგან», გარკვეული თანხა გადასცა სამხარეო ცენტრს აგრეთვე ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა.

ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრის სხდომაზე 1917 წ. 6 ივლისს მოსმენილ იქნა ანგარიში

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 2, ს. 77, გვ. 1.

აღნიშნული თანხის მიღების შესახებ. სამხარეო ცენტრმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

«მიღებულ იქნას აღნიშნული თანხა და ნება დაერთოს შეიტანონ იგი გლეხთა სამხარეო ცენტრის მიმდინარე ანგარიშზე, პ. პ. გელეიშვილისა და გ. ტ. გედევანოვის სახელზე. მომავალში ეთხოვოს მატერიალური დახმარება ზემოთ-მოხსენებული მიზნის განხორციელებისათვის ბანკებს, სასოფლო-სამეურნეო და საქველმოქმედო საზოგადოებებს, ქალაქთა თვითმმართველობებს, ვაჭრებს და აგრეთვე მრეწველებს, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ გლეხთა ცხოვრებასთან»*.

ამ საბუთით მენშევიკები და ესერები აშკარად ნათელყოფდნენ, რომ მათი ბრძოლა გლეხთა მიერ მიწების «თვითნებური» დატაცების წინააღმდეგ და აგრარული საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურება მათ მიერ დამფუძნებელ კრებამდე, ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესების სასარგებლოდ ტარდებოდა.

კავკასიის არმიაშიც იზრდებოდა რევოლუციური განწყობილება ჯარისკაცთა შორის, იზრდებოდა კომუნისტური პარტიის გავლენა. ეს იყო შედეგი არა მარტო დიდი საპროპაგანდო-სააგიტაციო მუშაობისა, რომელსაც კომუნისტები ჯარისკაცთა შორის ეწეოდნენ, არამედ იგი ქვეყნად შექმნილი პოლიტიკური ვითარებითაც იყო განპირობებული.

კავკასიის არმიის ყრილობის დროს ტარდებოდა აგრეთვე ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საგარნიზონო საბჭოს არჩევნები. მაშინ როცა კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოში არც ერთი კომუნისტი არ იქნა არჩეული, ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საგარნიზონო საბჭოში, რომელიც 15 მაისს აირჩიეს, კომუნისტებს ესერებისა და მენშევიკების შემდეგ ყველაზე ძლიერი ფრაქცია ყავდათ.

1917 წ. 26 მაისს თბილისში მოხდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გაერთიანება.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 2, ს. 77, გვ. 1.

10 ივნისს მოეწყო დამატებითი არჩევნები არმიიდან დეპუტატთა საბჭოში. არჩეულ იქნა 14 ბოლშევიკი, 12 ესერი და 8 მენშევიკი. საბჭოში დეპუტატებად მეტწილად ჯარისკაცები აირჩიეს.

ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ოქმების წინასიტყვაობაში (ეს ოქმები გამოიცა 1920 წ.) მენშევიკი ავტორები იძულებული იყვნენ აღენიშნათ არმიაში კომუნისტური გავლენის არაჩვეულებრივი ზრდა, 1917 წ. მაისიდან მოყოლებით მთელი პოლკების გადაქცევა ბოლშევიკურ პოლკებად-

არმიაში იზრდებოდა უნდობლობა მენშევიკურ-ესერული საბჭოებისა და კომიტეტების მიმართ, ჯარისკაცები მოითხოვდნენ მათ გადარჩევას. თბილისში მიტინგზე ჯარისკაცები აღარ ემორჩილებოდნენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტთა წევრებს. ივნისში იყო შემთხვევა, როცა ჯარისკაცები შეიჭრნენ სასახლეში, სადაც მოთავსებული იყო აღმასრულებელი კომიტეტი და სურდათ კომიტეტის წევრთა თვითგასამართლება.

სულ უფრო აქტიური ხდებოდა პროტესტი ომის წინააღმდეგ, განსაკუთრებით დროებითი მთავრობის 1917 წლის 18 აპრილის აშკარა ანტიხალხური აქტის—საგარეო საქმეთა მინისტრ კადეტ მილიუკოვის ნოტის შემდეგ. ამ ნოტაში მან მოკავშირეებს განუცხადა: «მთელი ხალხი ისწრაფვის გადამწყვეტ გამარჯვებამდე მიიყვანოს მსოფლიო ომი და დროებით მთავრობას განზრახული აქვს მთლიანად დაიცვას ვალდებულებანი ჩვენი მოკავშირეების მიმართ».

კავკასიის არმიის ზოგიერთი ნაწილი თავის რეზოლუციებში მოითხოვდა გამოექვეყნებიათ მეფის საიდუმლო ხელშეკრულებანი იმპერიალისტურ მთავრობებთან.

ჯარისკაცთა ერთ-ერთ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: «ჩვენ, სანგრებში მყოფი ჯარისკაცები, ვფიქრობთ, რომ ბოლო უნდა მოეღოს ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტას, დაჟინებით მოვითხოვთ, რათა დაუყოვნებლივ მოეთხოვოს დროებით მთავრობას ახლავე დაიწყოს მოლაპარაკება ზავზე... ჩვენ ამიერიდან აღარ უნდა ვემსახუროთ ომის მოლოხს, რომელმაც

ჩვენი გაპარტახებული სამშობლოს აურაცხელი შვილები იმსხვერპლა, და საჭიროდ არ მიგვაჩნია კვლავაც ასეთი სისხლიანი მსხვერპლით ვაკმაყოფილებდეთ გაუმაძღარი კაპიტალისტების ხარბ მადას. ბოლოს და ბოლოს, უნდა ისმინონ ჩვენი—ჯარისკაცების ხმა, ვინაიდან დღემდე იგი იყო მხოლოდ ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა» *.

მასობრივ ხასიათს იღებს დაძმობილება და ფრონტის თვითნებურად მიტოვება ჯარისკაცების მიერ. კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს არასრული ცნობებით, 1917 წ. ზაფხულზე ფრონტი თვითნებურად მიუტოვებია 128 ათას ჯარისკაცს. ჯარისკაცებს არ სურდათ ბრმად დამორჩილებოდნენ ოფიცრებს, ცალკეული ნაწილები არ მიდიოდნენ ბრძოლებში, გახშირდა ყველაზე რეაქციული ოფიცრების მოკვლის შემთხვევები.

ის გარემოება, რომ ზავისა და მიწის საკითხი გადაუჭრელი რჩებოდა, უბიძგებდა ჯარისკაცთა მასებს ბრძოლისაკენ ძალაუფლების გადასვლისათვის მუშებისა და უღარიბესი გლეხობის ხელში.

«თავისუფალი რომ ვიყოთ,—წერდნენ თბილისის გარნიზონის ერთ-ერთი ნაწილის ჯარისკაცები,—უნდა შევქმნათ ჩვენი მთავრობა ჯარისკაცებისა, მოჯამაგირეებისა, გლეხებისა და მუშებისაგან. აი ეს იქნება ერთადერთი მთავრობა, რომელსაც შეიძლება «ახალი» ეუწოდოთ. ბოლოს ისე გამოდის, რომ ჩვენს წინაშეა ურჩხული—ომი, რომელიც ჩვენ თვალწინვე გვნთქავს, და ეს ურჩხული უნდა მოვსპოთ. მაგრამ რადგან ერთბაშად და მალე ამის შესაძლებლობა არ არის, საჭიროა დავყოთ ის ნაწილებად: პირველი ნაწილი—ეს არის დროებითი ზავი. გაუმარჯოს დროებით ზავს, სრულ ზავს კი შეკრავს მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა და მოჯამაგირეთა დეპუტატებისაგან შემდგარი, ჩვენს მიერ დანიშნული მთავრობა»**.

---

* «კავკასიკი რაბოჩი» № 35, 1917 წ.

** «კავკასიკი რაბოჩი» № 56, 1917 წ.

კავკასიის არმიის ჯარისკაცთა შორის ძლიერდება ინტერესი ბოლშევიკური ლიტერატურისა და გაზეთ «კავკაზსკი რაბოჩისადმი», რომელიც ჯარისკაცთა საყვარელი გაზეთი ხდება ფრონტზე და ზურგში. თბილისის გარნიზონის ბევრი ჯარისკაცი გაზეთ «კავკაზსკი რაბოჩის» იწერდა არა მარტო თავისთვის, არამედ ფრონტის ნაწილებისთვისაც.

კავკასიის მე-4 მუშათა ბატალიონის ჯარისკაცებმა მათ მიერ შეკრებილი 1939 მან. 88 კაპიკი გაუგზავნეს «კავკაზსკი რაბოჩის» რედაქციას და თან მისწერს მას:

«იცოდეთ, ამხანაგებო, რომ იმ მომენტში, როდესაც საშიშროება ბურჟუაზიის მხრით მზადაა კატასტროფად იქცეს ჩვენი დემოკრატიული თავისუფლებისათვის, იმ მომენტში ჩვენი ხიშტები, თოფისწამალი და ტყვია, რაც მოცემული გვაქვს საგარეო მტრისათვის, ასევე მარჯვედ იქნება გამოყენებული შინაური მტრის, ხალხის მტრის წინააღმდეგაც»*.

კომუნისტებმა ჯარისკაცებს შორის ფრონტზე და ზურგში ჩაშალეს რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. თუ როგორი იყო ჯარისკაცების დამოკიდებულება აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებისადმი, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, მაგალითად, 261-ე ახულგოს პოლკის მე-8 ასეულის ჯარისკაცთა წერილის მიხედვით, რომელიც მათ «კავკაზსკი რაბოჩის» გაუგზავნეს:

«წავიკითხეთ ჩვენთვის საყვარელ თქვენს გაზეთში რსდმპ-იის სრულიად რუსეთის კონფერენციის რეზოლუცია, გავარჩიეთ იგი და დავინახეთ, რომ არც ერთი სხვა პარტიის პროგრამა არ მიიღება, რადგან არც ერთი მათგანი არ მიგვითითებს ჩვენ იმაზე, თუ სახელდობრ ვის აწვება ომის თვითეული დღე და საათი, ვინ ზიანდება მისგან და ვინ დაზიანდება. ჩვენ გაზეთ «კავკაზსკი რაბოჩის» ვკითხულობთ და დავრწმუნდით, რომ ამ ომის მთელი სიმძიმე პროლეტარიატს აწვება...

---

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 40, 1917 წ.

ვუძღვნით გულითად, ძმურ სალამს და ვუსურვებთ აყვავებას ბოლშევიკებს, მშრომელთა მასების ნამდვილ კეთილისმყოფელთ და მათი საუკეთესო მომაელისათვის მებრძოლთ»*.

კომუნისტების გამოსვლა მიტინგებზე ჯარისკაცებს შორის სულ უფრო და უფრო მეტი წარმატებით სარგებლობდა. ჯარისკაცები სულ უფრო და უფრო ხშირად ამბობენ უარს სხვა პარტიათა წარმომადგენლების მოსმენაზე. თბილისში ასეთი მიტინგები ჩვეულებრივად ალექსანდრეს ბაღში ეწყობოდა. მაგალითად, 31 მაისს გაიმართა აქ მიტინგი, რომელზეც მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია. მიტინგის მონაწილე — ჯარისკაცები რევოლუციური სიმღერებით გაემართნენ გაზეთ «კავკაზსკი რაბოჩის» რედაქციის შენობისაკენ. რედაქციის შენობასთან გამართულ სახელდახელო მიტინგის შემდეგ ჯარისკაცებმა შიიღეს კომუნისტების სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციის რეზოლუცია და გაზეთ «კავკაზსკი რაბოჩის» უკანასკნელი ნომრები. ქუთაისში იყო შემთხვევა, როცა აღშფოთებულმა ჯარისკაცებმა დაარბიეს სოციალ-ფედერალისტების გაზეთის რედაქცია.

რევოლუციური მოვლენები მთელს ქვეყანაში დიდი სისწრაფით ვითარდებოდა. 1917 წ. 3 ივნისს გაიხსნა საბჭოების I სრულიად რუსეთის ყრილობა. ყრილობის უმეტესობას ესერები და მენშევიკები შეადგენდნენ. კომუნისტებმა ყრილობა გამოიყენეს ბურჟუაზიასთან შეთანხმების დამღუპველობისა და მიმდინარე ომის მტაცებლური, იმპერიალისტური ხასიათის გამოსააშკარავებლად.

ყრილობაზე ლენინმა გადაჭრით ამხილა მენშევიკი წერეთელი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბურჟუაზიასთან შეუკავშირებლად რევოლუცია დაიღუპება და რომ რუსეთში არ არის ისეთი პარტია, რომელიც დათანხმდება ხელთ აიღოს ძალაუფლებაო. ლენინმა განაცხადა, რომ ასეთი პარტია არსებობს და ეს არის ბოლშევიკური პარტია, რომელიც ყოველ წუთს მზად არის მთლიანად აიღოს ხელში ძალაუფლებაო.

---

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 60, 1917 წ.

ლენინმა თავის გამოსვლაში ჩამოაყალიბა მომავალი საბჭოთა ხელისუფლების პროგრამა. მან განაცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთადერთი ხელისუფლებაა, რომელსაც შესწევს უნარი მისცეს მშრომელებს პური და გლეხებს მიწა, მიაღწიოს ზავს, იხსნას ქვეყანა ნგრევისაგან.

ამ პერიოდში დაწერილ მთელ რიგ სტატიებში ლენინი განმარტავდა, რომ ეგრეთწოდებული კოალიციური დროებითი მთავრობა, რომელიც რუსეთში 1917 წ. მაისს შეიქმნა, ეს არის კაპიტალისტების კავშირი მენშევიკებისა და ესერების ლიდერებთან რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, მის სალიკვიდაციოდ.

იმ დროს, როდესაც ყრილობა მიმდინარეობდა, პეტროგრადის მუშები კომუნისტების ხელმძღვანელობით ემზადებოდნენ მასობრივი დემონსტრაციისათვის და თავიანთ მოთხოვნათა წარსადგენად ყრილობისათვის. მენშევიკები და ესერები შეეცადნენ ჩაეშალათ ეს «თვითნებური» დემონსტრაცია, რომელიც აშკარა ბოლშევიკური ლოზუნგებით უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ ეს მათი ცდა სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

პეტროგრადის მუშათა 18 ივნისის დემონსტრაცია—ეს იყო კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამარჯვებისა და მენშევიკ-ესერთა შემთანხმებლური პარტიების კრახის ბრწყინვალე დადასტურება.

18 ივნისს დროებითი მთავრობის ბრძანებით, მთავრობისა, რომელსაც მხარი დაუჭირა საბჭოების I ყრილობამ და რომელიც ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების ნებას ასრულებდა, დაიწყო რუსეთის ჯარების შეტევა ფრონტზე. ბურჟუაზია ვარაუდობდა შეტევის წარმატების შემთხვევაში ხელთ ეგდო მთელი ძალაუფლება შემთანხმებლური პარტიების დახმარებით, გაენაპირებია საბჭოები და ამრიგად ბოლო მოეღო რევოლუციისათვის.

საქართველოს, ისე როგორც მთელი ქვეყნის, კომუნისტები წარმატებით ააშკარაკებდნენ მასების წინაშე დროებითი

მთავრობის მიერ ფრონტზე დაწყებული შეტევის ნამდვილ აზრს.

«კავკაზსკი რაბოჩი» წერდა: «შეტევა გამოცხადებულია. სისხლის ღვრა დაიწყო. თითქოს საკმაო არ იყოს ის უთვალავი მსხვერპლი, რაც ხალხმა ომის საკურთხეველზე მიიტანა, თითქოს საკმაოდ არ გაიჟლიტნენ, დასახიჩრდნენ დადამახინჯდნენ მუშები და გლეხები. კვლავ დაიღვრება ხალხის სისხლის ახალი მდინარეები, აღიმართება გვამთა, ახალი მთები. ბურჟუაზიამ თავისი საქმე გააკეთა, მან თავის მიზანს მიაღწია»*.

გერმანია-ავსტრიის ფრონტზე შეტევასთან დაკავშირებით 25 ივნისს თბილისში, თავისუფლების მოედანზე, კომუნისტების ინიციატივით გაიმართა გარნიზონის მიტინგი, რომელსაც 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი დაესწრო.

მიტინგის მომზადებაში განსაკუთრებით აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკურად განწყობილი 218-ე საგუშაგო ბატალიონი.

კომუნისტები გამოდიოდნენ საბრძოლო ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს», «ძირს 10 მინისტრი—კაპიტალისტი!», «მოვითხოვთ შეტევის დაუყოვნებლივ შეჩერებას». მიტინგზე ფრონტიდან ჩამოსული ჯარისკაცებიც გამოდიოდნენ. ისინი ლაპარაკობდნენ ჯარისკაცთა მასების მძიმე მდგომარეობაზე მათ შორის უკმაყოფილებისა და რევოლუციური განწყობილების ზრდაზე. მენშევიკებსა და ესერებს ამ მიტინგზე გამოსვლის საშუალებაც არ მისცეს. მიტინგმა კომუნისტების მიერ წარდგენილი რეზოლუცია მიიღო. ამ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ შეტევაზე გადასვლის ბრძანება არ შეიძლება თავისუფალი ხალხის ბრძანება იყოს. ეს ბრძანება გასცა ბურჟუაზიამ, რომელიც ომის საკითხს თავის სასარგებლოდ წყვეტსო. რეზოლუცია დასასრულ მოითხოვდა ქვეყნად

---

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 81, 1917 წ.

ძალაუფლების გადაცემას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში.

«მუშები და ჯარისკაცები,—წერდა გაზეთ «კავკაზსკი რაბოჩი» გარნიზონის 25 ივნისის მიტინგის გამო,—საღი გონებით გრძნობენ, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია (ბოლშევიკებისა) — ახლანდელ მომენტში ეს არის პროლეტარიატისა და სოფლის ღარიბი გლეხობის, დემოკრატიისა და არმიის ინტერესების ერთადერთი დამცველი. ამით აიხსნება ის მნიშვნელოვანი წარმატება, რომელიც ჩვენს პარტიას წილად ხვდა 25 ივნისს»*.

ქართველ მენშევიკებსა და ესერებს არ შეეძლოთ დაეფარათ თავიანთი დამარცხება მასებში და კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდა. 26 ივნისს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ამასთან დაკავშირებით სპეციალურად გამოვიდა ნ. ჟორდანია. მიღებულ იქნა მისი წინადადება: გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ «პრბოს ბატონობის» წინააღმდეგ და ამ მიზნით «ვიყოლიოთ შეიარაღებული ძალაო».

მენშევიკებმა წამოაყენეს აგრეთვე გაზეთ «კავკაზსკი რაბოჩის» დახურვის საკითხი.

ბოლშევიკურად განწყობილი სამხედრო ნაწილები სასწრაფოდ გაიყვანეს ქალაქიდან და ფრონტზე გაგზავნეს.

დროებითი მთავრობის მიერ წამოწყებულმა შეტევამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მუშათა და ჯარისკაცთა მასებში, რომლებიც თვალნათლივ დარწმუნდნენ იმაში, რომ დროებითი მთავრობა მხოლოდ ლაყბობს მშვიდობიან პოლიტიკაზე, ატყუებს ხალხს, ნამდვილად კი იმპერიალისტური ომის განგრძობას ემხრობა.

მუშებისა და ჯარისკაცების რევოლუციური აღშფოთების გამოხატულებას წარმოადგენდა პეტროგრადში 3 ივლისს სტიქიურად წარმოშობილი დემონსტრაცია. დემონსტრანტები საბჭოებისაგან მოითხოვდნენ ხელში აეღოთ ძალაუფლება,

---

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 85, 1917 წ.

კავშირი გაეწყვიტათ იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან და შეეკრათ დემოკრატიული ზავი. დემონსტრაციის მშვიდობიანი ხასიათის მიუხედავად, დროებითი მთავრობა შეიარაღებული ძალებით გაუსწორდა დემონსტრანტებს, რისთვისაც ფრონტიდან გამოიწვია ყველაზე უფრო ბნელი კონტრრევოლუციური სამხედრო ნაწილები და გამოიყვანა იუნკერთა და ოფიცერთა რაზმები. დაჭრილ და მოკლულ იქნა ბევრი მუშა და ჯარისკაცი. მენშევიკებმა და ესერებმა შეიარაღებული ძალით ჩაახშეს მშრომელთა დემონსტრაცია და ბურჟუაზიასთან კავშირში თავს დაატეხეს კომუნისტურ პარტიას სასტიკი რეპრესიები. კომუნისტური გაზეთები დახურეს და მრავალი კომუნისტი დააპატიმრეს. დროებითმა მთავრობამ გამოსცა ბრძანება ლენინის დაპატიმრების შესახებ.

ბურჟუაზია უკვე ზეიმობდა იოლ გამარჯვებას. მან გამოაცხადა, კომუნისტური პარტია ლიკვიდირებულიაო. მაგრამ ნამდვილად სხვაგვარი მდგომარეობა იყო. ამხანაგ სტალინის მიერ დაწერილ მიმართვაში «პეტროგრადის ყველა მშრომელს, ყველა მუშასა და ჯარისკაცს», რომელიც მიიღო კომუნისტების პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციამ, ნათქვამი იყო:

«არა, ბატონო კონტრრევოლუციონერებო, რევოლუცია არ მომკვდარა, ის მხოლოდ მინელდა იმისათვის რომ შემოიკრიბოს ახალი მომხრენი და ახალი ძალით ეკვეთოს მტრებს» *.

ივლისის ამბების შემდეგ პოლიტიკური ვითარება რუსეთში მკვეთრად შეიცვალა. დამთავრდა ორხელისუფლებიანობა, რადგან მთელი ძალაუფლება ბურჟუაზიულ-მემამულური რეაქციის ხელში გადავიდა, ხოლო საბჭოები, რომლებსაც მენშევიკები და ესერები ხელმძღვანელობდნენ, დროებითი მთავრობის უბრალო დამატებად გადაიქცნენ. ამიტომ კომუნისტებმა ლოზუნგი—«მთელი ძალაუფლება საბჭოებს, დროებით მოხსნეს (ლაპარაკი იყო იმ საბჭოებზე, რომლებ-

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 159.

საც მენშევიკები და ესერები ხელმძღვანელობდნენ), რაც სრულიადაც იმას არ ნიშნავდა, რომ მათ ხელი აიღეს ბრძოლაზე საბჭოებისათვის, როგორც მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციურ ორგანოთა, ხელისუფლებისათვის. ამ ხელისუფლების აღება ახლა მხოლოდ ძალით, დროებითი მთავრობის დამხობით შეიძლებოდა. დამთავრდა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პერიოდი, დღის წესრიგში დაისვა სოფლის ღარიბ გლეხობასთან შეკავშირებით პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყების, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობის საკითხი.

პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო კომუნისტური პარტია იძულებული იყო იატაკქვეშ მუშაობაზე გადასულიყო. ვ. ი. ლენინმა, დროებითი მთავრობის ჯაშუშებისაგან ღრმა იატაკქვეშ მიმალულმა, დაიწყო აჯანყების მზადება შეიარაღებული ძალით ბურჟუაზიის ხელისუფლების დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

პირველი ცნობების მიღებისას პეტროგრადში მომხდარი ამბების შესახებ რსდმპ (ბ) სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა ვერ შეძლეს ერთბაშად დაეკავებინათ სწორი პოზიცია, რადგან ინფორმაცია საქმის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ დამახინჯებული იყო. მათ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრის სხდომაზე წარადგინეს რეზოლუცია, რომლითაც ნდობას უცხადებდნენ საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, და სხვა პარტიებთან ერთად ხელი მოაწერეს მოწოდებას მოსახლეობისადმი სიმშვიდის დაცვის შესახებ. კომუნისტების სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მიღებულ იქნა წერილი რსდმპ (ბ) ცკ-დან, გამოასწორეს დაშვებული შეცდომა და დაიკავეს სწორი პოზიცია იმ ამბებისადმი, რაც ქვეყნად ხდებოდა პეტროგრადში მუშათა და ჯარისკაცთა დემონსტრაციის ჩახშობის შემდეგ.

8 ივლისს ალექსანდრეს ბაღში გამართულ მრავალრიცხოვან მიტინგზე მიღებულ იქნა კომუნისტების რეზოლუცია,

რომელიც სწორად აფასებდა პეტროგრადში მომხდარ ივლისის ამბებს და გმობდა რეპრესიებს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

ამ დროს მოწვეულმა რსდმპ (ბ) თბილისის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია «მიმდინარე მომენტზე პეტროგრადში ივლისის ამბებთან დაკავშირებით». რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ «ახლოვდება პროლეტარიატის იდეალების გამარჯვების ჟამი, რომ პეტროგრადის რევოლუციური პროლეტარიატი და ჯარების რევოლუციური ნაწილი გადამწყვეტ ბრძოლაში კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან და წვრილბურჟუაზიული ფენების იდეოლოგიასთან ამჟამად დიდი სოციალური მოძრაობის ავანგარდში დგას»*. შემდეგ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ რევოლუციის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანის, პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

არაჩვეულებრივი დევნისა და რეპრესიების ვითარებაში კომუნისტები შეუპოვრად და დაუღალავად განაგრძობდნენ მუშაობას მასების მოსამზადებლად მომავალი ბრძოლისათვის სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად.

თბილისში აგვისტოს დამდეგისათვის განზრახული იყო ქალაქის გამგეობის არჩევნები.

თბილისის კომუნისტურმა ორგანიზაციამ უარყო რაიმე შეთანხმება ობორონცებთან[30], იგი დამოუკიდებელი სიით გამოვიდა და საბჭოში 7 ადგილი მიიღო. ახლადარჩეულ საქალაქო გამგეობის პირველსავე სხდომაზე 7 აგვისტოს გამოქვეყნდა კომუნისტური ფრაქციის დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამი იყო:

«ხელისუფლების კრიზისი სულ უფრო მწვავდება და ღრმავდება. შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია მთელი ძალაუფლების გადასვლა რევოლუციური პრო-

---

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 97, 1917 წ.

ლეტარიატისა და გლეხობის ხელში მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოების სახით. მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შეუძლია გადაჭრას რევოლუციის მიერ წამოყენებული ძირითადი საკითხი. მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველყოს ხალხთა ურთიერთ პატივისცემის საფუძვლებზე ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ, ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე დაყრდნობილი. მხოლოდ მას შეუძლია მიიყვანოს რევოლუცია ბოლომდე, დააკმაყოფილოს მუშები, გადასცეს მთელი მიწა გლეხებს, იხსნას ქვეყანა უცილობელი დაღუპვისაგან.*.

კომუნისტებმა ფართო ახსნა-განმარტებითი, სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს სამხედრო ნაწილებში. ეს მუშაობა მიმართული იყო იმ რეპრესიების წინააღმდეგ, რაც ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ თავს დაატეხა კომუნისტებს და რევოლუციურ ჯარისკაცებს, ზურგში სიკვდილით დასჯის აღდგენის წინააღმდეგ, მიმდინარე მტაცებლური ომის წინააღმდეგ. მრავალრიცხოვან მიტინგზე ალექსანდრეს ბაღში, ცალკეულ სამხედრო ნაწილებში ბოლშევიკურ რეზოლუციებს იღებდნენ. კომუნისტური პარტია სულ უფრო და უფრო ახლობელი და მშობლიური ხდებოდა ჯარისკაცთა მასებისათვის, რადგან მხოლოდ მას შესწევდა უნარი დაეცვა მშრომელთა ინტერესები. ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის კრებაზე იხილავდნენ საკითხს, თუ რომელი პოლიტიკური პარტიაა ყველაზე სამართლიანი. ამასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: «... სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ბოლშევიკურ პარტიას მივყავართ სოციალისტური ცხოვრებისაკენ, ეს პარტია მზეზე უფრო ნათელია, ამ პარტიაში ჩვენ ვხედავთ სიმართლისა და სამართლიანობის სხივებს. მხოლოდ მარტოოდენ ეს პარტია ცდილობს მოსპოს ყოველგვარი ექსპლოატაცია, მხოლოდ ეს პარტია შეძლებს კიდეც გამოგვიყვანოს ჩვენ, ამხანაგი ჯარისკაცები და მუშები, ცხოვრების ჭეშმარიტად სწორ გზაზე, მხოლოდ ამ

---

* «ყაზახსკი რაბოჩი» № 121. 1917 წ.

პარტიას შეუძლია აღადგინოს ინტერნაციონალიზმი და მშვიდობა მთელ ქვეყანაზე. ჩვენ, ჯარისკაცებმა, გადავწყვიტეთ მთელი ძალღონით მხარი დავუჭიროთ ამ პარტიას როგორც მატერიალურად, ისე ფიზიკურად»*.

კავკასიის არმიის სარდლობამ გაითვალისწინა კომუნისტების გავლენის სწრაფი ზრდა ჯარისკაცებს შორის და მენშევიკ-ესერების დახმარებით აშკარად შეუტია რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებს. ფართოდ ხორციელდებოდა რევოლუციურად განწყობილი ნაწილების დაშლა და მათი ერთი რაიონიდან მეორეში გადასროლა. ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცების წინააღმდეგ იყენებდნენ რეპრესიებს, კვეცავდნენ ჯარისკაცთა კომიტეტების უფლებებს. იყო შემთხვევა, როდესაც გენერალმა ჩაპლიგინმა ტრაპიზონში დააკავა პეტროგრადის საბჭოს სამი წარმომადგენელი— ზახაროვი, უგაროვი და სკალოვი და აუკრძალა მათ ჯარისკაცთა მიტინგზე გამოსვლა. კავკასიის არმიის სარდლის 1917 წლის 15 ივლისის ბრძანებით აკრძალული იყო მიტინგებისა და კრებების მოწყობა გარნიზონის აღმასრულებელი კომიტეტების უნებართვოდ. იმ პირებს, რომლებიც ეწეოდნენ აგიტაციას შეტევის წინააღმდეგ, აპატიმრებდნენ და სამართალში აძლევდნენ. კავკასიის არმიის სარდლობამ 1917 წ. აგვისტოში გამოსცა ბრძანება, რომელიც კრძალავდა გაზეთ «კავკაზსკი რაბოჩის» კითხვას და გავრცელებას არმიაში.

კავკასიის არმიაში ადგენდნენ მოხალისეთა «სიკვდილის ბატალიონებს» და აგროვებდნენ კონტრრევოლუციურ ოფიცერთა კავშირის წევრებს.

* * *

პარტიის შემდგომ მოღვაწეობასა და რევოლუციის განვითარებაში გადამწყვეტი მომენტი იყო რსდმპ (ბ) VI ყრილობა, რომელიც არალეგალურად მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წ. 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე. ლენინი ამ დროს

---

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 98. 1917 წ.

იძულებული იყო დამალეოდა დროებითი მთავრობის ჯაშუშებს და ეცხოვრა ქოხში სადგურ რაზლივის მახლობლად. იგი ყრილობას ხელმძღვანელობდა იატაკქვეშიდან თავისი უახლოესი თანამებრძოლების — სტალინის, სვერდლოვის, მოლოტოვისა და ორჯონიკიძის საშუალებით. პარტიის VI ყრილობას კომუნისტთა თბილისის ორგანიზაციიდან დაესწრო 3 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 2.685 წევრს.

ამხანაგი სტალინი ყრილობაზე გამოვიდა ცკ-ის საანგარიშო მოხსენებით და აგრეთვე მოხსენებით პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. თავის მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა მკვეთრად დაასაბუთა კომუნისტური პარტიის ამოცანები და ტაქტიკა ახალ პირობებში, სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის პირობებში.

ამხანაგი სტალინი გადაჭრით წინ აღუდგა ყრილობაზე ტროცკისტებს, რომლებიც გამოვიდნენ წინააღმდეგ ლენინის მიძღვრებისა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

ამხანაგი სტალინი გადაჭრით უარყოფდა ტროცკისტების შეხედულებას, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ რუსეთი შეიძლება წარმართულ იქნას სოციალისტური რევოლუციის გზით მხოლოდ მაშინ, თუ დასავლეთში პროლეტარული რევოლუცია მოხდებაო.

რსდმპ (ბ) VI ყრილობამ ლენინის დირექტივების საფუძველზე პარტიის ამოცანად დასახა შეიარაღებული აჯანყება. სოციალისტური რევოლუცია, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ყრილობის მიერ არჩეულმა კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უდიდესი მუშაობა გააჩაღა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.

* * *

1917 წ. 12 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა დროებითი მთავრობის მიერ მოწვეული სახელმწიფო თათბირი. მისი მიზანი

იყო კონტრრევოლუციის ძალების მობილიზაცია რევოლუციის ჩასახრჩობად.

კომუნისტური პარტიის ცკ-ის მოწოდებით რუსეთში აზვირთდა საპროტესტო ტალღა სახელმწიფო თათბირის მოწვევის წინააღმდეგ. თათბირის გახსნის დღეს მოსკოვში კომუნისტებმა ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ზრახვების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მუშათა საყოველთაო გაფიცვა მოაწყვეს. მოსკოვის თათბირი, მასზე კერენსკის გამოსვლა, რომელიც იმუქრებოდა რევოლუციური მოძრაობის «ცეცხლითა და მახვილით» ჩახშობას, გენერალ კორნილოვის მოთხოვნა «გაუქმებულიყო კომიტეტები და საბჭოები» და სხვა კონტრრევოლუციონერების ყოფაქცევა — ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ მზადდებოდა შეთქმულთა აშკარა გამოსვლა რევოლუციის წინააღმდეგ. დროებითი მთავრობის დახმარებით კონტრრევოლუციურ სამხედრო შეთქმულებას ამზადებდა გენერალი კორნილოვი. 25 აგვისტოს დაიწყო კორნილოვის კონტრრევოლუციური ამბოხება. იგი რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის ნებასურვილს ასრულებდა. მან პეტროგრადში გაგზავნა ცხენოსანთა მე-3 კორპუსი გენერალ კრიმოვის სარდლობით.

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა მუშებსა და ჯარისკაცებს აქტიური შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ კონტრრევოლუციის ძალებისათვის.

მოწოდებაში ნათქვამი იყო:

«ჯარისკაცებო და მუშებო! ძმურად დაკავშირებულებმა, თებერვლის დღეებში დაღვრილი სისხლით შემჭიდროებულმა უჩვენეთ კორნილოვებს, რომ კორნილოვები კი არ ჩაახშობენ რევოლუციას, არამედ რევოლუცია დაამსხვრევს და აღგვის პირიდან მიწისა ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ცდებს»*.

პეტერბურგის მუშებმა, რევოლუციურმა სამხედრო ნაწილებმა და წითელგვარდიელთა რაზმებმა კომუნისტების ხელმძღვანელობით გაანადგურეს კონტრრევოლუციური მეამბოხენი, რომლებიც ცდილობდნენ ცარიზმის აღდგენას რუსეთში.

---

* «რაბოჩი» № 8. 1917 წ.

კომუნისტების პარტია, რომლის მეოხებით მიღწეულ იქნა გამარჯვება კორნილოვშჩინაზე, წარმოდგა ხალხის წინაშე როგორც რევოლუციის გადამწყვეტი ძალა, რომელსაც შესწევდა უნარი დაეცვა კონტრრევოლუციის ყოველგვარი ცდა.

კორნილოვის აჯანყებამ დაამტკიცა, რომ ბურჟუაზია მზად იყო წასულიყო ყოველგვარ დანაშაულზე, ოღონდაც თავისი ხელისუფლება შეენარჩუნებინა. სტატიაში «უცხოელები და კორნილოვის შეთქმულება» ი. ბ. სტალინი ააშკარავებდა რუსეთის ბურჟუაზიის გამყიდველობას, მის დამოკიდებულებას უცხოეთის იმპერიალიზმისაგან და წერდა:

«ცნობილია, რომ «Times»-ისა და ლონდონის იმპერიალისტური ხროვის აგენტი ავანტიურისტი ალადინი, რომელიც ინგლისიდან პირდაპირ მოსკოვის თათბირზე ჩამოვიდა, შემდეგ კი მთავარბანაკში «წაბრძანდა»,—კორნილოვის შეთქმულების სული და გული იყო.

ცნობილია, რომ რუსეთში მყოფი ყველაზე თვალსაჩინო საელჩოს ერთი ვინმე თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯერ კიდევ ივნისში გარკვეულად ჩაება კალედინთა და სხვათა კონტრრევოლუციურ საქმიანობაში და მათთან თავის კავშირს თავის პატრონთა სალაროდან მიღებული საგრძნობი სუბსიდიებით ამაგრებდა» *.

კომუნისტური პარტიის გავლენა რუსეთში არაჩვეულებრივად გაიზარდა. დაიწყო საბჭოების ბოლშევიზაციის, მათი გამოცოცხლებისა და განახლების პერიოდი. კომუნისტებმა უმრავლესობა მიიღეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოებში და აგრეთვე უპირატესი გავლენა მოიპოვეს ქვეყნის სხვა რაიონების საბჭოებშიც. მშრომელ გლეხთა ფართო მასებმა გარკვევით იწყეს მობრუნება კომუნისტური პარტიისაკენ, ღარიბი გლეხების მასა კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო.

---

* ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 3, გვ. 325.

კვლავ დღის წესრიგში დადგა ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს», რაც იყო ლოზუნგი საბჭოების აჯანყებისა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ.

დაიწყო კაპიტალიზმზე გადამწყვეტი იერიშის ორგანიზაციის პერიოდი.

კორნილოვშჩინის განადგურების შემდეგ საქართველოს კომუნისტები, შეიარაღებულნი პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებით, ახალი ენერგიით განაგრძობდნენ ამიერკავკასიასა და საქართველოში დროებითი მთავრობის ორგანოს— «ოზაკომის», მენშევიკების, ესერების და სხვა შემთანხმებლების კონტრრევოლუციური პოლიტიკის მხილებას. კომუნისტებმა გაშალეს მუშაობა სოციალისტური რევოლუციისათვის, იმისათვის, რომ ახალ პირობებში განხორციელებულიყო ლოზუნგი—«მთელი ძალაუფლება საბჭოებს».

ამ პერიოდში მთელი ამიერკავკასიისათვის უდიდესი გამარევოლუციონერებელი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოს პროლეტარიატის სექტემბრის გაფიცვას. ბაქოს პროლეტარიატმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა იმის შემდეგ, რაც დროებითმა მთავრობამ და მეწარმეებმა უარი განაცხადეს დაეკმაყოფილებინათ მისი მოთხოვნა კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ.

საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ა. ჯაფარიძე. მუშების ორგანიზებული გამოსვლით შეშინებული ნავთის მრეწველები იძულებული გახდნენ 2 ოქტომბერს ხელი მოეწერათ წინასწარ შეთანხმებაზე კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ. საგაფიცვო კომიტეტის მოწოდებით გაფიცვა შეწყდა 3 ოქტომბერს.

რსდმპ (ბ) ცკ-მა აღნიშნა ბაქოს გაფიცვის დიდი მნიშვნელობა და თავის დეპეშაში წერდა: «მივესალმებით ქალაქ ბაქოს რევოლუციურ პროლეტარიატს, რომელმაც აშკარა ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა ორგანიზებულ კაპიტალზე»*.

როგორც ცნობილია, რკინიგზელთა შორის ძლიერი იყო მენშევიკების გავლენა. მაგალითად, ქართველმა მენშევიკებმა

---

* «კავკასკი რაბოჩი» № 65, 1917 წ.

სექტემბერში შეძლეს ჩაეშალათ ამიერკავკასიის რკინიგზელების მონაწილეობა რუსეთის რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვაში. მაგრამ რკინიგზელთა შორისაც აშკარად მიმდინარეობდა შემთანხმებელთა პოლიტიკის ტყვეობიდან განთავისუფლების პროცესი.

18 ოქტომბერს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში სრული მარცხით დამთავრდა მენშევიკების ცდა ჩაეშალათ მიმდინარე მომენტისადმი მიძღვნილი კრება. კრებამ მიიღო კომუნისტების რეზოლუცია, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა:

«კრება... სთვლის, რომ სამშობლოს გადარჩენა მომავალი დაღუპვისაგან შეუძლია მხოლოდ ძალაუფლების გადასვლას დემოკრატიის ხელში მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოში მყოფ მისი წარმომადგენლების სახით»*.

პარტიის VI ყრილობის შემდეგ საქართველოს კომუნისტურმა ორგანიზაციამ მეტი ყურადღება მიაქცია მუშა ახალგაზრდობაში მუშაობას. ამ მხრივ იგი ხელმძღვანელობდა ყრილობის გადაწყვეტილებით «ახალგაზრდობის კავშირების შესახებ».

ამ გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო:

«... ჩვენი პარტია უნდა მიისწრაფოდეს იმისაკენ, რომ მუშათა ახალგაზრდობამ შექმნას დამოუკიდებელი ორგანიზაციები... ამჟამად, როდესაც მუშათა კლასის ბრძოლა გადადის სოციალიზმისათვის ბრძოლის უშუალო ფაზაში, ყრილობას მუშა ახალგაზრდობის კლასობრივი სოციალისტური ორგანიზაციების მხარდაჭერა მიაჩნია ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად და ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს მიაქციონ ამ მუშაობას რაც შეიძლება მეტი ყურადღება»**.

კომუნისტების ხელმძღვანელობით თბილისში, ქუთაისში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში დაიწყო ახალგაზრდობის პირველი სოციალისტური ორგანიზაციების შექმნა «სპარტაკის» სახელწოდებით. «სპარტაკის» თბილისის ორგა-

---

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 180, 1917 წ.

** რსდმპ (ბ) მეექვსე ყრილობის ოქმები. მ. 1934, გვ. 251.

ნიზაცია ერთ-ერთი უძლიერესი ორგანიზაცია იყო. მისი პირველი კრება მოწვეულ იქნა 1917 წ. 20 ნოემბერს ნაძალადევში მიხა ცხაკაიას[31] და პარტიის ახალგაზრდა წევრის ბორის ძნელაძის ხელმძღვანელობით.

1917 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში მნიშვნელოვნად გაძლიერდა აგრარული მოძრაობა, გაიზარდა გლეხების მიერ მემამულეთა, სახაზინო და საუფლისწულო მიწების დატაცება. მაგალითად, გლეხებმა დაიტაცეს არამიანცის მამულები ბორჩალოს მაზრაში, გიაურარხის საუფლისწულო მამული, ყარაიაზის საცდელი მინდორი და მრავალი სხვა. ხელისუფალნი სულ უფრო და უფრო ხშირად გზავნიდნენ სოფლად დამსჯელ რაზმებს.

მაგალითად, 12 სექტემბერს თბილისის გუბერნიის კომისარი მენშევიკი პოპოვი თავის მოხსენებაში კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის სახელზე წერდა:

«აუცილებელია სამხედრო ნაწილების ჩაყენება: თელავის მაზრაში—ერთი ასეულის, ბორჩალოს მაზრაში—შულავერში, ბაშკიჩეთში, ეკატერინოფელდსა და ჯელალოღლში ას-ასი კაცის, თბილისის მაზრაში—ნახევარი ასეულის» *.

26 სექტემბერს სიღნაღის სამაზრო კომისარმა დეპეშით მოითხოვა საიმედო ჯარის გაგზავნა: დაბა წითელწყაროში—400 კაცისა, ველისციხეში — 100, ლაგოდეხში—100 კაცისა და სხვ.. 4 სექტემბერს ჯარისკაცთა ასეულის მიშველებას მოითხოვდა თელავის მაზრის კომისარი **.

შულავერიდან დეპეშით იტყობინებოდნენ: «ხელისუფალნი უძლურნი არიან. გთხოვთ გამოგზავნოთ კაზაკები წესრიგის აღსადგენად ***.

ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელმა მენშევიკმა ჩხენკელმა კვლავ მოახდინა განკარგულება «მიეღოთ უაღრესად გადამწყვეტი ზომები გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ» ****.

---

* საქ. სსრ ცსსა, ს. 2492.
** იქვე, ს. 1800, ფ. 110
*** იქვე, ს. 126.
**** იქვე, ს. 1800, ფ. 143.

კორნილოვის აჯანყების განადგურების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა კომუნისტების გავლენა კავკასიის არმიაში.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიის ფრონტზე გადმოგზავნილმა 18 ათასმა ჯარისკაცმა—პეტროგრადში 3—5 ივლისის გამოსვლის მონაწილეებმა. მაგალითად, 150 მეტყვიამფრქვეველი გაგზავნეს კავკასიის სასწავლო სატყვიამფრქვევო რაზმში. მათ შორის იყვნენ კომუნისტური პარტიის წევრებიც. ამის გამო ეს რაზმი მალე ბოლშევიკების გავლენის ქვეშ მოექცა და 29 სექტემბერს მან ერთხმად მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია. აღნიშნული რაზმი შემდეგშიც კომუნისტების საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა. კორნილოვის კონტრრევოლუციური ავანტურა კომუნისტებმა გამოიყენეს ფართო სააგიტაციო მუშაობისათვის ჯარისკაცთა მასებში, მათი მობილიზაციისათვის ამოძრავებული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

კავკასიის არმიის სარდალი გენერალი ოდიშელიძე, ახასიათებდა რა არმიის მდგომარეობას კორნილოვის აჯანყების შემდეგ, წერდა:

«კორნილოვის გამოსვლის შემდეგ დისციპლინის უკანასკნელი ნიშანწყალიც კი გაქრა, ყველა ხარისხის უფროსთა ავტორიტეტი საბოლოოდ დაეცა; ოფიცერთა კორპუსსა და ჯარისკაცებს შორის გარდუვალი უფსკრული გაჩნდა. უფროსთა შემადგენლობამ საბოლოოდ დაკარგა ჯარისკაცთა ნდობა... უფროსთა როგორც საერთო ხასიათის, ისე საბრძოლო ბრძანებებმა დაკარგა თავისი საბრძოლო მნიშვნელობა. უსიტყვოდ სრულდებოდა მხოლოდ ის ბრძანებები, რომლებიც ასე თუ ისე ჯარისკაცებისათვის სასარგებლო და ხელსაყრელი იყო. როცა ეს საკითხები ნათელი იყო მათთვის, დანარჩენები ან სულ არ სრულდებოდა ან სრულდებოდა კომიტეტების, კომისრებისა და სამხედრო უფროსების მხრივ ხანგრძლივი მოთათბირების, ახსნა-განმარტებისა და დარწმუნების შემდეგ»*.

---

* საქ. სსრ ცსსა. ფ. 10, ს. 29, გვ. 36.

ჯარისკაცთა მასები მეტს აღარ ენდობოდნენ ესერებს და მენშევიკებს, რომლებიც მოკალათებული იყვნენ კომიტეტებსა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში. მათ უკვე კარგად ესმოდათ, თუ ვის ინტერესებს იცავდნენ მენშევიკები და ესერები[32]. ნაკლებად გამოხატავდა კავკასიის არმიის განწყობილებას აგრეთვე კავკასიის არმიის სამხარეო საბჭო, არჩეული ჯერ კიდევ 1917 წ. მაისის ყრილობაზე.

«არმიის სამხარეო საბჭოს ახლანდელი შემადგენლობა, — ნათქვამი იყო კავკასიის მსროლელთა საარტილერიო ბრიგადის 1-ლი და მე-4 ბატარეის ჯარისკაცთა კრების დადგენილებაში, — არჩეული რევოლუციის დასაწყისში არმიის პირველ ყრილობაზე, როცა ჯარისკაცთა მასებში პარტიული დაჯგუფება ის იყო იწყებოდა, რევოლუციის ნახევარი წლის შემდეგ, ჯარისკაცთა პოლიტიკურ განწყობილებებსა და პარტიულ დაჯგუფებებში მომხდარი ძლიერი ძვრის შემდეგ უკვე აღარ გამოხატავს არმიის ჯარისკაცთა რევოლუციურ ნებას, უკვე ვეღარ ჩაითვლება მათ სწორ პოლიტიკურ წარმომადგენლობად» *.

კავკასიის საბაზო საწყობის ჯარისკაცებმა თავიანთი 4 სექტემბრის დადგენილებით მოითხოვეს: «შემოწმებულ იქნას ყველა ის პირი, რომელიც შედის კომიტეტების და აგრეთვე საბჭოების შემადგენლობაში» და «დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნან... კომიტეტის თუ საბჭოს შემადგენლობიდან ყველა ისინი, ვისაც «მგლის გული აქვსო» **.

გაზეთი «კავკაზსკი რაბოჩი» 25 სექტემბერს ქუთაისში გამართულ საგარნიზონო მიტინგის შეფასებისას წერდა: «მასამ სავსებით ზურგი შეაქცია ესერებს და ბოლშევიკთა თვალსაზრისის შეთვისება იწყო. მასა დარწმუნდა, რომ მხოლოდ ბოლშევიკების პარტიაა ქალაქისა და სოფლის ღარიბთა ინტერესების გამომხატველი და დამცველი» ***.

---

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 178, 1917 წ.

** «კავკაზსკი რაბოჩი» № 145, 1917 წ.

*** «კავკაზსკი რაბოჩი» № 17, 1917 წ.

ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ კომუნისტები თბილისში, მთელი კავკასიის მხარის ამ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრში. თბილისში იყო მხარისა და კავკასიის ფრონტის მართვა-გამგეობის ყველა ორგანო, აქ იყო ოცი-ათასიანი გარნიზონი.

გარნიზონის ყველა დიდ ნაწილში არსებობდნენ კომუნისტური ორგანიზაციები, რომლებიც სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ ჯარისკაცთა მასებს შორის.

თბილისში კომუნისტების ხელში იყო არსენალი იარაღისა და საბრძოლო მასალის უდიდესი მარაგით. კომუნისტური პარტიის დირექტივებს ემორჩილებოდნენ ისეთი სამხედრო ნაწილები როგორიც იყო კავკასიის სასწავლო სატყვიამფრქვევო რაზმი, სათადარიგო ქვეითი ჯარის 218-ე საგუშაგო ბატალიონი, რომელიც ქალაქის უმნიშვნელოვანეს სამხედრო ობიექტებს იცავდა.

* * *

1917 წ. სექტემბრის დღეებში ლენინმა დაწერა ისტორიული წერილები: «მარქსიზმი და აჯანყება», «ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება». ამ წერილებში ლენინი—რევოლუციის დიდი სტრატეგი, — ემყარებოდა რა კლასობრივი ძალების თანაფარდობის, რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის ანალიზს, ძალაუფლების დაპყრობისათვის საჭირო ყველა პირობის გათვალისწინებით, გენიალურ პროგნოზს აკეთებდა: «...ჩვენ უ ცილობლად და უეჭველად გავიმარჯვებთო».

რევოლუციური აღმავლობა განსაკუთრებული სისწრაფით ძლიერდებოდა. ყველაფერი მოწმობდა, რომ გადამწყვეტი რევოლუციური მოვლენები მალე გაიშლებოდა. «რევოლუცია მიმდინარეობს, — წერდა ამხანაგი სტალინი 17 სექტემბერს.— ივლისის დღეებში ტყვიებით დაცხრილული და მოსკოვის თათბირზე «დასამარებული», ის კვლავ იმართება წელში,— ამსხვრევს ძველ დაბრკოლებებს, ქმნის ახალ ხელისუფლებას. კონტრრევოლუციის სანგრების პირველი ხაზი

აღებულია. კორნილოვის კვალდაკვალ უკან იხევს კალედინი. ბრძოლის ცეცხლში ცოცხლდებიან თითქოს მომკვდარი საბჭოები. ისინი კვლავ დგებიან საქესთან და რევოლუციურ მასებს უძღვებიან.

მ თ ე ლ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა ს ა ბ ჭ ო ე ბ ს! — ასეთია ახალი მოძრაობის დოზუნგი»*.

მენშევიკები და ესერები კიდევ ერთხელ შეეცადნენ მოეტყუებიათ მშრომელი მასები, შეესუსტებინათ რევოლუციური აღმავლობის ზრდა და ამ მიზნით მათ მოიწვიეს ეგრეთწოდებული სრულიად რუსეთის დემოკრატიული თათბირი. ამ თათბირში მონაწილეობას იღებდნენ სოციალისტური პარტიების, შემთანხმებლური საბჭოების, ვაჭარ-მრეწველთა წრეების, პროფკავშირების და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები.

თათბირმა გამოყო წინაპარლამენტი (რესპუბლიკის დროებითი საბჭო). მენშევიკები და ესერები ამ ორგანოს დახმარებით ფიქრობდნენ შეეჩერებინათ რევოლუცია, წარემართათ ქვეყანა ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური განვითარების გზით.

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ბოიკოტი გამოეცხადებინა წინაპარლამენტისათვის.

რუსეთის საქმეებში აქტიურად ჩარევას ცდილობდნენ ამერიკელი იმპერიალისტებიც, რათა მთლიანად დაემონებიათ რუსეთი და ეძარცვათ მისი ბუნებრივი სიმდიდრენი. ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდათ განემტკიცებინათ ბურჟუაზიულ-მემამულური დროებითი მთავრობის ხელისუფლება და ამისათვის რუსეთში გამოგზავნეს სპეციალური მისია, მილიარდობით სესხს აძლევდნენ დროებით მთავრობას. 1917 წ. აგვისტოში ი. ბ. სტალინი წერდა:

«იმ მომენტში, როდესაც რუსეთის რევოლუცია ძალღონეს ძაბავს თავის მონაპოვართა დასაცავად, იმპერიალიზმი კი ცდილობს ბოლო მოუღოს მას, — ამერიკის კაპიტალი მილიარდებით ამარაგებს კერენსკი - მილიუკოვ - წერეთლის

---

* ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 338.

კოალიციას იმისათვის, რომ საბოლოოდ ალაგმოს რუსეთის რევოლუცია და ძირი გამოუთხაროს დასავლეთში მზარდ რევოლუციურ მოძრაობას»*.

1917 წელს ამერიკის წითელ ჯვარს რუსეთში მეთაურობდნენ ტომპსონი და რობინსი, რომლებიც ფაქტიურად მოქმედებდნენ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს პოლიტიკური აგენტურა. ფ. ლანდბერგი წიგნში «ამერიკის 60 ოჯახი» წერს:

«მათ (ტომპსონისა და რობინსის) უდიდეს მიღწევას წარმოადგენდა სრულიად რუსეთის დემოკრატიული თათბირის საკმაო ოდენობის დელეგატების მოსყიდვა იმ მიზნით, რომ თათბირს მხარი დაეჭირა კერენსკისათვის და ომის განგრძობის მისი პროგრამისათვის. ამ კრების ღირებულება შეადგენდა 1 მილიონ დოლარს, რაც ტომპსონმა ხალისით გადაიხადა»**.

მაშინ როცა მთელ რუსეთში რევოლუცია მძლავრად იზრდებოდა, როცა კომუნისტების პარტია ამზადებდა მუშებსა და გლეხებს კაპიტალიზმზე გადამწყვეტი იერიშისათვის მისატანად, თბილისში გაიხსნა (1917 წ. 2 ოქტომბერს) კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობა.

კომუნისტური ორგანიზაციების კავკასიის ყრილობას 52 დელეგატი დაესწრო. ყრილობა ჩატარდა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ნიშნით და მან განსაზღვრა კავკასიის კომუნისტების ტაქტიკა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში.

ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება პარტიული ყრილობისა და პარტიული ცენტრის შესახებ; 2. მოხსენებები ადგილებიდან; 3. მიმდინარე მომენტი; 4. დამფუძნებელი კრება; 5. ეროვნული საკითხი; 6. ორგანიზაციული საკითხი; 7. პარტიული პრესა; 8. აგრარული საკითხი; 9. არჩევნები; 10. სხვადასხვა საკითხი.

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 268.

** ფ. ლანდბერგი, ამერიკის 60 ოჯახი, მ. 1948 წ., გვ. 180.

დაწვრილებითი მოხსენებები ადგილებიდან მოწმობდა კომუნისტების გავლენის განუწყვეტელ ზრდას ქალაქებსა, სოფლებსა და არმიაში. პარტიის ლოზუნგები თვით მასების ლოზუნგებად ხდებოდა.

ყრილობის ყურადღების ცენტრში იყო ს. გ. შაუმიანის მოხსენება მიმდინარე მომენტზე. მოხსენებაში მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა კომუნისტების ძირითად ამოცანას — მუშებისა და გლეხების მობილიზაციას შეიარაღებული აჯანყების გზით ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ს. შაუმიანმა თავისი გამოსვლა დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: «მიუხედავად მთელი იმ პასუხისმგებლობისა, რასაც ჩვენ ვკისრულობთ, ჩვენ არ გაეშინია ბუშაობის სიძნელის და სირთულისა, თამამად ვხედებით იმ ამოცანებს, რომლებიც წამოყენებულია ცხოვრების მიერ, და, ხელთ აიღებთ რა ძალაუფლებას, რევოლუციას საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანთ»*.

ყრილობის რეზოლუციაში მიმდინარე მომენტზე ნათქვამი იყო: «რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის ორგანიზაციების პირველი ყრილობა აცხადებს, რომ მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხები არავითარ ნდობას და არავითარ მხარდაჭერას არ გაუწევენ წერეთლისა და კომპანიის ხელით შეთითხნილ კერენსკი-კორნილოვის კონტრრევოლუციურ, ანტიხალხურ მთავრობას. რევოლუციის მოიგ ამოცანად ჩვენ, სავსებით ვეთანხმებით რა პარტიის ცკ ს, მიგვაჩნია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევა. რომელმაც ხელთ უნდა აიღოს მთელი სახელმწიფო ძალაუფლება...

ყრილობა თვალს არ ხუჭავს იმაზე, რომ ბურჟუაზია და მისი მსახურნი კერენსკები და წერეთლები, ყოფილი და ახლანდელი ეგრეთწოდებული მინისტრ-სოციალისტები თავის პოზიციებს უბრძოლველად არ დათმობენ და რომ, მეორე მხრით, მეფის მთავრობის მემკვიდრეობის გარდა, ისინი ჩვენ გვიტოვებენ ნგრევისა და ანარქიის ახალ მძიმე მემკვიდრეობას...

---

* რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო ყრილობის რეზოლუციები, გამოც. რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

მაგრამ მუშათა კლასი, ჯარისკაცები, გლეხობის რევოლუციური წარმომადგენლები არ უნდა შეუშინდნენ სიძნელეებსა და მსხვერპლს და გაბედულად უნდა წავიდნენ წინ ძალაუფლების მოსაპოვებლად და ქვეყნისა და რევოლუციის გადასარჩენად დაღუპვისაგან» *.

ყრილობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია პარტიული მუშაობის დაყენებას კავკასიის არმიაში.

მომხსენებელმა ყოფილანოკმა ამ საკითხზე თქვა:

«ჯარისკაცთა განწყობილებაში დიდი გარდატეხაა ს.—დ. ბოლშევიკების სასარგებლოდ. ჯარისკაცთა მასები თავისუფლდებიან ს.—რ. და მენშევიკების შემთანხმებლური ტაქტიკის ილუზიებისაგან. ჯარისკაცები სტოვებენ ამ პარტიათა რიგებს; რევოლუციური განწყობილება ძლიერდება, მასები სტიქიურად მიდიან ს. — დ. ბოლშევიკების რევოლუციურ ტაქტიკამდე, აყენებენ და მხარს უჭერენ მათ ლოზუნგებსა და მოთხოვნებს.

ოფიცერთა უმაღლესი შემადგენლობა — სულ ერთიანად კონტრრევოლუციონერები. კორნილოველები არიან; ოფიცერთა შემადგენლობა მეტწილად «კადეტებია», ნაწილობრივ ესერები, თანამგრძნობნი და მენშევიკები. ბოლშევიკებს ფრონტზე აპატიმრებდნენ, ზოგიერთი სამართალშია მიცემული. სამხარეო საბჭო (კავკასიის არმიის) ახორციელებს არმიის სარდალთან შეთანხმებულ პოლიტიკას. «კავკაზსკი რაბოჩის» ანადგურებენ და არ უშვებენ არც არმიაში და არც ზურგის უახლოეს პუნქტებში» **.

კავკასიის არმიის პარტიული სამხედრო ორგანიზაციების დელეგატთა მოხსენებების მოსმენის შემდეგ რსდმპ (ბ) სამხარეო ყრილობამ შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა:

«1. მოეთხოვოს კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს დაუყოვნებლივ მიიღოს გადამწყვეტი ზომები, რათა შეწყვიტონ ფრონტზე ს. — დ. ბოლშევიკების პარტიის, მისი მიმდევრებისა

---

* რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო ყრილობის რეზოლუციები, გვ. 4.

** «კავკაზსკი რაბოჩი» № 169, 1917 წ.

და მისი პრესის დევნა, კერძოდ, დაუყოვნებლივ გააუქმონ გაზეთ «კავკაზსკი რაბოჩის» აკრძალვა.

2. მოეთხოვოს სამხარეო საბჭოს დაუყოვნებლივ მოიწვიოს კავკასიის არმიის ყრილობა, მხოლოდ მას შეუძლია აგიტაციის თავისუფლების გარანტირება დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პერიოდში»*.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტთან სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ და დაამტკიცა მისი ბიუროს შემადგენლობა. მიღებულ იქნა აგრეთვე სამხედრო პარტიული, ორგანიზაციების წესდების პროექტი. კომუნისტური სამხედრო ორგანიზაციების კავკასიის სამხარეო ყრილობა დანიშნულ იქნა 1917 წ. 22 ოქტომბრისათვის.

ყრილობამ გაუგზავნა ლენინს მისალმება, რომელშიც ნათქვამი იყო: «ს.—დ. ბოლშევიკების კავკასიის ორგანიზაციების პირველი ყრილობა, ამთავრებს რა თავის მუშაობას, მხურვალედ მიესალმება რუსეთის რევოლუციის სახელოვან ბელადს, III ინტერნაციონალის საუკეთესო წარმომადგენელს, უაღრესად ენერგიულ მებრძოლს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის — ამხანაგ ლენინს.

ყრილობა გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ უახლოეს მომავალში რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა თავისი ახალი რევოლუციით დაამხობენ მილიუკოვებს და მათი ლაქიების—კერენსკების უღელს და შეუქმნიან შესაძლებლობას ამხანაგ ლენინსაც გამოვიდეს ციტადელიდან და აშკარად დაიკავოს ჩვენი პარტიის ბელადის, დიდი რუსეთის რევოლუციის ბელადის პოსტი **.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 1, 9, 187, ს. 23.

** რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო ყრილობის რეზოლუციები, §§. 16.

საქართველოს მშრომელები ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის «დამოუკიდებელი» რესპუბლიკის პერიოდში

სოციალისტური რევოლუციისათვის მუშათა კლასის მომზადების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის თეორიულ შრომებს, რომლებმაც ახსნეს იმპერიალიზმის კანონზომიერება, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის, როგორც სოციალისტური რევოლუციის წინახანის.

ლენინმა აღმოაჩინა კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონი იმპერიალიზმის პირობებში და დაასაბუთა იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევის შესაძლებლობა იქ, სადაც ჯაჭვი უფრო სუსტია. ამ კანონმა და ლენინის გენიალურმა მოძღვრებამ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, პროლეტარიატი შეაიარაღა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიით.

სოციალისტური რევოლუცია რუსეთში გახდა კანონზომიერი და გარდუვალი მოვლენა, ვინაიდან ცარიზმი წარმოადგენდა იმპერიალიზმის ყველაზე უფრო უარყოფითი კვადრატში აყვანილი თვისებების თავმოყრას და, რომ მხოლოდ რუსეთში არსებობდა რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო რევოლუციური გზით გადაეჭრა იმპერიალიზმის წინააღმდეგობანი.

1917 წლის სექტემბერში ვ. ი. ლენინმა დაწერა სტატია: «კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას», რომელშიაც ამბობს: «იმპერიალისტური ომი სოციალისტური რევოლუციის წინახანია. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ომი თავის საშინელებით წარმოშობს პროლეტარულ აჯანყებას, სოციალიზმს ვერავითარი აჯანყება ვერ შექმნის, თუ იგი ეკონომიურად არ მომწიფებულა, — არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალიზმის უაღრესად სრული მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი მომზადებაა, მისი კ ა რ ი ბ ჭ ე ა, ისტორიული კიბის ის საფეხურია, რომელს შუა და სოციალიზმად წოდებულ საფეხუოს შუა ა რ ა ვ ი თ ა რ ი შ უ ა თ ა ნ ა ს ა ფ ე ხ უ რ ი ა რ ა რ ი ს»*.

1917 წ. ოქტომბერში რევოლუციურმა კრიზისმა რუსეთში თავის უმაღლეს განვითარებას მიაღწია.

კომუნისტურმა პარტიამ მთელი თავისი ძალები მიმართა შეიარაღებული აჯანყების გატარებისაკენ.

წერილებში ცენტრალური კომიტეტისა და კომუნისტური ორგანიზაციებისადმი ლენინმა განავითარა აჯანყების კონკრეტული გეგმა. 7 ოქტომბერს ვ. ი. ლენინი არალეგალურად დაბრუნდა ფინეთიდან პეტროკრადში, სადაც 8 ოქტომბერს შეხვდა ამხანაგ სტალინს და მისგან მიიღო ამომწურავი ინფორმაცია დედაქალაქსა და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ. 10 ოქტომბერს ლენინის მონაწილეობით შედგა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში დაწყებულიყო შეიარაღებული აჯანყება. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მის წინააღმდეგ ხმას აძლევდნენ კაპიტულანტები ზინოვიევი და კამენევი, რომლებიც ისევე როგორც მენშევიკები მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიულ პარლამენტარულ რესპუბლიკას და ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის მუშათა კლასს არ შესწევს ძალა სოციალისტური რევოლუციის განსახორციელებლად.

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 25, გვ. 438.

16 ოქტომბერს პარტიის ცკ-ის გაფართოებულ სხდომაზე არჩეულ იქნა პარტიული ცენტრი აჯანყების სახელმძღვანელოდ.

ხელმძღვანელობდა რა თავისი ბელადის — ლენინის მითითებებით, კომუნისტური პარტია პრაქტიკულად აპზადებდა მასების ძლევამოსილ შეიარაღებულ აჯანყებას.

1917 წ. 25 ოქტომბრის წინა დღით სტალინი გაზეთ «რაბოჩი პუტში» წერდა:

«დადგა მომენტი, როდესაც შემდგომი დაყოვნება დაღუპვას უქადის რევოლუციის მთელ საქმეს.

მემამულეებისა და კაპიტალისტების ახლანდელი მთავრობა უნდა შეიცვალოს მუშათა და გლეხთა ახალი მთავრობით...

ასეთი და მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მოპოვებულ იქნას ზავი, პური, მიწა, თავისუფლება» *.

24 ოქტომბერს, ღამით, ლენინი მივიდა სმოლნში, სადაც იმყოფებოდა კომუნისტური პარტიის ცკ ი, პეტროგრადის საბჭო და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი. კომუნისტური პარტიის ბელადმა აჯანყების ხელმძღვანელობა უშუალოდ თვითონ იკისრა. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) აჯანყებულმა პროლეტარიატმა ჯარისკაცებისა და მეზღვაურების მხარდაჭერით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო დროებითი მთავრობა და ხელთ აიღო ძალაუფლება.

საბჭოების II ყრილობაზე, რომელიც 25 ოქტომბერს საღამოს გაიხსნა, გამოცხადდა ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლა და შეიქმნა მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობა—სახალხო კომისართა საბჭო.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

საბჭოების II ყრილობამ მიიღო დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ.

თავის მიმართვაში—«მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს»—საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობამ აღნიშნა, რომ

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 434, 435.

საბჭოთა ხელისუფლება «უზრუნველყოფს ყველა ერისათვის, რომელიც კი რუსეთში მოსახლეობს, თვითგამორკვევის ნამდვილ უფლებას».

საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობამ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ, რომლის სათავეში პარტიამ ამხანაგი სტალინი დააყენა. ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატი შეიქმნა როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების ორგანო.

სახალხო კომისართა საბჭოს და ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის პირველ დოკუმენტში «რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია», რომელსაც ხელს აწერდნენ ლენინი და სტალინი, ჩამოყალიბებული იყო რუსეთის ხალხთა ახალი ცხოვრების ძირითადი საფუძვლები:

«1. რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა.

2. რუსეთის ხალხთა თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, თვით გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე.

3. ყველა და ყოველგვარი ეროვნული და ეროვნულ-რელიგიური პრივილეგიისა და შეზღუდვის გაუქმება.

4. რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა და ეთნოგრაფიულ ჯგუფთა თავისუფალი განვითარება»*.

საბჭოთა მთავრობის მთელ მოღვაწეობას ეროვნულ ურთიერთობათა დარგში მიზნად ჰქონდა დასახული ამ ძირითად დებულებათა განუხრელად და თანმიმდევრულად განხორციელება.

---

* «სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია». დოკუმენტების კრებული, მ., 1948, გვ. 147.

1917 წ. 3 დეკემბერს (20 ნოემბერს) სახალხო კომისართა საბჭომ გამოაქვეყნა მიმართვა: «რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელ მუსლიმანს». მიმართვაში ნათქვამი იყო: «მოაწყეთ თქვენი ეროვნული ცხოვრება თავისუფლად და შეუფერხებლად. თქვენ გაქვთ ამის უფლება. იცოდეთ, რომ თქვენი უფლებები, ისე როგორც რუსეთის ყველა ხალხის უფლებები, დაცულია რევოლუციის და მისი ორგანოების, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მთელი ძალით» *.

17 (4) დეკემბერს საბჭოთა მთავრობამ სპეციალური დეკრეტით სცნო უკრაინის სახალხო რესპუბლიკა და მისი უფლება გამოყოფოდა რუსეთს ან დაემყარებინა რსფსრ-თან ფედერაციული თუ სხვაგვარი კავშირი.

31 (18) დეკემბერს ცნობილ იქნა ფინეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობა. ამავე დღეს გამოქვეყნდა დეკრეტი «თურქეთის სომხეთის შესახებ», რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ოკუპირებული იყო მეფის ჯარების მიერ. დეკრეტში ნათქვამი იყო, რომ «რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა მხარს უჭერს რუსეთის მიერ ოკუპირებული «თურქეთის სომხეთის» თვითგამორკვევის უფლებას სრულ დამოუკიდებლობამდე» **.

საბჭოების III სრულიად-რუსეთის ყრილობაზე, რომელიც 1918 წ. იანვარში შედგა, მიღებულ იქნა ლენინის მიერ დაწერილი «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია». ამ დეკლარაციის ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამი იყო: «საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკა არსდება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე, როგორც საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ფედერაცია» ***.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც მოახდინა რუსეთის პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა მასებთან კავშირში

---

* «სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია», გვ. 150.

** ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი, რჩეული ნაწარმოებები. 1917 წ., გვ. 558.

*** «სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია», გვ. 154.

და რუსეთის ყველა ხალხის ნდობითა და მხარდაჭერით, დასაბამი მისცა ახალ ერას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

1917 წ. 7 ნოემბერს (25 ოქტომბერს ძვ. სტ.) თავის სიტყვაში პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე ლენინი წინასწარმეტყველურად ამბობდა: «ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება» *.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია წარმოადგენდა მთელი კაცობრიობის ისტორიაში ძირითად მობრუნებას ძველ, კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან ახალ, სოციალისტურ მსოფლიოსაკენ. ოქტომბრის რევოლუცია აღიმართა მსოფლიოზე, როგორც სოციალიზმის ჩირაღდანი, რომელმაც გამოიწვია მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებში უღრმესი სიმპათია საბჭოთა ქვეყნისადმი, რუსეთის მუშათა კლასისადმი.

«ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრებისათვის ბრძოლის მსვლელობაში კომუნისტების პარტია მარტო ხელმძღვანელობდა მშრომელთა მასებს, ამსხვრევდა რა საზიზღარი კაპიტულანტების — ტროცკისტების, ზინოვიეველებისა და რევოლუციის სხვა შტრაიკბრეხერების ყველა ცდას — გადაეცდინათ პარტია ლენინური გზიდან. კაპიტალიზმის ბედი რუსეთში იმ გარემოებამ გადაწყვიტა, რომ პარტიამ ერთიან მძლავრ რევოლუციურ ნაკადად გააერთიანა საერთო დემოკრატიული ბრძოლა მშვიდობისათვის, გლეხთა დემოკრატიული მოძრაობა მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისათვის ისე, რომ მემამულეთა მიწა გლეხებს გადასცემოდა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის. რაც შეეხება შემთანხმებელ, წვრილ-

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 26, გვ. 276.

ბურჟუაზიულ პარტიებს, ყველა მათგანმა (მენშევიკებმა, ესერებმა, ანარქისტებმა) რევოლუციის მსვლელობაში თავი გამოიაშკარავეს, როგორც ანტიეროვნულმა პარტიებმა, რომლებიც ისწრაფოდნენ კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებისა და გახმტკიცებისაკენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის გამარჯვება იყო. დაამხო რა კაპიტალისტებისა და მემამულეთა ხელისუფლება, დაამხო რა იმპერიალისტების ხელისუფლება რუსეთში და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, ჩვენმა პარტიამ განახორციელა რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა»*.

კომუნისტურმა პარტიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ძირითად ცვლილებებში დემოკრატიის და სოციალიზმის სასარგებლოდ. მოძმე პარტიებმა 1917 წლის შემდეგ ჩვენს პარტიას მიანიჭეს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის «დამკვრელი ბრიგადის» წოდება იმ იმედით, რომ მისი წარმატებანი შეუმსუბუქებდნენ მდგომარეობას იმ ხალხებს, რომლებიც იჩაგრებოდნენ კაპიტალის მიერ.

ი. ბ. სტალინმა თავის სიტყვაში XIX პარტიულ ყრილობაზე თქვა: «გასაგებია, რომ ჩვენი პარტია ვალში ვერ დარჩება მოძმე პარტიებთან და მან თავის მხრივ მხარი უნდა დაუჭიროს მათ, აგრეთვე მათ ხალხებს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. როგორც ცნობილია, იგი სწორედ ასეც იქცევა. მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ 1917 წელს ხელში აიღო ძალაუფლება, და მას შემდეგ, რაც პარტიამ მიიღო რეალური ღონისძიებანი კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლის ლიკვიდაციისათვის, მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ჩვენი პარტიის სიმამაცითა და წარმატებებით, მსოფლიო რევოლუციური დამუშათა მოძრაობის «დამკვრელი ბრიგადა» უწოდეს

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903—1953), სახელგამი, გვ. 18—19.

შას. ამით ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ «დამკვრელი ბრიგადის» წარმატებანი მდგომარეობას შეუმსუბუქებდნენ კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა ეს იმედები, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირმა გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანია გაანადგურა და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

რა თქმა უნდა, ამ საპატიო როლის შესრულება მეტად ძნელი იყო, სანამ «დამკვრელი ბრიგადა» ერთადერთი იყო და სანამ მას უხდებოდა თითქმის მარტოდმარტოს შეესრულებინა ეს მოწინავე როლი, მაგრამ ეს წარსული ამბავია. ახლა სულ სხვა საქმეა. ახლა, როცა ჩინეთიდან და კორეიდან ჩეხოსლოვაკიამდე და უნგრეთამდე გაჩნდა ახალი «დამკვრელი ბრიგადები» სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით, — ახლა ჩვენს პარტიას ბრძოლა გაუადვილდა, და მუშაობაც უფრო სახალისო გახდა»*.

***

საბჭოთა რევოლუციამ ჯერ გაიმარჯვა რუსეთის ცენტრალურ-სამრეწველო და კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრებში, სადაც მუშათა მრავალრიცხოვანი კადრები და ძლიერი კომუნისტური ორგანიზაციები არსებობდნენ, ხოლო 1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის იანვარ-თებერვლამდე იგი მთელ უზარმაზარ ქვეყანას მოედვა. ლენინმა ამ პერიოდს საბჭოთა ხელისუფლების «ტრიუმფალური მარში» უწოდა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამერიკელმა, ინგლისელმა და ფრანგმა იმპერიალისტებმა მიიჩნიეს საფრთხედ თავიანთი მტაცებლური, მძარცველური გეგმებისათვის.

საბჭოთა მთავრობის პირველ დეკრეტს ზავის შესახებ, რომელმაც ყველა ხალხს უჩვენა გზა საშინელი, იმპერიალისტური

---

* ი. ბ. სტალინი, სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე, სახელგამი, 1953 წ., გვ. 8—10.

ომის შეწყვეტისა ყველა ერისათვის თანაბარი უფლებების დაცვით, ბოროტი სიძულვილით შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტები. სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტის განგრძობით დაინტერესებულებმა, მათ უარყვეს საბჭოთა რესპუბლიკის წინადადებანი ზავის შესახებ. თავის ცნობილ, 1918 წლის აგვისტოს დაწერილ «წერილში ამერიკელი მუშებისადმი» ლენინი წერდა:

«სწორედ ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის ბურჟუაზიამ არ მიიღო ჩვენი წინადადება, სწორედ მან ლაპარაკიც კი არ მოისურვა ჩვენთან საყოველთაო ზავის შესახებ! სწორედ იგი მოიქცა გამცემლურად ყველა ხალხის ინტერესების მიმართ, სწორედ მან გააჟიანურა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა!»*.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვილსონი, რომელსაც ლენინი თავის «წერილში ამერიკელი მუშებისადმი» ამერიკელი მილიარდერების მეთაურს, ონავარ-კაპიტალისტების დამქაშს უწოდებდა**, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოწყობილი შეიარაღებული ინტერვენციის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი იყო. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებმა უარი განაცხადეს საბჭოთა მთავრობის ცნობაზე, ისინი ესწრაფოდნენ სამოქალაქო ომის გაჩაღებას რუსეთში, აწყობდნენ, აქეზებდნენ და აფინანსებდნენ კონტრრევოლუციური გენერლების გამოსვლას, ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა რესპუბლიკის საზავო მოლაპარაკება გერმანიასთან და პროვოკაციულად გამოეწვიათ ომი მათ შორის.

ლენინმა ამხილა და დაგმო ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები, როგორც რუსეთის თავისუფლების ჯალათები, როგორც დასავლეთ ევროპის ჟანდარმები.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ეტაპი გადაშალა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში.

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 58—59.

** ი ქ ვ ე, გვ. 66.

აფასებდა რა 1917 წ. 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) შემდეგ ამიერკავკასიაში შექმნილ მდგომარეობას, ამხანაგი სტალინი წერდა:

«ოქტომბრის რევოლუციამ მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა. მან ერთი დაკვრით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა და დააყენა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგმა «მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს!» მეხივით დაიქუხა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები» *.

1917 წ. 31 ოქტომბერს გაიმართა ბაქოს საბჭოს გაფართოებული სხდომა საქარხნო, სარეწაო, არმიისა და ფლოტის კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად. მიუხედავად მენშევიკების, ესერების, დაშნაკებისა და მუსავატელების კონტრრევოლუციური ბლოკის გააფთრებული წინააღმდეგობისა, ამ სხდომაზე ს. შაუმიანის მოხსენებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება «დასახულ იქნას ამოცანა საბჭოს ძალაუფლების გაფართოებისა ბაქოს რაიონშიც, მთელი ძალაუფლების მის ხელში გადასვლამდე» **.

ცნობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ საქართველოში მიღებულ იქნა 26 ოქტომბერს. ამ ცნობას საქართველოს მშრომელი მასები სიხარულითა და უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ.

27 ოქტომბერს არსენალის რაიონის საერთო კრება, რომელსაც ოთხ ათასამდე კაცი დაესწრო, მიესალმა პეტროგრადის მუშების, ჯარისკაცებისა და მატროსების აჯანყებას.

«პეტროგრადში დამყარებული საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მთავრობა, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — ეს არის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მთავრობა, რომლის დასაცავადაც ჩვენ ფიცსა ვდებთ რკინის კედლივით აღვიმართოთ და თავდადებით ვიბრძოლოთ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ყვილა ძალისა და მის ნებსითსა და დაქირავებულ მსახურთა წინააღმდეგ» ***.

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 57.

** «Известия Бакинского Совета» № 175, 1917 г.

*** «კავკასიური რაბოჩი», № 186, 1917 წ.

ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშების კრებამ 500 კაცის შემადგენლობით, გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიც აცხადებდა:

«...რევოლუციური პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობისა, — რომელთაც აჯანყების დროშა აღმართეს და მემამულეებისა და კაპიტალისტების მთავრობა დაამხეს, — გადამწყვეტი ბრძოლის ჟამს მივესალმებით მოწინავე მებრძოლთ — პეტროგრადის მუშებს, ჯარისკაცებსა და მატროსებს. კრება აცხადებს, რომ სახელოსნოების მუშები რუსეთის ყველა მუშასთან, პროლეტარულ-გლეხური რევოლუციის ავანგარდთან ხელიხელჩაკიდებულნი აღდგებიან რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის — სახალხო კომისართა საბჭოს — დასაცავად კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა და მემამულეების ყველა ძალის წინააღმდეგ» *.

მბეჭდავთა კავშირმა 30 ოქტომბერს თავის სხდომაზე საწარმოო რწმუნებულებთან ერთად გამოიტანა გადაწყვეტილება — გაუგზავნოს «სტამბის მუშების სახელით ძმური სალამი რუსეთის რევოლუციის მოწინავე რაზმს — პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა გარნიზონს — მისი სახელოვანი ბრძოლისათვის და... ცნობილი იქნას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ გადარჩევის აუცილებლობა, რითაც შესაძლებლობა მიეცეს მუშებსა და ჯარისკაცებს გამოთქვან თავიანთი ნამდვილი ნება და თავიანთი ნდობით აღჭურვონ რევოლუციური დემოკრატიის ჭეშმარიტი წარმომადგენლები» **.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას მხურვალედ მიესალმა ბათუმის მუშათა კრება.

ასეთივე რეზოლუციები და მისალმებანი გამოჰქონდათ აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებსა და სასოფლო რაიონებში.

რა თქმა უნდა, ეს რეზოლუციები ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავდა, რომ საქართველოს მშრომელი მასები საესებით

---

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 194, 1917 წ.

** «კავკაზსკი რაბოჩი» № 189, 1917 წ.

განთავისუფლებული იყვნენ კონტრრევოლუციური მენშევიზმის გავლენისაგან.

მაგრამ მენშევიკებისაგან ყველაზე უფრო მოწინავე შეგნებული მუშების ჩამოშორება იმდენად ცხადი იყო, რომ ჯერ კიდევ 1917 წ. 30 ოქტომბერს თავისი პარტიის საოლქო ყრილობაზე ნ. ჟორდანია იძულებული იყო განეცხადებინა: «თავიანთი ტაქტიკა მენშევიკებმა ახლა ისე უნდა ააგონ, რომ მუშათა მასები გაათავისუფლონ იმ ბოლშევიკური განწყობილებისაგან, რომელსაც ისინი მოუცავს».

ცნობამ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სახალხო კომისართა საბჭოს შექმნის შესახებ ლენინის მეთაურობით აამოძრავა კავკასიის არმიის ჯარისკაცთა მასებიც.

თავის მიმართვაში არმიისადმი რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაციების ბიურო წერდა:

«დავეხმაროთ რევოლუციურ პეტროგრადს — აი საბრძოლო მოწოდება. ხელიდან არ გაუშვათ არც ერთი შაშხანა, არც ერთი ტყვიამფრქვევი, არც ერთი ქვემეხი, არ შეასრულოთ არც ერთი ბრძანება ნაწილების განიარაღებისა და დაშლის შესახებ. მოითხოვეთ ჯარების ნაწილების გადაყვანგადმოყვანის შესახებ გამოცემული ყველა ბრძანების დადასტურება სამხარეო ცენტრისაგან. ყველა ხიშტი, ყველა ვაზნა, ყველა ტყვიამფრქვევი და ქვემეხი — რევოლუციის მტრების წინააღმდეგ» *.

ჯარისკაცთა მრავალრიცხოვანი მიტინგები თბილისში მხურვალე ენთუზიაზმით მიესალმებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და გამოთქვამდნენ მზადყოფნას იარაღით ხელში დახმარებოდნენ სახალხო კომისართა საბჭოს.

რსდმპ (ბ) სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა დაიწყეს კამპანია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს სამხედრო სექციისა და აგრეთვე ჯარის ყველა ნაწილის კომიტეტების გადასარჩევად.

---

* «კავკასსკი რაბოჩი» № 184, 1917 წ.

კომუნისტების მიერ ჩატარებული სააგიტაციო მუშაობის შედეგად 28 ოქტომბერს თბილისის გარნიზონის 36 ნაწილის წარმომადგენლებმა შეადგინეს ეგრეთწოდებული გარნიზონის ნაწილების «დელეგატთა კრება» და აირჩიეს დროებითი საორგანიზაციო კომისია. 4 ნოემბრისათვის დელეგატთა კრება წარმოადგენდა გარნიზონის 70 ნაწილის ჯარისკაცთა არჩევითს ორგანიზაციას.

დელეგატთა კრება, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, მიესალმა პეტროგრადში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და ვალდებულება იკისრა ყოველნაირად დახმარებოდა სახალხო კომისართა საბჭოს. დელეგატთა კრებამ მოითხოვა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს სამხედრო სექციისა და ნაწილთა ყველა კომიტეტის გადარჩევა, აგრეთვე ბოლშევიკურად განწყობილი უიარაღო ნაწილებისა და რაზმების შეიარაღება. დელეგატთა კრებამ მოითხოვა კავკასიის არმიის მეორე ყრილობის მოწვევა. დელეგატთა კრების მიერ გამოყოფილმა საგანგებო კომისიამ თავის ხელში აიღო კონტროლი არსენალზე. მის ნებადაურთველად იარაღი არავის არ ეძლეოდა. დელეგატთა კრება აღიარებულ იქნა ჯარისკაცთა მასების ინტერესთა ერთადერთ გამომხატველად.

11 ნოემბერს თბილისში გაიმართა საერთო-საგარნიზონო მიტინგი, რომელმაც დაადგინა «მხურვალედ მიესალმოს პეტროგრადის რევოლუციურ არმიას, რომელმაც დაამხო კერენსკის კონტრრევოლუციური მთავრობა».

«ვაღიარებთ, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში,— რომ მხოლოდ მუშურ-გლეხურ მთავრობას შეუძლია მიანიჭოს ქვეყანას საყოველთაო მშვიდობა, მისცეს პური მშიერთ, მიწა — გლეხებს, თავისუფლება — ყველას და შეუბრალებლად ჩაახშოს ყოველგვარი კონტრრევოლუციური ცდა» *.

ბაქოს კომუნისტურმა ორგანიზაციამ დანიშნა თავისი კომისრები ყველა სამხედრო დაწესებულებაში. კავკასიის

---

* «კავკასსკი რაბოჩი» № 206, 1917 წ.

სამხედრო ოლქის შტაბის საიდუმლო ცნობაში ამის გამო ნათქვამი იყო, რომ «უკანასკნელმა ღონისძიებამ თანაგრძნობა გამოიწვია ჯარისკაცთა უმრავლესობაში».

27 ოქტომბერს ბაქოში კასპიის სამხედრო ფლოტილიის კრებამ მიიღო რეზოლუცია ამიერკავკასიაში მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის შესახებ. 29 ოქტომბერს ბაქოს მეზღვაურებმა მძლავრი დემონსტრაცია მოაწყვეს; დემონსტრაცია მხურვალედ ესალმებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას პეტროგრადში. ამ დროს მოწვეულმა კასპიის სამხედრო ფლოტილიის ყრილობამაც განაცხადა, რომ იგი სახალხო კომისართა საბჭოს სცნობს.

კავკასიის სამხედრო ოლქის საბჭოს ცნობები აღნიშნავდნენ კომუნისტების გაძლიერებულ გავლენას ერევნის, სარიყამიშის, ბათუმის, ვლადიკავკაზის, პეტროვსკის, გეორგიევსკის და სხვა ქალაქთა გარნიზონებში.

18 ოქტომბრის ცნობაში ნათქვამი იყო:

«პიატიგორსკში... ტემირ-ხან-შურაში, ქუთაისში, ტუაფსეში და ნოვოროსიისკში ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობენ ბოლშევიკები».

იმავე თანმიმდევრულობით იზრდებოდა კომუნისტური გავლენა იმ ნაწილების ჯარისკაცებში, რომლებიც უშუალოდ კავკასიის ფრონტზე იყვნენ. აქ იყო 5 საარმიო კორპუსი, კავკასიის: I, IV, V და VI კორპუსი და თურქესტანის I კორპუსი.

კავკასიის არმიის სარდალი გენერალი ოდიშელიძე ფრონტის სარდალს გენერალ პრჟევალსკის ატყობინებდა:

«კავკასიის VI კორპუსის ჯარისკაცთა მასა განწყობილია ბოლშევიკურად. ასეთივე ძლიერია ბოლშევიკების გავლენა დივიზიაში და ტრაპიზონის გამაგრებული რაიონის ჯარებში, აგრეთვე IV კორპუსის ნაწილებში, სადაც ბოლშევიკების გავლენა გაიზარდა». კავკასიის VI კორპუსის სარდალი ფრონტის შტაბს ატყობინებდა, რომ მე-18 მსროლელთა პოლკმა დაადგინა «არ სცნოს კავკასიის სამხარეო საბჭო, არამედ

დაემორჩილოს ლენინს, რომელსაც გაუწიოს დახმარება» *. არზრუმის გამაგრებული რაიონის გენერალი ზიგელი, მისდამი დაქვემდებარებულ ნაწილებში პოლიტიკური პარტიების დახასიათებისას, აღნიშნავდა თავის მოხსენებაში, რომ პოლიტიკურ პარტიებს შორის ჭარბობენ ბოლშევიკები. 39-ე ქვეითი დივიზიის უფროსი თავის პატაკში კავკასიის ფრონტის სარდლის სახელზე წერდა: «ამჟამად აგიტატორთა გავლენით ჩემდამი რწმუნებული დივიზიის დივიზიონებისა და პოლკების კომიტეტებმა გადაწყვიტეს დაემორჩილონ სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლებას და ძალაში შესულად სცნონ საბჭოს ყველა დეკრეტი, რომელთაგან უახლოესი პრაქტიკული შედეგების მიხედვით პირველი ადგილი უკავია საბჭოთა დეკრეტს არმიის დემოკრატიზაციის შესახებ».

თურქესტანის VI კორპუსში, როგორც ფრონტის სარდალს ატყობინებდნენ, კორპუსის კომიტეტიც კი აშკარად ბოლშევიკური იყო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კავკასიის ფრონტის ჯარისკაცთა მასებში გაბატონებული რევოლუციური განწყობილების და კომუნისტებისადმი მათი ნდობის დასახასიათებლად საგულისხმოა ერთ-ერთი ქვეითი პოლკის კომიტეტის შემდეგი წერილი კავკასიის არმიის ჯერ კიდევ 1917 წ. მაისში არჩეულ სამხარეო ესერულ-მენშევიკურ საბჭოსადმი.

«თქვენ ყველანი, სამხარეო საბჭოს წევრები, არამზადები ხართ იმიტომ, რომ თქვენ უარყოფთ იმ ადამიანებს, რომელთაც მეტად დიდი სარგებლობა მოაქვთ ჩვენთვის. რატომ დაცინით ლენინს, რატომ არის, რომ თქვენ, თუ სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნავთ, დღემდე არ გიფიქრიათ დროებითი ზავის შეკვრაზე და სულ იმას ცდილობდით, რომ ომი განგეგრძოთ, ჰოდა, ახლა გულს გიმღვრევთ ის გარემოება, რომ ლენინმა დროებითი ზავი შეკრა. თქვენ იქ საბჭოში

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 9, ს. 49, ფ.

თბილად მოიკალათეთ, მაშასადამე, თქვენთვის ზავიც არ არის საჭირო, რადგან თბილად ხართ. ხოლო აი სანგრებში რომ დაყოფდეთ ცოტა ხანს, ლენინის უარყოფას კი არ დაიწყებდით, არამედ, პირიქით, შეეცდებოდით როგორმე მხარი დაგეჭირნათ მისთვის, რათა ძალაუფლება ლენინის ხელში გადასულიყო, ზავის რაც შეიძლება სასწრაფოდ დასადებად.

ლენინი ამ ქვეყნად მოვლენილია სწორედ მეგობრად და მხსნელად. ის ცდილობს სიცოცხლე შეუნარჩუნოს ადამიანს. ჩვენ ვერც კი მოგვისაზრებია, რით გადავუხადოთ მისი კეთილი საქმისათვის—ზავისათვის, თქვენ კი ზავი არ გსურთ. თუ ახალი წლისათვის ზავი არ იქნება, თვითონ მივატოვებთ პოზიციას და წავალთ, გზად კი პირველად თქვენ ამოგხოცავთ და ყველა იმასაც შავ დღეს დავაყენებთ, ვინც ლენინის წინააღმდეგ ილაშქრებს. მიიღეთ ეს მხედველობაში, კარგად დაიხსომეთ და ერთ წუთსაც ნუღარ დააყოვნებთ, შეუერთდით ლენინს, ჩვენთვისაც კარგი იქნება და თქვენც იცხოვრებთ ქვეყნად, თორემ გაგწყვეტთ» *.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი გავლენა მოახდინა სოფელზე. საბჭოების II ყრილობის დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ, «რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია», რომლებიც გლეხთა მასებში ვრცელდებოდა როგორც ფრონტელი ჯარისკაცების, ისე მუშების საშუალებით, აძლიერებდნენ რევოლუციურ მოძრაობას სოფლად. გლეხები ებმებოდნენ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

საქართველოში და ამიერკავკასიაში ხალხის მასებზე კომუნისტური გავლენის ზრდასთან ერთად კონტრრევოლუციური ძალების კონსოლიდაციაც ხდებოდა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამ ანტისაბჭოთა კოალიციის ერთ-ერთი პირველი ღონისძიებათაგანი მის ბრძოლაში მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცების

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 1, ს. 187.

რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ თბილისში — ეს იყო «საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის» შექმნა.

ამ კონტრრევოლუციური კომიტეტის სახელით 11 ნოემბერს თბილისში მოწვეულ იქნა თათბირი.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრების, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, თბილისის ქალაქის გამგეობის, საზოგადოებრივი უშიშროების კავკასიის კომიტეტის, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის, პოლიტიკური პარტიებისა და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. თათბირს დაესწრნენ აგრეთვე კავკასიის არმიის მთავარსარდალი გენერალი პრჟევალსკი, კავკასიაში კონტრრევოლუციური მოძრაობის გმირი, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო აგენტები არმიის შტაბთან, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კონსული სტივენსი და სხვ.

ამ თათბირზე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების ბლოკი. გადაწყდა არ ეცნოთ სახალხო კომისართა საბჭო და შეექმნათ ამიერკავკასიაში «დამოუკიდებელი» სამხარეო ხელისუფლება[33].

თათბირზე გამოცხადებულმა კომუნისტებმა გამოაქვეყნეს რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტის დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტი და მასში შემავალი მხარის ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია მთლიანად დგანან საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობისა და მის მიერ არჩეულ სახალხო კომისართა საბჭოს პოზიციაზე და სამხარეო კომიტეტს შეუძლებლად მიაჩნია მონაწილეობა მიიღოს თათბირში, რომელსაც კონტრრევოლუციური ელემენტები ესწრებიანო.

დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ კომუნისტებმა მიატოვეს კონტრრევოლუციური თათბირი. 1917 წ. 15 ნოემბერს გამოქვეყნდა ამიერკავკასიის მთავრობის ბრძანება, ეგრეთწოდებული ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნის შესახებ. კომისარიატში შევიდნენ მენშევიკების, ესერების,

დაშნაკების, მუსავატელებისა და სხვა კონტრრევოლუციური პარტიების წარმომადგენლები[34].

ამის გამო გაზეთი «კავკაზსკი რაბოჩი» წერდა: «მათი (მენშევიკების — გ. ხ.) პოლიტიკა მეტისმეტად გამჭვირვალეა: ყოველგვარი ნიადაგი გამოეცალათ რა რუსეთში, საბოლოოდ შეირცხვინეს რა თავი ბურჟუაზიასთან თანაცხოვრებით იქ, მათ სურთ გამაგრდნენ აქ — პერიფერიაში, განაპირა მხარეში. ამით აიხსნება რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის მათი გეგმა, მათი კომპლიმენტი და რევერანსები სომეხი, ქართველი და მუსლიმანი შოვინისტების მიმართ» *.

ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მჭიდრო კავშირი დამყარდა აგრეთვე ქართველ მენშევიკებსა, ეროვნულ ბურჟუაზიასა და თავადაზნაურ-მემამულურ ელემენტებს შორის.

მენშევიკების თაოსნობით 20 ნოემბერს თბილისში მოიწვიეს საქართველოს ეგრეთწოდებული ეროვნული ყრილობა. ყრილობაზე თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. ჟორდანია, რომელიც გამოვიდა მოხსენებით პარტიათაშორისო კომიტეტის სახელით.

ყრილობამ, რომელსაც მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ, მიიღო პროგრამა საქართველოს ჩამოშორებისა საბჭოთა რუსეთისაგან.

ქართულ ბურჟუაზიულ-მემამულურ ეროვნულ საბჭოსთან ერთად შეიქმნა სომხური, აზერბაიჯანული და სხვა ეროვნული საბჭოები. მათი საქმიანობის კოორდინაციისათვის თბილისში ჩამოყალიბდა ეროვნებათაშორისო საბჭო მენშევიკ ნ. რამიშვილის მეთაურობით. თვითეული ეროვნული საბჭო ცდილობდა ჰყოლოდა თავისი შეიარაღებული ძალა და თვითეული მათგანი მომავალი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის ჩანასახს წარმოადგენდა.

ამიერკავკასია გადაიქცა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ პლაცდარმად. აქ იყრიდნენ თავს

---

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 206, 1917 წ.

ანტისაბჭოთა ძალები. დამარცხებული ექსპლოატატორული კლასების ნაშთები, რუსეთის ცენტრებიდან გამოქცეულნი «მენშევიკურ სამოთხეში» თავშესაფარებლად.

ამიერკავკასიის კომისარიატმა შენშევიკ ე. გეგეჭკორის მეთაურობით ფაქტიური კავშირი შეკრა ჩრდილოეთ კავკასიის კონტრრევოლუციასთან, იგი ვაზნებს, იარაღსა და საჭურველს აწვდიდა გენერალ კალედინსა და იესაულ კარაულოვს, მომაკვდავ კლასთა — მემამულეთა და კაპიტალისტთა ამ გამხეცებულ მომხრეებს.

ამ პერიოდში ამიერკავკასიის კომისარიატის ხელმძღვანელობით მთელს ამიერკავკასიაში აყალიბებდნენ ეგრეთწოდებულ «ეროვნულ» ნაწილებს და აგრეთვე აიარაღებდნენ მემამულეთა ბანდებს სოფლად მზარდი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

შეუდგნენ ქართული «ეროვნული» კორპუსის ჩამოყალიბებასაც.

შექმნეს ეროვნებათაშორისო სამხედრო საბჭო. მის მოვალეობას შეადგენდა წარემართა «ეროვნული» ნაწილების ჩამოყალიბებისა და მომარაგების საკითხები. ამ საბჭომ გამოიმუშავა პრინციპები, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელათ «ეროვნული» ნაწილების შექმნისას: 1) არმია პოლიტიკის გარეშე, 2) არჩევითი ორგანიზაციების აკრძალვა, 3) მკაცრი დისციპლინა, დამყარებული მეფის არმიის წესდებაზე.

დაიწყო აგრეთვე რიგითი მენშევიკებისაგან სპეციალური რაზმების შექმნა. მენშევიკთა ბელადების აზრით ეს უნდა ყოფილიყო მათი ყველაზე ერთგული «წითელი» გვარდია.

თავის მოწოდებაში ამიერკავკასიის ხალხებისადმი ამიერკავკასიის კომისარიატი არ იშურებდა დაპირებებს. იგი დაპირდა ხალხს, რომ უახლოეს დროში გადაწყვეტდა მიწის, სასურსათო, ეროვნულ და ფინანსურ საკითხებს, შეკრავდა ზავს, შემოიღებდა დემოკრატიულ ერობას და გადაარჩენდა მხარეს სამოქალაქო ომის საშინელებისაგან.

მაგრამ ამიერკავკასიის კომისარიატი ნამდვილად კონტრრევოლუციურ პოლიტიკას ახორციელებდა და მას არც ერთი

სოციალური პრობლემა არ გადაუწყვეტია, არ მიუღია არც ერთი ღონისძიება მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კიდევ მეტი, მან ამიერკავკასია ეკონომიურ კატასტროფამდე მიიყვანა.

მაგალითად, გლეხთა გამოსვლების შიშით ამიერკავკასიის კომისარიატი იძულებული იყო მოემზადებინა მიწის კანონი.

1917 წ. 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოაქვეყნა დებულება «სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიული პირების და კერძომფლობელურ მიწათა საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ». მაგრამ ეს დებულება თავისი ხასიათით წარმოადგენდა ცარიელ დეკლარაციას, რომელსაც არავითარი სავალდებულო ძალა არ ჰქონდა. როდესაც ამ დებულებას არსებითად იხილავ, აშკარა ხდება, თუ როგორ ფიქრობდა შეძლებულ კლასთა კოალიცია მიწის საკითხის გადაჭრას ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში.

ამ დებულების პირველ მუხლში ნათქვამი იყო:

«ყველა სახაზინო, საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო და კერძომფლობელური მიწა გარკვეული ნორმის ზევით, რისი ოდენობაც ცალკე იქნება განსაზღვრული, სამხარეო საადგილმამულო ფონდში გადადის...»

ამ მუხლის შენიშვნაში აღნიშნულია:

«საადგილმამულო კომიტეტებს არ გადაეცემათ კარმიდამოები და საკარმიდამო მიწები».

დებულება არაფერს ამბობდა იმ საკითხზე, თუ როგორი იყო ის ნორმა, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა მიწის ჩამორთმევას.

მსხვილ კერძომფლობელურ მამულთა ჩამორთმევისა და გლეხებს შორის მათი განაწილების საკითხი დამოკიდებული იყო საგუბერნიო ერობათა გადაწყვეტილებაზე. ასეთი ერობები კი, როგორც ცნობილია, იმ დროს ამიერკავკასიაში არ არსებობდა. ამასთან დიპლომატიურად უვლიდნენ გვერდს იმ საკითხს, თუ რა იგულისხმებოდა ამ ტერმინში — «მსხვილი კერძომფლობელური მამული».

ამ დებულებაში რეალური იყო მხოლოდ ხიზნური ურთიერთობის გაუქმება და ყოფილ დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლება გამოსასყიდი გადასახადის შემდგომი შეტანისაგან 1918 წლის 1 იანვრიდან. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მხოლოდ იმის ფიქსაცია ხდებოდა, რაც უკვე თვითონ გლეხებმა განახორციელეს, ვინაიდან მეფის რეჟიმის დამხობის შემდეგ გლეხებმა შეწყვიტეს გადასახადის შეტანა და აღარ ცნობდნენ ხიზნურ დამოკიდებულებას მემამულისადმი.

სრული კონტაქტი დამყარდა ამიერკავკასიის კომისარიატისა და არმიის სარდლობას შორის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ანტისაბჭოთა ძალების მობილიზაციისათვის.

იმ საბაბით, რომ კომუნისტები ამზადებენ შეიარაღებულ აჯანყებას ამიერკავკასიის კომისარიატის ძალაუფლების დასამხობად, 27 ნოემბერს თბილისში საალყო წესები გამოცხადდა *.

29 ნოემბერს მენშევიკური გვარდიის და ქართველ და სომეხ ეროვნულ ნაწილთა ჯარისკაცების შეერთებულმა რაზმმა დაიკავა არსენალი, სადაც იარაღისა და საჭურვლის დიდი მარაგი იყო.

დეკემბრის დამდეგს მოაწყვეს თავდასხმა კომუნისტური გაზეთების «კავკაზსკი რაბოჩის», «ბრძოლის» და «ბანვორი კრივის» რედაქციებზე. ნელ-ნელა დაიწყეს ყველაზე შეგნებული, კომუნისტურად განწყობილი სამხედრო ნაწილების განიარაღება. მაგალითად, 27 და 28 ნოემბერს თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნეს ყარსის პოლკი. მოაწყვეს თავდასხმა საავიაციო სკოლებზე, სადაც ხელთ იგდეს ტყვიამფრქვევები და იარაღი.

10 — 23 დეკემბერს თბილისში მიმდინარეობდა კავკასიის არმიის II სამხარეო ყრილობა, რომელიც ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების და რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცთა მასების ზეგავლენით მოიწვიეს.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 9, ს. 408, გვ. 3.

თავის მიმართვაში კავკასიის ფრონტის არმიის ჯარისკაცებისადმი რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი წერდა:

«10 დეკემბერს გაიხსნება კავკასიის ფრონტის არმიის II ყრილობა. არმიის ყრილობაზე თქვენ უნდა გადაჭრათ როგორც პოლიტიკური და ეკონომიური, ისე პროფესიულ-ჯარისკაცული საკითხები...

ამიტომ თქვენ, ამხანაგო ჯარისკაცებო, ყრილობაზე უნდა აირჩიოთ დელეგატები გარკვეული განაწესით, რათა მათ ისევე არ გიღალატონ, როგორც გღალატობდნენ ესერები და მენშევიკები რევოლუციის რვა თვის განმავლობაში...

მიეცით მათ განაწესი: 1) დაიცვან მთელი რუსეთისათვის ერთიანი საბჭოთა ხელისუფლება. დაუყოვნებლივ განახორციელონ კავკასიაში სახალხო კომისართა საბჭოს ყველა კანონი, დეკრეტები, დადგენილებანი და განკარგულებანი,

2) შეუერთდნენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და

3) შექმნან საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში, დაშალონ თვითნებური ამიერკავკასიის კომისარიატი.

ხოლო ვინაიდან ყველა ამ დებულებას იცავენ ბოლშევიკები, აირჩიეთ არმიის II ყრილობაზე ბოლშევიკები. მხოლოდ მაშინ იქნებით თქვენ, ამხანაგო ჯარისკაცებო, დამშვიდებული თქვენი ბედისა, რევოლუციისა და რუსეთისათვის»*.

ამიერკავკასიის კომისარიატმა და გაბატონებულმა კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ყველა ზომა იხმარეს იმისათვის, რომ ყრილობაზე კომუნისტებს ვერ შეექმნათ თავისი უმრავლესობა.

მიუხედავად ამისა ყრილობის კომუნისტურ ფრაქციაში 160-მდე დელეგატი შედიოდა. ყრილობის დელეგატთა შორის ბევრი კომუნისტურად განწყობილი ჯარისკაცი აღმოჩნდა. ყრილობის მუშაობის პროცესში კომუნისტებს მიემხრნენ «მემარცხენე» ესერებიც.

ამ პერიოდში «მემარცხენე» ესერების ტაქტიკა იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ

---

* «ბაკინსკი რაბოჩი» № 95, 1917 წ.

გავლენა გლეხთა მასებში, რომლებიც აშკარად თანაუგრძნობ-დნენ კომუნისტებს. ამიტომ მათ გადაწყვიტეს არ შედავებოდნენ კომუნისტებს და გარკვეულ დრომდე მათთან ერთიანი ფრონტი ჰქონოდათ. როგორც ცნობილია, ამ პერიოდს ეკუთვნის სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში «მემარცხენე» ესერთა რამდენიმე ლიდერის შეყვანა. მაგრამ «მემარცხენე» ესერთა ჭეშმარიტი, კულაკური არსება დაუყოვნებლივ გამოვლინდა ბრესტის ზავისა და ღარიბი გლეხობის კომიტეტების შექმნის შემდეგ, როდესაც «მემარცხენე» ესერებმა, რომლებიც სულ უფრო და უფრო აშკარად გამოხატავდნენ კულაკობის ინტერესებს, მოაწყვეს ამბოხება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

კავკასიის არმიის II სამხარეო ყრილობაზე ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ს. შაუმიანი.

ყრილობაზე პირველად განიხილეს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობის საკითხი. კომუნისტებმა ამხილეს ამიერკავკასიის კომისარიატის და გენერალ პრუევალსკის მეთაურობით მოქმედი არმიის სამხარეო საბჭოს კონტრრევოლუციური საქმიანობა, რამდენადაც მათ ჩრდილოეთ კავკასიაში გადაისროლეს კაზაკთა ნაწილები, იარაღი და საჭურველი, გენერალ კალედინისა და სხვა კონტრრევოლუციური გენერლებისათვის დახმარების გასაწევად. ყრილობამ მიიღო კომუნისტების წინადადება გაეგზავნათ დეპეშა ბაქოს საბჭოსათვის, რათა მას დაეკავებინა თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნილი ვაზნებით დატვირთული 6 ვაგონი.

ადგილობრივი ხელისუფლების საკითხზე ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც აუცილებლად სცნო ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების შექმნა. ყრილობამ ხმების უმეტესობით სცნო სახალხო კომისართა საბჭო და მის მიერ გამოცემული ყველა დეკრეტი ზავის, მიწის, მუშათა კონტროლის და სხვ. შესახებ. ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა აგრეთვე კომუნისტების რეზოლუცია მიმდინარე მომენტის შესახებ. კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევნებში გამარჯვება ხვდათ კომუნისტებს. საბ-

ჭოს 100 წევრიდან 52 არჩეულ იქნა კომუნისტებისა და მათ მხარეზე გადასულ «მემარცხენე» ესერებისაგან. მენშევიკებმა, ესერებმა, დაშნაკებმა, უკრაინელმა ნაციონალისტებმა, რომლებიც ყრილობაზე ერთად შეკავშირებულნი გამოვიდნენ, საბჭოს ახალ შემადგენლობაში 48 ადგილი მიიღეს.

კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს კომუნისტი გ. ყორღანოვი.

კავკასიის არმიის სამხარეო საბჭომ მოწოდებით მიმართა «ჯარისკაცების ყველა საბჭოს და კომიტეტს, კავკასიის არმიის ყველა ჯარისკაცს», რომელშიაც ნათქვამი იყო:

«...მსგავსად ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტების ყრილობებისა — კავკასიის არმიის სამხარეო ყრილობამაც მხარი დაუჭირა მუშურ-გლეხურ რევოლუციას, აღიარა მუშურ-გლეხური მთავრობის — სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება, მხარი დაუჭირა მის დეკრეტებს მიწისა, ზავისა, მუშათა კონტროლისა და სხვ. შესახებ. ყრილობამ დაგმო მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების ობორონცული პოლიტიკა. მისი უმრავლესობა ბოლშევიკების პარტიის მხარეზე აღმოჩნდა... ყრილობამ სცნო მუშებისა, ჯარისკაცებისა და გლეხების საბჭოთა ხელისუფლების მთელი პოლიტიკა და უარყო ამიერკავკასიის კომისარიატი, როგორც არასაბჭოთა და არარევოლუციური ორგანო. ყრილობამ დაადგინა დაეწყო ორგანიზებული ბრძოლა კონტრრევოლუციასთან კავკასიაში... ყრილობამ დაადგინა განეხორციელებინა კავკასიის არმიის სრული დემოკრატიზაცია. მან დაადგინა მიეცა იარაღი სათადარიგოდ გასულ ჯარისკაცებისათვის, რათა ჯარისკაცებს, მუშებსა და გლეხებს იარაღით განემტკიცებინათ მუშურ-გლეხური რევოლუციის ყველა მონაპოვარი» *.

კავკასიის არმიის სამხარეო საბჭომ ამ მიმართვით მოუწოდა არმიას მხარი დაეჭირა სახალხო კომისართა საბჭოსათვის, დაეცვა რევოლუციური დისციპლინა და განეხორციელებინა გეგმიანი დემობილიზაცია.

---

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 230, 1917 წ.

სამხარეო საბჭომ დეპეშით მიმართა სახალხო კომისართა საბჭოს, რომელშიაც შემდეგს ვკითხულობთ:

«...კავკასიის არმიის სამხარეო კომიტეტი ზუსტად იცავს ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციას საბჭოთა ხელისუფლებისა და მიწის, ზავისა და მუშათა კონტროლის დეკრეტების ცნობის შესახებ, თავს აცხადებს უმაღლეს ძალაუფლებად სამხედრო მმართველობის სფეროში და გთხოვთ ყველა განკარგულება უგზავნოთ კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს, როგორც არმიის სრულუფლებიან ორგანოს» *.

ამიერკავკასიის კომისარიატმა ისარგებლა იმით, რომ არსენალი მენშევიკების ხელში იყო, განკარგულება გასცა დაეშალათ კომუნისტურად განწყობილი სამხარეო ნაწილების უმრავლესობა და გაეყვანათ ისინი თბილისიდან. მან გარეკა კომუნისტების ხელმძღვანელობით მოქმედი კავკასიის არმიის სამხარეო საბჭო, როგორც კი კავკასიის არმიის II ყრილობის დელეგატები ადგილებზე დაბრუნდნენ, და შექმნა ახალი საბჭო, რომელიც ჯარისკაცთა მასების განწყობილებას არ გამოხატავდა, მაგრამ სამაგიეროდ მენშევიკ და ესერ მესვეურთა მორჩილი იყო. კავკასიის არმიის სამხარეო საბჭო, რომელსაც სათაეში ედგა გ. ყორღანოვი, პროლეტარულ ბაქოში გადავიდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის ანტისაბჭოთა კოალიციის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მომზადებაში.

კავკასიის არმიის რევოლუციურმა სამხარეო საბჭომ აირჩია აღმასრულებელი ორგანო—კავკასიის არმიის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი გ. ყორღანოვის მეთაურობით. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წინაშე დასმულ იქნა ამოცანა — დაუყოვნებლივ განეხორციელებინა კავკასიის არმიის II სამხარეო ყრილობის დადგენილებანი: არმიის დემოკრატიზაციის, შეიარაღების, კონტრრევოლუციასთან ბრძოლისა და სხვათა შესახებ.

ვინაიდან კავკასიის ფრონტი დიდ მანძილზე იყო გაშლილი და მისი ცალკეული არმიების წინაშე განსაკუთრებული

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 230, 1917 წ.

ამოცანები იყო დასმული. შექმნილ იქნა შემდეგი ადგილობრივი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები: ფრონტის აღმოსავლეთ—სპარსეთის რაიონის — ქალაქ ენზელში; ურმიის რაიონის — დაბა ჯულფაში; ვანის რაიონის — სადგურ შახტატში; არზრუმ-ერზიჯანის რაიონის — დაბა სარიყამიშში; ტრაპიზონის რაიონის — ქალაქ ტრაპიზონში.

კავკასიის არმიაში კომუნისტური მოძრაობის ცენტრი ხდება სარიყამიშის გარნიზონი, სადაც დიდძალი ჯარი იყო თავმოყრილი. გარნიზონში მთელი ძალაუფლება ფაქტიურად სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში იყო.

სარიყამიშის გარნიზონმა თავი გამოაცხადა საბჭოთა რევოლუციურ არმიად და სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაში გადავიდა.

გარნიზონის კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში ამის გამო ნათქვამი იყო:

«...მხურვალედ მივესალმებით სახალხო კომისართა საბჭოს და თავს ვაცხადებთ საბჭოთა რევოლუციურ არმიად, მზად ვართ მუშურ-გლეხური მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე მისი და ჩვენი დიდი რუსეთის რევოლუციის დასაცავად» *.

კომუნისტების დაჟინებითი მოთხოვნით 1917 წ. დეკემბრის მეორე ნახევარს თბილისში მოწვეულ იქნა მუშათა დეპუტატების II სამხარეო ყრილობა.

აშკარა სიყალბით და ფალსიფიკაციით მენშევიკებმა უზრუნველყვეს ყრილობაზე თავიანთი უმრავლესობა.

მაშინ როცა ბაქოს პროლეტარები ყრილობაზე გზავნიდნენ ყოველ ორი ათას ორგანიზებულ მუშაზე ერთ დელეგატს, თბილისის გუბერნიის ყოველი ხუთასი ამომრჩეველი ყრილობაზე ასევე ერთი დელეგატით იყო წარმოდგენილი. ამრიგად, ბაქოს 80 ათასი ორგანიზებული მუშა ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 37 დელეგატით, ხოლო თბილისის გუბერნიის 47 ათასი ამომრჩეველი 90 დელეგატით.

---

* «კავკასსკი რაბოჩი» № 26, 1917 წ.

ჩრდილოეთ კავკასიის, შავი ზღვის სანაპიროს და ერევნის გუბერნიის კომუნისტურად განწყობილი მასებიც ასევე დელეგატების შემცირებული რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი ყრილობაზე. ისინი თითქმის ყოველ ათას ამომრჩეველზე თითო დელეგატს გზავნიდნენ. ნოვოროსიისკი აგზავნიდა ერთ დელეგატს 2600 ამომრჩეველზე.

ბაქოს კომუნისტებმა ყრილობას წინადადება მისცეს დაედგინათ წარმომადგენლობის შემდეგი ნორმა: ერთი დელეგატი ორი ათას კაცზე ყველა ქალაქისათვის, ანდა 4 ხმა მიენიჭებინათ თვითეული დელეგატისათვის. ანალოგიური წინადადება წამოაყენეს კავკასიის სხვა ქალაქთა კომუნისტებმაც. რადგან ყრილობაზე თანაბარი წარმომადგენლობა ვერ მიიღეს, კომუნისტები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ ყრილობა. მენშევიკებმა გაიძვერული მაქინაციებით უზრუნველყვეს თავისი უმრავლესობა ყრილობაზე და გაატარეს ისეთი რეზოლუციები, რომლებიც მიმართული იყო ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ქართველი მენშევიკების მეთაურობით მოქმედი ამიერკავკასიის კომისარიატის ამ კონტრრევოლუციურ პოლიტიკას ხელი შეუწყო ოპორტუნისტების თბილისის ხელმძღვანელმა ჯგუფმა — ბ. მდივანმა, მ. ოკუჯავამ, მ. ტოროშელიძემ, კ. ცინცაძემ და სხვ., რომლებიც რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტთა შემადგენლობაში შედიოდნენ.

გაბოლშევიკებული არმია ამიერკავკასიის პროლეტარიატთან და უღარიბეს გლეხებთან ერთად მზად იყო დადგომოდა საბჭოთა ხელისუფლების მოპოვებისათვის შეიარაღებული ბრძოლის გზას, მაგრამ ოპორტუნისტების თბილისის ხელმძღვანელმა ჯგუფმა უარი განაცხადა გაეწია აგიტაცია ჯარისკაცებში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ და გამოეყენებინა კავკასიის ფრონტის რევოლუციური ჯარისკაცები იმისათვის, რომ დაემხო ამიერკავკასიის კონტრრევოლუ-

ციური პარტიების (მენშევიკების, დაშნაკების, მუსავათელეების) ბლოკის ხელისუფლება. ისინი სთელიდნენ, რომ მენშევიკები, როგორც ხელმძღვანელი პარტია, რევოლუციური მასების ზეკავლენით იძულებული იქნებიან აღიარონ საბჭოთა ხელისუფლება. ოპორტუნისტებმა წამოაყენეს ლოზუნგი: «ბრძოლა იმისათვის, რომ ოპორტუნისტულმა პარტიებმა აღიარონ საბჭოთა ხელისუფლება».

ოპორტუნისტები დათანხმდნენ დაეშალათ თბილისის გარნიზონის ნაწილთა სადელეგატო კრება, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ. ამის გამო თბილისის კომუნისტებმა დაჰკარგეს დიდი ორგანიზაცია, რომელიც 70-ზე მეტ კომუნისტურად განწყობილ ნაწილს აერთიანებდა.

ამ ოპორტუნისტული ხელმძღვანელი ჯგუფის ტაქტიკას მძიმე შედეგები მოჰყვა: საქართველოს კომუნისტებმა ვერ შეძლეს გამოეყენებინათ 1917 წ. დამლევს ხელსაყრელი რევოლუციური სიტუაცია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

1917 წ. 16 დეკემბერს კავკასიის საქმეთა ვითარების საკითხი განიხილა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ.

სახალხო კომისართა საბჭომ ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე ს. გ. შაუმიანი დანიშნა კავკასიის საგანგებო კომისრად. გარდა ამისა, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გადაედო კალედინის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის და კავკასიის საგანგებო კომისარიატის საჭიროებისათვის 500 ათასი მანეთი. ს. გ. შაუმიანი 1918 წ. 22 იანვარს შეუდგა კავკასიის საგანგებო კომისრის მოვალეობის შესრულებას. 31 იანვარს გამოვიდა «სახალხო კომისართა საბჭოს კავკასიის უწყების» («Кавказский вестник СНК») პირველი ნომერი.

მიმართვაში «ყველა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს, კავკასიის ყველა მუშას, ჯარისკაცსა და გლეხს» ნათქვამი იყო:

«1917 წ. 18 დეკემბრის დეკრეტით სახალხო კომისართა საბჭომ მე (ს. გ. შაუმიანი—გ. ხ.) დამნიშნა კავკასიის საქმე-

თა დროებით საგანგებო კომისრად, ვიდრე კავკასიაში საბ-ჭოთა ხელისუფლება შეიქმნებოდეს. კავკასიაში დაუყოვნებ-ლივ უნდა შეიქნეს საბჭოთა ხელისუფლება. არსად რუსეთში რევოლუციის საქმე ისეთ საფრთხეში არ არის, როგორც ჩვენთან კავკასიაში. ჩრდილოეთ კავკასიაში დაწყებული კონტრრევოლუციის კვალდაკვალ ამკარად წამოყო თავი კონტრრევოლუციამ ამიერკავკასიაშიც...

სახელმწიფო მმართველობის ძველი ფორმები დამსხვრე-ულია. მთელს მუშურ-გლეხურ რუსეთში მიმდინარეობს ახალი ცხოვრების მშენებლობა, სამოქალაქო ომების ტანჯვა-ვაება-ში იბადება ახალი თავისუფალი რუსეთი. არა ბურჟუაზიულ-მემამულურ რესპუბლიკას კაპიტალისტებისა და მემამულეე-ბის მეთაურობით, არა კავკასიის «სეიმს» ბეგების, თავად-აზნაურების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ობორონცების მეთაურობით, არამედ საბჭოების მუშურ-გლეხურ რესპუბ-ლიკას—აი რას შეუძლია ჩვენი გადარჩენა დაღუპვისაგან...

კავკასია უფსკრულის პირზეა. იხსენით იგი.

შექმენით აქ ინტერნაციონალური მუშურ-გლეხური მთავ-რობა, რომელიც მჭიდროდ შეკავშირებული რუსეთის საბჭო-თა ცენტრებთან და სახალხო კომისართა საბჭოსთან ბოლოს მოუღებს კონტრრევოლუციას კავკასიაში და მხარის მუშათა და გლეხთა მოსახლეობას წაიყვანს ბრწყინვალე მომავლისა და სოციალიზმის სამეფოსაკენ»*.

მას შემდეგ, რაც რუსეთისა და თურქეთის არმიებს შო-რის კავკასია-თურქეთის ფრონტზე დაზავების ხელშეკრულე-ბა დაიდო (დაზავება მოხდა 1917 წ. 5. დეკემბერს) კავკა-სიის არმიის ჯარისკაცებს შორის დაიწყო მასობრივი ლტოლ-ვა რუსეთისაკენ, სადაც მიმდინარეობდა უკანასკნელი ბრძო-ლები დამარცხებულ ექსპლოატატორულ კლასთა ნაშთების წინააღმდეგ. ამასთან ჯარისკაცები გადაჭრით უარს ამბობ-დნენ იარაღის ჩაბარებაზე, რაც მათ სჭირდებოდათ საბჭოთა

---

* სახალხო კომისართა საბჭოს კავკასიის უწყება, 1918 წ. 13 თე-ბერვალი.

ხელისუფლების განსამტკიცებლად და კონტრრევოლუციის საბოლოო განადგურებისათვის, უმწყობრო ნაწილებიც კი იარაღდებოდნენ.

«არმიაში,—აუწყებდა კავკასიის არმიის სარდალი გენერალი ოდიშელიძე ფრონტის სარდალს გენერალ პრჟევალსკის,—გაჩნდა ახალი სახის ფსიქოზი—ყველა უმწყობრო ნაწილი და რაზმი სულ ერთთავად მოითხოვს იარაღს. მოტივი: ამიერკავკასიის მთავრობა გამოეყო რუსეთს, იარაღი კი რუსეთისაა, ამიტომ იგი რუსეთში უნდა წავიღოთო»*.

თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებულ შეიარაღებულ რუს ჯარისკაცებს თბილისზე, ანტისაბჭოთა კოალიციის დედაქალაქზე უნდა გაევლოთ. თავის არსებობისათვის შიშით შეპყრობილმა ამიერკავკასიის კომისარიატმა და ეროვნებათაშორისო საბჭომ კავკასიის არმიის სარდლობის დახმარებით შეიმუშავეს გეგმა, რათა მოეხდინათ კომუნისტურად განწყობილი სამხედრო ნაწილების და ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების განიარაღება. ისინი ამ გეგმის განხორციელებისას არავითარ საზიზღარ საშუალებას არ ერიდებოდნენ.

ათეული და ასეული ეშელონი, ათეული და ასეული ათასობით ჯარისკაცი მიემართებოდა რკინიგზით თურქეთის ფრონტიდან კალედინის წინააღმდეგ.

1918 წ. 7 იანვარს რკინიგზის პატარა სადგურ შამქორთან, თბილის-ბაქოს მაგისტრალზე, ერთ-ერთ ეშელონს მოღალატურად თავს დაესხა შეიარაღებულ მუსლიმანთა მრავალათასიანი ბანდა ელიზავეტპოლის მუსლიმანური ეროვნული კომიტეტის მეთაურობით და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გაგზავნილი ჯავშნიანი მატარებელი. ამ ბოროტმოქმედების შედეგად მოკლულ და დასახიჩრებულ იქნა ათასობით რუსი ჯარისკაცი, გაიტაცეს 15 ათასი თოფი, 70 ტყვიამფრქვევი და ოცამდე ქვემეხი.

დადასტურებულია საბუთებით, რომ რუსი ჯარისკაცების დახვრეტაში სადგურ შამქორთან უშუალო დანაშაული მიუძ-

* საჭ. სსრ ცსსა, ფ. 9. ს. 9, გვ. 283.

ღვით მენშევიკური პარტიის ბელადებს ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილს. მათ განახორციელეს თავიანთი დანაშაულებრივი საქმე სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმის და ეროვნებათაშორისო საბჭოს დადგენილების საფუძველზე და ამიერკავკასიის კომისარიატის პირდაპირი განკარგულებით *.

მაგრამ ქართველი მენშევიკების მეთაურობით მოქმედ შეძლებულ კლასთა კოალიციის ვარაუდი—უზრუნველეყოთ «ზურგი» ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან, არ გამართლდა. 1918 წ. 11 თებერვალს, ღამით საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს როსტოვი, ხოლო 13 თებერვალს — ნოვოროსიისკი, რომლებიც კალედინ-კორნილოვის თავშესაფარს წარმოადგენდნენ. 1918 წლის მარტის დამდეგს საბჭოთა ხელისუფლება თერგზე განმტკიცდა. ამრიგად, წერს ამხანაგი სტალინი, «ჩრდილოეთიდან მომავალი საბჭოთა რევოლუციის ტალღა უბოდიშოდ შეიჭრა ამიერკავკასიის კოალიციის სამეფოში და მის არსებობას ემუქრება» **.

არახელსაყრელი ვითარება იქმნებოდა მენშევიკებისათვის თვით ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ ყოველგვარი ზომებით ჩაეხშოთ რევოლუციური მოძრაობა, გაენადგურებიათ კომუნისტური ორგანიზაციები და მოესპოთ მათი გავლენა მასებზე. მენშევიკებისაგან მუშების ჩამოშორების პროცესმა 1918 წლიდან უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო, ვიდრე 1917 წ.

ამიერკავკასიის კომისარიატის მუშათა კანონმდებლობა განსაკუთრებით უმწეო იყო. მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოაქვეყნა მხოლოდ რვასაათიანი სამუშაო დღის კანონი (1918 წ. 14 იანვარს). მაგრამ ეს კანონი მხოლოდ იმას ადასტურებდა, რაც უკვე მუშათა ძალით იყო მოპოვებული. მუშების ზეგავლენით, რვასაათიანი სამუშაო დღე თბილისში შემოღებული

---

* იხ. «კავკაზსკი რაბოჩი» № 28, 1918 წ.

** ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 64.

იყო ჯერ კიდევ 1917 წლის მაისში, თუმცა ამა თუ იმ საბაბით კაპიტალისტები მას ხშირად არღვევდნენ.

მენშევიკები ებრძოდნენ მუშათა კონტროლს და ამასთან თვით მათ მიერვე ნავარაუდევი სახელმწიფო კონტროლიც არ განუხორციელებიათ, თუმცა ამ სახელმწიფო კონტროლზე ისინი დაუსრულებლივ ბევრს ლაპარაკობდნენ და წერდნენ თავიანთ პრესაში.

მხოლოდ 1918 წლის თებერვალს დაისვა პირველად ამიერკავკასიაში საკითხი — განხორციელებული ყოფილიყო დროებითი მთავრობის 1917 წლის 11 ოქტომბრის კუდმოკვეცილი კანონი მუშების სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

ამიერკავკასიის კომისარიატი სულ აჭიანურებდა კანონის გამოცემას შრომითი ხელშეკრულებისა და მეწარმეთათვის მომრიგებელ კამერათა გადაწყვეტილებების სავალდებულო ხასიათის შესახებ.

ამრიგად, ამიერკავკასიის კომისარიატის პერიოდში მუშათა საკითხის გადაჭრის ხაზით მენშევიკები იმით დაკმაყოფილდნენ, რომ ახორციელებდნენ ბურჟუაზიასთან შეთანხმებას და არწმუნებდნენ მას, რომ «მომრიგებელი კამერები» (რომელთა გადაწყვეტილება მეწარმეთათვის სავალდებულო არ იყო) საჭიროა.

კიდევ უფრო უბადრუკი იყო მენშევიკების ღონისძიებები მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში. ყველაფერი, რასაც კი ამ მხრივ საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭო აკეთებდა, იმაში გამოიხატა, რომ მან გახსნა 4 წერა-კითხვის სკოლა, სადაც დაახლოებით 180 კაცი ირიცხებოდა. ამ სკოლებს აფინანსებდა ქალაქის გამგეობა და უსახსრობის გამო ეს სკოლები მალე დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მუშათა და გლეხთა დეპუტატების მენშევიკური საბჭოები აღარავითარ როლს არ თამაშობდნენ. ისინი იკრიბებოდნენ მხოლოდ ფორმალურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე.

მენშევიკების საერთო პოლიტიკის მარცხმა, საერთო ეკონომიური კრიზისის გაღრმავებამ, სასურსათო მომარაგების განსაკუთრებით გაუარესებამ — კიდევ უფრო გაამწვავა

კლასობრივი წინააღმდეგობანი. იგი ბიძგს აძლევდა მუშებს რევოლუციური ბრძოლისაკენ და ხელს უწყობდა მუშათა ჩამოშორებას მენშევიკებისაგან.

თბილისში 1918 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში მეწარმეებმა იმ საბაბით, რომ არ იყო სათბობი და ნედლეული, მეტად სამძიმო იყო მათთვის მაღალი სამუშაო ხელფასი და შრომის ნაყოფიერებაც დაეცა, დახურეს მთელი რიგი წვრილი საწარმოები. ერთიმეორის მიყოლებით იხურებოდა ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები, ტყავისა და ფეხსაცმლის სახელოსნოები, სტამბები და სამკაზმაოები. მუშაობა შეწყვიტა იარალოვის მსხვილმა ქარხანამ, სადაც ასობით მუშა იყო ჩაბმული, დაიხურა ალიხანოვისა და ტოლეს საპნისა და ზეთსახდელი ქარხნები, ძმების — კარპინსკების ქარხანა და ა. შ.. საწარმოთა დახურვის გამო თბილისის შრომის ბირჟამ მარტო 1918 წლის 1 თებერვლიდან 18 თებერვლამდე აღრიცხვაზე აიყვანა 3.720 ახალი უმუშევარი.

საქართველოში უკვე 1918 წლის პირველ თვეებში მუშები სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლის საგაფიცვო ფორმას, მიუხედავად მენშევიკური აგიტატორების და პროპაგანდისტების ყოველგვარი ცდისა — დაერწმუნებიათ მუშები იმაში, რომ საჭიროა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის არსებობდეს კლასობრივი მშვიდობა.

1918 წლის იანვარს თბილისში გაიფიცნენ მბეჭდავი მუშები, თებერვალში გაიფიცნენ შავი ზღვის რკინიგზის მშენებელი მუშები და ქალაქ ფოთის ნავსადგურის მუშები. ერთ თვეზე მეტი გრძელდებოდა დიდი გაფიცვა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში.

რკინიგზელებს შორის მომხდარ გარდატეხას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. «მენშევიზმის ციხე-სიმაგრე (ე. ი. რკინიგზის პროლეტარიატი.—გ. ხ.),—წერდა გაზეთი «კავკაზსკი რაბოჩი», — კოლოსალურად გაიბზარა, მასში სულ ადვილად იჭრება ბოლშევიზმი» *.

* «კავკაზსკი რაბოჩი» № 21, 1918 წ.

საქართველოს მუშათა მასების გარეოლუციონერებაში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი განვითარება.

«...ჩრდილოეთიდან მომავალი რევოლუცია, რომელსაც მუშებისათვის ახალი მონაპოვარნი მოჰქონდა,—წერდა ამხანაგი სტალინი, — ბუნებრივია, ახალი ბრძოლისათვის ამხედრებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს. მენშევიკური კონტრრევოლუციის დასაყრდენის, მძინარა თბილისის მუშებიც კი ზურგს აქცევდნენ ამიერკავკასიის კომისარიატს და მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას» *.

უდიდეს როლს თამაშობდა ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატი. ბაქოს პროლეტარიატი, რომელმაც «...ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე სცნო საბჭოთა ხელისუფლება და რომელიც დაუღალავად ებრძვის ამიერკავკასიის კომისარიატს, ძილს არ ანებებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს, მისთვის მისაბაძ მაგალითსა და სოციალიზმის გზის მანათობელ ცოცხალ შუქურას წარმოადგენდა» **.

სადგურ შამქორთან ჯარისკაცთა მხეცურმა დახვრეტამ და ამიერკავკასიის კომისარიატის სხვა კონტრრევოლუციურმა საქმიანობამ, მიმართულმა კომუნისტური ორგანიზაციების და რევოლუციურად განწყობილი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, ამიერკავკასიის მუშათა მასებში გადამწყვეტი პროტესტი და პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები გამოიწვია. ფაბრიკებსა და ქარხნებში ყველგან კომუნისტების ხელმძღვანელობით მოეწყო საპროტესტო მიტინგები, სადაც სათანადო რეზოლუციებს ღებულობდნენ.

პროლეტარიატის განწყობილების დამახასიათებელი იყო კრება, რომელიც გაიმართა 1918 წ. 25 იანვარს სადგურ თბილისის დეპოში და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში. კრებას დაესწრო არა ნაკლებ 2 ათასი კაცისა. კავკასიის საგანგებო კომისარი ს. შაუმიანი გამოვიდა

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 65.

** იქვე, გვ. 65—66.

მოხსენებით «კონტრრევოლუცია და რევოლუცია ამიერკავკასიაში». კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც გადაჭრით დაგმობილი იყო ამიერკავკასიის კომისარიატის პოლიტიკა.

აღსანიშნავია, რომ როდესაც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 6 იანვრის დეკრეტით დაშლილ იქნა დამფუძნებელი კრება პეტროგრადში, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციამ სცადა ამის გამო თბილისში საპროტესტო მიტინგი მოეწყო. ეს მენშევიკური წამოწყება სამარცხვინოდ ჩაიშალა: მიტინგს მხოლოდ 300 კაცი დაესწრო.

1918 წ. პირველი თვეების დამახასიათებელია გლეხთა მასობრივი განთავისუფლება მენშევიკ-ესერთა გავლენისაგან, და მათ შორის კომუნისტების ავტორიტეტისა და გავლენის ზრდა.

გლეხთა მოძრაობაში უდიდეს მაორგანიზებულ როლს თამაშობენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, რომელთა უმრავლესობა კომუნისტურად იყო განწყობილი.

«ფრონტიდან დაბრუნებულმა ამიერკავკასიელმა ჯარისკაცებმა სოფლებს მოსდეს აგრარული რევოლუცია. ცეცხლში გაეხვია მუსლიმან და ქართველ მემამულეთა სახლკარი. ბატონყმური ნაშთების საყრდენებზე გადამწყვეტი იერიში მიიტანეს «გაბოლშევიკებულმა» ჯარისკაცმა-გლეხებმა. ცხადია, ამიერკავკასიის კომისარიატის ფუჭი დაპირებანი გლეხებისათვის მიწის გადაცემის შესახებ ველარ დააკმაყოფილებდნენ გლეხებს, რომლებიც აგრარულმა ტალღამ მოიცვა. კომისარიატისაგან საქმეს მოითხოვდნენ, მაგრამ არა კონტრრევოლუციურს, არამედ რევოლუციურს»*

აი როგორ აგვიწერს სოფლის მდგომარეობას და გლეხთა განწყობილებას 1918 წ. დამდეგს დასავლეთ საქართველოდან გამოგზავნილი კორესპონდენცია:

«იმერეთის მოსახლეობა ობორონცების პოლიტიკის მეოხებით ნამდვილ შიმშილს განიცდის. რუსეთის ცენტრალური

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4. გვ. 65.

ხელისუფლებისაგან გამოყოფით შექმნილი ფინანსური კრიზისი, დღითიდღე ძლიერდება... იმერელი გლეხებისაგან ხშირად გაიგონებთ, რომ მათმა თანამემამულეებმა გეგეჭკორმა და ჩხენკელმა უღალატეს გლეხობას, არ მისცეს მას არც მიწა, არც ზავი, ნაცვლად ზავისა კი მისცეს ძმათსაჟლეტი ომი...

ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ბოლშევიკები აღმოჩნდნენ: ჯარისკაცებმა ჩქარა იწყეს ორგანიზება, ბოლშევიკების პარტიაში ჩაწერეს რა თავიანთი ამხანაგი-მეზობლები. ჯარისკაცების ორგანიზაცია არ მოსწონთ ჩვენს ობორონცებს, რომლებიც ამ უკანასკნელ დროს ყოველდღე ათობით და ასობით თანამგრძნობთ კარგავენ» *.

გლეხების სიძულვილმა მათი საუკუნეებრივი მჩაგვრელების მიმართ გამოხატულება პოვა მემამულეთა კარმიდამოების მასობრივი განადგურებასა და მემამულეთა წინააღმდეგ მიმართულ ტერორში. გლეხთა ბრძოლა განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა გორის მაზრაში, სადაც თავადაზნაურობა ყველაზე უფრო შემჭიდროებული იყო და სადაც მეტად არსებობდა ბატონყმობის ძლიერი ნაშთები. შედარებით მოკლე ხანში გლეხებმა მემამულეთა ბევრი კარმიდამო გაანადგურეს და მოკლეს დიდი მემამულეები: ციციშვილები, ხერხეულიძეები, ვეზირიშვილები, ამილახვრები, აბაზაძეები, ჩიქოვანები და სხვ.. გლეხთა გამოსვლების ტალღა მოედო აგრეთვე სამხრეთ ოსეთს, დუშეთის, ბორჩალოს და თელავის მაზრებს და, ბოლოს, დასავლეთ საქართველოს. სოფ. კარდანახსა და ბაკურციხეში, კახეთში, გაანადგურეს აბხაზის, ვაჩნაძისა და სხვების მამულები. თელავის მაზრაში გლეხთა მოძრაობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი იძულებული იყო გაეგზავნა იქ დიდი შეიარაღებული ძალები და ჯავშნიანი მატარებელი. ბორჩალოს მაზრის სოფ. სადახლოში გაანადგურეს ბარონ კუჩენბახის კალაპოტ-სარჭის ქარხანა.

---

* «კავკასკი რაბოჩი» № 25, 1918 წ.

მემამულეების წინააღმდეგ გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ზრდასა და გაღრმავებასთან ერთად, კლასობრივი წინააღმდეგობა გამწვავდა აგრეთვე თვით გლეხობის შიგნითაც. უღარიბესი გლეხობა მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლის დროს იარაღს მიმართავდა სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგაც.

ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ სოფლად გაგზავნილი დამსჯელი რაზმები კიდევ უფრო აღვივებდნენ გლეხთა მასების სიძულვილს მენშევიკებისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების მიმართ. კომუნისტური მასები სულ უფრო მტკიცედ უკავშირდებოდნენ მშრომელთა ფართო მასებს და გლეხების მხურვალე სიმპათიას იმსახურებდნენ.

კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მენშევიკები ველარ ამყარებდნენ იმედს თავიანთ ეროვნულ პოლკებზეც კი, რომლებიც თვით ნ. ჟორდანიას აღიარებით ასევე «ბოლშევიკური აგიტაციის მსხვერპლი გახდნენ და მათ შორის მასობრივი დეზერტირობა დაიწყო».

ამის გამო ელიზავეტპოლიდან (ამჟამად ქალაქი კიროვაბადი) გამოიძახეს «ველური დივიზია», რომელიც აზერბაიჯანელმა მემამულეებმა ჩამოაყალიბეს და რომელიც ცნობილი იყო ბარბაროსული სიმხეცით და ჯარისკაცთა დახვრეტით შამქორთან.

კომუნისტური განწყობილება ბატონობდა მე-5 ქართულ პოლკში, რომელიც დაბანაკებული იყო თბილისის მესანგრეთა ყაზარმებში. როდესაც ამ პოლკის განიარაღების შესახებ ამიერკავკასიის კომისარიატის გადაწყვეტილების განსახორციელებლად ყაზარმაში მენშევიკი ა. ჩხენკელი მივიდა, იგი კინაღამ არ გაასამართლეს ჯარისკაცებმა და ძლივს დააღწია იქიდან თავი.

მთლიანად ბოლშევიკური გავლენის ქვეშ მოექცა ქალაქ გორში დაბანაკებული მე-4 ქართული პოლკი.

1918 წ. 4 იანვარს გორის კომუნისტური ორგანიზაცია რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტს წერდა:

«გორში დაბანაკებული, 6 ასეულისაგან შემდგარი მე-4 ქართული პოლკი, რიცხვით 600-ზე მეტი ჯარისკაცი, უკლებლივ

ყველა ჩვენს პარტიას თანაუგრძნობს, ამიტომ გორის ორგანიზაცია გთხოვთ დაუყოვნებლივ მოავლინოთ გორში ინსტრუქტორი სათანადო მოქმედების განსაზღვრისათვის» *.

1918 წ. 10 იანვარს მე-4 ქართული პოლკის ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს ჩაებარებიათ იარაღი მენშევიკური გვარდიისათვის, განაიარაღეს მილიციონერები, თავს დაესხნენ მენშევიკების სამაზრო კომისარიატს და წამოიღეს იმ შენობაში აღმოჩენილი იარაღი.

3 თებერვალს მოეწყო პოლკის კრება, რომელზედაც მიღებულ იქნა კომუნისტური რეზოლუცია და გადაწყვეტილება არ ეცნოთ ამიერკავკასიის კომისარიატის ძალაუფლება.

გორის მაზრაში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. აქ გადაისროლეს დიდძალი შეიარაღებული ძალა, და, თუმცა მე-4 პოლკის გამოსვლა ჩააქრეს, ჯარისკაცთა უმრავლესობა დაპატიმრებას გადაურჩა და მიემხრო გლეხთა მოძრაობას მაზრაში.

კომუნისტების ხელმძღვანელობით 6 თებერვალს აჯანყდნენ ქუთაისის გარნიზონის სამხედრო ნაწილები. ქალაქი რამდენიმე დღეს აჯანყებულთა ხელში იყო. მენშევიკებმა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხეს აჯანყების ლიკვიდაცია, როდესაც ქუთაისში გაიგზავნა ჯავშნოსანი მატარებელი და მენშევიკური ნაწილები.

კომუნისტების ხელმძღვანელობით აჯანყდა მე-8 ქართული პოლკი, რომელიც დაბანაკებული იყო ქალაქ თელავში. მზად იყო იარაღით გამოსულიყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ფოთში დაბანაკებული მე-3 პოლკიც.

1918 წ. 20 თებერვალს ქუთაისში გაიხსნა დასავლეთ საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც კომპარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოიწვია. ოფიციალური მონაცემებით, კონფერენციის დელეგატები კომუნისტური პარტიის 6 ათასამდე წევრისაგან იყვნენ

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივის ფონდი.

არჩეული წარმომადგენლებად. დელეგატების ყველაზე მეტი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი სენაკის მაზრისა და ხონის რაიონების, ხოლო შემდეგ ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრების კომუნისტური ორგანიზაციები.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იყო საკითხები: «მიმდინარე მომენტი», «საკითხი ხელისუფლების შესახებ», «მიწის საკითხი», «გლეხთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაციის შესახებ» და სხვ.

ყველა მომხსენებელი ადგილებიდან განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ სოფლად მოხდა უდიდესი გარდატეხა კომუნისტების სასარგებლოდ. თითქმის ყველა სოფელში ჩამოყალიბდა კომუნისტური უჯრედები. დელეგატების აზრით, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნების შემთხვევაში, მენშევიკები იმ ხმების $^1/_6$-აც ვერ შეაგროვებდნენ, რაც მათ უკანასკნელ არჩევნებში მიიღეს.

«ამრიგად, — ნათქვამი იყო კონფერენციის რეზოლუციაში,—ორ-სამ თვეში ჩვენი სოფელი საგრძნობლად შეიცვალა: მენშევიკებმა იქ ან უკვე დაკარგეს ყოველგვარი ნიადაგი ან ამჟამად კარგავენ; ამასთან ერთად ჩვენ ვხედავთ ბოლშევიზმის გასაოცარ ზრდას,—თითქმის ყოველ სოფელში... არსდება ბოლშევიკური ორგანიზაციები».

კონფერენციამ მიიღო დადგენილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ, ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა საბრძოლო შტაბი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნაცადი კომუნისტი ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი.

***

1918 წ. თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა თბილისში მოიწვია ეგრეთწოდებული ამიერკავკასიის სეიმი. მისი მიზანი იყო ბრძოლის გაძლიერება საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ და აგრეთვე რსფს რესპუბლიკისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის იურიდიული გაფორმება.

ეს სეიმი შედგებოდა ესერთა, მენშევიკთა, დაშნაკთა და ხანთა დეპუტატებისაგან, რომლებიც არჩეული იყვნენ ამიერკავკასიიდან სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში; მათ დაემატა ამ პარტიათა წარმომადგენლები ხმათა იმ რაოდენობის პროპორციულად, რაც მათ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიიღეს [35].

კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს კომუნისტურმა ორგანიზაციამ გააჩაღეს ფართო კამპანია ამ კონტრრევოლუციური სეიმის მოწვევის წინააღმდეგ; ისინი ამიერკავკასიის მშრომელი მასების წინაშე ამხელდნენ სეიმის შემადგენლობაში შემავალი კონტრრევოლუციური პარტიების ახალ მატყუარობასა და მათს ჭეშმარიტ ზრახვებს.

პარტიის სამხარეო კომიტეტმა თავის მიმართვაში მუშებისა, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი ასე დაახასიათა ეს კონტრრევოლუციური დაწესებულება:

«სეიმი წარმოადგენს ახალ სიყალბეს, ხალხის ახალ მოტყუებას, ახალ საშუალებას რევოლუციის ჩასახრჩობად ამიერკავკასიაში მუსლიმანი ბეგებისა და ხანების საამებლად, ქართველი თავადებისა და სომეხი ბურჟუაზიის საამებლად» *.

კომუნისტებმა მაშინვე წამოაყენეს ლოზუნგები: შექმენით მუშათა და გლეხთა დეპუტატების რევოლუციური საბჭოები.

ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის დღეს რევოლუციური გამოსვლების თავიდან ასაცილებლად, ამიერკავკასიის კომისარიატმა გააძლიერა რეპრესიები კომუნისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ. 8 თებერვალს დახურეს კომუნისტური გაზეთები: «კავკაზსკი რაბოჩი», «ბრძოლა», «ბანვორი კრივ». ამასთან ერთად დააპატიმრეს ბევრი ხელმძღვანელი კომუნისტი მუშაკი.

ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელ რიგ რაიონებში გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები.

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, 1917—1921 წ. წ. ბოლშევიკური პროკლამაციების ფონდი.

იმის შიშით, რომ ქალაქში არ მომხდარიყო რევოლუციური გამოსვლები, ვინაიდან ს. შაუმიანი უკვე შეუდგა კავკასიის საგანგებო კომისრის მოვალეობის შესრულებას, ამიერკავკასიის კომისარიატმა მენშევიკი ე. გეგეჭკორი უფლებამოსილი გახადა მიეღო უსასტიკესი ზომები კომუნისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ და იარაღით ჩაეხშო მუშათა და გლეხთა ყოველგვარი რევოლუციური გამოსვლა.

ამიერკავკასიის კომისარიატმა დაიკავა უაღრესად მტრული პოზიცია ს. შაუმიანის, როგორც კავკასიის საგანგებო კომისრის, საქმიანობის მიმართ, დაემუქრა მას დაპატიმრებით და წინადადება მისცა დაეტოვებინა საქართველოს საზღვრები. ს. შაუმიანი ბაქოში გადავიდა, რათა კავკასიის საგანგებო კომისრის მოვალეობა შეეთავსებინა ბაქოს საბჭოს ხელმძღვანელის საქმიანობასთან.

კონტრრევოლუციის შემოტევას, მის მიერ სამოქალაქო ომის დაუფარავად გამოცხადებას, რასაკვირველია, არ შეეძლო არ გამოეწვია წინააღმდეგობა მუშათა მასების მხრით. 9 თებერვალს შედგა რკინიგზელთა მიტინგი, რომელსაც 3 ათასამდე კაცი დაესწრო. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადგინეს გამოეცხადებინათ გაფიცვა, მოეთხოვათ დაპატიმრებული კომუნისტების განთავისუფლება და აგრეთვე კომუნისტური გაზეთების გამოცემის აკრძალვის გაუქმება. იმავე დღეს ანალოგიური გადაწყვეტილება გამოიტანეს მბეჭდავებმა, ელექტრიკოსებმა, მეტყავეებმა და მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა. შეიქმნა საერთო საგაფიცვო კომიტეტი, რომელმაც თბილისის ყველა მუშა გააერთიანა.

დახურულ გაზეთ «კავკაზსკი რაბოჩის» ნაცვლად პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და კომუნისტური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტმა დაიწყეს გაზეთ «კავკაზსკაია პრავდას» გამოცემა.

ამიერკავკასიის სეიმის გახსნის დღეს, 10 თებერვალს, კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა ალექსანდრეს ბაღში მოაწყვეს საპროტესტო მიტინგი. წითელი დროშებით გამოცხადდნენ რკინიგზელები, მელითონეები,

მეტყავენი, მეთამბაქოები და ამ დღეს გაფიცული მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების მუშები. სულ ჯარის ნაწილებთან ერთად მიტინგზე რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა.

ამრიგად, ამიერკავკასიის სეიმის გახსნას, რომელსაც იურიდიულად უნდა გაეფორმებია ამიერკავკასიის გამოყოფა საბჭოთა რუსეთისაგან, მშრომელებმა უპასუხეს მასობრივი პროტესტით ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების ბლოკის პოლიტიკის წინააღმდეგ.

მენშევიკებმა ახალი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. ნ. ჟორდანიასა და ე. გეგეჭკორის დირექტივით დახვრიტეს კომუნისტური მიტინგის მონაწილენი ალექსანდრეს ბაღში. ჯალათებმა დაწვრილებით გაითვალისწინეს ამ გულშემზარავი ანგარიშის გასწორების უმცირესი წვრილმანიც კი — მათ წინასწარ დაკეტეს ბაღის ყველა გამოსავალი კარი. საგანგებო მენშევიკურმა რაზმმა სრულიად გაუფრთხილებლად ტყვიამფრქვევი და თოფი დაუშინა მიტინგს.

ალექსანდრეს ბაღში კომუნისტური მიტინგის დახვრეტის პასუხად გამოცხადებულ იქნა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა.

ამ ბოროტმოქმედებით მენშევიკებმა საბოლოოდ ამხილეს თავისი თავი მშრომელთა მასების თვალში [36].

ამიერკავკასიის სეიმში ხელმძღვანელი პარტია იყო ქართველი მენშევიკები. ამ ცრუპარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. ჩხეიძე, ცნობილი სოციალ-შოვინისტი, ობოროონეცი, ბურჟუაზიასთან კოალიციის მომხრე. 1917 წ. ის არჩეული იყო მუშათა და გლეხთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარედ და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინადღით მოასწრო პეტროგრადიდან საქართველოში გაპარვა. სეიმი განაგრძობდა ამიერკავკასიის კომისარიატის პოლიტიკას და მას არც ერთი ღონისძიება არ განუხორციელებია მუშათა კლასისა და გლეხობის სასარგებლოდ.

გლეხთა აჯანყების ზეგავლენით სეიმი იძულებული იყო დაეჩქარებინა აგრარული კანონმდებლობის განხილვა.

მაგრამ რა ფასი ჰქონდა ამ კანონმდებლობას?

მენშევიკები, რომლებიც შეკავშირებული იყვნენ მემამულეებთან და მეთაურობდნენ ანტისაბჭოთა კოალიციას, ისეთ აგრარულ რეფორმას ახორციელებდნენ, რაც უზრუნველყოფდა მიწის საგრძნობი ნაწილის შენარჩუნებას მემამულეებისა და კულაკების ხელში.

1918 წ. 7 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა გამოსცა კანონი, რომლითაც «კონფისკებული მამულის მფლობელის ხელში დასატოვებელი მიწის ფართობი განისაზღვრება: ა) შვიდი დესეტინით, თუ კონფისკებული მამული ისეთ რაიონშია, სადაც ძვირფასი კულტურების მეურნეობას მისდევენ, ბ) თხუთმეტი დესეტინით მარცვლეული მეურნეობის რაიონში, 3) ორმოცი დესეტინით, იქ სადაც უმთავრესად მესაქონლეობის მეურნეობას მისდევენ».

ამ კანონის შენიშვნის თანახმად, საგუბერნიო, საოლქო და საოკრუგო საადგილმამულო კომიტეტებს უფლება ჰქონდათ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, გაედიდებინათ მფლობელისათვის დასატოვებელი მიწის რაოდენობა 10 დესეტინამდე პირველი კატეგორიის მეურნეობაში, 20 დესეტინამდე — მეორე კატეგორიისა და 50 დესეტინამდე მესამე კატეგორიის მეურნეობაში.

შემდეგი კანონებისა და ინსტრუქციების თანახმად მიწის რეფორმის განხორციელების ხაზით, მიწათმფლობელები იღებდნენ მთელ რიგ დამატებით შეღავათებს. მაგალითად, მათ საშუალება ჰქონდათ მამულის ფაქტიური გაყოფის მეოხებით მიეღოთ მიწის რამდენიმე ნორმა. მათ უფლება ჰქონდათ აერჩიათ მიწა არა მარტო მამულის ფარგლებში, რომელიც უნდა ჩამორთმეოდათ, არამედ მოეთხოვათ მათ ხელში დატოვებული მამულის დამრგვალება მეზობელ მფლობელთა ნაკვეთების ხარჯზე. მემამულეებს მეურნეობის საჭიროებისათვის უტოვებდნენ აგრეთვე ცოცხალ და მკვდარ ინვენტარს, ხოლო ჩამორთმეული ინვენტარისათვის ანაზღაურება ეძლეოდათ.

ბოლოს, 1918 წ. 2 მაისს გამოიცა განმარტება, რომლითაც «კერძო მფლობელთაგან ჩამორთმეული მამულები ან მათი

ნაწილი, თუ მათ განსაკუთრებული სახალხო-მეურნეობრივი ღირებულება აქვთ, შეიძლება, სამხარეო ან სათანადო საგუბერნიო საადგილმამულო გამგეობის განკარგულებით... დაეტოვოს წინანდელ მფლობელს დროებით, მეურნეობის სათანადო დონეზე შენარჩუნების მიზნით».

ეს განმარტება არამცთუ შესაძლებლობას აძლევდა მემამულეებს ხელუხლებლად შეენარჩუნებიათ თავიანთი მამულები, არამედ მამულების კონფისკაციას თავიდან აცილებდა სოფლის კულაკებს, რადგან კულტურულ-ღირებული მამულის თანრიგში შეიძლებოდა, თუ ამის სურვილი იქნებოდა, მოექციათ ყოველგვარი მამული, სადაც კი ცოტად თუ ბევრად მოწესრიგებულ კაპიტალისტურ მეურნეობას ეწეოდნენ. ეს მით უფრო ადვილი იყო, რომ თვით ორგანიზაციებისა და იმ პირთა შემადგენლობა, ვინც ამ საკითხს წყვეტდა, ქმნიდა ყველა პირობას იმისათვის, რომ მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწათმფლობელთა ხელში დარჩენილიყო.

სეიმმა უარი თქვა საბჭოთა რუსეთის მიერ დადებული ბრესტის ზავის ცნობაზე და დაიწყო ზავის პირობების საკითხის თავისებურად გადაწყვეტა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა მთავრობის მიმართვა ყველა მეომარი მთავრობისა და ხალხისადმი სამართლიანი და დემოკრატიული ზავის დაუყოვნებლივ დადების შესახებ უშედეგო აღმოჩნდა.

საბჭოთა მთავრობა 1918 წლის 3 (17) მარტს იძულებული იყო ხელი მოეწერა ბრესტ-ლიტოვსკის «საზავო» ხელშეკრულებაზე გერმანიასთან მისი ცალკეული მუხლების განუხილველად. ამ ხელშეკრულებით გერმანიამ მოითხოვა გადაცემული ყოფილიყო თურქეთისათვის არდაგანის, ყარსის და ბათუმის ოლქები. 15 მარტს საბჭოების საგანგებო სრულიად რუსეთის ყრილობამ მოახდინა ბრესტის «საზავო» ხელშეკრულების რატიფიკაცია.

მძიმე «უბედურ ზავზე», «ტილზიტის ზავზე», — როგორც ლენინი ბრესტ-ლიტოვსკის ზავს უწოდებდა, — ხელმოწერით საბჭოთა მთავრობას სურდა დრო მოეგო საბჭოთა ხელის-

უფლების განსამტკიცებლად, გამოეყენებია წინააღმდეგობანი და შეხლა-შემოხლა იმპერიალიზმის ბანაკში, შეექმნა წითელი არმია, მომზადებულიყო რევოლუციური, განმათავისუფლებელი ომისათვის.

ზავის საკითხში კომუნისტური პარტიის და მისი გენიალური ბელადის ვ. ლენინის ხაზის მთელი სისწორე ცხადყო ისტორიამ.

ამიერკავკასიის სეიმმა უარი თქვა საბჭოთა რუსეთის მიერ დადებული ბრესტის ზავის ცნობაზე და ავანტიურაზე წავიდა; იგი შეეცადა მიეღწია თურქეთთან ზავის დადების დამოუკიდებელი პირობებისათვის, რომელთა მიხედვით ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის აღდგენილი უნდა ყოფილიყო პირველი მსოფლიო ომის გამოცხადების მომენტისათვის არსებული საზღვარი.

ამიერკავკასიის სეიმმა თურქეთთან საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად ტრაპიზონში გაგზავნა დელეგაცია მენშევიკ ა. ჩხენკელის მეთაურობით. თურქეთის დელეგაციას მეთაურობდა რაუფ-ბეი. კონფერენცია ფაქტიურად 1918 წლის 1 მარტს გაიხსნა, მისი მუშაობა გაგრძელდა 1 აპრილამდე, მაგრამ ვერავითარი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. მიუხედავად იმისა, რომ 1917 წ. დეკემბერში ამიერკავკასიის კომისარიატსა და თურქეთს შორის დაიდო დროებითი ზავი, თურქეთის ჯარი განაგრძობდა სამხედრო ოპერაციებს და მან სულ იოლად აიღო ერთიმეორეზე მიყოლებით ქალაქები — ერძიჯანი, ბაიბურთი, მამახათუნი და არზრუმი. თურქეთის ჯარი ანგარიშს არ უწევდა არც ტრაპიზონის მოლაპარაკებას, არც ამიერკავკასიის სეიმის პროტესტებს და განაგრძობდა შეტევას. მან დაიკავა ბათუმის, ყარსის, არდაგანის ოლქები, შეიჭრა ოზურგეთში და უშუალოდ დაემუქრა თვითონ თბილისს. ამიერკავკასიის სეიმს მას შემდეგ, რაც ფრონტი მასობრივად მიატოვა კავკასიის არმიამ, არ აღმოაჩნდა საკმაო რეალური ძალა თურქეთის ჯარის შესაჩერებლად. ცხადი გახდა, რომ ამიერკავკასიის შეძლებული კლასების კონტრრევოლუციური ბლოკი ჩაება ომში თავადებით, იმე, რომ არ ჰყავდა არც ჯარი და არც

ეკონომიურად და ფინანსურად იყო მომზადებული, მენშევიკური პარტიის მე-8 საოლქო ყრილობაზე ნ. ჟორდანია იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამიერკავკასიის დაცვის საკითხში მენშევიკური პარტიის საოლქო კომიტეტმა თავისი პარტიაც კი ვერ გაიყოლია თან. სეიმის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია 19 წლიდან 25 წლის ასაკამდე სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ფრონტზე გასაგზავნად ჯარისკაცთა არმიაში გაწვევასთან დაკავშირებით საქართველოს სხვადასხვა რაიონში სერიოზული მღელვარება დაიწყო. მაგალითად, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში გამოცხადდა 3000 კაცის მობილიზაცია. ნამდვილად შესაკრებ პუნქტებზე არც ერთი კაცი არ მოვიდა.

ამიერკავკასიის სეიმის პროოკაციულმა, ანტიხალხურმა პოლიტიკამ ის გამოიწვია, რომ შინაგანი წინააღმდეგობებით შეპყრობილმა კონტრრევოლუციურმა ბლოკმა ვერ შეძლო წინ აღდგომოდა შეტევაზე გადმოსულ თურქებს. უშედეგო აღმოჩნდა აგრეთვე განახლებული საზავო მოლაპარაკება, რაც მიმდინარეობდა ბათუმში 1918 წლის 11-დან 26 მაისამდე. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა გერმანიის დელეგაცია გენერალ ფონ-ლოსოვის მეთაურობით, რომელმაც სეიმის წარმომადგენლებს «შესთავაზა თავისი კეთილი სამსახური შუამავლის სახით». ამ მოლაპარაკების დროს თურქეთის არმიების მთავარსარდალმა კავკასიაში ვეხიბ-ფაშამ იმ საბაბით, რომ წინააღმდეგობა უნდა გაეწია ინგლისელების ოპერაციებისათვის ირანის ფარგლებში, განკარგულება გასცა დაეძრათ ჯარები ალექსანდროპოლ-ჯულფის რკინიგზით. საარტილერიო ცეცხლის შემდეგ ქალაქი დაკავებულ იქნა. მცხოვრებნი საშინლად აწამეს, მასობრივად გაჟლიტეს და ტყვედ წაიყვანეს.

მაგრამ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები «ჩრდილოეთის ანარქიისაგან განთავისუფლების» მიზნით მზად იყვნენ დაედოთ თურქ-გერმანელ იმპერიალისტებთან ყოველგვარი სახის დანაშაულებრივი გარიგება და წასულიყვნენ მათ მიმართ ყოველგვარ დათმობაზე. სეიმის სხდომაზე 1918 წ.

9 (22) აპრილს მენშევიკმა დ. ონიაშვილმა, რომელიც კონტრ-რევოლუციური ბლოკის აზრს გამოხატავდა, ორიენტაცია საბჭოთა რუსეთზე რეაქციულ ორიენტაციად გამოაცხადა. «ჯერ კიდევ საკითხია, — განაცხადა მან გულახდილი ცინიზმით, — თუ რომელი საფრთხე უარესია — ბოლშევიკური თუ თურქული»*.

ამიერკავკასიის ცალკეულ სახელმწიფოებრივ ერთეულებად დაყოფის შემდეგ ქართველი მენშევიკები დათანხმდნენ ზავის ისეთ პირობებს, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე უარესი იყო.

1918 წ. 4 ივნისს საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დაიდო «ზავისა და მეგობრობის» ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით გარდა ახალი ტერიტორიული დათმობებისა (თურქეთის ხელში გადაეიდა აჭარა ქალაქ ბათუმით, ახალციხის მაზრა და ახალქალაქის მაზრის ნაწილი) საქართველო ვალდებული ხდებოდა დაუყოვნებლივ შედგომოდა თავისი ჯარების დემობილიზაციას, განეიარაღებია შავ ზღვაზე მის განკარგულებაში არსებული სამხედრო ფლოტის ნარჩენები, მიეცა თურქეთისათვის უფლება დაუბრკოლებლივ გადაეყვანა საქართველოს რკინიგზით თურქეთის ჯარები, გადაეზიდა სამხედრო საჭურველი და სხვ.

* * *

მენშევიკების მიერ ალექსანდრეს ბაღში მოწყობილი მიტინგის დახვრეტის შემდეგ კომპარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება — გადაეყვანა საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია არალეგალურ მდგომარეობაზე და შედგომოდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ავანგარდული როლი ეკუთვნოდა ბაქოს პროლეტარიატს,

---

* საბუთები და მასალები «ამიერკავკასიის და საქართველოს» საგარეო პოლიტიკის შესახებ. თბ., 1919 წ., გვ. 221.

რომელსაც კომუნისტური ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ.

ლენინი ს. შაუმიანისადმი გაგზავნილ დეპეშაში 1918 წ. 14 თებერვალს წერდა:

«ძვირფასო ამხანაგო შაუმიან! დიდად გმადლობთ წერილისათვის. აღტაცებული ვართ თქვენი მტკიცე და გაბედული პოლიტიკით. შესძელით შეაერთოთ მასთან უაღრესად ფრთხილი დიპლომატია, რასაც უთუოდ გვიკარნახებს ახლანდელი უძნელესი მდგომარეობა,—და ჩვენ გავიმარჯვებთ» *.

ბაქოს კომუნისტებმა, რომლებიც ლენინის მითითებათა მიხედვით მოქმედებდნენ, გააჩაღეს შეიარაღებული ბრძოლა მუსავატური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

სამი დღის ბრძოლის (30 მარტი — 1 აპრილი) შედეგად ბაქოს პროლეტარიატმა კომუნისტური ორგანიზაციების მეთაურობით გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა კონტრრევოლუციის ძალებზე.

მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების ბაქოს საბჭოს სხდომაზე 12 აპრილს შეიქმნა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ შაუმიანი, აზიზბეკოვი, ჯაფარიძე, ფიოლეტოვი და სხვ.

გამარჯვებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ ბაქოში დაიწყო მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სოციალისტურ ღონისძიებათა განხორციელება.

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ მოახდინა ნავთის მრეწველობის, ბანკების, კასპიის სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია, გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, შემოიღო 8-საათიანი სამუშაო დღე საწარმოებში. დიდი მუშაობა შესრულდა საბჭოთა ხელისუფლების შესაქმნელად აზერბაიჯანის მაზრებში, მჭიდრო კავშირის დასამყარებლად პროლეტარიატსა და მშრომელ გლეხობას შორის და ა. შ. ბაქოს პროლეტარიატმა ბაქოს კომუნისტების ხელმძღვანელობით გაადიდა ნავთის მოპოვება და ბაქოდან ასტრახანში საბჭოთა

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 35, გვ. 349.

რუსეთისათვის გადაზიდულ იქნა დაახლოებით 80 მილიონი ფუთი ნავთი.

შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიმდინარეობდა საქართველოშიც.

ფრონტიდან დაბრუნებულ, კომუნისტურად განწყობილ ჯარისკაცთა ხელმძღვანელობით 23 თებერვალს დაიწყო მასობრივი შეიარაღებული აჯანყება ლეჩხუმის მაზრაში. ბრძოლა მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ლოზუნგით.

აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ლეჩხუმის მაზრის ცენტრი — ცაგერი, გადააყენეს და გააძევეს ყველა მოსამსახურე-მენშევიკი, გარს შემოერტყნენ და განაიარაღეს ძლიერი მენშევიკური რაზმი, რომელიც ქუთაისიდან გამოგზავნეს აჯანყების ჩასაქრობად.

იმ მიზნით, რომ აჯანყებულები იძულებული გაეხადათ იარაღი დაეყარათ, მენშევიკებმა ლეჩხუმის მაზრა კანონგარეშე გამოაცხადეს.

ამის გამო გამოცემულ განკარგულებაში ნათქვამი იყო:

«ხაზინას, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს და მთავრობის ყველა დაწესებულებას ვუბრძანებთ შეწყვიტონ ყოველგვარი კავშირი ლეჩხუმის მაზრასთან. ქუთაისის სახალხო მილიციის უფროსს, აგრეთვე ხონის, ტყიბულის და რაჭის სახალხო მილიციის უფროსებს ევალებათ დაკეტონ ლეჩხუმში მიმავალი გზები და ამით შეწყვიტონ ყოველგვარი მოძრაობა, პირუტყვის გადარეკა და სურსათის შეზიდვა ლეჩხუმის მაზრაში».

ცნობილია, რომ ლეჩხუმის მაზრა ზამთრის მეორე ნახევრიდან ცხოვრობდა მხოლოდ და მხოლოდ გარედან შემოტანილი პურით. მაზრის ყველა გზის დახურვით, მოსახლეობის უპუროდ, უმარილოდ და კვების სხვა პროდუქტების გარეშე დატოვებით, მენშევიკებმა შიმშილით სიკვდილი განუმზადეს აჯანყებულებს. მიუხედავად ამისა, აჯანყებული გლეხები უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოდნენ და იარაღი დაყარეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულიად გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა.

კომუნისტური განწყობილება გაბატონდა მშრომელ გლეხთა მასებში. მაგალითად, ზუგდიდის მაზრის სოფელ წალენჯიხაში მოეწყო 15 სასოფლო საზოგადოების დელეგატებისა და ყოფილი ჯარისკაცების კრება. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: «ჩვენ, ყოფილმა ჯარისკაცებმა და 15 საზოგადოების დელეგატებმა, მოვუსმინეთ მიმდინარე მომენტზე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს და ბ-ნ მაზრის კომისარს, და დავადგინეთ მოვითხოვოთ: 1) გლეხთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაცია როგორც ჩვენს რაიონში, ისე მთელ მაზრაში, 2) აღმასრულებელი კომიტეტის (სამაზრო) გაუქმება და ყველა მისი ფუნქციის გადაცემა გლეხთა დეპუტატების საბჭოებისათვის, 3) არავითარ შემთხვევაში არ იქნას ცნობილი ამიერკავკასიის სეიმის გადაწყვეტილება რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორების შესახებ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოდ ამ საკითხის გადაჭრისათვის ვთვლით მხოლოდ გლეხთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების მიერ შექმნილ მთავრობას, 4) პროტესტს ვუცხადებთ ამიერკავკასიის კომისარიატს თბილისში მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტისათვის. მოვითხოვთ დაპატიმრებულ ბოლშევიკთა განთავისუფლებას». ეს რეზოლუცია დაიბეჭდა კომუნისტურ გაზეთ «კავკაზსკაია პრავდაში» 1918 წლის 8 აპრილს.

1918 წლის მარტის მეორე ნახევარს სამეგრელოში ნაქალაქევის, ბანძის და მარტვილის რაიონში მოქმედებდა ათასზე მეტი კაცისაგან შემდგარი გლეხთა რაზმი მ. ასკურავას და მ. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. ამ რაიონში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

აჯანყებულთა წინააღმდეგ დაძრულ იქნა «ეროვნული» ნაწილების დიდი სამხედრო ძალები გენერალ კონიაშვილის მეთაურობით და აგრეთვე მენშევიკური გვარდიის დიდი რაზმი ვ. ჯუღელის მეთაურობით. მენშევიკური ჯარის განკარგულებაში იყო არტილერიაც.

აჯანყებულები შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდნენ მათ, მაგრამ 5 და 6 აპრილს გამართული ბრძოლის შემდეგ

იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ მთებში და იქიდან გადასულიყვნენ აფხაზეთში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

გლეხთა რაზმები შეიქმნა ზუგდიდის მაზრაშიც. მაისის პირველ რიცხვებში ამ რაზმებში 2 ათასზე მეტი კაცი ირიცხებოდა. ამ რაზმებს სათავეში ჩაუდგა იმ დროისათვის ქუთაისის ციხიდან გამოსული ა. გეგეჭკორი. აჯანყებულები თავს ესხმოდნენ მენშევიკების შეიარაღებულ ძალებს და სასტიკად ამარცხებდნენ მათ.

აპრილის დამდეგს აჯანყება დაიწყო აფხაზეთში. 6 აპრილს აჯანყებულებმა დაიკავეს ქალაქი სუხუმი და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს (ამ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთში იარსება მხოლოდ 42 დღე). აჯანყების ცეცხლის ალში იყო გახვეული სამხრეთ ოსეთიც.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მოწოდებას — მოეწყოთ მიტინგი 1 მაისს, მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოეხმაურა.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო:

«პირველი მაისის დიადი დღესასწაულის დღეს ჩვენ, თბილისის მუშები, ჩვენს ძმურ სალამს ვუძღვნით მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს, კერძოდ, მთელი მსოფლიოს იმპერიალისტების წინააღმდეგ გმირულად მებრძოლ რუსეთის პროლეტარიატსა და გლეხობას, რომლისაგანაც ჩვენს ჩამოშორებას ცდილობს ამიერკავკასიის ბეგურ-მენშევიკურ-დაშნაკური მთავრობა, წინააღმდეგ ჩვენი ინტერესებისა და ხალხის მასების სურვილისა...

ძირს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობა!

გაუმარჯოს სახალხო კომისართა საბჭოს! გაუმარჯოს საბჭოების ხელისუფლებას!

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!»

წინააღმდეგ მშრომელთა სურვილისა და ნებისა 22 აპრილს * სეიმმა ამიერკავკასია გამოაცხადა «დამოუკიდებელ

---

* აქ და ქვემოთ თარიღები მოყვანილია ახალი სტილით.

რესპუბლიკად». შედგენილ იქნა მთავრობა მენშევიკ ა. ჩხენ-კელის მეთაურობით. მთავრობაში შევიდნენ პარიტეტულ საფუძველზე მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები.

მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელ მესვეურთა ამ ახალმა გამ-ცემლურმა აქტმა მთელს ამიერკავკასიაში მშრომელთა გა-დამწყვეტი პროტესტი გამოიწვია.

ყველგან ქალაქად და სოფლად გამოჰქონდათ რეზოლუ-ციები, რომლებიც გმობდნენ ამიერკავკასიის «დამოუკიდებ-ლად» გამოცხადებას და საბჭოთა რუსეთთან კავშირის გაწყ-ვეტას. ამ სახალხო მოძრაობაში ამიერკავკასიის კონტრრე-ვოლუციური პარტიების გამცემლური პოლიტიკის წინა-აღმდეგ წამყვან როლს თამაშობდა ბაქოს პროლეტარიატი.

ჩრდილოეთიდან მომავალი პროლეტარული რევოლუციის საშიშროების საფრთხეში მყოფმა, ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატის წინაშე შიშით შეპყრობილმა ამიერკავკა-სიის კონტრრევოლუციურმა ბლოკმა ქართველი მენშევიკე-ბის მეთაურობით, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა გამკლავებოდა მუშებისა და გლეხების სულ უფრო და უფრო მზარდ აჯანყებებს ქვეყნის შიგნით, გადაწყვიტა თავისი ხე-ლისუფლების შესანარჩუნებლად უცხოელ იმპერიალისტებს დაყრდნობოდა.

«...ორი მხრიდან იქნა იერიში მიტანილი: გარედან—რუსე-თის საბჭოთა ხელისუფლებისა და შიგნიდან — «თავისივე სა-კუთარი» მუშებისა და გლეხების მხრივ, რის გამოც ეს «მთავრობები»,—წერდა ამხანაგი სტალინი,—იძულებული გახ-დნენ უკან დაეხიათ პირველივე ბრძოლების შემდეგ. ფინელი მუშებისა და ტორპარების აჯანყება და ბურჟუაზიული «სე-ნატის» გაქცევა; უკრაინის მუშებისა და გლეხების აჯანყება» და ბურჟუაზიული «რადის» გაქცევა... აგრარული რევოლუ-ცია კავკასიაში და საქართველოს, სომხეთისა და აზერ-ბაიჯანის «ნაციონალური საბჭოების» სრული უმწეობა,— ასეთია ყველასათვის ცნობილი ფაქტები, რომლებიც ცხად-ყოფენ განაპირა მხარეთა «მთავრობების» სრულ მოწყვეტას «თავიანთი» მშრომელი მასებისაგან. სასტიკად დამარცხებული

«ნაციონალური მთავრობები» «იძულებული» გახდნენ «თავიანთი» მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ დახმარება ეთხოვნათ დასავლეთის იმპერიალისტებისათვის, მთელი მსოფლიოს ეროვნებათა საუკუნეობრივი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორებისათვის» *.

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 175—176

ბრძოლა მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ 1918 წ.

ამიერკავკასიის «დამოუკიდებელმა» რესპუბლიკამ მცირე ხანს იარსება — სულ 35 დღე. იგი ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ერთეულებად დაიშალა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით თბილისში გერმანიის კონსულის გრაფ შულენბურგის და თბილისის მიტროპოლიტის ლეონიდის თანდასწრებით გამოაცხადა საქართველოს «დამოუკიდებელი» რესპუბლიკა. არჩეულ იქნა საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა მენშევიკ ნ. რამიშვილის მეთაურობით, რომელიც მალე ნ. ჟორდანიამ შესცვალა.

ამიერკავკასიის «დამოუკიდებელი» ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ მუსავატელებმა აშკარა ურთიერთობა დაამყარეს თურქეთთან და აზერბაიჯანი ასევე «დამოუკიდებელ» რესპუბლიკად გამოაცხადეს. 17 ივნისს თურქეთის სარდლობის კარნახით ელიზავეტპოლში (ყოფილი განჯა, ამჟამად კიროვაბადი) შექმნილ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის თეთრ-ხანური მთავრობა, რომელმაც თურქების დახმარებით გააჩაღა გააფთრებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

დასასრულ, 28 მაისს სომხეთის ცენტრალურმა ეროვნულმა საბჭომ, რომელიც თბილისში იმყოფებოდა, სომხეთი «დამოუკიდებელ» რესპუბლიკად გამოაცხადა. 17 ივნისს სომხეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური დაშნაკური მთავრობა თურქი ოფიცრების თანხლებით თბილისიდან ერევანს გაემგზავრა. ერევანი სომხეთის დედაქალაქი გახდა. თურქეთთან დადებული შეთანხმებით სომხეთის ტერიტორია ორი მაზრით — ერევნისა და ეჩმიაძინის მაზრებით შემოიფარგლა. მისი მოსახლეობა 400 ათას კაცს შეადგენდა. სომხეთის იმ ნაწილში, რომელიც თურქებმა ხელთ იგდეს, ისინი შემაძრწუნებელ ძალადობას მიმართავდნენ, მასობრივად ჟლეტდნენ მოსახლეობას.

გერმანელ-თურქი იმპერიალისტები დიდად დაინტერესებული იყვნენ ამიერკავკასიის დაქუცმაცებით, აქ პატარ-პატარა, სუსტი სახელმწიფოებრივი ერთეულების შექმნით. ასეთი დაქუცმაცების შედეგად უფრო ადვილი იყო მხარის, განსაკუთრებით ნავთის მრეწველობის ცენტრის — ბაქოს ხელში ჩაგდება და ამიერკავკასიის გადაქცევა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ დასაყრდენ ბაზად.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველო ამიერკავკასიის «დამოუკიდებელი» ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, საქართველოს ეგრეთწოდებულმა ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის მაისში დაადგინა გენერალ ფონ-ლოსოვის საშუალებით მოლაპარაკება ეწარმოებინა კაიზერულ გერმანიასთან, რათა მას პროტექტორატი დაეწესებინა საქართველოზე. მენშევიკების ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო საქართველოს იზოლაცია საბჭოთა რუსეთისაგან და კომუნისტური მოძრაობის ჩახშობა ქვეყნის შიგნით.

1918 წლის 14 მაისის სხდომაზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ შემდეგი დადგენილება მიიღო:

«1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციას. გენერალ ფონ-ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო გამოთქვამს სურვილს და თხოვნას — საერთაშორისო და პოლიტიკურ-

სახელმწიფოებრივ საკითხებში კაიზერის გერმანიამ ყოველ-ნაირად მხარი დაუჭიროს საქართველოს.

2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს მიიღოს შესაფერისი ზომები, რომ გერმანიის ჯარებმა განაგრძონ გზა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ და იმდენად დაუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი გახდეს მათთან კონტაქტის დაჭერა და საქართველოს უზრუნველყოფა გარეგანი საფრთხისაგან.

3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს დაბრუნდნენ სამშობლოში სამხედრო წესით ორგანიზებულნი.

4. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე შესაძლებელია, დატოვოს საქართველოში გერმანელი ტყვეები და ოფიცრები და მიენდოს მათ სამხედრო ორგანიზაცია, რომ საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა ჰქონდეს გამოიყენოს ეს ჯარი წესრიგის დასამყარებლად ქვეყნის შიგნით და ანარქიასთან საბრძოლველად»*.

იმ ფაქტს, რომ მენშევიკებმა დახმარებისათვის მიმართეს გერმანელ იმპერიალისტებს, ადასტურებს ლუდენდორფიც, გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი. «ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკების დროს, — წერს იგი, — საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მიმართეს გენერალ ლოსოვს და თხოვეს გერმანიის იმპერიის მფარველობა... სამხედრო მოსაზრებებით მე შემეძლო მხოლოდ მივსალმებოდი როგორც ამგვარ დამოკიდებულებას, ისე საქართველოს თხოვნას გერმანიის მხრივ მფარველობის შესახებ»**.

გერმანიის მთავრობამ უკვე 1918 წლის 28 მაისს გამოაცხადა რომ იგი ცნობს საქართველოს «დამოუკიდებლობას», ვალდებულებას კისრულობს დაიცვას იგი და დანიშნა თავი-

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, გრ. 1, № 7, გვ. 70.

** საქ. სსრ ცსსა, ფ. II, ს. 84.

სი დიპლომატიური წარმომადგენელი თბილისში და კონსული ფოთში. «ამრიგად, — წერდა მენშევიკური გაზეთი «ერთობა», — საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი მტკიცე ნიადაგზე დგება».

საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება იმ გარემოებისადმი, რომ კაიზერულმა გერმანიამ იცნო «საქართველოს დამოუკიდებლობა». ნათლად განსაზღვრა ამხანაგმა სტალინმა წერილში ს. გ. შაუმიანისადმი.

«ჩვენი საერთო პოლიტიკა, — წერდა ამხანაგი სტალინი, — ამიერკავკასიის საკითხში მდგომარეობს იმაში, რომ გერმანელები ვაიძულოთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკითხები ოფიციალურად აღიარონ რუსეთის შინაური საკითხებად, რომელთა გადაწყვეტაში გერმახელებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღონ. სწორედ ამიტომ ჩვენ არ ვცნობთ გერმანიის მიერ ცნობილ საქართველოს დამოუკიდებლობას»*.

თუ რა ფასად დაუჯდათ მენშევიკებს საქართველოს ეგრეთწოდებული «დამოუკიდებლობა» ჩანს იქიდან, რომ 1918 წ. 28 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჩხენკელმა და გენერალმა ლოსოვმა ფოთში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკა ფაქტიურად კაიზერული გერმანიის კოლონიად გადაიქცა.

ამ «შეთანხმებით» გერმანელ კაპიტალისტებს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა (მარგანეცი, ქვანახშირი და სხვ.) ექსპლოატაციის მონოპოლიური უფლება ეძლეოდათ, გერმანიის სამხედრო ხროვის სრულ განკარგულებაში გადადიოდა საქართველოს ნავსადგურებში არსებული გემების მთელი ტონაჟი (სამგზავრო და საბუქსირო გემები, კარჭაპები, მოტორიანი ნავები და სხვ.) და აგრეთვე საქართველოს რკინიგზები. ამ უკანასკნელ გარემოებას, სხვათა შორის, ადასტურებს დეპეშა, რომელიც 1918 წლის 1 ივნისს გრაფ შულენბურგმა გაუგზავნა ბათუმში თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარეს — ხალილ-ბეის. «მე ეს-ეს არის გავიგე, — წერდა შულენბურგი, — რომ ოტომანის დელეგაცია საქართველოს რესპუბლიკისაგან მოითხოვს, რათა მან ოტომანის იმპერიას

* ჟურ. «წითელი არქივი» (რუს.), 1938 წ., № 4—5, გვ. 20.

გადასცეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა რკინიგზა. პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ გერმანიის იმპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის უკვე დადებულია ფორმალური კონვენცია, რომლის მიხედვით საქართველოს რკინიგზები გერმანიის იმპერიას დაეთმო.

ეს რკინიგზები უკვე დაკავებული აქვს გერმანულ რაზმებს, რათა საჭიროების შემთხვევაში ოთხთა კავშირისათვის უზრუნველყოფილ იქნას ჯარების გადაყვანა და საომარი საჭურველის გატანა»*.

ივნისის დამდეგს ფოთის ნავსადგურით დაიწყო გერმანიის საოკუპაციო ჯარების გადმოყვანა საქართველოში. ფოთში დაბანაკდა ათიათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი. გერმანელი ჯარები დაბანაკდნენ აგრეთვე თბილისში, ქუთაისში, გორში, სიღნაღში, ოჩამჩირეში და ა. შ.. თბილისში მარტო გერმანელი სპეციალისტები—მფრინავები, შოფერები და რკინიგზელები 2 ათას კაცზე მეტი იყო.

ს. შაუმიანი ატყობინებდა ლენინს საქართველოში გერმანიის ჯარის შემოსვლას და ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ გერმანელ იმპერიალისტებს განზრახული აქვთ საბჭოთა ბაქოს ხელში ჩაგდება.

«იტყობინებიან, — წერს ს. შაუმიანი, — რომ 11 (ივნისს— გ. ხ.) საღამოს თბილისში ჩამოვიდა გერმანიის ჯარის მესამე ეშელონი. 8 ივნისს ფოთში სამი ტრანსპორტიდან გადმოსხდნენ გერმანიის ჯარები არტილერიით... ჩვენი ჯარები მხნედ არიან, წესრიგი სანიმუშოა, ფლოტი გმირულად დაიცავს საბჭოთა ხელისუფლებას, მუშების განწყობილება, მიუხედავად თითქმის სამი თვის შიმშილობისა, ძალიან ამაღლებულია, უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოლებენ. «ცოცხლები არ ჩავბარდებით და გერმანელ მტაცებლებს არავითარ ნავთს არ დავუტოვებთ», — ამბობენ მუშები»**.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 13, ს. 8, გვ. 1.

** «წითელი არქივი», 1938 წ., ტ. 4 — 5, გვ, 18.

გერმანელ-თურქ დამპყრობთა და ამიერკავკასიის კონტრ-რევოლუციონერთა გეგმები საბჭოთა ბაქოს ხელში ჩაგდებით არ განისაზღვრებოდა. ისინი ფიქრობდნენ ხელთ ეგდოთ ჩრდილოეთ კავკასიაც. სტატიაში, რომელიც «პრავდის» 1918 წ. 2 ივლისის ნომერში იყო მოთავსებული, ს. მ. კიროვი წერდა:

«ისინი, როგორც ჩანს, ფიქრობენ დაიწყონ კამპანია არა მარტო ბაქოს წინააღმდეგ, არამედ უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიის წინააღმდეგაც საქართველოს სამხედრო გზით, იმის იმედით, რომ თურქეთის ჯარის ჩარევის მეშვეობით მოახერ-ხებენ ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღისტნის მუსლიმანური მასების მიმხრობას. მაგრამ მათ, ალბათ, არ იციან, რომ მთის აულებში უკვე ფესვგადგმულია ის აზრი, რომ ჩაგვრა ერთნაირად სამძიმოა მოსახლეობისათვის, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ეს ჩაგვრა—რუსეთის, გერმანიის, თურქეთის თუ სხვათა ხელისუფლებისაგან...

მოსახლეობამ უკვე გაიგო, რომ თავისუფლება, თანასწო-რობა და ძმობა, წესრიგი კავკასიაში გერმანელების ხიშტებ-ზე კი არ არის დაყრდნობილი, არამედ მის საკუთარ ხელთაა, რომელიც მაღლა სწევს საბჭოთა რუსეთის დროშას».

1918 წ. 11 ივნისს თბილისში გაიმართა გერმანელ და ქართ-ველ ჯართა პარადი, სადაც ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარემ ნ. რამიშვილმა და გერმანიის ელჩმა თბილისში გრაფ შულენბურგმა. ისინი ერთმანეთს ეფიცე-ბოდნენ, რომ ერთად «დაიცავდნენ წესრიგს ქვეყანაში». «მუდმივ მეგობრობაში იქნებოდნენ და ერთმანეთის ინტერე-სებს დაიცავდნენ» და ამასთან საერთო ძალღონით იბრძო-ლებდნენ ბოლშევიზმისა და რევოლუციურად განწყობილი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამ «საერთო ძალღო-ნის» ერთ-ერთი პირველი გამოვლინება იყო ბორჩალოს მაზ-რაში გლეხთა გამოსვლის ჩახშობა მენშევიკების მიერ გერმა-ნიის სამხედრო ხროვის დახმარებით.

ინტერვენტების მოსვლის დროიდან საქართველოში დამყარდა გერმანელთა უტიფარი და სასტიკი სამხედრო ხროვის ფაქტიური ბატონობა. გერმანელი იმპერიალისტი-მტაცებლები საქართველოს უყურებდნენ როგორც თავის კოლონიას, საიდანაც შეიძლებოდა სამრეწველო ნედლეულისა და სურსათის გატანა. უკვე 1918 წ. ივლისში გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ფოთში მარგანეცით იტვირთება გერმანიის ორი ტრანსპორტი. ერთი მათგანი დაახლოებით 150 ათასი ფუთი ტევადობის იყო, მეორე კი დაახლოებით 300 ათასი ფუთის.

გერმანელ ოკუპანტებს საქართველოში თავი ეჭირათ როგორც ნამდვილ ბატონ-პატრონებს. მენშევიკურ არმიაში დაინიშნა გერმანელი ინსტრუქტორები. გერმანელმა სამხედრო ხროვამ თავისი კონტროლი დააწესა ფოსტაზე, ტელეგრაფზე და ბანკებზე. გერმანელი მრჩეველები დაინიშნენ სამხედრო და ფინანსთა სამინისტროებში.

ფოთის ქალაქის თავი იტყობინებოდა, რომ «ნავსადგურის გერმანელი კომენდანტი დაეპატრონა მთავრობისა და ქალაქის ყველა გემს, რომელიც კი ნავსადგურში იყო, და თავისი მცველები მიუჩინა ნავსადგურის ყველა დაწესებულებასა და სახაზინო საწყობს».

იმის გამო, რომ ფოთიდან იგზავნებოდა გერმანიის ჯარი და სამხედრო ტვირთი, სამგზავრო და სატვირთო მატარებლები მთელი კვირაობით არ დადიოდნენ. გამხეცებული გერმანელი ოკუპანტები ქართველ ხალხს აწამებდნენ და მძიმე განსაცდელში აგდებდნენ. ისინი უაჩაღურად ძარცვავდნენ მოსახლეობას, გაჟირვებისა და შიმშილის მსხვერპლად აქცევდნენ მას.

«1918 წ. 1 აგვისტოს ადგილობრივმა გერმანელებმა ასურეთის საზოგადოების სოფელ ბოგვში, — წერდა თავის უფროსებს აღბულაღის რაიონის კომისარი ჟღენტი, — ძალით შეაგროვეს 60 ფუთი ხორბალი და უბრძანეს გლეხებს მათივე ურმებით წაეღოთ იგი ასურეთში»*.

---

* საქ სსრ ცსსა, ფ. 28, ს, 206, ფ. 6.

«ჩემთან, — იწერებოდა ბორჩალოს მაზრის კომისრის თანაშემწე გოგიბერიძე, — მოვიდნენ სოფ. ყასუმლოს საზოგადოების რწმუნებულნი და განაცხადეს: ჩვენთან ერთი კვირის წინათ მოვიდა გერმანელი ოფიცერი ჯარისკაცთა რაზმით და საზოგადოებას ჩამოართვა 65 ფუთი ხორბალი, რომლის წაღებას დღეს აპირებს ფულის გადაუხდელათო»*.

სოფ. შულავერიდან (ამჟამად შაუმიანი) სარვანის სოფლის კომისარი დეპეშით იტყობინებოდა: «სოფ. სარვანში მოვიდა გერმანელთა რაზმი, მოითხოვს 3 საათის ვადაში გადავუხადოთ კოლონისტებს 150 ათასი მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება — მთელ სოფელს გადავწვავთო»**.

გერმანელი ოკუპანტები თავაშვებული ტერორისა და ძალადობის რეჟიმს აწესებდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ ხალხს სულ მცირედი წინააღმდეგობისათვის.

მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონის კომისრის 25 სექტემბრის ცნობით, გერმანიის მოიერიშეთა ბატალიონის ჯარისკაცთა რაზმმა სოფელ სამშვილდეში მოჰკლა გლეხი ო. ოსიპოვი ხორბლისა და ქერის უკანონო რეკვიზიციის დროს, ხოლო მის ცოლს სცემა»***.

სოფელ ვორონცოვკაში მყოფი გერმანელი სამხედრო რაზმები უტიფრად ერეოდნენ საზოგადო საქმეებში, იტაცებდნენ გლეხთა ქონებას, სცემდნენ და კლავდნენ მათ.

გერმანელთა სარდლობამ მოსახლეობას მოსთხოვა იარაღის დაუყოვნებლივ ჩაბარება, მაგალითად, განიარაღებულ იქნა თეთრი წყაროს მოსახლეობა, ამასთან განიარაღების დროს უაღრესად ბარბაროსულ ზომებს მიმართავდნენ.

«თვითონ მე ვიყავი იმის მოწმე, — წერს რაიონის კომისარი, — რომ გერმანელები იარაღის მიმალვისათვის იმ ზომამდე სცემდნენ ფეხებით გლეხებს, რომ ისინი უგრძნობლად ეცემოდნენ მიწაზე. მე შემატყობინეს, რომ იყო შემთხვევა, როცა ნაცემი გლეხები ვერ იტანდნენ წამებას და კვდებოდნენ.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 28, ს. 206, გვ. 19.

** საქ. სსრ ცსსა, ფ. 28, ს. 206, გვ. 10.

*** საქ. სსრ ცსსა, ფ. 13, ს. 18, გვ. 54.

ამის გამო ჩემს რაიონში მდებარე მეზობელი სოფლების გლეხები აღშფოთებული არიან გერმანელების საქციელით და აცხადებენ, რომ იარაღით დაიცავენ თავიანთ ღირსებას და თავისუფალი მოქალაქის სახელს»*.

გერმანელი იმპერიალისტები ბაქოს ხელში ჩაგდებას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, რადგან ამით ფიქრობდნენ ბოლო მოეღოთ ნავთის კატასტროფული ნაკლებობისათვის, რასაც გერმანია განიცდიდა.

ქართველი მენშევიკები ასრულებდნენ გერმანია-თურქეთის იმპერიალიზმის ვასალთა როლს და მთელი ძალ-ღონით ხელს უწყობდნენ ინტერვენტების შეტევას ბაქოზე, მათ უთმობდნენ თავიანთ ტერიტორიას, რესურსებს და რკინიგზის ტრანსპორტს.

მენშევიკები ყოველნაირად ეხმარებოდნენ მუსავატელებს და გერმანელ-თურქ ინტერვენტებს სამხედრო ძალით ჩაეხშოთ საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში.

მენშევიკურმა მთავრობამ თურქეთის ჯარის უფროსის ხალილ ფაშას პატივსაცემად თბილისში მოაწყო ბანკეტი, სადაც სიტყვით გამოვიდა სამხედრო მინისტრი მენშევიკი გრ. გიორგაძე. მან ცინიკური გულახდილობით თქვა:

«... დამოუკიდებელი ქართველი ჯარის სახელით მიესალმები ცნობილ ხელმძღვანელს და წარმატებას ვუსურვებ ბრძოლის ველზე თურქეთის ჯარს მის ღირსეულ მოკავშირეებთან ერთად».

ბაქოს ნავთს მუშტრის თვალით უყურებდნენ ინგლისის იმპერიალისტებიც. გენერალი დენსტერვილი, რომელიც ი[illegible] დროს სარდლობდა ინგლისის საოკუპაციო ჯარს ჩრდილოეთ ირანში, შემდეგს წერდა: «ჩვენი გეგმა იყო კასპიის ზღვაზ[illegible] ბატონობა, ხოლო რადგან ამის მიღწევა შეუძლებელი იყო თუ ბაქოს ოკუპაციას არ მოვახდენდით, ამის გამო, მაშასადამე, საჭირო იყო ამ ქალაქის დაცვა, რათა იგი ხელში არ ჩაეგდო მოწინააღმდეგეს».

---

* საქ. სსრ ცსსა., ფ. 4, ს. 477, გვ. 55 — 56.

ბაქოს ხელში ჩაგდებას აადვილებდა ის გარემოება, რომ ინგლისელებს თავიანთი დაზვერვის მეოხებით დამყარებული ჰქონდათ კავშირი ანტისაბჭოთა პარტიებთან—მენშევიკებთან, ესერებთან და დაშნაკებთან. იგივე გენერალი დენსტერვილი ამის გამო წერს:

«მე ბაქოსთან კავშირი მქონდა მოგვარებული თითქმის ყოველდღიური შიკრიკების მეშვეობით და ჩვენს მეგობრებს ესერებს თითქოს შესაძლებლობა ჰქონდათ... მოკლე დროში... დაემხოთ ბოლშევიკები, დაემყარებინათ ბაქოში მმართველობის ახალი ფორმა და დასახმარებლად მოეწვიათ ინგლისელები»*.

ყოველი მხრიდან ინტერვენტებით და გააქტიურებული შინაური კონტრრევოლუციით გარშემორტყმული ბაქოს პროლეტარიატი, კომუნისტური ორგანიზაციის მეთაურობით გმირულად იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას ბაქოში. საბჭოთა რუსეთი არაერთხელ დაეხმარა ბაქოს კომუნარებს. მაგრამ იმპერიალისტ დამპყრობთა შემოტევისა და მენშევიკების, ესერებისა და დაშნაკების პირდაპირი ღალატის შედეგად 1918 წ. 31 ივლისს საბჭოთა ხელისუფლება დროებით დაეცა და ბაქოში დამყარდა კონტრრევოლუციური «ცენტროკასპიის დიქტატურა» — მენშევიკების, ესერებისა და დაშნაკების ხელისუფლება. «ცენტროკასპიის დიქტატურის» მოწვევით 4 აგვისტის ბაქოში შევიდნენ ინგლისელი ოკუპანტები.

«ინგლისელებს ბაქოში რომ იწვევდნენ და ბოლშევიკებს ღალატობდნენ, — წერდა ამხანაგი სტალინი, — ბაქოს მენშევიკები და ესერები ფიქრობდნენ, რომ ინგლისელ «სტუმრებს» «გამოიყენებდნენ» როგორც ძალას, ამასთან ვარაუდობდნენ, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონებად დარჩებოდნენ მენშევიკები და ესერები, «სტუმრები» კი თავისთვის წავიდოდნენ. ნამდვილად პირიქით გამოვიდა: «სტუმრები» შეუზღუდველი ბატონ-პატრონები გახდნენ...»**

---

* იხ. «წითელი არქივი», ტ. მე-4—5, 1938 წ., გვ. 5.

** ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 279.

ინგლისელ ბატონ-პატრონთა პირდაპირი მითითებით ცენტროკასპიელმა მოღალატეებმა დააპატიმრეს ბაქოელი კომისრები.

1918 წლის 20 სექტემბერს იმიერკასპიის ველებში, 207-ე ვერსზე, სადგურების ახჩა-ყუიმსა და პერევალს შუა, ინგლისის სამხედრო მისიის კაპიტან ტიგ-ჯონსის ბრძანებით, რომელიც გენერალ მალესონის სახელით მოქმედებდა, დახვრიტეს ბაქოს 26 კომისარი — კომუნიზმისათვის მამაცი მებრძოლნი — შაუმიანი, აზიზბეკოვი, ჯაფარიძე, ფიოლეტოვი, ყორღანოვი, მალიგინი და სხვ. ბაქოს პროლეტარიატის ხელმძღვანელები გმირულად დაიღუპნენ.

კომისრების უკანასკნელი სიტყვები იყო: «ჩვენ კომუნიზმისათვის ვკვდებით. გაუმარჯოს კომუნიზმს!»

ბაქოელი კომისრების დახვრეტით, ბოლშევიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრები ფიქრობდნენ თავი მოეკვეთათ ბაქოს პროლეტარიატისათვის, მაგრამ ისინი სასტიკად მოტყუვდნენ. ბაქოს პროლეტარიატს იარაღი არ დაუყრია; ბაქოს კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით იგი სათავეში ჩაუდგა აზერბაიჯანის მშრომელ მასებს და ახალი ენერგიით განაგრძო ის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდნენ და დაიღუპნენ ბაქოს პირველი კომისრები. ამხანაგები სტალინი და მოლოტოვი თავიანთ მისალმებაში აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავის გამო წერდნენ:

«დაუვიწყარი, გმირული ფურცლები ჩაწერეს პროლეტარული რევოლუციის ისტორიაში აზერბაიჯანის მშრომელმა მასებმა და მათმა ბელადებმა აზიზბეკოვმა, ჯაფარიძემ, შაუმიანმა, ფიოლეტოვმა, რომლებმაც თავიანთი სისხლით მოიპოვეს უფლება სოციალიზმის მშენებლობისა, საბჭოთა ხელისუფლებისა აზერბაიჯანში»*.

ბაქოში ინგლისელებს აშკარად არასაკმაო ძალები ჰყავდათ. ამიტომ ჯერ კიდევ 1918 წლის 14 სექტემბერს თურქების

* «პრავდა» № 359, 1935 წ.

შემოტევის გამო მათ სასწრაფოდ დატოვეს ქალაქი. მაგრამ წასელისას ინგლისელებმა ხელში ჩაიგდეს კასპიის ფლოტილია, რითაც უზრუნველყოფილი იყო მათი ბატონობა კასპიის ზღვაზე. შევიდნენ თუ არა ბაქოში თურქები პირველ ყოვლისა მხეცურად გაუსწორდნენ სომეხ მოსახლეობას, გაჟლიტეს 15--20 ათასამდე კაცი.

თურქმა ოკუპანტებმა სასტიკი კოლონიური რეჟიმი დაამყარეს, დაარბიეს მუშათა ყველა რევოლუციური ორგანიზაცია, შემოიღეს სიკვდილით დასჯა და სისხლიანი ტერორი, გააღვივეს ეროვნული შუღლი ამიერკავკასიის ხალხებს შორის. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის ბლოკის დამარცხებისა და ომიდან თურქეთის გამოსვლის გამო, თურქები იძულებული შეიქმნენ დაეტოვებინათ ბაქო. 1918 წლის 17 ნოემბერს ქალაქი მეორედ დაიკავეს ინგლისელმა ინტერვენტებმა. აქ ისინი დარჩნენ 1918 წლის აგვისტომდე. ინგლისელი ინტერვენტები ცდილობდნენ გადაექციათ აზერბაიჯანი და ბაქო საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის პლაცდარმად და თეთრგვარდიელთა ჯარის მომარაგების ბაზად. ინგლისელები აზერბაიჯანს უყურებდნენ როგორც თავის კოლონიას და ყოველნაირად ძარცვავდნენ ქვეყნის სიმდიდრეს. მათ შექმნეს ნავთის მრეწველობის, ტრანსპორტის და სხვ. თავისი მმართველობა.

* *

იმ ბრძოლაში, რომელსაც მუშები, გლეხები და ღარიბი კაზაკები აწარმოებდნენ კონტრრევოლუციის ძალების წინააღმდეგ 1918 წ. მარტს ჩრდილოეთ კავკასიაში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. ს. მ. კიროვისა და ნ. ბუაჩიძის[37] ხელმძღვანელობით დაარსდა თერგის რესპუბლიკა, რომელმაც გააერთიანა მთის ხალხები, თერგისა და სუნჟის მშრომელი გლეხობა და კაზაკობა. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გამოჩენილი და შეუდრეკელი კომუნისტი, ნ. ბუაჩიძე. თერგის რესპუბლიკა მთელ სამხრეთ

რუსეთში დიდ როლს თამაშობდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში.

მაგრამ ერებს შორის ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი შეხლა-შემოხლის, მენშევიკებისა და ესერების ღალატის, შეიარაღებულ ძალთა არასაკმაო რაოდენობის ვითარებაში თერგის საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. 1918 წლის ივნისის დამდეგს მიტინგზე მუხანათურად მოჰკლეს ნ. ბუაჩიძე. ამის შემდეგ, ივლისში, ვლადიკავკაზში ჩამოვიდა გ. კ. ორჯონიკიძე. ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელებით, მშრომელთა მასებზე დაყრდნობით გ. კ. ორჯონიკიძემ განამტკიცა საბჭოთა ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიაში.

საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა ვერ ურიგდებოდა მეზობლად, ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა რესპუბლიკის არსებობას. აჯანყებული მუშებისა და გლეხების მიერ ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოძევებულმა კონტრრევოლუციურმა «ეროვნულმა საბჭოებმა» და მთიელმა მთავრობებმა თავშესაფარი და დახმარება მენშევიკურ საქართველოში პოვეს. ისინი მენშევიკებისა და გერმანელ-თურქ იმპერიალისტთა დახმარებით აქედან აპირებდნენ შეტევის დაწყებას ჩრდილოეთ კავკასიის წინააღმდეგ. მენშევიკებს სურდათ ხელში ჩაეგდოთ სოჭის რაიონი. როდესაც დენიკინმა ყუბანზე გაილაშქრა, საქართველოს მენშევიკური ჯარი ერთდროულად, 1918 წ. ივნისში, გადავიდა შეტევაზე ყუბან-შავი ზღვისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ გაგრა-სოჭა-ტუაფსის რაიონის დასაპყრობად. ქართულმა ჯარმა სძლია პატარა საბჭოთა რაზმების მედგარ წინააღმდეგობას და გელენჯიკამდე მივიდა. მაგრამ მენშევიკების წარმატება დროებითი იყო. განთქმულმა ტამანის საბჭოთა არმიამ დაამარცხა ქართული დივიზია და 1918 წ. 1 სექტემბერს ხელთ იგდო ტუაფსე.

1918 წ. ეკატერინოდარში (ამჟამად კრასნოდარი) მოიწვიეს ყუბანის სამხარეო მთავრობის, მოხალისეთა არმიისა და საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა თათბირი

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საკითხის განსახილველად. ამ თათბირს გენერლებთან — ალექსეევთან, დენიკინთან, რომანოვსკისთან და სხვებთან ერთად საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ ე. გეგეჭკორი და გენერალი მაზნიევი. კონფერენციაზე ისინი საქართველოს «დამოუკიდებელი» არსებობის უფლებას იმით ასაბუთებდნენ, რომ სერიოზული დამსახურება მიუძღოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

«ბოლშევიკებისადმი დამოკიდებულების საკითხში, — ამბობდა გეგეჭკორი, — შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენს ფარგლებში ბოლშევიზმის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლა წარმოებს. ჩვენ ყოველგვარი საშუალებით, რაც ჩვენს განკარგულებაშია, ვახშობთ ბოლშევიზმს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობას ემუქრება, და ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს მოელი რიგი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ ამის შესახებ».

თათბირზე გამოსულმა გენერალმა მაზნიევმა განაცხადა, რომ 1918 წ. 7 ივნისამდე ის იმყოფებოდა ფრონტზე თურქეთის წინააღმდეგ. მენშევიკური მთავრობის ბრძანებით მან ჯარები აფხაზეთში გადაისროლა და წინ მიიწევდა შავი ზღვის სანაპიროს ხაზით, «სწმენდდა რა ადგილებს ბოლშევიკებისაგან და 14 ივლისს დაიკავა ტუაფსე». აქ ის მოქმედებდა ყუბანის კონტრრევოლუციურ რადასთან და მოხალისეთა არმიის სარდლობასთან შეთანხმებით. გენერალი მაზნიევი თავის გამოსვლაში განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მენშევიკური მთავრობა ყოველნაირად დახმარებას უწევდა რუსეთის თეთრგვარდიელებს, ქმნიდა რუს ოფიცერთა რაზმებს და მათ ბოლშევიკების წინააღმდეგ იყენებდა.

ამიერკავკასიაში მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების ბატონობის პერიოდი ეროვნულ წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავების, განუწყვეტელი შეიარაღებული შეჯახებისა და ძმათასაჟლეტი ომების ხანა იყო.

დაშნაკებმა განაცხადეს პრეტენზია საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების ტერიტორიაზე, აზერბაიჯანის შემადგენლობაში შემავალი ნახჭევნის მხარესა, ყარაბაღსა და ყოფილი ელიზავეტპოლის გუბერნიის სამხრეთ ნაწილზე. 1918 წლის ზაფხულზე ბორჩალოს მაზრის პატარა ტერიტორიის გამო შეიარაღებული შეჯახება მოხდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, ხოლო 1918 წ. დეკემბერში მენშევიკურ საქართველოსა და დაშნაკურ სომხეთს შორის ძმათსაჟლეტი ომი დაიწყო. სასტიკი და სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სადაო ტერიტორიების, განსაკუთრებით ყარაბაღის გამო, რის შედეგად ამ ტერიტორიების მოსახლეობა თითქმის 10 — 30 პროცენტით შემცირდა.

მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები პრესისა და ყველა სხვა საშუალებით ეწეოდნენ გააფთრებულ ეროვნულ-შოვინისტურ აგიტაციას. ისინი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის შხამით სწამლავდნენ მუშებისა და გლეხების შეგნებას.

მენშევიკები და დაშნაკები მენშევიკურ საქართველოსა და დაშნაკურ სომხეთს შორის ამტყდარ ომს ფართოდ იყენებდნენ, როგორც საბაბს უაღრესად შოვინისტური აგიტაციისათვის. მათი სურვილი იყო მტრობა და სიძულვილი აღეძრათ ქართველ და სომეხ ერთა მშრომელებს შორის.

ამხანაგი სტალინი ამიერკავკასიაში მეიშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების ბატონობის პერიოდის დასახასიათებლად, 1921 წ. ივლისში, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე გაკეთებულ მოხსენებაში <კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში> ამბობდა:

«მე მახსოვს 1905 — 1917 წლები, როცა ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებსა და საზოგადოდ მშრომელებს შორის სრული ძმური სოლიდარობა იყო, როცა ძმური კავშირი ერთ სოციალისტურ ოჯახად აკავშირებდა სომეხ, ქართველ, აზერბაიჯანელ და რუს მუშებს. ახლა, თბილისში ჩამოსვლისას, გამოაცა იმან, რომ ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებს შო-

რის აღარ არის წინანდელი სოლიდარობა. მუშებსა და გლეხებში განვითარებულა ნაციონალიზმი, გაძლიერებულა უნდობლობის გრძნობა თავისი სხვატომელი აბხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქართული, ანტირუსული და ყოველგვარი სხვა ნაციონალიზმი ახლა ჭარბზე ჭარბადაა. ძმური ნდობის ძველი კავშირი გაწყვეტილია, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შესუსტებულია. ჩანს, ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკები) ამაოდ არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობანი, რომელნიც თავის ნაციონალისტურ პოლიტიკას ეწეოდნენ და მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის სულისკვეთების გასაღვივებლად მუშაობდნენ, ბოლოს, იქამდე მივიდნენ, რომ თვითეული ამ პატარა ქვეყანათაგანი მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროს რკალით გარემოცული აღმოჩნდა, რამაც საქართველოსა და სომხეთს მოაკლო რუსეთის პური და აზერბაიჯანის ნავთი, ხოლო აზერბაიჯანსა და რუსეთს — ბათუმით მომავალი საქონელი. აღარას ვამბობ შეიარაღებულ შეტაკებებზე (ქართველ-სომეხთა ომი) და ხოცვა-ჟლეტაზე (სომეხ-თათართა შორის), როგორც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგებზე. საკვირველი არ არის, რომ ამ მოშხამულ ნაციონალისტურ ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა, ხოლო მუშების შეგნება ნაციონალიზმის შხამით მოწამლული აღმოჩნდა»*.

ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც უცხოელ იმპერიალისტებს ეყრდნობოდნენ და ფაქტიურად დაკავშირებული იყვნენ თეთრგვარდიელებთან, საქართველოში კაპიტალიზმს ანმტკიცებდნენ და ხალხის მასებს ჩაგვრისა და ექსპლოატაციისათვის სწირავდნენ.

მენშევიკები ვერ ურიგდებოდნენ საქართველოში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების არსებობას.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს სხდომაზე ი. წერეთელმა მენშევიკების ცენტრალური კომი-

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 104 — 105.

ტეტის სახელით განაცხადა: «მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ფუნქცია უნდა გადასცეს დემოკრატიულ მთავრობას და დაიტოვოს ამ მთავრობის მოქმედების კონტროლის უფლებაო».

1917 წლიდან საქართველოში საბჭოები არ გადარჩეულა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნად მოხდა კლასობრივი ძვრები და მუშათა მასები დაჟინებით მოითხოვდნენ საბჭოების გადარჩევას. საბჭოების შემადგენლობის უმრავლესობა მენშევიკური რჩებოდა.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის სამი წლის მანძილზე თბილისის საბჭო სულ რამდენჯერმე შეიკრიბა.

მენშევიკებმა საქართველოში ხელუხლებლად დატოვეს მმართველობისა და სასამართლოს ძველი ჩინოვნიკური აპარატი.

მენშევიკების მიერ განხორციელებულ ერთადერთ რეფორმას წარმოადგენდა საერობო თვითმმართველობის შემოღება საქართველოში.

საქართველოს მენშევიკები არაერთხელ გამოდიოდნენ განცხადებით, რომ მუშათა კლასი მათთვის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს შეადგენდა. მუშების ნამდვილ მდგომარეობას კი მენშევიკური მთავრობის დროს ნათლად ახასიათებდა ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც იგი ახორციელებდა. ეს პოლიტიკა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ მენშევიკები თავიანთ უშუალო ამოცანად ისახავდნენ კაპიტალისტების კერძო ინიციატივის წახალისებას მრეწველობის მოწყობაში. მათ ფართოდ გაუღეს კარი ბურჟუაზიას და მას მიანიჭეს ხელმძღვანელი როლი ქვეყნის ყველა სახელმწიფო და სამეურნეო-ეკონომიურ ორგანიზაციაში. მენშევიკები მთელი თავისი საკანონმდებლო და ეკონომიური ღონისძიებებით აძლიერებდნენ და ანმტკიცებდნენ ეროვნული ბურჟუაზიის პოზიციებს და ამავე დროს ასუსტებდნენ მუშათა კლასის პოზიციებს.

მუშათა კანონმდებლობაში მენშევიკები დაკმაყოფილდნენ 1918 წლის იანვრის ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით

რვასაათიანი სამუშაო დღის კანონის გამოცემით. მაგრამ პრაქტიკულად ამ კანონს არ ასრულებდნენ, თუმცა მისი შესრულება არც შეიძლებოდა ბურჟუაზიის სრული ბატონობის პირობებში, როცა ამა თუ იმ საბაბით არამცთუ ცალკეული მრეწველები, არამედ თვით სახელმწიფოც, რომლის ხელშიც თავმოყრილი იყო დიდი საწარმოები, ყოველგვარ საშუალებას ეძებდა გვერდი აევლო ამ კანონისათვის. მაგალითად, გენერალი მდივანი (სამხედრო უწყებაში) შემდეგ განკარგულებას აძლევს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსს:

«8-საათიანი სამუშაო დღე, როგორც მოხელეებისათვის, ისე მუშებისათვის თქვენს დაწესებულებაში გაუქმებულია. ყველა, ვინც ამას არ დაემორჩილება, დაუყოვნებლივ დაითხოვეთ სამსახურიდან»*.

თათბირი რკინიგზაზე რვასაათიანი სამუშაო დღის კანონის გამოყენების საკითხზე პირველად მხოლოდ 1918 წლის დამლევს მოიწვიეს, კანონის გამოცემის დროიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ. შრომის სამინისტროს საქმეებში აღნიშნულია მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ მენშევიკურ საქართველოში რვასაათიანი სამუშაო დღის კანონის გამოუყენებლობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასე, მაგალითად, 1918 წლის დეკემბერში ძმების კორსუნოვების საპნის ქარხნის გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ სამუშაო დღე ქარხანაში 12 — 14 საათს გრძელდებოდა.

1918 წლის დამლევს მენშევიკებმა დააკანონეს საზეგანაკვეთო მუშაობა და სანარდო მუშაობის სისტემა შემოიღეს. კაპიტალისტური წყობის პირობებში მენშევიკების მიერ ამ ახალი სისტემის შემოღება — ეს იყო მუშების ექსპლოატაციის უცუდესი საშუალება და ფაქტიურად, რა თქმა უნდა, აუქმებდა რვასაათიან სამუშაო დღეს.

1917 წლიდან მენშევიკები გაძლიერებით ნერგავდნენ საქართველოში ყოველგვარ საარბიტრაჟო კომისიებს, სასარეწო

* საქართველოს პროფკავშირების არქივი, შრომის სამინისტრო, ფ. 3, ს. 180, გვ. 273.

კამერებს და სამედიატორო სასამართლოს «მეწარმეებსა და მუშებს შორის მომწიფებული კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებისათვის». მაგრამ პარიტეტულ პრინციპზე შედგენილ შემარიგებელ კამერებს, თვით მენშევიკების აღიარებითაც კი «გადაჭარბებული მიდრეკილება ჰქონდათ იმისაკენ, რომ მეწარმეთა სასარგებლოდ გადაეწყვიტათ საქმეები».

მენშევიკებმა მოაწყეს შრომის ბირჟები. მაგრამ, როგორც მუშებმა განაცხადეს, ეს ბირჟები მეწარმეთა სასარგებლოდ მუშაობდნენ. გარდა ამისა, მუშახელის დაქირავება ხდებოდა ბირჟების გარეშე, თანაც კერძო საშუამავლო კანტორებიც არსებობდნენ. უმუშევარნი არავითარ სახელმწიფო დახმარებას არ ღებულობდნენ.

მეწარმეები თავისუფლად უელიდნენ გვერდს «მუშების მიღება-დათხოვნის კანონს». შრომის სამინისტროში მრავალი განცხადება შედიოდა იმის შესახებ, რომ მეწარმენი უსაფუძვლოდ ითხოვენ მუშებს და ცდილობენ ხელი შეუშალონ მუშათა ორგანიზაციებს მიღება-დათხოვნის გარკვეულ კალაპოტში ჩაყენების საქმეშიო.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო ინვალიდობის შემთხვევაში მუშათა დაზღვევის საქმე, რასაც იმით ამართლებდნენ, რომ საქართველოს რესპუბლიკას სახსრები არა აქვსო. მთავრობამ დაზღვევის მთელი კანონმდებლობა იმაზე დაიყვანა, რომ გამოსცა დებულება დასახიჩრებისა და ინვალიდობის შემთხვევაში ორი კვირის ხელფასის რაოდენობით ერთდროული დახმარების გაცემის შესახებ. მაგრამ ფაქტიურად არც ეს კანონი სრულდებოდა, მეწარმეები სისტემატურად არღვევდნენ მას.

განსაკუთრებული ფარისევლობა გამოიჩინეს მენშევიკებმა კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლების საკითხში.

ქაღალდზე შეიძლებოდა თავისუფლად გაერთიანება პროფესიულ კავშირებად, გაფიცვების მოწყობა. სინამდვილეში კი კავშირები უსასტიკესი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. სულ მცირედი ოპოზიციის გამო ამა თუ იმ პროფკავშირის მხრით, მას დაუყოვნებლივ ანადგურებდნენ, აუკრძალ-

დნენ, ხოლო მის წევრებს აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ და სხვ. პროფკავშირთა საერთო კრების მოწვევა შეიძლებოდა მხოლოდ მილიციის ნებართვით.

სიტყვიერად მენშევიკები აღიარებდნენ გაფიცვების თავისუფლებას ეკონომიურ ნიადაგზე, საქმით კი გაფიცვებს ყოველგვარ დაბრკოლებებს უქმნიდნენ, რაც არარად აქცევდა ამ თავისუფლებას.

მენშევიკების VIII პარტიულ ყრილობაზე შრომის მინისტრის ამხანაგმა ერაძემ მუშათა საკითხზე გამოსვლისას განაცხადა: «მრეწველობის სამ დარგში, რომლებიც სახელმწიფოს ხელშია, გაფიცვა შეუძლებელია. მუშებს უნდა ახსოვდეთ, რომ გაფიცვებით ისინი ანარქიას და სახელმწიფოს ნგრევას იწვევენო».

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მუშების უდიდესი რაოდენობა სწორედ სახელმწიფო და საზოგადოებრივ (მუნიციპალურ, საერობო და სხვ.) საწარმოებში იყო ჩაბმული. 1920 წლის ცნობებით, მთელი საქართველოს 822 საწარმოსგან, რომლებშიც ჩაბმული იყო 31. 943 მუშა, 433 დიდი საწარმო 26.543 მუშით სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში იყო.

ამრიგად, სახელმწიფო საწარმოებში გაფიცვების აკრძალვით მენშევიკები მუშების უდიდეს უმრავლესობას გაფიცვის უფლებას ართმევდნენ.

საქართველოს მთავრობამ გამოსცა კანონი გაფიცვების აკრძალვის შესახებ «რკინიგზებზე და მათთან დაკავშირებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში». 1919 წელს გამოიცა ახალი დადგენილება, რითაც აკრძალულ იქნა მუშაობის შეწყვეტა იმ საწარმოებში, რომელთა საქმიანობა საჭიროა საზოგადოებრივი კეთილმოწყობისა და წესრიგისათვის. ასეთი ფორმულა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ყოველგვარ საწარმოზე გავრცელებულიყო. ამ დადგენილების დამრღვევნი ადმინისტრაციული წესით ისჯებოდნენ დაპატიმრებით წელიწადნახევრამდე.

საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მენშევიკურ მთავრობას არც ერთი სერიოზული ნაბიჯი არ გადაუდგამს აგრეთვე მუშათა საბინაო საკითხის გადასაჭრელად.

მენშევიკებს მუშათა საკითხში ბურჟუაზიული კანონმდებლობაც კი არ განუხორციელებიათ და ოდნავი მზრუნველობაც კი არ გამოუჩენიათ მუშათა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის პირობების შექმნისათვის.

მთელ საქართველოში მხოლოდ 6 მუშათა კლუბი არსებობდა და ისინიც არსებითად მუშათა კლუბები არ იყო, რადგანაც მათი წევრი მეწარმეებიც შეიძლება ყოფილიყვნენ. საქართველოს პროფკავშირებში წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე წევრები 30%-მდე ითვლებოდა, იმავე დროს კი მუშებისათვის არსებობდა სულ მხოლოდ რამდენიმე ზოგადი განათლების ტიპის სკოლა, რომლებიც უსახსრობის გამო უიწეო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

როდესაც კომუნისტური პროპაგანდის გავლენით მუშების ერთმა ნაწილმა 1918 წლის შემოდგომაზე კვლავ დასვა საკითხი წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების შესახებ, მენშევიკებმა, ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად მუშათა კონტროლის წინააღმდეგ კიდევ უფრო მედგარი ბრძოლა გააჩაღეს, ვიდრე ეს 1917 წელს იყო.

კაპიტალისტების მიერ მუშათა კანონმდებლობის სრულ უგულებელყოფას და მუშების უსაზღვრო ექსპლოატაციას, სხვათა შორის, მოწმობენ შრომის სამინისტროს მიერ 1920 წლის ნოემბერში ჩატარებული გამოკვლევის მასალებიც.

კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ შრომის სამინისტროს წარმომადგენელი, სამინისტროს ექიმი, მუშამეტყველთა პროფესიული კავშირის მდივანი და მრეწველობის ინსპექტორი, დაათვალიერა ტყავის — გამომყვანი სახელოსნოები, მოთავსებულნი ვორონცოვის ქუჩაზე მტკვრის ნაპირად მდებარე შენობებში. ამ სახელოსნოებში, სადაც სწმენდნენ და თრიმლავდნენ ტყავეულობას, 200-მდე კაცი მუშაობდა.

«მუშაობის ვითარება და პირობები, — წერდა კომისია თავის აქტში, — მეტისმეტად მძიმეა. პირველ სართულშიც კი განათება სრულიად არასაკმარისია, სარდაფზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, იქ სავსებით ბნელა. ყველგან წარმოუდგენელი სიბინძურეა, იატაკი დაფარულია სითხითა და წარმოების ნარჩენებით...

სადგომებში არავითარი ვენტილიაცია არ არის და ჰაერი დაბუთული, მძიმეა, მყრალი გაზებით გაჟღენთილი, რადგან საქმე აქვთ ლპობად ნივთიერებებთან... მუშები წელამდე ტიტველები არიან, ფეხებით მუშაობენ. ზედატანი თუმცა ტანსაცმლით აქვთ დაფარული, მაგრამ მუდამ სველია.

თბილი წყლით სავსე როფიდან ამოსვლის შემდეგ ნახევრადტიტველ მუშებს უხდებათ მტკვარში ჩასვლა ტყავის გასარეცხად და უკანვე დაბრუნება.

ძნელი წარმოსადგენია, — დაასკვნის ეს კომისია, — მუშაობის უფრო მეტად ანტისანიტარული და მძიმე პირობები, და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დაბახანის სახელოსნოებში მუშაობა უაღრესად მძიმე, ძნელ საკატორღო მუშაობას არ ჩამოუვარდება»*.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით მენშევიკები იძულებული იყვნენ ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატის არსებობის პირობებში შედგომოდნენ აგრარული კანონის განხილვას.

მაგრამ მენშევიკურმა აგრარულმა რეფორმამ მიწების დიდი ნაწილი შეუნარჩუნა მემამულეებსა და კულაკებს. ამას მოწმობს, მაგალითად, მიწათმოქმედების მინისტრის ხომერიკის შემდეგი ცირკულარი:

«სოფლის მეურნეობის ჯეროვან სიმაღლეზე შესანარჩუნებლად, ნება გეძლევათ ის მამულები, რომელთაც სახალხოსამეურნეო ღირებულება აქვთ, დაუტოვოთ წინანდელ მფლობელს. რადგან მფლობელთა საკუთარი სახსრებით გაშენებული ბაღები უმეტეს შემთხვევაში განირჩევიან გლეხთა

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 3, ს. 357, გვ. 161—162.

მეურნეობებისაგან და ამ ბაღების შენარჩუნება მოითხოვს, რომ ისინი არ გაუნაწილდეს მოსახლეობას და მათ არ ჩამოეჭრათ ნაწილები..., ეს ბაღები მთლიანად უნდა დავტოვოთ მფლობელთა განკარგულებაში საიჯარო ქირაზე, რაც მათ გადახდებათ დასატოვებელი ნორმის ნაჭარბისათვის».

ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის აგრარული კანონმდებლობა სრული დუმილით უვლიდა გვერდს მემამულეებისათვის ჩამორთმეული მიწების განაწილებისა და გლეხებისათვის მათი გადაცემის პირობების საკითხს. საქართველოს «დამოუკიდებელ» რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ ეს საკითხი ირჩეოდა საადგილმამულო კომიტეტების წარმომადგენელთა და აგრარული რეფორმის გამტარებელ მუშაკთა თათბირზე, რომელიც გაიმართა მიწათმოქმედების სამინისტროსთან 1918 წლის 16 — 20 ივლისს, შემდეგ საადგილმამულო კომიტეტების თათბირზე სექტემბრის დამდეგს და ბოლოს, VIII პარტიულ მენშევიკურ ყრილობაზე იმავე წლის ნოემბერში. მაგრამ გლეხთა რევოლუციის შიშმაც კი ვერ აიძულა მენშევიკები გაელაშქრნათ თავიანთი ბატონ-პატრონების — მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესების წინააღმდეგ, და ისინი კადეტების აგრარული პროგრამის განხორციელების ფარგლებს არ გასცილებიან. მენშევიკებს ის კუდმოკვეცილი კანონებიც კი არ განუხორციელებიათ, რომლებიც ამიერკავკასიის კომისარიატმა და ამიერკავკასიის სეიმმა გამოსცეს.

ამიერკავკასიის სეიმმა დუმილით აუარა გვერდი სახელმწიფო ფონდიდან გლეხებისათვის მიწის გადაცემის საკითხს. სათანადო კანონი მენშევიკურმა დამფუძნებელმა კრებამ მხოლოდ 1919 წლის 28 იანვარს მიიღო, ამასთან შენარჩუნებულ იქნა მიწის გაყიდვის პრინციპი. ხოლო საფონდო მიწების გასაყიდი ფასი მენშევიკურმა მთავრობამ იმ რაოდენობით დაამტკიცა, რომ ის მიუწვდომელი იყო ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებისათვის. აღმოსავლეთ საქართველოში პირველი კატეგორიის სახნავი მიწა ფასობდა 1-200 მანეთად დესეტინა, მეორე კატეგორიისა — 1.000 მან.,

მესამესი—600 მან., საძოვრები — 200 მანეთად. დასავლეთ საქართველოში პირველი კატეგორიის სახნავი მიწა ღირდა 1.500 მანეთი დესეტინა, მეორე კატეგორიისა — 1.000 მანეთი, მესამე — 600 მან., საძოვრები — 300 მან. მენშევიკებს საქართველოს პირობებში გეზი ჰქონდათ აღებული კაპიტალიზებული მემამულეებისა და კულაკებისაკენ და ამით, როგორც ამის შესახებ VIII მენშევიკურ ყრილობაზე განაცხადა ნ. რამიშვილმა, «მენშევიკურ ციხე-სიმაგრეს» ქმნიდნენ სოფლად.

კიდევ მეტი: ბურჟუაზიული და მემამულური მიწის საკუთრების შემდგომი განვითარებისათვის, კერძომესაკუთრული სტიქიის განვითარებისათვის მენშევიკებმა გააუქმეს საქართველოში 1918 წლიდან არსებული მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა.

მენშევიკების წინადადებით დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის თებერვალში მიიღო კანონი, რომელიც ამბობდა: «გაუქმდეს ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილება, რომლის ძალით შეჩერებული იყო ნასყიდობის სიგელების შედგენა სოფლის მამულებზე».

ასე დაამთავრეს მენშევიკებმა თავიანთი აგრარული რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა უღარიბესი და საშუალო გლეხობის გაძარცვას მემამულეთა და კულაკთა სასარგებლოდ.

თავიანთ მისწრაფებაში აღედგინათ სოფლად რევოლუციამდელი ურთიერთობა, ქართველმა მემამულეებმა ენერგიული დახმარება პოვეს გერმანელი ოკუპანტების მხრივ.

როგორც ცნობილია საქართველოს გლეხებმა ჯერ კიდევ 1917 წელს რევოლუციური გზით ხელთ იგდეს მემამულეთა და კულაკთა მიწები, შეწყვიტეს მიწის კაბალური საიჯარო გადასახადის შეტანა და ყოველგვარი სახის ნარჩენების გასტუმრება.

გერმანული ოკუპაციის დროს საქართველოს ბევრი მემამულე მიმართავდა გერმანელთა სარდლობას თხოვნით, მოგვაშველეთ რაზმები, დაგვიცავით გლეხებისაგან და დაგვეხმარეთ მათგან სხვადასხვა ნარჩენის აკრეფაშიო. მაგალითად,

გორის მაზრის მემამულეთა საჩივრის გამო გენერალმა ფონ კრესმა, რომელიც თავს გრძნობდა ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონად, 1918 წ. 22 სექტემბერს წინადადება მისცა მენშევიკურ მთავრობას დაუყოვნებლივ და გადაუდებლად შეექმნა კომისია მთავრობის ორი და მემამულეთა სამი წარმომადგენლის შემადგენლობით. ამ კომისიას ჯერ უნდა გამოერკვია გლეხების საერთო დავალიანება, ხოლო შემდეგ შედგომოდა საიჯარო გადასახადის შეკრებას. ამ ამოცანის შესასრულებლად კომისიას მის განკარგულებაში გადაეცა გერმანელ ჯარისკაცთა რაზმი.

გერმანელთა შეიარაღებული ძალის დახმარებით მემამულეებმა დაიწყეს ნარჩენების შეგროვება საქართველოს სხვა მაზრებშიც. მაგალითად, ბორჩალოს მაზრაში დიდი თანხა გადაუხადეს მემამულე ფონ კუჩენბახს, რომლის მამულიც გლეხებმა დაარბიეს.

* * *

მენშევიკების ბატონობისა და უცხოელი იმპერიალისტების მიერ საქართველოს ფაქტიური ოკუპაციის დროს კომუნისტურ ორგანიზაციებს არალეგალური მუშაობის განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდებოდათ ბრძოლა.

პარტიის სამხარეო კომიტეტს და კომუნისტურ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ არამც თუ ლეგალური მუშაობის პირობები, არამედ არ გააჩნდათ არც მატერიალური შესაძლებლობა: პარტიული აპარატი, პრესა და ა. შ. პარტიის წევრთა უმრავლესობა დაპატიმრებული ან გადასახლებული იყო საქართველოს ფარგლებიდან.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა თბილისში დატოვა კომიტეტის ბიურო მ. ცხაკაიას თავმჯდომარეობით, ხოლო თვითონ მაისის დამლევს და ივნისის დამდეგს თბილისიდან გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ვლადიკავკაზში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ივლისიდან ვლადიკავკაზში იმყოფებოდა გ. კ. ორჯონიკიძე, რომელიც მონაწილეობას იღებდა სამხარეო

კომიტეტის .მუშაობაში. ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა ხელისუფლებისა და პირადად ამხ. ორჯონიკიძის ყოველმხრივი დახმარებით კომუნისტების სამხარეო კომიტეტი ხელმძღვანელობას უწევდა რევოლუციურ ბრძოლას როგორც საქართველოში, ისე მთელ ამიერკავკასიაში, უგზავნიდა პარტორგანიზაციებს დასახმარებლად მუშაკებს და აგრეთვე ამარაგებდა მათ სახსრებით, იარაღითა და საჭურველით[38]. ჩრდილოეთ კავკასიაში ყოფნის გამო სამხარეო კომიტეტს მეტი შესაძლებლობა ეძლეოდა საბჭოთა რუსეთთან კავშირის დასამყარებლად, ამასთან იგი ხელს უწყობდა აქ პარტიული და საბჭოთა მუშაობის განმტკიცებას.

საქართველოს მიმართ სამხარეო კომიტეტის წინაშე დასახული იყო ამოცანა — აღედგინა მენშევიკების მიერ განადგურებული პარტიული ორგანიზაციები, დაემთავრებინა მშრომელთა მასების განთავისუფლება მენშევიკური გავლენისაგან და მათი თავის მხარეზე გადმოყვანა.

სიძნელეები, რომელთაც საბჭოთა რუსეთი განიცდიდა, საბჭოთა ხელისუფლების დაცემა ბაქოში და კომუნისტური ორგანიზაციების დროებითი დასუსტება საქართველოში, მენშევიკებმა გამოიყენეს იმისათვის, რომ სიცრუისა და ცილისწამების გაშმაგებული, კიდევ უფრო აღვირახსნილი კამპანია გაეჩაღებინათ ლენინიზმისა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ კომუნისტების მუშაობის სიძნელეები ამით არ ამოიწურებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობებს მტრული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ამიერკავკასიაში მუდმივი სისხლისმღვრელი შეტაკებები ხდებოდა ნაციონალისტურ ნიადაგზე და სადავო ტერიტორიების გამო.

სოციალური დემაგოგია მენშევიკებისა, რომლებიც კლასობრივ ბრძოლაზე ხელის აღებასა და «კაპიტალისტებთან ეროვნულ თანამშრომლობას» ქადაგებდნენ, ერთგვარ გავლენას ახდენდა მშრომელთა ზოგიერთ, ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ნაწილზე.

მთელი ეს ვითარება და აგრეთვე ის მდგომარეობა, რომ ქვეყანაში ფაქტიური ბატონ-პატრონები გერმანელი ინტერვენტები იყვნენ, დიდ სიძნელეებს უქმნიდა საქართველოს კომუნისტების ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ვ. ი. ლენინი, ახასიათებდა რა «დამოუკიდებელ» საქართველოს ოკუპაციას გერმანელების მიერ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს, მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წ. 29 ივლისს, ამბობდა:

«ჩვენ ვიცით, რომ კავკასიაში ჩვენი ამხანაგი კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელი იყო, რადგან ირგვლივ მათ ღალატობდნენ მენშევიკები, რომლებიც პირდაპირ კავშირს ჰკრავდნენ გერმანელ იმპერიალისტებთან, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საბაბით.

თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ...»*

მაგრამ 1918 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში მასობრივი რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის სიპტომებმა იჩინეს თავი, რაც მნიშვნელოვნად აიხსნებოდა დაწყებული ეკონომიური კრიზისით. საქართველოში იკვეცებოდა მრეწველობა. სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებს ხურავდნენ არა მარტო ნედლეულისა და მასალების უქონლობის გამო, არამედ ხშირად იმ მეწარმეთა საბოტაჟის გამოც, რომლებიც ცდილობდნენ ამით იძულებული გაეხადათ მუშები უარი ეთქვათ ამა თუ იმ სამართლიან. მოთხოვნაზე.

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 7.

ალექსანდრეს ბაღში 23 (10) თებერვალს მომხდარი დახვრეტისა და კომუნისტური ორგანიზაციების არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ, წამოიჭრა არალეგალური ორგანოს შექმნის საჭიროება, ორგანოსი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა კომუნისტურ მოძრაობას პროფკავშირებშიც. პროფკავშირებში მომუშავე კომუნისტების პირველი არალეგალური კრება გაიმართა ალექსანდრეს ბაღში მომხდარი დახვრეტის რამდენიმე დღის შემდეგ.

ამ კრებაზე გაფორმდა არალეგალური მუშათა ცენტრი, რომელიც ყველა პროფესიული კავშირის კომუნისტური ფრაქციებისაგან შედგებოდა. ამ ცენტრს, რომელიც პარტიის თბილისის კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა, ჰყავდა მუდმივი მომუშავე აპარატი — ბიურო 5 კაცის შემადგენლობით. ბიუროს შემადგენლობა დაპატიმრებათა და გადასახლებათა გამო ძალიან ხშირად იცვლებოდა. არალეგალური მუშათა ცენტრი დიდ მუშაობას ეწეოდა პროფკავშირებში პროფმუშაკთა მომზადების, კომუნისტური ლიტერატურისა და პროკლამაციების გავრცელების, საგაფიცვო ბრძოლის ხელმძღვანელობის მხრივ და სხვ.

თუ რამდენად გაიზარდა 1918 წლის შემოდგომისათვის კომუნისტური გავლენა პროფკავშირებში, ეს ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს 37 წევრისაგან 16 კომუნისტი იყო.

იატაკქვეშეთში მომუშავე კომუნისტური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტი 1918 წელს მუშათა ცენტრის საშუალებით სათავეში ედგა პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლას. კომუნისტების გავლენით საგაფიცვო ბრძოლა საქართველოში ახალი ძალით იწყებს ზრდას. 1918 წლის შემოდგომაზე თბილისში აღრიცხული იყო 1600 კონფლიქტი მუშებსა და მეწარმეებს შორის, ქუთაისში—684. მუშათა გაფიცვები ხდებოდა მთელ საქართველოში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტყიბულის მაღაროების 2 ათასი მუშის გაფიცვას. მუშები მოითხოვდნენ ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას, კოლექტიური ხელშეკრულების დადებას და

მაღაროების გადაცემას ტყიბულის მუშათა დეპუტატების საბჭოს ხელში.

გერმანელთა სამხედრო ხროვამ მენშევიკურ მთავრობას მოთხოვა ამ გაფიცვის ჩახშობა იარაღის ძალით, თუ მუშები დაუყოვნებლივ არ შეუდგებოდნენ მუშაობას *.

1918 წლის საგაფიცვო მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ რკინიგზელებიც, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკურმა მთავრობამ გამოსცა საგანგებო კანონი, რომლითაც გაფიცვა რკინიგზაზე აკრძალული იყო.

როდესაც მენშევიკებმა საქართველოს რესპუბლიკის «დამოუკიდებლობა» გამოაცხადეს და საქართველოში შემოვიდნენ ინტერვენტები, სოფლად გლეხთა აჯანყებების ახალი ტალღა ამთავრორდა, კიდევ უფრო მძლავრი, ვიდრე ეს 1918 წლის დამდეგს იყო. გლეხები ყველგან გამოდიოდნენ კომუნისტური ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობით. მათი ბრძოლა მიმართული იყო მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. გლეხთა მასებში განმტკიცდა ის რწმენა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და საბჭოთა რუსეთთან კავშირის დამყარებას შეუძლია იხსნას ისინი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან და უზრუნველყოს მშრომელთა ინტერესები.

გლეხთა აჯანყებები კომუნისტების ხელმძღვანელობით მოედო გორის, დუშეთის, ბორჩალოს, სენაკის, ზუგდიდის, ლეჩხუმისა და სხვა მაზრებს. გლეხთა აჯანყებები ამ დროს ხდებოდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

მენშევიკური გაზეთი «სოციალ-დემოკრატი»[39] იძულებული იყო აღეარებინა 1918 წ. ივლისში, რომ თითქმის საქართველოს ნახევარი სახალხო აჯანყების ხანძარში იყო გახვეული. დუშეთის მაზრაში გლეხებმა ხელი მოჰკიდეს იარაღს და აქტიურად გამოვიდნენ მენშევიკური მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. საქართველოს სამხედრო გზაზე დარიალის ხეობის მახლობლად მთავრობის ჯარის ერთ რაზმს

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 24, ს. 100, გვ. 12.

გარს შემოერტყნენ აჯანყებულები. ოსეთში დიდი ამბები მზადდებოდა და დღედღეზე მოსალოდნელი იყო შეიარაღებული მასების გამოსვლა. თიანეთის მაზრაში მღელვარება ძლიერდებოდა და სახიფათო ხასიათს იღებდა. სერიოზული შეიარაღებული შეტაკებები ხდებოდა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში და აგრეთვე ზუგდიდში. სერიოზული ამბები დატრიალდა საჩხერისა და მარგანეცის მრეწველობის რაიონებში. აქ შეიარაღებულმა სოფლელებმა ბრძოლა გაუმართეს მენშევიკურ ჯარებს, რომლებმაც არტილერია გამოიყენეს.

დასავლეთ საქართველოში გლეხთა ბრძოლა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ განსაკუთრებით შეუპოვარი იყო სამეგრელოში.

გლეხები ამბობდნენ: «განა ჩვენ ნიკოლოზ II იმიტომ ჩამოვაგდეთ, რომ გეგეჭკორი და ჩხენკელი კისერზე დაგვეჯინაო?»

შეიარაღებულ აჯანყებულთა საერთო რაოდენობა 11 ათას კაცს აღწევდა. გლეხთა დიდი შეიარაღებული რაზმები მოქმედებდნენ წალენჯიხის, ნარაზენის, ორულ-ერგეთისა და რუხ-კახათის რაიონებში. აჯანყებას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა მთავარი რევოლუციური შტაბი ა. გეგეჭკორის მეთაურობით[10]. შტაბი სოფ. გორდაში იყო.

აჯანყებულებს დაკავებული ჰქონდათ სამეგრელოს ცალკეული რაიონები, შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ მენშევიკური ჯარის ნაწილებთან და ხშირად სასტიკად ამარცხებდნენ მათ. მაგალითად, აჯანყებულებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე დაბ. ხობთან და სოფლებში—ახუთსა, კახათსა და ცაისში.

28 ივნისს აჯანყებულთა რაზმებმა ბრძოლით დაიკავეს სამაზრო ცენტრი ქ. ზუგდიდი. საპყრობილეებიდან გაათავისუფლეს აჯანყებულები, რომელთაც სიკვდილით დასჯა მოელოდათ. აჯანყებულებმა ზუგდიდი მხოლოდ მას შემდეგ დატოვეს, როდესაც იქ მენშევიკებმა დიდი შეიარაღებული ძალები გადაისროლეს.

სამეგრელოდან გლეხთა აჯანყების ცეცხლი მოედო მეზობელ მაზრებს: ლეჩხუმსა და რაჭას. როდესაც ბაღდადის რაიონში აჯანყება დაიწყო და აჯანყებულები გარს შემოერტყნენ დაბა ბაღდადს, მათ მიემხრო მე-12 ქართული პოლკი. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ბაღდადი.

ა. გეგეჭკორმა, პარტიის დირექტივის თანახმად, აჯანყებულ მეგრელთა ნაწილები გაატარა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებზე, უმძიმეს პირობებში გადალახა მამისონის უღელტეხილი და 11 ივლისს ჩავიდა ვლადიკავკაზში, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის განკარგულებაში.

მენშევიკები იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ გლეხთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის კომუნისტთა ხელმძღვანელობით შეუპოვარი და ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, მენშევიკური გაზეთი «ერთობა» წერდა, რომ ბოლშევიკები ნამდვილ ომს აწარმოებენ მთავრობის წინააღმდეგ და სერიოზულად ფიქრობენ ხელთ იგდონ ძალაუფლება სხვადასხვა სოფლებში, რომ გლეხთა გამოსელები დაკავშირებულია ერთმანეთთან და შეესაბამება ამიერკავკასიის ცენტრის მითითებებსო.

მენშევიკებმა სამეგრელო შინაურ ფრონტად გამოაცხადეს. იქ გადაისროლეს თურქეთის ფრონტიდან რეგულარული ჯარები გენერალ მაზნიევის მეთაურობით.

გაგზავნილ იქნა აგრეთვე გენერლები გედევანოვი და კონიაშვილი სპეციალური სამხედრო ნაწილებით და აგრეთვე მენშევიკური გვარდიის ნაწილები ვ. ჯუღელის მეთაურობით. როგორც გენერალ ფონ კრესისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მიმოწერიდან ჩანს, გერმანელმა ოკუპანტებმა მენშევიკებს სამეგრელოში აჯანყების ჩასაქრობად გადასცეს ჯავშნიანი ავტომანქანები და ჯარები *.

აჯანყებულებმა შეუპოვარი და მამაცური წინააღმდეგობა გაუწიეს მათ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინი ძლეულ იქნენ უთანასწორო ბრძოლაში. მენშევიკები, რომელთაც ხელთ

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 13, ს. 209.

ჰქონდათ ტანკები, არტილერია, ტყვიამფრქვეველები, ცეცხლითა და მახვილით ახშობდნენ აჯანყებას. ისინი სწვავდნენ სოფლებს, ანგრევდნენ ხიდებს, მასობრივად ხვრეტდნენ აჯანყებულებს.

1918 წ. ზაფხულზე გლეხთა დიდი აჯანყება მოხდა დუშეთის მაზრაში. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი და თბილისის კომუნისტური ორგანიზაცია 1918 წლის დამდეგიდანვე დიდ მუშაობას ეწეოდნენ გლეხებს შორის თბილისიდან გაგზავნილი აგიტატორების მეშვეობით. ადგილებზე მუშაობას ეწეოდნენ ტ. შუშიაშვილი, მ. პაპუნაშვილი და სხვ. ჩამოყალიბდა კომუნისტების ჯგუფი, რომელმაც ენერგიული საქმიანობა გააჩაღა აჯანყების მოსამზადებლად: შეიქმნა გლეხთა რაზმები, მიმდინარეობდა მათი გაწვრთნა, ყიდულობდნენ იარაღს და აწარმოებდნენ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია აჯანყებას დუშეთის მაზრაში უკავშირებდა საყოველთაო აჯანყების მომზადებას მთელ საქართველოში. მაგრამ დუშეთის გლეხთა გამოსვლა უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ეს კომუნისტურ ორგანიზაციას ჰქონდა დასახული.

საქმე ისაა, რომ მენშევიკური ხელისუფლებისათვის საიდუმლოებას არ შეადგენდა ის დიდი მუშაობა, რომელსაც კომუნისტები ეწეოდნენ დუშეთის მაზრაში. აჯანყების თავიდან აცილების მიზნით ხელისუფალთ გადაწყვიტეს გლეხების განიარაღება. ამას მოწმობს თბილისის გუბერნიის კომისრის მოხსენებითი ბარათი შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე. ამ ბარათით იგი იტყობინებოდა, რომ თავდაცვის საბჭოს საიდუმლო სხდომაზე 13 ივნისს გადაწყდა დაუყოვნებლივ დაეწყოთ მაზრის მოსახლეობის განიარაღება, რადგან მოსალოდნელი იყო ბოლშევიკურად განწყობილი მასების გამოსვლა პოლკოვნიკ აბესაძის საეტაპო ბატალიონის ჯარისკაცთა მონაწილეობით *.

მაზრის გლეხთა განიარაღებისათვის მობილიზებულ იქნა სამაზრო მილიცია ჟორდანიას მეთაურობით, საქართველოს

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 13. ს. 209.

სამხედრო გზის დაცვის უფროსის კაპიტან ნალიანის რაზმის ნაწილი და მფრინავი რაზმი პოლკოვნიკ ხარაძის მეთაურობით.

პოლიციის რაზმმა მოახერხა სოფელ ბაზალეთის გლეხთა განიარაღება. მაგრამ როდესაც ეს რაზმი 1918 წ. 17 ივნისს სოფელ წილკანს მიუახლოვდა, გლეხებმა მას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ამავე დროს ზურგიდან რაზმს თავს დაესხნენ მეზობელი სოფლების გლეხები. რაზმმა იარაღი დაჰყარა და გაიქცა. რაზმის უფროსი ჟორდანია დაიჭრა, ხოლო რამდენიმე კაცი მისი რაზმიდან ტყვედ ჩავარდა. სოფელ წილკანში მომხდარი ამბავი გახდა სიგნალი შეიარაღებული აჯანყებისათვის მთელს მაზრაში.

აჯანყების ხელმძღვანელობა იკისრა დუშეთის მაზრის კომუნისტურმა ორგანიზაციამ. შეიქმნა სამხედრო რევოლუციური შტაბი საბრძოლო ოპერაციებისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად.

19 ივნისს სოფელ ნატახტართან აჯანყებულებმა ახალი დიდი დამარცხება აგემეს რაზმს, რომელსაც პოლკოვნიკი ფურცელაძე მეთაურობდა. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს რამდენიმე ზარბაზანი, ტყვიამფრქვევები და სხვა საბრძოლო საჭურველი, სურსათი და 250 ტყვე.

იმავე დღეს სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა, როგორც ოფიციალურ ცნობაშია ნათქვამი, «გაშალა მაზრის გლეხთა შეიარაღებული მასები ფართო მწკრივად და დაძრა ისინი დუშეთზე, რომელიც ხელთ იგდეს წინააღმდეგობის გაუწევლად; ამასთან ერთად მათ დაიკავეს ყველა სახელმწიფო დაწესებულება, სამხედრო და კერძო საწყობები. აჯანყებულთა ჯგუფი, დაახლოებით 60 კაცი, გარს შემოერტყა საპატიმროს და გაათავისუფლა პატიმრები» *.

შემდეგ აჯანყებულებმა დაიკავეს დარიალის ხეობა და გახსნეს გზა ვლადიკავკაზზე, დაამყარეს რა უშუალო კავშირი რკპ(ბ)

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 51, ს. 10, გვ. 170—172.

კავკასიის სამხარეო კომიტეტთან და თერგის საბჭოთა რესპუბლიკასთან.

გლეხთა რაზმებმა დაიკავეს სადგურები მცხეთა და ქსანი და უშუალოდ დაემუქრნენ თბილისს. დუშეთის მაზრიდან აჯანყების ცეცხლი მოედო მეზობელ თიანეთის მაზრას, საიდანაც დუშეთის აჯანყებულებს გამოუგზავნეს შეიარაღებული რაზმი.

1918 წ. 25 ივნისს კომუნისტების ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა გლეხთა დეპუტატების ყრილობა, რომელმაც მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ამხ. შუშიაშვილი. აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვა მიმართვა გლეხების, მუშებისა და ჯარისკაცებისადმი. ამ მიმართვაში ნათქვამი იყო, ან აუცილებლად უნდა დავამარცხოთ და დავამხოთ მენშევიკებისა და მემამულეების ხელისუფლება ანდა გმირულად დავიხოცოთო. აჯანყებულები ღირსეულად ასრულებდნენ მათ წინაშე დასმულ ამოცანას, ისინი განსაკუთრებული სიმამაცითა და ვაჟკაცობით იბრძოდნენ.

მაგრამ მიუხედავად თავდაპირველი წარმატებისა გლეხთა ბრძოლამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ამ ეტაპზე დამარცხება განიცადა.

ეს მოხდა მთელი რიგი მიზეზების გამო. აჯანყება დუშეთის მაზრაში იზოლირებული აღმოჩნდა. მაშინ საქართველოში საყოველთაო აჯანყების მოსაწყობად არ იყო ხელსაყრელი პირობები, რადგან იმ დროს საქართველოში იმპერიალისტური გერმანიის დიდი სამხედრო ძალები იყო.

აჯანყებულებს ესაჭიროებოდა რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტისა და თერგის საბჭოთა რესპუბლიკის დახმარება.

სამხარეო კომიტეტმა დიდი გაჭირვებითა და დაგვიანებით შეძლო გაეგზავნა პასუხისმგებელი ამხანაგები დუშეთის მაზრაში აჯანყების სახელმძღვანელოდ, და აგრეთვე მებრძოლები, საბრძოლო საჭურველი და სურსათი.

მაგრამ ეს დახმარება აშკარად არასაკმაო იყო და მას არ შეეძლო მოეხდინა გადამწყვეტი გარდატეხა აჯანყებულ

გლეხთა სასარგებლოდ. ვლადიკავკაზიდან გაგზავნილ ერთ-ერთ რაზმს, რომელიც კომუნისტებისაგან შედგებოდა თან ჰქონდა ორი ქვემეხი. ეს რაზმი ვაჟკაცურად და მამაცურად იბრძოდა აჯანყებულების მხარდამხარ ფასანაურთან, გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. მაგრამ შემდეგ იძულებული იყო უკან დაეხია მთებში და ვლადიკავკაზში დაბრუნებულიყო. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის განკარგულებაში იმყოფებოდა რაზმი ა. გეგეჭკორის მეთაურობით. მძიმე ლაშქრობის შემდეგ შეუსვენებლივ ეს რაზმი მაშინვე გაეშურა დუშეთის მაზრის აჯანყებულ გლეხთა დასახმარებლად. რაზმი მივიდა ყაზბეგამდე, 13 ივლისს ბრძოლა გაუმართა მოწინააღმდეგეს, სერიოზულად დაამარცხა იგი, ხელთ იგდო 500 თოფი, 6 ყუმბარმტყორცნი, 2 ტყვიამფრქვევი და ა. შ. მაგრამ ამ რაზმს მალე გარს შემოერტყნენ მენშევიკური ჯარები და მან უთანასწორო, გმირული ბრძოლის შემდეგ ძლივს გაარღვია წრე და დაიხია ვლადიკავკაზისკენ.

დუშეთის მაზრაში გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად მენშევიკებმა მთელი თავიანთი ძალების მობილიზაცია მოახდინეს. მენშევიკური პრესა დღითიდღე საზიზღარ აგიტაციას ეწეოდა კომუნისტური ორგანიზაციისა და რევოლუციური გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც იარაღით ხელში გამოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. «სახალხო გვარდიის» (ასე უწოდეს მენშევიკებმა თავის «წითელ გვარდიას») მთავარმა შტაბმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. აჯანყების რაიონში მენშევიკებმა სიკვდილით დასჯა შემოიღეს. აჯანყების ჩაქრობაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს გერმანელმა იმპერიალისტებმა. ისინი ეხმარებოდნენ მენშევიკებს ინსტრუქტორებით, არტილერიითა და თვითმფრინავებით.

აჯანყების რაიონში მენშევიკებმა გადაისროლეს დიდი სამხედრო ძალა: ქვეითი ჯარი, კავალერია და არტილერია. აჯანყებულთა ბანაკებს გერმანელთა თვითმფრინავებიდან ბომბებს უშენდნენ. ქალაქ დუშეთს მენშევიკურმა ჯარმა

სამი მხრიდან შეუტია და ივლისის დამდეგს დაიკავა იგი. ოპერაციათა სიდიდეზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ აჯანყებულთა გამაგრებული პუნქტის — «ბებრის-ციხის» აღებისას, დაბა მცხეთის მახლობლად, მოწინააღმდეგეს თავის განკარგულებაში ჰქონდა 14 ქვემეხი და მან პირდაპირ ქვემეხთა ცეცხლში გახვია აჯანყებული გლეხები. 1918 წ. ივლისის შუა რიცხვებში დუშეთის აჯანყება ჩაქრობილ იქნა. ამოქმედდა სამხედრო-საველე სასამართლო, რომელსაც მასობრივად გამოქონდა სასიკვდილო განაჩენები. დახვრიტეს ტყვედ ჩავარდნილი თ. ჩუბინაძე, პაპუნაშვილი, რომელიც აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, და აგრეთვე მ. გეგეჭკორი ა. გეგეჭკორის რაზმიდან. დააპატიმრეს დუშეთის აჯანყების 250-ზე მეტი მონაწილე. ისინი თბილისის მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა მენშევიკურმა მთავრობამ დუშეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ იმდენი თავხედობა გამოიჩინა, რომ ულტიმატუმი წარუდგინა თერგის საბჭოთა რესპუბლიკას და მოითხოვა ა. გეგეჭკორის რაზმის მიერ წაყვანილი «ტყვეებისა და ქონების» დაბრუნება.

1918 წ. 24 ივლისს თერგის სახალხო საბჭოს საგანგებო სხდომაზე გ. კ. ორჯონიკიძემ განაცხადა: «... განვიხილოთ საქართველოს ეს ულტიმატუმი. მასში ნათქვამია, რომ ყაზბეგში დატაცებულია საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილი მასალა და რომ იგი კუთვნილებისამებრ უნდა იქნას დაბრუნებული. ნუთუ თერგის რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკის პოლიციური დაწესებულება უნდა იყოს? ხომ არ შეუძლია თერგის მთავრობას იცოდეს, თუ რა ხდება მისი საზღვრებიდან 50 ან 60 კილომეტრის მანძილზე...

ჩვენ გვარწმუნებენ, რომ საქართველოს მთავრობას დიდი ძალები ჰყავს: მაგრამ განა შეიძლება მას დიდი ძალები ჰყავდეს, როდესაც შიგნით ბრძოლას აწარმოებს აჯანყებულ გლეხთა წინააღმდეგ? და განა თქვენ, თერგის რესპუბლიკის წარმომადგენლებს, მარტო საქართველოსი უნდა გეშინოდეთ?

საქართველოს მთავრობას უნდა განეუცხადოთ: «ჩვენ არ ვცნობთ მუქარისა და ულტიმატუმების ენას» *.

დუშეთის აჯანყების პერიოდში დაიწყო გლეხთა გამოსვლა შორაპნის მაზრაში (საჩხერის რაიონში). ამ აჯანყებაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ ფრონტიდან დაბრუნებული კომუნისტი ჯარისკაცები. ამ რაიონის გლეხებს შორის ბევრი იყო მუშა, რომელიც წინათ ჭიათურის მარგანეცის სარეწაოებზე მუშაობდა და იქ კარგი რევოლუციური სკოლა ჰქონდა გავლილი.

ხელისუფალთ ეშინოდათ საჩხერის გლეხთა აჯანყებისა და ამის გამო გადაწყვიტეს მათი განიარაღება.

საჩხერეში გაიგზავნა მენშევიკური გვარდიის რაზმი. ამ რაზმმა დააპატიმრა მძეველთა სახით რამდენიმე ყოფილი ჯარისკაცი და მოსთხოვა ადგილობრივ მოსახლეობას სამი დღის ვადაში ჩაებარებია იარაღი. სწორედ ეს გარემოება გახდა იმის საბაბი, რომ საჩხერის რაიონის გლეხთა მასას ხელი მოეკიდა იარაღისათვის. 28 ივნისს ღამით აჯანყებულები გარს შემოერტყნენ დამსჯელ რაზმს და განაიარაღეს იგი. დაუყოვნებლივ შექმნილ იქნა სამხედრო-რევოლუციური შტაბი. რაიონში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რათა დაუყოვნებლივ გადაცემოდა მიწა გლეხებს, გაუქმებულიყო ხელისუფლების მენშევიკური ორგანოები და დაეპატიმრებიათ კონტრრევოლუციური ელემენტები.

აჯანყებულებს მიემხრნენ ოსური სოფლების — ჯალაბეთის, თედელეთისა და წონის ღარიბი გლეხობა და დემობილიზებული ჯარისკაცები. ოსურ რაზმებს მეთაურობდა კომუნისტი ი. ხარებოვი. საჩხერის სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა გამოიმუშავა ყველა უახლოეს რაიონში აჯანყების მოწყობისა და ქუთაისის ხელში ჩაგდების გეგმა.

---

* გ. კ. ორჯონიკიძე, რჩეული სტატიები და სიტყვები 1911—1937, სახელმწიფო პოლიტგამომცემლობა, 1937, გვ. 35—36.

აჯანყების ჩასაქრობად მენშევიკურმა მთავრობამ საჩხერის რაიონში გაგზავნა დიდი სამხედრო ძალა არტილერიითა და კავალერიით. იქ გაემგზავრა მენშევიკური მთავრობის სამხედრო მინისტრი გიორგაძე. მაგრამ აჯანყებული გლეხები მთელი ერთი თვე შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ. მენშევიკური მთავრობის მიერ გაგზავნილი დამსჯელი რაზმი არ ინდობდა არც მოხუცებს, არც ქალებს, არც ბავშვებს და მთელ სოფლებს სწვავდა.

საველე სასამართლოს დადგენილებით ადგილზე დახვრიტეს 24 კაცი. ათობით ადამიანი დააპატიმრეს და მენშევიკურ საპყრობილეებში ჩააგდეს.

სომხეთ-საქართველოს ომის დროს 1918 წ. დეკემბერში საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები მამაცურად და გადაჭრით გამოდიოდნენ ეროვნულ-შოვინისტური დევნისა და დანაშაულებრივი ძმათსაჟლეტი ომის წინააღმდეგ.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და კომუნისტური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტმა არალეგალური მუშათა ცენტრის მეშვეობით დაბეჭდეს და დიდი რაოდენობით გაავრცელეს მიმართვა სომხეთისა და საქართველოს მშრომელებისადმი. ამ მიმართვაში ისინი დაუნდობლად ამხელდნენ ორივე ქვეყნის გაბატონებული პარტიების პოლიტიკას.

როდესაც სომხეთ-საქართველოს ომის საკითხი პროფკავშირების საბჭოსა და მათი გამგეობების საერთო კრებაზე იხილებოდა, კომუნისტები გამოვიდნენ გადამწყვეტი პროტესტით ომის წინააღმდეგ, მათ მოითხოვეს ამ ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა. კომუნისტებმა წამოაყენეს რეზოლუცია, რომელიც პროტესტს გამოთქვამდა «სომეხი და ქართველი შოვინისტების მიერ ერთა შორის გაღვივებული შუღლის, კაცთმოძულეობის ინსტინქტების ხელოვნურად შექმნილი ატმოსფეროს წინააღმდეგ».

რეზოლუცია შეიცავდა მიმართვას საქართველოსა და სომხეთის მუშებისადმი. რომელთაც მოუწოდებდნენ დაეგმოთ თავიანთი ერების შოვინისტების გამცემლობა და პროვოკაციული გამოსვლები. რეზოლუცია მთავრდებოდა ლოზუნგით:

«გაუმარჯოს საქართველოს და სომხეთის მუშებისა და დემოკრატიის სოლიდარობას! ძირს ეროვნული სიძულვილი და შუღლი!»

რკპ(ბ) სამხარეო და თბილისის კომიტეტების დაუღალავი მუშაობის შედეგად 1919 წლის დამდეგისათვის საქართველოს ყველა კომუნისტური ორგანიზაცია აღდგენილი და გაძლიერებული იყო მუშაკებით.

მენშევიკები ძალიან კარგად ითვალისწინებდნენ, რომ ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებდნენ ისე, თუ მათ დახმარებას არ გაუწევდა იმპერიალისტური გერმანია, და ისინი ადვილად ურიგდებოდნენ საოკუპაციო რეჟიმს. გერმანელ სამხედრო პირთა ხროვას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა უკმაყოფილო ყოფილიყო საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობით, რომელსაც სათავეში ედგა ნ. ჟორდანია.

კაიზერის მთავრობამ ღირსეულად შეაფასა მენშევიკები და აპირებდა მათი მეთაურების ორდენებით დაჯილდოებას, მაგრამ შემდგომმა ამბებმა ხელიდან გამოაცალა ამ გამცემლებს ის ჯილდოები, რომლებიც მათ უცხოელ დამპყრობთა წინაშე დაიმსახურეს.

1918 წ. ნოემბერს გერმანიაში რევოლუციის გამარჯვების შედეგად ვილჰელმი და მისი მთავრობა დამხობილ იქნა. 1918 წ. 11 ნოემბერს პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის 1918 წლის 13 ნოემბრის სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ბრესტის ზავის ყველა პირობა ანულირებულად გამოაცხადა.

1918 წ. ნოემბრის მეორე ნახევარში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებით, წითელი არმია ამხანაგ სტალინის მეთაურობით მიეშველა უკრაინის მშრომელებს, რომლებიც შეუპოვარ, გმირულ ბრძოლას აწარმოებდნენ გერმანელთა საოკუპაციო არმიის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთის წითელი არმიისა და აჯანყებულების დარტყმათა შედეგად დამარცხებული გერმანელები, პანიკით შეპყრობილნი, უწესრიგოდ გარბოდნენ უკრაინიდან.

გამართლდა ი. ბ. სტალინის წინასწარმეტყველება, რომელიც მან ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში გამოთქვა სტატიაში «უკრაინის კვანძი».

«ერთიც ვნახოთ, გერმანელმა მუშებმა და ჯარისკაცებმა ასეთი ომის მსვლელობაში გაიგეს, ბოლოს და ბოლოს, რომ გერმანიის მესვეურებს ასულდგმულებთ არა «გერმანელთა სამშობლოს თავდაცვის» მიზნები, არამედ მხოლოდ გამტყვრალი იმპერიალისტი მხეცის გაუმაძღრობა, და, ეს რომ გაიგეს, სათანადო პრაქტიკული დასკვნები გააკეთეს?..

გამტყვრალი იმპერიალისტი მხეცი, რომელიც კისერს მოიტეხს საბჭოთა უკრაინაში, — განა აქეთ არ მიდის ახლა მოვლენათა ულმობელი ლოგიკა?..» *

გერმანელი ჯარები, რომლებმაც კისერი მოიტეხეს საბჭოთა უკრაინაში, იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ ამიერკავკასიიდან და საქართველოდან.

---

* ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 52.

საქართველოს მშრომელების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1919 წელს

პირველ პერიოდს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის თებერვლამდე, ლენინმა უწოდა «კაპიტალის წინააღმდეგ წითელგვარდიული იერიშის» პერიოდი.

ბრესტის ზავის დადების შედეგად საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო შესვენება. მან შეძლო 1918 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში დაემსხვრია სახელმწიფო ხელისუფლების ძველი ბურჟუაზიული აპარატი, მოესპო კონტრრევოლუციის პირველი ცდები, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ, და თავის ხელში მოექცია სახალხო მეურნეობის სიმაღლეები.

1918 წლის გაზაფხულზე პირველ რიგში წამოყენებულ იქნა ახალი ამოცანები, ვინაიდან «დაიწყო გადასვლა სოციალისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე — «ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციიდან» მოპოვებულ გამარჯვებათა ორგანიზაციულ განმტკიცებაზე, საბჭოთა სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე» *.

საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებმა და მისმა განმტკიცებამ უდიდესად შეაშფოთა დამხობილი კლასები — კაპიტალისტები და მემამულეები, ანტისაბჭოთა პარტიები — კადეტები, მენშევიკები, ესერები, ამერიკისა და ანტანტის

* «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 271—272.

ქვეყნების იმპერიალისტები, ისინი შეთანხმდნენ და მოაწყეს უცხოელ იმპერიალისტთა სამხედრო ინტერვენცია და თეთრგვარდიელთა ამბოხებანი ქვეყნის შიგნით, რათა ჩაეხშოთ საბჭოთა ხელისუფლება. ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი და ინგლისის სამხედრო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი — ეს «საბჭოთა რუსეთის უდიდესი მოძულე» *, იყვნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ დაწყებული ინტერვენციის სულისჩამდგმელები და ინიციატორები.

«ასე დამთავრდა შესვენება და დაიწყო საშოქალაქო ომი რუსეთში, ესე-იგი რუსეთის ხალხთა ბრძოლისა და გლეხების ომი საბჭოთა ხელისუფლების გარეშე და შინაური ბატონების წინააღმდეგ.

ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ამერიკის იმპერიალისტებმა სამხედრო ინტერვენცია დაიწყეს ომის გამოუცხადებლად, თუმცა ინტერვენცია იყო ომი რუსეთის წინააღმდეგ, ამასთან ომი უცუდესი ტიპისა. ფარულად, ქურდულად, მოგვეპარნენ ეს «ცივილიზებული» ყაჩაღები და გადმოსხეს თავისი ჯარები რუსეთის ტერიტორიაზე» **.

ამერიკელი მტაცებლები ვარაუდობდნენ ჩამოეშორებინათ რუსეთისაგან ბელორუსია, უკრაინა, ბალტიისპირა მხარე, კავკასია, ციმბირი და შუა აზიის ოლქები.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციისათვის პარიზის «სამშვიდობო» კონფერენციაზე სახელმწიფო დეპარტამენტმა შეადგინა რუკა სახელწოდებით «რუსეთის ნავარაუდევი საზღვრები». ამ რუკის დანართში ნათქვამი იყო:

«მთელი რუსეთი უნდა დაიყოს დიდ ბუნებრივ ოლქებად, თვითეული თავისი განსაკუთრებული ეკონომიური ცხოვრებით, ამასთან ორც ერთი ოლქი არ უნდა იყოს საკმაოდ დამოუკიდებელი იმისათვის, რომ ძლიერი სახელმწიფო შექმნას» ***.

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 298.

** «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი». გვ. 280.

*** ა. ე. კუნინა, «მსოფლიო ბატონობის მოპოვების ამერიკული გეგმების ჩაშლა, 1917—1920 წწ.», 1951 წ., რუსულ ენაზე, გვ. 81.

1918 წ. ოქტომბერში, ცოტა ხნით ადრე პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე, გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელიც ცნობილია როგორც ვილსონის «14 პუნქტი», მასზე დართული კომენტარიც დიდ ხანს საიდუმლოებას წარმოადგენდა. ეს დოკუმენტი, რომელიც საერთოდ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას გამოსახავდა, რუსეთის მიმართ ისახავდა ყაჩაღურ მიზანს — საბჭოთა ხელისუფლების განადგურებას, რუსეთის დაყოფას და მის დაყვანას კოლონიის მდგომარეობამდე, რომელსაც ექსპლოატაციას გაუწევდნენ ამერიკელი მონოპოლისტები.

ყაჩაღური ამერიკული იმპერიალიზმი მიისწრაფვოდა საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობისაკენ, აგზავნიდა საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე ამერიკელ ჯარისკაცებს, ხელს უწყობდა თეთრგვარდიელებს და მონარქისტებს — კოლჩაკს, დენიკინს, მილერს და სხვ. სამარცხვინო ბოძზე აკრავდა რა ამერიკის იმპერიალიზმს, როგორც რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ჯალათსა და სულთამხუთავს, ლენინი ამბობდა: «ჩვენს წინაშეა სრულიად შიშველი იმპერიალიზმი, რომელსაც საჭიროდაც კი არ მიაჩნია რაიმეთი შეიმოსოს, ფიქრობს რა, რომ იგი ისედაც საუცხოოა»*.

1918 წ. ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს არხანგელსკი და მურმანსკი. იაპონელები გადმოსხდნენ ვლადივოსტოკში და დაიკავეს ზღვისპირეთი. რამდენიმე ხნის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების და ანტანტის იმპერიალისტებმა საბჭოთა რუსეთის ბლოკადა გამოაცხადეს. მათ დაიკავეს ყველა საზღვაო და სხვა სამიმოსვლო გზები, რომლებითაც საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკა დაკავშირებული იყო მსოფლიოსთან. ამრიგად, საბჭოთა რესპუბლიკა თითქმის ყოველი მხრიდან იმპერიალისტური სახელმწიფოებით იყო გარშემორტყმული.

გერმანიის დამარცხებისა და უკრაინიდან და ამიერკავკასიიდან გერმანელების გასვლის შემდეგ, იქ მისი ადგილი

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 416.

ინგლისმა და საფრანგეთმა დაიკავეს. მათ თავისი ფლოტი შემოიყვანეს შავ ზღვაში და თავისი ჯარი გადმოსხეს ოდესასა და ამიერკავკასიაში. ინგლისის ჯარი, რომელსაც მეთაურობდა გენერალი ტონსონი, ჩრდილოეთ ირანში მყოფი ბრიტანეთის ძალების სარდალი, 17 ნოემბერს ბაქოში ჩავიდა, ხოლო 23 დეკემბერს ბათუმში. 1918 წ. 25 დეკემბერს ინგლისის ჯარი ჩამოვიდა თბილისში. ინგლისის ჯარის ნაწილები დაბანაკდნენ აგრეთვე ქუთაისში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ახალციხეში, ბოლნისში, ყაზბეგში და სხვა სტრატეგიულ პუნქტებში. თბილისში მათ შექმნეს 4 საკომენდანტო და საპოლიციო სამმართველო.

მენშევიკებმა ერთბაშად შეიცვალეს ორიენტაცია და ახალი ბატონების სამსახურში ჩადგნენ. ისინი ინგლისელი იმპერიალისტების მფარველობას ეძებდნენ და მზად იყვნენ საამისოდ არაფერი დაეშურათ. ამიერკავკასიაში ინგლისის საგანგებო კომისართან, უორდროპთან საუბარში (1919 წლის 4 სექტემბერს) საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა საქართველოს მენშევიკური მთავრობის სახელით განაცხადა:

«საქართველოს მთავრობა აღიარებს, რომ იგი უნდა ემყარებოდეს რომელიმე ძლიერ სახელმწიფო ორგანიზმს, და ამ შეგნებამ გვიკარნახა გარკვეული ორიენტაცია ინგლისისადმი. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ შეერთებული სამეფოს მხრით ასეთი დახმარება ჩვენ ასე თუ ისე უნდა ავანაზღაუროთ. სამწუხაროდ, დღემდე ჩვენ ვერ მივიღეთ პასუხი ჩვენთვის ესოდენ არსებით საკითხზე. მე ვაჯამებ ყველა ჩემს ნათქვამს: შექმნილი კონიუნქტურის დროს საქართველოს მარტოდ, სხვის დაუხმარებლად, არ შეუძლია ყველა განსაცდელს გაუძლოს, იგი თხოვს დახმარებას ინგლისს და სურს იცოდეს, რას მოითხოვს ინგლისი სამაგიეროდ. ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრება — ეს არის მთავრობის თათბირის შედეგი და, უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე ჩვენ არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არა გვქონია»[42].

ინგლისელი იმპერიალისტები, ისევე როგორც გერმანიათურქეთის იმპერიალისტები, საქართველოში მათთვის დამახასიათებელი თავხედობით იქცეოდნენ, როგორც კოლონიურ

ქვეყანაში. მათ ხელში ჩაიგდეს საქართველოს სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების კონტროლის ყველა ძაფი.

ინგლისელებმა დაიწყეს შინაურულად მოკალათება საქართველოში. მათ ხელში აიღეს სახელმწიფო ბანკის, ფოსტის, ტელეგრაფის, სასამართლოს და სხვ. გამგებლობა და ხელი მოჰკიდეს საპოლიციო და სასურსათო საქმის ფუნქციებს. ისინი მენშევიკურ მთავრობას უბრძანებდნენ რომელი კომუნისტი დაეპატიმრებინათ და რომელი არ გაეშვათ საპატიმროდან. მენშევიკები ისეთივე ერთგულებით ასრულებდნენ ბრიტანელი გენერლის ბრძანებებს, როგორითაც რამდენიმე თვის წინათ ემორჩილებოდნენ გერმანელი მბრძანებლების ინსტრუქციებს.

ინგლისელები სრულიად შეუზღუდავად ბატონობდნენ საქართველოში. მათ ხელში ჩაიგდეს ბაქო-ბათუმის ნავთსადენი და ფაქტიურად განაგებდნენ საქართველოს რკინიგზებს. მათ დაიკავეს ქალაქის საუკეთესო შენობები, შექმნეს თავიანთი პოლიცია. ინგლისელმა ოკუპანტებმა უსასყიდლოდ გაიტანეს ამიერკავკასიიდან და საქართველოდან 26 მილიონი ფუთი მარგანეცი, 30 მილიონი ფუთი ნავთი, დიდი რაოდენობის ხე-ტყე, თამბაქო და სხვა პროდუქტები.

საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა მონური მორჩილებით ასრულებდა ინგლისელი იმპერიალისტების ყველა მოთხოვნას და მთლიანად მათზე იყო დამოკიდებული.

საკმარისია ითქვას, რომ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების ოქმები დასამტკიცებლად ეგზავნებოდა ინგლისელ გენერლებს. ინგლისელი გენერლები აკონტროლებდნენ საქართველოს მთავრობის ფინანსურ პოლიტიკას, დირექტივებს აძლევდნენ მას და სასამართლოს წარმოებაშიც კი ერეოდნენ.

გაზეთი «ეიზნ ნაციონალნოსტეი» კავკასიაში ინგლისელი ინტერვენტების ყოფნის გამო შემდეგს წერდა:

«კავკასია გმინავს ინგლისელი იმპერიალისტების უღელქვეშ. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გერმანია-თურქეთის მტაცებლური იმპერიალიზმი, რომელმაც ტანჯა და აწამა კავკასია, იტაცებდა ყველაფერს, რისი მოტაცებაც კი შეიძლებოდა,

ინგლისელები ოქროს მთებს პირდებოდნენ კავკასიის ხალხებს. ეს ბარბაროსები ინგლის-საფრანგეთის «დემოკრატებმა» შეცვალეს. მაგრამ ამ ცვლილებით კავკასიის მშრომელი მასების მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა: ანტანტის იმპერიალიზმი არა ნაკლებ მტაცებლური აღმოჩნდა, ვიდრე გერმანიის» *.

ინგლისელი იმპერიალისტები, მომაგრდნენ რა ამიერკავკასიაში, ცდილობდნენ გადაექციათ ეს მხარე ერთ-ერთ თავის დასაყრდენ ბაზად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიერკავკასიაში ბრიტანეთის საჰაერო ძალების სარდალმა გენერალმა ჟ. კორნმა მოახდინა შინაური კონტრრევოლუციის მთელი ძალების მობილიზაცია და 1919 წ. 27 ივნისს წინადადება მისცა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას:

«მოეხდინათ კოორდინაცია გენერალ დენიკინთან, მისთვის თუნდაც ნავთისა და სხვა მასალების მიწოდებით, ისე, რომ ეს მასალები ბოლშევიკების ხელში არ მოხვედრილიყო».

ქართველი მენშევიკები, რომლებიც ინტერვენტებში თავიანთი ძალაუფლების დასაყრდენს ხედავდნენ, მორჩილად ასრულებდნენ თავიანთი ბატონ-პატრონების — ინგლისელების დირექტივებს. ისინი ნავთით ამარაგებდნენ გენერალ დენიკინს, რომელმაც ხელში ჩაიგდო მთელი ჩრდილოეთი კავკასია და 1919 წ. ზაფხულზე ამზადებდა თავის ძირითად ლაშქრობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ საქართველოს რკინიგზებით გადაქონდათ ამიერკავკასიის ყოფილი მეფისდროინდელი ციხე-სიმაგრეებიდან არტილერია, იარაღი, საჭურველი და ფორმის ტანისამოსი «მოხალისეთა არმიისათვის». 1919 წ. აგვისტოს საქართველოში დანიშნული იქნა დენიკინის წარმომადგენელი გენერალი ბარათოვი, რათა «დაემყარებინა ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსა და მოხალისეთა არმიას შორის».

მენშევიკური მთავრობა მისი «დამოუკიდებლობის» ცნობის სამაგიეროდ დაპირდა რუსეთის კონტრრევოლუციის მეთაურს გენერალ დენიკინს, რომ «მთლიანად უზრუნველყოფდა

---

* «ჟიზნ ნაციონალნოსტეი» № 17, 1919 წ.

სიწყნარეს მოხალისეთა არმიის ზურგში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მისი ბრძოლის დროს».

დენიკინის წარმომადგენლებს საქართველოში მიენიჭათ განუსაზღვრელი უფლება მოეხდინათ მეფის ყველა ოფიცრისა და მოხელის მობილიზაცია. ამ საქმეს საქართველოში ეწეოდნენ გენერლები ლიახოვი, ბარათოვი და სხვ.

მენშევიკები სხვა სისაძაგლესაც სჩადიოდნენ: ისინი გენერალ დენიკინს ეხმარებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის კომუნისტების განადგურების საქმეში.

1919 წ. დამდეგს მენშევიკურმა მთავრობამ დენიკინს გადასცა კომუნისტების ჯგუფი, რომელმაც უკან დაიხია საქართველოს სამხედრო გზით საქართველოს ტერიტორიაზე.

ეს საზიზღარი, გამცემლური აქტი — ინტერნირებული კომუნისტების მოსაკლავად გადაცემა მათი მოსისხლე მტრებისათვის — მენშევიკური პარტიის პირდაპირი დირექტივის შედეგი იყო. ეს ჩანს მენშევიკური პარტიის ცკ-ის 1919 წ. 14 თებერვლის სხდომის ოქმიდან:

«...მოისმინეს: ბოლშევიკების შესახებ.

დაადგინეს: სანიტარული მოსაზრებებით ინტერნირებულნი მოთავსებულ იქნან კარანტინში, შემდეგ კი მიღებულ იქნას ზომები მათ გადასაგზავნად რუსეთში» *.

ადგილობრივმა სამხედრო ხელისუფლებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს ეს დირექტივა. მაგრამ «სანიტარული მოსაზრებანი» მათ ზედმეტად მიიჩნიეს: წინასწარ გაძარცვეს საბჭოთა მოქალაქენი, სცემეს მათ, შემდეგ კი გაგზავნეს ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მათ უეჭველი სიკვდილი მოელოდათ.

იმავე წლის აპრილში მენშევიკებმა კვლავ გადასცეს დენიკინს იმ წითელარმიელთა და საბჭოთა მუშაკების მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომლებიც თერგის ოლქიდან გამოიქცნენ იმის გამო, რომ იქ მათ ოფიცერთა და კულაკთა კონტრრევოლუცია დეენიდა.

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი თაეის 1919 წ. აპრილის მიმართვაში მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი წერდა:

«საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ 31 საბჭოთა მუშაკის გადაცემა მეფის ჯალათ დენიკინისათვის უაღრესად აშკარა დამამტკიცებელია იმისა, რომ საქართველოს «სოციალისტური» მთავრობა თითქმის ყველაფერში სოლიდარულია რევოლუციის მოსისხლე მტრებთან და მეფის რეჟიმის აღდგენის გაშმაგებულ მომხრეებთან. სხვანაირად რით უნდა აიხსნას ეს მუხთალი გამცემლობა? ცხადია, ქართველ მენშევიკებს სურთ დენიკინის გულის მოგება, სურთ სამსახური გაუწიონ მას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საერთო ბრძოლის საქმეში».

მიმართვა თავდებოდა მოწოდებით, რომ მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა არ ირწმუნონ «სიცრუე და დაშინება ქართველი მენშევიკების მხრივ, რომლებიც თავიანთ პოზიციას მხოლოდ იმით ინარჩუნებენ, რომ დახმარებას ღებულობენ იმპერიალისტური მთავრობებისაგან (ჯერ თურქეთისაგან, შემდეგ გერმანიისაგან, ახლა ინგლისისა და მოკავშირეებისაგან)» *.

1919 წ. ზაფხულზე ინგლისის მთავრობა იძულებული იყო გამოეტანა გადაწყვეტილება თავისი ჯარების გაყვანის შესახებ რსფს რესპუბლიკის ოკუპირებული რაიონებიდან, მათ შორის ამიერკავკასიიდანაც.

ეს მთელი რიგი მიზეზებით აიხსნებოდა. ეს მიზეზები იყო: საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად გაგზავნილი ინგლისელი ჯარისკაცების გარევოლუციურება; დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის ზრდა და მუშათა კლასის აშკარა პროტესტი ინტერვენციის წინააღმდეგ; თვითონ ინგლისში მუშათა ფართო მასების საგაფიცვო ბრძოლის ზრდა, მდგომარეობის გამწვავება ინდოეთში, ეგვიპტეში და ა. შ.

---

* იქვე, 1917 — 1921 წლების ბოლშევიკური პროკლამაციების ფონდი.

მაგრამ ინგლისის ჯარების წასვლა ამიერკავკასიის ტერიტორიიდან სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ იმპერიალისტებმა ხელი აიღეს კოლონიურ დაპყრობათა პოლიტიკაზე. ანტანტის გადაწყვეტილებით ამიერკავკასიაში ინგლისელი ჯარების ნაცვლად იტალიის ჯარები უნდა ჩამოსულიყვნენ. 1919 წ. ნოემბერში ინგლისის ჯარები გაყვანილ იქნენ ამიერკავკასიიდან, მაგრამ მათი ნაწილი ბათუმში დარჩა 1920 წლის ზაფხულამდე.

უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტის თავის ხელში დატოვებით ინგლისელი იმპერიალისტები ფაქტიურად განაგრძობდნენ კონტროლს მთელს ამიერკავკასიაზე.

როცა 1919 წლის აგვისტოში ხმა გავრცელდა ამიერკავკასიიდან ინგლისის ჯარების წასვლის შესაძლებლობის შესახებ, მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა, ხალხის რისხვის შიშით, ხვეწნა-მუდარა დაუწყეს ინგლისის იმპერიალისტებს: ნუ გაიყვანთ თქვენს შეიარაღებულ ძალებსო.

მათმა სპეციალურმა დელეგაციამ 1919 წ. 28 აგვისტოს შემდეგი სიტყვებით მიმართა «მოკავშირე და მეგობრული სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე» კლემანსოს:

«სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკების დელეგაციათა ქვემორე ხელმომწერ თავმჯდომარეებს პატივი აქვთ განუცხადონ სამშვიდობო კონფერენციას, რომ კავკასიიდან მოკავშირეთა ჯარების განზრახულ ევაკუაციას შეიძლება სამწუხარო შედეგები მოჰყვეს.

ამიტომ ქვემორე ხელისმომწერთ პატივი აქვთ სთხოვონ სამშვიდობო კონფერენციას გადადოს ევაკუაცია, რომელზეც ლაპარაკია იმ დრომდე, ვიდრე ზემოაღნიშნული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის საკითხი გამოირკვეოდეს და გადაწყდებოდეს»*.

ამიერკავკასიაზე, მისი ბუნების სიმდიდრეებზე თვალი ეჭირათ ამერიკის იმპერიალისტ მტაცებლებსაც. მათი

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი.

დაეინებითი მოთხოვნით 1919 წ. 5 ივლისს პარიზის «სამშვიდობო» კონფერენციის ოთხთა საბჭომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გადასცა მანდატი სომხეთის გამგებლობაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის სახელით სომხეთში მოკავშირეთა უმაღლეს კომისრად დაინიშნა ამერიკელი პოლკოვნიკი გასკელი.

ამავე დროს სომხეთში მოქმედებდა «არა» («დახმარების ამერიკული ადმინისტრაცია»), რომელიც სურსათითა და სხვა დახმარებათა საფარქვეშ, ამერიკის იმპერიალიზმის ეკონომიურ და პოლიტიკურ პოზიციებს ანმტკიცებდა. აქვე მოქმედებდა ამერიკის წითელი ჯვარი, რომელიც არსებითად ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვისა და ჯაშუშების ორგანოს წარმოადგენდა.

ამერიკელები მოურიდებლად პარპაშობდნენ სომხეთში, ძარცვავდნენ მის სიმდიდრეებს, ყოველნაირად ეხმარებოდნენ სომხეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ორგანიზაციებს მათს ბრძოლაში მშრომელი მასების წინააღმდეგ.

ამერიკელები აპირებდნენ გაეგზავნათ სომხეთში თავისი ჯარები 70 ათასი კაცის რაოდენობით ქვეყნის სამხედრო ოკუპაციისათვის და მის გადასაქცევად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დასაყრდენ პუნქტად. ამერიკელ იმპერიალისტებს გეგმით დასახული ჰქონდათ ხელში ჩაეგდოთ მთელი კავკასია, შავი ზღვა და განსაკუთრებით კი ბაქოს ნავთი. ამის გამო მათ უკვე 1919 წლის ნოემბერში პარიზის «სამშვიდობო» კონფერენციაზე დააყენეს საკითხი, რათა გასკელის უფლებამოსილება გავრცელებულიყო აგრეთვე საქართველოზე და აზერბაიჯანზე. მაგრამ ამერიკელ დამპყრობთა გეგმები, ისე როგორც ინგლისელ დამპყრობთა გეგმები, ვერ განხორციელდა.

როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის დამდეგს საქართველო და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნები მხოლოდ რუსეთთან შეერთებამ იხსნა შინაური სოციალ-ეკონომიური კრიზისისაგან, იხსნა დამონებისაგან ისეთი ჩამორჩენილი

სახელმწიფოების მიერ, როგორიც არიან თურქეთი და ირანი, რომელთა ზურგს უკან იდგნენ ინგლისი და საფრანგეთი. კიდევ უფრო მკვეთრად დაისვა ამიერკავკასიის ხალხთა წინაშე მომავალი ბედ-იღბლის საკითხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

იმის შედეგად, რომ ამიერკავკასია ჩამოშორდა საბჭოთა რუსეთს, კავკასიის ფრონტი დაიშალა და რუს ჯარისკაცებს არ სურდათ ებრძოლათ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერების ინტერესებისათვის, მხარის ფაქტიური ბატონ-პატრონები გახდნენ ჯერ გერმანია-თურქეთის, ხოლო შემდეგ ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტები.

სტატიაში: «საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ ხაკითხში რუსეთში», რომელიც გამოქვეყნებული იყო «ეიზნ ნაციონალნოსტეი» 1920 წ. ოქტომბერში, ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ განაპირა მხარეების გამოყოფა რუსეთისაგან, როგორც ფორმა ურთიერთობისა ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის, ეწინააღმდეგება როგორც ცენტრის, ისე განაპირა მხარეების ხალხთა ინტერესებს.

«იმაზე რომ აღარა ვთქვათ რა, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომ განაპირა მხარეების გამოყოფა ძირს გამოუთხრიდა რევოლუციურ ძლიერებას ცენტრალური რუსეთისას, რომელიც სტიმულს აძლევს დასავლეთისა და აღმოსავლეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას, თვით გამოყოფილი განაპირა მხარეები აუცილებლად ჩავარდებოდნენ საერთაშორისო იმპერიალიზმის მონობაში. საკმარისია თვალი გადავავლოთ რუსეთისაგან გამოყოფილ საქართველოს, სომხეთს, პოლონეთს, ფინეთს და სხვ., რომლებმაც მხოლოდ მოჩვენებითი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს, ნამდვილად კი ანტანტის აშკარა ვასალებად გადაიქცნენ... იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ვითარებაში, რომელიც ბროლეტარულ რუსეთსა და იმპერიალისტურ ანტანტას შორის ჩაღდება, განაპირა მხარეებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ორი გამოსავალი:

ან რუსეთთან ერთად, და მაშინ — განაპირა მხარეების

მშრომელი მასების განთავისუფლება იმპერიალისტური ჩაგვრისაგან;

ან ანტანტასთან ერთად, და მაშინ—გარდუვალი იმპერიალისტური უღელი.

მესამე გამოსავალი არ არსებობს.

ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი საქართველოს, სომხეთის, პოლონეთის, ფინეთის და სხვ. ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა მხოლოდ მაცდური მოჩვენებაა, რომელიც ფარავს ამ, უკაცრავად პასუხია, სახელმწიფოების სრულ დამოკიდებულებას იმპერიალისტთა ამა თუ იმ ჯგუფისაგან» *.

თავიანთი ბატონობის მოკლე პერიოდში მენშევიკებმა თავიანთი ანტიხალხური საშინაო და საგარეო პოლიტიკით ქვეყანა განსაკუთრებით მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს.

მოვლენათა მთელი მსვლელობა ცხადყოფდა, რომ მხოლოდ ამიერკავკასიის მოძმე ხალხებთან კავშირი და მეგობრობა, დიდ რუს ხალხთან კავშირი და მისი დახმარება წარმოადგენდა საქართველოს აყვავების საწინდარს, რომ საბჭოთა რუსეთთან კავშირის დაუმყარებლად შეუძლებელი იყო საქართველოში ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მოგვარება.

ეკონომიური ნგრევა საქართველოში სულ უფრო და უფრო მეტად ძლიერდებოდა, ხდებოდა წარმოების შემდგომი შეკვეცა, შრომის ბაზარი ივსებოდა უმუშევართა ახალ-ახალი ჯგუფებით, განსაკუთრებით ლითონდამამუშავებელი და თამბაქოს მრეწველობის მუშებით.

განსაკუთრებით მძიმე კრიზისს განიცდიდა საქართველოს მომპოვებელი მრეწველობის უდიდესი დარგი—მარგანეცის მრეწველობა. ჭიათურის 26 მადანსარეცხი ქარხნისაგან მხოლოდ 3 მუშაობდა.

მთავრობის სპეციალური კომისია, რომელმაც გამოიკვლია მუშათა მდგომარეობა ჭიათურაში, იძულებული იყო თავის მოხსენებაში აღენიშნა შემდეგი:

---

* ი. ბ. სტალინი, ტ. 4, გვ. 384—385.

«ჭიათურაში არ არის სპეციალური ორგანო მუშათა ინტერესების დასაცავად, მრავალ საწარმოში შრომის დაცვის კანონები ირღვევა, ზედმეტი მუშაობისათვის მუშები ნაკლებს იღებენ, ვიდრე კანონით ერგებათ. ავადმყოფობის დროს მუშები არსაიდან არ იღებენ დახმარებას, არ არსებობს საავადმყოფო სალარო, სრულიად არ არის მოგვარებული მუშათა მომარაგება პურითა და კვების სხვა პროდუქტებით» *.

წარმოების შეკვეცას მენშევიკები ხსნიდნენ სათბობისა და ნედლეულის ნაკლებობით და აგრეთვე სამრეწველო საქონლის უქონლობით. მეწარმენი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ისინი ხურავენ საწარმოებს მუშათა მაღალი ხელფასის გამო.

ზემოგებით გატაცებული ბურჟუაზია არჩევდა დაეხურა საწარმოები და თავისი კაპიტალები ვაჭრობაში დაებანდა. საქართველოში სპეკულაციურმა ვაჭრობამ სახიფათო ხასიათი მიიღო; იგი ამწვავებდა და აღრმავებდა ქვეყნის უიმისოდაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას.

სპეკულაციის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტით საქართველომ დაკარგა ბაზარი, სადაც წინათ გაქონდა თავისი სოფლის მეურნეობის ნაქარბი პროდუქცია: თამბაქო, აბრეშუმი, ღვინო, ხილი და ა. შ., რის სანაცვლოდაც იგი იღებდა პურს და სხვა სამრეწველო საქონელს. მენშევიკების ყველა ცდა მოეგვარებინათ ნორმალური საქონელბრუნვა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ბაზრებთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან მარცხით დამთავრდა. კაპიტალისტურ ევროპას საქართველოში შემოქონდა მხოლოდ ჩაწოლილი საქონელი, მეტწილად ფუფუნების საგნები. ჩრდილოეთ კავკასია პურის სანაცვლოდ მოითხოვდა ისეთ საქონელს, რომელიც საქართველოშიც დეფიციტური იყო. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ფართო გასაქანს იღებდა ეგრეთწოდებული «კერძო ინიციატივა», ფართოდ ჩაღდებოდა სპეკულაცია.

ახორციელებდნენ რა კაპიტალისტურ ეკონომიურ პოლიტიკას, არ გააჩნდათ რა ამასთან ფინანსური რესურსები

---

* პროფმოძრაობის არქივი, ფ. 3, ს. 52, ფვ. 6.

ინდუსტრიის გასავითარებლად, მენშევიკები იძულებული იყვნენ ნებაყოფლობით დამონებოდნენ უცხოეთის კაპიტალს, დაეინებით ცდილობდნენ გადაეცათ უცხოელი კაპიტალისტებისათვის საკონცესიოდ სახალხო მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგები. მაგრამ უცხოეთის კაპიტალი საქართველოში მოდიოდა ძალიან ნაკლები ხალისით, და მენშევიკებმა შეძლეს დაედოთ მხოლოდ რამდენიმე ეკონომიური ხელშეკრულება ცალკეულ მეწარმეებთან, მაგალითად, იტალიის საზოგადოება «ილვასთან» ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების საკონცესიოდ გადაცემის შესახებ, საფრანგეთის სავაჭრო სახლ-ფერრანჟიროსთან და ფრანგ მეაბრეშუმეთა სინდიკატთან აბრეშუმის ნედლეულის გასაღების შესახებ.

ქვეყნის სასურსათო მდგომარეობა სახიფათო ხდებოდა. შესამჩნევი იყო პურისა და კვების სხვა პროდუქტების უდიდესი ნაკლებობა.

პირველი საჭიროების საგნების ფასი დღითიდღე იზრდებოდა, ხოლო მენშევიკების მიერ გამოშვებული ფულის ნიშნების (ბონების) კურსი კატასტროფულად ეცემოდა. თუ რამდენად ეცემოდა მანეთის კურსი, ამას ცხადყოფს შემდეგი ცნობა: გამოშვებული იყო 16.976.082 მანეთის ბონები. ამავე დროს ფულის ტრიალის ღირებულება ომამდელი მანეთის კურსით საქართველოში 1920 წლის 1 იანვარს შეადგენდა 5.226.236 მანეთს, ხოლო 1921 წლის 1 იანვრისათვის შემცირდა 2.900.850 მანეთამდე. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი უზარმაზარ ციფრს აღწევდა: 1918 წელს დეფიციტი შეადგენდა 74%, ხოლო 1919 — 1920 წელს—79%-ს.

ამ საერთო ფინანსურ-ეკონომიურმა კრიზისმა უწინარეს ყოვლისა გავლენა მოახდინა მუშათა კლასის ცხოვრებაზე.

1919 წელს ხელფასმა ნომინალის მიხედვით 1914 წლის ხელფასთან შედარებით 21,8-ჯერ მოიმატა, მაშინ როდესაც საკვები პროდუქტების ფასები გაიზარდა 75,5-ჯერ, ე. ი. თითქმის 4-ჯერ უფრო მეტად ნომინალურ ხელფასთან შედარებით. მშრომელთა მდგომარეობას ართულებდა ფულის ნიშნის კურსის ყოველდღიური კატასტროფული დაცემა. ამის

შემდეგ უფრო დიდი ხდებოდა შეუსაბამობა მუშისა და მოსამსახურის საარსებო მინიმუმსა და ბიუჯეტს შორის.

მენშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ გვერდი აეცლოთ მუშათა კლასის გაჭირვებული მდგომარეობის ნამდვილ მიზეზთა გამორკვევისათვის, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს დაეფარათ თვითონ ფაქტი მუშების მძიმე მდგომარეობისა. მაგალითად, 1919 წ. ნოემბერში რკინიგზელთა ყრილობაზე შრომის მინისტრის მოადგილე ერაძე იძულებული იყო განეცხადებინა, რომ «საქართველოს მუშათა კლასი ამჟამად მეტად მძიმე და მწვავე ეკონომიურ კრიზისს განიცდის»*.

მენშევიკები იძულებული იყვნენ აგრეთვე ეღიარებინათ წარმოების კატასტროფული დაცემა და შრომის ნაყოფიერების მკვეთრად შემცირება. იმ მიზნით, რომ შეექმნათ მოჩვენებითი შთაბეჭდილება, თითქოს წარმოებდა ბრძოლა მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, შრომის სამინისტრომ 1919 წ. ოქტომბერში მიიღო კანონპროექტი მუშათა და მოსამსახურეთა მომარაგების ფონდის შექმნის შესახებ. ამ მიზნით ყველა საწარმოს და დაწესებულებას ევალებოდა შეეტანა თვითეულს თავის მუშასა და მოსამსახურეზე ათას-ათასი მანეთი. მენშევიკები ფიქრობდნენ, რომ ამ გზით ისინი «ალაგმავდნენ» «მუშათა გადამეტებულ მოთხოვნებს ხელფასის გადიდების შესახებ».

ისეთ პირობებში, როდესაც მენშევიკების მფარველობით გასაოცრად ძლიერდებოდა სპეკულაცია, ეს ფონდი სრულიად არ იყო საკმარისი საჭირო შესასყიდი ოპერაციების განხორციელებისათვის. ამრიგად, მენშევიკების ამ ბიუროკრატიულ წამოწყებას არავითარი შედეგის მოცემა არ შეეძლო, რადგან ისინი ინარჩუნებდნენ თავისი სოციალ-ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებს.

1919 წ. გაზაფხულზე მენშევიკურმა მთავრობამ გადაწყვიტა სატარიფო პალატის დაარსება. «დებულების» აზრით, მისი მიზანი იყო «მოწესრიგება ხელფასის საკითხისა იმ სახით,

---

* პროფმოძრაობის არქივი, ფ. 3, ს. 280, ფ. 4—6.

როგორც იგი შესაძლებლად დაინახავს თანამედროვე ეკონომიურ პირობებში».

პალატას უნდა შეესწავლა წარმოების ცალკეული დარგების მდგომარეობა და ამის საფუძველზე დაეწესებია მუშათა თვითეული კატეგორიისათვის ხელფასის როგორც მაქსიმუმი, ისე მინიმუმი.

ნამდვილად კი პალატის მოღვაწეობა იმით გამოიხატა, რომ იგი ებრძოდა ცალკეული პროფკავშირების «მაქსიმალისტურ მოთხოვნებს».

სატარიფო პალატა ჩამოყალიბდა მუშებისა და მეწარმეების პარტიული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე, ამასთან პალატის თავმჯდომარეს ნიშნავდა შრომის სამინისტრო. მაგრამ პალატის პირველ სხდომაზევე, რაც 1919 წ. 25 მაისს შედგა, გამოირკვა, რომ სამუშაოს მიმცემთა რიცხვი სჭარბობდა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მათ თავისუფლად შეეძლოთ თავზე მოეხვიათ უკანასკნელისათვის თავისი პირობები.

თუ კი მსედველობაში მივიღებთ, რომ მენშევიკურ პროფკავშირულ ზედაფენებს არც შეეძლოთ გამოეხატათ და არც გამოხატავდნენ მუშათა მასების ინტერესებს, მაშინ ცხადი გახდება პალატის მოღვაწეობის ანტიმუშური მიმართულება, რომელიც თავიდანვე მძაფრ კონფლიქტში აღმოჩნდა მუშათა მასებთან.

ასე, მაგალითად, მბეჭდავთა კავშირმა როდესაც პალატისაგან ხელფასის მომატებას ვერ მიაღწია, შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

«ერთ კვირაში გადაისინჯოს პალატის მიერ დაწესებული მომატებანი. შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩვენ უნდა დავიტოვოთ თავისუფალი მოქმედების უფლება, ე. ი. შევწყვიტოთ ყოველგვარი კავშირი სატარიფო პალატასთან და სატარიფო განაკვეთები გავატაროთ ჩვენი ძალებით».

სატარიფო პალატის ანტიმუშური პოლიტიკის წინააღმდეგ სისტემატურ ბრძოლას ეწეოდნენ სხვა პროფკავშირებიც: მელითონეები, მეტყავეები, მეთამბაქოები და ა. შ.

მენშევიკებმა, რომლებიც ყოველნაირად ზღუდავდნენ მუშათა მოძრაობას და გაფიცვების თავისუფლებას, 1919 წელშიც არ გამოსცეს დიდი ხნის წინათ დაპირებული შრომითი ხელშეკრულების კანონი.

მძიმე იყო აგრეთვე გლეხობის მასების მდგომარეობაც. როგორც უკვე ითქვა, მენშევიკური აგრარული რეფორმა მემამულეებს უტოვებდა მათი საუკეთესო მიწების მნიშვნელოვან ნაწილს და ამდენად მხოლოდ მემამულეთა და კულაკთა მეურნეობის განვითარებას უზრუნველყოფდა. გლეხობის უდიდეს უმრავლესობას კი სული ეხუთებოდა უმიწაწყლობისა და მიწის ნაკლებობის გამო.

როდესაც მენშევიკებმა მიწის კანონის გამოცემის შემდეგ შეამოწმეს მიწების განაწილება გლეხებს შორის, მაგალითად, თელავის მაზრაში, გამოირკვა შემდეგი მდგომარეობა: გლეხთა კომლების 60,4 პროცენტისაგან საშუალოდ თვითეულს ჰქონდა 0,83 დესეტინა, 16,1%-ს —2,34 დესეტინა, 18,3%—4,29 დესეტინა და 5,2%—11,17 დესეტინა. ამრიგად, კულაკების კომლთა 5,2%-ის ხელში იყო თავმოყრილი მაზრის მთელი მიწის 24,5%, მაშინ როცა 60,4 პროცენტი ღარიბების კომლთა წილად კი მოდიოდა მთელი სახნავი მიწის მხოლოდ 23,6%.

მოყვანილი ცნობები საკმაოდ ნათლად ახასიათებენ სოფლის კლასობრივ ფენებად დაყოფის სურათს. ღარიბები მიწის მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ და იძულებული იყვნენ კვლავ მემამულეებისა და კულაკებისაგან აეღოთ მიწა საიჯარო, ოდ კაბალურ პირობებში. იმავე სტატისტიკის თანახმად, ღარიბთა თვითეულ კომლზე საშუალოდ 0,52 დესეტინა საიჯარო მიწა მოდიოდა, რაც თვითეულ კომლზე მიწის საშუალო ნაკვეთის ორ მესამედს შეადგენდა.

უღარიბესი და საშუალო გლეხობის მასები ძველებურად ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების უღელქვეშ იმყოფებოდნენ, მათ კვლავინდებურად აკისრებდნენ ყოველგვარ გადასახადებს [44].

ქართველმა თავადაზნაურებმა თავისუფლად შექმნეს კავშირები თავიანთი კლასობრივი ინტერესების დასაცავად.

ისინი მიისწრაფვოდნენ იმისაკენ, რომ აღედგინათ სოფლად რევოლუციამდელი ურთიერთობა და ამ მხრივ მათ ენერგიული დახმარება გაუწიეს ჯერ გერმანელმა, ხოლო შემდეგ ინგლისელმა იმპერიალისტებმა, რომლებმაც ამიერკავკასიის ოკუპაცია მოახდინეს.

* * *

1919 წელს, მიუხედავად რეპრესიებისა და ხშირი ჩავარდნებისა, საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა, განმტკიცდა და გააფართოვა თავისი გავლენა მუშათა მასებსა და მშრომელ გლეხებზე.

1919 წლის დამდეგს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ვლადიკავკაზიდან გადმოვიდა თბილისში, რათა ხელში აეღო ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობა შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად.

პარტიული ძალებით თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის განმტკიცებასთან დაკავშირებით, 1919 წლის დამდეგს არჩეულ იქნა რკპ(ბ) თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელმაც, მიუხედავად არალეგალური მუშაობის მძიმე პირობებისა, შეძლო პარტიული უჯრედების ქსელის გაფართოება ფაბრიკებსა და ქარხნებში.

კომუნისტური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტი განსაკუთრებით სერიოზულ ყურადღებას აქცევდა არალეგალური «მუშათა ცენტრის» მუშაობას და პროფკავშირთა კომუნისტურ ფრაქციას. 1919 წლის 9 ივნისიდან დაიწყო რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების ორგანოს, გაზეთ «ვოლნას» გამოშვება.

კომუნისტური გაზეთი «ვოლნა» ეწეოდა ყველა ეროვნების მშრომელთა ერთიანი ფრონტის იდეის პროპაგანდას, ამჟიდროებდა რევოლუციურ ძალებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და ამხელდა ქართველ მენშევიკებს, დაშნაკებსა და მუსავატელებს, როგორც უცხოელი ინტერვენტებისა` და რუსი თეთრგვარდიელების მოკავშირეებს.

გაზეთ «ვოლნას» პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში რედაქცია წერდა: «ვოლნამ» მიზნად დაისახა იყოს ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციური ნაწილის ნამდვილი აზრისა და განწყობილების უტყუარი გამომხატველი».

1919 წელს რკპ (ბ) თბილისის კომიტეტის საქმიანობის წარმატებით განვითარებასთან ერთად, მიმდინარეობდა პარტიული კომუნისტური ორგანიზაციების შემდგომი ზრდა და განმტკიცება საქართველოს ცალკეულ რაიონებში.

კომუნისტურმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა ჩაატარა ფოთში, რომელიც ორგანიზაციულად რკპ (ბ) ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს ემორჩილებოდა. 1919 წლის შემოდგომისათვის ფოთში უკვე არსებობდნენ კომპარტიის უჯრედები რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მუშებში, ელექტრონის სადგურში, მეთევზეებში, ქალაქის თვითმმართველობის და ფოსტა-ტელეგრაფის მუშებსა და მოსამსახურეებში. 1919 წლის აგვისტოს ფოთში გაიმართა არალეგალური პარტიული კონფერენცია, რომელმაც აირჩია ახალი პარტიული კომიტეტი.

იმავე დროს მოწვეულ პროფკავშირთა საარჩევნო კრებებზე გამგეობათა უმრავლესობის ახალ შემადგენლობაში კომუნისტები გავიდნენ. ამიტომ კომუნისტურმა ორგანიზაციამ შეძლო თავისი წარმომადგენლები გაეყვანა პროფკავშირთა ფოთის საბჭოში.

პარტიული მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდა გარნიზონის ჯარისკაცებს შორისაც. ზოგიერთ სამხედრო ნაწილში შეიქმნა უჯრედები. ფოთში მყოფი მე-3 პოლკის ჯარისკაცები მზად იყვნენ კომუნისტების მოწოდებით გამოსულიყვნენ მენშევიკების ხელისუფლებისა და უცხოელი იმპერიალისტების უღლის წინააღმდეგ.

კომუნისტები წარმატებით ეწეოდნენ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას მეზღვაურებში და მათ შეძლეს მოეწყოთ ნავთის გადაზიდვა ფოთის ნავსადგურით საბჭოთა რუსეთში.

ფოთის კომუნისტური ორგანიზაცია რკპ (ბ) ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ხელმძღვანელობით გაცხოველებით ემზადებოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის: გამოყოფილი იყო სპეციალური სამხედრო ორგანიზაცია, იძენდნენ იარაღს, გამომუშავებული იყო აჯანყების გეგმა.

ძლიერი კომუნისტური ორგანიზაციები არსებობდნენ საქართველოს ყველა რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელთა მხრით ოკუპაციისა და რეპრესიების ვითარებაში მუშაობის პირობები მძიმე იყო, ბათუმის კომუნისტური ორგანიზაცია განუწყვეტლივ აფართოებდა თავიანთ გავლენას მშრომელთა მასებზე.

კომუნისტები წარმატებით მუშაობდნენ საქართველოს ყველა სასოფლო რაიონში.

ძლიერი კომუნისტური ორგანიზაცია იყო ოზურგეთის მაზრაში და 1919 წლის შუა ზაფხულისათვის აქ თითქმის ყველა დიდ სოფელში შექმნილი იყო პარტიული უჯრედები. კომუნისტი-აგიტატორები აშკარად გამოდიოდნენ გლეხთა მიტინგებზე. მიუხედავად რეპრესიებისა და შეიარაღებული წინააღმდეგობისა ხელისუფლების ორგანოების მხრით, კომუნისტებმა მოახერხეს გლეხთა მასობრივი გამოსვლების მოწყობა 1 მაისს, პროლეტარული დღესასწაულის დღეს. ამ დღეს მიტინგებსა და მანიფესტაციებზე გლეხები აყენებდნენ კომუნისტურ ლოზუნგებს, მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას და საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენას.

1919 წლის ზაფხულს ოზურგეთის მაზრაში გაიმართა პარტიული თათბირი, რომელმაც განიხილა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების საკითხი. აჯანყების მოსამზადებლად გამოიყო სამხედრო შტაბი. პარტიული ორგანიზაციის მთელი მუშაობა გარდაიქმნა.

აღრიცხვაზე აიყვანეს ყოფილი ჯარისკაცები, იძენდნენ იარაღს, მუშაობას ეწეოდნენ ჯარის ნაწილებში, რომლებიც მაზრაში იყვნენ განლაგებულნი.

ს. მ. კიროვი, რომელიც მეთაურობდა ასტრახანის გმირულ თავდაცვას 1919 წელს, უზრუნველყოფდა «კავშირს, დახმარებასა და ხელმძღვანელობას ბაქოსა, ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში არალეგალურად მომუშავე კომუნისტებისადმი და აგრეთვე დაღესტნისა და თერგის წითელ პარტიზანთა რაზმებისადმი, რომლებიც დენიკინის ზურგში იმყოფებოდნენ» *.

მიიღო თუ არა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამიერკავკასიასა და საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ს. მ. კიროვმა დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს 1919 წ. 3 ივნისს და აცნობა:

«... საქართველოში... პარტია არალეგალურად მუშაობს, ბევრი ამხანაგი საპყრობილეებშია, მაგრამ პარტიის რიგებში ოთხი ათასამდე მუშა და გლეხია, და ხალხის მასებში სწრაფად იზრდება თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი».

1919 წ. საქართველოში ფართოდ გაჩაღა მუშაობა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ახალგაზრდობის კავშირმა — «სპარტაკმა». რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით 1919 წ. 31 მარტს თბილისში გაიმართა ორგანიზაცია «სპარტაკის» კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება: სოციალისტ-ინტერნაციონალისტების ახალგაზრდობის ორგანიზაციას გამოეცვალოს სახელი და მას ეწოდოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი.

1919 წ. 22 სექტემბერს ბაქოში მოიწვიეს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის ორგანიზაციების პირველი ყრილობა. ამ ყრილობაზე აირჩიეს ამიერკავკასიის კომიტეტი და გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება ახალგაზრდობის ყველა კომუნისტური კავშირის შეერთების შესახებ.

თბილისში ბევრი აქტიური კომკავშირელი გაიგზავნა საპასუხისმგებლო სამხედრო-პოლიტიკურ მუშაობაზე. ისინი იგებდნენ სამხედრო ნაწილების, საარტილერიო ბაზების

---

* იხ. ს. მ. კ ი რ ო ვ ი, რჩეული სტატიები და სიტყვები 1912—1934 წ. წ., სახ. პოლიტგამომცემლობა, 1939 წ., გვ. 42.

განლაგების ადგილებს, ადგენდნენ მათი ადგილმდებარეობის გეგმებს, ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

1919 წ. გაზაფხულზე მენშევიკურმა მთავრობამ გამოსცა ახალი კანონი პროფესიული კავშირების შესახებ. ამ კანონით პროფესიული კავშირები უნდა ყოფილიყვნენ «ნეიტრალური ორგანიზაციები» და არ უნდა წაეყენებიათ მეწარმეებისა და დაწესებულებებისათვის არავითარი მოთხოვნები მანამ, სანამ ეს მოთხოვნები განხილული და მოწონებული არ იქნებოდა პროფკავშირთა საბჭოს მიერ. მიუხედავად ამისა მთელ საქართველოში გაჩაღდა საგაფიცვო ბრძოლა კომუნისტების ხელმძღვანელობით. 1919 წელს აქ არ იყო არც ერთი კატეგორიის მუშა, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღოს გაფიცვებში, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ საგაფიცვო მოძრაობა. ყველაზე დიდი გამოსვლა, რომელმაც მთლიანად გამოააშკარავა მენშევიკების გამცემლური პოლიტიკა მშრომელი მასების მიმართ—ეს იყო თბილისის ქალაქის გამგეობის მუშათა და მოსამსახურეთა გაფიცვა 1919 წ. გაზაფხულზე.

თბილისის საქალაქო მეურნეობა, რომელსაც მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ, სრულიად დაეცა. ქალაქის გამგეობის დეფიციტი 1918 წ. 26 მილიონ მანეთს უდრიდა.

თავისი პოლიტიკის ერთგული მენშევიკები უარს ამბობდნენ ისეთ ღონისძიებათა განხორციელებაზე, რომლებიც ბურჟუაზიის ინტერესებს ზიანს აყენებდა. ფინანსური კრიზისის მთელი სიმძიმე მათ მუშებსა და მოსამსახურეებზე გადაჰქონდათ.

მუშათა და მოსამსახურეთა საარსებო დონემ მკვეთრად დაიწია, მენშევიკები კი დაჟინებით მოითხოვდნენ იძულებული გაეხადათ მუშები ზედმეტი საათები ემუშავნათ და გაედიდებინათ შრომის ნაყოფიერება. ხელფასი გასაოცრად მცირე იყო. მიუხედავად ამისა გამგეობა თვეების განმავლობაში არ აძლევდა მუშა-მოსამსახურეებს ხელფასს.

1919 წ. იანვარში კავშირის ცალკეულმა სექტორებმა კატეგორიულად მოსთხოვეს ქალაქის გამგეობის მუშათა და

მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს მიეღო ზომები დაკავებული ხელფასის გასაცემად. ზოგიერთი სექცია გაფიცვის გამოცხადებას მოითხოვდა. კავშირში არსებული ცნობებით, ქრონიკული შიმშილობის ნიადაგზე მუშებსა .და მოსამსახურეებს შორის მკვეთრად გაიზარდა ავადმყოფობა და სიკვდილიანობა.

მაგრამ ქალაქის გამგეობა არავითარ პრაქტიკულ ნაბიჯს არ დგამდა მუშათა კანონიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. კიდევაც მეტი. მან უარი თქვა განეხილა კავშირის მიერ წარმოდგენილი კოლექტიური ხელშეკრულება და გამოვიდა საარბიტრაჟო კომისიის შექმნის წინააღმდეგ. ამ კომისიას უნდა მოეწესრიგებინა ურთიერთობა კავშირსა და გამგეობას შორის მანამ, სანამ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე მოაწერდნენ ხელს. ასეთ პირობებში მუშათა და მოსამსახურეთა გაფიცვა გარდუვალი იყო. ქალაქის გამგეობის მუშათა და მოსამსახურეთა მძიმე მდგომარეობაზე საგაფიცვო კომიტეტი თავის 1919 წ. 27 მარტის მიმართვაში შემდეგს წერდა:

«ჩვენი მშიერი დედების, ცოლებისა და ბავშვების ოხვრა-კვნესა გვაიძულებს, გაჭირვებულო და შიმშილით დატანჯულთ, ფიზიკური ძალ-ღონის უქონლობის გამო მივატოვოთ სამუშაო. უკვე მეორე წელია, რაც ჩვენ სამ-სამი თვეობით არ ვღებულობთ ისედაც საარსებოდ არასაკმაო ჯამაგირს.

ქალაქის გამგეობას არ სურს შეაწუხოს მქონებელი კლასები. ის მთელ ქალაქში ყველაზე მდიდარ ბანკირებად, როგორც ჩანს, ქალაქის მუშებს სთვლის (რომლებიც თვიურად ღებულობენ 250—600 მანეთს, როცა მანეთის მყიდველობითი უნარი 1 კაპ. უდრის). მუშებისაგან ის ღებულობს იძულებით სესხს 3 თვის ხელფასის რაოდენობით...

ყველგან შეხვდებით გაფითრებულ, დასუსტებულ, მშიერ მოსამსახურეებს, რომელნიც გროშებს თხოულობენ ნახევარი გირვანქა მჭადის საყიდლად.

23 თებერვალს, მუშაობის დროს, მოსამსახურეს გული შეუწუხდა. როცა მას ქაფური შეუშხაპუნეს და გრძნობაზე მოიყვანეს, მან, შიმშილობით განაწამებმა, გაფითრებულმა

და ღონემიხდილმა, ძლივს წარმოთქვა: «ცოტა რამ საჭმელი მაინც მომეცით, მეოთხე დღეა არაფერი მიჭამია».

თვით ინჟინრებიც კი აღიარებდნენ თავიანთ ოფიციალურ მოხსენებებში, მუშები ყოველდღე ათობით ეცემიან შიმშილისაგანო. რამდენიმე თვის განმავლობაში 64 მოსამსახურისაგან ერთ დაწესებულებაში 13კაცი დაიღუპა ხოლერითა და ტიფით. დაღუპული ამხანაგების გვამები რამდენიმე დღის განმავლობაში უპატრონოდ ეყარა, შემდეგ მათ უკუბოოდ, ტიტვლებს მარხავდნენ...

კოლექტიური ხელშეკრულება და საარბიტრო კომისია, რომლებიც მუშათა კლასის ასეთ ძვირფას მონაპოვარს წარმოადგენდნენ, ჩვენთვის დღემდე განუხორციელებელ ოცნებად რჩება» *.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ და შრომის სამინისტრომ უკიდურესად უარყოფითი პოზიცია დაიკავეს მომზადების პროცესში მყოფი გაფიცვის მიმართ, რათა იგი არ დაეშვათ. ხოლო როდესაც გაფიცვა მაინც დაიწყო, მათ სხვადასხვა მაქინაციას მიმართეს მის ჩასაშლელად. პროფკავშირთა საბჭო და შრომის სამინისტრო სიტყვით სცნობდნენ მუშების და მოსამსახურეების მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, მაგრამ მიუხედავად ამისა «გაფიცვას მიზანშეუწონლად და დაუშვებლად სთვლიდნენ დემოკრატიული გამგეობის მიმართ».

გამგეობის მოსამსახურეებისა და მუშების დელეგატთა კრების გადაწყვეტილება გაფიცვის შესახებ პროფკავშირთა საბჭომ შეაფასა როგორც «დეზორგანიზატორული გამოსვლა» და კავშირს წესრიგისაკენ მოუწოდა.

გაფიცვის მომზადებასა და მის განხორციელებას ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მეთაურობით მოქმედი არალეგალური «მუშათა ცენტრი».

კომუნისტების ხელმძღვანელობის წყალობით ეს გაფიცვა, რომელმაც ქალაქის საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა მოიცვა, დიდ პოლიტიკურ მოძრაობად გადაიზარდა.

---

* «იზვესტია სტაჩკომა» № 1, 1919 წ. 27 მარტის თარიღით.

პროფკავშირთა საბჭოს მოთხოვნით 1919 წლის 23 მარტს დაინიშნა მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზეც მენშევიკები იმედოვნებდნენ იძულებული გაეხადათ მასები უარი ეთქვათ გაფიცვაზე, მაგრამ ვერ მიიმხრეს არამცთუ კრების მონაწილე მუშები, არამედ მოსამსახურეებიც კი. მენშევიკებს ვერც იმან უშველა, რომ გაფიცულებს დაემუქრნენ — რეპრესიებს მივმართავთო.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კომუნისტი. კომუნისტები თავიანთ გამოსვლებში მკაცრად ამხელდნენ მენშევიკების გამცემლურ, კონტრრევოლუციურ პოლიტიკას. კრება კომუნისტებს მქუხარე ტაშით ხვდებოდა. ერთ-ერთმა კომუნისტმა ორატორმა მოითხოვა ქალაქის მეურნეობის მუშების ხელში გადაცემა.

«ქალაქის მუშები და მოსამსახურეები, — ამბობდა იგი,— თბილისის დანარჩენ მუშებთან ერთად შეძლებენ სახელმწიფოს მოწყობის საკითხი საბჭოთა რუსეთის მაგალითისამებრ გადაჭრანო».

გაფიცვა დაიწყო 24 მარტს. საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კომუნისტი.

გაფიცვის ლიკვიდაციისათვის მენშევიკებმა მთელი თავიანთი სახელმწიფოებრივ-პოლიციური აპარატი, თავიანთი პროფკავშირული ორგანოები და პრესა გამოიყენეს.

25 მარტს ქალაქის გამგეობამ გამოიტანა გადაწყვეტილება:

«1) წინადადება მიეცეს გაფიცულთ შეუდგნენ მოვალეობის ასრულებას 27 მარტს, 9 საათიდან; 2) ვინც ამ დროისათვის არ გამოცხადდება, ჩაითვალოს როგორც თვითნებურად წასული; 3) საავადმყოფოებისა და ბარაკების მოსამსახურენი, რომელნიც აღნიშნული დროისათვის მუშაობას არ შეუდგებიან, მიცემულ იქნან პასუხისგებაში».

საქართველოს პროფკავშირთა მენშევიკური საბჭო ცდილობდა ყოველგვარი საშუალებით ჩაეშალა გაფიცვა შიგნიდან და დაეჩქარებინა გაფიცულთა დამარცხება. პროფკავშირთა საბჭოს სამდივნომ სამუშაოზე გაგზავნა შტრაიკბრეხერები, 27 მარტს კი გამოიტანა გადაწყვეტილება:

«მიღებულ იქნას ცნობად ქალაქის გაუფიცავ მუშა-მოსამსახურეთა განცხადება ახალი კავშირისა და მისი ორგანოების მოწყობის შესახებ, რაც ქალაქის მოსამსახურეთა შორის შექმნილი მდგომარეობის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს».

გაფიცულთა წინააღმდეგ დაიწყო რეპრესიები. დააპატიმრეს საგაფიცვო კომიტეტის წევრები და ბევრი კომუნისტი, თანაც მენშევიკები იმუქრებოდნენ — დენიკინს გადაცემთ დაპატიმრებულთო. მაგრამ ამ ზომებმაც ვერ გასტეხა გაფიცულნი. გაფიცვა ფართოვდებოდა, მას უთანაგრძნობდა და აქტიურად მხარს უჭერდა საქართველოს პროლეტარიატი.

კომუნისტურმა არალეგალურმა «მუშათა ცენტრმა» პროფკავშირებში არსებული თავისი ფრაქციების საშუალებით მოაწყო საპროტესტო მიტინგი მენშევიკური მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ.

კომუნისტებმა მოაწყეს გაფიცულებისადმი მატერიალური და მორალური დახმარების კამპანია. დახმარებისადმი მოწოდებას გამოეხმაურნენ მელითონეთა, მეტყავეთა, ელექტრიკოსთა, მბეჭდავთა, მკერავთა, საეაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა, მღებავთა, სცენის მუშაკთა სხვ. კავშირები. ხოშტარიას თუჯსასხმელი და მექანიკური ქარხნის მუშათა კრება თავის რეზოლუციას ასე ამთავრებდა:

«მოვუწოდებთ ყველა პროლეტარულ და პროფესიულ კავშირს — შეამჭიდროონ თავიანთი რიგები და პროლეტარიატის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით მხარი დაუჭირონ გაფიცულ ამხანაგებს; თავის მხრივ პროტესტს ვუცხადებთ პროფესიულ კავშირთა საბჭოს, რომელიც გაფიცვის წინააღმდეგ წავიდა, რითაც ქალაქის თვითმმართველობის დანარჩენ საწარმოებში არევ-დარევა შეიტანა და კლასობრივ ბრძოლას უღალატა»*.

მბეჭდავთა კავშირი თავის რეზოლუციაში გამოთქვამდა მკაცრ პროტესტს პროფკავშირთა საბჭოს პოზიციისა და პროფმოძრაობის მუშაკთა დაპატიმრების წინააღმდეგ. მბეჭდავებმა დაადგინეს მოეწყოთ საწარმოებში ფულის შეგრო-

* პროფმოძრაობის არქივი, ფ. 3, ს. 287.

ვება გაფიცულთა სასარგებლოდ, ხოლო თუ გაფიცვა გაგრძელდებოდა, გარკვეული თანხა გაეღოთ ხოლმე ხელფასიდან. თბილისის მუშები ერთსულოვნად მოითხოვდნენ მთავრობისაგან დაუყოვნებლივ შეეწყვიტა რეპრესიები საგაფიცვო ბრძოლის წინააღმდეგ. მაგალითად, მეტყველებმა შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს:

«გაფიცვის დროს ამხანაგების დაპატიმრება ჩაითვალოს ანტიდემოკრატიულ მოვლენად, რომელიც არღვევს მუშათა კლასის ძირითად უფლებებს, და მთავრობის მხრივ გაფიცვათა თავისუფლების ხელყოფად... პროტესტს ვაცხადებთ, — ნათქვამი იყო შემდეგ რეზოლუციაში, — დაპატიმრების წინააღმდეგ და მოვითხოვთ აღდგენილ იქნას რევოლუციური პროლეტარიატის უფლებები: გაფიცვების, პრესის, კრებებისა და სხვ. თავისუფლება. განსაკუთრებით მოვითხოვთ დაპატიმრებულ ამხანაგთა განთავისუფლებას» *.

თბილისის ქალაქის გამგეობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვას აქტიურად უჭერდნენ მხარს მთელი ამიერკავკასიის პროლეტარები და პირველ რიგში ბაქოს მუშები. ბაქოდან თბილისში დელეგატებად გამოგზავნილი მუშები გამოვიდნენ გაფიცულთა სადელეგატო კრებაზე და მატერიალურ და მორალურ დახმარებას შეპირდნენ მათ. საგაფიცვო კომიტეტმა ბაქოს პროლეტარიატისათვის ბრძოლის მსვლელობაზე სწორი ინფორმაციის მისაწოდებლად ბაქოში დელეგატებად გაგზავნა თავისი წარმომადგენლები, კომუნისტური ორგანიზაციის წევრები. ამ ამხანაგების მოხსენების გამო მუშათა კონფერენციის პლენუმმა, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

«მოისმინა რა ამხანაგების მოხსენება თბილისში გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ, ბაქოს კონფერენცია აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის მოქმედება, რაც გაფიცვის ჩაშლითა და გაფიცულ ამხანაგთა წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღებით გამოიხატა, ისეთი აქტია, რომელიც მუშათა ერთ ნაწილს მეორის წინააღმდეგ ამხედრებს.

* «სოციალ-დემოკრატი» № 67, 1919 წ.

საქართველოს მთავრობისა და თბილისის პროფესიულ კავშირთა საბჭოს ამგვარი პოლიტიკა იწვევს პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით შეცვლას, ასუსტებს პროლეტარიატის აქტიურობას და ხელსაყრელი ხდება მუშათა კლასის მტრებისა და კონტრრევოლუციისათვის. მიესალმება რა თბილისელ ამხანაგებს, რომლებიც თავიანთი საშართლიანი მოთხოვნებისათვის იბრძვიან, და სასტიკად ჰკიცხავს რა თბილისის მთავრობის მოქმედებას, კონფერენცია მოუწოდებს საქართველოს პროლეტარიატს მთელი ამიერკავკასიისა და რუსეთის პროლეტარიატთან გაერთიანდეს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საერთო ძალით საბრძოლველად და სოციალისტური წყობილების დასამყარებლად» *.

გაფიცულთა შეუპოვარმა ბრძოლამ აიძულა ქალაქის გამგეობა დაეკმაყოფილებინა საგაფიცვო კომიტეტის ეკონომიური მოთხოვნები, მაგრამ ქალაქის გამგეობამ უარი განაცხადა კოლექტიურად დაებრუნებია სამუშაოზე ყველა გაფიცული.

1919 წლის 5 აპრილს საგაფიცვო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს კოლექტიურად მიეტოვებინათ სამსახური ქალაქის თვითმმართველობაში. ამ დადგენილების საფუძველზე მარტო ქალაქის გამგეობაში მუშაობას თავი დაანება დაახლოებით ათასმა კაცმა. შემდეგ მათ მოაწყეს კომისია სამუშაოს მოსაძებნად და უმუშევრებისათვის დახმარების გასაწევად.

1919 წლის საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც კომუნისტური ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობით ვითარდებოდა, საკმაო დამაჯერებლობით მოწმობდა იმას, რომ მშრომელთა ძირითადი მასები ჩამოშორდნენ მენშევიკებს.

* * *

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაცემა და ბაქოს 26 კომისრის დაღუპვა მეტად სამძიმო იყო არა მარტო აზერბაი-

---

* საქ. სსრ ცსსა, ა. ზურაბოვის საქაღალდე.

ჯანის, არამედ მთელი კავკასიის მშრომელებისთვის. მაგრამ მიუხედავად დიდი ზიანისა და არალეგალური მუშაობის სასტიკი პირობებისა, ბაქოს კომუნისტური ორგანიზაცია ა. ი. მიქოიანის ხელმძღვანელობით ანმტკიცებს თავის რიგებს და სათავეში უდგება მუშათა და გლეხთა ბრძოლას კონტრრევოლუციური მუსავატური მთავრობისა და ინტერვენტების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

ბაქოს კომუნისტები სახელმძღვანელო მითითებებსა და დახმარებას იღებდნენ გ. კ. ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვისაგან.

1919 წ. 20 მარტს ბაქოს პროლეტარიატმა ინგლისელი ჯალათების მიერ 26 ბოლშევიკ-კომისრის დახვრეტის დღიდან ნახევარი წლისთავის აღსანიშნავად ერთდღიანი პოლიტიკური გაფიცვა მოაწყო. 26 კომისრის ხსოვნისადმი მიძღვნილ მუშათა კონფერენციაზე გამოვიდა ამხ. მიქოიანი. კონფერენციამ ბაქოს პროლეტარიატს მიმართა მოწოდებით, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდება:

«დავდოთ, ამხანაგებო, წმინდა ფიცი, ისევ თავდადებულად, ერთგულად განვაგრძოთ ბრძოლა იმ ეკლიან გზაზე, რომელზედაც გმირულად დაეცნენ ჩვენი ბელადები და ამხანაგები.

სამარადისო ხსოვნა დაღუპულ მებრძოლთ».

1919 წლის თებერვლის დამლევსა და მარტის დამდეგს, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ პირველად, გაიმართა არალეგალური საერთო-საქალაქო პარტიული კონ ფერენცია, რომელმაც აირჩია რკპ(ბ) ბაქოს ახალი კომიტეტი. ამ დროიდან იწყება აზერბაიჯანში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის უშუალო მომზადების პერიოდი. კომუნისტების ხელმძღვანელობით მშრომელი გლეხების ბრძოლამ შინაური კონტრრევოლუციის და უცხოელთა ინტერვენციის წინააღმდეგ განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიიღო აზერბაიჯანში 1919 წლის ზაფხულიდან.

ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციის დროებითი გამარჯვებისა და 1919 წლის გაზაფხულზე თეთრების მიერ ვლადიკავკაზის ხელში ჩაგდების შემდეგ წარმოიშვა უშუალო საფრთხე გენერალ დენიკინის შემოჭრისა ამიერკავკასიაში.

ბაქოს და მთელი ამიერკავკასიის კომუნისტების წინაშე ახალ პირობებში იდგა ქვეყნის შიგნით კონტრრევოლუციასთან ბრძოლისა და დენიკინისათვის წინააღმდეგობის გაწევის მოწყობის ამოცანა. კომუნისტური ორგანიზაცია კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში აერთიანებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატის მთელ ძალებს.

მთელი ძალების გაერთიანების კომუნისტურ ტაქტიკას უდიდესი აღფრთოვანებით ჩასჭიდა ხელი პროლეტარიატმა. ამ ტაქტიკამ ფართო გამოხმაურება და რევოლუციური აღმავლობა გამოიწვია ამიერკავკასიისა და საქართველოს ყველა მშრომელში. მიუხედავად მენშევიკების წინააღმდეგობისა, თბილისის ყველა საწარმოში ერთსულოვნად იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებიც იწონებდნენ რევოლუციურ ომს დენიკინის წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, თუჯსასხმელი ქარხნის მუშებმა დაადგინეს:

«მოეთხოვოს საქართველოს მთავრობას დაუყოვნებლივ გამოუცხადოს ომი მეფის გენერალ დენიკინის ბანდას და მის ხელისშემწყობთ, ვიდრე ისინი საბოლოოდ არ იქნებიან განადგურებულნი პროლეტარული რევოლუციის გასამარჯვებლად; მოეთხოვოს აგრეთვე, შეწყვიტოს ყოველგვარი მოლაპარაკება დენიკინის წარმომადგენლებთან, რადგან ყოველგვარი დაყოვნება აძლიერებს კონტრრევოლუციონერებს როგორც ფრონტზე, ისე აქაც, ზურგში» *.

მუშები თავიანთ რეზოლუციებში მოითხოვდნენ ერთიანი მუშურ-გლეხური ფრონტის შექმნას, კომუნისტური ორგანიზაციების ლეგალიზაციას, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადარჩევას, როგორც ერთადერთი კლასობრივი ორგანოსი, რომელსაც უნარი შესწევს «შეამჭიდროვოს თავის გარშემო მთელი რევოლუციური დემოკრატია»... და «კონკრეტული ზომები მიიღოს ამიერკავკასიის მთელი პროლეტარიატის გასაერთიანებლად» *.

---

* «ვოლნა» № 3, 1919 წ.

კომუნისტების მოწოდებას დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლისადმი, ფართოდ გამოეხმაურნენ ქუთაისის, ფოთის, ბათუმისა და სუხუმის მუშათა ორგანიზაციებიც.

ფოთის გარნიზონმა მიიღო საბრძოლო რეზოლუცია, რომელიც თავდებოდა სიტყვებით:

«ჩვენ, ფოთის გარნიზონის ჯარისკაცები, ჩვენის მხრივ ფიცსი ვდებთ გამოვიდეთ ფრონტზე, როგორც ერთი კაცი და... შეუპოვრად ვიბრძოლოთ კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ, ვიდრე მათ სრულიად არ გავანადგურებთ *.

საქართველოს კომუნისტები ფართო კამპანიას ატარებდნენ შეტევაზე გადმოსული კონტრრევოლუციისადმი წინააღმდეგობის მოსაწყობად და იმავე დროს მებრძოლ რაზმებს ადგენდნენ და დენიკინის ზურგში გზავნიდნენ საბრძოლო მოქმედებისათვის.

1919 წლის აპრილში ბაქოს პროლეტარიატის ინიციატივით დასახული იყო პროფესიულ კავშირთა ამიერკავკასიის ყრილობის მოწვევა ჩრდილოეთ კავკასიის, დაღისტნისა და იმიერკასპიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მენშევიკებმა მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ ყრილობაზე უმრავლესობა ექნებოდათ ბაქოს პროლეტარიატის წარმომადგენლებს და რომ ყრილობა კომუნისტური იქნებოდა და აშიტომ გადაჭრით უარი თქვეს მის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე. ყრილობა გაიმართა 7 აპრილს ბაქოში. ყრილობამ ძირითად ამოცანად დაისახა მხარეში ერთიანი პროლეტარული ფრონტის აღდგენა და საბრძოლო ღონისძიებათა გამომუშავება როგორც შინაური, ისე გარეშე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

მიუხედავად საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსა და მენშევიკური მთავრობის დიდი წინააღმდეგობისა, მელითონეთა და მეტყავეთა პროფესიულმა კავშირებმა, თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მუშა-მოსამსახურეთა კავშირმა

---

* «ვოლნა» № 3, 1919 წ.

და მთელმა რიგმა სხვა კავშირებმა გადაწყვიტეს გაეგზავნათ ყრილობაზე თავიანთი დელეგაციები. დელეგატებად არჩეულ იქნენ კომუნისტები.

ამიერკავკასიაში ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა რომ არ დაეშვათ და მუშებს შორის რევოლუციურ გავლენასთან ბრძოლა განეგრძოთ, მენშევიკებმა, ბაქოს ყრილობის დასაპირისპირებლად, 11 აპრილს თბილისში მოიწვიეს საქართველოს პროფკავშირთა დამოუკიდებელი ყრილობა. მაშინ ბაქოელებმა იმდენი იღონეს, რომ მენშევიკურ ყრილობაზე დაშვებულ იქნა ბაქოს დელეგაცია ხუთი კაცის შემადგენლობით; დელეგაციის მეთაური იყო ამხ. მიქოიანი.

ყრილობაზე ამხ. მიქოიანი საქართველოს პროლეტარიატს მოუწოდებდა გამოენახათ გზები მუშათა კლასის გაერთიანებისათვის ამიერკავკასიაში.

«ბაქოს პროლეტარიატი, — ამბობდა ამხ. მიქოიანი, — ყოველგვარი საშუალებით მიისწრაფვის ასეთი გაერთიანებისაკენ, და თუ ის მოითხოვდა ყრილობის მოწვევას ბაქოში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დღევანდელ მომენტში შეუძლებლად მიაჩნდა უხელმძღვანელოდ დაეტოვებინა ბაქოს მუშათა კლასი.

ბაქოს პროლეტარიატი და ბურჟუაზია წარმოადგენს ორ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ და საომრად დარაზმულ ბანაკს, რომლებიც ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ერთმანეთს და მზად არიან გამოსასვლელად ხელსაყრელ მომენტში... მუშათა კლასის ხელმძღვანელთა იქ არყოფნას შეუძლია გამოიწვიოს ინგლისის სარდლობის გამოსვლა და ამ უკანასკნელის გამარჯვება... მიუხედავად ყველა ამ მოსაზრებისა, ბაქოელები, მუშათა კლასის გაერთიანებით დაინტერესებულნი, მაინც ჩამოვიდნენ თბილისში, პრინციპული უთანხმოებანი რომ არ ჩამოვარდნილიყო დღის წესრიგის საკითხში. ბაქოს პროლეტარიატი ფიქრობს, რომ ამჟამად ლაპარაკიც კი ზედმეტია პროფესიულ საკითხებზე, სანამ პოლიტიკური საკითხი არ იქნება გადაჭრილი. ამიტომ არ მიაჩნდა მას შესაძლებლად უარი ეთქვა იმაზე, რომ

დღის წესრიგში შეტანილ იქნას პოლიტიკური მომენტის საკითხი»* .

მაგრამ მენშევიკებს გაგონებაც კი არ სურდათ პროლეტარულ სოლიდარობაზე და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაზე, და ბაქოს მუშების დელეგაცია საქართველოს საზღვრებიდან გააძევეს.

ბაქოს მუშათა კონფერენციამ, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, წინადადებით მიმართა თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს—ივნისის 20 რიცხვებში მოეწვიათ თბილისში ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობა ყველა მუშათა ორგანიზაციისა და რევოლუციური გლეხების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ყრილობის დღის წესრიგში უნდა ყოფილიყო დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. იმისათვის, რომ ამიერკავკასიის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა დაერაზმათ და შეემჭიდროებინათ რევოლუციური ბრძოლისათვის და დაეკავშირებინათ გმირულ წითელ არმიასთან, კომუნისტებმა დააყენეს ავტორიტეტული სამხარეო ცენტრის შექმნის აუცილებლობის საკითხი.

«მხოლოდ ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ომს, გაბედულად და უყოყმანოდ გამოცხადებულს, შეუძლია აღგაოს დედამიწის პირიდან დენიკინის საფრთხე. ეს იქნება ჩვენი მუშებისა და გლეხების ისტორიული დამსახურება წითელი დროშისათვის მებრძოლი პროლეტარიატის წინაშე»**, — წერდა კომუნისტური გაზეთი «ვოლნა».

საქართველოს მშრომელთა მოსატყუებლად მენშევიკებმა პირველად ფორმალურად მიიღეს ბაქოს პროლეტარიატის წინადადება ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის მოწვევის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მოხდა შეთანხმება ბაქოს «მუშათა კონფერენციის» პრეზიდიუმისა და მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შორის.

---

* «საქართველოს პროფესიულ კავშირთა» 1919 წლის ყრილობის ოქმები», თბილისი, 1919 წ., გვ. 14, 15.

** «ვოლნა» № 1, 1919 წ.

შედგა ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომისია. ბაქოს «მუშათა კონფერენციიდან» ამ კომისიაში შეეიდნენ ამხ. მიქოიანი და სხვები.

მაგრამ სულ მალე მენშევიკების ფანდები გამოაშკარავდა და ყველამ ნათლად გაიგო, რომ ისინი არც კი ფიქრობდნენ ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ. თბილისის საბჭომ, რომელსაც უკვე დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი გავლენა მუშათა მასებში, 1919 წლის 26 ივნისს მიიღო საბჭოების ამიერკავკასიის ყრილობის მოწვევისა და გაერთიანებული ფრონტის შექმნის საწინააღმდეგო რეზოლუცია.

თბილისში ჩამოსულ ბაქოს პროლეტარიატის დელეგაციას ამხ. ა. მიქოიანის მეთაურობით თბილისის მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ. ბაქოს მუშების წარმომადგენლებმა მთელი შეუპოვრობითა და პირდაპირობით ამხილეს მენშევიკები, როგორც მუშათა კლასის მოსისხლე მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის ჩაშლის ნამდვილი გამომწვევნი.

თბილისის საბჭოს რეზოლუცია სრულიად არ გამოხატავდა საქართველოს მუშათა მასების ნამდვილ განწყობილებას. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მეორე დღეს, 27 ივნისს, თბილისის კომუნისტებმა მოახერხეს მოეწვიათ მუშათა მრავალრიცხოვანი მიტინგი ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში. მიტინგმა მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

29 ივნისს მუშა-მეტყველებმა თავიანთ კრებაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც გმობდა მენშევიკურ მთავრობასა და მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭოს, რომლებიც «დენიკინთან აშკარა შეთანხმებისა და ინგლისის გენერლების მომსახურების გზას დაადგნენ». მეტყველები მოითხოვდნენ თბილისის საბჭოს გადარჩევას. მათ მისალმებით მიმართეს ბაქოს პროლეტარიატს და აღუთქვეს მას «სრული დახმარება მთელი ამიერკავკასიის მუშების გაერთიანებისა და მუშათა ყრილობის მოწვევის საქმეში».

თავიანთი გამცემლური ტაქტიკის ერთგული მენშევიკები რუსეთის კონტრრევოლუციასთან, დენიკინის ბანდებთან და ინტერვენტებთან შეთანხმების პოლიტიკას განაგრძობდნენ. ერთიანი ფრონტის მოძრაობა რომ ჩაეხშოთ და თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით ემოქმედნათ, მათ კიდევ უფრო მეტად გააძლიერეს ტერორი ქვეყნის შიგნით. ისინი მასობრივად აპატიმრებდნენ კომუნისტებს, არბევდნენ პროლეტარიატის რევოლუციურ ორგანიზაციებს. საპყრობილეები ველარ იტევდა დაპატიმრებულ კომუნისტებს.

კომუნისტური ორგანიზაცია, რომელმაც თითქოს ის იყო ლეგალური მუშაობის ოდნავი შესაძლებლობა მიიღო, კანონგარეშე იქნა კვლავ გამოცხადებული. 1 ივლისიდან მენშევიკებმა დახურეს გაზეთი «ვოლნა»[15]. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გაიგო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გაცემული ჰქონდა საიდუმლო განკარგულება — კომუნისტური ორგანიზაციის დაპატიმრებული გამოჩენილი წევრები საპყრობილემდე არ მიეყვანათ და გზაშივე დაეხვრიტათ «გაქცევის ცდის» მომიზეზებით.

«ხედავს რა საქართველოს მთავრობის მოქმედებაში, განსაკუთრებით კი ზემოხსენებულ განკარგულებაში, და აგრეთვე ნ. რამიშვილისა და არსენიძის ოფიციალურ განცხადებებში, როგორც მთავრობის, ისე მენშევიკთა მმართველი პარტიის აშკარა განზრახვას — დაიწყონ თეთრი ტერორი ჩვენი პარტიის წევრთა მიმართ, რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტი აცხადებს, ჩვენი პარტიის წევრთა ყოველგვარ მკვლელობას მთავრობის აგენტების ან მენშევიკთა პარტიის წევრთა მიერ, სადაც და რა ფორმაშიც უნდა მოხდეს იგი, ჩვენ მივიჩნევთ როგორც თეთრ ტერორს, რაც ჩვენი პარტიის თავდაცვის მიზნით ჩვენს სათანადო პასუხს გამოიწვევს» *.

საქართველოს მუშათა კლასისა, გლეხებისა და ჯარისკაცების სულ უფრო და უფრო მეტი მასები დგებოდნენ კო-

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, 1917 — 1921 წლების ბოლშევიკური პროკლამაციების ფონდი.

მუნიზმის დროშის ქვეშ. ისინი თავიანთ იმედებს ამყარებდნენ საბჭოთა რუსეთზე, სადაც ამ დროს მუშები და გლეხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გმირულად იბრძოდნენ საერთაშორისო და შინაური კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ.

1919 წლის ივნისს, თბილისში, სპეციალურად მოწვეულ თათბირზე თვითონ მენშევიკები იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ თბილისის მუშათა მასებში იზრდებოდა კომუნისტური გავლენა. მენშევიკებს შორდებოდნენ უწინარეს ყოვლისა მათ მიერ მოტყუებული მუშები. მენშევიკური პარტიის თბილისის ორგანიზაციაში, სადაც 1918 წელს 10 ათასი წევრი ითვლებოდა, 1919 წლისათვის დაახლოებით 7 ათასილა დარჩა. მენშევიკურ პარტიაში დაეცა დისციპლინა. მთელი ჯგუფები არ ემორჩილებოდნენ პარტიის დირექტივებს.

მენშევიკურ არმიაშიც ძლიერდებოდა უკმაყოფილება. 1918—1919 წლებში აშკარა ურჩობისა და აჯანყების არა ერთი შემთხვევა ყოფილა ქუთაისის, გორის, თელავის, ბაღდადის, ლაგოდეხის, სუხუმის და საქართველოს სხვა ადგილებში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში, როგორც წესი, ჯარისკაცთა ამ აჯანყებებს იარაღით აქრობდნენ. დეზერტირობამ ჯარში მასობრივი ხასიათი მიიღო.

ყველა დიდ სამხედრო ნაწილში მოეწყო არალეგალური კომპარტიის უჯრედები. 1919 წელს რკპ(ბ) თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საგარნიზონო სამხედრო საბჭო, რომელშიც თბილისში განლაგებული ჯარის ყველა ნაწილის წარმომადგენლები შედიოდნენ.

ყველაზე უფრო «საიმედო» სამხედრო ძალა, რომელსაც უმთავრესად ეყრდნობოდნენ მენშევიკები, ეგრეთწოდებული «სახალხო გვარდია» იყო. ის მთელი რიგი პრივილეგიებით სარგებლობდა. სახალხო გვარდიელები უფრო კარგ პირობებში იყვნენ, ვიდრე ჩვეულებრივი ჯარისკაცები, რომლებიც ხშირად შიმშილობდნენ, ჩაუცმელი და ცუდად შეიარაღებული იყვნენ.

მაგრამ რაც უფრო ძლიერდებოდა რევოლუციური მოძრაობა ქვეყანაში და ხშირდებოდა საბრძოლო შეტაკებანი გარეშე ფრონტზე, «სახალხო გვარდიაში» ნებაყოფლობით შემსვლელთა რაოდენობა სულ უფრო მცირდებოდა. მენშევიკები იძულებული იყვნენ ძალით გაეწვიათ «სახალხო გვარდიაში» მენშევიკური პარტიის უჯრედთა წევრები. ურჩობის შემთხვევაში მათ პარტიიდან გარიცხვითა და სამსახურიდან მოხსნით ემუქრებოდნენ. 1920 წ. თბილისში მენშევიკებმა დიდი გაჭირვებით გაიწვიეს სახალხო გვარდიაში რკინიგზის რაიონიდან სულ რაღაც 200 კაცი *.

კომუნისტებმა «სახალხო გვარდიელებს» შორისაც შეძლეს თავიანთი ორგანიზაციების შექმნა და პარტიული მუშაობის მოგვარება.

«სახალხო გვარდიაში» კომუნისტების გავლენა იმდენად გაძლიერდა, რომ თბილისის მენშევიკური კომიტეტი თავის 1919 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებაში იძულებული იყო აღენიშნა: «ზოგიერთი ჩვენი სახალხო გვარდიელი ამხანაგი ბოლშევიკი გახდა», და «თვითონვე ავრცელებენ ბოლშევიკურ მოწოდებებს და საერთოდ ხელს უწყობენ ბოლშევიკების გამოსვლებსო».

კომუნისტურმა ორგანიზაციამ ფართო ზეპირი და ბეჭდვითი აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღა აგრეთვე საოკუპაციო ჯარებშიც.

1919 წლის მეორე ნახევარი—საბჭოთა რუსეთში სამოქალაქო ომის მსვლელობაში გარდატეხის პერიოდი იყო. 1919 წ. ზაფხულზე დენიკინმა ანტანტის კარნახითა და ფართო დახმარებით დაიწყო თავისი ლაშქრობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს იყო ანტანტის მეორე ლაშქრობა, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო საბჭოთა ხელისუფლების უბოროტესი მტერი ინგლისის მთავრობის მინისტრი უინსტონ

---

* საქ. სსრ ცსსა, ფონდი სამხედრო წარმომადგენლისა რსფსრ დიპლომატიურ მისიასთან საქართველოში ს. 5, გვ. 21 — 27.

ჩერჩილი. ის თავხედურად აცხადებდა, რომ მან მოაწყო 14 სახელმწიფოს თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე.

სამხრეთის კონტრრევოლუციის ჯარებმა მოღალატე ტროცკის პირდაპირი ხელშეწყობით, რომელმაც ჩაფუშა მუშაობა სამხრეთის ფრონტზე, ხელთ იგდეს მთელი უკრაინა, აიღეს ორიოლი და დაემუქრნენ ტულასა და მოსკოვს. იარაღის სამჭედლოს — ტულას თეთრგვარდიელთა ჯარებისაგან პირდაპირი დარტყმის საფრთხე მოელოდა.

რკპ(ბ) ცკ-მა მიმართა ყველა პარტიულ ორგანიზაციას წერილით და წამოაყენა ლოზუნგი «ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად». ეს წერილი ლენინის მიერ იყო დაწერილი.

«დადგა სოციალისტური რევოლუციის უაღრესად კრიზისული, შესაძლებელია, ყველაზე კრიზისული მომენტიც კი, — წერდა ლენინი. — ექსპლოატატორების, მემამულეებისა და კაპიტალისტების რუსი და უცხოელი (პირველ რიგში ინგლისელი და ფრანგი) დაჩცველები თავგანწირულად ცდილობენ აღადგინონ ხალხის შრომის მძარცველთა, მემამულეთა და ექსპლოატატორთა ხელისუფლება რუსეთში, რათა განამტკიცონ მთელ მსოფლიოში მათი ძალაუფლება, რომელიც ეცემა...

ყველა კომუნისტს, ყველა შეგნებულ მუშასა და გლეხს, ყველას, ვისაც არ სურს კოლჩაკისა და დენიკინის გამარჯვება, მოეთხოვება დაუყოვნებლივ და უახლოესი თვეების განმავლობაში გამოიჩინოს ენერგიის არაჩვეულებრივი აღმავლობა, მოეთხოვება «რევოლუციურად მუშაობა» *.

საბჭოთა რუსეთისათვის ამ ყველაზე სახიფათო მომენტში, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დენიკინის განადგურების ორგანიზაციისათვის სამხრეთის ფრონტზე გაგზავნა ამხანაგები სტალინი, ორჯონიკიძე და ბუდიონი და ჩამოართვა ტროცკის სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობა სამხრეთში.

ამხანაგი სტალინი სათავეში ჩაუდგა დენიკინის გამანადგურებელი ოპერაციების ხელმძღვანელობას. მან გადაჭრით

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 510, 533.

უარყო სამხრეთის ფრონტის სარდლობისა და ტროცკის მიერ შემუშავებული გეგმა, რომლის თანახმად მთავარი დარტყმა მოწინააღმდეგეზე უნდა განხორციელებულიყო, ისეთი მიმართულებით, სადაც სრულიად არ იყო გზები, ისეთი რაიონებიდან, სადაც ცხოვრობდა თეთრგვარდიელთა გავლენის ქვეშ მყოფი კაზაკთა მოსახლეობა. ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა ოპერაციების თავისი გენიალური გეგმა, რომელსაც საფუძვლად ედო დენიკინზე მთავარი დარტყმის განხორციელება ხარკოვ-დონბას-როსტოვის მიმართულებით. ამ გეგმის განხორციელება უზრუნველყოფდა საბჭოთა ჯარების სწრაფ წინსვლას ხელსაყრელ ვითარებაში, მოსახლეობის—მუშებისა და გლეხების სრული თანაგრძნობისა და მხარდაჭერის პირობებში. ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა და მიიღო ამხანაგ სტალინის გეგმა.

რუსეთის კონტრრევოლუციისათვის მენშევიკური საქართველო წარმოადგენდა ზურგს, საიდანაც დენიკინი იღებდა ყოველგვარ დახმარებას იარაღითა და საჭურველით.

როგორც ლენინი ამბობდა მენშევიკური საქართველო იმ 14 სახელმწიფოთა რიცხვში იყო, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავის შესანიშნავ სტატიაში «ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი» ამხანაგმა სტალინმა თვალნათლივ ცხადყო ეგრეთწოდებულ «დამოუკიდებელ», ბურჟუაზიულ-მეჰამულურ «ნაციონალურ მთავრობათა» მთელი კონტრრევოლუციური დედაარსი, ცხადყო თუ რატომ აღმოჩნდნენ მენშევიკები და ბურჟუაზიული ნაციონალისტები საბჭოთა რუსეთის მოსისხლე მტრები.

«საქმე ის არის, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომ ამ «ნაციონალურ მთავრობებს» სოციალისტური რევოლუციის ხსენებაც კი არ უნდოდათ. ისინი თავისი ბუნებით ბურჟუაზიული იყვნენ და სრულებითაც არ სურდათ დაენგრიათ ძველი, ბურჟუაზიული წესწყობილება, — პირიქით. ისინი თავიანთ მოვალეობად სთვლიდნენ მთელი ძალებით დაეცვათ

და განემტკიცებინათ იგი. ისინი თავიანთი არსებით იმპერიალისტური იყვნენ და სრულებითაც არ სურდათ გაეწყვიტათ კავშირი იმპერიალიზმთან, — პირიქით, ისინი არასოდეს არ ყოფილან იმის წინააღმდეგი, რომ ხელში ჩაეგდოთ და დაემორჩილებინათ «სხვა» ეროვნებათა ტერიტორიების დიდი და მცირე ნაკვეთები, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემოდათ. გასაკვირველი არ არის, რომ განაპირა მხარეების «ნაციონალურმა მთავრობებმა» ომი გამოუცხადეს ცენტრის სოციალისტურ მთავრობას. ხოლო რაკი ომი გამოაცხადეს, ისინი, ბუნებრივია, რეაქციის კერები გახდნენ, რომელთა გარშემოც თავს იყრიდა ყოველივე ის, რაც კი რუსეთში კონტრრევოლუციური იყო. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ იქ, ამ კერებისაკენ, გაეშურა რუსეთიდან გარეკილი ყველა კონტრრევოლუციონერი, რომ იქ, ამ კერების გარშემო, ირაზმებოდნენ ისინი თეთრგვარდიულ «ნაციონალურ პოლკებად» *.

ყველა ეს გარემოება დაჟინებით კარნახობდა შეიარაღებული აჯანყების პრაქტიკული მომზადების აუცილებლობას.

საქართველოში — დენიკინის ზურგში, აჯანყება ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!» უდიდესი მორალური მხარდაჭერა იყო წითელი არმიისათვის საბჭოთა რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის ერთ-ერთ კრიტიკულ მომენტში.

მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომაც, რომ ფუშავდა ანტანტის გეგმას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ თოთხმეტი სახელმწიფოს ლაშქრობის შესახებ. საქართველოში დაწყებული აჯანყება ლახვარის ჩაცემა იქნებოდა ანტანტის პოლიტიკისათვის, ანტანტისა, რომელიც პატარა სახელმწიფოებს აქეზებდა მონაწილეობა მიეღოთ ომში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მას შემდეგ, რაც რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი 1919 წელს ელადიკავკაზიდან თბილისში გადავიდა, საქართველოს კომუნისტური ორგანი-

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 173 — 174.

ზაციის მთელი მუშაობა მიმართული იყო საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ.

ამ საკითხის გადაჭრაში უშუალო მონაწილეობას იღებდა გ. კ. ორჯონიკიძე, რომელიც, მას შემდეგ რაც გენერალმა დენიკინმა 1919 წ. თებერვალში თერგის საბჭოთა რესპუბლიკის თითქმის მთელი ტერიტორია დაიპყრო და 11 თებერვალს დაეცა ვლადიკავკაზი, არალეგალურად გადავიდა თოვლით დაფარულ კავკასიის ქედზე და ჩავიდა მენშევიკურ საქართველოში. ერთხანს ის თბილისში იმყოფებოდა.

თავის მოგონებაში ზ. ორჯონიკიძე მოგვითხრობს, რომ გ. კ. ორჯონიკიძემ თბილისში დაახლოებით ერთი თვე დაჰყო, იმალებოდა ამხანაგებთან სამხარეო არალეგალური კომიტეტიდან.

გ. კ. ორჯონიკიძემ რამდენჯერმე მოიწვია პარტიის არალეგალური სამხარეო კომიტეტის წევრები და მისცა მათ მითითებანი მენშევიკებთან შემდგომი ბრძოლის შესახებ. ის ამბობდა, ქართველი ხალხი თავის ხსნას მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან ურღვევ კავშირში ხედავსო. ქართველი ხალხი ყოველ წუთს მზად არის აჯანყდეს თავის დამმონებელთა წინააღმდეგო. სერგო მოუწოდებდა ამიერკავკასიის კომუნისტებს სათავეში ჩადგომოდნენ ამ ბრძოლას.

1919 წ. აგვისტოსა და სექტემბერში საქართველოში ყველგან მოიწვიეს სამაზრო პარტიული კონფერენციები. 19 აგვისტოს გაიმართა თბილისის საგუბერნიო პარტიული კონფერენცია, ხოლო სექტემბერში — ქუთაისის საგუბერნიო კონფერენცია. ამ კონფერენციებზე განიხილეს ძირითადი საკითხი — თუ რამდენად მზად იყვნენ პარტიული ორგანიზაციები საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის.

მოხსენებებმა ადგილიდან მთლიანად დაადასტურა, რომ პროლეტარიატის აჯანყებას ქალაქში უეჭველად მხარს დაუჭერდნენ გლეხთა მასები.

მშრომელმა გლეხობამ გაიგო, რომ მას შეუძლია თავი იხსნას საკუთარი და უცხო მჩაგვრელებისაგან და მიაღწიოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას მხოლოდ მუშათა კლას-

თან კავშირით და მისი ხელმძღვანელობით. საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა გლეხებს შორის.

პარტიულმა უჯრედებმა გლეხთა რაიონებში განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. ისინი იმუშავებდნენ თავიანთ რაიონებში აჯანყების გეგმებს, იძენდნენ იარაღს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ პარტიის წევრების გაწვრთნას სამხედრო ხელოვნებაში და მთელი ორგანიზაცია საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდათ.

შინაური და საგარეო მდგომარეობის გულმოდგინე ანალიზს კომუნისტური ორგანიზაციის სამხარეო ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მიჰყავდა, რომ შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებისათვის საჭირო წანამძღვრები უკვე არსებობდა. მძვინვარებდა ეკონომიური კრიზისი, რომელიც ნამდვილი კატასტროფის სახეს იღებდა. კომუნისტური ორგანიზაციები სათავეში ედგნენ პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხების ძირითად მასებს და მათ შეძლეს ფართო გავლენის მოპოვება მენშევიკურ არმიაში.

1919 წ. სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში მოწვეულმა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. აჯანყების დღედ დაინიშნა 24 ოქტომბერი.

აჯანყების შესახებ რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების შემდეგ ახალი აღმავლობა დაიწყო მთელ პარტიულ მუშაობაში.

სამხარეო კომიტეტი უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციას. შემუშავებული გეგმის თანახმად, აჯანყება უნდა დაწყებულიყო თბილისში. მუშებსა და გარნიზონის ჯარისკაცებს დაუყოვნებლივ უნდა დაეჭირათ ფოსტა, ტელეგრაფი, რკინიგზის სადგური და სხვა უმნიშვნელოვანესი დაწესებულებანი.

იმავე დროს აჯანყება უნდა დაწყებულიყო საქართველოს ყველა რაიონშიც. რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტმა დაამტკიცა

სამხედრო-რევოლუციური შტაბი აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობისათვის და თავისი რწმუნებულები დაგზავნა ყველა რაიონში.

მაგრამ ასე გულდასმით მომზადებული შეიარაღებული აჯანყება საქართველოში მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

22 ოქტომბერს, აჯანყებამდე ორი დღით ადრე, თბილისში მოწვეულ იქნა საგარნიზონო კრება 22 კაცის შემადგენლობით; ამ კრებას საბოლოოდ უნდა დაემტკიცებინა აჯანყებაში გარნიზონის მონაწილეობის გეგმა. ინგლისისა და მენშევიკების კონტრდაზვერვამ შეიტყო განზრახული აჯანყების შესახებ და დააპატიმრა მთელი საგარნიზონო საბჭო და სამხედრო-რევოლუციური შტაბი — აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი საქართველოში.

განზრახული აჯანყების ამ ჩავარდნის შედეგად აჯანყებას ალარ დაურჩა ხელმძღვანელი სამხედრო ცენტრი. ინტერვენტები და მენშევიკური მთავრობა მასობრივად აპატიმრებდნენ მომზადების პროცესში მყოფი აჯანყების ხელმძღვანელებს.

ასე, მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში დაბა ხიდისთავში დააპატიმრეს გურიის სამხედრო-ტექნიკური კომისიის მთელი შემადგენლობა. ფოთში აჯანყებისათვის დანიშნული რიცხვის წინადღით ქალაქიდან გაიყვანეს კომუნისტურად განწყობილი მე-3 პოლკი, დააპატიმრეს 100 კაცი, მათ შორის პარტიული ხელმძღვანელობაც; დაპატიმრებული იქნენ კომუნისტები ფოთის ნავსადგურში მყოფ სამხედრო გემებზეც. კომუნისტების მასობრივი დაპატიმრებანი ჩატარდა თელავის, სიღნაღის, ზუგდიდის, სენოვის, დუშეთის, გორის და სხვა მაზრებში.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მხედველობაში მიიღო ყოველივე ეს და გადაწყვიტა აჯანყების გადადება. ამის შესახებ ეცნობა პარტიულ ორგანიზაციებს. მაგრამ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ დროზე ვერ მიიღო ახალი დირექტივა და, რადგან არაფერი იცოდნენ წინანდელი გადაწყვეტილებების შეცვლის შესახებ, დაიწყეს გამოსვლები დანიშნულ დღეს.

1919 წლის 24 ოქტომბერს კომუნისტების ხელმძღვანელობით მოხდა აჯანყება ლაგოდეხში. აჯანყებულებმა დაამარცხეს მესაზღვრე რაზმი, ხელში ჩაიგდეს ფოსტა, ტელეგრაფი, იარაღის საწყობი. ამავე დროს შეიარაღებული აჯანყება მოხდა სამტრედიაში, სოფ. კულაშში, სოფ. გუბში და ზუგდიდის რაიონებში. დუშეთის მაზრაში აჯანყდნენ სოფელ ბაზალეთის გლეხები. აჯანყებულები ყველგან ხელთ იგდებდნენ მთავრობის დაწესებულებებს და ატყვევებდნენ მილიციონერებსა და ჯარისკაცებს.

8 — 9 ნოემბერს აჯანყება მოხდა აგრეთვე გორის მაზრის რაიონებსა და ოზურგეთის მაზრაში.

გორის მაზრაში აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა სპეციალური დამსჯელი რაზმი. «სახალხო გვარდიელთა» შტაბის უფროსი სულაქველიძე შემდეგს აუწყებდა «სახალხო გვარდიის» მთავარ შტაბს აჯანყებულთა საწინააღმდეგო ოპერაციების შესახებ:

«... 8 ნოემბერს დაიწყო გამოსვლა ახალქალაქის რაიონში. აჯანყებულებმა დააპატიმრეს მილიციის უფროსი თავისი მილიციონერებით, წვრილი საერობო ერთეულის წევრები, სახალხო გვარდიის გორის საოლქო შტაბის რწმუნებული ახალქალაქის რაიონში... 9 ნოემბერს ხელთ იგდეს ძალაუფლება მეჯვრისხევის რაიონში, სადაც აგრეთვე დააპატიმრეს საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები...» *

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, როგორც იმავე მოხსენებითს ბარათში იყო აღნიშნული, ყველა დაპატიმრებული — სულ 300 კაცი სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს, 9 დახვრიტეს, 28 კაცს საკატორღო მუშაობა მიუსაჯეს, 35 კაცს ადმინისტრაციული წესით პატიმრობა გადაუწყვიტეს.

ფართო გასაქანი მიიღო აჯანყებამ ოზურგეთის მაზრაშიც, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების წინადღით დააპატიმრეს ადგილობრივი პარტიული კომიტეტი, ხოლო უჩვეულო წვი-

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 24, ს. 125, გვ. 5, 6, 7.

შებმა, ადიდებულმა მდინარეებმა საშუალება არ მისცეს აჯანყებულებს მისულიყვნენ მაზრის ცენტრამდე — ქალაქ ოზურგეთამდე. აჯანყებულებმა გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება ლანჩხუთში, ჩოხატაურსა და სუფსაში.

ამავე დროს მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოელი იმპერიალისტების უღლის წინააღმდეგ, საკუთარი და უცხოელი მჩაგვრელების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლები ხდებოდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

მაგრამ სამხედრო-რევოლუციური შტაბის ჩავარდნის გამო, ადგილებმა ვერ მიიღეს დახმარება ცენტრიდან და მენშევიკებმა შეძლეს ინგლისელი ინტერვენტების დახმარებით განსაკუთრებული სიმკაცრით ჩაექროთ მუშათა და გლეხთა ცალკეული შეიარაღებული აჯანყებანი. მენშევიკები თვითონაც არ მალავდნენ, რომ აჯანყების ჩაქრობაში მთავარი როლი ინტერვენტებმა შეასრულესო.

ასე, მაგალითად, მენშევიკური გაზეთი «ბორბა» წერდა, მე-2 პოლკის ჯარისკაცთა დასაწყნარებლად ინგლისის კრეისერმა სუხუმში დესანტი გადმოსხაო.

საქართველოში კომუნისტების ხელმძღვანელობით მუშებისა და გლეხების აჯანყებას გამხეცებული მენშევიკები თეთრი ტერორითა და სისხლისღვრით გაუსწორდნენ. ისინი ბუგავდნენ აჯანყებულ სოფლებს. საქართველოს ყველა საპყრობილე დაპატიმრებულებით აივსო. დაპატიმრებულთა, დახვრეტილთა და კატორღამისჯილთა საერთო რიცხვი 2 ათასამდე აღწევდა.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრთაგან დაპატიმრებას მხოლოდ რამდენიმე კაცი გადაურჩა. ქალაქის განტვირთვის საბაბით მენშევიკებმა დაიწყეს საქართველოდან ყველა იმ პირის გაძევება, ვისაც კომუნისტებისადმი თანაგრძნობას სწამებდნენ. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი თავის მიმართვაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი წერდა:

«ამხანაგებო, ამიერკავკასიის დემოკრატიული მთავრობები წარმატებით ეცილებიან მეფის გენერლებს — დენიკინს, ვრან-

გელსა და პოკროვსკის თავიანთ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობის საქმეში. მათ სისხლში ჩაახრჩეს აჯანყებული საქართველო და ასობით და ათასობით გლეხები და მუშები გამოამწყვდიეს საპყრობილეებში. ისინი გაშმაგებით შეუდგნენ რუსების, მთიელების და სხვა საბჭოთა მუშაკებისა და კომუნისტების მასობრივად გადაცემას დენიკინისათვის «ქალაქების განტვირთვის» საბაბით» *.

მიუხედავად დამარცხებისა, საქართველოში მომხდარ აჯანყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მასობრივმა შეიარაღებულმა რევოლუციურმა გამოსვლებმა საქართველოში დენიკინი აიძულა შიშით მოეხედნა თავისი ზურგისაკენ და რამდენიმე პოლკი გადმოესროლა საქართველოს საზღვრებისაკენ ქართველი მენშევიკების დასახმარებლად.

1919 წლის აჯანყება საქართველოს მუშებისა და რევოლუციური გლეხობისათვის სამოქალაქო ომის სკოლას წარმოადგენდა.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს კომუნისტურმა ორგანიზაციამ გაითვალისწინეს აჯანყების — როგორც სამოქალაქო ომის სკოლის — გაკვეთილები. როგორც კი არალეგალურ მდგომარეობაში მყოფმა საქართველოს კომუნისტურმა ორგანიზაციამ მიღებული ჭრილობა მოიშუშა, მან გასამკეცებული ენერგიით გააჩაღა მუშაობა მუშებისა და მშრომელი გლეხების პოლიტიკური აღზრდისათვის და ამზადებდა მათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტი, 1917 — 1921 წლების ბოლშევიკური პროკლამაციების ფონდი.

საქართველოს კომუნისტური პარტია «ლეგალური» მუშაობის პირობებში 1920 წელს

1920 წლის დამდეგი საბჭოთა რუსეთში აღინიშნა გადამწყვეტი გამარჯვებებით სამოქალაქო ომის ფრონტებზე. ძირეულად შეიცვალა საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ საერთაშორისო ვითარებაც. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გენიალური ბელადის—ლენინის წინამძღოლობით გმირულმა წითელმა არმიამ საბოლოოდ დაამარცხა დენიკინის თეთრგვარდიული არმია და მისი იმპერიალისტი ბატონპატრონნი. დენიკინის განადგურებით პროლეტარულმა დიქტატურამ დაამარცხა თავისი ყველაზე საშიში მტერი.

8 იანვარს, ღამით, 1-მა ცხენოსანმა არმიამ წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად ხელში ჩაიგდო სამხრეთის კონტრრევოლუციის მთავარი ბუნაგი — დონის როსტოვი.

დენიკინის არმია დონის როსტოვთან სასტიკი დამარცხების შემდეგ ორ ნაწილად გაიყო. ერთმა მათგანმა სასწრაფოდ დაიხია უკრაინისაკენ, მეორე ჩრდილოეთ კავკასიისაკენ დაიძრა. 17 მარტს ეკატერინოდარის (ამჟამად კრასნოდარის) აღების შემდეგ წითელი არმია ავიწროებდა მოწინააღმდეგეს და თანდათან უახლოვდებოდა ამიერკავკასიის საზღვრებს — საქართველოსა და აზერბაიჯანს.

ამ დროს ჩრდილოეთი კავკასია და კავკასიის მთელი შავი ზღვის სანაპიროები მოცული იყო თეთრგვარდიელობის წინააღმდეგ მიმართული აჯანყებებით. აჯანყებულებმა შეუპოვარი

ბრძოლის შემდეგ 24 თებერვალს ხელში ჩაიგდეს დენიკინისა და ინგლისელების სამხედრო-საზღვაო ბაზა ტუაფსეში და დენიკინის ბანდებისაგან საბოლოოდ გასწმინდეს მთელი სანაპირო ტუაფსედან დაწყებული გაგრამდე; აქ შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი. აჯანყებულთა რაზმებიდან დაიწყო შავი ზღვის წითელი არმიის შედგენა, რომელიც შემდგომ ყუბანის მე-9 წითელ არმიას შეუერთდა.

მარტის დამლევს თეთრი არმიები როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ისე უკრაინაში საბოლოოდ განადგურებულ იქნენ და მხოლოდ მათმა უმნიშვნელო ნაწილებმა თავი შეაფარეს ყირიმს, რომელიც რუსეთის კონტრრევოლუციის უკანასკნელ თავშესაფრად გადაიქცა.

გენერალ დენიკინის განადგურებასთან ერთად ჩაიფუშა ანტანტის მეორე ლაშქრობაც.

ცდილობდა რა იმას, რომ რაც შეიძლება ჩქარა სრულიად დაემარცხებინა თეთრგვარდიული არმიები და მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის გზას დადგომოდა, საბჭოთა მთავრობამ 1920 წლის დამდეგს წინადადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შეეკრათ კავშირი დენიკინის—ყველა მშრომელის, ყოფილი მეფის რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ეროვნების ამ საძულველი მტრის წინააღმდეგ ერთობლივად საბრძოლველად.

საბჭოთა მთავრობა ამასთან ითვალისწინებდა საქართველოს დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას, საითაც შეეძლო დაეხიათ და თავი შეეფარებინათ გენერალ დენიკინის განადგურებულ ნაწილებს.

ვინაიდან მენშევიკური მთავრობა ფაქტიურად დენიკინის მოკავშირე იყო საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში, მან უარით უპასუხა და ამ უარს ფარისევლურად იმით ასაბუთებდა, რომ იგი თითქოს-და სამოქალაქო ომის დასაწყისიდან «ამ ბრძოლაში ჩაურევლობის» პოზიციაზე დგას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 14 იანვრის სხდომაზე აშკარა ცინიზმით განაცხადა:

«თქვენ იცით, რომ საბჭოთა რუსეთმა სამხედრო კავშირი შეგვთავაზა. ჩვენ მას ამაზე გადაჭრით უარი ვუთხარით... ვიცი, ჩვენი მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალისტების მხარეზე ვართ. ამიტომ მე აქ უნდა განვაცხადო: აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია».

ამრიგად, თუ მენშევიკები 1919 წ. კიდევ ერიდებოდნენ საჯაროდ გამოევლინებიათ თავიანთი აშკარა სიმპათია გენერალ დენიკინისადმი, რომელმაც წამოაყენა «ერთიანი, განუყოფელი მეფის რუსეთის» რეაქციული ლოზუნგი, ამჯერად, 1920 წ. იანვარში, როდესაც ანტანტამ დე-ფაქტო სცნო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კონტრრევოლუციური მთავრობები იმ მიზნით, რათა შეექმნათ «დიპლომატიური წანამძღვრები დახმარების გასაწევად ამ კონტრრევოლუციური მთავრობებისათვის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ», მენშევიკებმა თავისი წინამძღოლის პირით საქვეყნოდ აღიარეს, რომ ისინი დასავლეთის იმპერიალისტების მხარეზე იყვნენ.

იმის გამო, რომ ქართველმა მენშევიკებმა უარი განაცხადეს დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად საბჭოთა რუსეთთან კავშირზე, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი თავის მიმართვაში მშრომელი მასებისადმი წერდა:

«საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ნიღაბი ჩამოეხსნა და თავისი გამცემლური სახე ეჩვენებინა. ჟორდანიამ უარი თქვა საბჭოთა რუსეთთან კავშირის შეკვრაზე, უარი თქვა დენიკინთან ბრძოლაზე და აშკარად გადავიდა ანტანტის მხარეზე. ამის ჯილდოდ იმპერიალისტური ევროპის წარმომადგენელმა უორდროპმა «დამოუკიდებლობა» მიუძღვნა საქართველოს. მენშევიკური მთავრობა რამდენიმე წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ეცნოთ ეს «დამოუკიდებლობა»; ამ მიზნით მან სპეციალური დიპლომატიური მისიაც კი გაგზავნა ევროპაში. და მხოლოდ ახლა, როდესაც დენიკინი საბოლოოდ განადგურებულია, როდესაც დაეცა დონის როსტოვი და საჭირო გახდა ახალი კონტრრევოლუციური ძალების შეკოწიწება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ანტანტამ გადაწყვიტა მიეცა

ქაღალდის ნაფლეთი საქართველოს «დამოუკიდებლობის» ფაქტიური ცნობის შესახებ»*.

ამავე დღეს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ [16], სადაც ხმების უმრავლესობა იმავე მენშევიკებს ეკუთვნოდა, გადაწყვიტა უარეყო რევოლუციის ემბლემა — წითელი დროშა და დაადგინა შეეცვალა იგი ნაციონალისტური დროშით, რომელზეც გამოსახული იყო ფეოდალური საქართველოს გმირი — თეთრი გიორგი.

ამ გადაწყვეტილებით მენშევიკებმა მხოლოდ ფორმალურად დაადასტურეს დიდი ხნის წინათ მომხდარი ფაქტი, სახელდობრ ის, რომ მათ მთლიანად უღალატეს რევოლუციას და ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ თვალთმაქცურად განაცხადა, რომ სამოქალაქო ომში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იგი «უსასტიკეს ნეიტრალიტეტს» დაიცავდა, ნამდვილად კი იგი «ნეიტრალიტეტის» ნიღაბქვეშ დაუკავშირდა სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუციას და მზად იყო შეძლებისამებრ მონაწილეობა მიეღო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

11 მარტს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარემ საზღვარგარეთ კ. ჩხეიძემ მიმართა ინგლისის მთავრობის სამხედრო მინისტრს თხოვნით, საჩქაროდ გაგზავნეთ საქართველოში იარაღი, საჭურველი და სურსათი, რაც საჭიროა ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველადო**.

ამავე დროს თბილისში მოიწვიეს საქართველო-კაზაკთა კონფერენცია, რომელსაც საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, მინისტრის მოადგილე ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის თანაშემწე

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს - ენგელს - ლენინ - სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, 1917—1921 წლების ბოლშევიკური პროკლამაციების ფონდი.

** საქ. სსრ ცსსა, ფ. 13, ს. 29, გვ. 203.

გენერალი გედევანოვი და სხვ. კონტრრევოლუციური კაზაკობის წარმომადგენელი იყო დონიდან—კოვალიოვი, ყუბანიდან—ზოზულია, თერგიდან — ბიგაევი. კონფერენციაზე განიხილეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. ბიგაევის კითხვაზე: «აპირებს თუ არა საქართველო თავისი ჯარების გამოყვანას ბოლშევიკების წინააღმდეგ?» გეგეჭკორმა უპასუხა: «ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ გადაპრით გვაქვს გადაწყვეტილი ვებრძოლოთ ბოლშევიკებს, მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ მოკავშირეებთან. თქვენ იცით, რომ ჩვენ მოველით მათ დახმარებას. მაშინ ჩვენი პოლიტიკა სულ სხვაგვარი იქნება... უნდა დაგვეთანხმოთ, რომ ძნელია ეიქონიოთ მარტო საკუთარი ძალების იმედი» *.

მენშევიკურმა მთავრობამ საქართველოს ტერიტორიაზე შემოუშვა გენერალ დენიკინის არმიის მარჯვენა ფრთის განადგურებული ნაწილები.

უკანდახეულ დენიკინელთა დასაბინაევებლად მენშევიკებმა აირჩიეს ფოთი, რომელიც მდებარეობს უშუალოდ შავი ზღვის ნაპირას. 1920 წლის აპრილ-მაისში ინგლისისა და საფრანგეთის გემებმა 10—12 ათასი თეთრგვარდიელი გადაიყვანეს ყირიმში, რითაც მნიშვნელოვნად გაადიდეს ვრანგელის არმიის ძალები. დენიკინის განადგურების შემდეგ საქართველოში გენერალ ჩიკვაიძის თავმჯდომარეობით სასწრაფოდ შექმნეს ლტოლვილთა კომიტეტი, რომელიც აგროვებდა თეთრგვარდიელთა ოფიცრებს და სხვა კონტრრევოლუციურ ელემენტებს ყირიმში გენერალ ვრანგელთან გასაგზავნად.

ეს იყო ქართველი მენშევიკების აშკარად განწირული უნაყოფო ცდა არ დაეშვა კონტრრევოლუციის ძალების სრული განადგურება და ამ გზით შეენარჩუნებია ხელისუფლება ისევ ვითარებაში, როდესაც გრძელდებოდა ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაშლა და დეზორ-

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 13, ს. 62, გვ. 91.

განიზაცია და განუწყვეტლივ იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა ქალაქად და სოფლად. თვითონ მენშევიკებისათვის უკვე ნათელი იყო, რომ მათი მდგომარეობა გამოუვალია. მაგალითად, 1920 წ. 22 მარტს მენშევიკური პარტიის ცკ-მა მოიწვია ფარული საგანგებო კრება ქვეყნის შიგნით შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. ამ კრებაზე მოხსენებით გამოსული ნ. ჟორდანია საქართველოს კრიტიკული შინაური და საგარეო მდგომარეობის შეფასების შემდეგ იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ «შინაპარტიული მოქმედების მთავარი ცენტრი დანგრეულია. პარტიაში არ არის ერთიანობა, პარტიის პოლიტიკას უმრავლესობა უარყოფს. ასეთ პირობებში პარტიის მუშაობის განგრძობა შეუძლებელია... შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არსებობის უკანასკნელ ეტაპს განვიცდით».

* * *

1919 წლის შემოდგომაზე საყოველთაო აჯანყების წარუმატებლობის შემდეგ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა 1920 წლის დამდეგისათვის შეძლეს არალეგალური პარტიული აპარატის მთლიანად აღდგენა და არალეგალური მუშაობის ტექნიკის მოწყობა. კომუნისტური ორგანიზაციები კვლავ მზად იყვნენ საბრძოლველად და მათ ისევ დაიწყეს მომზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. სამხარეო კომიტეტმა დაამტკიცა სამხედრო შტაბის ახალი შემადგენლობა, რომელსაც უშუალოდ უნდა მოემზადებინა და ხელმძღვანელობა გაეწია შეიარაღებული აჯანყებისათვის. 1920 წლის იანვარს საქართველოში გაიმართა მთელი რიგი თათბირები, სადაც ირჩეოდა მომავალი აჯანყების ტექნიკური საკითხები. საქართველოს სხვადასხვა რაიონში ადგენდნენ მებრძოლ რაზმებს. კვლავ მოხერხდა არალეგალური გაზეთის «კავკაზსკაია პრავდის» გამოცემის მოგვარება, აგრეთვე მასობრივი რაოდენობით ფურცლების გამოშვება, რომლებიც სწრაფად ვრცელდებოდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასებში. იმავე დროს რკპ (ბ) კავკა-

სიის სამხარეო კომიტეტმა გააძლიერა სპეციალური რაზმების შედგენა ჩრდილოეთ კავკასიასა და შავი ზღვის სანაპიროზე გასაგზავნად დენიკინის უკანდახეული ბანდების წინააღმდეგ აჯანყებულთა დასახმარებლად.

აჯანყების მომზადებაში პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. კომკავშირი დანაწილებულ იქნა მებრძოლ ათეულებად, სადაც შედიოდნენ ყველა, ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო. შეიქმნა წითელი გვარდიის შტაბი. კომკავშირი მზად იყო საბრძოლველად და მხოლოდ მითითებებს ელოდა პარტიისაგან, რათა შეიარაღებული ბრძოლა დაეწყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ამზადებდნენ რა შეიარაღებულ აჯანყებას მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოელი იმპერიალისტების უღლის წინააღმდეგ, საქართველოსა და მთელი კავკასიის კომუნისტები და მშრომელი მასები დიდი აღფრთოვანებით ეგებებოდნენ ყოველ ცნობას სამხრეთისაკენ წითელი არმიის ძლევამოსილი მსვლელობის შესახებ.

შეუნელებელი ტემპით ვითარდებოდა მუშათა საგაფიცვო ბრძოლა. თბილისში გაიფიცნენ მბეჭდავები, მეტყავეები, ტრამვაის მუშები და სხვ. 1920 წ. 16 მარტს დაიწყო დასავლეთ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის ყველა მოსამსახურის გაფიცვა. აპრილში გაიფიცნენ კახეთის წინანდალის სახაზინო მამულის მუშები და ქალაქ ფოთის ტრანსპორტის მუშები.

რკინიგზელ მუშათა საგაფიცვო გამოსვლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხაშურის რკინიგზის კვანძის მუშათა გაფიცვა. გაფიცვა დაიწყო 21 მარტს. დეპოს და ხაზის არც ერთი მუშა არ გამოსულა სამუშაოდ. სადგურ ხაშურზე არც ერთი მატარებელი არ გაატარეს. გაფიცვა შეწყდა 23 მარტს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დააკმაყოფილეს გაფიცულთა ყველა მოთხოვნა.

1920 წლის 15 მარტს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ყველა კომუნისტური ორგანიზაციისა და კავკასიის ყველა ეროვნების მშრომელი მასების წარმომადგენლების

სახელით შემდეგი მიმართვა გაუგზავნა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს, III კომუნისტურ ინტერნაციონალსა და წითელ არმიას:

«ჩვენ, კავკასიის ყველა ეროვნების მშრომელი მასები,— ნათქვამი იყო ამ მიმართვაში, — მხურვალე ძმურ სალამს ვუძღვნით რუსეთის პროლეტარიატს, გლეხობას და წითელ არმიას. თქვენი გამარჯვებები, ძვირფასო ძმებო და ამხანაგებო, სამოქალაქო ომის ფრონტებზე, თქვენი უმაგალითო გმირული ღვაწლი ბრძოლისა და შრომის ველებზე გულს გვიმხნევებს და გამარჯვების რწმენას გვინერგავს...

ჩვენ არაერთხელ მიგვიტანია სისხლისმღვრელი იერიშები ჩვენს ფლიდსა და გაიძვერა მთავრობებზე. ჩვენ გმირული ღონისძიებანი ვიხმარეთ, რომ გაგვეთავისუფლებინა ჩვენი დამონებული ქვეყანა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მტაცებელი ონავრებისაგან და ბანკეტებსა, ორგიებსა და გარყვნილების წუმპეში ჩაფლულ ჟორდანიას, უსუბეკოვისა და ხატისოვის ლაქიურ მთავრობათაგან. წითელი ფრონტის უსაშინელესი კრიზისის დროს, როდესაც გენერალ დენიკინის ბანდები ორიოლიდან მოსკოვის გზაზე გამოვიდნენ, ჩვენ ვიგრძენით რა რევოლუციური ინსტინქტით, თუ რა დიდი საფრთხე ემუქრებოდა რევოლუციას, ბრძოლაში ჩავებით საქართველოში..., რითაც საფრთხე შევუქმენით დენიკინის ზურგს და გამოვეშურეთ თქვენს დასახმარებლად... ჩვენ ვიცოდით, რომ თქვენი დამარცხება — ეს ჩვენი სიკვდილი და ოქტომბრის რევოლუციის დიდ მონაპოვართა დაღუპვა იქნებოდა, რომ საბჭოთა რუსეთის კატასტროფა — ყველა ქვეყნის მუშათა კლასის იმედისა და სასოების დამსხვრევა იქნებოდა. ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ წითელმა არმიამ სასიკვდილოდ განგმირა დენიკინის თეთრი არმია და კავკასიის საზღვრებს მოუახლოვდა.

ჩვენ, კავკასიის ყველა ეროვნების მშრომელი მასები, ამ მომართვის აქტით მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე ვაცხადებთ, რომ გვეზიზღება კავკასიის მოსახლეობის

უმცირესობის მიერ ჩვენი მჩაგვრელი და მოძალადე — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის «მთავრობათა» პირით აღიარებული «დამოუკიდებლობის» ლოზუნგები. ჩვენ ვიცით, რომ ამ ლოზუნგით მათ სურთ, ერთი მხრით, საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებლობა კავკასიის კაპიტალისტების, მემამულეებისა და ბობოლა-კულაკებისათვის და, მეორე მხრით, ასეთი გზით მათ სურთ კავკასიის მშრომელი მასების ჩამოშორება რუსეთის მუშებისა და გლეხებისაგან, რომ უფრო ადვილად დაიმორჩილონ და სამუდამოდ დაიმონონ ისინი. დასასრულ, ასეთი დამოუკიდებლობით ისინი ცდილობენ შექმნან ფაქტიური და ფორმალური დამოკიდებულება ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის იმპერიალისტებისაგან და ჩვენი სრული ეკონომიური და პოლიტიკური კაბალა.

ჩვენ არ გვინდა მონებად დავრჩეთ, განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენს გვერდით დგას რუსეთის განთავისუფლებული პროლეტარიატი, რომელთან ერთადაც ჩვენ გვსურს შევიდეთ ერთიან პროლეტარულ ინტერნაციონალურ ოჯახში.

ჩვენ, კავკასიის ყველა კომუნისტი, ჩვენ, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და დაღისტნის ყველა მუშა და გლეხი, ჩვენ, კავკასიის ყველა ეროვნების მშრომელი მასების წარმომადგენლები... მთელი ორი წლის განმავლობაში უმაგალითო მძიმე პირობებში ვაწარმოებთ შეურიგებელ ბრძოლას იმ იდეალებისათვის, რომელთაც მიაღწიეთ თქვენ ოქტომბრის რევოლუციის დროიდან.

...ჩვენთვის ჯერ კიდევ არ გაუნათებია ოქტომბრის რევოლუციის დიად მზეს, რომელიც ჩვენ მაღლიდან დაგვქათქათებს.

ჩვენი ამხანაგები, ძმები და შვილები წინანდებურად ლპებიან და იტანჯებიან მეფის ძველ ციხე-ჯურღმულებში.

ჩვენ ბედმა არ გვარგუნა მთელი გულ-მკერდით თავისუფლად ამოგვესუნთქა მეფეთა სისხლიანი რეჟიმის დამხობის შემდეგაც.

ეს რეჟიმი შესცვალა მუშურ-გლეხური საქართველოს ჯალათის ნოე რამიშვილის, გამხეცებული უსუბეკოვისა და

უსულგულო ხატისოვის კიდევ უფრო მწარე რეჟიმმა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე მეფის გენერლების ტყვიით ნაპეღი მათრახი ტრიალებდა.

...ჩვენ ურყევად და მტკიცედ გვწამს, რომ საბჭოთა მუშურ-გლეხური რუსეთი, კომუნისტური ინტერნაციონალი და გმირული წითელი არმია გულგრილ მაყურებლებად არ დარჩებიან ჩვენი უთანასწორო ბრძოლისა გაერთიანებულ შაეყვითელ კონტრრევოლუციასთან და აქტიურად დაგვეხმარებიან კაპიტალის ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში.

ჩვენ საშინლად გვწყურია რუსეთის პროლეტარიატთან ხელიხელჩაკიდებულნი შევდგათ ფეხი საყოველთაო შრომისა და სოციალისტური მშენებლობის ახალ ცხოვრებაში.

გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რევოლუციას კავკასიაში!

გაუმარჯოს III კომუნისტურ ინტერნაციონალს!» *.

მე-11 წითელი არმია დაეხმარა ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელებს. დენიკინის თეთრი არმიების ნაშთების განადგურებას ხელმძღვანელობდნენ გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი.

1920 წ. 25 მარტს წითელმა არმიამ ბრძოლით აიღო გროზნი, ხოლო 30 მარტს—ქალაქები ვლადიკავკაზი და პეტროვსკი.

კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს წევრმა და ჩრდილოეთ კავკასიის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. კ. ორჯონიკიძემ 1920 წ. 1 აპრილს ვ. ი. ლენინს აცნობა:

«თეთრებისაგან მთელი ჩრდილოეთ კავკასიის, სტავროპოლისა და შავი ზღვის მხარის, თერგის, დაღისტნის ოლქების განთავისუფლება მომხდარი ფაქტია. მასების რევოლუციური განწყობილება მრავალ ადგილას ისეთ დაძაბულობას

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, 1917—1921 წლების ბოლშევიკური პროკლამაციების ფონდი.

აღწევს, რომ მოსახლეობა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე წითელი არმიის მოსვლამდე თავისი ინიციატივით ამხობს თეთრების ხელისუფლებას, ირჩევს რევოლუციურ კომიტეტებს, რომლებიც ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტებისაგან შედგებიან. ვლადიკავკაზმა, გროზნიმ, დერბენტმა გააძევეს თეთრგვარდიელები, აჯანყებულებმა შექმნეს თავიანთი რევოლუციური სამხარეო კომიტეტები წითელი არმიის მისვლამდე» *.

წითელი არმიის გამარჯვებებმა სამოქალაქო ომის ფრონტებზე აღაფრთოვანეს აზერბაიჯანის მშრომელი მასები. 1919/20 წ. ზამთარში მთელს აზერბაიჯანში მიმდინარეობდა გლეხთა აჯანყებები, რომლებსაც კომუნისტური ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ.

არალეგალური მუშაობის მძიმე პირობებში 1920 წ. თებერვალს ბაქოში გაიმართა აზერბაიჯანის კპ I ყრილობა, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება უშუალოდ მოემზადებინა შეიარაღებული აჯანყება კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-მემამულური მუსავატური მთავრობის წინააღმდეგ. ყრილობამ მიმართა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ყველა მუშასა და გლეხს მოწოდებით — გაეჩაღებინათ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად მთელ ამიერკავკასიაში.

27 აპრილს ღამით აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბაქოს პროლეტარიატმა და მშრომელებმა მოაწყეს შეიარაღებული აჯანყება, ხელში აიღეს ძალაუფლება და შექმნეს აზერბაიჯანის დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი.

რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს არ შეეძლო საკუთარი ძალებით დაეცვა საბჭოთა ხელისუფლება ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის შემოტევისაგან, ამის გამო მან შემდეგი დეპეშით მიმართა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი. ლენინს:

«აზერბაიჯანის საბჭოთა დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც

* ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური არქივი, სგ, გვ. 44.

ხელთ აიღო ძალაუფლება ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატის და აზერბაიჯანის მშრომელი გლეხობის ნება-სურვილით, ძველ მუსავატურ მთავრობას ხალხის მოღალატედ და ქვეყნის დამოუკიდებლობის მტრად აცხადებს და წყვეტს კავშირს ანტანტასთან და საბჭოთა რუსეთის სხვა მტრებთან. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა საკუთარი ძალებით შეაჩეროს გარეშე და შინაური კონტრრევოლუციის შეერთებული ბანდების შემოტევა, წინადადებას აძლევს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას დაამყაროს მასთან ძმური კავშირი საერთო ბრძოლისათვის მსოფლიო იმპერიალისტების წინააღმდეგ. გთხოვთ დაუყოვნებლივ გაგვიწიოთ რეალური დახმარება წითელი არმიის რაზმების გამოგზავნით» *.

ლენინისა და სტალინის პირადი მითითებით აჯანყებულ აზერბაიჯანელ ხალხს მიეშველა მე-11 წითელი არმია ამხანაგების—ორჯონიკიძის, კიროვის და მიქოიანის მეთაურობით. დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ბაქოს პროლეტარიატისა და აზერბაიჯანის მშრომელი გლეხების საერთო ძალ-ღონით ბურჟუაზიულ-მეშამულური მთავრობა დამხობილ იქნა, ინტერვენტები გააძევეს და აზერბაიჯანში სამუდამოდ გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ.

საქართველოს მშრომელ მასებს, რომელთაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, როცა შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, ეეჭვი არ ეპარებოდათ იმაში, რომ მათ დაეხმარებოდა წითელი არმია. ასე, მაგალითად, 1920 წლის 19 მარტს თბილისში მესანგრეთა ბატალიონთან არსებულ კომუნისტურ უჯრედთა წარმომადგენლების კრებაზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: «მივესალმოთ ძლევამოსილად მოახლოებულ წითელ არმიას და ვუთხრათ მას: როცა თქვენ, ამხანაგებო, საბოლოოდ მოსპობთ დენიკინის კონტრრევოლუციურ ბანდას და

---

* «უახლოესი დროის საერთაშორისო პოლიტიკა ხელშეკრულებებსა, ნოტებსა და დეკლარაციებში», მ. 1928 წ., ნ. III, გამოშვება — I, გვ. 22.

საქართველოს საზღვრებს მოადგებით, დაგვეხმარეთ ჩვენც ქართველი მენშევიკების სოციალ-გამცემლური მთავრობის უღლის გადაგდებაში. ჩვენ კი თავის მხრივ გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ ამ მიზნის განხორციელებისათვის» *.

საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში ერთ-ერთი ეტაპი იყო პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილება—1 მაისს თბილისში ჩატარებულიყო კომუნისტური დემონსტრაცია, რაც რევოლუციური ძალების შემოწმებად უნდა გამხდარიყო.

დილაადრიან პროფესიულ კავშირთა საბჭოს შენობასთან თავმოყრა იწყეს ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა. აქვე მოვიდა ყვავილის გირლანდებით მორთული მელითონეთა კავშირის ორი ავტომობილი, რომელთაც დაახლოებით 100 მუშა მოყვა. დილის 10 საათზე დემონსტრაცია დაიძრა დროშებითა და ლოზუნგებით: «გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!», «გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!», «მოვითხოვთ დაპატიმრებული ბოლშევიკების განთავისუფლებას!».

კომუნისტური დემონსტრაციის ირგვლივ ჩქარა დაიწყო თავმოყრა ხალხმა. დემონსტრანტებში ავრცელებდნენ კომუნისტურ პროკლამაციებს. დემონსტრანტების რიგებიდან გაისმოდა შეძახილი: «გაუმარჯოს ბოლშევიკებს!», «ძირს მენშევიკები!». კომუნისტების გამოსვლებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს მასებზე.

მენშევიკებმა, რაკი ჯარისკაცებისა და სახალხო გვარდიელების იმედი არ ჰქონდათ, საგანგებო რაზმსა და მილიციას უბრძანეს გაერეკათ პროცესია და იარაღის გამოყენებასაც კი არ დარიდებოდნენ. საგანგებო რაზმელები და მილიცია უწყალოდ სცემდნენ დემონსტრანტებს კონდახებით, გლეჯდნენ პლაკატებსა და დროშებს. მენშევიკებმა ასზე მეტი კომუნისტი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. საპირველმაისო დემონსტრაციამ თვალნათლივ ცხადყო, რომ მშრომელი მასები მზად იყვნენ კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 11, ს. 2674, ფვ. 31.

გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინათ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

წარმატებით ჩატარდა საპირველმაისო დემონსტრაცია სომხეთში. დემონსტრანტების ლოზუნგები იყო: «ძირს დაშნაკცუტუნი!», «გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!» იმდროინდელი სომხეთის პროლეტარულ ცენტრში — ალექსანდროპოლში საპირველმაისო დემონსტრაცია გადაიზარდა შეიარაღებულ აჯანყებაში. 1920 წ. 10 მაისს მშრომელმა მასებმა კომუნისტების ხელმძღვანელობით ხელთ იგდეს ძალაუფლება და სომხეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადეს.

კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა ყარსსა, სარიყამიშსა, ნორ-ბაიაზეთსა, ზანგეზურსა და ყაზახ-შამშადინში.

მაგრამ სომხეთის მშრომელთა ეს აჯანყება ჩაახშო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა დაშნაკურმა მთავრობამ ინგლისამერიკის იმპერიალისტების დახმარებით.

* * *

საქართველოს მშრომელები ენთუზიაზმით ეგებებოდნენ ცნობებს სამოქალაქო ომში წითელი არმიის გამარჯვებათა შესახებ, რუსეთის კონტრრევოლუციის განადგურების შესახებ, ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღისტანსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შესახებ.

მხედველობაში მიიღო რა საბჭოთა რუსეთის გაძლიერება და რუსეთის კონტრრევოლუციის ძალების განადგურება, და აგრეთვე სოციალ-ეკონომიური კრიზისი ქვეყნის შიგნით საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა მთავრობამ შესცვალა თავისი ტაქტიკა და მოლაპარაკება დაიწყო საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე.

ამ მიზნით მოსკოვში გაიგზავნა დელეგაცია დამფუძნებელი კრების წევრის გ. ურატაძის მეთაურობით.

ააშკარავებდა რა მენშევიკების საზიზღარ ორპოფულ პოლიტიკას, ვ. ი. ლენინი რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1920 წელს ამბობდა:

«ამას წინათ მენშევიკური გაზეთი საქართველოში წერდა: «დედამიწაზე ორი ძალაა: ანტანტა და საბჭოთა რუსეთია». ვინ არიან მენშევიკები? ეს ის ხალხია, რომელსაც ცხვირი ქარისაკენ აქვს აწეული. როდესაც ჩვენ საერთაშორისო მხრივ სუსტნი ვიყავით,. ისინი ჰყვიროდნენ: «ძირს ბოლშევიკებია». როდესაც ჩვენ გაძლიერება დავიწყეთ, ისინი ჰყვიროდნენ: «ჩვენ ნეიტრალურნი ვართო». როდესაც მტრები მოვიგერიეთ, ისინი ამბობენ: «დიახ, აქ ორი ძალაა» *.

მაგრამ საბჭოთა რუსეთმა, რომელიც ერთგულად იცავდა თავის მშვიდობიან პოლიტიკას და ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპს, მაინც დადო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს 1920 წლის 7 მაისს.

სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად მენშევიკურმა საქართველომ ვალდებულება იკისრა:

«დაუყოვნებლივ განაიარაღოს და საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსოს სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, რაზმები და ჯგუფები, რომლებიც ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, ან მომავალში უნდა გადავიდნენ მის საზღვრებში და ჩემულობენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის როლს, ან რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის როლს, აგრეთვე წარმომადგენლობანი და თანამდებობის პირნი, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსეთის ან მის მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის დამხობას» (მუხლი 5, პ. 1).

«დაუყოვნებლივ განაიარაღოს და ინტერნირებულ იქნას ყველა გემი, რომელნიც საქართველოს ნავსადგურებში იმყოფებიან და იმ ორგანიზაციებისა და ჯგუფების სამხედრო-საზღვაო ძალებს ეკუთვნიან, რომლებიც მოხსენებული არიან ამ მუხლის 1-ლ პუნქტში» (მუხლი 5, პ. 4).

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31, გვ. 555.

«მიიღოს ზომები, რათა საქართველოს ტერიტორიიდან განდევნილ იქნან ყოველი გვარეობის ჯარები და სამხედრო რაზმები, რომლებიც არ შედიან საქართველოს მთავრობის ჯარების შემადგენლობაში, იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით» (მუხლი 5, პ. 5).

«საქართველო ვალდებულებას კისრულობს სასჯელისაგან და აგრეთვე სასამართლოს ან ადმინისტრაციული წესით შემდგომი დევნისაგან გაათავისუფლოს ყველა ის პირი, რომლებიც ამ დევნას განიცდიან საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ ჩადენილი მოქმედებისათვის».

შ ე ნ ი შ ვ ნ ა . «საქართველო ვალდებულებას კისრულობს დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ის პირნი, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან ზემოხსენებულის მსგავსი მოქმედებისათვის» (მუხლი 10).

რსფს რესპუბლიკასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების განსაკუთრებულ დამატებაში მენშევიკები ვალდებულებას კისრულობდნენ ლეგალური არსებობის უფლება მიეცათ საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის. ამ მუხლის ტექსტში ნათქვამი იყო:

«საქართველო ვალდებულებას კისრულობს აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოქმედების უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობის უფლება და თავისუფალი გამომცემლობის (მათ შორის ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის) უფლება.

ყოველ შემთხვევაში არავითარი ისეთი რეპრესიები არ უნდა იქნას მიღებული კერძო პირთა წინააღმდეგ როგორც სასამართლოს, ისე ადმინისტრაციული წესით, რომლებიც გამომდინარეობენ მხოლოდ საჯარო პროპაგანდიდან და აგიტაციიდან კომუნისტური პროგრამის სასარგებლოდ, ან

პიროვნებათა და ორგანიზაციათა ისეთი მოქმედებიდან, რომელიც დამყარებულია კომუნისტურ პროგრამაზე» *.

საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ ქართველი მენშევიკები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის ლეგალიზაცია.

რკპ(ბ) ცკ-ის წინადადებით რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა რკპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიურო. მის მუშაობას უშუალოდ სათავეში ჩაუდგა გ. კ. ორჯონიკიძე, რომელიც ბაქოში იმყოფებოდა.

საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია, რომელიც ერთიანი კომუნისტური პარტიის მებრძოლ ნაწილს წარმოადგენდა, 1920 წლის ივნისში გაფორმდა საქართველოს კომუნისტურ პარტიად. შეიქმნა საქართველოს კპ დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

მენშევიკთა საპყრობილეებიდან აქტიურ პარტიულ მუშაობას დაუბრუნდა ათასზე მეტი კომუნისტი.

მაისის დამლევს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა თბილისში მოიწვია პარტიული თათბირი ახალ პირობებში პარტიული მუშაობის ტაქტიკის გამოსამუშავებლად. ამ თათბირს დაესწრნენ საქალაქო და სამაზრო პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. გადაწყდა — ლეგალური მუშაობის გაჩაღებასთან ერთად შენარჩუნებული ყოფილიყო პარტიის არალეგალური აპარატიც.

თათბირის რეზოლუცია შემდეგ კონკრეტულ მითითებებს აძლევდა პარტიულ ორგანიზაციებს:

«დაუყოვნებლივ უნდა აღდგენილ იქნას ლეგალური პარტიული ორგანიზაციები, ძლიერნი არა მარტო წევრთა რიცხვით, არამედ უმთავრესად რკინის დისციპლინით და უმტკიცესი შინაგანი სიმაგრით. საჭიროა შესვლა და ენერგიული მონაწილეობის მიღება ყველა არსებულ და მომავალში

---

* «რსფს რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მათი ურთიერთდამოკიდებულებანი», მ., 1921, გვ. 8 — 16.

შესაძლებელ მშრომელთა კლასობრივ ორგანიზაციებში, როგორც, მაგალითად, მუშათა და გლეხთა საბჭოები, მუშათა პროფესიონალური კავშირები, მუშათა კოოპერატივები, გლეხთა კავშირები, კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები და სხვ., — და ყველგან წამოყენება და დაცვა მშრომელთა რევოლუციონური უფლებების, საბჭოთა ძალაუფლების, რევოლუციური სოციალიზმ-კომუნიზმის, ძმური სოლიდარობის იდეებისა და მჭიდრო კავშირისა ყველა მეზობელ ხალხთა მშრომელებთან, და განსაკუთრებით მუშურ-გლეხურ რუსეთთან, რომელმაც განახორციელა პროლეტარიატის დიქტატურა» *.

კომუნისტური ორგანიზაციის შემდგომი განმტკიცების და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების უზრუნველყოფა შეიძლებოდა მხოლოდ არალეგალური პარტიული აპარატის არსებობასთან მუშაობის ლეგალური ფორმის მოხერხებული შეხამებით.

საქართველოს კომპარტიის ლეგალიზაცია მასებში მუშაობის უფრო ფართოდ გაშლის შესაძლებლობას აძლევდა მას. «ლეგალურ არსებობას ჩვენ არასოდეს უარს არ ვუოფდით, — წერდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო «კომუნისტი», — მაგრამ იგი არასოდეს ჩვენ კერპად არ გაგვიხდია და არც გავხდით. მაგრამ ჩვენ მას გამოვიყენებთ სავსებით, მისი საშუალებით ჩვენ შევქმნით მაგარ და მტკიცე პარტიულ ორგანიზაციებს, ჩვენ ვაწარმოებთ კომუნისტური იდეების პროპაგანდას მუშათა და გლეხთა ფართო წრეებში» **.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა რაიონში მოიწვია სამაზრო პარტიული კონფერენციები, რომლებზეც განიხილეს დირექტივები. პარტიული მუშაობის ახალი ტაქტიკის შესახებ. ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეხამება ამჭიდროებდა კომუნისტურ რიგებს.

---

* გაზ. «კომუნისტი». № 1, 1920 წ.

** იქვე.

ყველგან მიმდინარეობდა პარტიის წევრების ხელახალი რეგისტრაცია და პარტიის რიგებში ახლების მიღება, პარტიული ორგანიზაციების და უჯრედების განმტკიცება.

არჩეულ იქნა საქართველოს კპ თბილისის ახალი კომიტეტი, რომელმაც მოახდინა პარტიის წევრთა ხელახალი აღრიცხვა და დაამტკიცა რაიონული პარტიული კომიტეტების ახალი შემადგენლობა, აღადგინა და განამტკიცა პარტიული უჯრედები. თბილისის კომიტეტმა დიდი ყურადღება მიაქცია პარტიულ მუშაობას პროფკავშირებში, განაახლა არალეგალური «მუშათა ცენტრის» შემადგენლობა და არსებითად იგი გადააქცია პროფკავშირთა კომუნისტური ფრაქციების პარტიულ ბიუროდ.

პროფკავშირების უმრავლესობაში კომუნისტების გავლენა თანდათან ძლიერდებოდა.

1920 წ. 22 მაისს არსებობა შეწყვიტა რუსეთის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა.

შეიქმნა საქართველოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

30 მაისს კომკავშირის ცკ-მა მოიწვია თათბირი საქართველოს ყველა კომკავშირელი ორგანიზაციის მონაწილეობით. ამ თათბირზე მოისმინეს ცნობები ადგილებიდან, მოხსენებები მიმდინარე მომენტისა და პრესის შესახებ, განიხილეს ორგანიზაციული საკითხები და სხვ.

1920 წ. 3 ივნისიდან თბილისში ქართულ ენაზე გამოდის გაზეთი «კომუნისტი» — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანო. რუსულ ენაზე გაზეთი «კომუნისტის» გამოსვლა დაიწყო 1920 წ. 1 ივლისიდან.

საქართველოს კომუნისტურ გაზეთებს, კომუნისტური პრესის ტრადიციების ერთგულთ, მაღლა ეჭირათ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის დროშა. ისინი ხელს უწყობდნენ საქართველოში კომუნისტური პარტიის

განმტკიცებას, ეწეოდნენ ლენინიზმის იდეების პროპაგანდას, მშრომელთა მასებს აუწყებდნენ სიმართლეს საბჭოთა რუსეთის შესახებ და ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის მგზნებარე პროპაგანდისტებად გამოდიოდნენ. კომუნისტურმა გაზეთებმა გააჩაღეს შეურიგებელი ბრძოლა მენშევიკებისა და სხვა კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც ქართველი ხალხის უბოროტესი მტრები იყვნენ. კომუნისტურმა გაზეთებმა მალე მოიპოვეს საქართველოს მშრომელთა სიყვარული და ავტორიტეტი. «ამ ორი წლის შემდეგ, — წერდნენ, მაგალითად, მუშა-რკინიგზელები, — ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ვეღირსეთ მუშათა გაზეთის «კომუნისტის» გამოშვებას და არ დავხრით ინტერნაციონალის წითელ დროშას, სანამ არ გავიმარჯვებთ».

31 მაისიდან თბილისში გამოდის გაზეთი «მოლოდი პროლეტარი», საქართველოს კომკავშირის ცკ-ის ორგანო.

კომუნისტური გაზეთების გამოსვლის, ყველგან ღია კრებებისა და მოხსენებების ჩატარების მეოხებით პარტიას შესაძლებლობა მიეცა უფრო ფართოდ გაეშია ლენინიზმის იდეების პროპაგანდა და სწორი ინფორმაცია მიეწოდებია მშრომელთა მასებისათვის საბჭოთა რუსეთის შესახებ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებაში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საბრძოლველად მშრომელებისადმი დახმარების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა სერგეი მირონის ძე კიროვმა.

გამოჩენილი, უაღრესად ნიჭიერი ორგანიზატორი, მგზნებარე სახალხო ტრიბუნი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი — ს. მ. კიროვი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის პეტროგრადში.

1919 წ. კომუნისტური პარტიის ცკ-ის დავალებით იგი სათავეში ჩაუდგა ასტრახანის დაცვის საქმეს.

დენიკინის განადგურების შემდეგ კიროვი, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის რევოლუციური კომიტეტის წევრი, მრავალერიანი მხარის რთულ პირობებში ეწეოდა მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციისათვის ჩრდილოეთ

კავკასიაში, თანმიმდევრულად ახორციელებდა ხალხთა მეგობრობის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას.

1920 წ. 29 მაისს კიროვმა მიიღო ახალი უაღრესად მნიშვნელოვანი დავალება. იგი დაინიშნა რსფს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად მენშევიკურ საქართველოში. მოსკოვიდან წამოსვლისას კიროვმა უშუალოდ ვ. ი. ლენინისაგან მიიღო დირექტივები მუშაობის შესახებ.

თბილისში ჩამოსვლისას ს. მ. კიროვი 1920 წ. 20 ივნისს გამოვიდა ხალხმრავალ მიტინგზე საბჭოთა მისიის სახლის წინ და მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. იგი რუსეთის პროლეტარიატის სახელით მიესალმა საქართველოს მშრომელებს. საბ. ჭოთა საელჩოს შენობაში ს. მ. კიროვი შეხვდა საქართველოს მუშებისა და გლეხების წარმომადგენლებს. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სახელით ს. მ. კიროვს მიესალმა ფ. მახარაძე.

მან სთხოვა ს. მ. კიროვს «გადაეცა საბჭოთა მთავრობისათვის, თუ რა სიხარულისა და სიყვარულის გრძნობებით არიან გამსჭვალულნი საქართველოს მშრომელები რუსეთის მშრომელებისა და სახელოვანი გმირული წითელი არმიისადმი. მან აღუთქვა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია მთელ ძალ-ღონეს მოახმარს იმ დიდ მიზანს, რომელიც რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ განახორციელა» *.

ს. მ. კიროვი საქართველოში ჩამოსვლის პირველი დღიდანვე გადაჭრით ამხელდა იმ საზიზღარ სიცრუესა და ცილისწამებას, რასაც რამდენიმე წლის განმავლობაში ავრცელებდნენ ქართველი მენშევიკები და სხვა კონტრრევოლუციური პარტიები საბჭოთა რუსეთის შესახებ. ს. მ. კიროვი თანმიმდევრობით და მტკიცედ ახორციელებდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკას, იბრძოდა ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის. მან საქართველოს მშრომელთა ღრმა სიყვარული დაიმსახურა.

---

* «კომუნისტი», 1920 წ. 22 ივნისი.

ქართველი ხალხის მოღალატეები, ანტანტისა და რუსეთის კონტრრევოლუციის დაქირავებული აგენტები — მენშევიკები არც კი ფიქრობდნენ პატიოსნად შეესრულებინათ რსფს რესპუბლიკასა და საქართველოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება. კოლჩაკისა და დენიკინის განადგურების შემდეგ ანტანტა იძულებული იყო ფაქტიურად გაეუქმებინა საბჭოთა რუსეთის ბლოკადა.

მაგრამ «...ანტანტის სახელმწიფოებს მაინც არ სურდათ შერიგებოდნენ იმ აზრს, რომ საბჭოთა ხელისუფლება უძლეველი აღმოჩნდა, რომ იგი გამარჯვებული აღმოჩნდა. ამიტომ მათ გადაწყვიტეს მოეხდინათ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ინტერვენციის კიდევ ერთი ცდა. ამჯერად ინტერვენტებმა გადაწყვიტეს გამოეყენებინათ, ერთი მხრით, პილსუდსკი, ბურჟუაზიული კონტრრევოლუციონერი ნაციონალისტი, პოლონეთის სახელმწიფოს ფაქტიური მეთაური, და, მეორე მხრით, გენერალი ვრანგელი, რომელმაც ყირიმში შეკრიბა დენიკინის არმიის ნაშთები და იქიდან ემუქრებოდა დონბასს, უკრაინას.

ლენინის გამოთქმით, პანების პოლონეთი და ვრანგელი — ეს იყო ორი ხელი საერთაშორისო იმპერიალიზმისა, რომელიც ცდილობდა საბჭოთა ქვეყნის წახრჩობას»*.

1920 წ. აპრილში პოლონეთის ჯარები მუხანათურად შემოიჭრნენ საბჭოთა უკრაინაში. ამავე დროს შეტევაზე გადმოვიდა გენერალი ვრანგელიც და დაემუქრა დონბასს.

საბჭოთა მთავრობას ხელთ ჰქონდა უდავო ფაქტები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ საქართველოს მენშევიკები 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგაც განაგრძობდნენ გენერალ ვრანგელის მომარაგებას იარაღით, საჭურველით, ნავთით, საავიაციო ბენზინით, სამანქანო ზეთით. ვრანგელის აგენტები მოქმედებდნენ თბილისში, აგროვებდნენ თეთრგვარდიელ ოფიცრებს და გადაჰყავდათ ისინი ყირიმში. 1920 წლის დამლევს მენშევიკებმა გენერალ ვრან-

---

* «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 297 — 298.

გელთან ყირიმში გაგზავნეს სპეციალური დელეგაცია დ. ვ. ვაჩეიშვილის მეთაურობით, რათა «გამოერკვიათ ეკონომიური საკითხები და რუსების მდგომარეობა საქართველოში». ვრანგელთან საუბარში ვაჩეიშვილმა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას უბრალო ქაღალდის ნაგლეჯი უწოდა.

1920 წ. 26 მაისს მუსავატელებმა კონტრრევოლუციური ამბოხება მოაწყეს განჯაში. ეს ამბოხება თბილისში მზადდებოდა. ბათუმში მიმდინარეობდა ანტანტის დიდი სამხედრო-საზღვაო ძალების კონცენტრაცია, რაც იმას მოწმობდა, რომ ანტანტას აგრესიული გეგმა ჰქონდა და ამ გეგმის განხორციელება განზრახული იყო საქართველოს მეშვეობით.

მენშევიკები არ ასრულებდნენ რსფს რესპუბლიკასა და საქართველოს შორის დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას არც იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციას შეეხებოდა. 1920 წ. ივნისში მოიწვიეს მენშევიკური პარტიის ყრილობა, რომელმაც დაადგინა: «ყოველგვარი ძალ-ღონით და საშუალებით განვაგრძოთ ბრძოლა საქართველოს კომუნისტების წინააღმდეგ».

მენშევიკებმა კვლავ მიჰყვეს ხელი ძალადობას და ყოველგვარ რეპრესიებს კომუნისტებისა და რევოლუციურად განწყობილი მუშებისა და გლეხების მიმართ. შტატების შემცირების სახით მენშევიკები სამუშაოდან ერეკებოდნენ მუშებს და მოსამსახურეებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ კომუნისტებისადმი თანაგრძნობას სწამებდნენ. მენშევიკები აპატიმრებდნენ არა მარტო ცალკეულ კომუნისტებს, არამედ პროფკავშირების მთელ გამგეობებსაც. კომუნისტურად განწყობილ პროფკავშირებს ან შლიდნენ, ანდა სთიშავდნენ.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია მელითონეთა კავშირის გათიშვის ისტორია. ამ კავშირში დაახლოებით 3 ათასი წევრი ითვლებოდა.

მენშევიკებს ვერ მოენელებინათ, რომ მელითონეები საპირველმაისო და სხვა დემონსტრაციების დროს კომუნისტური

ლოზუნგებით გამოდიოდნენ, ხოლო შემდეგ არსენალსა და სხვა დიდ საწარმოებში მოაწყეს ფულის შეგროვება დაპატიმრებულ მუშა-კომუნისტთა სასარგებლოდ. მენშევიკებმა გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ მელითონეთა კავშირის გამგეობის გადარჩევა, მაგრამ დამარცხდნენ: არჩეულთა შორის 11 კომუნისტი აღმოჩნდა. მაშინ მენშევიკებმა დააპატიმრეს ბევრი კომუნისტი — კავშირის გამგეობის წევრები. როცა დაინახეს, რომ მელითონეთა კავშირის წევრები არ იძლეოდნენ მთავრობის მორჩილი გამგეობის არჩევის საშუალებას, მენშევიკებმა გადაწყვიტეს კავშირის პირდაპირი გათიშვისა და მისი მუშაობის დეზორგანიზაციის გზას დადგომოდნენ.

პროფკავშირთა საბჭოს მენშევიკურმა სამდივნომ დაამტკიცა მელითონეთა ახალი, «განახლებული», თავის მომხრეთაგან შემდგარი კავშირი და ყოველნაირად ხელს უწყობდა მას ძველი, კომუნისტური კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. შრომის სამინისტრომ და პროფკავშირთა საბჭოს სამდივნომ სახელმწიფო და საქალაქო საწარმოთა ყველა მუშას დაავალა მხოლოდ ამ «განახლებულ» კავშირში ჩაწერილიყვნენ.

ადმინისტრაციული ზომებით მენშევიკებმა შეძლეს მოეხდინათ მელითონეთა ძველი კავშირის ლიკვიდაცია, მაგრამ მუშათა მასების განწყობილებაში გარდატეხის მოხდენა მათ ვერ შეძლეს. მელითონეთა უმეტესობა კომუნისტურად იყო განწყობილი. ამას აშკარად მოწმობს მელითონეთა ერთ-ერთ კრებაზე 1920 წლის ივნისში მიღებული შემდეგი რეზოლუცია:

«სალამს ვუძღვნით ჩვენს მუშათა ორგანოს — გაზ. «კომუნისტს», — ვკითხულობთ ამ რეზოლუციაში, — რომელიც შეურიგებელ და აშკარა ბრძოლას აწარმოებს საერთაშორისო კაპიტალთან და განუხრელად მოუწოდებს პროლეტარიატს მსოფლიო გაერთიანებისაკენ III ინტერნაციონალის რიგებში.

კრება უაღრესად სასტიკ პროტესტს აცხადებს ამხანაგების დაუსრულებელ მასობრივ დაპატიმრებათა და გადა-

სახლებათა წინააღმდეგ, კომუნისტებისადმი მიმართული საზიზღარი ცილისწამებისა და პროვოკაციის წინააღმდეგ. კრება კატეგორიულად აცხადებს მთელი რევოლუციური პროლეტარიატის წინაშე, რომ იგი არ ჩამოვა მებრძოლი მარქსიზმის სახელოვანი პოზიციებიდან და არასოდეს არ გაუშვებს ხელიდან მუშათა წითელ დროშას» *.

მუშა-მეტყავეთა კავშირში კომუნისტური გავლენა სჭარბობდა. უკვე 1917 წლიდან, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკებს არაერთხელ დაურბევიათ ეს კავშირი, დაუპატიმრებიათ და საქართველოს ფარგლებიდან გაუსახლებიათ ყველაზე უფრო გავლენიანი მუშები.

1920 წ. 29 ივნისს გაიმართა მეტყავეთა კავშირის საერთო კრება; მას კავშირის 500-მდე წევრი დაესწრო. იმის გამო, რომ წინადღით დააპატიმრეს გამგეობის თავმჯდომარე, მოხსენების გაკეთება სხვა ამხანაგს მოუხდა.

აღსანიშნავია, რომ დიდი ხნით ადრე მენშევიკურმა გაზეთებმა ფართო კამპანია ჩაატარეს მეტყავეთა კავშირის წინააღმდეგ, ცდილობდნენ რა სახელი გაეტეხათ მისი კომუნისტური გამგეობისათვის. 29 ივნისს კრებაზე პროვოკაციულად გამოვიდა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სამდივნოს წარმომადგენელი მენშევიკი ჩხენკელი.

მაგრამ მენშევიკების ყველა ცდა მოეხდინათ მუშა-მეტყავეთა კავშირის დეზორგანიზაცია უშედეგო აღმოჩნდა. კრებამ მოიწონა კავშირის ძველი, კომუნისტური გამგეობის საქმიანობა და კვლავ აირჩია კომუნისტური შემადგენლობის გამგეობა და სარევიზიო კომისია, ამავე კრებაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც პროტესტს აცხადებდა მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ. კრებამ დაავალა გამგეობას გამოერკვია კავშირის წევრთა დაპატიმრების მიზეზები და აღმოეჩინა დახმარება დაპატიმრებულთა ოჯახებისათვის კავშირის სახსრებიდან.

---

* გაზ. «კომუნისტი» № 1, 1920 წ.

მუშა-მეთამბაქოემ გაზეთ «კომუნისტში» მოათავსა შენიშვნა «იდეური ბრძოლის ერთ-ერთი გმირი», სადაც წერდა, რომ პროფკავშირების თავმჯდომარე მუშათა საერთო კრებაზე გამოსვლისას «მუქარით აიძულებს მუშებს არ ჩაეწერონ კომუნისტების რიგებში და პირდაპირ დაემუქრა მათ— წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან დაგითხოვთ და საქართველოს ფარგლებიდან გაგასახლებთო. პროფკავშირების «ხელმძღვანელს» არაერთხელ მიუმართავს ასეთი ექსპერიმენტებისათვის და ამგვარად იგი პროფკავშირების გამგეობებს საგანგებო რაზმის განყოფილებებად აქცევდა» *.

საქართველოს კომუნისტურ გაზეთებში (1920 წ. ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვეებისა) მოთავსებულია უამრავი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ რეპრესიებსა და თვითნებობას მიმართავდა მენშევიკური მთავრობა კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის წინააღმდეგ.

მენშევიკური მთავრობა იმ საბაბით, რომ «საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრები, გარდა თავისი არალეგალური მუშაობისა, ქმედით პროპაგანდას ეწევიან ჯარში, სახალხო გვარდიის რიგებში და გლეხთა ფართო მასებში», არ წყვეტდა კომუნისტების დაპატიმრებას. მეტეხის ციხესა და სხვა საპყრობილეებში გაუსამართლებლად დამწყვდეული იყო ასობით კომუნისტი. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საგუბერნიო კომიტეტების წევრები. დახურეს კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაცია დუშეთის, გორის, სიღნაღის, თელავის, ახალციხის, ბორჩალოს, ახალ-სენაკისა და სხვა მაზრებში.

2 ივლისს სენაკის მაზრაში ადგილობრივმა ხელისუფლებმა დააპატიმრეს 21 კომუნისტი. მათ ბრალად დაედო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. იმავე დროს დააპატიმრეს მთელი პარტიული კრება გორში და კომუნისტური პარტიის მრავალი წევრი თელავში.

---

* «კომუნისტი» № 17, 1920 წ.

8 ივლისს თბილისში დააპატიმრეს საქართველოს კპ ცკ-ის წევრები, ხოლო ქუთაისში — საგუბერნიო კომიტეტის წევრები. მათ ბრალად დასდეს იარაღის შესყიდვა და შეიარაღებული აჯანყების მომზადება. გორის მაზრაში «გაქცევის ცდის» საბაბით კომუნისტებს ხოცავდნენ. ახალციხეში დახვრიტეს 26 კომუნისტი ჯარისკაცი, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოსულიყვნენ აჯანყებულ აჭარელთა წინააღმდეგ.

აი ერთ-ერთი ტიპიური კორესპონდენცია, რომელიც ახასიათებს კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობას რაიონებში.

«უკანასკნელ ხანებში რეპრესიები გურიაში არამცთუ არ შენელდა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა... კომუნისტებზე პირდაპირ ნადირობენ სუფსაში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში ქუჩაში თავს დაესხნენ არალეგალური კრებიდან მომავალ ამხანაგებს და დააპატიმრეს» *.

ჯერ კიდევ 1920 წ. 16 ივნისს საქართველოს კპ ცკ-მა შემდეგი მტკიცე პროტესტით მიმართა მენშევიკურ მთავრობას:

«დროებითი ცენტრალური კომიტეტი კვლავ მიუთითებს მთელ რიგ აღმაშფოთებელ ფაქტებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ თქვენ დაარღვიეთ თქვენი განცხადება კომუნისტების პარტიის ლეგალურ მდგომარეობაზე გადასვლის შესახებ. პროვინციაში აღმინისტრაცია იჭრება პარტიის შენობებში და აპატიმრებს რეგისტრაციისათვის მისულ ამხანაგებს...

ადმინისტრაციულ თვითნებობას საზღვარი არა აქვს. გენერალ-გუბერნატორი კვლავ აცხადებს, რომ ცენტრალური კომიტეტის შენობაში აღრიცხულნი, რომელთაც ჩამოერთვათ ხელწერილი, აგრეთვე პატიმრები და საგანგებო რაზმის მიერ შეპყრობილნი გასახლებული იქნებიან ბრალდების წაუყენებლად.

დროებითი ცენტრალური კომიტეტი კვლავ დაჟინებით მოითხოვს გააუქმოთ გენერალ-გუბერნატორის დადგენილება

---

* «ახალი კომუნისტი» № 20, 1920 წ.

კომუნისტების გასახლების შესახებ. დროებითი ცენტრალური კომიტეტი დაჟინებით მოითხოვს გასცეთ შინაგან საქმეთა მინისტრზე სასწრაფო განკარგულება, რათა მან შეწყვიტოს ადმინისტრაციული რეპრესიები და დევნა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების მიმართ.

დროებითი ცენტრალური კომიტეტი კვლავ ადასტურებს იმას, რომ ორც საქართველოს რესპუბლიკისა და ორც ჩვენი პარტიის ინტერესს არ შეადგენს ადმინისტრაციული აღვირახსნილობა, რომელსაც შეუძლია გაართულოს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა» *.

მენშევიკური მთავრობა თბილისში მყოფ რსფს რესპუბლიკის ელჩს ს. მ. კიროვს და საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობას, «უნდობლობით და ავადმყოფური ეჭვიანობით» უყურებდა. როგორც კიროვი წერდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, მენშევიკური მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ «ჩვენი წარმომადგენლობის სახით აქ ჩამოვიდა «საქართველოს რევოლუციური კომიტეტი». მენშევიკურმა მთავრობამ საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობას გარს შემოახვია ჯაშუშები, აპატიმრებდა მათ შენობაში შემავალ მოქალაქეებს. მენშევიკები აპატიმრებდნენ დიპლომატიურ შიკრიკებს, ჩხრეკდნენ მათ ნივთებს და ა. შ. იმასაც კი შეეცადნენ, რომ სავაჭრო წარმომადგენლობის შენობიდან ჩამოეხსნათ საბჭოთა დროშა.

მენშევიკურ საქართველოში საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის პირობების შესახებ ს. მ. კიროვი 1920 წ. 20 აგვისტოს ლენინისადმი მიწერილ წერილში წერდა:

«ძვირფასო ვლადიმერ ილიას-ძევ!

თქვენი წინასწარი განჭვრეტა აქ მუშაობის შესახებ ბრწყინვალედ და ყოველ ნაბიჯზე დასტურდება...

საკმარისია ითქვას, რომ დღემდე არ არის აღმოფხვრილი საქართველოს მთავრობის აგენტების მხრივ ჩვენდამი.

---

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 24, ს. 170, გვ. 1 — 2.

საკვლევით თავისებური ყურადღების გამოვლინების უაღრესად მახინჯური ფორმები. ამ წარმოუდგენელმა «სიფხიზლემ» ის გამოიწვია რომ ჩვენი ისეთი უვნებელი ორგანოებიც კი, როგორიცაა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლობა, მოკლებული არიან საშუალებას აწარმოონ რაიმე მუშაობა... როგორც მოსალოდნელი იყო ჩვენი ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც კომუნისტური პარტიის ლეგალურ არსებობას ითვალისწინებს, ძნელი მოსანელებელი აღმოჩნდა აქაური მენშევიკებისათვის. უაღრესად მტკიცედ ორგანიზებულმა ქართველმა მენშევიკებმა, გაათავისუფლეს რა დაპატიმრებული კომუნისტები და საშუალება მისცეს რა დანარჩენნი განცხადებულიყვნენ, დაუყოვნებლივ დაიწყეს ფართო რეპრესიები კომუნისტთა პარტიის მიმართ. ქართველმა მენშევიკებმა სრულიად წარმოუდგენელი, ფანტასტიკური მომიზეზებით ხელი მიჰყვეს დაპატიმრებებს და კომუნისტთა პარტიის ლიკვიდაციას, და ამჟამად პარტია უაღრესად მძიმე მომენტს განიცდის: გაზეთები დახურულია, მთელი რიგი ორგანიზაციები სრულიად ლიკვიდირებულია, ბევრი ამხანაგი ციხეებშია გამომწყვდეული, ბევრი გადასახლებულია საქართველოდან» *.

ს. მ. კიროვი მტკიცე პროტესტს აცხადებდა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წ. 7 მაისს დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევის წინააღმდეგ. მენშევიკური მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტებში კიროვი ამხელდა მენშევიკების გამყიდველ პოლიტიკას.

1920 წ. 17 ივლისს მენშევიკურმა მთავრობამ თბილისში დახურა კომუნისტური გაზეთი: «კომუნისტი» (რუსულ ენაზე) და «საქართველოს კომუნისტი» (ქართულ ენაზე) [47], ამასთან პროკურორის განკარგულებით გაზეთების რედაქტორები მიცემულ იქნენ პასუხისგებაში.

კომუნისტური გაზეთების დახურვის საბაბი იყო გაზეთ «კომუნისტის» მოწინავე სტატია, რომელმაც გამოამჟღავნა

* «კომუნისტი» № 17, 1920 წ.

სიმართლე სამხრეთ ოსეთში მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ მომხდარი აჯანყების შესახებ.

1920 წ. 25 აგვისტოს თბილისში გაიხსნა მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის «ლეგალური» ყრილობა. ყრილობა გახსნა ბ. ძნელაძემ. ყრილობის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მიმდინარე მომენტისა და კავშირის ამოცანების შესახებ, 2) დროებითი ცკ ის ანგარიში, 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) მუშა ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ, 5) სოფლად მუშაობის შესახებ და სხვა.

მენშევიკურმა მთავრობამ დაარბია ყრილობა. მიუხედავად ამისა ყრილობამ მოასწრო აერჩია კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის დელეგატი და ბაქოში მოწვეული აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობის დელეგატები. ბ. ძნელაძე დააპატიმრეს და გაასახლეს საქართველოს ფარგლებიდან.

მიუხედავად მუშაობის წარმოუდგენელი სიძნელეებისა, საქართველოს კომუნისტური პარტია განაგრძობდა თავის ლეგალურ არსებობას და გადამჭრელ წინააღმდეგობას უწევდა იმათ, რომლებიც წინადადებას იძლეოდნენ კვლავ გადაეყვანათ პარტიული ორგანიზაცია არალეგალურ მდგომარეობაზე.

30 აგვისტოს ს. მ. კიროვი ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ წერილში წერდა:

«აქ განსაკუთრებული ახალი ამბები არაფერია. საქართველოს მთავრობა კვლავინდებურად ყოყმანობს, არ იცის გარკვევით საითკენ გადიხაროს — ჩვენსკენ თუ ანტანტისაკენ. ამასობაში კი საქართველოს სამეურნეო ცხოვრება დღითიდღე სულ უფრო და უფრო გარკვევით ირღვევა და სრულიადაც შორს აღარ არის ის დრო, როცა ნოე ჟორდანიას საქართველოს ეგზარქოსთან ერთად მოუხდება გოდება «ბაბილონის მდინარეთა პირას» *.

---

* ს. მ. კ ი რ ო ვ ი, რჩეული სტატიები და სიტყვები. 1918—1934, გვ. 13.

VII

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოს ნაციონალურ რაიონებში

ქართველი მენშევიკები საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხთა მიმართ დიდმპყრობელურ ნაციონალ-შოვინისტურ პოლიტიკას ახორციელებდნენ. მენშევიკების ბატონობის დროს ყველა არაქართველი ეროვნება ფაქტიურად მოკლებული იყო საერთო მოქალაქეობრივ უფლებებს. ქართველი ხალხი მპყრობელ, გაბატონებულ ეროვნებად იყო გამოცხადებული. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა წინააღმდეგი იყო ავტონომია მინიჭებოდათ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელებს თვით საქართველოს ფარგლებშიც კი.

მენშევიკებმა საქართველოში შემოიღეს შეკვეცილი საერობო თვითმმართველობა, მაგრამ ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებს ეს ბურჟუაზიულ-ლიბერალური რეფორმაც არ აღირსეს. ნაციონალურ უმცირესობებს ისინი უკრძალავდნენ დედაენის ხმარებას სკოლაში, სასამართლოში და სხვ.

საქართველოში მენშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ და უცხოელ იმპერიალისტთა ფაქტიურმა ბატონობამ ის გამოიწვია, რომ უკიდურესად გამწვავდა ნაციონალური ურთიერთობა საქართველოს გაბატონებულ კლასებსა და ნაციონალურ უმცირესობათა მასებს შორის.

საქართველოს ყველა ეროვნების მშრომელებმა კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, რომელმაც ყველა ხალხთა თანასწორობა და ერთა თვითგამორკვევის უფლება გამოაცხადა, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ნაციონალურ შუღლს, შეუძლია წესიერად მოაწყოს მათი ბედიღბალი. კომუნისტების ხელმძღვანელობით ყველა ეროვნების მშრომელი მასები მშრომელ ქართველებთან ხელი-ხელჩაკიდებულნი დაძაბულ ბრძოლას ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის და მოითხოვდნენ კავშირურთიერთობის აღდგენას რუსეთის სფს რესპუბლიკასთან.

* * *

მშრომელი ოსების მთელი ისტორია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი მშრომელი ხალხის ისტორიასთან.

როდესაც ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა სეიმმა საბჭოთა რუსეთთან კავშირის გაწყვეტა დაადასტურა და ამიერკავკასია «დამოკიდებულ» რესპუბლიკად გამოაცხადა, სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა ჯავასა და ცხინვალში შემდგარ ხალხმრავალ ყრილობებზე 1918 წლის მარტში მტკიცე პროტესტი განაცხადეს ამ ფაქტის წინააღმდეგ.

მენშევიკებმა ოსეთის მშრომელთა ამ პროტესტს რეპრესიების გაძლიერებით უპასუხეს, დევნა დაუწყეს ფრონტიდან დაბრუნებულ კომუნისტურად განწყობილ ოს ჯარისკაცებს, იარაღს ართმევდნენ მათ. ქართველმა მემამულეებმა მოაწყეს შავი რაზმები და იძულებითი წესით კრეფდნენ ოს გლეხებში რამდენიმე წლის განმავლობაში დაგროვილ მიწის საიჯარო ქირის ნარჩენებს და სხვა ბეგარასაც ასრულებინებდნენ მათ.

მასების აღშფოთება იზრდებოდა. ოსმა გლეხებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი.

მოძრაობას ხელმძღვანელობდა რევოლუციური გლეხობის კავშირი, რომელიც 1917 წ. აგვისტოში ჩამოყალიბდა.

შეიარაღებული აჯანყება დაიწყო 1918 წ. 14 მარტს ოსეთის სოფლებში ყორნისსა და ორტევში. მალე აჯანყების

ალი მოედო ცხინვალისა და ჯავის რაიონებს. აჯანყებულებს უერთდებოდნენ ქართული სოფლებიც. 1918 წ. 19 მარტს აჯანყებულებმა აიღეს დაბა ცხინვალი (ამჟამად ქალაქი სტალინირი) და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აჯანყების რაიონში მენშევიკებმა გადაისროლეს დიდი სამხედრო და «სახალხო გვარდიის» ნაწილები ვ. ჯუღელისა და გენერალ კონიევის სარდლობით. შეუპოვარი ბრძოლა დაბა ცხინვალის ხელში ჩაგდებისათვის რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ორივე მხარემ დიდი ზარალი განიცადა.

მაგრამ აჯანყებულებს მოუხდათ დროებით ხელი აეღოთ შეიარაღებული ბრძოლის გაგრძობაზე.

ოს მშრომელ გლეხთა რევოლუციური ბრძოლა მენშევიკებმა გამოიყენეს უბოროტესი ნაციონალურ-შოვინისტური პროპაგანდისათვის.

მაგრამ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა ქართველ მუშებთან და გლეხებთან ერთად საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ არა თუ არ შეწყვეტილა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა და რაც უფრო იზრდებოდა და მტკიცდებოდა კომუნისტური ორგანიზაცია სამხრეთ ოსეთში, ეს ბრძოლა მით უფრო აშკარა პოლიტიკური გამოსვლების ხასიათს ღებულობდა, გამოსვლებისა, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და კავშირის აღდგენა რსფს რესპუბლიკასთან.

1918 წ. ზაფხულზე სამხრეთ ოსეთში უკეთ მოგვარებული იქნა კომუნისტური ორგანიზაციების მუშაობა. 30 ივლისს ჯავაში გაიმართა პარტიული კონფერენცია, სადაც შეიქმნა რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციული ბიურო.

1919 წ. დამდეგს სამხრეთ ოსეთში არსებობდნენ პარტიული კომიტეტები როკში, ჯავაში, ქემულეთში, ნონისში, ცხინვალში, წუნარში, ყორნისში, ოქონაში, ორთევ-ბელოთსა და სხვაგან.

1919 წ. 12 ივნისს ჯავაში გაიმართა კომუნისტური ორგანიზაციების არალეგალური კონფერენცია, სადაც არჩეულ იქნა რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი.

სამხრეთ ოსეთის კომუნისტურ ორგანიზაციაში ამ დროს ითვლებოდა 960 წევრამდე და 3 ათასამდე თანამგრძნობი.

სამხრეთ ოსეთის კომუნისტური ორგანიზაციის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით და დირექტივებით.

1919 წ. სექტემბერში სამხრეთ ოსეთში ჩამოყალიბდა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი «სპარტაკი», რომელიც შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სერიოზულ როლს თამაშობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ბრძოლაში.

მენშევიკებმა სამხრეთ ოსეთს არ მისცეს ავტონომია იმ მოტივით, რომ თითქოს ოსებს არა აქვთ ტერიტორია, ვინაიდან, მენშევიკების აზრით, «ჯავის ხეობის სამი სოფლის თემი არ შეიძლება ასეთ ტერიტორიად ჩაითვალოს». ეს იყო ქართველ დიდმპყრობელურ ნაციონალისტთა პოლიტიკა. მიმართული ნაციონალური უმცირესობის წინააღმდეგ.

ოსეთის მშრომელმა მოსახლეობამ უარი განაცხადა და არ მიიღო მონაწილეობა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. 1919 წ. მენშევიკურმა მთავრობამ გარეკა და კანონგარეშე გამოაცხადა 1918 წ. შექმნილი სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო, სადაც 30 ადგილიდან 19 ადგილი კომუნისტურ ორგანიზაციას ეკუთვნოდა.

1919 წლის ნახევრიდან სამხრეთ ოსეთის კომუნისტურმა ორგანიზაციამ გააჩაღა შეიარაღებული აჯანყების მომზადება. ამ აჯანყებას იგი უკავშირებდა საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას საქართველოში, რაც რკპ (ბ) კავკასიის კომიტეტის ხელმძღვანელობით მზადდებოდა.

აჯანყება დაიწყო როკის რაიონში 1919 წ. 23 ოქტომბერს. მენშევიკური ადმინისტრაცია გააძევეს და რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მაგრამ აჯანყების დამარცხებამ საქართველოში გადაწყვიტა აჯანყების ბედი სამხრეთ ოსეთშიც. აჯანყების ხელმძღვანელები და მონაწილეები მენშევიკების დიდძალი შეიარაღებული ძალების

შემოტევის შედეგად თოვლიანი უღელტეხილით ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდნენ.

იმასთან დაკავშირებით, რომ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით მზადდებოდა ახალი საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, სამხრეთ ოსეთის კომუნისტებმაც ენერგიული მუშაობა გაიჩაღეს.

1920 წ. 23 მარტს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაამტკიცა სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის ახალი შემადგენლობა და შეიარაღებული აჯანყების ვეგმა. აჯანყება დაიწყო მაისის დამდეგს როკის რაიონში. აჯანყებულებმა გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება, დაიკავეს როკის რაიონის მისადგომები და დიდი წარმატებით იგერიებდნენ მენშევიკური ჯარის ყველა იერიშს.

1920 წ. დამდეგს კავკავიდან აჯანყებულებს მიეშველა ოსთა რაზმი, რომელიც 1919 წლის დამლეს უკან დახევისას ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა. მაშველი რაზმის დახმარებით აჯანყებულებმა სასტიკად დაამარცხეს მენშევიკური ჯარები. 8 ივნისს მათ დაიკავეს ცხინვალი და სამხრეთ ოსეთში გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება.

სამხრეთ ოსეთის რევოლუციურმა კომიტეტმა ამასთან დაკავშირებით გამოსცა შემდეგი ბრძანება:

«სამხრეთ ოსეთის აჯანყებულმა გლეხებმა გააძევეს საქართველოს მენშევიკური ჯარები და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება.

მთელი ძალაუფლება აღნიშნულ ტერიტორიაზე ექვემდებარება მთელი სამხრეთ ოსეთის რევოლუციურ კომიტეტს, რომლის ადგილსამყოფელი არის ქ. ცხინვალში.

ეცნობოს რსფს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ ოსეთის სურვილი შეუერთდეს საბჭოთა რუსეთს».

მაგრამ სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა ვერც ამჯერად მოახერხეს განემტკიცებიათ გამარჯვება. მენშევიკებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ გადაისროლეს დიდძალი ქვეითი ჯარი და კავალერია, «სახალხო გვარდიელები», 2 სამთო ბატარეა

და ავიაცია. აჯანყების ჩაქრობის ჯალათური როლი დაეკისრათ «სახალხო გვარდიის» ნაწილების მეთაურს ვ. ჯუღელს და სამხედრო მინისტრს გ. ლორთქიფანიძეს. მენშევიკურმა პრესამ აამოქმედა ცილისწამებისა და სიცრუის მთელი არსენალი, რათა გაემართლებინა მენშევიკური მთავრობის უმაგალითო სისასტიკე.

ცხარე ბრძოლის შემდეგ აჯანყებულები იძულებული შეიქნენ დაეტოვებინათ ცხინვალი. შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა კეხვის ხევში. 23 ივნისს მტერმა აიღო რევოლუციური სამხრეთ ოსეთის უკანასკნელი სიმაგრე — როკი[50].

20 ივნისს მენშევიკებმა ცხინვალში დახვრიტეს ტყვედ ჩავარდნილი 13 ოსი კომუნისტი.

სპეციალურ წერილში აჯანყებულებმა აცნობეს რსფს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელ ს. მ. კიროვს მენშევიკების მხეცობის შესახებ და სთხოვდნენ მას მფარველობას:

«სამხრეთ ოსეთის წითელი აჯანყებულები, — ნათქვამი იყო წერილში, — უვაზნოდ დარჩენილნი, იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ მშვიდობიან მცხოვრებთა ნაწილთან და ცოლშვილთან ერთად, დაახლოებით ოცი ათასი კაცის რაოდენობით, საბჭოთა თერგის ოლქში. უდიდესი მასა კი სამხრეთ ოსეთის ტყეებში დარჩა. ჟორდანიას და კომპანიის მთავრობის მენშევიკური ბანდები დევნიან და ჟლეტენ მათ. სოფლები, სადაც საბჭოთა ხელისუფლება იყო გამოცხადებული, გადაწვარია».

საქართველოს კომპარტიამ და ს. მ. კიროვმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს მენშევიკური მხეცობის წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთში.

რსფს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჯერ კიდევ 1920 წ. 17 მაისს მენშევიკურ მთავრობას გაუგზავნა შემდეგი ნოტა:

«...ჩვენ შეშფოთებით გავიგეთ, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკა, ასეთი ხელისუფლების მოსპობისათვის გაგზავნილია ქართველი ჯარები.

ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, თუ ეს სწორია, გაიწვიოთ თქვენი ჯარები ოსეთიდან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ოსეთს ისეთი ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც სურს. საქართველოს ჩარევა ოსების საქმეებში იქნებოდა სრულიად გაუმართლებელი ჩარევა უცხო საქმეებში» *.

მაგრამ მენშევიკები არ ცხრებოდნენ და განაგრძობდნენ რეპრესიული ზომების მიღებას სამხრეთ ოსეთის მშრომელთა წინააღმდეგ[51].

თერგის ოლქში ლტოლვილი ოსები პირველ ხანებში, სანამ მათ საბჭოთა ორგანოები დაეხმარებოდნენ, გაუგონარ გაჭირვებას განიცდიდნენ. მაგრამ მშრომელ ოსთა საბრძოლო რევოლუციური სულისკვეთება ვერაკითარმა გაჭირვებამ ვერ გატეხა. სამხრეთ ოსეთის ლტოლვილ აჯანყებულთაგან ვლადიკავკაზში ჩამოყალიბდა ბრიგადა, რომელმაც წითელი არმიის ნაწილებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთ კავკასიაში თეთრგვარდიელთა დესანტის განადგურებაში. ეს დესანტი, რომელსაც «რუსეთის აღორძინების არმია» ეწოდებოდა, ესენტუკ-კისლოვოდსკის რაიონში მოქმედებდა.

მძიმე ბრძოლებში თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთის ბრიგადამ, წარმატებით შეასრულა რა სარდლობის დავალება, თავისი შემადგენლობის თითქმის ნახევარი დაკარგა. შემდეგ იგი ჩაირიცხა სამხრეთ ოსეთის ცალკე რაზმში და 1921 წ. თებერვალში მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის სამხრეთ ოსეთში.

პირველი ცნობები პეტროგრადში მომხდარი თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შესახებ აფხაზეთში გამოქვეყნდა 1917 წლის 16 მარტს. სუხუმში შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭო, რომლის ხელმძღვანელობა ხელში ჩაიგდეს მენშევიკებმა. 23 მარტს აფხაზეთის ბურჟუაზიამ და მემამულეებმა მოაწყეს «საზოგადოებრივი უშიშრობის საოლქო კომიტეტი» აფხაზეთის მთავართა ნაშიერის — თავად ა. შერვაშიძის თავმჯდომარეობით. აფხაზეთის მილიციის სათავეში ჩაყენებულ იქნა დიდი მემამულე,

* საქ. სსრ ცსსა. ფ. 13, ს. 69, გვ. 42.

ცნობილი რეაქციონერი თავადი გ. მარშანია. ძველ პოლიციელებს სახელი გამოუცვალეს და «სახალხო მილიციონერები» დაარქვეს.

მაგრამ აფხაზეთში, ისე როგორც ამიერკავკასიის სხვა რაიონებში, ობორონცულმა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა ვერ შეძლეს შეეჩერებინათ მასების ბოლშევიზაციის პროცესი და რევოლუციის შემდგომი განვითარება.

აფხაზეთის კომუნისტურ ორგანიზაციას, როგორც ერთერთ რაზმს საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისა, დიდებული საბრძოლო ტრადიციები ჰქონდა.

ჯერ კიდევ 1903 წ. აფხაზეთში არსებობდა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. აფხაზეთის მუშებისა და გლეხების გმირულ ბრძოლას რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ხელმძღვანელობდა გ. კ. ორჯონიკიძე. იგი რაზმავდა აფხაზეთის მუშებისა და გლეხების მასებს შეიარაღებული ბრძოლისათვის ცარიზმის, შემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

აფხაზეთის კომუნისტებს რევოლუციური ბრძოლა არ შეუწყვეტიათ არც პირველი მსოფლიო ომის წლებში. ისინი ხელმძღვანელობდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა რევოლუციურ მოძრაობას და ამზადებდნენ მათ ძლევამოსილი რევოლუციისათვის.

რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის შემდეგ სუხუმში შეიქმნა რსდმპ (ბ) საოლქო კომიტეტი გ. ა. ათარბეგოვის მეთაურობით, რომელიც მაშინ გუმისთის უბნის პლანტაციის მუშათა პროფკავშირის მდივნად მუშაობდა.

1917 წ. აფხაზეთის კომუნისტურ ორგანიზაციაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდა კ. მელაძე, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული შავი ზღვის სანაპიროს თამბაქოს პლანტაციების მუშებთან. იგი გამცემლურად მოჰკლეს 1918 წ. 4 იანვარს. მისი დასაფლავება დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

ძლიერი კომუნისტური ფრაქცია იყო სუხუმის მუშათა დეპუტატების საბჭოში. 1918 წ. დამდეგს სუხუმის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კომუნისტი. ამის შედეგად კომუნისტური ფრაქციის გავლენა გაძლიერდა. კომუნისტები ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ აგრეთვე სუხუმის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში და გაგრის მუშათა დეპუტატების საბჭოში. გუდაუთის რაიონში გაბატონებული გავლენა მშრომელ მასებზე ეკუთვნოდათ კომუნისტებს.

გალის (სამურზაყანოს) რაიონში ჯერ კიდევ 1916 წ. შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობაზე ჩამოყალიბდა ბოლშევიკური ორგანიზაცია. თებერვლის რევოლუციის შემდეგ კომუნისტებმა თავისი გავლენა გაავრცელეს მთელს რაიონზე.

აფხაზეთში, განსაკუთრებით გალის რაიონში წარმატებით ეწეოდნენ ბოლშევიკურ აგიტაციას გლეხთა მშრომელ მასებში ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები.

კონტრრევოლუციურმა ამიერკავკასიის კომისარიატმა, რომელიც ახორციელებდა საბჭოთა რუსეთისაგან აფხაზეთის იზოლაციის პოლიტიკას, 1917 წ. ნოემბერს სუხუმში მოიწვია ეგრეთწოდებული გლეხთა ყრილობა.

დემაგოგიით, ძალადობით და თაღლითური მაქინაციებით არჩევნების დროს მენშევიკებმა ყრილობაზე გაიყვანეს მრავალი კულაკი, თავადი და აზნაური და ამით უზრუნველყვეს თავიანთი უმრავლესობა. ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება შეექმნათ ეგრეთწოდებული «აფხაზეთის სახალხო საბჭო», რომელიც აფხაზეთში ნაციონალისტური მოძრაობის ცენტრი გახდა. ეს «სახალხო» საბჭო შედგენილი იყო უმთავრესად ბურჟუაზიულ-მემამულური ელემენტებისაგან. მას არსებითად არავითარი რეალური ძალა არ გააჩნდა და ცდილობდა შეერიგებინა აფხაზები მენშევიკების მთავრობასთან.

მაგრამ როდესაც აფხაზეთის «სახალხო» საბჭოში თავი იჩინა ოპოზიციამ საქართველოს მენშევიკური მთავრობისადმი 1918 წ. 10 ოქტომბერს, იგი დაშლილ იქნა. «მრავალრიცხოვანი საარჩევნო ხრიკებით და ხერხებით, — წერდა გაზეთი

«ეიზნ ნაციონალნოსტეი», — მოეწყო ახალი არჩევნები დ. 1919 წ. გაზაფხულზე, როგორც იქნა, შეიკრიბა აფხაზეთის მე-2 სახალხო საბჭო, რომელიც გამოცხადებულ იქნა კანონიერად იმიტომ, რომ იქ ხელოვნურად გაიყვანეს მენშევიკებისა და ესერების მომხრეები»*.

სავალალო იყო აფხაზეთის «სახალხო» საბჭოს არსებობა. იგი მშრომელთა მასების არავითარი ნდობით არ სარგებლობდა. ფაქტიურად მთელი მისი მოქმედება იმაში გამოიხატებოდა, რომ დროდადრო იგი დელეგაციას გზავნიდა თბილისში «იმ მიზნით, რომ მიეღო უფლება საზღვარგარეთ გაეტანა თამბაქო, კარტოფილი, ლობიო, სიმინდი, თხილი», ან ითხოვდა მცირედ დათმობებს შინაური მმართველობის დარგში.

ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც მეთაურობდნენ კონტრრევოლუციას აფხაზეთში, გააჩაღეს აშკარა ბრძოლა კომუნისტურად განწყობილ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ამ მიზნით ისინი აფხაზეთში ადგენდნენ აზნაურთა, კულაკთა და ყოფილ ოფიცერთა რაზმებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის კომისარიატი გლეხთა გამოსვლების ზეგავლენით იძულებული შეიქნა 1917 წ. 16 დეკემბერს გამოეცა «დებულება სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძომფლობელური მიწების საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ». 1917 წ. 27 დეკემბერს აფხაზეთის «სახალხო» საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც სრულიად არ ვნებდა მემამულეთა მიწათმფლობელობას. ვინაიდან მას არ გაუკეთებია არავითარი პრაქტიკული მითითება მიწის რეფორმის განხორციელებისათვის, ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. აფხაზეთის საადგილმამულო კომიტეტს მიეცა განკარგულება «ეწარმოებინა ბრძოლა მიწების დატაცებისა და განაწილების წინააღმდეგ და დაეცვა ტყეები გაჩეხისაგან».

---

* «ეიზნ ნაციონალნოსტეი» № 2, 1919 წ.

1917 წ. შემოდგომისათვის და 1918 წლის დამდეგს აფხაზეთის სოფლებში საგრძნობლად გამწვავდნენ კლასობრივი წინააღმდეგობანი. გლეხები რევოლუციური გზით ეპატრონებოდნენ მემამულეთა და კულაკთა მიწებს და თვითონ სპობდნენ ფეოდალურ-ბატონყმურ ნაშთებს. იმ მიზნით, რომ უზრუნველეყოთ ორგანიზებულობა ბრძოლაში თავადაზნაურ-მემამულეთა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბზიბის რაიონში 1917 წ. დამლევს შეიქმნა გლეხთა შეიარაღებული რაზმი «ქერაზის» სახელწოდებით.

1917 წ. აფხაზეთში ჩამოყალიბდა მბეჭდავების, ნავსადგურთა მტვირთავების, გზატკეცილთა მუშების, მკვებავების, სამშენებლო მუშების, სუხუმის ქალაქის გამგეობის მოსამსახურეების, გემთა მოსამსახურეების და სხვ. პროფკავშირები. 1918 წ. დამდეგს დაარსდა გემ-სატრანსპორტო საწარმოთა მოსამსახურეების პროფკავშირი.

აფხაზეთის პროფკავშირები იბრძოდნენ მუშათა მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და 1917 წელს და 1918 წლის პირველ ნახევარში არაერთხელ გამოუცხადებიათ გაფიცვები.

განსაკუთრებით დიდი და შეუპოვარი იყო შავი ზღვის რკინიგზის ხაზის, სამურზაყანოს და კოდორის უბნების მუშა-რკინიგზელთა გაფიცვა 1917 წ. მაისში. ეს გაფიცვა კომუნისტების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ამ გაფიცვის შედეგად შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობა შეწყდა, ხოლო კომუნისტების გავლენის ქვეშ მყოფი მუშები დაითხოვეს.

ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1918 წ. თებერვალში ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის შემდეგ, საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის იურიდიული გაფორმების პერიოდში მთელს ამიერკავკასიაში გაჩაღებული იყო მუშათა და გლეხთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ეს ბრძოლა წარმატებით დამთავრდა ბაქოში, რომელიც «ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ციტადელი გახდა». ჩაღდებოდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში.

შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება დაიწყო აფხაზეთის კომუნისტურმა ორგანიზაციამაც. მან მიიღო იარაღის ტრანსპორტი ბათუმიდან და გამოიმუშავა შეიარაღებული აჯანყების გეგმა.

ახორციელებდნენ რა ამ გეგმას, აფხაზეთის კომუნისტებმა 1918 წ. 11 (24) მარტს მოაწყეს წარმატებითი აჯანყება გაგრასა და გუდაუთში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. აჯანყებულებს მიეშველა წითელი გვარდიის რაზმი სოჭიდან.

აჯანყებულთა რაზმმა განავითარა პირველი წარმატება, ახალ ათონთან დაამარცხა კონტრრევოლუციური ძალები, რომელიც სწრაფად მიიწევდა სუხუმისაკენ და 6 აპრილს შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა მის მისადგომებზე. ამ დროს მენშევიკების ზურგში დრანდისა და წებელდის მხრიდან სუხუმს მოადგნენ აჯანყებულთა სხვა რაზმები ათარბეგოვის მეთაურობით.

6 აპრილს (24 მარტს) დილით აჯანყებულები შევიდნენ ქალაქში და დაიკავეს ფოსტა, ტელეგრაფი და მთავრობის სხვა დაწესებულებანი.

შეიქმნა დროებითი რევოლუციური კომიტეტი და გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

სუხუმის მუშათა დეპუტატების საბჭომ თავის პირველ სხდომაზე შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

«აღიარებულ იქნას სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება, ვიმუშაოთ სრულ კონტაქტში საინჟენრო-რევოლუციურ კომიტეტთან და სუხუმის ოლქის გლეხთა დეპუტატების საუბნო საბჭოებთან, რომლებსაც იგივე პოზიცია უკავიათ. ხელთ ავიღოთ ძალაუფლება სუხუმში. დაევალოს სუხუმის ოლქის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მიიღოს ზომები მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ყრილობის რაც შეიძლება სასწრაფოდ მოწვევისათვის, რათა შექმნილ იქნას ხელისუფლების საოლქო ცენტრალური საბჭოთა ორგანო»*.

---

* «სუხუმსკაია პრავდ» № 18, 1918 წ.

11 აპრილს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა გალის რაიონში. გუმისთის რაიონის გლეხთა ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება ეცნო საბჭოთა ხელისუფლება და მთელი ძალ-ღონით დაეცვა იგი როგორც შინაური, ისე გარეშე კონტრრევოლუციისაგან*.

საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა სამეურზაყანოშიც. აირჩიეს გლეხთა დეპუტატების საბჭო, შექმნეს რევოლუციური კომიტეტი და ჩამოაყალიბეს აჯანყებულთა დიდი ოაზმი. ამრიგად, აფხაზეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე გაუქმებულ იქნა ამიერკავკასიის კომისარიატის ორგანოები და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. თავადაზნაურთა და მენშევიკური რაზმების ნაშთებისაგან შემდგარი ბანდა დარჩა მხოლოდ კოდორის რაიონში და ისიც კულაკების დახმარების მეოხებით.

სუხუმში გამოვიდა კომუნისტური გაზეთი «სუხუმსკაია პრავდა» — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ორგანო, — რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, კომუნისტური იდეების პროპაგანდისა და საბჭოთა რუსეთის შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელების საქმეში. გაზეთ «სუხუმსკაია პრავდაში» იბეჭდებოდა ლენინისა და სტალინის სტატიები, საბჭოთა მთავრობის დეკრეტები და დადგენილებანი, შუქდებოდა წითელი არმიის საგმირო საქმეები.

სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა გამოიყენა საბჭოთა რუსეთის გამოცდილება და დაუყოვნებლივ შეუდგა უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება აფხაზეთში. 8 აპრილს რევოლუციურმა კომიტეტმა დაშალა მენშევიკური გვარდია და მილიცია და დაიწყო წითელი გვარდიის ჩამოყალიბება მუშებისა და მშრომელი გლეხობისაგან. ყოფილი საკადრო ჯარისკაცებისაგან ჩამოყალიბდა საგანგებო რაზმი. რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა არმავირის

* «სუხუმსკაია პრავდა» № 16, 1918წ.

წითელგვარდიელთა რაზმი, რომელიც სუხუმში ჩავიდა 1918 წ. 27 აპრილს. სუხუმში თავი მოუყარეს შეიარაღებულ რაზმებს სოჭიდან, გაგრიდან და გუდაუთიდან. საადგილმამულო საკითხის გადასაჭრელად შეიქმნა «საადგილმამულო კომიტეტი».

17 აპრილს «სუხუმსკაია პრავდა» წერდა: «მდიდრებს და თავადებს სურთ, რომ მიწა მათ ხელში დარჩეს, რათა მათ შეძლონ კვლავაც ხალხის ხარჯზე იცხოვრონ. გლეხებისათვის საჭიროა, რომ მთელი მიწა, კერძომფლობელური, საუფლისწულო, სამონასტრო და ა. შ. გადავიდეს მშრომელი ხალხის ხელში, იმათ ხელში, ვინც თავისი ოფლით ამუშავებდა მიწას, ვინც თვითონ არჩენს თავის თავსა და თავის ოჯახს, — თვითონ გლეხთა ხელში, რომლებიც უნდა გახდნენ თავიანთი მიწის ბატონ-პატრონები».

განხორციელდა სახელმწიფო ბანკის განყოფილებისა და კერძო ბანკების ნაციონალიზაცია, სეიფების კონფისკაცია, შეძლებულ კლასებს დაეკისრა საშემოსავლო გადასახადები. რევოლუციური კომიტეტი დაეპატრონა ყველა სტამბას, მან მოახდინა მთელი ქაღალდის რეკვიზიცია. მძიმე სასურსათო მდგომარეობის შესამსუბუქებლად მიღებულ იქნა ენერგიული ზომები სუხუმში ფქვილის შემოსაზიდად, დაწესდა მტკიცე ფასები პურზე. რევოლუციური კომიტეტის ენერგიული ზომების მეოხებით გამოვლინებულ იქნა სურსათის შინაური რესურსები და ნოვოროსიისკიდან მიიღეს 5 ათასი ფუთი ფქვილი.

ადგილებზე ყველგან ირჩევდნენ რევოლუციურ კომიტეტებს, აწესრიგებდნენ ხელისუფლების საბჭოთა ორგანოების მუშაობას, ეწეოდნენ ბრძოლას საბოტაჟთან და ბურჟუაზიულ-მემამულურ კულაკურ კონტრრევოლუციასთან, რომელიც განაგრძობდა წინააღმდეგობას.

რევოლუციური კომიტეტი და მისი ორგანო «სუხუმსკაია პრავდა» განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მრავალერიანი აფხაზეთის მშრომელი მასების აღზრდას ყველა ერის ძმობისა და სოლიდარობის, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის სულისკვეთებით.

«მუშები და გლეხები სხვადასხვა ერისანი არიან, — წერდა «სუხუმსკაია პრავდა», — მაგრამ მათ თავისი საერთო ინტერესები აქვთ, მათ არაფერი აქვთ გასაყოფი, მათ ერთად უნდა იბრძოლონ თავიანთი ექსპლოატატორების წინააღმდეგ, დამმონებელთა წინააღმდეგ *.

რევოლუციური კომიტეტი ახორციელებდა მთელ რიგ ღონისძიებებს კულტურული მშენებლობის დარგშიც.

მაგრამ 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთში მხოლოდ 42 დღე იარსება. თავი წამოყო შინაურმა და საგარეო კონტრრევოლუციამ. აფხაზეთის თავადაზნაურები თურქეთის დესანტს ამზადებდნენ. ჩრდილოეთ კავკასიისა და ყუბანის თეორგვარდიელობა გაძლიერებით აწვებოდა აფხაზეთს. ქართველი მენშევიკების ინიციატივით ამიერკავკასიის სეიმმა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების ჩასახშობად დიდი სამხედრო ძალები დასძრა. 1918 წლის 10 მაისს მენშევიკურმა ჯარებმა შეტევა დაიწყეს ოჩამჩირიდან საბჭოთა სუხუმის წინააღმდეგ, რომლებიც გზადაგზა თავადაზნაურ-კულაკთა რაზმებს იერთებდნენ.

აფხაზეთის სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა მობილიზაცია გაუკეთა მუშებსა და გლეხებს და მთელ თავის შეიარაღებულ ძალებს თავი მოუყარა პოზიციაზე მდინარე კოდორთან (სუხუმიდან 22 კილომეტრზე). 11 მაისს დაიწყო კოდორის ბრძოლა. მოწინააღმდეგეს ჰყავდა რეგულარული ჯარები და ძლიერი არტილერია, მაგრამ მიუხედავად ამისა წითელმა რაზმებმა გმირული ბრძოლით 7 დღის განმავლობაში გაუძლეს მტრის ქარბ ძალებს.

ამხნევებდა რა წითელ მებრძოლებს, რევოლუციური კომიტეტი თავის მოწოდებაში წერდა:

«ეს არის კლასობრივი ბრძოლა, და მხოლოდ ბრმები ვერა ხედავენ, რომ, ერთი მხრით, იბრძვიან კალედინისა და კორნილოვის ბანდები, ბურჟუაზიული რადა, ამიერკავკასიის თავგზაბნეული თეთრთავადური სეიმი და კულაკები, ხოლო, მეორე

* «სუხუმსკაია პრავდა», №8, 1918 წ.

მხრით — ამავე გენერლების, კაპიტალისტებისა და სპეკულანტების მიერ ნაგვემ-ნაწამები მრავალმილიონიანი მშრომელი ხალხი. მენშევიკები, რომლებიც ამ რეაქციულ ტალღას მიჰყვებიან, მხოლოდ დანაშაულებრივ შირმას წარმოადგენენ რევოლუციის ულმობლად ჩაქრობისათვის, გლეხებთან და მუშებთან სასტიკად გასწორებისათვის...» *

მიუხედავად დიდი გმირობისა, წითელი რაზმები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ კოდორის ფრონტიდან და 17 მაისს მათ დატოვეს სუხუმი.

აჯანყებულები გამაგრდნენ გუდაუთისა და გაგრის რაიონში და დაიწყეს მზადება ახალი შეტევისათვის სუხუმზე.

თბილისიდან აფხაზეთის ფრონტზე გაიგზავნა ახალი მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები გენერალ მახნიევის სარდლობით. იგი სუხუმში ჩავიდა 22 ივნისს. გენერალ მაზნიევს მინიჭებული ჰქონდა «აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორის» ძალაუფლება. მენშევიკურმა მთავრობამ გენერალ მაზნიევს დაუსახა ამოცანა დაეკავებია სოჭისა და ტუაფსის რაიონები ნავსადგურ ტუაფსიოურთ. აჯანყებულები ყველგან შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ მენშევიკურ ჯარს. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა გაიმართა მდინარე ბზიბის გადასასვლელებზე. მხოლოდ მესამე დღეს შეძლეს მენშევიკურმა ნაწილებმა გადაელახათ მდინარე.

წითელმა რაზმებმა გაარღვიეს გარემოცვა და თეთრ კაზაკთა ყუბანზე გავლით ჩრდილოეთ კავკასიის წითელ არმიას შეუერთდნენ.

მას შემდეგ რაც მენშევიკურმა არმიამ დაიკავა გაგრის გუდაუთისა და გუმისთის რაიონები, საბჭოთა ხელისუფლება ერთხანს კიდევ არსებობდა სამურზაყანოს რაიონში. რევოლუციურ კომიტეტს აქ სათავეში ედგა მედგარი კომუნისტი, ფრონტელი — პავლე ძიგუა.

მენშევიკურმა მთავრობამ სამურზაყანოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გადაისროლა «სახალხო» გვარდია და

* «სუხუმსკაია პრავდა» № 23, 1918 წ.

აგრეთვე დიდი სამხედრო ნაწილები არტილერიითა და ავიაციით გენერალ გედევანოვის სარდლობით. მენშევიკურ ჯარს შეუერთდნენ მემამულურ-კულაკური ბანდები. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ 1918 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში საბჭოთა ხელისუფლება დამხობილ იქნა სამურზაყანოშიც. ერთ-ერთ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა პავლე ძიგუა.

ამრიგად, 1918 წლის შემოდგომისათვის მენშევიკებმა თავის გავლენას დაუმორჩილეს მთელი აფხაზეთი. დაიწყო მენშევიკთა კომისრების და მენშევიკების მიერ დანიშნულ მმართველთა უკონტროლო ბატონობა.

1918 წ. აფხაზეთში კომუნისტური განწყობილების «აღმოსაფხვრელად» და რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად საგანგებო კომისრად დაინიშნა ბ. ჩხიკვიშვილი, ხოლო მის მოსვლამდე ოლქში უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება გადაეცა სუხუმის ოლქის შტაბის უფროსს პოლკოვნიკ თუხარელს*.

მენშევიკებმა დახურეს ერთადერთი აფხაზური გაზეთი «აფსნი» და თითქმის ყველა სასოფლო სკოლა.

აფხაზეთის საგანგებო კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა და პოლკოვნიკმა თუხარელმა შეადგინეს რაზმები თავადაზნაურებისა, პლანტატორებისა და რუს თეთრგვარდიელებისაგან. მათ გაძარცვეს ჯვეგრის და სომხური სოფლების მთელი მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელსაც მიაყენეს მილიონობით ზარალი. დამსჯელი რაზმის უფროსმა პორუჩიკმა ყუფუნიამ ქალაქ ფოთის ყოფილმა პრისტავმა, სცემა სოფელ აცის (გუდაუთის რაიონი) მცხოვრებთა კრების ყველა მონაწილეს და ტყვიამფრქვევი დაუშინა მათ. გუდაუთის მაზრის კომისრის თანაშემწემ პორუჩიკმა გრიგორიადიმ სასოფლო კრებებზე გაამათრახა მცხოვრებლები და სოფლის კომისრებად თავისი შეხედულების მიხედვით დანიშნა ხალხისათვის საძულველი პირები — ყოფილი მეფისდროინდელი მამასახლისები.

---

* საჭ. სსრ ცსსა, ფ. 24, ს. 75, გვ. 71.

მიუხედავად სასტიკი ტერორისა, ბრძოლა არ ცხრებოდა. აფხაზეთის რევოლუციური ძალები წელში გასწორდნენ 1918 წლის გაზაფხულზე დამარცხების შემდეგ და კვლავ ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. 1918 წლის დეკემბერს სუხუმში შეიქმნა კომუნისტური «ხელმძღვანელი პარტიული კოლექტივი». კომუნისტების გავლენა მშრომელ მასებში იზრდებოდა.

1919 წლის მარტში სუხუმში გაიმართა არალეგალური კომუნისტური პარტიული კონფერენცია, სადაც აირჩიეს «რკპ(ბ) სუხუმის დროებითი საოლქო კომიტეტი». 1919 წ. მაისის დამდეგისათვის ოლქში 32 კომუნისტური უჯრედი და პარტიის 320 წევრი ითვლებოდა. 1919 წლის ოქტომბერს სუხუმში გაიმართა კომუნისტების არალეგალური საოლქო კონფერენცია. 1920 წლის დამდეგისათვის აფხაზეთის ყველა მაზრაში არსებობდა სამაზრო და რაიონული კომიტეტები, სოფლებში კი — კომუნისტური უჯრედები.

აფხაზეთის კომუნისტები სისტემატურ მუშაობას ეწეოდნენ პროფკავშირებში და პოზიციას პოზიციაზე აცლიდნენ ხელიდან მენშევიკებს. 1919 წლის ივნისში მათ რამდენიმე კომუნისტი გაიყვანეს აფხაზეთის პროფკავშირთა ცენტრალურ ბიუროში.

პროფკავშირები რომ შეენარჩუნებინათ. მენშევიკებმა გააძლიერეს ცილისმწამებლური აგიტაცია კომუნისტების წინააღმდეგ და ახალი არჩევნები დანიშნეს. ამასთან ერთად მათ მოაწყეს ქალაქის თვითმმართველობის კანცელარიის მოსამსახურეთა, ეკლესიების დარაჯთა და სხვა ახალი კავშირები.

მაგრამ არჩევნების შედეგები მენშევიკების სასარგებლო არ აღმოჩნდა. პროფესიულ კავშირთა ახალ ცენტრალურ ბიუროში არჩეულ იქნა 18 კომუნისტი, მაშინ როდესაც მენშევიკებისა და ესერების ბლოკს ბიუროში ჰყავდა სულ 7 კაცი.

ამის გამო კომუნისტური გაზეთი «რაბოჩი» წერდა: «სუხუმის მუშათა პროფესიულმა კავშირმა შემთანხმებლებს ყველა მათ ცდაზე — განედევნათ კომუნისტები პროფკავშირებიდან, ღირსეული და ნამდვილი პროლეტარული პასუხი გასცეს.

დაჩაგრული მუშათა მასების კლასობრივმა ინსტინქტმა სუხუმის მშრომელთ უკარნახა, რომ რუსეთის კომუნისტური პარტია — ეს არის რევოლუციური მასების ერთადერთი საიმედო წინამძღოლი მათს მასობრივ ომში პარაზიტების, კაპიტალისტებისა და მსოფლიო იმპერიალიზმის მეაცებლების წინააღმდეგ პროლეტარიატის დიქტატურისათვის, როგორც სოციალიზმის მიღწევის საიმედო გზისათვის»*.

1919 წლის 22 ივნისს სუხუმში გაიმართა ყველა პროფესიული კავშირის საერთო კრება, სადაც ირჩეოდა დენიკინის წინააღმდეგ რევოლუციური ომისა და ამიერკავკასიის მუშათა ერთიანი ფრონტის საკითხი. მენშევიკები ცდილობდნენ მოესსნათ დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. კრებაზე გამოსულმა მუშა-კომუნისტებმა ღირსეული პასუხი გასცეს მენშევიკებს, მოითხოვეს დაპატიმრებული კომუნისტების განთავისუფლება და მთელი ამიერკავკასიის მუშებთან ერთად ერთიანი ფრონტის შექმნა. კრებამ უდიდესი უმრავლესობით მიიღო კომუნისტების წინადადება.

1920 წელს, საქართველოსა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, აფხაზეთის კომუნისტურ ორგანიზაციას ლეგალურად არსებობის უფლება მიეცა. სუხუმის კომიტეტი გადაკეთდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სუხუმის საოლქო კომიტეტად, რომელიც ენერგიულად შეუდგა თავის წევრთა ხელახალ აღრიცხვას, პარტიული რიგების განმტკიცებას და პარტიული კონფერენციის მოწვევას. მან აფხაზეთის მშრომელთა ფართო მასებში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მასობრივი პროპაგანდა გააჩაღა. მთელი ამ მუშაობის შედეგად მალე მარტოოდენ გუდაუთის რაიონში ითვლებოდა 8 სასოფლო პარტიული კომუნისტური კომიტეტი და 14 მებრძოლი რაზმი 500 კაცის შემადგენლობით. მებრძოლი რაზმები ყალიბდებოდა გალის რაიონში (სამურზაყანოს მაზრა). კომუნისტების მუშაობა ფართოდ გაჩაღდა გაგრის რაიონშიც,

---

* გახ. «რაბოჩი» № 1, 1919 წ.

სადაც, მათ ოფიციალური ცნობით, მიზნად ჰქონდათ დასახული შეიარაღებული რაზმების და აჯანყების მოწყობა.

პროფესიულ კავშირებში უფრო გეგმაშეწონილი მუშაობისათვის კომუნისტურმა ორგანიზაციამ სუხუმში შექმნა კომუნისტური მუშათა ცენტრი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მშრომელთა გარეოლუციონერების საქმეში. 1920 წ. 16 ივნისს სუხუმში ჩამოყალიბდა კომკავშირის სუხუმის საოლქო კომიტეტი. ადგილებზე შეიქმნა კომიტეტები და უჯრედები. კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით კომკავშირი ემზადებოდა შეიარაღებული ბრძოლისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

აფხაზეთის კომუნისტური ორგანიზაციის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა რკპ(ბ) კავკასიის ბიუროსა და საქართველოს კპ ცკ-ის ხელმძღვანელობითა და დირექტივებით.

მენშევიკებმა აშკარად დაარღვიეს რუსეთის სფს რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულება, ახალი რეპრესიებით დაატყდნენ თავს საქართველოს კომუნისტებს და გაანადგურეს აფხაზეთის კომუნისტური ორგანიზაციები, დააპატიმრეს მათი თვალსაჩინო მუშაკები.

გაზეთი «კომუნისტი» 1920 წ. 2 ივლისს წერდა: «...ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ამხანაგია დაპატიმრებული ოლქში არა გვაქვს. არ ვიცით, დაკმაყოფილდებიან თუ არა ამით ბ-ნი მენშევიკები. თუ მხედველობაში მივიღებთ ადმინისტრაციის, კონტრდაზვერვის, განსაკუთრებული რაზმის — მენშევიკური სახელმწიფოებრიობის ამ საფუძველთა — გამალებულ საქმიანობას, უნდა ვიფიქროთ, რომ არ დაკმაყოფილდებიან. სურთ კიდევ ვიღაც ვიღაცეების შეპყრობა, რათა გამოსთიშონ ადგილობრივ ორგანიზაციებს ენერგიული და მომზადებული ამხანაგები. იმ ზომების შედეგად, რომლებიც მიღებულია შინაგან საქმეთა კომისარიატის — თავისი თბილისელი მასწავლებლების ღირსეული მოწაფის — მიერ, ლეგალური მუშაობის შესაძლებლობა აფხაზეთში გამორიცხულია. მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ განსაცდელთა

შედეგად ჩვენი პარტია უფრო დარაზმული და გამობრძმედილი აღმოჩნდება».

1920 წ. 22 ივნისს სუხუმში დააპატიმრეს საქართველოს კპ სუხუმის საოლქო კომიტეტის წევრები. საგანგებო სამხედრო სასამართლომ, რომელიც შექმნილ იქნა აფხაზეთში პოლკოვნიკ სულაქველიძის მეთაურობით, 1920 წ. სექტემბერში 20 სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა კომუნისტებს და კიდეც მოიყვანა სისრულეში. გუდაუთის მაზრის მენშევიკურმა კომისარმა სოფელ მგუძირხვის გლეხებს, რომლებიც კომუნისტებს თანაუგრძნობდნენ, მათრახით სცემა. კომუნისტებისადმი თანაგრძნობისათვის მენშევიკური დამსჯელი რაზმები სრულიად გაუსამართლებლად გლეხებს ადგილზე ხვრეტდნენ. მშრომელთა რევოლუციური გამოსვლების ჩასახშობად მენშევიკებს აფხაზეთში დიდი სამხედრო ძალები ჰყავდათ. 1921 წ. 1 თებერვალს მარტო საბჭოთა რუსეთის საზღვრებზე თავმოყრილი იყო 7750 ჯარისკაცი, 111 ტყვიამფრქვევი, 12 ქვემეხი და 2 ჯავშნიანი მატარებელი *. საზღვრის მთელი ხაზი დაცული იყო მავთულის ღობურებით, ბეტონის სანგრებით, რომლებიც უცხოელი ოფიცრების ხელმძღვანელობით იყო აგებული. ამ ხაზს ეწოდა «დემოკრატიული რესპუბლიკის ფარი».

აფხაზეთის ტერიტორიაზე აყალიბებდნენ თეთრგვარდიულ ნაწილებს და გზავნიდნენ მათ ყირიმში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, 1920 წ. ზაფხულზე წითელმა არმიამ ჩრდილოეთ კავკასიაში ესენტუკ-კისლოვოდსკის რაიონში გაანადგურა თეთრგვარდიელთა დესანტი, ეგრეთწოდებული «რუსეთის აღორძინების არმია». ამ დამარცხებული არმიის ნაწილი ხუთი ათასი კაზაკის შემადგენლობით გენერალ ფოსტიკოვის მეთაურობით გადავიდა აფხაზეთის საზღვრებზე სოფელ პილენკოვოსთან. იქიდან ეს კაზაკები გაგზავნეს უშუალოდ შავი ზღვის ნაპირას მდებარე მამულ იგუმნოვოში, 16 ვერსის მანძილზე გაგრიდან.

---

* წითელი არმიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 109, ს. 789, ფ. 189.

1920 წ. 17 ოქტომბერს ეს კაზაკები მენშევიკური სამხედრო სარდლობის ხელშეწყობით გემებზე დასხეს და კრეისერ «ალმაზის» თანხლებით ვრანგელთან გააგზავნეს ყირიმში.

აფხაზეთის კომუნისტებს საქართველოს კპ ცკ-ის ხელმძღვანელობით ერთი წუთითაც არ შეუსუსტებიათ არალეგალური მზადება ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის. ყველა რაიონში შეიქმნა მებრძოლი რაზმები, რომლებსაც საკმაო რაოდენობით მოეპოვებოდათ ყოველგვარი იარაღი; გულმოდგინედ შეიმუშავეს გამოსვლის გეგმა და ვადა.

1920 წ. შემოდგომისათვის აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში კომუნისტების ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ პარტიზანული რაზმები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ მშრომელი მასები. მაგალითად, 30 კილომეტრზე სუხუმიდან მოქმედებდა 400 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელსაც ჰქონდა 6 ტყვიამფრქვევი.

იმავე წლის დეკემბერში გამოსვლა მოაწყეს გუდაუთის მაზრის გლეხებმა. მენშევიკური ხელისუფალნი იძულებული შეიქნენ იქ გადაესროლათ ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი.

კომუნისტების გავლენით მიმდინარეობს მენშევიკური სამხედრო ნაწილების დაშლა, ჯარისკაცები წითელი არმიის მხარეზე გადადიოდნენ. თვით თეთრგვარდიელმა კაზაკებმა, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და წითელი არმიის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდნენ, განაცხადეს: «აღარ გვსურს ბოლშევიკების წინააღმდეგ ომი»*.

1921 წ. 14 თებერვალს სუხუმში მოიწვიეს პარტიის წევრთა კრება რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს რწმუნებულის მონაწილეობით. ამ კრებაზე მოისმინეს მოხსენებები ადგილებიდან აფხაზეთში პარტიული მუშაობის მდგომარეობის შესახებ, დასახეს გეგმა ორგანიზაციის მუშაობისა იმ ვითარებაში, რომელიც იმ დროისათვის საქართველოში შეიქმნა, და აირ-

---

* წითელი არმიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 109, ს. 788, გვ. 73.

ჩიეს საქართველოს კპ სუხუმის საოლქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

ახლად არჩეული საოლქო კომიტეტი მალე სათავეში ჩაუდგა მშრომელთა მასების შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად აფხაზეთში.

* * *

აჭარის მდგომარეობა რამდენადმე განსხვავდებოდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მდგომარეობისაგან. აქ მენშევიკები სრული ბატონ-პატრონები გახდნენ მხოლოდ 1920 წ. მეორე ნახევრიდან. ამ დრომდე აჭარა ცოტა ხნის განმავლობაში დაკავებული ჰქონდათ თურქ ოკუპანტებს, ხოლო შემდეგ ინგლისელ ინტერვენტებს.

იმის შემდეგ, რაც საქართველოს ომი თურქეთის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა 1918 წლის 4 ივნისს დადებული საზავო ხელშეკრულებით აჭარა თურქეთის ხელში გადავიდა. აჭარის მხრიდან საზღვარს საქართველოსა და თურქეთს შორის წარმოადგენდა მდინარე ჩოლოქი.

ბათუმში თურქეთის ჯარი შევიდა ჯერ კიდევ 1918 წ. 1 აპრილს.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანელები და თურქები იძულებული შეიქნენ დაეტოვებინათ ამიერკავკასია. აჭარა ოკუპირებულ იქნა ინგლისელების მიერ. ინგლისის ჯარი ბათუმში ჩამოვიდა 1918 წ. 23 დეკემბერს.

ინტერვენტებმა აჭარაში სასტიკი კოლონიური რეჟიმი დაამყარეს. ფორმალურად ბათუმის ოლქის, ე. ი. აჭარის, მართვა-გამგეობისათვის შექმნილი იყო საბჭო, რომელიც სულ ერთიანად რუსი თეთრგვარდიელებისაგან შედგებოდა. მას კადეტი მასლოვი მეთაურობდა. ფაქტიურად კი მთელი მართვა-გამგეობა ხელთ ეპყრო ინგლისის სამხედრო ხროვას გენერალ კუკ-კოლისის სახით, რომელიც ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი იყო.

ბათუმი დენიკინის ოფიცრებითა და საბჭოთა რუსეთის საზღვრებიდან განდევნილი კონტრრევოლუციური ელემენტებით

გაიცსო. იგი გადაიქცა «მოხალისეთა არმიის» ზურგის მნიშვნელოვან ბაზად, რომელიც ვრანგელს აწვდიდა მეომრებს, იარაღს, ნავთსა და სურსათს.

ინგლისელმა იმპერიალისტებმა ბათუმი გადააქციეს თავიანთ ბაზად საბჭოთა რუსეთისა და აღმოსავლეთის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ბათუმში გაშმაგებული სპეკულაცია წარმოებდა. კაპიტალისტურ ევროპას ამიერკავკასიაში ბათუმის ნავსადგურით შემოჰქონდა და აქ ასაღებდა თავის ჩაწოლილ საქონელს.

ინგლისის იმპერიალისტები მშვენივრად ითვალისწინებდნენ ბათუმის, როგორც ნავსადგურის, მნიშვნელობას, ვინაიდან ბაქოს ნავთი მსოფლიო ბაზრებზე გადიოდა ამ ნავსადგურით. 1919 წელს მათ ბათუმიდან გაზიდეს 337,5 ათასი ტონა ნავთის პროდუქტი.

ინგლისელები სპობდნენ თვით აჭარის სიმდიდრეს, გაჰქონდათ რა აქედან ყველაფერი, რისი გატანაც კი შეიძლებოდა.

ინტერვენტები საქართველოს მენშევიკური მთავრობის სრული თანხმობით და მხარდაჭერით მოქმედებდნენ. მათ ამ მძარცველურ პოლიტიკას წინ აღუდგა აჭარის კომუნისტური ორგანიზაცია—ამიერკავკასიის უძველესი ორგანიზაცია, რომელიც ამიანაგმა სტალინმა XX საუკუნის დამდეგს შექმნა.

ბათუმის მუშებმა, რომლებიც პირველად რევოლუციურ ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა ჩააბა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში. ბათუმის პროლეტარიატი მეთაურობდა 1905 — 1907 წლებში გლეხთა მოძრაობას დასავლეთ საქართველოსა და აჭარაში. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ აჭარის რევოლუციურ მუშებსა და გლეხებს და მათ ხელმძღვანელ ბოლშევიკებს თავს დაატყდა სასტიკი რეპრესიები. ამის გამო 1917 წ. თებერვლის ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლუციის დროისათვის კომპარტიის რიგები ბათუმში მნიშვნელოვნად შესუსტებული იყო.

მაგრამ უკვე 1917 წ. შემოდგომისათვის ბათუმის კომუნისტურმა ორგანიზაციამ აღადგინა თავისი ძალები და მტკიცე

ავტორიტეტი მოიპოვა მშრომელთა მასებში. ბათუმში გამოვიდა შემდეგი კომუნისტური გაზეთები: «ბურევესტნიკი» (რუსულ ენაზე), «მუშათა სიმართლე» (ქართულ ენაზე), «განთიადი» (ბერძნულ ენაზე) და «მუშა და ჯარისკაცი» (სომხურ ენაზე). ამ დროს პარტიული უჯრედები ჩამოყალიბებული ჰქონდათ მუშა-მელითონეებს, მბეჭდავებს, მეთამბაქოებს, მკვებავებს, რკინიგზელებს, სამხედრო ნაწილებს და სხვ.

ბათუმის პროლეტარიატი დიდი სიხარულით შეხვდა ცნობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ. რკპ(ბ) ბათუმის კომიტეტის დადგენილებით 1917 წ. ნოემბერში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი. მასში შედიოდნენ პარტიული კომიტეტის სამი წარმომადგენელი და გარნიზონისა და სამხედრო-საზღვაო კომიტეტის თითო წარმომადგენელი. დაახლოებით ამავე დროს ბათუმის კომიტეტმა შეადგინა წითელი გვარდიის რაზმი მუშებისა და მშრომელი გლეხებისაგან.

ამ რაზმმა კომუნისტების ხელმძღვანელობით შემდეგ სერიოზული როლი შეასრულა მენშევიკებისა და თეთრგვარდიელ ოფიცერთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ამასთან იგი დიდ მუშაობას ეწეოდა ნავსადგურის ტერიტორიის დასაცავად და ტრაპიზონის ფრონტიდან რუსეთის არმიის დემობილიზაციის უზრუნველყოფის საქმეში.

ამ დროისათვის აჭარის კომუნისტების გავლენა გაბატონებული ხდება ტრაპიზონის ფრონტის არმიაშიც. ბათუმის საბჭოს გადარჩევის დროს, 1917 წ. დეკემბერს, საბჭოს პრეზიდიუმში მხოლოდ კომუნისტები გავიდნენ. ფრონტზე შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი და გამოვიდა კომუნისტური გაზეთი «ტრაპეზუნდსკაია პრავდა». სამხედრო რევოლუციური კომიტეტი მჭიდროდ იყო დაკავშირებული კომუნისტების ბათუმის კომიტეტთან.

კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციისა და ტრაპიზონის რაიონიდან ჯარების წასვლის გამო ბათუმის კომუნისტების წინაშე დაისვა მეტად მძიმე ამოცანა: არმიის დემობილიზაციის განხორციელება, ფრონტზე არსებული უდიდესი

სამხედრო ქონების გადარჩენა და საბჭოთა რუსეთში გატანა. ბათუმის კომიტეტი ძველი არმიის შემადგენლობიდან არჩევდა ყველაზე საიმედო ჯარისკაცებს და გზავნიდა საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში ჩრდილოეთ კავკასიაში.

1918 წ. თებერვლის შუა რიცხვებში კომუნისტების ბათუმის კომიტეტმა მოიწვია საოლქო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აგრეთვე გურიის კომუნისტური ორგანიზაციების უმრავლესობამ. კონფერენციის მთავარი ამოცანა იყო კიდევ უფრო განემტკიცებია პარტიული მუშაობა და ეწარმოებინა მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის.

1918 წ. აპრილში ბათუმის კომუნისტებმა უშუალო დახმარება გაუწიეს შეიარაღებით საბჭოთა ხელისუფლებას აფხაზეთში. მაშინ ბათუმიდან აფხაზეთში გაიგზავნა იარაღის სპეციალური ტრანსპორტი. აჭარაში გაბატონებული ინტერვენტები ქართველ მენშევიკებთან შეკავშირებით ულმობლად უსწორდებოდნენ კომუნისტებს. აჭარის კომუნისტური ორგანიზაცია კანონსგარეშე გამოცხადდა, დაიწყო მუშათა პარტიის დევნა, გაიცა განკარგულება მუშათა გაზეთ «გოლოს ტრუდას» დახურვის შესახებ; ამ გაზეთს პროფკავშირთა საბჭო უშვებდა. მაგრამ ამ რეპრესიების ვითარებაში კომუნისტური გავლენა აჭარის მშრომელთა მასებზე არამცთუ არ შესუსტებულა, არამედ სულ უფრო ძლიერდებოდა.

პროფკავშირთა გამგეობები, ერთი-ორის გამოკლებით კომუნისტური იყო.

კომუნისტების ხელში აღმოჩნდა აგრეთვე პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოც.

ინგლისელების ცდა—ბეჭდვითი ორგანო მოესპოთ აჭარის მუშებისათვის, მარცხით დამთავრდა. ბათუმის პროფესიულ კავშირთა საბჭომ სასტიკი პროტესტი განაცხადა ოკუპანტების თვითნებობის წინააღმდეგ და მოუწოდა მუშებს საპროტესტო გაფიცვა გამოეცხადებინათ.

თავის მიმართვაში პროფკავშირთა ყველა წევრისადმი, საბჭო წერდა:

«ბათუმის პროფკავშირთა საბჭო ბეჭდვითი ორგანოს ადმინისტრაციული წესით დახურვაში ხედავს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების დარღვევას; ამ აქტში იგი ხედავს აგრეთვე რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთი მონაპოვრის გაქელვას. ამიტომ ბათუმის პროფკავშირთა საბჭო ენერგიულ პროტესტს აცხადებს და, თანახმად ბათუმის ყველა პროფესიული კავშირის კონფერენციის დადგენილებისა, ამ პროტესტს ერთდღიანი საყოველთაო გაფიცვით განამტკიცებს. გაფიცვის დღეს ნიშნავს და მის წესს ადგენს ამავე კონფერენციის მიერ არჩეული საგაფიცვო კომიტეტი.

საგაფიცვო კომიტეტის განკარგულებანი მუშებმა და მოსამსახურეებმა უყოყმანოდ უნდა შეასრულონ» *.

გაფიცვა გამოცხადდა 1919 წლის 8 აპრილს. ინგლისის საოკუპაციო ხელისუფალნი იძულებული შეიქნენ გაეუქმებინათ თავიანთი გადაწყვეტილება, და გაზეთი «გოლოს ტრუდა» კვლავ რეგულარულად გამოდიოდა.

იმავე 1919 წლის გაზაფხულზე კომუნისტებმა მოაწყეს და ჩაატარეს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, მოითხოვდნენ აჭარის მართვა-გამგეობის კონტრრევოლუციური საბჭოს ლიკვიდაციას.

ინგლისელებმა დააპატიმრეს საგაფიცვო კომიტეტი. მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ბათუმის მუშები და ოკუპანტებიც მასების ზეგავლენით იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ მათი მოთხოვნა და რამდენიმედ შეერბილებინათ სამხედრო-პოლიციური რეჟიმი.

ბათუმის მუშები 1919 წელს ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურნენ ბაქოს პროლეტარიატის მოწოდებას დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნის შესახებ.

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტთან არსებული საქართველოს ფილიალი, 1917 — 1921 წლების ბოლშევიკური პროკლამაციები.

«ბათუმის პროლეტარიატი, პროფკავშირთა საბჭოს სახით,—ეკითხულობთ ბათუმიდან ბაქოში მუშათა კონფერენციის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში,—აღტაცებაში მოჰყავს ბაქოს პროლეტარიატის, ამიერკავკასიაში რევოლუციის ამ დასაყრდენის, გმირულ გადაწყვეტილებას — იბრძოლოს იარაღით ხელში შავი რეაქციის, მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ; გულწრფელად გისურვებთ საბოლოო გამარჯვებას და გაძლევთ საზეიმო დაპირებას ყოველმხრივ ხელი შეგიწყოთ და შესაძლებელი დახმარება აღმოგიჩინოთ ამ ბრძოლაში» *.

წინააღმდეგ ოკუპანტების მხრივ ყოველგვარი რეპრესიებისა და დევნისა, აჭარის კომუნისტურმა ორგანიზაციამ ფართოდ მუშაობა გააჩაღა. კომუნისტური უჯრედები არსებობდნენ მბეჭდავთა, მელითონეთა და ნავსადგურის მუშათა კავშირებში. ცალკეული უჯრედები არსებობდნენ აგრეთვე ბათუმის მიდამოების მუშათა რაიონებში — ბარცხანაში, გოროდოკში და სხვ. პარტიული უჯრედების მოწყობა მოხერხდა აგრეთვე ბათუმისა და ქობულეთის სანაპირო რაზმებშიც.

ბათუმის კომიტეტმა შეძლო მთელი რიგი პარტიული კონფერენციების მოწყობა. პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პროფკავშირებში მუშაობას. ბათუმის პროფკავშირთა საბჭო კომუნისტების ხელმძღვანელობით იმ დროს არსებითად მუშათა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს როლს ასრულებდა.

მუშათა ორგანიზაციებიდან განდევნილმა მენშევიკებმა თავიანთი საქმიანობა გადაიტანეს აჭარის ეროვნულ კრებაში—მეჯლისში. მეჯლისში ამ დროს გავლენისათვის იბრძოდა ორი ჯგუფი: ერთი ჯგუფი (რომლის ორგანო იყო «სამუსლიმანო საქართველო») პროპაგანდას ეწეოდა საქართველოსთან აჭარის შეერთებისათვის ავტონომიური ოლქის უფლებებით; მეორე (რომელიც სცემდა გაზეთ «სედაი მილეთს») თურქეთის ორიენტაციას ემხრობოდა.

1920 წლის მარტში ოკუპანტებმა ნება დართეს მოეხდინათ ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის არჩევნები. მუ-

* გაზ. «ვოლნა» № 5, 1919 წ.

შათა რაიონებს წაართვეს საარჩევნო უფლებები, რისთვისაც კომუნისტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს. ქალაქში მცხოვრებ პროფკავშირთა ყველა წევრმა უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. ქართველმა მენშევიკებმა კი ბლოკი შეკრეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებთან და თვითმმართველობაში 20 ხმოსანი გაიყვანეს. ინგლისელების მითითებით შედგენილი ქალაქის თვითმმართველობა მათი ნება-სურვილის მორჩილი აღმსრულებელი იყო.

მშრომელი მასების ინტერესების თანმიმდევრული დამცველი დარჩა პროფკავშირთა ბათუმის საბჭო, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ.

აჭარის კომუნისტურმა ორგანიზაციამ წარმატებით გააჩაღა მუშაობა აგრეთვე ინგლისელ მეზღვაურებშიც და საოკუპაციო ჯარების იმ ნაწილში, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ აჭარაში. ჯარისკაცებში ავრცელებდნენ ინგლისურ ენაზე დაბეჭდილ კომუნისტურ ფურცლებს. კომუნისტურ პროპაგანდას განსაკუთრებით დიდი წარმატება ჰქონდა ინგლისის კოლონიურ ჯარებში. ინგლისელების მიერ ნავსადგურში სამუშაოდ მოყვანილი ჩინელები ორგანიზებულ იქნენ პროფკავშირებში.

1920 წლის 22 აპრილს ქალაქის თვითმმართველობის შენობაში გაიმართა ყველა პროფკავშირის გამგეობების, ქარხნებისა და ფაბრიკების წარმომადგენლების და ზოგიერთი რაიონის გლეხთა დელეგატების ხალხმრავალი კრება. ამ კრებაზე გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომ აჭარაში მუშებისა და გლეხებისათვის ერთადერთი მისაღები ხელისუფლება — საბჭოთა ხელისუფლებაა. ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო მიუხედავად ინგლისელების კატეგორიული გაფრთხილებისა, რომ თუ კრება აჭარის პოლიტიკურად მოწყობის საკითხს შეეხება, კრების ყველა მონაწილეს დავაპატიმრებთო.

უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმში პროფკავშირთა საბჭოს მიერ 1920 წელს მოწყობილ საპირველმაისო დემონსტრაციას.

1 მაისის წინადღით ბათუმში, ქალაქის ცენტრში, მოჰკლეს გენერალი ლიახოვი, რომელიც ინგლისელების მიერ ბათუმის ოკუპაციის დროს აქ, ოფიცერთა რაზმებს ადგენდა დენიკინის ფრონტზე გასაგზავნად.

გენერალ ლიახოვის მოკვლასთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნა კომუნისტი გუბელი (ს. მეძმარიაშვილი). მას სიკვდილით დასჯა მოელოდა. ბათუმის კომუნისტურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა საპირველმაისო დემონსტრაცია გამოეყენებინა იმ მიზნით, რომ მოწოდებით მიემართნა მასებისათვის პროტესტი განეცხადებინათ განზრახული შურისძიების წინააღმდეგ.

მენშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ ეს გამოსვლა, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა. დემონსტრანტები მიდიოდნენ მარქსის, ენგელსის, ლენინის სურათებით და კომუნისტური ლოზუნგებით აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ.

მიტინგი გაიხსნა აზიზიეს მოედანზე. მიტინგის დადგენილებით გენერალ კუკ-კოლისთან გაიგზავნა დელეგაცია, რომელსაც უნდა მოეთხოვა ამხ. გუბელის დაუყოვნებლივ განთავისუფლება საპყრობილედან. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი შეიარაღებულ ბანაკს წარმოადგენდა და ჯარებიც მზად იყვნენ პირველი ბრძანებისთანავე გამოსულიყვნენ, გენერალი კუკ-კოლისი იძულებული იყო ბრძანება გაეცა დაპატიმრებული გუბელის განთავისუფლების შესახებ. ძნელი წარმოსადგენია ის უდიდესი აღფრთოვანება და სიხარული, რაც დემონსტრაციის მონაწილეებმა განიცადეს, როდესაც ტრიბუნაზე ავიდა გუბელი და ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა.

საპირველმაისო დღეების შემდეგ კომუნისტურმა ორგანიზაციამ კიდევ უფრო ენერგიული მუშაობა გააჩაღა. რადგან ხმა გავრცელდა ინგლისელების ევაკუაციის შესაძლებლობის შესახებ, დიდმა ვაჭრებმა და სპეკულანტებმა სასწრაფოდ დაიწყეს ბათუმიდან უფრო ძვირფასი საქონლის, მათ

შორის ფქვილის, შაქრისა და მანუფაქტურის გაზიდვა ყირიმსა და კონსტანტინოპოლში.

პროფკავშირთა საბჭომ გადაწყვიტა დაეწესებინა «კონტროლი კონსტანტინოპოლში საქონლის გატანაზე». არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა განეხორციელებინა პროფკავშირთა საბჭოს გადაწყვეტილება. მუშები მტკიცედ ასრულებდნენ საბჭოთა მითითებებს. ამ კომისიის ნებადაურთველად ვერც ერთი გემი ვერ დაიტვირთებოდა. ინგლისელები შეეცადნენ გაეუქმებინათ კომისია, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. კიდევ მეტი, თვით ინგლისელებიც იძულებული იყვნენ კომისიისთვის მიემართნათ ამა თუ იმ საქონლის თუ ნავთის გატანის ნებართვის მისაღებად. იმ დროს ბათუმში ხელისუფლება ფაქტიურად ბათუმის პროფკავშირთა საბჭოს ხელში იყო.

გენერალი კუკ-კოლისი უძლური გაბოროტებით ამბობდა: «მე ვერ მოვითმენ, რომ ინგლისის მეფის ბაირაღის გვერდით მეორე ხელისუფლება არსებობდესო».

ინგლისელებმა თავიანთი მუქარა მალე მოიყვანეს სისრულეში. მათ კონსტანტინოპოლიდან ბათუმში გამოიწვიეს სამხედრო გემები და 8 მაისს დააპატიმრეს პროფესიული მოძრაობის 18 ყველაზე თვალსაჩინო მუშაკი. დაპატიმრებულნი სასწრაფოდ გადაიყვანეს დრედნოუტ «როიალ ზავორენზე» და კონსტანტინოპოლს გაგზავნეს [52].

ამ დაპატიმრებით ინგლისელებს სურდათ უხელმძღვანელებოდ დაეტოვებინათ პროფკავშირები. მუშებმა მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება, რისთვისაც საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, მაგრამ მენშევიკების დახმარებით ინგლისელებმა შეძლეს ამ გაფიცვის ჩაშლა.

კომუნისტური პროპაგანდა სოფლის რაიონებშიც იჭრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აჭარის გლეხებში ნაციონალისტური პარტიების გავლენა ძლიერი იყო. აჭარიდან გამოგზავნილ წერილში, რომელიც გაზ. «კომუნისტში» დაიბეჭდა, კორესპონდენტი იტყობინებოდა:

«ართვინში პარტიული მუშაობა ამ 6 — 7 თვის წინათ დაიწყო. ქალაქის მცირერიცხოვანი მუშები და ღარიბი მოსახლეობა მწვავე ეკონომიური კრიზისისა და აღმაშფოთებელი პოლიტიკური პირობების გავლენის გამო მეტად უკმაყოფილონი იყვნენ არსებული მდგომარეობით და სიამოვნებით ეწერებოდნენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის რიგებში. თურქი მემამულეების, კულაკებისა და ადმინისტრაციის ველური თვითნებობის უღლით განაწამები ქალაქის მიდამოებში მცხოვრები თურქი გლეხობაც კი სიამოვნებით ყურს უგდებდა ჩვენს აგიტატორებს და სოფლებშიც გაჩნდა კომუნისტური ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ თურქი პარტიული მუშაკები არ მოგვეპოვება, ჩვენმა მუშაობამ ამ მოკლე ხანში მაინც საკმაოდ წინ წაიწია, და ბოლშევიზმი ისეთ მოვლენად გადაიქცა, რომელიც მეტად აინტერესებს ხალხის მასებს. ადგილობრივი მემამულეები და კულაკები ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდნენ და უკიდურესად გააფთრებული პროვოკაცია გააჩაღეს *.

აჭარის გლეხობამ რამდენიმეჯერ გაუწია წინააღმდეგობა მენშევიკების ცდებს—ხელში ჩაეგდოთ აჭარის ცალკეული რაიონები. ასე, მაგალითად, 1920 წლის დამდეგს, როდესაც მენშევიკები შეეცადნენ გადაელახათ გოდერძის უღელტეხილი და ხულოს რაიონი დაეკავებინათ, აჭარელმა გლეხებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მენშევიკურ რაზმებს. მენშევიკთა რამდენიმე ოფიცერი და ჯარისკაცი მოკლეს, რაზმი კი განაიარაღეს.

აღსანიშნავია, რომ ამ ლაშქრობის დროს მენშევიკური ნაწილების ჯარისკაცთა ნაწილმა კომუნისტური პროპაგანდის გავლენით უარი თქვა ეწარმოებინა ბრძოლა აჭარელ გლეხთა წინააღმდეგ. მენშევიკები იძულებული იყვნენ ეღიარებინათ ეს გარემოება შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალურ ცნობაში, რომელიც მენშევიკურ გაზეთ «ბრძოლაში» დაიბეჭდა.

---

* «კომუნისტი», 1920 წლის 1 ივლისი.

იმავე წლის გაზაფხულზე მენშევიკთა რაზმი შეეცადა შეჭრილიყო აჭარაში რკინიგზის სადგურ ნატანების მხრიდან, მაგრამ მას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ქობულეთის რაიონის გლეხებმა და ისიც იძულებული გახდა უკან დაეხია.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის გამარჯვებათა და რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების გამო ინგლისელი ოკუპანტები იძულებული იყვნენ 1920 წლის ივლისში დაეტოვებინათ ბათუმი.

წასვლის წინ ინგლისელებმა ააფეთქეს ბათუმის ციხის გამაგრებული ფორტები, ხოლო ქვემეხების საკეტები ზღვაში გადაჰყარეს.

ინგლისელების წასვლის რამდენიმე დღის შემდეგ, 1920 წლის 8 ივლისს, აჭარაში მენშევიკური საქართველოს ჯარები შევიდნენ.

მენშევიკები მათთვის ჩვეული დემაგოგიით ამ ამბავს საყოველთაო ეროვნულ დღესასწაულად გვიხატავდნენ, როგორც «მშობლების შეხვედრას შვილებთან». მაგრამ აჭარაში მენშევიკთა მოღვაწეობის პირველივე ნაბიჯი იმით აღინიშნა, რომ აქ სამხედრო წესები გამოცხადდა და გენერალ-გუბერნატორად მენშევიკი ბ. ჩხიკვიშვილი[53] დაინიშნა. დაპირებული ავტონომიის ნაცვლად აჭარაში, ისევე როგორც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, «დაიწყო განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი მართვა-გამგეობისა და ანგარიშის გასწორების პერიოდი. «უცხოელებისა» და მავნე ელემენტების სახით ოლქის საზღვრებიდან განდევნილ იქნენ მენშევიკი სატრაპებისათვის არასასიამოვნო პირები, მთელი ქონების ჩამორთმევით... აზუზუნდა მათრახები, სხვადასხვა მხრისკენ დაიძრნენ დამსჯელი ექსპედიციები» *.

მენშევიკების ბრძოლის მახვილი მიმართული იყო კომუნისტების წინააღმდეგ. როდესაც კომუნისტური ორგანიზაციის ბათუმის არალეგალურმა კომიტეტმა საბჭოთა რუსეთთან

---

* «კომუნისტ გრუზიი» № 22, 1920 წ.

საქართველოს მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძ ველზე კომუნისტების ლეგალიზაცია მოითხოვა, ბ. ჩხიკვი შვილმა ცინიკურად უპასუხა:

«თუ თბილისის ბოლშევიკების შეხედულებას იზიარებთ, ლეგალური არსებობის ნებართვას ჩემგან ნუ ელითო»*.

მენშევიკები მარტო მუქარით არ დაკმაყოფილდნენ: უცხო ქვეშევრდომთა სახით ბათუმიდან გადაასახლეს ყველა კომუნისტი, ვინც ლეგალურად მუშაობდა.

მენშევიკებმა ლიკვიდაცია უყვეს პროფკავშირთა ბათუმის საბჭოს და მის მუშათა გაზეთს როგორც «მოსკოვის პოლიტიკურ შტაბს». პროფკავშირთა გათიშვით, პირდაპირი მუქარითა და რეპრესიებით მენშევიკებმა ბათუმში შექმნეს პროფკავშირთა ახალი საბჭო და სამდივნო, პროფმოძრაობის სათავეში კი მენშევიკი აიოლო დასვეს.

მეზღვაურთა კავშირის არალეგალურად მომუშავე გამგეობის წევრები დააპატიმრეს და ქუთაისის საპყრობილეში ჩასვეს. დააპატიმრეს აგრეთვე მელითონეთა და ნავთის მრეწველობის მუშათა კავშირების წევრთა უმრავლესობა, რომელთაც კომუნისტობას სწამებდნენ. ჩხრეკის დროს ერთ მუშას ბინაზე უპოვეს გაზეთ «კომუნისტის» რამდენიმე ნომერი. ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ეს მუშა დაეპატიმრებინათ.

«8 დეკემბერს, — წერს გაზეთ «საქართველოს კომუნისტის» კორესპონდენტი, — ადგილი ჰქონდა, მაგალითად. ასეთ ფაქტს: პროფკავშირთა საბჭოს სხდომის დროს, რომელზეც აუცილებელი იყო მილიციის თანამშრომელთა დასწრება, მენშევიკურმა მილიციამ დააპატიმრა რამდენიმე ბოლშევიკი და ისინი საპატიმროში ჩასვა»**.

მენშევიკები სდევნიდნენ რევოლუციურ პროფკავშირებს, ბათუმის მუშებს მათი მეწარმეების წინააღმდეგ ეკონომიური ბრძოლის უფლებაც კი წაართვეს. როდესაც ბათუმის ბუ-

---

* «საქართველოს კომუნისტი» № 26, 1920 წ.

** «საქართველოს კომუნისტი» № 49, 1920 წ.

ნიათ-ოღლის ფაბრიკაში მოწვეულ იქნა მუშათა საერთო კრება ხელფასის გადიდების საკითხზე, პროფკავშირთა საბჭოს მდივანმა აიოლომ, მუშების მუქარაზე — გაფიცვას გამოვაცხადებთო, უპასუხა: «მთავრობას მოეპოვება ჯარები წესრიგის დასამყარებლადო».

ბათუმის მუშების მძიმე მდგომარეობაზე გაზეთი «კომუნისტ გრუზია» წერდა:

«თავისუფალი სიტყვის მაგიერ სოციალიზმის ჯალათ ბ-ნ აიოლოსაგან ბრძანება მივიღეთ კრინტი არ დაგვეძრა თვით ეკონომიურ საკითხებზეც კი, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები შეიძლება განსაკუთრებული რაზმის ხელში მოხვდნენო. ხოლო თუ რას ნიშნავს ამ უკანასკნელთან შეხვედრა—ეს ბევრ მუშას უკვე კარგად მოეხსენება, ბევრს ახსოვს, თუ როგორ მიაბჯენდნენ ხოლმე დაკითხვის დროს გულზე მაუზერს, როგორ უწითლებდნენ მუშებს ზურგს «სოციალ-ისტური» მათრახებით»... *

«დამოუკიდებელ» საქართველოში მენშევიკებისა და უცხოური ინტერვენტების ბატონობამ ის გამოიწვია, რომ სამეურნეო ნგრევა დღითიდღე ღრმავდებოდა.

სიძკირე იზრდებოდა. საწარმოებში ხელფასს მთელი თვეობით არ იძლეოდნენ. მუშებს სრული ფიზიკური განადგურება მოელოდათ. საწარმოებისა და დაწესებულებების დახურვისა და შტატების შემცირების გამო გაჩნდა მრავალი უმუშევარი, რომლებიც პირდაპირ ქუჩაში იყვნენ გამოყრილნი და მატერიალური დახმარების არავითარი იმედი არ ჰქონდათ.

ასეთივე მძიმე მდგომარეობა იყო სოფლად. მიწა შენარჩუნებული ჰქონდა თავადაზნაურულ-ფეოდალურ ზედაფენას, გლეხთა მშრომელი მასები კი უმიწაწყლოდ იყვნენ დარჩენილი, მათ კაბალა და შიმშილი მოელოდათ.

სასამართლოს აპარატი აქარაში ისეთივე დარჩა, როგორიც მეფის მთავრობის დროს იყო. ეროვნული ჩაგვრა

---

* «კომუნისტ გრუზია» № 36, 1920 წ.

უაღრესად ველურ ფორმებს იღებდა. კულტურული ცხოვრება ბათუმში სრულიად ჩაკვდა. სკოლების უმეტესობა დაიხურა.

აჭარის საგანგებო კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა თავისი სისასტიკითა და ადმინისტრაციული თვითნებობით მთელი მშრომელი მოსახლეობის ისეთი სიძულვილი დაიმსახურა, რომ მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა უკან გაეწვიჰ იგი. მის მაგივრად დაინიშნა ყოფილი სამხედრო მინისტრი გიორგაძე, რომელიც საქართველოში ცნობილი იყო მით, რომ ბარბაროსული ღონისძიებებით ჩაახშო მშრომელი გლეხების აჯანყებები. მის თანაშემწედ დაინიშნა მიქაბერიძე, რომელიც ცარიზმის დროს პოლიციის პრისტავი იყო თბილისში. ერთი სატრაპის მეორით შეცვლა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა პოლიტიკური კურსის შეცვლას აჭარის მიმართ.

მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ აჭარის ხალხის მასებმა პარტიზანული ბრძოლა გააჩაღეს, თავს ესხმოდნენ მთავრობის სამხედრო რაზმებს, ანადგურებდნენ მენშევიკების მილიციას და ა. შ. თვითონ მენშევიკები იძულებული იყვნენ ეღიარებინათ თავიანთი პოლიტიკის დამღუპველობა. მაგალითად, მენშევიკების ბათუმის კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე, 1920 წ. 25 ოქტომბერს, მომხსენებელმა განაცხადა: «მრავალ რაიონში მოსახლეობა ბოიკოტს უცხადებს ჩვენს ადმინისტრაციას, არ ცნობს ჩვენს ფულად ნიშნებს, და წარმოებს გაძლიერებული ბოლშევიკური პროპაგანდა. ბათუმში ყველა არაქართველი ელემენტი, ხოლო ნაწილობრივ ქართველებიც ჩვენი მოწინააღმდეგენი არიან. ამრიგად, ამჟამად არც ბათუმში, არც ოლქში ქართველ საზოგადოებრიობას არა აქვს დასაყრდენი არც ერთ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ჯგუფში, თუ არ ჩავთვლით ქალაქის უმნიშვნელო დემოკრატიას»*.

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი.

კომუნისტები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ ყირიმის თეთრგვარდიელთა სამხედრო საჭურველით, ნავთითა და ადამიანებით მომარაგების წინააღმდეგ. იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ ნავთის გატანისათვის, ბათუმის კომუნისტებმა ააფეთქეს კინტრიშის რკინიგზის ხიდი. ნავთის გატანა დროებით შეწყდა.

1920 წლის ნოემბერში ბათუმის მშრომელი მოსახლეობა აღფრთოვანებით შეეგება ცნობას იმის შესახებ, რომ ვრანგელი დამარცხდა და თავისი ჯარების ნაშთებთან ერთად საზღვარგარეთ გაიქცა. ბათუმში მდგარი გემების მატროსებმა საბჭოთა ალმები გამოჰკიდეს. საბჭოთა ალამი დიდძალი მოსახლეობის თანდასწრებით გამოჰკიდეს აგრეთვე მეზღვაურთა სრულიად რუსეთის კავშირის შენობაზეც.

მენშევიკური მილიცია ველური გაბოროტებით გლეჯდა წითელ ბაირაღებს, ფანტავდა თავმოყრილი ხალხის მასებს, რომლებიც მკვეთრად გამოხატავდნენ თავიანთ სიმპათიებს საბჭოთა რუსეთისადმი, თავს ესხმოდა და აპატიმრებდა კომუნისტებს და ყველა მათ თანამგრძნობს.

მაგრამ მენშევიკ მმართველთა არავითარ რეპრესიებსა და მძვინვარებას აღარ შეეძლო შეეჩერებინა ხალხის ფართო მასების რევოლუციური მოძრაობის მძაფრი განვითარება. აჭარის, ისევე როგორც მთელი საქართველოს, მუშებისა და გლეხების უმრავლესობას კარგად ესმოდა, რომ ყოველგვარი ჩაგვრისაგან ნამდვილი განთავისუფლება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია, და გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში

1920 წლის შემოდგომისათვის სამეურნეო ნგრევამ მენშევიკურ საქართველოში თავის უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ნედლეულისა და სათბობის უქონლობის გამო ქვეყნის მრეწველობა მოშლილი იყო. ფაბრიკა-ქარხნების უმეტესობა არ მუშაობდა, მარგანეცის ამოღება ეცემოდა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო ქვანახშირის მრეწველობა, ტყიბულის მაღაროები სრული დანგრევის პირზე იყო მიმდგარი, მუშები გარბოდნენ, პროფკავშირებმა დიდი ხნის წინათ შეწყვიტეს თავისი არსებობა.

სრულიად მოიშალა ავტომობილის ტრანსპორტი. თბილისის რკინიგზის დეპო დამტვრეული ორთქლმავლებისა და ვაგონების ნამდვილ სასაფლაოს წარმოადგენდა. მატარებლების მოძრაობა მინიმუმამდე შემცირდა. რკინიგზას უკვე აღარ შეეძლო მომსახურება გაეწია არც შინაური საქონელბრუნვისათვის და არც სამგზავრო მოძრაობისათვის. ბაქოს ნავთის იმედით თხიერი სათბობის მთელი მარაგი მენშევიკებმა ყირიმში ვრანგელს გაუგზავნეს. საბჭოთა აზერბაიჯანმა ამაში საბჭოთა ხელშეკრულების აშკარა დარღვევა დაინახა და ნავთის მიცემა შეუწყვიტა საქართველოს, რათა არ მიეცა საშუალება ანტანტისა და ვრანგელისათვის გაეჭიანურებიათ სამოქალაქო ომი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მხოლოდ

ვრანგელის განადგურების შემდეგ, 1920 წლის 14 ნოემბერს, ერთი მხრით, რსფს რესპუბლიკას და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა, და მეორე მხრით, მენშევიკურ საქართველოს შორის დადებულ სავაჭრო-სატრანზიტო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ყოველთვიურად ეძლეოდა 16 ათასი ტონა ნავთის პროდუქტი. საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობის საერთო კრიზისის პირობებში კატასტროფულად ეცემოდა ქაღალდის ფულის ღირებულება. მენშევიკები უკვე ვეღარ ასწრებდნენ ფულადი ნიშნების ბეჭდვას. ამ ნიშნების ნომინალური თანხა 1920 წ. შემოდგომისათვის 9 მილიარდ მანეთს შეადგენდა. ქართული ბონების კურსის დაცემის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმ ფაქტის მიხედვით, რომ 1918 წ. შემოდგომაზე ინგლისის გირვანქა სტერლინგი ქართული ბონებით 40 მანეთი ღირდა, ხოლო 1920 წ. ნოემბერში მისი ფასი ბაზარზე 22 ათასი მენშევიკური მანეთი იყო.

აპარატის შესანახი ხარჯები ბევრად სჭარბობდა შემოსავალს. მეფის არმიის მიერ თბილისში დატოვებული საინტენდანტო მარაგი სრულიად გამოილია. უკიდურეს გაღატაკებასა და გაჩანაგებას განიცდიდა სოფელიც. მან თითქმის სრულიად შეწყვიტა ქალაქების მომარაგება სურსათით და, უწინარეს ყოვლისა, პურით.

საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის ძირფესვიანად მოიშალა», ეს გარემოება კიდევ უფრო აღრმავებდა ქვეყნის საერთო ეკონომიურ კრიზისს.

პირველი მოთხოვნილების საგნები დღითიდღე ძვირდებოდა. სპეკულაციამ აშკარა ძარცვის ფორმა მიიღო. პური თითქმის მიუწვდომელი გახდა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. მომარაგების სამინისტრო მოსახლეობას პურის ნაცვლად სრულიად გამოუსადეგარ სუროგატს აძლევდა.

«ხალხის მასებისა და განსაკუთრებით კი ქალაქის მშრომელი მოსახლეობის სიღატაკემ და შიმშილმა, — წერდა გაზ. «კომუნისტ გრუზია», — უმაღლეს საზღვარს მიაღწია... შიმშილისა და სიცივის მსახვრელი ხელი უკვე ყელში სწვდა

მუშათა კლასს... წინ კი ჯერ კიდევ გრძელი ზამთარია მთელი თავისი საშინელებით. წინ მოჩანს ქართული ბონების ფასის კიდევ უფრო დაცემა, პირველი მოთხოვნილების საგნების რაოდენობის კიდევ უფრო შემცირება და, მაშასადამე, თანდათან მზარდი სიძვირე, ფასების გააფთრებული თამაში, შავბნელი სასოწარკვეთილება და სრული უიმედობა პირდაღებული უფსკრულის წინაშე»*.

მენშევიკები შეპირდნენ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომ მოუმატებდნენ პურის ულუფას, მისცემდნენ მათ ბინებს, მოახდენდნენ ხელფასის ნატურალიზაციას, შემოიღებდნენ შრომის ბეგარას არამშრომელი ელემენტებისათვის და ა. შ. მაგრამ მენშევიკების სიტყვასა და საქმეს შორის უდიდესი წინააღმდეგობა იყო. მათ არც ერთი დაპირება არ შეუსრულებიათ. ეს ცოტაა. 1920 წ. 11 ნოემბერს იმ საბაბით, რომ შექმნილია სამხედრო მდგომარეობის პირობები, საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ შრომის სამინისტროსთან ერთად დაადგინა სრულიად აღარ განეხილა მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი**.

შექმნილი გამოუვალი მდგომარეობის არსებობამ იძულებული გახადა საჯაროდ ელიარებინა თვით მენშევიკური მთავრობის მეთაურს ნ. ჟორდანიას. 1920 წ. ოქტომბერს თბილისში მოწვეულ ეკონომიურ თათბირზე მან განაცხადა: «რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურად სწრაფი ნაბიჯით მივდივართ კატასტროფისაკენ, შემდეგში ჩვენ რამდენჯერმე გავიმეორეთ ეს, ასე რომ ამ სიტყვებს შევეჩვიეთ კიდეც და აღარ ვაძლევთ მათ მნიშვნელობას. მაგრამ... ახლა თვითეული ჩვენთაგანი გრძნობს, თვითეული ჩვენთაგანი მთელი სიმწვავით განიცდის მწარე სინამდვილეს: ჩვენ უკვე კატასტროფამდე მივედით»***.

---

* «კომუნისტ გრუზიი», № 41, 1920 წლის 5 დეკემბერი.

** იხ. ჟურნალი «ჟელეზნოდოროჟნიკ» № 42, 1920 წ.

*** გაზ. «ბორბა» № 235, 1920 წ.

საკალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა განათლება და კულტურა.

სასკოლო ქსელი მკვეთრად შემცირდა, სკოლები ინგრეოდა, მოსწავლეთა რაოდენობა განუწყვეტლივ კლებულობდა. გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მასწავლებლები. ბევრი მათგანი სასოწარკვეთამდე მივიდა და თავი დაანება თავის პროფესიას.

მოწინავე ქართველი ინტელიგენციის, ცნობილი მეცნიერებისა და პროფესორების ინიციატივით და მშრომელი მასების მხარდაჭერით 1918 წელს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ აღუკვეთა მას სახსრები და ყოველნაირად აბრკოლებდა მის განვითარებას.

მენშევიკებისა და უცხოელი იმპერიალისტების ბატონობის დროს საქართველოში არც ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები არ დაბეჭდილა.

საკალალო იყო ქართული თეატრის მდგომარეობა. მთავრობა არავითარ დახმარებას არ უწევდა მას. 1917—1921 წ.წ. ქართული თეატრის საუკეთესო ძალები ლ. მესხიშვილი, კ. მარჯანიშვილი, კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი და ხელოვნების სხვა მუშაკები საბჭოთა რუსეთში იმყოფებოდნენ.

ქვეყანა უმწვავეს შინაპოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. კლასობრივი წინააღმდეგობანი მთელი სიმწვავით გამოვლინდნენ. მენშევიკები სულ უფრო და უფრო ააშკარავებდნენ თავიანთ თავს ხალხის მასების წინაშე, როგორც მშრომელთა ხალხის ინტერესების გამცემლები, როგორც ანტიხალხური ბურჟუაზიული პოლიტიკის გამტარებლები.

მენშევიკური პარტია დაშლის მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1920 წ. შემოდგომისათვის უდიდესად გაღრმავდა მენშევიკური პარტიის უკვე დიდი ხნის წინათ დაწყებული გახრწნა, რასაც მენშევიკები ძალაუნებურად აღნიშნავდნენ თავიანთ ფარულ კრებებზე.

1920 წ. 14 სექტემბერს «სოციალისტური» დელეგაციის სახით საქართველოში ჩამოვიდნენ II ინტერნაციონალის ლიდერები—ვანდერველდე, მაკდონალდი, ტ. შოუ, რენოდელი

და სხვ. დელეგაციის ხელმძღვანელი კ. კაუცკი თბილისში ჩამოვიდა 30 სექტემბერს. საქართველოში მათი ჩამოსვლის პირდაპირი მიზანი იყო მხარი დაეჭირათ მენშევიკებისათვის და განეგრძოთ უსაზიზღოესი კამპანია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მენშევიკებმა «სოციალისტურ» დელეგაციას საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. დელეგაცია საქართველოში დარჩა ორი კვირის განმავლობაში, ხოლო შემდეგ დასავლეთ ევროპაში დაბრუნდა. კ. კაუცკი მენშევიკურ საქართველოში დარჩა 1920 წ. დეკემბრამდე.

ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომაზე ამხანაგმა სტალინმა თქვა:

«... ახლა ჩვენს წინაშე, სამი წლის შემდეგ, გაიზარდა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის უდიდესი ორგანიზაცია — III კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელმაც მიიმხრო ძირითადი პარტიები ევრპაში: გერმანიისა, საფრანგეთისა, იტალიისა. ახლა კომუნისტური ინტერნაციონალის სახით ჩვენ გვაქვს საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ძირითადი ბირთვი, რომელმაც დაამარცხა II ინტერნაციონალი.

და შემთხვევითი როდია, რომ II ინტერნაციონალის ბელადი ბატონი კაუცკი რევოლუციის მიერ გაძევებულია გერმანიიდან, რომ იგი იძულებულია თავშესაფარი ეძებოს ჩამორჩენილ თბილისში, ქართველ სოციალ-მედუქნეებთან»*.

მენშევიკური საქართველოდან დაბრუნების შემდეგ სოციალისტური რევოლუციის უბოროტესმა მტერმა, გამცემელმა კაუცკიმ დაწერა ქება-დიდების ჰიმნი «ერთი სოციალ-დემოკრატიული გლეხური რესპუბლიკის» მისამართით. მაგრამ კაუცკიც იძულებული იყო განეცხადებინა: «სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველო განუხრელად მიექანება ბოლშევიზმისაკენ»**.

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 427.

** იხ. ე. მ. იაროსლავსკი, მესამე ძალა, მ, 1932 წ., გვ. 56.

* * *

1920 წ. სექტემბრის დამდეგს ს. მ. კიროვი მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობის მუშაობაში. ყრილობა გაიმართა ქალაქ ბაქოში. მას ათასამდე დელეგატი დაესწრო. გამოყოფილ იქნა «მოქმედებისა და პროპაგანდის კომიტეტი», რომელიც მიზნად ისახავდა მოეწყო პროპაგანდა და გაეერთიანებინა რევოლუციური მოძრაობა აღმოსავლეთში, მიმართული ანტანტის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ს. მ. კიროვი არჩეული იქნა «მოქმედებისა და პროპაგანდის კომიტეტში».

ბაქოში გამართულ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ ს. მ. კიროვი დიდ ხანს აღარ დარჩენილა საქართველოში. ის გაემგზავრა რიგაში, რადგან დანიშნულ იქნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურად, რომელსაც პოლონეთთან საზავო მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა.

საქართველოში ს. მ. კიროვის ერთ-ერთი უკანასკნელი ღონისძიება იყო საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის განმტკიცებისათვის მის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

ამხ. კიროვი წერდა ამხ. სტასოვას რკპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროში:

«ძალიან კარგი იქნებოდა გამოგეგზავნათ... გარდა ამისა ორი-სამი ქართველი ამხანაგი, რომლებსაც აქ არ იცნობენ. გთხოვთ აგრეთვე დააჩქაროთ III ინტერნაციონალის კონგრესიდან ქართველი დელეგატების, განსაკუთრებით ამხ. თოდრიას დაბრუნება. ჩვენ ვშიშობთ, რომ ფ. მახარაძეს ქართველები არ შემოუშვებენ საქართველოს სამეფოს ფარგლებში, დანარჩენები, ალბათ, მოახერხებენ ჩამოსვლას»*.

მეორე წერილში ამხ. სტასოვასადმი 12 სექტემბრის თარიღით ს. მ. კიროვი სთხოვს მას, გადმომიგზავნე საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრთა დაშიფრული სიაო, ვინაიდან შეიძლება

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფ. 11, ს. 3. გვ. 1.

მომხდარიყო ცვლილება იმის გამო, რომ მენშევიკები საქართველოში არ უშვებდნენ III ინტერნაციონალის კონგრესის დელეგატებს. შემდეგ ს. მ. კიროვი იტყობინებოდა, პარტიული მუშაობა საქართველოში «ცხოველდება, პარტიისადმი ინტერესი იზრდება, გაზეთის ტირაჟი დიდდება...»

პოლონეთთან ზავის დადების შემდეგ ს. მ. კიროვი სამუშაოდ გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში.

პანების პოლონეთთან ომის დამთავრებას და ვრანგელის განადგურებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთისათვის.

«ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს უდიდეს გმირობას, რომელიც მუშებმა და გლეხებმა გვიჩვენეს ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში, იცავდნენ რა თავიანთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. ვერც შიმშილმა და ნგრევამ. ვერც სათბობის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის უქონლობამ, ვერც ტიფის ეპიდემიებმა და სხვა უბედურებამ, ვერც კულაკთა აჯანყებებმა, მოწყობილმა იმპერიალისტ მტაცებელთა აგენტების მიერ, რომლებიც ოცნებობდნენ დაენაწილებინათ რუსეთი და გადაექციათ იგი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიად, — ვერაფერმა ვერ გატეხა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ურყევი მისწრაფება ექსპლოატატორულ კლასებზე გამარჯვებისადმი, ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობისადმი.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის ყველაზე ძნელ მომენტში, 1919 წლის აპრილში, ლენინი უდიდესი რწმენითა და შორსმჭვრეტელობით ამბობდა:

«ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას— მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისთვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას.

ისტორიამ დაგვანახვა, თუ რაოდენ მართალი იყო ლენინი»*.

---

* «საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903 — 1953)», გვ. 20 — 21.

ამ დროს აზერბაიჯანში გამარჯვებული საბჭოთა ხელისუფლება პირველ წარმატებებს აღწევდა სახალხო მეურნეობის აღდგენის, პარტიული და საბჭოთა მუშაობის განმტკიცების საქმეში.

1920 წლის ნოემბერს ბაქოში ჩამოვიდა ამხანაგი სტალინი, რათა ხელი შეეწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის აზერბაიჯანში.

4 ნოემბერს ამხანაგი სტალინი მონაწილეობას იღებს აზერბაიჯანის კპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს სხდომაში რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს წევრებთან ერთად. სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოსთან მოლაპარაკებისა და სომხეთის მდგომარეობის საკითხები.

9 ნოემბერს ამხანაგი სტალინი გამოვიდა აზერბაიჯანის კპ (ბ) ცკ-ის, რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს და ბაქოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გაერთიანებულ სხდომაზე და დაუსახა აზერბაიჯანის კომუნისტებს საბჭოთა ხელისუფლების, ამიერკავკასიის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გზები.

1920 წ. 13 ნოემბერს ტემირ-ხან-შურაში გაიმართა დაღისტნის ხალხთა ყრილობა, სადაც ამხანაგმა სტალინმა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის სახელით გამოაქვეყნა დეკლარაცია დაღისტნისათვის საბჭოთა ავტონომიის მინიჭების შესახებ. ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა გ. კ. ორჯონიკიძე.

1920 წ. 17 ნოემბერს ვლადიკავკაზში თერგის ოლქის ხალხთა ყრილობაზე ამხანაგი სტალინი აქვეყნებს დეკლარაციას მთიელთა ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლება სწრაფად ვრცელდებოდა მთელ კავკასიაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის და თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის ძლევამოსილი ბრძოლის ზეგავლენით თურქეთში წარ-

მოიშვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1920 წლის 24 აპრილს ანკარაში შეიკრიბა პარლამენტი, რომელმაც თავი გამოაცხადა დიდ ეროვნულ კრებად. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს მუსტაფა ქემალი. თურქეთის ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური აქტი იყო საბჭოთა რუსეთისადმი მიმართვა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ და თხოვნა, რათა საბჭოთა რუსეთი დახმარებოდა თურქეთს მის ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ თურქეთის პროლეტარიატის სისუსტის გამო ქემალისტური მოძრაობა თურქეთში, რომელსაც ანატოლიის ბურჟუაზია მეთაურობდა, არ იყო მძლავრი აგრარულ-გლეხური რევოლუცია; იგი დამთავრდა შეკვეცილი ანტიიმპერიალისტური ოევოლუციით. ქემალისტებმა თავიანთ რიგებში მიიღეს უკიდურესი რეაქციონერების მნიშვნელოვანი რაოდენობა და «ახალგაზრდა თურქთა» პოლიტიკის ისეთი თვისებები შეისისხლხორცეს, როგორიცაა პანთურქიზმი, ავანტიურიზმი, საერთოდ მტაცებლური მიზნები, უწინარეს ყოვლისა ამიერკავკასიის მიმართ და ა. შ.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ანტანტის იმპერიალისტებმა ისარგებლეს იმით, რომ ქემალისტური თურქეთი გამსჭვალული იყო იმპერიალისტური მიზნებით და შეეცადნენ გამოეყენებინათ იგი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი პოლიტიკური ამბები მომწიფდა სომხეთში.

დაშნაკებისა და ინტერვენტების მიერ 1920 წ. მაისში სომხეთის მშრომელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ამ უკანასკნელებმა კვლავ დაიწყეს მზადება შეიარაღებული ბრძოლისათვის საბჭოთა ხელისუფლების მოსაპოვებლად.

კეტეკსა და ბარდიზში დაშნაკებისა და თურქეთის ჯარების შეტაკებას მოჰყვა სომხეთ-თურქეთის ომი. დაშნაკები ჩაებნენ ავანტიურისტულ ომში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ანტანტის დახმარების იმედით, ვინაიდან თვითონ წარმატების არავითარი შანსები არ ჰქონდათ. მაგრამ ამიერიდან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრან-

ბეთი თავისი ანტისაბჭოთა პოლიტიკის იარაღად კავკასიაში აქცევენ თურქეთს და მას თავიანთ მხარეზე გადმოსაბირებლად სთავაზობენ სომხეთს.

როგორც თურქეთმა, ისე დაშნაკებმა უარი განაცხადეს საბჭოთა რუსეთის შუამავლობაზე, არ მოისურვეს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. თურქეთის ჯარებმა გენერალ ქიაზიმ ქარაბეკირის სარდლობით მთელი რიგი სერიოზული დამარცხება აგემეს დაშნაკთა არმიას, დაიკავეს სარიყამიში, ყარსი (30 ოქტომბერს), ალექსანდროპოლი (5 ნოემბერს) და დაემუქრნენ ერევანს. დაშნაკების მიმართვა ერთა ლიგისადმი, ევროპისა და ამერიკის «დემოკრატიისადმი» უშედეგო აღმოჩნდა. «დაშნაკური სომხეთი დაეცა, უეჭველია, როგორც მსხვერპლი ანტანტის პროვოკაციისა, რომელმაც იგი თურქეთს მიუსია და შემდეგ სამარცხვინოდ მიუტოვა თურქებს საჯიჯგნად»*.

1920 წ. 2 დეკემბერს თურქებმა თავს მოახვიეს დაშნაკურ მთავრობას ალექსანდროპოლის ხელშეკრულება, რომლითაც სომხეთს დარჩა მხოლოდ ერევნის რაიონი და სევანის ტბა და ისიც თურქეთის კონტროლით.

ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე სომხეთის მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შეიარაღებული აჯანყება მოაწყეს კონტრრევოლუციური დაშნაკური მთავრობის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების და ანტანტის იმპერიალისტებისა და თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. 1920 წ. 29 ნოემბერს სომხეთში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

30 ნოემბერს სომხეთის რევოლუციურმა კომიტეტმა მიმართა ლენინს მისასალმებელი დეპეშით, რომლითაც აცნობა საბჭოთა სომხეთის დაბადების, ქალაქ დილიჟანის დაკავების შესახებ და სთხოვდა მას დახმარებას.

ლენინის მითითებით სომხეთის მშრომელებს მიეშველა XI წითელი არმია გ. კ. ორჯონიკიძის მეთაურობით. წითელი არმიის ნაწილებმა სძლიეს დაშნაკური ბანდების სუსტი წი-

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 446.

ნააღმდეგობა და 1920 წ. 2 დეკემბერს შეეიდნენ სომხეთის დედაქალაქ ერევანში, სადაც აჯანყებულმა მუშებმა და ქალაქის მშრომელებმა ჯერ კიდევ მანამდე გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება.

როდესაც ლენინმა მიიღო ცნობა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შესახებ, მან რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც წერდა:

«თქვენი სახით მივესალმები იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ საბჭოთა სომხეთს. ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ ყოველ ღონეს იხმართ ძმური სოლიდარობის დასამყარებლად სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის მშრომელთა შორის»*.

ჩრდილოეთ კავკასიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მენშევიკური საქართველო საბჭოთა რესპუბლიკების გარემოცვაში აღმოჩნდა.

ამ პირობებში ხალხთა მასების ბოლშევიზაცია საქართველოში კიდევ უფრო სწრაფად წარიმართა.

1920 წ. ნოემბერში ამხანაგმა სტალინმა, რომელიც დაბრუნდა სამხრეთიდან, სადაც ის მილინებაში იყო, გაზეთ «პრავდის» თანამშრომელთან საუბრის დროს კავკასიის მდგომარეობის შესახებ განაცხადა:

«საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის... არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა»**.

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 536.
** ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 446 — 447.

ამხანაგ სტალინის პროგნოზი, რომელიც მენშევიკური საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის ღრმა ანალიზს ემყარებოდა ძალიან მალე გამართლდა.

* * *

1920 წლის დამლევისათვის საქართველოში მშრომელთა მასებს შორის გაბატონდა კომუნისტური გავლენა.

მიუხედავად მენშევიკების ყოველგვარი რეპრესიებისა, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ყველა ლეგალური და არალეგალური შესაძლებლობა გამოიყენა თავის მუშაობაში და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში იგი ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევდა. იგი უკვე გაიზარდა მტკიცე, მასობრივ პარტიად, რომელსაც უდიდესი გამოცდილება და ავტორიტეტი ჰქონდა მშრომელებში. მან გაცხოველებული მუშაობა გააჩაღა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.

1920 წლის 30 სექტემბერს საბჭოთა ბაქოში გაიმართა ქართველი კომუნისტების პარტიული თათბირი. ამ თათბირს 85 კაცი დაესწრო. საქართველოდან ჩამოსულმა პარტიის ხელმძღვანელმა მუშაკებმა დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდეს თათბირს საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. თათბირმა მიიღო ვრცელი რეზოლუცია, რომელიც დასამტკიცებლად გადაეგზავნა რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს. თათბირი მიუთითებდა, რომ აუცილებელია გამოყენებულ იქნას ლეგალური მუშაობის ყველა შესაძლებლობა, მაგრამ ამავე დროს იგი მენშევიკურ საქართველოში შექმნილი პირობების გამო სთვლიდა, რომ კომპარტიის მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა ყოფილიყო არალეგალური აპარატის გაძლიერებაზე როგორც ცენტრში, ისე ადგილზე. მხოლოდ ძლიერი და მტკიცე არალეგალური აპარატის არსებობისას შეიძლებოდა ხელმძღვანელობის წარმატებით გაწევა მთელი პარტიული მუშაობისა და შეიარაღებული აჯანყების მომზადებისადმი.

რეზოლუციაში დასახული იყო აგრეთვე მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები სოფლად და მენშევიკურ არმია-

ში მუშაობის გასაძლიერებლად, მშრომელ მასებთან კავშირის განსამტკიცებლად, პარტიული პრესის მუშაობის გასაუმჯობესებლად და მშრომელთა შორის კომუნისტური ლიტერატურის გასავრცელებლად. თათბირმა დააყენა აგრეთვე უცხო ელემენტებისაგან პარტიის რიგების გაწმენდისა და პარტიის ყრილობის მოწვევის საკითხი.

არალეგალური პარტიული მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებასთან ერთად მხარი დაუჭირა აგრეთვე ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1920 წ. ოქტომბერში გაიმართა.

ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება მოწვეული ყოფილიყო პარტიული ყრილობა პარტიული მუშაობის ტაქტიკის გამოსამუშავებლად. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს საქართველოს სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმაც.

გასაგებია აგრეთვე, რომ მას შემდეგ რაც ქართველმა მენშევიკებმა დაარღვიეს ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან და რეპრესიების გზით ძლიერ შეზღუდეს პარტიის ლეგალური არსებობის შესაძლებლობა, — და აგრეთვე ისეთ პირობებში, როდესაც მიმდინარეობდა მშრომელი მასების ბოლშევიზაცია და საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადება, გადაუდებელ ამოცანად დაისვა პარტიის ლეგალური აპარატის პარალელურად მისი არალეგალური აპარატის განმტკიცება და არალეგალური პარტიული მუშაობის გაძლიერება.

საქართველოს კომპარტია მშრომელთა მასებისათვის იბრძოდა და ამასთან მოხერხებულად ახამებდა ერთმანეთთან პარტიული მუშაობის ლეგალურ და არალეგალურ ფორმებსა და მეთოდებს.

ამ დროს იგი ებრძოდა ბოლშევიკთა ჯგუფის «მომემარცხენო» შეცდომებს, ჯგუფს, რომელსაც ემხრობოდა ქუთაისის საოლქო კომიტეტის ზოგიერთი წევრიც. ამ ჯგუფს შეეშინდა მუშაობის სიძნელეების, უარყოფდა პარტიის ლეგალური

არსებობის საჭიროებას და მოითხოვდა მის მთლიანად არა ლეგალურ მდგომარეობაზე გადაყვანას.

ამავე დროს პარტია ებრძოდა მემარჯვენე ოპორტუნისტების[54] ხაზსაც, რომელიც ცდილობდა მოეხდინა პარტიის არალეგალური აპარატის ლიკვიდაცია.

საქართველოს კომპარტია ზუსტად ხელმძღვანელობდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების 21 პირობაში.

«კლასობრივი ბრძოლა, — ნათქვამი იყო კომინტერნში მიღების პირობათა მესამე პუნქტში, — ევროპისა და ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში სამოქალაქო ომის ფაზაში შედის. ასეთ პირობებში კომუნისტებს არ შეუძლიათ ნდობით მოეკიდონ ბურჟუაზიულ კანონიერებას. ისინი ვალდებულნი არიან ყველგან შექმნან პარალელური არალეგალური აპარატი, რომელსაც შეეძლება გადამწყვეტ მომენტში დაეხმაროს პარტიას შეასრულოს თავისი მოვალეობა რევოლუციის წინაშე. ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კომუნისტებს, საალყო წესების ან საგანგებო კომიტეტების გამო, არა აქვთ შესაძლებლობა ლეგალურად აწარმოონ მთელი თავიანთი მუშაობა, ჯდავოდ აუცილებელია ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეხამება»*.

სამაზრო პარტიული კონფერენციების მოწვევის შემდეგ 1920 წ. 28 ნოემბერს — ფ. ენგელსის დაბადების ასი წლისთავზე გაიხსნა საქართველოს კომპარტიის არალეგალური კონფერენცია. იგი 5 დღე გაგრძელდა, კონფერენციის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი, პროფკავშირებში მუშაობა, მონაწილეობა საერობო და საქალაქო თვითმმართველობათა არჩევ-

---

* «კომუნისტური ინტერნაციონალი დოკუმენტებში», პარტგამომცემლობა, 1933, გვ. 101.

ნებში, პარტიული მუშაობის ფორმების შეცვლა (ლეგალური და არალეგალური მუშაობა).

კონფეოენციამ მთლიანად ამხილა როგორც «მემარცხენე», ისე მემარჯვენე ოპორტუნისტები და დაადასტურა, რომ აუცილებელია შენარჩუნებულ იქნას პარტიის როგორც ლეგალური, ისე არალეგალური აპარატი, ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეხამება. კონფერენციამ განიხილა და შეიმუშავა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკული საკითხები. კონფერენციაზე აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ახალი შემადგენლობა.

1920 წ. ნოემბერში მოწვეულმა არალეგალურმა პარტიულმა კონფერენციამ განსაკუთრებული როლი შეასრულა პარტიის რიგების განმტკიცების, მისი პოლიტიკური ხაზის შემუშავებისა და 1921 წ. თებერვალს საბჭოთა ხელისუფლების მოპოვების მომზადების საქმეში.

1920 წ. ნოემბერში საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გაიმარჯვა მბეჭდავთა კავშირში, სადაც მანამდე მენშევიკები ისეთი გავლენით სარგებლობდნენ, რომ ამ კავშირს «თავის სამემკვიდრეო მამულად» სთვლიდნენ. 14 ნოემბერს გამგეობის გადარჩევის შემდეგ ახალი გამგეობა მთლიანად კომუნისტური აღმოჩნდა. მენშევიკებმა სხვადასხვა საბაბით არ დაამტკიცეს არჩეული გამგეობის შემადგენლობა და 22 ნოემბერს დაინიშნა ახალი არჩევნები. ამჯერად მენშევიკებმა მთელი თავისი ძალები დარაზმეს. კომუნისტების წინააღმდეგ გამოდიოდა მენშევიკების, დაშნაკების, სოციალ - ფედერალისტებისა და ნაციონალ - დემოკრატების ბლოკი. კრების დარბაზში შემოუშვეს მრავალი ისეთი პირი, ვისაც არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონებია მბეჭდავთა კავშირთან. შენობა, სადაც კრება მიმდინარეობდა, გარშემორტყმული იყო განსაკუთრებული რაზმელებით. ისინი საკმაო რაოდენობით იყვნენ თვით კრებაზეც. მენშევიკები თავიანთ გამოსვლებში, როგორც ყოველთვის, მიმართავდნენ უსაზიზღრეს დემაგოგიას და ცილისწამებას საბჭოთა რუსეთისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. მათ არ მისცეს გამოსვლის საშუალება არც

ერთ კომუნისტ ორატორს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ხმების დათვლისას გამოირკვა, რომ კომუნისტებმა მიიღეს 261 ხმა, კონტრრევოლუციურმა ბლოკმა კი 262.

მოკლე საინფორმაციო ანგარიშში საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ ნოემბრის განმავლობაში მენშევიკებზე ამ გამარჯვების გამო ნათქვამია:

«... მენშევიკების ციდატელის აღებამ აფეთქებული ბომბის შთაბეჭდილება დატოვა. მთელმა პრესამ, და მათ შორის მენშევიკურმაც, აღიარა კომუნისტების გამარჯვება... ჩვენი მხრისაკენ მისწრაფებამ მკვეთრად იჩინა თავი დანარჩენ ძველისძველ მენშევიკურ კავშირებშიც (მთავარ კავშირებში— როგორიც არიან მელითონელები, მეტყავეები, პურის მცხობელები, ფარმაცევტები და ა. შ.) ჩვენ ყოველთვის უმრავლესობა გვყავდა, ვიდრე ამა წლის დამდეგს მათი პოლიციური განადგურება არ მოაწყეს»*.

საქართველოს ყველა პროფესიულ კავშირთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რკინიგზელთა კავშირი. ამ კავშირს მენშევიკები სამხედრო-პოლიციური აპარატის მთელი ძალებით იცავდნენ კომუნისტური გავლენისაგან.

1920 წ. შემოდგომისათვის საქართველოს კომპარტიამ შეძლო მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა თავისი გავლენა რკინიგზელთა შორისაც. რკინიგზის ტრანსპორტის ყველაზე მოწინავე და კლასობრივად შეგნებული მუშები ჩაბმულ იქნენ პარტიულ მუშაობაში.

მენშევიკები გრძნობდნენ თავიანთ უძლურებას კომუნისტების სულ უფრო და უფრო მზარდი გავლენის წინააღმდეგ და რკინიგზაზე მიმართავდნენ კომუნისტებისა და კომუნისტურად განწყობილი მუშების წინააღმდეგ ბრძოლის თავიანთ ნაცად მეთოდს—ამ მუშების დათხოვნას შტატების შემცირების საბაბით. მენშევიკები თვით მენშევიკ რკინიგზელებსაც კი აპატი-

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, პარტარქივი, რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს ს. 28.

მრებდნენ იმის შიშით, რომ მათ პროტესტი არ განეცხადებინათ და არ გაეკრიტიკებინათ ისინი.

შემოდგომაზე კომუნისტურმა პარტიამ ამხილა რკინიგზელთა კავშირის ცენტრალური გამგეობისა და რკინიგზის სასურსათო კომიტეტის დიდი ბოროტმოქმედება. რკინიგზის კავშირის და სასურსათო კომიტეტის მენშევიკ-მესვეურებს უკონტროლოდ მიჰქონდათ ნისიად უდიდესი თანხის მწვავე დეფიციტური სამრეწველო საქონელი და პროდუქტები. სასურსათო საწყობში აშკარად პარპაშებდნენ ქურდები და სპეკულანტები.

მენშევიკებს დანაშაულის ადგილზე წაუსწრეს, ყოველივე ეს ამხილა კომუნისტურმა პარტიამ, ამის შემდეგ მათ არაფრით არ შეეძლოთ თავი გაემართლებინათ მუშების წინაშე, მათ ვეღარ უშველა ვერავითარმა ხრიკებმა და დემაგოგიამ. აღსანიშნავია, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე სასურსათო საქმის ხელმძღვანელობაში გამომეღავნებული ბოროტმოქმედებანი მენშევიკური საქართველოს ყოველი სამეურნეო ორგანოს დამახასიათებელი იყო.

კომუნისტური გაზეთის ცნობამ ტრანსპორტზე სასურსათო საქმის მენშევიკი ხელმძღვანელების ბოროტმოქმედებათა შესახებ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მუშებში.

«2 დეკემბერს დილის 8 საათიდან, — წერდა გაზეთი «საქართველოს კომუნისტი», — მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშებმა, შიმშილისაგან სასოწარკვეთილებმა, შეწყვიტეს მუშაობა და სურდათ მიტინგის მოწყობა. ადგილზე მოვიდა პროფკავშირის თავმჯდომარე, რომელმაც წინადადება მისცა მუშებს დაშლილიყვნენ, ვინაიდანო, — ამბობდა იგი, — მუშების ასეთი მოქმედება აძლიერებს ნგრევას ჩვენს ქვეყანაში და ხელისუფლების პრესტიჟს არყევს. მაგრამ მუშებმა არ მოუსმინეს მას და დაუსტვინეს. პროფკავშირის წარმომადგენელი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა მიტინგი. მიტინგზე მუშებისათვის მოულოდნელად გამოცხადდნენ ბ-ნი

ჯულელი, დევდარიანი და სხვ. ბ-ნ დევდარიანს უყვიროდნენ და ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას»*.

კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გაითვალისწინა რკინიგზელთა განწყობილება და ვეღარ გაბედა მოეწვია დეკემბრის დამდეგისათვის დანიშნული რკინიგზის მოსამსახურეთა, ოსტატთა და მუშათა სადელეგატო ყრილობა. ეს ყრილობა მენშევიკებმა მოიწვიეს მხოლოდ 28 დეკემბერს, მას შემდეგ რაც დააპატიმრეს კომუნისტები და ყველაზე აქტიური მუშა-რკინიგზელები. თვით ყრილობა მენშევიკებმა ნახევრად კონსპირაციულად მოაწყეს, არ გააშუქეს მისი მუშაობა პრესაში და, ცხადია, არ დაუშვეს კომუნისტების გამოსვლა.

რევოლუციური ამბები გაჩაღდა სოფელშიც. იზრდებოდა კომუნისტების გავლენა აგრეთვე მენშევიკურ არმიაში. მენშევიკურმა მთავრობამ მოიწვია სპეციალური საიდუმლო სამხედრო თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ცალკეული სამხედრო ნაწილების იმ მეთაურებმა, რომლებიც განსაკუთრებით ერთგულნი იყვნენ მთავრობისადმი. მენშევიკებს სურდათ ამ თათბირზე გამოერკვიათ, თუ როგორი იყო განწყობილება არმიაში, რამდენად საიმედო იყო იგი საბჭოთა რუსეთთან ომის გაჩაღების შემთხვევაში. თათბირზე დამსწრე სამხედრო პირთა საერთო აზრი იყო შემდეგი: ქართული არმიის ჯარისკაცები არ იომებენ წითელი არმიის წინააღმდეგ. კიდევ მეტი, წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში არ შეიძლებოდა დაყრდნობა არც «სახალხო გვარდიაზე», რომელსაც მენშევიკები თავის «საიმედო საყრდენად» სთვლიდნენ.

სულ უფრო მწვავდებოდა ურთიერთობა მენშევიკურ მთავრობასა და აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელ მასებს შორის.

* * *

მენშევიკები განაგრძობდნენ დახმარების გაწევას რუსეთის კონტრრევოლუციისათვის.

---

* «საქართველოს კომუნისტი» № 42, 1920 წ.

მენშევიკური საქართველო თავშესაფარი გახდა ვრანგელის განადგურებული არმიის ნაშთებისათვისაც.

თანახმად 1920 წ. 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებისა, მენშევიკური მთავრობა ვალდებული იყო დაებრუნებია საბჭოთა რუსეთისათვის საქართველოს ნავსადგურებში თავმოყრილი ვრანგელის გემები, მაგრამ მან საშუალება მისცა ამ გემებს კონსტანტინოპოლში წასულიყვნენ. კერძოდ, საფრანგეთის ნაღმოსნის თანხლებით კონსტანტინოპოლში წავიდა ბათუმის ნავსადგურში მდგომი გემი «ჰრინცი».

საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების მიუხედავად საქართველოს ტერიტორიაზე პოულობდნენ თავშესაფარსა და დახმარებას ყოფილი კონტრრევოლუციური მთავრობანი: «მთიელთა მთავრობა» ახმედ ცალიკოვის მეთაურობით, «მთიელთა და თერგის კაზაკების ბოლშევიკური გავლენისაგან განთავისუფლების ხელისშემწყობი კომიტეტი», «ჩრდილოეთ კავკასიის საემიროს» წარმომადგენლები, «ყუბანისა და თერგის განთავისუფლების კომიტეტი», აგრეთვე დენიკინელთა ცნობილი მოღვაწეები და ა. შ. ხსენებული წარმომადგენლობანი და მათი კომიტეტები დაუბრკოლებლად აყალიბებდნენ საქართველოში თეთრგვარდიელთა ნაწილებს, რომლებსაც შემდეგ ამარაგებდნენ იარაღით და გზავნიდნენ საბჭოთა ტერიტორიაზე ძირგამომთხრელი მუშაობისა და კონტრრევოლუციურ აჯანყებათა მოსაწყობად.

ასე, მაგალითად, დაღისტნის აჯანყება მომზადდა თბილისში, ინგლის-საფრანგეთის ოქროთი შამილის შვილიშვილის მიერ [55]. ამ აჯანყების შტაბი ლაგოდეხში იმყოფებოდა.

«... კონტრრევოლუციურმა მთავრობებმა — ყუბანისა (რადა), აზერბაიჯანისა (მუსავატელები) და სხვებმა სტუმართმოყვარული თავშესაფარი პოვეს საქართველოში, საიდანაც მათ შეეძლოთ მოეწყოთ მუდმივი აჯანყებანი მთელ საბჭოთა კავკასიაში და ეხელმძღვანელიბიათ მათთვის. კავკასიაში გამოვლინებული და გამომჟღავნებული ყველა იმ შეთქმულების კვალს, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, თბილისამდე და ქუთაისამდე მივყავდით.

ამავე დროს ქართულ პრესაში, მათ შორის ოფიციალურ და ოფიციოზურ ორგანოებში, ეწეოდნენ «ნამდვილი დამოუკიდებლობის პროპაგანდას», ე. ი. აზერბაიჯანსა და კავკასიის სხვა ნაწილებში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის პროპაგანდას. მაგრამ ეს ცოტაა, საქართველოს მთავრობა და მისი უაღრესად პასუხისმგებელი აგენტები, როგორც, მაგალითად, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში, უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას შეთქმულთა საქმეებში» *.

მენშევიკებს არ ჰქონდა იმედი, რომ თავიანთი შინაური ძალებით შეძლებდნენ თავიდან აეცილებინათ გადამწყვეტი რევოლუციური ამბები და ამიტომ მიიღეს ზომები იმისათვის, რათა მიეღოთ შეიარაღებული დახმარება დასავლეთის იმპერიალისტებისაგან.

1920 წ. შემოდგომაზე ინგლისის დიპლომატიურ წრეებში და მენშევიკურ პრესაში აშკარად იხილავდნენ საკითხს იმის შესახებ, რომ ბათუმი ინგლისელებს გადაცემოდა. ეს გადაცემა სურდათ ისე განეხორციელებინათ, თითქოს ეს იყო სამხედრო ოკუპაცია იმ მიზნით, რათა უზრუნველყოთ საქართველოს მიერ თავისი ვალების გადახდა, ანდა ბათუმში პორტო-ფრანკოს დაწესების საბაბით.

გაიგო რა ეს, ი. ბ. სტალინმა 1920 წ. 26 ოქტომბერს გაუგზავნა ვ. ი. ლენინს შემდეგი დეპეშა: «საქართველო აპირებს გადასცეს ბათუმი ანტანტას და შეიძლება გზა გაუხსნას ვრანგელს უკან დასახევად და აგრეთვე ბაქოს მხრისაკენ შეტევისათვის»**. ლენინმა დაადასტურა ი. ბ. სტალინის ამ მოსაზრების სისწორე და 29 ოქტომბერს მას უპასუხა: «უდავოდ მიმაჩნია, რომ საქართველო ბათუმს გადასცემს ანტანტას, ალბათ საიდუმლოდ, და რომ ანტანტა გაილაშქრებს ბაქოზე» ***.

---

* «რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მათი ურთიერთობა», გვ. 57 — 58.

** ლენინის კრებული XXXIV, გვ. 773.

*** ი ქ ვ ე, გვ. 374.

ინგლისელების მიერ ბათუმის — შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე ამ საუკეთესო ნავსადგურის — ოკუპაცია ნიშნავდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ანტანტის იმპერიალისტების მიერ ახალი ლაშქრობის მომზადებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, პირდაპირ მუქარას აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკისადმი, პირველ ნაბიჯს ახალი ომისაკენ კავკასიაში *. ქართველი მენშევიკები ხალისით უთმობდნენ ბათუმს ინგლისის იმპერიალისტებს იმიტომ, რომ უძლურნი აღმოჩნდნენ თავი გაერთვათ აქ კომუნისტური მოძრაობისათვის.

საბჭოთა მთავრობამ უაღრესად მტკიცე პროტესტი გაუცხადა ინგლისისა და მენშევიკების მთავრობებს იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ ბათუმი ხელში ჩაეგდოთ ინგლისელებს** და 1920 წ. 18 ნოემბერს მიმართა უშუალოდ ანტანტის ქვეყნების მუშებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ამ ახალი სამხედრო ავანტურის გამო.

ამასთან ერთად საბჭოთა რუსეთი იძულებული იყო თავდაცვის მიზნით გაეძლიერებინა თავისი შეიარაღებული ძალები ჩრდილოეთ კავკასიაში. ვრანგელის განადგურებამ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ სომხეთში, საბჭოთა მთავრობის მტკიცე განცხადებამ, რომ იგი «ყველა შესაძლებელ ზომას» მიიღებს ინგლისის იმპერიალისტების მიერ ბათუმის ოკუპაციის წინააღმდეგ, აიძულა ამერიკის შეერთებული შტატები და ანტანტა ხელი აეღოთ თავიანთ დანაშაულებრივ გეგმებზე.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იმპერიალისტები ცდილობდნენ შერიგებოდნენ ქემალს და წაექეზებინათ იგი საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ იმ ანგარიშით, რომ მას

---

* რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რადიოგრამა 16 ნოემბრის თარიღით კერზონს «სსრკ საგარეო პოლიტიკა», ტ. 11, დოკ. № 313.

** იქვე, დოკუმენტები №№ 313 ი 314 ა, და აგრეთვე გაზ. «საქართველოს კომუნისტი» № 37, 1920 წ.

ანტანტის ხელმძღვანელობით განეხორციელებინა მთელ‹ კავკასიისა და› ამიერკავკასიის დაპყრობის პანთურქული გეგ მები. ამასთან ვარაუდობდნენ, რომ ბაქოზე ლაშქრობას მხარ‹ დაუჭერენ აზერბაიჯანის და მთელი კავკასიის მუსლიმანები

ბაქოს გაზეთი «კომუნისტი» ამხელდა ამერიკის შეერთებული შტატების, ანტანტისა და თურქეთის რეაქციონერების ხრიკებს და წერდა:

«საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილონი ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს იმის შესახებ, რომ თურქები დაიწყებენ შეტევას აზერბაიჯანის წინააღმდეგ. ჩვენ ეს არ გვჯერა, მაგრამ თუ თურქეთი ნამდვილად დაუახლოვდება ანტანტას, წითელი აზერბაიჯანის მუშები და გლეხები იბრძოლებენ ქემალისტების წინააღმდეგ. ტყუილად ფიქრობენ თურქი შოვინისტები, რომ მათ მხარს დაუჭერენ მათი ერთმორწმუნენი აღმოსავლეთში» *.

დეკემბრის დამდეგს თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის «უმაღლესი კომისარი» ა. შევალიე, ხოლო ბათუმში საფრანგეთის ადმირალი დიუმენილი. ბათუმის ნავსადგურში ამ დროს საფრანგეთის სამხედრო გემების გარდა იდგა იტალიის კრეისერი «აკორდატი» და ამერიკის ორი ნაღმოსანი. 16 დეკემბერს შევალიემ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ცინიკური გულახდილობით განაცხადა, რომ მთელი მსოფლიოს ინტერესები მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას სომხეთსა და აზერბაიჯანშიო, და იქვე აღუთქვა მენშევიკებს შეიარაღებული ძალებით დახმარება თვით საქართველოს შიგნით რევოლუციის ზრდისა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამხელდა რა ანტანტის კონტრრევოლუციურ საქმიანობას და მის მისწრაფებას — დამკვიდრებულიყო კავკასიაში, ამხანაგი სტალინი 1920 წლის ნოემბერში ამბობდა:

«...კავკასიის დიდი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულის, სათბობისა და სურ-

---

* გაზ. «კომუნისტი» № 176, 1920 წ. 30 ნოემბერი.

სათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპასა და აზიას შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი-ბაქო, ბათუმი-თავრიზი, ბათუმი-თავრიზი-არზრუმი).

ყოველივე ამას ითვალისწინებს ანტანტა, რომელსაც ამჟამად ხელთ აქვს კონსტანტინოპოლი, შაეი ზღვის ეს გასაღები, და სურს შეინარჩუნოს აღმოსავლეთისაკენ ამიერკავკასიაზე მიმავალი პირდაპირი გზა.

ბოლოს და ბოლოს ვინ მოიკიდებს ფეხს კავკასიაში, ვინ ისარგებლებს ნავთითა და აზიის სიღრმეში მიმავალი უაღრესად მნიშვნელოვანი გზებით, რევოლუცია თუ ანტანტა,— ეს არის მთელი საკითხი.

აზერბაიჯანის განთავისუფლებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ანტანტის პოზიცია კავკასიაში. ანტანტის წინააღმდეგ თურქეთის ბრძოლამ იგივე შედეგები გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ანტანტა გულს არ იტეხს და კავკასიაში თავის ქსელსა ქსოვს.

თბილისის გადაქცევა კონტრრევოლუციური მუშაობის ბაზად, აზერბაიჯანის, დაღისტნისა და თერგის ოლქის მთიელთა ბურჟუაზიული მთავრობების ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, ანტანტის სახსრებითა და ბურჟუაზიული საქართველოს დახმარებით; ქემალისტებთან ლაციცი და თურქეთის პროტექტორატით კავკასიის ხალხთა ფედერაციის იდეების ქადაგება; სპარსეთში სამინისტროების ოთურმა, რასაც ანტანტა აწყობს, და სპარსეთის ავსება სიპაეებით, — ყოველივე ეს და მრავალი ამგვარი რამ იმას მოწმობს, რომ ანტანტის ბებერი მგლები არ თვლემენ. უეჭველია, ანტანტის აგენტების მუშაობა ამ მიმართულებით ნიშვნელოვნად გაძლიერდა და ციებ-ცხელების ხასიათი მიიღო ვრანგელის განადგურების შემდეგ» *.

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 444 — 445.

შევალიეს და დიუმენილის ჩამოსვლის შემდეგ მენშევიკების აგრესიული მოქმედება საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ და რეპრესიები კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით მკვეთრად გაძლიერდა. საქართველოს განსაკუთრებულ რაზმსა და ინგლის-საფრანგეთის კონტრდაზვერვას შორის უმჭიდროესი კავშირი და კონტაქტი არსებობდა. რევოლუციური ხალხის მიმართ გაბოროტებული შურისძიებით აღსავსე მენშევიკები არაფრის წინაშე არ იხევდნენ უკან.

საბჭოთა სომხეთი დაშნაკების მიერ თურქეთთან წამოწყებული გამანადგურებელი ომისა და მოუსავლობის შედეგად 1920 წლის დამლევისათვის დიდ შიმშილობას განიცდიდა. ამ ქვეყანას მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების იმედი დარჩენოდა, ერთადერთი რკინიგზა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საქართველოზე გადიოდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებაში იყო სპეციალური პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა მარშრუტების ტრანზიტს საქართველოსა და სომხეთის გავლით, მენშევიკებმა მტკიცე უარი განაცხადეს პურის მარშრუტების გატარებაზე სომხეთის დამშეული მოსახლეობის გადასარჩენად.

«ქართველი მენშევიკების ხელში, — წერდა ამის გამო ვ. ი. ლენინი, — იყო სომეხი გლეხობის სურსათის გასაღები — საერთო რკინიგზა.

არავის არ ეყოფა მოთმინება წაიკითხოს ის დეპეშები, განცხადებები და პროტესტები, რომლებითაც ჩვენ მივმართავდით საქართველოს ამის გამო. ჩვენ რომ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვქონოდა, ჩვენ რაც შეიძლება უფრო მეტ ხანს უნდა გაგვეჭიანურებინა საქმე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სომეხი გლეხობა ასე როდი უყურებდა ხელშეკრულებას, და საქმე იმით გათავდა, რომ თებერვლის დამდეგს იფეთქა საშინელმა აჯანყებამ, რომე-

ლიც საოცარი სისწრაფით გავრცელდა და მოედო არა მარ-
ტო სომეხ, არამედ ქართველ მოსახლეობასაც» *.

1920 წ. დეკემბერში დაშნაკებმა შეთანხმება დადეს ქე-
მალისტურ თურქეთთან, რათა შეერთებული ძალებით დაემ-
ხოთ საბჭოთა ხელისუფლება სომხეთში.

დაშნაკებმა ისარგებლეს იმით, რომ საბჭოთა ხელისუფ-
ლება ჯერ კიდევ არ იყო მომაგრებული და ამერიკის შეერ-
თებული შტატების, თურქეთისა და ქართველი მენშევიკების
დახმარებითა და მხარდაჭერით 1921 წ. თებერვალში მოაწ-
ყეს კონტრრევოლუციური ამბოხება და ხელთ იგდეს სომ-
ხეთის ტერიტორიის ნაწილი და ამასთან ქ. ერევანიც, შექ-
მნილ იქნა «მთავრობა» — «სამშობლოს ხსნის კომიტეტი»
ს. ვრაციანის მეთაურობით. მენშევიკებსა და დაშნაკებს
შორის დაუყოვნებლივ დამყარდა კონტაქტი საერთო მოქმე-
დების შესახებ კომუნისტების წინააღმდეგ.

მაგრამ დაშნაკთა სისხლიანი ავანტურა მალე დამარცხდა.
1921 წ. 2 აპრილს დაშნაკები განდევნილ იქნენ ერევნიდან
და ისინი ზანგეზურში გაიქცნენ, სადაც ცდილობდნენ შეექმ-
ნათ ანტისაბჭოთა ბრძოლის ბაზა. საბჭოთა ნაციონალურ-
მა რაზმებმა წითელი არმიის ნაწილებთან ერთად გაანად-
გურეს დაშნაკური ბანდები და საბჭოთა ხელისუფლებამ საბო-
ლოოდ გაიმარჯვა სომხეთში. სომხეთში მომხდარი ავან ტურა
ეს იყო ნაწილი იმ საერთო ავანტურისა, რომელიც, თბილის-
ში იყო დაგეგმილი, მთელ კავკასიას უნდა მოდებოდა და მი-
მართული უნდა ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების წინა-
აღმდეგ. სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკა შემდეგშიც აწყდე-
ბოდა საქართველოს მენშევიკების მტრულ პოლიტიკას.

მენშევიკური მთავრობა ხელს უშლიდა სომხეთის ურთი-
ერთკავშირს საბჭოთა აზერბაიჯანთან და რსფს რესპუბლი-
კასთან, ცდილობდა მოეხდინა მისი იზოლაცია. ბაქო-თბილის-
ერევნის რკინიგზაზე აჩერებდნენ ყველა მარშრუტს, რომე-
ლიც სომხეთში მიემართებოდა.

---

* ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 176 — 177.

მენშევიკურმა მთავრობამ ჯერ კიდევ სომხეთის დამხობილ დაშნაკურ მთავრობასთან დადებული ხელშეკრულებით, თითქოს თურქების შემოტევისაგან თავდაცვის მიზნით, დროებით დაიკავა რაიონი, უმთავრესად სომხების მიერ დასახლებული (ამჟამად სომხეთის სსრ სტეფანავანის რაიონი). ვინაიდან ამ ხელშეკრულების ვადა 1921 წ. 11 თებერვალს გადიოდა, სომხეთის საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას გაეთავისუფლებია მის მიერ დაკავებული რაიონი, როგორც სომხეთის სსრ ტერიტორიის ნაწილი. სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის საბჭოთა სომხეთმა წინადადება წამოაყენა მოეწვიათ კონფერენცია რსფს რესპუბლიკის, როგორც არბიტრის, მონაწილეობით. საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა მენშევიკურმა მთავრობამ უარი თქვა კონფერენციის მოწვევაზე, მას დაკავებული ტერიტორიიდან თავისი ჯარების გაყვანაზე სიტყვის მოსმენაც კი არ სურდა.

ქართველი მენშევიკები განუწყვეტლივ მიმართავდნენ რეპრესიულ ღონისძიებებს.

მენშევიკური მთავრობის განკარგულებით 1920 წ. 17 დეკემბერს კვლავ დახურეს კომუნისტური გაზეთი «ახალი კომუნისტი» და დააპატიმრეს მისი თანამშრომლები. დახურეს და დალუქეს თბილისის კომიტეტის, რაიონული ბიუროების, კომუნისტური გაზეთების რედაქციათა და სტამბათა შენობები. 1920 წ. 17 დეკემბერს მენშევიკებმა დალუქეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შენობაც.

რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიურომ 1921 წ. 1 იანვარს თბილისიდან მიიღო შემდეგი ცნობა: «კომუნისტების მასობრივი თვითნებური დაპატიმრება (საქართველოში) გრძელდება როგორც ქალაქებში, ისე პროვინციებში. განსაკუთრებით უმსგავსო ხასიათი მიიღო დაპატიმრებამ სიღნაღისა და თელავის მაზრებში, საიდანაც ათობით დაპატიმრებულ კომუნისტს მოერეკებიან, აგრეთვე ქალაქ ბათუმში, სადაც აპატიმრებენ ყველას, ვინც კი შედის ან გამოდის პარტიულ ბიუროებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაუხურავთ და არ

დაულუქავთ (როგორც თბილისში) და ამრიგად გადაქცეულია მახეებად.

1 იანვრისათვის თბილისში 100 ტყვე კომუნისტი იყო, ქუთაისის საკატორღო ციხეში (სადაც გზავნიან პატიმართა უმრავლესობას თბილისიდან) — 200-ზე მეტი, დანარჩენ (საოლქო და სამაზრო) საპატიმროებში — დაახლოებით 100. ამრიგად, ახალი წლის დამდეგს საქართველოს საპატიმროებში იყო არა ნაკლებ 400 კომუნისტისა, მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება» *.

მენშევიკური მთავრობის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ დაპატიმრებულ იქნა საბჭოთა დიპლომატიური მისიის მრავალი თანამშრომელი. ბათუმში მენშევიკებმა დაარბიეს «ცენტროსოიუზის» განყოფილება, თავს დაესხნენ საბჭოთა დიპლომატიურ შიკრიკს და გაძარცვეს იგი.

რსფს რესპუბლიკისა და საქართველოს შორის დადებული 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება ფაქტიურად ანულირებულ იქნა. როგორც ვ. ი. ლენინი წინასწარ განსაზღვრავდა, ეს იყო იმ პერიოდში, როდესაც იმპერიალისტები 1921 წლის შემოდგომისათვის ამზადებდნენ ახალ ლაშქრობას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ისინი იმედს ამყარებდნენ კრონშტადტის აჯანყებაზე, რომელიც მზადდებოდა, კულაკურ აჯანყებებზე ციმბირსა და სხვა რაიონებში, ტროცკისტების ანტიპარტიულ ბრძოლაზე. იმპერიალისტები ამზადებდნენ აგრეთვე ინტერვენციას მოსაზღვრე სახელმწიფოების — რუმინეთის, პოლონეთისა და თურქეთის მხრივ. იმ მიზნით, რათა თურქეთი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში ჩაებათ, ყოველნაირად აქეზებდნენ ქემალისტებს აგრესიისათვის კავკასიაში.

თავის იმპერიალისტ ბატონებთან ერთად ქართველი მენშევიკები სავსებით დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთში

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, პარტარქივი, ს. 13., გვ. 227.

პროლეტარული დიქტატურის დღეები დათვლილი იყო და რომ უახლოეს მომავალში იქ ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების რესტავრაცია მოხდებოდა.

საქართველოს სამხედრო ხროვა საზღვრის ზოლში XI წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგაც პროვოკაციულად მოქმედებდა.

მაგალითად, რსფს რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ნოტაში საქართველოსადმი 1921 წ. 26 იანვრის თარიღით ნათქვამი იყო:

«25 იანვარს XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოსაგან მივიღე ცნობები იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა პუნქტში, მდინარე მტკვრის გაყოლებით წითელ და ფოილოს ხიდებს შუა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ჯარებმა სროლა აუტეხეს რუსეთის წითელი არმიის ნაწილებს.

20 იანვარს 19 საათზე ქართულმა ნაწილებმა სროლა აუტეხეს ჩვენ საგუშაგოს სოფელ გამაკაისთან. იმავე რიცხვში სოფელ სალახიდან ხუთი ვერსის დაშორებით დასავლეთისაკენ მოსაზღვრე პოლკის უფროსს თავს დაესხა ქართველი ცხენოსანი რაზმი 30 მხედრის რაოდენობით, რომელმაც გადალახა სახელმწიფო საზღვარი და გადავიდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სამხრეთით. ბოლოს, 21 იანვარს, 2 საათზე, საქართველოს ჯარებმა სროლა აუტეხეს ჩვენს ნაწილებს სოფელ ყაზაღლისთან, რის შედეგადაც დაჭრილია ერთი წითელარმიელი.

ყოველივე ზემოხსენებული ეჭვს არ იწვევს იმაში, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ჯარებმა შეიარაღებული თავდასხმა მოახდინეს რუსეთის წითელ არმიაზე, თავდასხმა, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში შეიძლებოდა იმ მეთაურთა შემადგენლობის ალარმისტული მოქმედების შედეგი გამხდარიყო, რომელიც ცდილობდა სამხედრო მოქმედების ან საზღვარზე დიდი შეიარაღებული შეტაკების პროვოკაციულად გამოწვევას, წითელი არმიის

ნაწილებს რომ თავდაჭერილობა და პასუხისმგებლობის შეგნება არ გამოეჩინათ რუსეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ხალხთა წინაშე მოსალოდნელი შედეგებისათვის» *.

მენშევიკები იარაღს აჩხარუნებდნენ, ხოლო მათი ჯარები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ანგარიშში რკპ (ბ) კავკასიის ბიუროსადმი 1920 წ. 12 დეკემბრის თარიღით ამის გამო ნათქვამი იყო:

«თბილისის გარნიზონი დღე და ღამ ფეხზე დგას, ქალაქი დაყოფილია საბრძოლო უბნებად, ჯავშნიანი ავტომობილები მზადაა, ჯავშნიანი მატარებლები მიმოდიან რკინიგზაზე. ქალაქის რაიონში ღამით პროკურორი მუშაობს» *.

საქართველოს კპ ცენტრალური და თბილისის კომიტეტები და აგრეთვე «პროფესიული კავშირების კომუნისტური ფრაქციების მუშათა ცენტრი», ითვალისწინებდნენ რა კლასობრივ ძალთა კონკრეტულ პირობებსა და თანაფარდობას საქართველოში, 1920 წ. დეკემბერს მენშევიკური ტერორის პასუხად თავიანთ მოწოდებაში საქართველოს კომპარტიის ყველა ორგანიზაციისა და მშრომელი მასებისადმი წერდნენ:

«... ამხანაგებო, ჩვენ არ გვაშინებს ჩვენი მტრების მუშტის არც ეს მორიგი თარეში. ჩვენ დამშვიდებული ვართ... ყინული უკვე დაიძრა, მასები უკვე შეირხნენ, მათ უკვე ჩამოიფერთხეს აპათიის უკანასკნელი ნიშანი, ნიღაბჩამოგლეჯილი ბელადების მათ უკვე აღარაფერი სჯერათ. მეტი თავდაჭერა, მეტი შემჭიდროება, პარტიის წევრთა ორგანიზებული დაკავშირება მშრომელ მასებთან მომავალი გამარჯვებისათვის — აი საითკენ მოგიწოდებთ თქვენ. ბრძოლა ჩვენი პარტიის ლეგალური არსებისათვის ახალ პერიოდში გადა-

---

* «რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მათი ურთიერთობა», გვ. 60.

** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, პარტარქივი, ს. 28.

დის, ეს ბრძოლა არ უნდა შეჩერდეს არც ერთი წუთით. დაე განაგრძონ მენშევიკებმა ჩვენი დაპატიმრება და ციხეში გამომწყვდევა — ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენს დროში ციხიდან ხელისუფლების სასახლემდე და პირუკუ სულ ერთი ნაბიჯია.

მაშ ასე, ამხანაგებო, ერთსულოვნად, ჩვეულებისამებრ მზად იყავით იტვირთოთ პარტიის სამსახურის მძიმე ჯვარი! ბრძოლა! მშრომელთა აღდგომა ახლოსაა. კომუნიზმის მზის პირველი სხივები უკვე ეფინებიან მშრომელ საქართველოსაც. გაუმარჯოს კომუნიზმს!» *

* * *

გაითვალისწინა რა ხელსაყრელი შინაური და საგარეო ვითარება, ის გარემოება, რომ მენშევიკებს არ ჰქონდათ რაიმე სერიოზული დასაყრდენი მშრომელთა მასებში, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) გავლენის ზრდა, რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიურომ 1921 წ. იანვარს დირექტივა მისცა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება და დანიშნა აჯანყების დრო. საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები მოყვანილ იქნა საბრძოლო მზადყოფნაში. მუშებისა და გლეხების შეიარაღებული რაზმები აჯანყების სიგნალს ელოდნენ. 1921 წ. 11 თებერვალს ღამით დაიწყო აჯანყება.

მე 5, მე-6 და მე-8 პოლკების 3 ათასზე მეტმა ჯარისკაცმა წინააღმდეგობის გაუწევლად დაჰყარა იარაღი და აჯანყებულებს დანებდა.

ყაზბეგის მხრიდან ჩრდილოეთით აჯანყება მოაწყეს მთიელმა ქართველებმა, აჯანყდნენ აგრეთვე ბორჩალოს, დუშეთის, გორის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების გლეხები.

აჯანყების ალი მოედო ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის მაზრებს, აჭარას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს.

---

* გაზ. «კომუნისტი» № 49, 1920 წ.

16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კ
მიტეტი საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების სახელ
ძღვანელოდ.

რევოლუციურმა კომიტეტმა საქართველოში საბჭოთ
სოციალისტური რესპუბლიკა გამოაცხადა და საქართველო
მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებსა და ყველა მშრომელს შე
დეგი მოწოდებით მიმართა:

«დადგა ჟამი თქვენი განთავისუფლებისა ქართველი მენშევი
კების, საერთაშორისო რეაქციული იმპერიალიზმის ერთგული
ლაქიების უღლისაგან. სამი წელიწადი ისინი აბუჩად იგდებ
დნენ საქართველოს მშრომელებს, სამი წელიწადი ისინი
ბილწავდნენ საქართველოში მოსახლე ხალხთა სულს, სამი
წელიწადი იბრძოდნენ ისინი მშრომელთა რევოლუციის წ
ააღმდეგ კონტრრევოლუციისა და იმპერიალიზმის საფიქრებ
ლად. მენშევიკების ძალადობას, ურცხვობას და თავხედო
ბას პასუხობდნენ აჯანყებებით, რომლებსაც ისინი ყოველ-
თვის აბშობდნენ შინაური და გარეშე რეაქციული ძალების
ხელის შეწყობით: გააფთრებით იძიებდნენ ისინი შურს
მშრომელ ხალხზე კაპიტალის უღლისა და ეროვნულ ჩაგვ
რის დამხობის ცდებისათვის...

აჯანყებულნი, რომლებსაც ერთიმეორის მიყოლებით ნე
დებიან მენშევიკური მთავრობის პოლკები, ძლევამოსილად
მიიწევენ მენშევიკური კონტრრევოლუციის დედაქალაქ-თბ
ილისისაკენ. მშრომელები ყველგან იარაღს ჰკიდებენ ხელს.
აჯანყება ფართოვდება, აჯანყება რაიონიდან რაიონში გ
დადის... საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, ხელთ
იღებს რა მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას, დამხობილად
აცხადებს ქართველი მენშევიკების მთავრობას. ამიერიდან
საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა.

ამიერიდან მთელი ძალაუფლება ეკუთვნის მშრომელებს
მუშებს და გლეხებს...

ამხანაგებო, ძმებო — ქალაქისა და სოფლის მშრომელნო!
განაწამებ, მენშევიკური რეაქციის ყინულით შეკრულ საქარ
თველოში ამოდის პროლეტარული რევოლუციის მზე. ნუ

მივცემთ საშუალებას რეაქციის შავ ძალებს კვლავ დააბნელონ იგი, კვლავ ჯოჯოხეთში ჩააგდონ. დაამხეთ ყველგან მენშევიკების ხელისუფლება. ხელთ აიღეთ ადგილებზე მთელი ძალაუფლება. შექმენით ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები.

ხელი მოჰკიდეთ იარაღს, ამხანაგო მშრომელებო!

წინ, საბჭოების ხელისუფლებისათვის!

გაუმარჯოს ახლადდაბადებულ, სახალხო აჯანყების ცეცხლსა და კვამლში შობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას! *

საქართველოს მუშათა და გლეხთა აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის წარმატებით ვითარდებოდა. მთელს საქართველოში ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დასაჩქარებლად, მშრომელთა მასების მხრივ მსხვერპლის შესამცირებლად საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მუშებისა და გლეხების სახელით დახმარებისათვის მიმართა რსფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი. ლენინს. ამ ისტორიულ მიმართვაში ნათქვამი იყო:

«საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, მენშევიკების კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ხალხის მასების აჯანყების ცეცხლსა და კვამლში შობილი, აღფრთოვანებით მიესალმება დიადი პროლეტარული რევოლუციის ბელადს. მენშევიკების მთავრობამ, რომელსაც სამი წლის განმავლობაში კვებავდა საერთაშორისო იმპერიალიზმი, შექმნა პირადი პოლიციური და სამხედრო აპარატი მშრომელთა ჩასახშობად. საერთაშორისო რეაქციის და ქართველი მენშევიკების წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმის კოალიციის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელები სუსტი იყვნენ და მოძალადეთა უღლის ჩამოგდების ყველა ცდა დამარცხებით

* საქ. სსრ ცსსა, ფ. 281, ს. 212, გვ. 2, 3.

თავდებოდა. მაგრამ ხალხის მასების უკანასკნელი აჯანყება ძლევამოსილი აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობის დასახმარებლად მოისწრაფვიან ევროპული რეაქციის ძალები. შეერთებულ შავ ლაშქარს შეიძლება წინ აღუდგეს მხოლოდ შეერთებული წითელი სოციალისტური ლაშქარი. ჩვენ იმედი გვაქვს, დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიადი პროლეტარული რევოლუციის, არამედ დიდ მატერიალურ შესაძლებლობათა ქვეყანა არ დაგვტოვებს უთანასწორო ბრძოლაში და დაეხმარება ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა. რესპუბლიკას.

გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!
გაუმარჯოს მის დიდ ბელადს!
გაუმარჯოს წითელ არმიას!» *

საბჭოთა მთავრობა პატიოსნად იცავდა სამშვიდობო ხელშეკრულებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და არ წყვეტდა ცდას მასთან ურთიერთობა მშვიდობიანი გზით მოეწესრიგებინა. როგორც ამბ. ორჯონიკიძემ 1921 წ. 9 მარტს «გრუკავროსტას» თანამშრომელთან საუბარში განაცხადა «მოსკოვი მუდამ გადაჭრით წინააღმდეგი იყო რაიმე კონფლიქტური ურთიერთობისა საქართველოსთან. აქ გამოიგზავნა მარშრუტები ნავთით, დასმული იყო აგრეთვე საკითხი გაწეოდა საქართველოს ფინანსური დახმარება ოქროთი» **. მაგრამ საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებია ის ბრძოლა, რომელიც გააჩაღეს საქართველოში მუშებმა და გლეხებმა, მით უმეტეს როცა თვითონ მენშევიკები არ ფარავდნენ, რომ აჯანყების ჩაქრობაში მათ დახმარებას უწევენ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტები.

აი, მაგალითად, რა იყო ნათქვამი მენშევიკური არმიის გენერალური შტაბის 1921 წლის 20 თებერვლის ცნობაში:

---

* «უახლოესი დროის საერთაშორისო პოლიტიკა ხელშეკრულებებსა, ნოტებსა და დეკლარაციებში», ნ. 111, ნაკ. 1, გვ. 87.

** გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, რჩეული სტატიები და სიტყვები, გვ. 105.

«საფრანგეთის ესკადრა დახმარებას გეიწევს ჩვენი ტერი-ტორიის დაცვის საქმეში, ცეცხლს უშენს რა ბოლშევიკებს ფლანგიდან».

23 თებერვლის ცნობაში ნათქვანი იყო: «გაგრის ფრონტზე საფრანგეთის ესკადრამ სროლა აუტეხა ბოლშევიკებს». წითელი არმიის სარდლობის ცნობაში ანტანტის სამხედრო გეგმების მოქმედების შესახებ ვკითხულობთ: გაგრის რაიონში 20 თებერვალს სოფელ ვესიოლოეს ჩრდილოეთით, ამ სოფლიდან 4 კილომეტრის დაშორებით საფრანგეთის 2 სამხედრო გემმა ცეცხლი დაუშინა სანაპიროს, გაისროლა რა 80-ზე მეტი ყუმბარა*.

23 თებერვალს საფრანგეთის ესკადრის 8 გემმა სროლა აუტეხა სოფელ ვესიოლოეს, ამავე დღეს ამ გემებმა არტილერია და ტყვიამფრქვევები აამოქმედეს სოფელ პილენკოვოსთან მდგომ 273-ე ქვეითი პოლკის წინააღმდეგ. აღნიშნულ რაიონს მიადგა მტრის 3 ახალი გემი, 2 მათგანი იყო «ნავის» ტიპის ნაღმოსანი. ამ გემებმა სროლა აუტეხეს 91-ე ბრიგადის საველე შტაბს და აგრეთვე 273-ე ქვეითი პოლკს**.

მტრის გემები საარტილერიო ცეცხლით ხელს უშლიდნენ წითელი არმიის ნაწილებს გადაელახათ მდინარე ბზიბი. 27 და 28 თებერვალს და აგრეთვე 3 მარტს წითელი არმიის ნაწილებს და აჯანყებულთა რაზმებს ქიმიური ყუმბარები დაუშინეს ინგლის-საფრანგეთის საბჭოთა გემებმა***.

ინგლის-საფრანგეთის გემები 1 ჯავშნოსანი გემის, 1 კრეისერისა და 2 სატრანსპორტო ხომალდის შემადგენლობით ენერგიულად ეხმარებოდნენ მენშევიკურ ჯარებს მარტის დამდეგს ახალი ათონის დაცვაში წითელი არმიის ნაწილებისა და პარტიზანული რაზმების შემოტევისაგან.

გაზეთ «ერთობის» თანამშრომლისათვის მიცემულ ინტერვიუში მენშევიკური მთავრობის მინაგან საქმეთა მინისტრმა

---

* წითელი არმიის ცენტრ. სახელ. არქივი, ს. 1144, გვ. 77.

** იქვე, გვ. 52.

*** იქვე, ფ. 109, ს. 514, გვ. 61, ფ. 192, ს. 1176, გვ. 55—56.

ნ. რამიშვილმა განაცხადა: «საქართველო თანდათანობით იპყრობს ევროპის დიდი სახელმწიფოების ყურადღებას. უკანასკნელთათვის სულ უფრო ნათელი ხდება ის როლი, რომელსაც საქართველო ახლო აღმოსავლეთში ასრულებს. სხვათა შორის ამით აიხსნება ის დახმარება. რასაც ჩვენ გვიწევს საფრანგეთის რესპუბლიკა თავისი ფლოტით».

რკპ (ბ) ცკ-ის გადაწყვეტილებით და ლენინის პირდაპირი მითითებით XI წითელი არმია, გ. კ. ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის ხელმძღვანელობით, დაუკოვნებლივ მიეშველა საქართველოს მუშებსა და გლეხებს, რომლებიც კომპარტიის ხელმძღვანელობით იბრძოდნენ მენშევიკებისა და უცხოეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ.

სამხედრო დახმარების გაწევით საქართველოს მშრომელებისათვის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შებრძოლი არმია თავის ისტორიულ მისიას ასრულებდა. ლაპარაკობდა რა წითელი არმიის სამ თავისებურებაზე, ამხანაგი სტალინი წერდა, რომ იგი «...წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ერების ძმობის არმიას, ჩვენი ქვეყნის ჩაგრული ერების განთავისუფლების არმიას, ჩვენი ქვეყნის ერების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის არმიას» *.

ქართველ ჯარისკაცებს არ სურდათ ბრძოლა ბურჟუაზიის, მეშამულეებისა და მათი ლაქიების ინტერესებისათვის. ისინი მასობრივად გადადიოდნენ საქართველოს აჯანყებული მუშებისა და გლეხების და მოძმე წითელი არმიის მხარეზე.

გახარშნა დაიწყო «სახალხო გვარდიაშიც», მენშევიკების ამ პარტიულ ჯარში, რომელზეც ისინი ყველაზე მეტ იმედს ამყარებდნენ. ასე, მაგალითად, «სახალხო გვარდიის საავტომობილო ნაწილებმა... განაცხადეს, სვალინდელი დღის მთავრობა, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მთავრობა ჩვენთან უფრო ახლოა, ვიდრე მენშევიკები, რომლებიც თავს შველიანო და ამის საფუძველზე სახალხო გვარდიის ყველა საავტომობილო ნაწილი თბილისში დარჩა»** ნ.

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. მე-11, გვ. 27.

** «რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მათი ურთიერთობა», გვ. 98.

მენშევიკები საგანგებო ზომებს ღებულობდნენ, რათა შეენარჩუნებინათ ძალაუფლება, ხვრეტდნენ ჯარისკაცებს და «სახალხო გვარდიელებს», რომელთაც არ სურდათ ბრძოლა აჯანყებული მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ[57].

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შეჩერება უკვე აღარაფერს აღარ შეეძლო.

გლეხთა მშრომელი მასები ყველგან და ყოველნაირად ეხმარებოდნენ წითელი არმიის ნაწილებს და აჯანყებულთა რაზმებს.

ყველგან დიდი წარმატებით მიმდინარეობდა მოხალისეებად ჩაწერა წითელი არმიის რიგებში, ახალი მებრძოლები ემატებოდა აჯანყებულთა რაზმებს.

გლეხები იჭერდნენ მენშევიკთა მიმალულ ოფიცრებს და მათ რევოლუციურ კომიტეტებსა და წითელი არმიის ნაწილებს აბარებდნენ.

1921 წ. 25 თებერვალს აჯანყებულები და წითელი არმიის ნაწილები, რომლებსაც მშრომელთა მასები აღფრთოვანებით შეეგებნენ, საქართველოს დედაქალაქ თბილისში შევიდნენ.

ამხ. ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა ლენინსა და სტალინს:

«თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!»*

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოუშვა თავისი პირველი დეკრეტები და შეუდგა პროლეტარული დიქტატურის ხელისუფლების ორგანოების შექმნას.

რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა შემდეგი ბრძანება:

«მშრომელთა მასების აჯანყებით ჩამოგდებული საქართველოს ყოფილი მთავრობა ჟორდანიას მეთაურობით, მისი ოფიცერთა და იუნკერთა რაზმების დამარცხების შემდეგ გადავიდა დასავლეთ საქართველოში.

---

* გ. კ. ორჯონიკიძე, რჩეული სტატიები და სიტყვები, გვ. 98.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი დღეს შეევიდა დედაქალაქში, ხელთ იღებს სახელმწიფო ძალაუფლებას და ბრძანებს:

1. ბრძოლა საქართველოს ჩამოგდებული, მაგრამ ფარხმალდაუყრელი მთავრობის წინააღმდეგ შეუსუსტებელი ენერგიით უნდა გაგრძელდეს.

2. ყველა სახელმწიფო დაწესებულება, საქალაქო და საერობო თვითმმართველობა, ქალაქისა და ერობის მილიცია და საერთოდ ყველა თანამდებობის პირი დარჩეს თავის ადგილზე და განაგრძოს მიმდინარე მუშაობა.

3. რევოლუციური წესრიგი დაცულ უნდა იქნას მთელი სისასტიკით, მესაბოტაჟეები, ურჩნი და წესრიგის დამრღვევნი დაისჯებიან რევოლუციური დროის კანონთა მთელი სისასტიკით»*.

26 თებერვალს გამოიცა დეკრეტი მენშევიკური არმიისა და გვარდიის დემობილიზაციის შესახებ.

1 მარტს აჯანყებულებმა და წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი გორი. აქ შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი. 5 მარტს მენშევიკების ბანდებისაგან განთავისუფლებულ იქნა ცხინვალი, ხაშური და სურამი. ჯერ კიდევ აჯანყებულების და წითელი არმიის ნაწილების მისვლამდე რევოლუციური კომიტეტები შეიქმნა ბორჯომში, ახალქალაქსა და ახალციხეში.

სურამის უღელტეხილის გადალახვის დროს აჯანყებულთა რაზმებს და წითელი არმიის ნაწილებს დიდი სიძნელეების დაძლევა მოუხდათ, ისინი ადიოდნენ ციცაბო კლდეებზე და გზას მიიკვლევდნენ ღრმა თოვლში.

აჯანყებულებმა და წითელი არმიის ნაწილებმა წინააღმდეგობის გაუწევლად დაიკავეს ყვირილა, სვირი, საჩხერე. საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მთელს ჰიათურის რაიონში.

---

* «უახლოესი დროის საერთაშორისო პოლიტიკა ხელშეკრულებებსა. ნოტებსა და დეკლარაციებში», ნაწ. 111, ნაკ. 1, გვ. 91.

მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ აჯანყდნენ აფხაზებიც.

აჯანყებულთა, წითელგვარდიული ნაწილებისა და წითელი არმიის 31-ე დივიზიის გაერთიანებული ძალებით, მიუხედავად მენშევიკური ჯარების წინააღმდეგობისა და ანტანტის სამხედრო ფლოტის დახმარებისა, 22 თებერვალს დაკავებული იქნა გაგრა. მთელს აფხაზეთში დაიწყო აჯანყება.

წითელი არმიის ნაწილები და აჯანყებულთა რაზმები ანვითარებდნენ თავიანთ წარმატებებს და 25 თებერვალს დაიკავეს გუდაუთი. ამ დღეს გამოვიდა აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ «გოლოს ტრუდოვოი აფხაზიის» პირველი ნომერი. 3 მარტს დაკავებულ იქნა ახალი ათონი, სადაც მენშევიკების ძლიერი სამაგრეები იყო და სადაც აგრეთვე ინგლის-საფრანგეთის სამხედრო გემები მოქმედებდნენ. ახალ ათონთან გაბმულ ბრძოლების შედეგების შესახებ წითელი არმიის სარდლობის ოპერატიულ ცნობებში ნათქვამი იყო: «განავითარეს რა წარმატება, 91-ე ბრიგადისა და 274-ე ქვეითი ასეულის სახელოვანმა ნაწილებმა, რომლებიც პირდაპირ და ფლანგებიდან უტევდნენ მოწინააღმდეგეს ათონის ჯვუფის ზურგში შეჭრილი პარტიზანული რაზმის დახმარებით, გადამწყვეტი დარტყმით სძლიეს მოწინააღმდეგე, თითქმის გარს შემოერტყნენ მას და მთლიანად გაანადგურეს. ხელთ ვიგდეთ დიდძალი ტროფეები» *. ჭეშმდეგ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ «წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მტრის ზურგიდან გარს შემომვლელი კოლონის მოქმედებამ და ჩვენი აეროპლანის დროზე გამოჩენამ, რომელმაც ბომბების დაშენით აიძულა საფრანგეთის გემები უკან დაბრუნებულიყვნენ, რამაც ძლიერ აამაღლა მებრძოლთა სულისკვეთება» **. მენშევიკთა ხელისუფალნი 3 მარტს საფრანგეთის გემებით გაიქცნენ სუხუმიდან და თან წაიღეს მოსახლეობისაგან დატაცებული ქონება. პარტიზანული რაზმები

---

* წით, არმ. ცსა, ფ. 192, ს. 1176, გვ. 60.

** იქვე, ფ. 192, ს. 1176, გვ. 62.

და წითელი არმიის ნაწილები ქალაქში შეიჭრნენ 4 მარტს. 1921 წ. 9 მარტს წითელი არმიის ნაწილებმა და პარტიზანულმა რაზმებმა დაიკავეს ქ. ოჩამჩირე და მიადგნენ ძველი-ნარ კოდორს. ამრიგად, აფხაზეთის მთელი ტერიტორია გაწმენდილ იქნა მენშევიკური ჯარებისა და კულაკურ-კონტრრევოლუციური ბანდებისაგან.

აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა აფხაზეთში და 1921 წ. 4 მარტს რადიოთი აცნობა ლენინსა და სტალინს:

«მშრომელთა ნება-სურვილით იშვა ახალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა — აფხაზეთი. აფხაზეთის გლეხთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების პირველმა ყრილობამ საბოლოოდ გადაწყვიტა ხალხის ბედი. პატარა ხალხის საბჭოთა რესპუბლიკა წითელი არმიის დიადი განმათავისუფლებელი როლის თვალსაჩინო მაგალითია და წარმოადგენს ახალ სილას, რომელიც დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ გააწნა მცირე ხალხთა მჩაგვრელებს — ყველა ქვეყნის იმპერიალისტებსა და მათ ლაქიებს — სოციალ-გამცემლებს. ახალგაზრდა საბჭოთა აფხაზეთის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს ვუძღვნით დიდ მუშურ-გლეხურ ქვეყანას — საბჭოთა რუსეთს და ყველა საბჭოთა რესპუბლიკას. ჩვენ იმედს ვამყარებთ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ძმურ მხარდაჭერაზე და გამოვთქვამთ რწმენას, რომ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა მათთან კავშირში ღირსეულად დაიცავს რუსეთის მუშურ-გლეხური რევოლუციის დიად მონაპოვრებს და დახმარებას გაუწევს სოციალისტური რევოლუციის საქმეს მთელს მსოფლიოში»*.

როდესაც საქართველოში მუშებისა და გლეხების საყოველთაო აჯანყება დაიწყო, ს. მ. კიროვმა, რომელიც მაშინ ვლადიკავკაზში მუშაობდა, მოაწყო სამხრეთ ოსეთის პარტიზანული რაზმების გადმოსვლა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში გების უღელტეხილით. ჩამოვიდნენ რა საქარ-

* «პრავდა» № 63, 1936 წ.

თველოში, ამ რაზმებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში.

საქართველოს აჯანყებული მუშებისა და გლეხების დასახმარებლად ს. მ. კიროვმა მოაწყო 33-ე მსროლელთა დივიზიის 98-ე ბრიგადის ცნობილი ლაშქრობა ვლადიკავკაზიდან თოლიანი მამისონის უღელტეხილით, რომელიც ზამთარში სრულიად მიუდგომლად ითვლებოდა.

საქართველოს აჯანყებული მუშებისა და გლეხებისათვის დახმარების აღმოჩენის მაღალი იდეით აღფრთოვანებულმა ჯარისკაცებმა განსაკუთრებული მამაცობა გამოიჩინეს და წარმატებით დააგვირგვინეს გმირული ლაშქრობა ზამთრის ქარიშხალსა და ქარბუქში, როდესაც თოვლის სიღრმე საქენნახევარს აღწევდა. ისინი დაიძრნენ ქალაქ ქუთაისისაკენ, სადაც იმ დროს იმყოფებოდა თბილისიდან გაქცეული მენშევიკური მთავრობა, რომლის განკარგულებაში მცირეოდენი სამხედრო ძალაღა რჩებოდა. ესენი იყვნენ უმთავრესად ოფიცრები, იუნკრები და სახალხო გვარდიელები.

ზედმეტი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად რევოლუციური კომიტეტი მზად იყო დაუყოვნებლივ შეეწყვიტა სამხედრო მოქმედება. 8 მარტს მან შემდეგი განცხადებით მიმართა საქართველოს ყოფილ მენშევიკურ მთავრობას:

«ახლა, როდესაც საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ჯარები, რომლებმაც გადალახეს სურამის ქედი, მამისონის უღელტეხილი და სამურზაყანოს საზღვარი, უკვე უახლოვდებიან ქუთაისს, თქვენს უკანასკნელ თავშესაფარს, თქვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ თქვენი საქმე წაგებულია.

ომის განგრძობა უმიზნოა, ომის განგრძობა დამღუპველია ხალხის მასებისათვის, რომელთა ფიზიკურ არსებობას თქვენ თითქოს უფრთხილდებოდით. რევოლუციური კომიტეტი, წინააღმდეგია რა სისხლისღვრისა და გამოდის რა ხალხის ფართო მასების სასიცოცხლო ინტერესებიდან, წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ სამხედრო მოქმედება და ჩაგვაბაროთ მთელი სამხედრო საკურველი და

ქონება, რომელიც გამოყენებული იქნება საქართველოს არმიისათვის.

ვინც იარაღს დაყრის და დაგვნებდება, მისთვის გარანტირებული იქნება ხელუხლებლობა და ყოველივე წარსულის დავიწყება»*.

პარტიზანებმა და წითელი არმიის ნაწილებმა 9 მარტს გადალახეს მდინარე კოდორი და აიღეს ქალაქი ზუგდიდი. 10 მარტს დაიკავეს ქალაქი ქუთაისი, 11-ს—ახალსენაკი (ამჟამად ქალაქი მ. ცხაკაია) და 13 მარტს ღამით ქალაქი ფოთი.

ქართველი მენშევიკების უკანასკნელი თავშესაფარი გახდა ბათუმი. მაგრამ ყოფილი მენშევიკური მთავრობა არ ჩქარობდა გაეცა პასუხი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის წინადადებაზე სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

საქმე ისაა, რომ, ასრულებდნენ რა ანტანტის ნებას, მენშევიკებმა კიდევ უფრო ადრე თავიანთი ელჩები გაგზავნეს ანკარაში და თურქეთის ქემალის მთავრობასთან ერთად გამოიმუშავეს ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (ართვინის, არდაგანისა და ბათუმის ოლქი ქ. ბათუმით) ეთმობოდა თურქებს. მენშევიკებთან დადებული გარიგების თანახმად თურქეთის ნაწილებმა 7 მარტს დაიკავეს ახალციხე, ხოლო 1921 წ. 11 მარტს შევიდნენ ბათუმში. ამრიგად, მენშევიკების თანხმობით თურქეთის ჯარებმა მოახდინეს ბათუმის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილისა და თვით ბათუმის ოკუპაცია. ქიაზიმ ბეიმ თავი გამოაცხადა გენერალ-გუბერნატორად და თურქეთის დიდი ეროვნული კრების სახელით გამოსცა ბრძანება ბათუმის ოლქის თურქეთთან შეერთების შესახებ. ბათუმის დაკავება თურქეთის ჯარების მიერ ქართველი მენშევიკების თანხმობით და დასტურით, წარმოადგენდა მათი მხრით უსაზიზღრესი გამცემლობის მორიგ აქტს. როგორც ანტანტას, ისე ყოფილ მენშევიკურ მთავრობას იმედი ჰქონდათ, რომ ისინი პროვოკაციული ხერხებით გამოიწვევდნენ ომს თურქეთსა და რუსეთს რესპუბლიკას შორის.

---

* საქ. სსრ ცსსა. ფ. 261, ს. 168, გვ. 1.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა რადიოთი მიმართა მთელი მსოფლიოს მშრომელებს:

«ყველას, ყველას, ყველას! საქართველოს მშრომელი მასების ძლევამოსილი აჯანყების შედეგად საქართველო გახდა რეალურად დამოუკიდებელი და თავისუფალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. საბჭოთა საქართველოს სათავეში მდგომი მუშათა და გლეხთა მთავრობა, რევოლუციური კომიტეტის სახით, მენშევიკების ჩამოგდებულ მთავრობასთან ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ბრძოლის ვითარებაში, შეუდგა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის გარდაქმნას. მან საქვეყნოდ გამოაცხადა მთელი ძალაუფლების მშრომელთა ხელში გადასვლა და ხალხთა უფლება სრული თვითგამორკვევისა. მაგრამ ამ მომენტში, რ იდესაც შინაური რევოლუციური გადატრიალება დასასრულს უახლოვდება და საბჭოთა ძალაუფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მტკიცდება, ამ დროს ანტისაბჭოთა ძალები იჩენენ აქტიურად მტრულ განზრახვებს საქართველოს თავისუფალი, დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ხელთ არსებული ცნობებით საქართველოს ნავსადგური ბათუმი—არამკუთვნ ინტრიგების საგანი გახდა, არამედ პირდაპირი დაპყრობითი სურვილებისაც, განსაკუთრებით ანტანტის ქვეყნების მთავრობათა მხრივ. ბათუმის დაკავება და ყოველად გაუმართლებელი თავდასხმა საქართველოს დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკაზე, ალბათ თავდამსხმელთა მხრით დასაბუთებული იქნება ვითომდა აჭარის ხალხის თვითგამორკვევის პრინციპით. საქართველოს დამოუკიდებელი საბჭოთა რევოლუციური რესპუბლიკა აცხადებს, რომ ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევა სასოგადოდ და, კერძოდ მოძმე აჭარის ხალხისა ისეთი პრინციპია მისთვის, რომელიც დაუყოვნებლივ რეალიზაციას მოითხოვს. მაგრამ მთავრობა არასდროს არ შეურიგდება იმას, რომ ეს დიადი პრინციპი, ოქტომბრის დიდი რევოლუციის მიერ წამოყენებული და ხორცშესხმული, ვისმესგან გამოყენებულ იქნას რეაქციის იარაღად, რომელიც მიმართულია

როგორც აქარის, ისე საქართველოს მშრომელი მასების ტერესების წინააღმდეგ. ამიტომ საქართველოს რევოლუციური კომიტეტი კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ბათუმის დაკავების განზრახვის ან ოკუპაციის წინააღმდეგ, ვისგანაც უნდა იყოს ეს, და საქართველოს მუშათა და გლეხთა ნებასურვილთან სრული თანხმობით ყველასათვის გასაგონად აცხადებს, რომ ყოველი ძალა, რომელიც ხელყოფს ბათუმს, ჩვენს მხრივ პოვებს ბედგარ წინააღმდეგობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვისათვის ამ სამართლიან ბრძოლაში ჩვენს მხარეზე იქნება როგორც ყველა მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკის, ისე ყველა ქვეყნის მშრომელთა თანაგრძნობა და დახმარება»*.

ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ, დროის მოგების მიზნით, ქუთაისში გაგზავნა დელეგაცია, რათა დაეწყო მოლაპარაკება საქართველოს რევოლუციურ კომიტეტთან თითქოსდა ხელისუფლების «ნებაყოფლობით» დათმობისა და «გარეშე მტრისაგან» დაცვის ორგანიზაციის შესახებ. ამასთან იგი სრულიად არაა ამბობდა იმაზე, რომ საქართველოს მიწა-წყალი, მათ შორის ბათუმიც, თურქებმა თვითონ მენშევიკური მთავრობის დასტურით, თანხმობითა და მოწვევით დაიკავეს.

რევოლუციური კომიტეტის და ყოფილი მენშევიკური მთავრობის რწმუნებულები ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისში 1921 წ. 17 და 18 მარტს. რსფს რესპუბლიკის წარმომადგენელის თავმჯდომარეობით ისინი ერთმანეთს შეუთანხმდნენ შემდეგზე: «1) სამხედრო მოქმედება დაუყოვნებლივ წყდება. 2) დემოკრატიული მთავრობა აუქმებს თავის ფრონტს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, ათავისუფლებს საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უკავია და ხელს უწყობს რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში არსებული ჯარების შესვლას ბათუმის ოლქში მის დასაკავებლად და და-

* «პრავდა გრუზიი» № 6. 1921 წ.

საცავად გარეშე მტრების შემოჭრისაგან. 3) რევოლუციური კომიტეტის საბჭოთა ჯარების ნაწილი გაივლის ბათუმს და პირველ რიგში დაიკავებს ამ ოლქის სამხრეთ საზღვარს»*.

და სწორედ იმ მომენტში როდესაც ქუთაისში შეთანხმების პირობებს იმუშავებდნენ, ყოფილი მენშევიკური მთავრობა, რომელიც ბათუმში იმყოფებოდა, 17 მარტს ღამით იტალიის გემით — «ფერენ-ეოზეფ-მირილი» — საზღვარგარეთ გაიქცა.

ქართველი ხალხის მოღალატეებმა თან გაიტაცეს დიდძალი ნაძარცვი სახალხო ქონება, რომელიც შეფასებული იყო ათეულ მილიონ ოქროს მანეთად და რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა[58].

ახლა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე იდგა გმირული წითელი არმია. პირველ რიგში საჭირო იყო გადამწყვეტი სამხედრო ღონისძიებებით აჭარისა და ბათუმის განთავისუფლება თურქთა ჯარისკაცებისაგან. ჯერ კიდევ 25 თებერვალს მე-11 წითელი არმიის სარდლობამ გამოყო ბათუმის მიმართულების ნაწილთა ჯგუფი. ამ ნაწილებმა 28 თებერვალს დაიკავეს ახალქალაქი, ხოლო 8 მარტს ახალციხე, საიდანაც განდევნილი იქნენ ქემალისტთა რაზმები. 11 მარტს ბათუმის მიმართულების ჯარებს მიეცა შემდეგი ბრძანება: «ამოცანა იგივეა — უმოკლეს ვადაში აღებულ უნდა იქნას ქუთაისი და ბათუმი. გასწიეთ წინ, ნაწილებისათვის მინიმალური დასვენების მიცემით... მე-18 ცხენოსანთა დივიზიის უფროსმა, სათანადოდ უზრუნველყოფს რა ახალციხესა და მის რაიონს, უნდა გამოჰყოს ძლიერი შენაერთი რაზმი სამი გვარეობის იარაღისა, სათავეში ჩაუდგეს ამ რაზმს და 11 მარტს გავიდეს ახალციხიდან, გასწიოს სწრაფი მარშით, გადალახოს მთიანი გადასასვლელების ყველა სიძნელე და სხვა დაბრკოლებანი და უაღრესად მოკლე ვადაში დაიკავოს ბათუმი»**. 1921 წ. 18 მარტს,

---

* «პრავდა გრუზიი» № 6, 1921 წ.

** ნაცსა, ფ. 195, 647, გვ. 56.

საღამოთი ბათუმში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი და აჭარაში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. საპატიმროებიდან გამოუშვეს ასობით კომუნისტი, ყოფილი მენშევიკური არმიის ჯარისკაცები და ოფიცრების მნიშვნელოვანი ნაწილი ნებაყოფლობით გადავიდნენ რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში. რევოლუციურმა კომიტეტმა, ხელთ აიღო რა ქალაქის დაცვის საქმე, დაიწყო ქალაქის გაწმენდა თურქთა ნაწილებისაგან.

18 მარტს ბათუმში შევიდა მე-18 ცხენოსანთა დივიზია, რომელმაც უმძიმეს პირობებში გადალახა გოდერძის უღელტეხილი. იმავე დღეს ბათუმში რკინიგზით შევიდა 292-ე მსროლელთა პოლკი.

21 მარტისათვის ბათუმი მთლიანად განთავისუფლებულ იქნა ქემალისტებისაგან, მათი უმრავლესობა განაიარაღეს და ტყვედ იგდეს.

იმ დროს როდესაც აჭარაში ეს სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობდა, მოსკოვში საბჭოთა მთავრობასა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების წარმომადგენლებს შორის დასასრულს უახლოვდებოდა მოლაპარაკება სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ.

საბჭოთა დიპლომატიამ გადალახა ყოველგვარი სიძნელე და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. 1921 წ. 16 მარტს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა რუსეთ-თურქეთის «ხელშეკრულება მეგობრობისა და ძმობის შესახებ». ამ ხელშეკრულების ძალით თურქეთი იძულებული შეიქნა საბოლოოდ აეღო ხელი ბათუმზე და აჭარის ჩრდილოეთ ნაწილზე. მოსკოვის 1921 წ. 16 მარტის შეთანხმებამ საბოლოოდ ჩაშალა ანტანტისა და ქართველი მენშევიკების ცდა პროვოკაციულად გამოეწვიათ ომი საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის და განეახლებინათ ინტერვენცია ამიერკავკასიაში. ამ შეთანხმებამ ასევე გადაჭრით აღკვეთა ქემალისტების აგრესიული ზრახვები კავკასიისა და ამიერკავკასიის მიმართ. ლენინმა მიუთითა, რომ მშვიდობიანი შეთანხმება ქემალისტურ თურ-

ეეთთან «...ეოთადერთი ხსნაა ჩვენთვის კავკასიაში მუდმივი ომებისაგან»*.

თურქეთის არმიის სარდალი ქიაზიმ ქარაბეკირ ფაშა მოსკოვის ხელშეკრულების შედეგად იძულებული შეიქნა 1921 წ. 23 მარტს გაეცა ბრძანება თურქეთის რაზმების აკარიდან გაყვანის შესახებ იმ საზღვარს იქით, რომელიც დადგენილ იქნა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის ფადებული ხელშეკრულებით.

როდესაც 1921 წ. თებერვალს საქართველოში დაიწყო აჯანყება მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოეთის ინტერვენტების წინააღმდეგ, ამავდროულად საქართველოს მუშებთან და გლეხებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის იბრძოდნენ სამხრეთ ოსეთის მშრომელებიც.

მათ მიეშველა სამხრეთ ოსეთის ოსთაგან შემდგარი პარტიზანული რაზმი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა. ამ რაზმმა ზამთრის მძიმე პირობებში გადმოლახა კავკასიის ქედი, 1921 წ. 2 მარტს შეევიდა როკის რაიონში და დაიკავა ჯავა. მას შეუერთდნენ ადგილობრივი პარტიზანები და ამრიგად გაძლიერებულმა ოსთა პარტიზანულმა რაზმმა ფანათის დაბლობში სოფელ სერთან გაანადგურა მენშევიკური ჯარის ნაწილები. 1921 წ. 5 მარტს პარტიზანთა რაზმი შეევიდა ცხინვალში (ამჟამად ქალაქი სტალინირი). 17 მარტს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც რსფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

«სამხრეთ ოსეთის ღარიბი გლეხობა მოგესალმებათ თქვენ, დიდ ბელადს, ჩაგრულთა და უუფლებოთა დამცველს. სამხრეთ ოსეთის რევოლუციური მასა საუწლიან ბრძოლას აწარმოებდა ქართველ მენშევიკებთან, მუშათა საქმის მოღალატეებთან. სამხრეთ ოსეთი განადგურებულ და მთლიანად გადამწვარ იქნა, რევოლუციური გლეხობა იძულებული შეი-

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 362.

ქნა თერგის იქით გადასულიყო. მაგრამ აქ მას არ დაუყრია იარაღი და განაგრძობდა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების იდეისათვის. ამჟამად, როდესაც საქართველო წითელი ხანძრის ალშია გახვეული, სამხრეთ ოსეთის ღარიბი გლეხობა კვლავ აღმართავს თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ აჯანყების დროშას და მას ღრმად სწამს, რომ დაამკვიდრებს თავის მიწაწყალზე საბჭოთა ხელისუფლებას, რომ მას ვერავინ ვერ შეუშლის ხელს მოაწყოს თავისი ცხოვრება საკუთარ შეხედულებათა ბიხედვით და არა სხვათა კარნახით» *.

სამხრეთ ოსეთის მშრომელები საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ ქართველ ხალხთან ერთად საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საქართველოს მუშებისა და გლეხების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და გმირული წითელი არმიის, ოქტომბრის რევოლუციის არმიის, პროლეტარიატის დიქტატურის არმიის დახმარებით იმ ღირსშესანიშნავ დღეებში ხდებოდა, როდესაც გენიალური ვ. ი. ლენინისა და მისი მოწაფის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მოსკოვში მიმდინარეობდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიული X ყრილობა, რომელმაც გამოიტანა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი პარტიის ერთიანობის, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის, ეროვნული საკითხის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სახელით, საქართველოს მუშებისა და გლეხების სახელით რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) X ყრილობას მიესალმა პარტიის ერთ-ერთი უძველესი წევრთაგანი ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც ყრილობის პრეზიდიუმში აირჩიეს.

საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ მიესალმნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას საქართველოში. გაზეთი «პრავდა» წერდა:

---

* «პრავდა გრუზიი» № 18, 1921 წ.

«თბილისში უკვე აღარ არის მენშევიკური მთავრობა. თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, აჯანყებულთა ხელშია, რევოლუციური მუშებისა და გლეხების ხელშია...

ახლა შეიძლება იმედი ვიქონიოთ — კავკასიაში მტკიცედ შემჭიდროვდებიან მოძმე საბჭოთა რესპუბლიკები აზერბაიჯანისა, სომხეთისა, საქართველოსი. შეწყდება ეროვნული მტრობა კავკასიის ტომებს შორის. საბჭოების ოჯახს შეურთდება ახალი საბჭოთა რესპუბლიკა. სალამი თქვენ ქართველო ამხანაგებო! სალამი წითელ თბილისს!»

* * *

საქართველოში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ. ქართველი ხალხი დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით შევიდა თავისი ისტორიის ახალ, ბრწყინვალე ხანაში. 1921 წ. 2 მარტს ლენინი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა საქართველოს: «გთხოვთ გახსოვდეთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული»*.

ლენინი გულდასმით ადევნებდა თვალყურს სოციალისტური რევოლუციის შემდგომ განვითარებას საქართველოში და 17 მარტს იგი მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს აძლევს დირექტივას სრული კონტაქტი დაამყაროს საქართველოს რევოლუციურ კომიტეტთან.

14 აპრილს ლენინი წერს განსაკუთრებული მნიშვნელობის წერილს «აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ — კომუნისტებს». ამ წერილში ლენინი, ითვალისწინებს რა ამიერკავკასიის

---

* ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 190.

რესპუბლიკების თავისებურ მდგომარეობას, კომუნისტებს აძლევს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს მითითებებს, რომლებიც ეხება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და განვითარებისათვის მათი ბრძოლის ტაქტიკის თავისებურებას. «მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, — წერდა ლენინი, — ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს.

მაგრამ რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს კავკასიის ეროვნებათა მუშებსა და გლეხებს შორის ეროვნულ მშვიდობიანობას, კიდევ უფრო შეუდარებლად მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ და გავავითაროთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხური»*.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ დაიწყო გააფთრებული კამპანია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

1921 წ. 18 აპრილს ლენინმა გ. კ. ორჯონიკიძეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: «საზღვარგარეთ გააფთრებულ აგიტაციას აწარმოებენ რსფს რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მარტოვი, წერეთელი და სხვები. საჭიროა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაიწყოს სერიოზული კონტრაგიტაცია, სადაც აღნიშნულ უნდა იქნას, ჯერ ერთი, რუსეთის სფს რესპუბლიკის სამშვიდობო როლი, მეორე, — აქტიური როლი საქართველოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასებისა, რომელთაც დაამხეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა, და, მესამე, როლი აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობებისა, რომლებიც ხელს უწყობდნენ როგორც სომეხ და აზერბაიჯანელ, ისე ქართველ აჯანყებულებს იმ მიზნით, რომ თავი დაეცვათ საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის აგრესიული ნაბიჯებისაგან, მთავრობისა, რომელმაც თბილისში შეადგინა აზერბაიჯანის და

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 397.

სომხეთის ბურჟუაზიული მთავრობები სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა რეჟიმის შიგნიდან ასაფეთქებლად»*.

1921 წლის ივლისში საქართველოსა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში უშუალო დახმარებისათვის თბილისში ჩამოდის ი. ბ. სტალინი.

2—7 ივლისს ი. ბ. სტალინმა მონაწილეობა მიიღო რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს პლენუმის მუშაობაში, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. პლენუმმა ითათბირა და მიიღო გადაწყვეტილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშენებლობის უმნიშვნელოვანეს სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებზე.

1921 წ. 6 ივლისს ი. ბ. სტალინი გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე მოხსენებით «კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში».

ამხანაგმა სტალინმა საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშე დააყენა სამი ძირითადი ამოცანა:

«1) განავითაროს ყოველმხრივი სამეურნეო-სააღმშენებლო მუშაობა, ამ მუშაობას მოანდომოს მთელი თავისი ძალები და ამასთან გამოიყენოს როგორც დასავლეთის კაპიტალისტური ჯგუფების, ისე თავისი საკუთარი ქვეყნის წვრილბურჟუაზიული ჯგუფების ძალები და სახსრები.

2) გასრისოს ნაციონალიზმის გველეშაპი და შექმნას ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერო ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საქმის გასაადვილებლად და ამავე დროს შეინარჩუნოს ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

3) დაიცვას პარტია მეშჩანური ელემენტების მოზღვავებისაგან და შეინარჩუნოს მისი სიმტკიცე, მოქნილობა,

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კრებული XXXV, გვ. 234—235.

ამასთან სისტემატურად აუმჯობესოს მისი ხარისხობრივი შემადგენლობა»*.

ლენინისა და სტალინის დირექტივებსა და მითითებებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდათ და მათ განსაზღვრეს საქართველოს ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის მოქმედების პროგრამა. მათ დარაზმეს მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

ლენინისა და სტალინის მითითებებით შეიარაღებული საქართველოს კომუნისტები, სათავეში ჩაუდგნენ რა მშრომელ მასებს, გაანადგურეს კლასობრივი მტრის წინააღმდეგობა და მთელი რევოლუციური ენერგიით შეუდგნენ მშვიდობიან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის და ამიერკავკასიის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დასაწყისიდანვე კომუნისტური პარტიის პირდაპირი მითითებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მუშებისა და გლეხების შეიარაღებას. გამოიცა დეკრეტი საქართველოს წითელი არმიის შექმნის შესახებ. ეროვნული სამხედრო ნაწილების ბირთვს შეადგენდნენ ბენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ წარმოებული შეიარაღებული ბრძოლის აქტიური მონაწილეები. პირველი გაწვევა საქართველოს წითელ არმიაში დიდი წარმატებით ჩატარდა, რაც საბჭოთა ხელისუფლებისადმი მშრომელთა ერთგულების დემონსტრაციას წარმოადგენდა.

ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების შედეგად აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და აჭარის მშრომელებს მიეცათ თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა.

ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტის მეოხებით საქართველოს ყველა ხალხს შორის ძმური მეგობრობა და მჭიდრო ერთიანობა დამყარდა.

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 109.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა სოციალიზმის აშენების საქმეში, ძველი საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის საქმეში ახალ, სოციალისტურ საწყისებზე. თავის გენიალურ შრომაში «სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში» ი. ბ. სტალინი წერდა: «საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული როლი ორი გარემოებით აიხსნება: ჯერ ერთი, იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას კი არ უნდა შეეცვალა ექსპლოატაციის ერთი ფორმა სხვა ფორმით, როგორც ეს იყო წინანდელ რევოლუციებში, არამედ უნდა მოესპო ყოველგვარი ექსპლოატაცია; მეორეც, იმით, რომ, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის რაიმე მზა ჩანასახების უქონლობის გამო, მას უნდა შეექმნა, ასე ვთქვათ, «ცარიელ ადგილზე» მეურნეობის ახალი, სოციალისტური ფორმები.

ეს უეჭველად ძნელი და რთული ამოცანაა, რომელსაც პრეცედენტები არ გააჩნია. მიუხედავად ამისა საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად შეასრულა ეს ამოცანა. მაგრამ მან იგი შეასრულა არა იმიტომ, რომ თითქოს მოსპო არსებული ეკონომიკური კანონები და «ჩამოაყალიბა» ახალი კანონები, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ეყრდნობოდა საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკურ კანონს»*.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა მთელი რიგი დეკრეტები, მიზართული ბურჟუაზიული ხელისუფლების აპარატის დამსხვრევისაკენ და ადგილებზე ახალი, საბჭოთა ტიპის სახელმწიფოს და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შექმნისაკენ. რევოლუციურმა კომიტეტმა იმ მიზნით, რომ საძირკველი ჩაეყარა სოციალისტური ეკონომიკისათვის, ხელთ ეგდო სახალხო მეურნეობის მბრძანებელი მწვერვალები, მოახდინა მიწების, ფაბრიკების, რკინიგზების, ბანკების,

---

* ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 7—8.

მსხვილი ვაჭრობის და სხვ. ნაციონალიზაცია. მრეწველობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად შექმნილ იქნა საქ. სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. მიწის საკითხი გადაიჭრა გლეხობის მშრომელი მასების ინტერესების საკეთილდღეოდ. 1921 წ. 6 აპრილის დეკრეტით მოისპო მიწის კერძო საკუთრების ინსტიტუტი და მიწა მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილება გახდა. გაუქმებულ იქნა მიწის ყიდვა-გაყიდვა, განხორციელდა მემამულეთა, საეკლესიო, სამონასტრო და მსხვილ მიწათმფლობელთა მიწების კონფისკაცია. ამ დეკრეტის საფუძველზე მცირემიწიან გლეხებს 155 ათასი ჰექტარი მიწა გადაეცა*.

1921 წ. 21 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი «ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ», რომლითაც დასახული იყო საბჭოების სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევა. 1921 წ. დამლევს და 1922 წ. დამდეგს საბჭოთა საქართველოში ყველგან მოეწყო საბჭოების არჩევნები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლისთავზე, 1922 წ. 25 თებერვალს, გაიხსნა საბჭოების I სრულიად საქართველოს ყრილობა. ყრილობის მუშაობაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი, რომელიც იმ დროს აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცკ-ის მდივანი იყო. ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუცია და აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

საბჭოების ყრილობამ მთელი მსოფლიოს მშრომელებს მიმართა მოწოდებით, რომელშიც ნათქვამი იყო:

«... მოწინავე მუშებო! განუმარტეთ მთელი მსოფლიოს მშრომელებს, რომ საქართველოში მთელი მისი არსებობის მანძილზე ძალაუფლება პირველადაა ქართველი მუშებისა

---

* «საქართველოს სს რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს მიღწევათა მოკლე მიმოხილვა (1921 წ. 25 თებერვალი—1926 წ. 25 თებერვალი)», გვ. 12.

და მშრომელი გლეხების ხელში. ეს ძალაუფლება ჩვენ ხელთ გვიპყრია და მას არავის არ დავუთმობთ...

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ხელისუფლების სათავეში მენშევიკების ყოფნის სამნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს მუშებისათვის სრულიად არაფერი არ გაკეთებულა, არც გლეხობას მიუღია მიწა, რომელიც მას მენშევიკებმა აღუთქვეს. მთელი თავისი ბატონობის განმავლობაში მენშევიკებმა თავის ქვეყანაში ვერ დაამყარეს ვერც შინაური და ვერც საგარეო მშვიდობა. მათ იმას მიაღწიეს, რომ მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ არა მარტო საბჭოთა რუსეთთან, არამედ მეზობელ რესპუბლიკებთანაც. მათი ნაციონალისტური და შოვინისტური პოლიტიკის მეოხებით საქმე არაერთხელ მისულა სისხლისმღვრელ შეტაკებებამდე სწორედ ეროვნულ ნიადაგზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ კი სულ მოკლე დროში უკვე შეძლო გადაეჭრა ყველაზე ძირითადი და კარდინალური საკითხები.

მთელი მიწა უკვე გადაეცა მშრომელებს, მიწათმოქმედების დარგში მოსპობილია ყოველგვარი ექსპლოატაცია, ქვეყნის შიგნით დამყარებულია ეროვნული მშვიდობა ყველა ხალხთა შორის, დამყარებულია მშვიდობიანი და ძმური ურთიერთობა საქართველოს გარემომცველ როგორც საბჭოთა, ისე არასაბჭოთა სახელმწიფოებთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ერთი წლის მანძილზე მშვიდობა და მყუდროება ერთი წუთითაც არ დარღვეულა არც ქვეყნის შიგნით, არც მის გარეთ. ჩვენი სურვილია — ვიცხოვროთ ყველა ხალხთან მშვიდობითა და ძმური თანამშრომლობით. ჩვენ ვაწარმოებთ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების მრავალი წლის განმავლობაში დანგრეული ეკონომიური ცხოვრების აღდგენას და სრული რწმენით ვაცხადებთ, რომ უახლოეს დროში სამეურნეო ფრონტზეც ისევე გავიმარჯვებთ, როგორც გავიმარჯვეთ სამოქალაქო ომის ფრონტზე»*. 1922 წ. 12 მარტს

---

* «პრავდა გრუზიი» №30, 1922 წ.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რეს-პუბლიკებმა, მიუხედავად ნაციონალ-უკლონისტების ძირგა-მომთხრელი მუშაობისა, ურთიერთშორის დადეს ხელშე-კრულება ამიერკავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შესახებ. 1922 წ. 13 დეკემბერს საბ-ჭოების I ამიერკავკასიის ყრილობაზე ეს კავშირი გარდა-ქმნილ იქნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად (აკსფსრ). მისი შექმნის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება ამიერკავკასიაში, ამი-ერკავკასიის ხალხთა შორის ეროვნული შუღლისა და უნდობ-ლობის სწრაფად აღმოფხვრა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილი ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა წარმოადგენდა ლენინურ-სტალინური ეროვ-ნული პოლიტიკის განხორციელების მკაფიო გამოხატულებას.

ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის შექმნა მიმ ღინარეობ.და ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი გაშმაგებით ებრძოდნენ საბჭოთა ფედერაციას.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ნაციონალ-უკლონიზმს. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სსრ კავშირის შექმნაში. ი. ბ. სტალინმა თავის მოხსენებაში საბჭოების X სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1922 წ. 26 დეკემბერს აღნიშ-ნა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანე-ბის საქმეში «ინიციატივა იკისრეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებმა»*. 1922 წ. 30 დეკემბერს სსრ კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკა სსრ კავშირის შემადგენლობაში შეეიდა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ამიერკავკა-სიის სფს რესპუბლიკის ხალხებმა დიდ რუს ხალხთან და სსრ კავშირის სხვა ხალხებთან მჭიდრო კავშირში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის საქ-

---

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 160.

ბეში, საბოლოოდ აღმოფხვრეს ეროვნული შუღლის გამოვლინებანი და უზრუნველყვეს მშვიდობა და მეგობრობა ამიერკავკასიის ხალხებს შორის. საბოლოოდ განადგურებულ იქნენ მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების კონტრრევოლუციური პარტიები. ხუთწლედების მანძილზე ამიერკავკასიის რესპუბლიკაში გაიზარდა ნავთის მრეწველობა, შექმნილია მძლავრი ენერგეტიკული ბაზები, მრეწველობის ისეთი დიდი დარგები, როგორიცაა მარგანეცის, ქვანახშირის, სპილენძის, ქიმიური და სხვ. 1936 წლისათვის ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითმა წონამ მიაღწია 72 პროცენტს, გლეხთა მეურნეობის დაახლოებით 80 პროცენტი გაერთიანდა კოლმეურნეობებში.

მრეწველობის უდიდესმა ზრდამ, კოლექტივიზაციის გამარჯვებამ, მუშათა კადრების ზრდამ, სოციალისტური წარმოების გამარჯვებამ, კულტურულმა რევოლუციამ, ექსპლოატატორული კლასების მოსპობამ, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან, მხარეებთან და ოლქებთან, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის სამეურნეო და კულტურული კავშირის გაფართოებამ მოამზადა პირობები ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ლიკვიდაციისათვის.

1936 წ. დამლევს, ახალი კონსტიტუციის მიღებასთან ერთად, ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკა გაუქმებულ იქნა, რამდენადაც მან უკვე შეასრულა თავისი ისტორიული როლი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ისე როგორც ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკები, შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში როგორც სრულუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკა.

1931 წელს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოავლინა უხეში პოლიტიკური შეცდომები, რომლებიც ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ დაუშვა. თავის 1931 წ. 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახა

ამოცანა—დაუყოვნებლივ გამოესწორებიათ პოლიტიკური დამახინჯებანი სოფლად მუშაობაში, ფართოდ გაეშალათ ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივა, ბოლომდე აღმოეფხვრათ უპრინციპო ბრძოლა ცალკეულ პიროვნებათა გავლენისათვის, რასაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის ხელმძღვანელ კადრებს შორის. საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს მიეღწიათ პარტიული რიგების მონოლითურობისა და ბოლშევიკური შემჭიდროებისათვის, აემაღლებინათ პარტიული მუშაობის ხარისხი, გაეძლიერებინათ მასობრივ-პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა მუშებსა და გლეხებს შორის.

ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მოკლე ვადაში გამოასწორეს ის შეცდომები, რომლებიც აღნიშნული იყო საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილებაში, დიდი მუშაობა შეასრულეს თავიანთი რიგების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, პარტიის წევრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, მიაღწიეს გადამწყვეტ წარმატებებს სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში და უზრუნველყვეს ამიერკავკასიაში ხუთწლედების წარმატებით შესრულება. ამიერკავკასიისა და საქართველოს კომუნისტებმა ამიერკავკასიის ხალხები აღზარდეს საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, შეამჭიდროეს ისინი ლენინიზმის დროშის ქვეშ.

კომუნისტურმა პარტიამ განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, უზრუნველყო კულტურის აღმავლობა და შემდგომი აყვავება. საქართველოს სს რესპუბლიკა გახდა მძლავრი ინდუსტრიის, აყვავებული, სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მოწინავე, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ქვეყანა. დიდი წარმატებებისათვის, რაც მიღწეულ იქნა მთელი რიგი

წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის განვითარებაში და აგრეთვე მრეწველობის დარგში საქართველოს სს რესპუბლიკა 1935 წელს დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე აღმოცენდა მანქანათმშენებელი, საფეიქრო, კვების და სოციალისტური მრეწველობის სხვა დარგები. რეკონსტრუირებულ იქნა ნავთის გადამმუშავებელი, მარგანეცისა და ქვანახშირის მრეწველობა. აგებულია ასობით სამრეწველო საწარმო, მათ შორის ფეროშენადნობთა, ავტოსარემონტო და ნავთსახდელი ქარხნები, ფეხსაცმლის ფაბრიკა, მაუდის ფაბრიკა, ქაღალდის კომბინატი, აბრეშუმის კომბინატი. აშენებულია მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები — ზაჰესი, რიონჰესი, ხრამჰესი და სხვ. მსხვილ მრეწველობასთან ერთად განვითარდა კოოპერაციული და ადგილობრივი მრეწველობა.

საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევაა სამრეწველო მუშათა კადრების შექმნა. მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულ მუშაოა რიცხვი ახლა ათეულ ათასობით კაცს აღწევს.

ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს საქართველოს მშრომელებმა სოფლის მეურნეობის დარგშიც. პარტიისა და მთავრობის დაუღალავი ზრუნვის შედეგად წვრილი, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობანი გაერთიანდნენ კოლმეურნეობებში, რომლებიც აღჭურვილი არიან მოწინავე სამანქანო, აგრონომიული და საირიგაციო-მელიორაციული ტექნიკით.

განსაკუთრებით დიდია კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებები ძვირფასი კულტურების — ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს დარგში. მნიშვნელოვნად განვითარდა მეევნახეობა და მეღვინეობა. ფართოდ გაჩაღებულია საირიგაციო — მელიორაციული სამუშაოები, გაიზარდა სარწყავი მიწების ფართობი, მიმდინარეობს კოლხეთის დაბლობის ამოშრობა. საბჭოთა საქართველოში ვითარდება საკოლმეურნეო მეცხოველეობა.

მეურნეობის ყოველმხრივმა განვითარებამ გამოიწვია მიმოსვლის გზების ზრდა.

უდიდესი წარმატებებია მიღწეული ქართველი ხალხის კულტურის განვითარების საქმეში.

პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში — თბილისის უნივერსიტეტი გაიხსნა მხოლოდ 1918 წელს, მაგრამ მენშევიკებისა და ინტერვენტების ბატონობის პერიოდში მას თითქმის არავითარი მატერიალური სახსრები არ გააჩნდა და უბადრუკ მდგომარეობაში იმყოფებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს და გარემოსილია კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღებითა და მზრუნველობით, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელთაგანი და სამეცნიერო ცენტრი გახდა. საქართველოს სს რესპუბლიკაში ამჟამად 19 უმაღლესი სასწავლებელია.

რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერული კადრების ზრდის მკაფიო მაჩვენებელია ის გარემოება, რომ 1941 წლის თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლისთავისათვის დაარსდა საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც 42 სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს აერთიანებს. ქართველმა ისტორიკოსებმა, ენათმეცნიერებმა, მათემატიკოსებმა, ბოტანიკოსებმა, გეოლოგებმა, ბიოლოგებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. ისინი მთელ თავის ძალებს ახმარენ იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი ამჟამად კომუნისტური პარტიის და საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის საკითხების შესწავლისა და დამუშავების ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრია.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის მძლავრი იარაღი გახდა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის საქართველოს ფილიალი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში სერიოზული ყურადღება მიექცა პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების ქსელის შექმნას. ეს ქსელი წლითიწლობით ფართოვდება. კარლ მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას წიგნების უმდიდრესი ფონდი აქვს. დიდად განვითარდა სამუზეუმო დაწესებულებათა ქსელი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში შედის, მატერიალური კულტურის უაღრესად საინტერესო ძეგლებია. კულტურის განვითარების მკაფიო მაჩვენებელია ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოცემულია 20 ათასი სახელწოდების სხვადასხვა პოლიტიკური ლიტერატურა. ქართულ ენაზე გამოცემულია მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის შრომები ასეულ ათასი ცალის რაოდენობით. დიდი ტირაჟით გამოცემულია რუსული და უცხოეთის ლიტერატურის კლასიკოსების, თანანედროვე საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ განსაკუთრებული პირობები შექმნა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების გაფურჩქვნისათვის. საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა ღრმად გამსჭვალულია მგზნებარე პატრიოტიზმის იდეებით, გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობის პათოსით, უსაზღვრო სიყვარულით სოციალისტური სამშობლოსადმი. 1937 წ. დეკემბერში ქართველმა ხალხმა აღნიშნა, როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, რუსთაველის უკვდავი პოემის ‹ვეფხისტყაოსნის› 750 წლისთავი. ეს ღირსშესანიშნავი იუბილე გადაიქცა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა დღესასწაულად. საყოველთაო-სახალხო დღესასწაულით აღინიშნა ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის საიუბილეო თარიღები. აკაკი წერეთელის სამწერლო მოღვაწეობის 50

წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ა. ტოლსტოი წერდა: «ჩვენ, რუსმა მწერლებმა და პოეტებმა, და ჩვენთან ერთად მთელმა რუსმა ხალხმა, ვიცით, თუ რა დიდია ჩვენი მოძმე ხალხების სულიერი და მატერიალური სიმდიდრე და მატერიალური შესაძლებლობანი. და მათ შორის ჩვენ განსაკუთრებით გვიყვარს და ვაფასებთ მშვენიერ საქართველოს და ქართული კულტურის საგანძურს. იგი გადაიშალა ჩვენს წინაშე როგორც ძველი ზღაპრული საუნჯე».

საბჭოთა ხელისუფლებამდე საქართველოში იყო სულ 5 თეატრი, ახლა კი აქ 46-ზე მეტი სახელმწიფო თეატრია. სახელმწიფო კონსერვატორია და ლენინის ორდენით დაჯილდოებული ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი საბჭოთა საქართველოს მუსიკალური კულტურის ცენტრი გახდა.

საქართველოს დრამატულ თეატრებს შორის თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებმა. რუსთაველის სახელობის თეატრი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე თეატრია თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი, რომლის კოლექტივმა სახელი მოიხვეჭა როგორც სიცოცხლისუნარიანმა და ნიჭიერმა კოლექტივმა. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოში შეიქმნა კინომრეწველობა, აგებულ იქნა კინოფაბრიკა. ხალხის სიყვარულით სარგებლობენ და საბჭოთა მაყურებლის აღტაცებას იწვევენ ისეთი ქართული ფილმები, როგორიცაა «სურამის ციხე», «არსენა», «დიადი განთიადი», «ფიცი», «გიორგი სააკაძე» და სხვ.

საქართველოს მხატვრების კოლექტივმა, რომელიც აერთიანებს ძველი თაობისა და საბჭოთა ხელისუფლების დროის აღზრდილ ოსტატებს, შექმნა სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. გაიზარდა ქართული არქიტექტორების კადრები. ისინი მონაწილეობენ ქალაქების რეკონსტრუქციაში, ახალი საზოგადოებრივი შენობების, ბინების, ქუჩების, მონუმენტების აგებაში. თვალსაჩინო მეცნიერული

შრომისათვის, ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერ ნაწარმოებთა შექმნისათვის ათობით მეცნიერს, მწერალს, მსახიობს, მხატვარს სტალინური პრემიის ლაურეატების მაღალი წოდება მიენიჭა.

უდიდესი ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის დაცვას. წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მეტი თანხა ხმარდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას, იზრდება ექიმების, საავადმყოფოების, სანატორიუმების, სამშობიარო სახლების, დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებების რაოდენობა.

საქართველოს უმდიდრესი ბუნება, მისი ჰავა, სამკურნალო წყლები, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ემსახურება მშრომელთა კეთილდღეობას. ზღვის ნაპირებზე, სუბტროპიკულ მცენარეთა ხეივნებში, მთებში, ფიქვნარის ტყეებში აღმართულია სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების შესანიშნავი შენობები. მთელს საბჭოთა კავშირში განთქმულია საქართველოს კურორტები: ბორჯომი, წყალტუბო, მენჯი, აბასთუმანი, აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კურორტები, თბილისის გოგირდის აბანოები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე საქართველოში გაჩაღებულმა შემოქმედებითმა მუშაობამ ძირეულად შესცვალა ქვეყნის სახე და ქართველი ხალხის ცხოვრება.

საქართველოს მეურნეობისა და ბუნების მკაფიო თავისებურებამ, მისი კულტურის სიმდიდრემ სსრ კავშირის ყველა ხალხთა დიდი სიყვარული მოუხვეჭა ამ შესანიშნავ ქვეყანას.

ეს გრძნობა განსაკუთრებით ძლიერია იმიტომ, რომ საბჭოთა ხალხების შეგნებაში საქართველო დაკავშირებულია ი. ბ. სტალინის სახელთან, რომელმაც აქ გაატარა თავისი ბავშვობა, სიჭაბუკე და თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი წლები.

საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქ—გორში, რომელიც მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, მცენარეებით გარშემოვლებულ, გულმოდგინედ დაცულ სახლ-მუზეუმში ყველაფერი ისეა შენახული, როგორც ეს იოსებ

ბესარიონის-ძე სტალინის ბავშვობის წლებში იყო. ათასობით ადამიანის განუწყვეტელი ნაკადი მოეშურება აქ საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან, რათა იხილოს ხალხისათვის ეს საყვარელი ადგილი.

ქართველმა ხალხმა სოციალიზმის გამარჯვებას იოლად როდი მიაღწია. იგი მოპოვებულია საქართველოს კომუნისტების გადამწყვეტი ბრძოლით მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ გადაეკდინათ საბჭოთა საქართველო განვითარების სოციალიზმის აღმშენებლობის გზიდან. საქართველოს კომუნისტები შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ კვლავ აეღორძინებინათ მტრობა ამიერკავკასიის ხალხთა შორის და ამით ჩაეფუშათ აქ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმე. კომუნისტები შეურიგებლად ებრძოდნენ აგრეთვე განადგურებული კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ნაშთებს, იმპერიალისტური სახელმწიფოების ტროცკისტ-ბუხარინელ და სხვა აგენტებს, რომლებიც ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ საბჭოთა საქართველო სსრ კავშირისაგან და იმპერიალისტ მტაცებელთა უღელი დაედგათ კისერზე ქართველი ხალხისათვის.

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან ერთად ბოლო მოეღო საქართველოს დანაწილებას. ის იყო გაერთიანებული ერთ მთლიან მჭიდრო ეროვნულ სახელმწიფოდ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების, სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში მიღწეულ უდიდეს წარმატებათა შედეგად შეიქმნა პირობები იმისათვის, რომ წარმოქმნილიყო ქართველი საბჭოთა სოციალისტური ერი, რომელიც ძირეულად განსხვავდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე არსებული ძველი ბურჟუაზიული ერისაგან. შრომაში «ნაციონა-

ლური საკითხი და ლენინიზმი» ი. ბ. სტალინი, ლაპარაკობდა რა საბჭოთა სოციალისტური ერების ძირეულ განსხვავებაზე ძველი ბურჟუაზიული ერებისაგან, რომლებიც არსებობდნენ პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა წყობილების დამკვიდრებამდე ჩვენს ქვეყანაში, წერდა:

«ეს ახალი ერები წარმოიშვნენ და განვითარდნენ ძველი ბურჟუაზიული ერების ბაზაზე კაპიტალიზმის ლიკვიდაციის შედეგად, — სოციალიზმის სულისკვეთებით მათი ძირეული გარდაქმნის გზით. ვერავინ უარყოფს იმას, რომ ახლანდელი სოციალისტური ერები საბჭოთა კავშირში — რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, თათარი, ბაშკირი, უზბეკი, ყაზახი, აზერბაიჯანელი, ქართველი, სომეხი და სხვა ერები — ძირეულად განსხვავდებიან ძველი რუსეთის შესაბამისი ძველი, ბურჟუაზიული ერებისაგან როგორც თავიანთი კლასობრივი შემადგენლობითა და სულიერი სახით, ისე თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესებითა და მისწრაფებებით» *.

დიდი სამამულო ომის წლებში ქართველი ხალხი, გამსჭვალული საშინელი მძულვარებით მტრებისადმი, მხურვალე სიყვარულით სამშობლოსადმი, უსაზღვრო ერთგულებით კომუნისტური პარტიის საქმისადმი, ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად დადგა თავის სამშობლოს სადარაჯოზე, იცავდა რა საბჭოთა სახელმწიფოს გერმანელ ფაშისტ ავაზაკებისაგან.

მარგანეცის მაღაროებში, ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის შახტებში, ნავთის სარეწაოებზე, ქარხნებსა და ფაბრიკებში დღე და ღამე გაჩაღებული იყო დაუღალავი მუშაობა ფრონტისათვის, გმირული წითელი არმიისათვის დახმარების გასაწევად.

ომის დროს საქართველოში გაიზარდა მაღალკვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების ახალი კადრები, გაჩნდა ასობით სტახანოველი.

შეუსვენებლივ მუშაობდნენ ფრონტისათვის საქართველოს კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშები და სპეციალის-

---

* ი. ბ. სტალინი, ტ. 11, გვ. 376.

ტები. ისინი პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის მითითებებს — მივცეთ მეტი პური ფრონტს, სურსათი და ნედლეული მრეწველობას. საქართველოს კოლმეურნეებმა შეომითი გმირობის შესანიშნავი ნიმუშები გვიჩვენეს; მათ ომის პირველი წლებიდანვე გააჩაღეს ბრძოლა მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოს, ჭარხლის, ციტრუსებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლისათვის, მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის.

სამამულო ომის წლებში საქართველოს ინტელიგენცია იმ ამოცანების სიმაღლეზე იდგა, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახა ტექნიკის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის, მათი მიღწევების შემოქმედებითი გამოყენებისათვის წითელი არმიის აღჭურვილობის საგანთა წარმოებაში. საბჭოთა საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ადამიანებმა თავისი შემოქმედებითი მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირეს ფრონტის ინტერესებს. ისინი შეუსვენებლივ მუშაობდნენ თავდაცვისათვის, მტრის განადგურებისათვის.

ქართველმა ხალხმა თავისი საუკეთესო შვილები ფრონტზე გაგზავნა. მეომრები — საქართველოს შვილები მამაცურად იბრძოდნენ სამამულო ომის ყველა ფრონტზე. ისინი იგერიებდნენ გერმანელ ფაშისტ ურდოების იერიშებს მოსკოვთან და სტალინგრადთან, არღვევდნენ მტრის ბლოკადას ლენინგრადთან, მონაწილეობდნენ ოდესისა და სევასტოპოლის გმირულ ბრძოლებში.

1942 წელს მრისხანე საფრთხე აღიმართა ამიერკავკასიის ხალხთა წინაშე. ფაშისტი ბარბაროსები მოისწრაფვოდნენ საბჭოთა საქართველოში, მათ განზრახული ჰქონდათ სისხლით მოერწყოთ იგი, დაენგრიათ ქალაქი თბილისი. გერმანელებმა ვერ მოახერხეს თავისი საზიზღარი განზრახვის განხორციელება.

იმ გმირთა შორის, რომელთაც წითელი არმიის გამარჯვების დროშები გაატარეს ევროპის ათეულ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე და გამარჯვების ალამი აღმართეს ბერლინზე, იყვნენ ქართველი ხალხის მამაცი შვილებიც.

ქართველი ხალხის შვილებმა სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად ბრძოლის ველზე გამოვლინებული თავისი საბრძოლო გამოწრთობით, მამაცობითა და გულადობით ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს სამამულო ომის მატიანეში.

120 ზე მეტ კაცს — ქართველი ხალხის მამაც და გულად შვილთაგან ყველაზე მამაცსა და გულადს — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. საქართველოს ათიათასობით მეომარი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

საბჭოთა საქართველოს ხალხი რუსი ხალხის უდიდესი დახმარებით, სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთან მხარდამხარ, კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმული, საბჭოთა სამშობლოს ღირსებისა და დიდებისათვის ბრძოლის მაღალი იდეით შთაგონებული, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმს ამეღავნებდა. მან თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში, რომლის მიზანი იყო ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურება, გამარჯვება სინათლისა სიბნელეზე, პროგრესისა ბნელეთის მოციქულობაზე, საბჭოთა შუქმფინარი დემოკრატიისა ფაშიზმის შავბნელ ძალებზე.

«ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძალისა და სიცოცხლისუნარიანობის უაღრესად სერიოზული შემოწმება იყო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი. ომის დღეებში პარტია გამოვიდა როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. თავისი ორგანიზატორული მუშაობით პარტიამ საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ძალ-ღონე, ჩვენი ქვეყნის მთელი ძალები და საშუალებანი დაუქვემდებარა მტრის განადგურების საქმეს. პარტიამ დარაზმა მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია სიძნელეთა თავგანწირულად გადალახვისათვის, მოაწყო მძლავრი შრომითი აღმავლობა, ფრონტის სამსახურში ჩააყენა სახალხო მეურნეობა, ერთიან საბრძოლო ბანაკად გადააქცია ჩვენი ქვეყანა. ომის წლებში კომუნისტური პარ-

ტია კიდევ უფრო შეუსისხლხორცდა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს. ომის უდიდესი განსაცდელის დღეებში, გადალახა რა სერიოზული სიძნელენი და დაბრკოლებანი გამარჯვების გზაზე, პარტიამ კვლავ ცხადყო, რომ იგი არის ერთიანი მებრძოლი ორგანიზაცია, რომლისთვისაც უცხოა მერყეობა და უთანხმოება თავის რიგებში.

გაანადგურეს რა ფაშისტი აგრესორები, საბჭოთა ხალხმა, მამაცმა საბჭოთა არმიამ, რომელსაც სახელოვანი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, დაიცვეს თავიანთი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნეს ევროპისა და აზიის ხალხები ფაშისტური დამონების საფრთხისაგან» *.

* *

ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ქართველი ხალხი, ისე როგორც დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, მთელი ენერგიით ჩაება შემოქმედებითს მუშაობაში ომის შედეგების ლიკვიდაციისათვის და იმ ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა საბჭოთა ხალხის წინაშე ომისშემდგომი პერიოდისათვის. 1946 წლის 25 თებერვალს, როდესაც აღინიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 25 წლისთავი, ყველას წინაშე გადაიშალა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მიღწევების, მისი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილი აყვავების ნათელი სურათი.

საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი ხუთწლიანი სახალხო სამეურნეო გეგმის შემუშავებას საფუძვლად დაედო «კანონი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ». 1946 წელს დამთავრდა მრეწველობის

---

* «საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903—1953)», გვ. 24—25.

ომისშემდგომი გარდაქმნა. 1948 წ. საბჭოთა საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციამ 29,5 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის საერთო პროდუქციას.

მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომლის მშენებლობა განახლებულ იქნა ჯერ კიდევ 1944 წელს. რუსთავის ფოლადის პირველი დნობის თარიღია 1950 წლის 27 აპრილი, ამასთან ფოლადის გამოშვება 1951 წელს წინა წელთან შედარებით ერთი-სამად და მეტად გაიზარდა, ხოლო ნაგლინი — ერთიხუთად.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა საქართველოში შეიქმნა საავტომობილო მრეწველობა. ქუთაისის პირველი ავტომობილის გამოშვების თარიღია 1951 წ. 18 აგვისტო. მთავრდება ბამბის მრეწველობის კომბინატი გორში. იგი წელიწადში გამოუშვებს 17,5 მილიონ მეტრ ბამბის ქსოვილს. დიდ წარმატებებს მიაღწია რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობამ. 1950 წელთან შედარებით ქვანახშირის ამოღება 16 პროცენტით გაიზარდა, დიდი წარმატებებია მარგანეცის მრეწველობაში. 1950 წელს მარგანეცის ამოღება 19 პროცენტით გადიდდა.

დიდი წარმატებებია მსუბუქ და ადგილობრივ მრეწველობაში და აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგებში. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1951 წელს 13 პროცენტით გადიდდა. «საქენერგოს» სისტემის ელექტროსადგურთა სიმძლავრემ 1948 წელს მიაღწია 258 ათას კილოვატს წინააღმდეგ 139 500 კილოვატისა 1940 წელში. 1947 წლის დამლევს საექსპლოატაციოდ გადაეცა ხრამის ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე რამდენიმე ათას კილოვატს უდრის.

იზრდება საქართველოს მრავალფეროვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. მარცვლეულის ნათესები განუწყვეტლივ ფართოვდება. 1951 წელს დათესილია 17 პროცენტით მეტი საშემოდგომო ხორბალი, ვიდრე წინა წელს. ხორციელდება დიდი პროგრამა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოების გასაფართოებლად. მნიშვნელოვნად

გაფართოვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგი — მევენახეობა. იზრდება მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგები. უკანასკნელ წლებში დიდი წარმატებებია მიღწეული საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საქმეში. წლითიწლობით მტკიცდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა. საქართველოში 400-ზე მეტი მილიონერი კოლმეურნეობაა. საუკუნეობით ოცნებობდა ქართველი ხალხი იმ ნახევრადუდაბნო ადგილების მორწყვაზე, რომლებიც უშუალოდ ეკვრის საქართველოს დედაქალაქ თბილისს. ეს ოცნება განხორციელდა. სამგორის ზემო-მაგისტრალური არხის გახსნის თარიღია 1951 წლის 4 ნოემბერი. სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემა აყვავებულ ბაღებად და მინდვრებად აქცევს სამგორის უდაბნოს ათეულ ათასობით ჰექტარ მიწას. სამგორის სარწყავი სისტემის და კოლხეთის დაბლობის ვრცელი სივრცეების ამოშრობა ცხადად მოწმობს, თუ რა ფართო მასშტაბით არის გაჩაღებული მუშაობა ბუნების გარდაქმნისათვის.

საბჭოთა საქართველოში ომისშემდგომ წლებში სოციალისტური ეკონომიკის ზრდასთან ერთად დიდ წარმატებებს მიაღწია მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმის მშენებლობათა აგებაში, ბუნების გარდაქმნის გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. 1950 წლის 12 მარტს მოეწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკმა. საბჭოთა საქართველოში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. საბჭოთა ხალხმა ცხადყო თავისი ერთიანობა და მონოლითურობა, თავისი დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო. სოციალიზმის გამარჯვება ნიშნავს სსრ კავშირში ექსპლოატატორული კლასების საბოლოო ლიკვიდაციას, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებას, დიდი

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ურყევობას. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარების მეოხებით საბჭოთა საქართველო ამჟამად მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, მსხვილი ელექტროსადგურების, მრავალჯეროვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის, მოწინავე სოციალისტური კულტურის რესპუბლიკაა.

ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად დიდი რუსი ხალხის მეთაურობით თავდადებით იბრძვის სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის და მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

———

შენიშვნები

1. 1827 წელს მეფის მთავრობამ გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ქართველ თავადაზნაურობას ენიჭებოდა ისეთივე უფლებები, პრივილეგიები, როგორიც ჰქონდა რუს თავადაზნაურობას.

2. თბილისში მყოფ გერმანიის კონსულ გრაფ შულენბურგის ჯაშუშურ მოქმედებას ადასტურებს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი — პოლკოვნიკი პასტრიულინი. 1914 წ. 30 დეკემბრის მოხსენებითს ბარათში თბილისის გუბერნატორის სახელზე ის წერდა: «ამა წლის 28 აგვისტოს ქ. თბილისში გერმანიის საკონსულოს შენობის გაჩხრეკისას გამოვლინებულ იქნა მონაცემები, რომლებიც სრულიად აშკარად მოწმობენ, რომ გერმანიის მთავრობა საკონსულოს აგენტებს აკისრებდა ჯაშუშურ მოვალეობებს, რასაც ასრულებდა აგრეთვე უკანასკნელი კონსული გრაფ შულენბურგი».
(საქ. სსრ ცსსა, ფ. 3, ს. 721, გვ. 251).

3. გერმანიასა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების დედაარსი იყო შემდეგი: თუ რუსეთი ჩაერევა ავსტრია-სერბიის კონფლიქტში და გერმანია ავსტრიას მიემხრობა, თურქეთი ვალდებულია ომი გამოუცხადოს რუსეთს. ხელშეკრულებით თურქეთის არმია გერმანიის სრულ განკარგულებაში გადადიოდა. ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების მე-3 მუხლით: «ომის შემთხვევაში გერმანიის სამხედრო მისია ოტომანის მთავრობის განკარგულებაში რჩება. ოტომანის მთავრობა უზრუნველყოფს ამ მისიის ნამდვილ გავლენას და ნამდვილ ძალაუფლებას თურქეთის არმიის ოპერაციებში» («დიპლომატიის ისტორია», ტ. II, გვ. 269).

4. 1914 წ. ნოემბერში თურქებმა გერმანელი მაიორის შტანკის სარდლობით ჯარების ერთი ჯგუფი გადმოსხეს ხოპთან და უკან დაახევინეს რუსეთის

მოსაზღვრე ნაწილებს მდინარე აპარისწყლამდე. თურქებმა დაიკავეს ართვინი, არტანუჯი და ბორჩხა.

5. სულ დაცვისათვის ამიერკავკასიაში მუშაობდა 176 საწარმო 20 746 მუშით. საწარმოთა ნაყოფიერება თვეში 10. 395 ათას მანეთს შეადგენდა (იხ. «რუსეთი 1914 — 1918 წ. წ. მსოფლიო ომში»). (სსრკ-ის ცსს, მ. 1925, გვ. 71).

6. ერთგვარ წარმოდგენას იმაზე. თუ რა კატასტროფულად დაეცა საქონლის ექსპორტი საქართველოდან საზღვარგარეთ, იძლევა ცნობები მარგანეცის გახიდვის შესახებ. 1913 წელს გატანილ იქნა 63 826 ათასი ფუთი, ხოლო 1917 წ. სულ 359 ათასი ფუთი (ცსს. სტატისტიკური კრებული 1909 — 1921 წ. წ. თბილისი, 1923, გვ. 53).

7. «სახალხო ფურცელი» — ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის — სოციალ-ფედერალისტების ორგანო. ქართველი ფედერალისტების პარტია ჩამოყალიბდა 1904 წ. აპრილს ჟენევაში. მისი ძირითადი მოთხოვნა იყო: საქართველოს ეროვნული ავტონომია რუსეთის იმპერიის ფარგლებში.

8. გრაფი ვორონცოვ - დაშკოვი — მეფის მთავრობის რეაქციული მოღვაწე. 1905 წ. თებერვლიდან 1915 წლამდე კავკასიის მეფისნაცვალი იყო.

9. ამიერკავკასიაში არ ქმნიდნენ წვრილ საერობო ერთეულებს; ერობებს არ აკისრებდნენ ამ მხარეში მორწყვის საქმის გამგებლობას; საერობო კრებებს არ ეძლეოდათ სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადების განაწილების უფლება. გუბერნატორებს უფლება ჰქონდათ ზედამხედველობა გაეწიათ არა მარტო საერობო კრებების დადგენილებათა კანონიერებაზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ დადგენილებათა განხორციელება. საქმის წარმოება და საერობო დაწესებულებათა ყოველგვარი მიმოწერა მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. მშობლიური ენით სარგებლობა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შექონდათ თხოვნა ერობათა გამგეობაში, როდესაც პასუხს აძლევდნენ ამ თხოვნაზე, და მშობლიური ენა დაშვებული იყო საერობო კრებებზე კამათის დროს იმ ხმოსნებისათვის, რომლებიც რუსულად არ ლაპარაკობდნენ.

10. ანი — ნ. ჟორდანიას ფსევდონიმი.

11. «ნ ა შ ა ზ ა რ ი ა» — მენშევიკურ-ლიკვიდატორების ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი. ჟურნალი გამოდიოდა პეტერბურგში 1910 — 1914 წ. წ. მის გარშემო ჩამოყალიბდა ლიკვიდატორების ცენტრი რუსეთში.

12. «თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ა ზ რ ი» — ქართული მენშევიკური გაზეთი, რომელიც ლეგალურად გამოდიოდა 1915 წ. 1 მარტიდან 1917 წ. 14 მარტამდე.

13. „ეოპროსი სტრახოვანია“ — ბოლშევიკური ლეგალური ჟურნალი, რომელიც დროგამოშვებით გამოდიოდა 1913 წლის ოქტომბრიდან 1918 წ. თებერვლამდე. ჟურნალს ხელმძღვანელობდა რსდმპ (ბ) ცკ-ი.

14. მ. ოკუჯავა, შ. ელიავა, თ. ჟღენტი, ბ. ბიბინეიშვილი 1937 წ. მხილებულ იქნენ როგორც ხალხის მტრები.

15. პროკოფი აფრასიონის-ძე ჯაფარიძე (ალიოშა) დაიბადა 1878 წ. ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის სოფელ შარდომეთში. 1898 წ. ის რსდმპ-ის თბილისის ორგანიზაციაში შევიდა. ჯაფარიძე იყო პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრი, ხოლო შემდეგ შევიდა რსდმპ-ის კავკასიის საკავშირო კომიტეტის შემადგენლობაში, რომლის სათავეში ანბანაგი სტალინი იდგა.

ა. ჯაფარიძე ამხანაგ სტალინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი იყო. რუსეთის პირველი რევოლუციის დროს ის ბაქოსა და აზერბაიჯანის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი იყო. ა. ჯაფარიძე არაერთხელ ყოფილა მეფის ხელისუფალთა მიერ დაპატიმრებული, საპყრობილეში დამწყვდეული და გადასახლებული. 1914 წელს ა. ჯაფარიძე დაბრუნდა ვოლოგდიდან, სადაც სამი წლით იყო გადასახლებული და სათავეში ჩაუდგა თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. 1915 წ. მაისში ის კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს ენისეისკის გუბერნიაში, სოფელ კამენკაში. მალე გამოიქცა იქედან, დაბრუნდა თბილისში, შემდეგ ტრაპიზონში გადავიდა, სადაც ჯარისკაცებში ფართო საგიტაციო მუშაობას ეწეოდა. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ა. ჯაფარიძე მუშაობდა ბაქოში როგორც ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოში ა. ჯაფარიძეს ბინაგან საქმეთა კომისრის თანამდებობა ეჭირა. ამავე დროს იგი ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო. 1918 წ. 20 სექტემბერს ა ჯაფარიძე მძეცურად დახვრიტეს ინგლისელებმა იმპერიკასპიის ველებში, როდესაც საერთოდ დახვრეტილ იქნა ბაქოს 26 კომისარი.

16. შაუმიანი ს. გ. (1878 — 1918) კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის თვალსაჩინო ხელმძღვანელი, რსდმპ-ის II, IV და V ყრილობების მონაწილე. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ბაქოს მუშათა დეპუტატების თავმჯდომარე იყო. რსდმპ (ბ) VI ყრილობაზე არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შაუმიანი დანიშნეს კავკასიის საგანგებო კომისრად, ხოლო 1918 წ. მარტში ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ. 1918 წ. 20 სექტემ-

ბერს შაუმიანი დახვრეტილ იქნა ინგლისელების მიერ ბაქოს დანარჩენ 25 კომისართან ერთად.

17. ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი ლენინმა შექმნა ინტერნაციონალისტების პირველ სოციალისტურ კონფერენციაზე, რომელიც 1915 წ. სექტემბერს გაიმართა ციმერვალდში. ლენინის განსაზღვრით, ეს იყო ომის წინააღმდეგ ინტერნაციონალური მოძრაობის «პირველი ნაბიჯი». ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფში მხოლოდ ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით ატარებდნენ ნამდვილად ინტერნაციონალისტურ, ერთადერთ სწორ და ბოლომდე თანმიმდევრულ ხაზს ომის წინააღმდეგ.

18. «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი» — რსდმპ ცკ-ის ორგანო; იცემოდა არალეგალურად 1908 წ. თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდეგ გაზეთის გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ. თავდაპირველად «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია შედგებოდა ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატებისაგან. 1911 წლის ივნისში მენშევიკები გავიდნენ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციიდან, 1911 წლის დეკემბრიდან გაზეთის რედაქტორი გახდა ვ. ი. ლენინი.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაიბეჭდა ლენინისა და სტალინის მთელი რიგი სტატიები.

19. 1915 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების კავკასიის ორგანიზაციების თათბირში მონაწილეობდა 3 წარმომადგენელი ბოლშევიკების ბაქოს ორგანიზაციიდან, ერთი წარმომადგენელი თბილისის ორგანიზაციიდან და ერთიც ქუთაისის ორგანიზაციიდან.

20. ამ პერიოდში შაუმიანის რევოლუციური მოღვაწეობის გამო მეფის ოხრანკა ერთ-ერთ თავის მოხსენებით ბარათში წერდა: «აგენტურის უკანასკნელი ცნობებით შაუმიანი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და გამოცდილ პარტიულ მუშაკად კავკასიაში; მას უკავშირდება ყველა რაიონი და საზღვარგარეთ მცხოვრები პარტიული პირი... ის არის თავისი რწმენით მტკიცე ბოლშევიკი და ცნობილი მონხრე ლენინისა, რომელთანაც მიმოწერას აწარმოებს. თავისი მოქმედების ხასიათით მეტად ფრთხილია. რამდენჯერმე იყო გაჩხრეკილი და დაპატიმრებული, მაგრამ არავითარ მამხილებელ მასალებს არ ინახავს თავის თავთან და ყოველთვის მოქმედებს სხვა პირთა მეოხებით, რის გამოც მასთან ჩატარებული ჩხრეკა არავითარ შედეგს არ იძლევა. მისი გასახლება კავკასიიდან სიმშვიდეს შეიტანს არა მარტო ადგილობრივ ცხოვრებაში, არამედ საერთოდ კავკასიის მხარეში» (ციტატი მოტანილია მ. კაზნეკის, ნ. ბალასანიანის მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევიდან «სტეფანე შაუმიანი», ბაქო, 1948 წ., გვ. 17).

21. 1915 წ. რუსეთის იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ ომის საჭიროების მომსახურებისათვის შექმნა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები. თავისი გავლენისადმი მუშების დამორჩილების მიზნით ბურჟუაზიამ ამ კომიტეტში ჩამოაყალიბა «მუშათა ჯგუფები», რომლებსაც ბურჟუაზიის განხრახვით აგიტაცია უნდა გაეწიათ მუშათა მასებს შორის სამხედრო ქარხნებში შროპის ნაყოფიერების ასამაღლებლად. მენშევიკებმა ხელი ჩასჭიდეს ბურჟუაზიის ამ იდეას, აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსეთის იმპერიალისტების ამ რეაქციული წამოწყების რეალიზაციაში და მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ მუშებს მონაწილეობა მიეღოთ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში.

22. ფედერალისტები — საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრები.

23. 1916 წლის 1 ოქტომბრისათვის მთელ კავკასიის ფრონტზე მოქმედი ნაწილების რაოდენობა 593 472 კაცს შეადგენდა. გარდა ამისა, ამ დროს კავკასიის სამხედრო ოლქს ექვემდებარებოდა კიდევ 230 466 კაცი (საქ. სსრ ცსსა, ს. 165, გვ. 3).

24. 1916 წ. 1 ნოემბრიდან 1917 წ. 1 იანვრამდე ამიერკავკასიის მარტო 1-ლ და მე-2 სათადარიგო ბრიგადებიდან და მე-15 სათადარიგო ბრიგადიდან გაიპარა 3 441 კაცი (საქ. სსრ ცსია, ფ. 9, ს. 1056). 1916 წლის 27 სექტემბრისათვის არსებული მონაცემებით მარტო ზუგდიდის მაზრაში 2 231 დეზერტირი იყო (საქ. სსრ ცსსა, ფ. 2, ს. 4321, გვ. 20).

25. ჩხეიძე ნ. ს. — მენშევიკი, III და IV სახელმწიფო სათათბიროების წევრი თბილისის გუბერნიიდან. სათათბიროს მენშევიკების ლიდერი. ობორონეცი, ბურჟუაზიის კოალიციის მომხრე. 1917 წ. თებერვლიდან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საქართველოში გაიქცა. არჩეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარედ.

26. შექმნილი მდგომარეობის საკითხზე თბილისის საქალაქო გამგეობამ, სადაც მენშევიკებიც მონაწილეობდნენ, ერთხმად გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც უფლებამოსილს ხდიდა, სხვათა შორის, ა. ხატისოვს «უკვეშეერდმილესად მოეხსენებია კავკასიის არმიის უავგუსტოესი მთავარსარდლისათვის, რომ ქალაქის საზოგადოებრივი გამგეობა გამოხატავს რა მთელი მოსახლეობის აზრებსა და გრძნობებს და მტკიცედ წამს რა, რომ მისი იმპერატორობითი უმაღლესობა თავის ძლიერ დახმარებას აღმოუჩენს ახალი წესწყობილების შექმნას კავკასიაში... მოუწოდებს მოსახლეობას მშვიდობისაკენ და თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია განაცხადოს, რომ ამ მშვიდობის დაცვის საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს მანიფესტაციებისა და ქუჩის დემონსტრაციების დაუშვებ-

ლობა, ვისი მხრიდანაც უნდა იყოს ეს». (თბილისი, ქალაქის საბჭოს 1917 წლის ოქმები).

27. ამ თათბირისათვის ქართველმა თავადაზნაურობამ უკვე სავსებით განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება რევოლუციისადმი.

რევოლუციის შესახებ პირველი ცნობების მიღებისთანავე თავადაზნაურობა პირველად დაიბნა, მაგრამ შემდეგ მალე მოახერხა შეთანხმება კავკასიის მეფისნაცვალ ნ. ნ. რომანოვთან და შეუდგა თავისი ძალების ორგანიზაციას რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. 7 მარტს გაიმართა თავადაზნაურთა საგანგებო კრება თბილისში. გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობის შემსრულებელი თავადი ჩოლოყაშვილი გამოვიდა საპროგრამო სიტყვით, რომელშიც საკმაოდ ნათლად გამოხატა ქართველი თავადაზნაურობის პოლიტიკური მისწრაფება. ის ლაპარაკობდა, რომ ახლანდელ პირობებში შესაძლებელია განხორციელდეს ეროვნული უფლებები და სურვილები, რომელთა წყაროს წარმოადგენს მეფე ერეკლესა და დედოფალ ეკატერინე II-ეს შორის დადებული 1783 წლის ტრაქტატი. 1783 წლის ტრაქტატი ითვალისწინებდა ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს «დამოუკიდებლობას» მემამულეთა მეფის მეთაურობით და ქართველ თავადაზნაურებისათვის დიდი უფლებებისა და პრივილეგიების მინიჭებას.

28. 1917 წ. საქართველოში «კავკაზსკი რაბოჩის» გარდა გამოდიოდა შემდეგი კომუნისტური გაზეთები: «ბრძოლა» და «მუშის სიმართლე» ქართულ ენაზე, «ბავშვორი კრივ» («მუშათა ბრძოლა») სომხურ ენაზე, «ბურეევესტნიკ» რუსულ ენაზე.

29. რსდმპ (ბ) VII აპრილის კონფერენციაზე თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის დელეგატი ფ. მახარაძე ეროვნული საკითხის გარშემო გამართული კამათის დროს პიატაკოვის ნაციონალ-შოვინისტური პოზიციის დაცვით გამოვიდა (იხ. რსდმპ (ბ) VII აპრილის კონფერენციის ოქმები, გვ. 205 — 208).

30. ქალაქის გამგეობების არჩევნებთან დაკავშირებით მენშევიკებმა თავიანთი პოზიციების ჩაფუშვის შიშით მიმართეს რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტს წერილით, რომლითაც წინადადებას იძლეოდნენ «შევთანხმდეთ» ქალაქის გამგეობაში «მოქმედების კოორდინაციის შესახებო». თბილისის კომუნისტებმა უპასუხეს: «თქვენ წინადადებას იძლევით მოლაპარაკება დავიწყოთ. ჯერ კიდევ გუშინ გვიწოდებდით ჩვენ გერმანიის აგენტებს, პროვოკატორებს, კონტრრევოლუციონერებს, ხალხის თავისუფლების მტრებს («ერთობა» № 93). თქვენ სიხარულით ჩასჭიდეთ ხელი იმ საზიზღარ ცილისწამებას ჩვენი პარტიისა და მისი ბელადების წინააღმდეგ, რომელიც გაავრცელა კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ და შავრაზმულმა პრესამ. თქვენ კიდევ უფრო შორს წახვედით. თქვენ საზიზღარი

ცილისწამება უკვე დამტკიცებულ ფაქტად აღიარეთ, რისი გაკეთებაც ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ცილისწამებლურმა ბურჟუაზიულმა პრესამაც კი ვერ გაბედა. ელემენტარული წესიერების გრძნობას უნდა ეკარნახებია თქვენთვის, რომ იმის შემდეგ, რაც ჩვენს მიმართ ჩაიდინეთ, თქვენ უკვე აღარა გაქვთ უფლება მოგვმართოთ რაიმე წინადადებით. რსდმპ (ბოლშევიკების) თბილისის კომიტეტი» («კავკაზსკი რაბოჩი» № 119, 1917 წ.).

31. ცხაკაია მიხეილ გრიგოლის-ძე (1865 — 1950) — სკკპ წევრი 1898 წლიდან, კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე. მონაწილეობდა პარტიის III ყრილობის მუშაობაში (ბარსოკი, ლეონოვი) როგორც კავკასიის ორგანიზაციის დელეგატი, აგრეთვე იყო პარტიის V ყრილობის დელეგატი. 1917 წლიდან 1920 წლამდე რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის წევრია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ განუწყვეტლივ მუშაობდა ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა თანამდებობებზე, იყო XI, XIII, XV და XVI პარტიული ყრილობების დელეგატი. 1931 წლიდან მუშაობდა ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიაში.

32. ფრონტზე მყოფ ერთ-ერთი ნაწილის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: «დასასრულ, ჩვენ ულარიბესი, გაპარტახებული, დამშეული გლეხებიდან გამოსული რუსფარაჯიანი ჯარისკაცები გეკითხებით თქვენ, ბატონო ობოროეცებო... როდემდე იქნებით განსვენებული ბურჟუების მკერდზე, როდემდე განაგრძობთ ცილისწამებას ნამდვილი რევოლუციური ჯარისკაცების მიმართ.

როდემდე განაგრძობთ ამ უბედურ, წყეულ საყოველთაო - სახალხო ხოცვა-ჟლეტას. დროა უკუაგდოთ ომში საბოლოო გამარჯვების იმედი, უკვე გვიანაა, თქვენ იგი წააგეთ, ან შეიძლება თქვენ გსურთ ჩვენ ყველა მოგვსპოთ. არა, ბატონებო, ფრთხილად, ჩვენ მოთმინებას დავკარგავთ, მაშინ ვაი იმ უბედურებს, ვინც ჯერ კიდევ არ გამძღარა ჩვენი სისხლით» («კავკაზსკი რაბოჩი» № 163,1917 წ.).

33. ამიერკავკასიის მთავრობის შექმნის ინიციატივა ქართველ მენშევიკებს ეკუთვნოდათ. ამის გამო მენშევიკური პარტიის საოლქო კომიტეტის სხდომაზე ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით 1917 წ. 1 ნოემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მომხდარიყო შეთანხმება ყველა პარტიასთან და ხალხთან მთავრობის შექმნის თაობაზე. ყველა კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ პარტიასთან მოსალაპარაკებლად და შეთანხმების დასადებად არჩეულ იქნა კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ნ. ჟორდანია, ე. გეგეჭკორი, ა. ერზინკიანი და ა. ჩხენკელი (საკავშირო კპ (ბ) ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი).

34. პარტიულობის მხრივ ამიერკავკასიის კომისარიატის შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: მენშევიკი — 5, ესერი — 2, დაშნაკი — 2, სოციალ-ფედერალისტი — 1, მუსავატელი — 1, უპარტიო სოციალისტი — 1, უპარტიო — 1. თანამდებობები შემდეგნაირად იყო განაწილებული: კომისარიატის თავმჯდომარე, შრომის სამინისტროს და უცხოეთთან ურთიერთობათა საქმეებ ს კომისარი — ე. გეგეჭკორი (მენშევიკი); შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარი — ა. ჩხეიკელი (მენშევიკი); სამხედრო და საზღვაო სამინისტროს საქმეთა კომისარი — დ. დონსკოი (ესერი); ფინანსთა სამინისტროს საქმეთა კომისარი — ხ. კარჩიკიანი (დაშნაკი); სახალხო განათლების სამინისტროს საქმეთა კომისარი — ფ. ხანხოისკი (უპარტიო); იუსტიციის სამინისტროს საქმეთა კომისარი შ ვ. ალექსეევ-მესხიევი (სოციალ-ფედერალისტი); ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს საქმეთა კომისარი—ვ. ჯაფაროვი (უპარტიო სოციალისტი); გზათა მინისტრის საქმეთა კომისარი — ხ. ძელიკ-ასლანოვი (მენშევიკი); მიწათმოქმედების სამინისტროს საქმეთა კომისარი — ა. ნერუჩევი (ესერი); სასუოსათო სამინისტროს საქმეთა კომისარი—გ. ტერგაზარიანი (მენშევიკი); საზოგადოებრივი მხრუველობის სამინისტროს საქმეთა კომისარი—ა. ოგანჯანიანი (დაშნაკი); სახელმწიფო კონტროლის საქმეთა კომისარი—ხ. ხას-მამედოვი (მუსავატელი).

35. პარტიულობის მიხედვით ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატთა შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: მენშევიკი — 24, დაშნაკი — 24, მუსავატელი — 30, მენშევიკ-გუმეტისტი — 4, მუ ლიმანური სოციალისტური ბლოკის — «რუსეთის მუსლიმანების» წარმომადგენელი — 3, სოციალ-ფედერალისტი — 3, ესერი — 5, კადეტი — 2.

36. მენშევიკები იყვნენ ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტის ორგანიზატორები და უშუალო დანაშავენი ამ საქმეში. ამას მოწმობს მენშევიკების საოლქო კომიტეტის სხდომა, რომელიც გაიმართა ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახვრეტის შემდეგ, იმავე დღეს — 1918 წ. 10 თებერვალს.

ამ სხდომის ოქმში ჩაწერილია: «ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიების საკითხზე—მოწონებულ იქნას ამიერკავკასიის კომისარიატის ყველა ნაბიჯი...»

37. სამუილ ბუაჩიძე (1882 — 1918). პარტიული სახელი «ნოე». 1900 წელს შევიდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. 1905 წელს ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ამიერკავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში. მიცემულ იქნა პასუხისგებაში ეგრეთწოდებული «ყვირილის რესპუბლიკის» საქმეზე და 4 წლით გადაასახლეს ციმბირში საკატორღო სამუშაოებზე. ციმბირიდან გამოიქცა და თურქეთში გადავიდა, ხოლო შემდეგ შვეიცარიაში გაემგზავრა. რუსეთში დაბრუნდა 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ. მუშაობდა ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკურ

ორგანიზაციებში. თერგის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ არჩეულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ. 1918 წელს მოღალატურად მოკლულ იქნა მიტინგზე.

38. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მენშევიკური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი წარმატებისათვის საჭირო იყო ორგანიზაციული ბაზის შექმნა, საიდანაც აჯანყებულნი მომარაგებული უნდა ყოფილიყვნენ საბრძოლო საჭურვლით. «სამხარეო კომიტეტი სთვლიდა, რომ ასეთი ბაზა, — წერს ფ. მახარაძე,— ყველაზე მოხერხებული იქნებოდა მოგვეწყო ჩრდილოეთ კავკასიაში, მით უმეტეს, რომ იქ უკვე არსებობდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც, რა თქმა უნდა, ყოველგვარ დახმარებას გაუწევდა სამხარეო კომიტეტს საქართველოში აჯანყების მოწყობისა და ხელმძღვანელობის საქმეში» (ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოში», 1928 წ., გვ. 174).

39. ეს გაზეთი იყო მენშევიკების"იმ ჯგუფის ორგანო, რომელიც ოპოზიციაში იყო მენშევიკური პარტიისადმი.

40. ალექსანდრე ალექსის-ძე გეგეჭკორი, პარტიული სახელი «საშა» (1887—1928). რსდმ პარტიაში შევიდა 1902 წ. თამაშობდა ხელმძღვანელ როლს ბათუმის, ბაქოს, თბილისის, სამეგრელოს და სხვ. ბოლშევიკურ ორგანიზაციებში. რამდენჯერმე იყო გადასახლებაში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხელმძღვანელ როლს თამაშობდა დასავლეთ საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებში, მეთაურობდა კომუნისტური ორგანიზაციის ქუთაისის საბრძოლო შტაბს, ხელმძღვანელობდა აჯანყებას სამეგრელოში, მონაწილეობდა დენიკინელებთან ბრძოლაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მუშაობდა ხელმძღვანელ საბჭოთა თანამდებობებზე (შინაგან საქმეთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისრად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სხვ.).

41. «... საქართველოს სახელმწიფოს მომავალ ოფიციალურ ცნობასთან დაკავშირებით, — წერდა გენერალი კრესი რაიხსკანცლერს 1918 წ. 8 სექტემბერს, — სასურველი იქნებოდა დაგვეჯილდოებინა საქართველოს ხელმძღვანელი პირები გერმანიის ორდენებით...

ჯილდოს მისაცემად მე პირველ რიგში ვაყენებ იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც მე ქვემოთ მოვიხსენიე ჯგუფების მიხედვით ორდენების ხარისხისაგან დამოკიდებით... 1. მინისტრ-პრეზიდენტი ყორდანია. 2. საგარეო საქმეთა მინისტრი ჩხენკელი, აგრეთვე მისი მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი. შემდეგ ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ჩხეიძე... შემდეგი მინისტრები, რომლებსაც პირველ რიგში მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის გერმანიის მთავრობასთან საერთო

მუშაობის საწარმოებლად; სამხედრო მინისტრი გიორგაძე, ფინანსთა მინისტრი ჟურული და რკინიგზათა მინისტრი ლორთქიფანიძე. შემდეგ ეროვნული საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ბარათაშვილი (დოკუმენტი მთლიანად გამოქვეყნებულია «პრავდაში» № 330, 1933 წ.).

42. ნ. ჟორდანიამ გენერალ უოკერთან საუბარში 1919 წ. 15 თებერვალს განაცხადა: «მე ვარ ქართველობის თავმჯდომარე და კვლავ ვიმეორებ, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობა, — როგორც სახელმწიფო, ისე პუბლიცისტური, — მიმართული იყო ინგლისისა და საფრანგეთის მხრისკენ. ვიმეორებ, რომ ჩემი სიმპათიები არ შეცვლილა არც ომის დროს, არც ახლა. რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრს, ჩვენი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელს, მისი მოღვაწეობა და შეხედულებანი როგორც შეთანხმების სახელმწიფოთა უაღრესად გულწრფელი მომხრისა, არასოდეს არავის არ დაუფარავს და ყველასათვის კარგად ცნობილია».

43. ს. ორჯონიკიძე თავის მოგონებაში გვიამბობს დენიკინელებისათვის კომუნისტების გადაცემის ერთ ეპიზოდზე:

«ყაზბეგში ქართველი მენშევიკები იყვნენ დაბანაკებულნი. მათ მეთაურობდა ბოლშევიკების მოსისხლე მტერი — პოლკოვნიკი წერეთელი... სერგომ (ორჯონიკიძე გ. კ.) მთებიდან თბილისში გადაგზავნა ამხანაგების ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ ფ. მახარაძე, დიაკოვი, ბუტირინის ოჯახი და საშა გეგეჭკორის ცოლი — ვერა ერნესტის ასული. მახარაძემ მშვიდობიანად განვლო ლარსი და. ყაზბეგი, მაგრამ დანარჩენი ჯგუფი მენშევიკებმა დააპატიმრეს და სასტიკად აწამეს, რის შემდეგ ქალები ბადრაგის თანხლებით თბილისში გაგზავნეს, ხოლო ყველა მამაკაცი ეშმაკის ხიდზე გაატარეს და დენიკინელებს გადასცეს. სამმა ჩვენმა ამხანაგმა, რომელთა შორის იყო დიაკოვი, გადაწყვიტა გაქცევა. ისინი ეშმაკის ხიდიდან თერგში გადახტნენ, შეებრძოლენ მღელვარე მდინარეებას და კლდეებში მიიმალნენ. მათ სროლა აუტეხეს, მაგრამ ამაოდ: მათ მოასწრეს მიმალვა. დანარჩენი ამხანაგები კი დენიკინელ მაქსიმოვს გადასცეს».

44. იმისათვის, რომ დახატულ იქნას მენშევიკური მთავრობის დროს საქართველოში არსებული პოლიტიკური უუფლებობის, თვითნებობის, მეკრთამეობის, მშრომელი გლეხების აშკარა ძარცვისა და დამონების სრული სურათი მოვიყვანთ ცალკეულ ადგილებს გლეხების ჩვენებებიდან იმ თვითნებობისა და ძალადობათა შესახებ, რასაც დაუსჯელად სჩადიოდა მენშევიკური ადმინისტრაცია დუშეთის მაზრაში.

დუშეთის მაზრის სოფელ წილკანის მცხოვრებმა ვ. მამუკაშვილმა უჩვენა: «მცხეთის რაიონის კომისარმა სოლომონ მენაბდემ სოფ. წილ-

კანის მოსახლეობას განუცხადა: როცა მე, მენაბდე, სოფელ ფილკანში მოვალ, უფასოდ უნდა მომცეთ ქათმები, ბატკნები, ერბო და სხვაო. ხსენებულმა მენაბდემ მე ერთი ტომარა ფქვილი წამართვა!!»

დუშეთის მენშევიკური ადმინისტრაცია მეფის ჯალათ ჯენერლების ალიხანოვ ავარსკის, ალფტანისა და სხვ. გზით წავიდა, აღადგინა მაზრაში ეგზეკუციებისა და ადმინისტრაციული თვითნებობის სისტემა

აი რას ამბობდნენ ამის შესახებ სოფელ მკადიჯვრის გლეხები.

«1919 წლის დეკემბრის დამლეკს სოფელ მკადიჯვარში მოვიდა დუშეთის მაზრის სამაზრო კომისარი გიორგი პარკაძე და გვაუწყა, რომ იგი მილიციონერებით გამოცხადდა «ეკზეკუციის» წესით და რომ სოფელი ვალდებულია უფასოდ არჩინოს ყველა ისინი ცხენებითურთ... პარკაძემ ჩამოართვა მოსახლეობას თივა, ქერი, ქათმები და ორი ინდაური. უფროსმა მილიციონერმა სცემა გლეხების წარმომადგენელს...»

მწყემს დათიკო ტიგიშვილის ჩვენებით, «მაზრის კომისარი პარკაძე და ერობის გამგეობის წევრი ლ. ფარნიევი დადიოდნენ სოფელში და ბევრ უკანონობას სჩადიოდნენ: 1) ხსენებულმა პირებმა, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, სცემეს ორ ახალგაზრდას—სანდრო ტიგიშვილს და თედო კაპაშვილს. ერთ-ერთ მათგანს ორი კბილი ჩაუმტვრიეს, ხოლო მეორე ავად გახდა და მკურნალობა ძვირი დაუჯდა; 2) სოფ. წეროვანში გ. პარკაძემ და ლ. ფარნიევმა გლეხ ქერთოკაშვილს წაართვეს 20 ცხვარი, აქედან 7 დაკლეს, დანარჩენი დაუბრუნეს; 3) სოფ. ნაგოხევში გლეხ სოსო გოგოშვილს წაართვეს და დაუკლეს 5 ცხვარი, პატრონს არაფერი არ მისცეს; 4) ჩემს ამხანაგ მწყემს ვანო ქერდოკაშვილს ახალი ნაბადი ჰქონდა, იგი ლ. ფარნიევს მოეწონა და წაართვა. გარდა ამისა, ოსთა სოფლებიდან ლ. ფარნიევს ხშირად მოჰქონდა უფასოდ გამომცხვარი პური, ქათმები, კვერცხები, ყველი, რძე, თივა და ქერი და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ოდესმე გადაეხადოს ფული».

უცნობ ავტორს შეუდგენია დუშეთის სამაზრო ადმინისტრაციის ბოროტმოქმედებათა ვრცელი სია, იგი წერს: «როდესაც ამ ოქმებს კითხულობ, უნებლიეთ გებადება კითხვა, ნუთუ ხსენებულ ოქმებში მოყვანილი ფაქტები შეიძლებოდა მომხდარიყო XX საუკუნეში და ისიც თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ... ამის შემდეგ გასაგებია, რომ ოსების აჯანყება გამოწვეული იყო არა გარედან, არამედ იგი იმ პოლიტიკამ მოამზადა, რომელსაც ადგილობრივი ადმინისტრაცია ახორციელებდა» (საქ. სსრ ცსსა, ფ. 68).

45. მენშევიკების მიერ გაზეთ «ვოლნას» დახურვის შემდეგ თბილისში გამოდიოდა კომუნისტური გაზეთები «რაბოჩი» და «რაბოჩი პუტ».

46. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდა 1919 წ. იანვარში, პირველი კრება გაიმართა იმავე წლის 12 მარტს. დამფუძნებელი კრების შემადგენლობაში იყო 135 კაცი, აქედან 110 მენშევიკი, 9 სოციალ-

ფედერალისტი, 8 ნაციონალ-დემოკრატი, 5 სოციალ-რევოლუციონერი და 2 დაშნაკი.

47. დახურულ გაზეთ «საქართველოს კომუნისტის» მაგივრად 25 აგვისტოდან გამოდიოდა «ახალი კომუნისტი»; რუსულ ენაზე 1920 წ. 20 ოქტომბრიდან გამოდიოდა გაზეთი «კომუნისტ გრუზიი».

48. 1917 წლის აღწერით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ 2 402 230 სულიდან ქართველი იყო 1 615 216 (67, 2%), სომეხი—279 975 (11,6%), რუსი—116 775 (4, 8%), ოსი 85 95 587 (3, 9%), აზერბაიჯანელი — 85 149 (3, 6%), აფხაზი—40 393 (1, 8%). დანარჩენი ეროვნებანი—უკრაინელი, პოლონელი, გერმანელი, ბერძენი და სხვ. — 169 145 (7, 1%) ამრიგად, არაქართველი ეროვნებანი საქართველოს მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტს შეადგენდნენ.

49. მენშევიკების პარტიის ცკ-ის ოქმში 1919 წ. 25 აპრილის თარიღით ჩაწერილია შემდეგი გადაწყვეტილება: «გამოიცეს ბრძანება ოსეთის საბჭოს ჩატარებული არჩევნების აკრძალვის შესახებ, როგორც მთავრობისაგან ნებადაურთველისა და უკანონოსი; გაიგზავნოს აგრეთვე ჯარი» (საკავშირო კპ (ბ) ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, აღწერა № 37).

50. ბარბაროსულად გაუსწორდა რა რევოლუციურ სამხრეთ ოსეთს, გ. ჯუღელი როგორც სადისტი, თავის დღიურში წერდა:

«1920 წ. 13 ივნისი

...ჩვენს გარშემო ოსთა სოფლები იწვის... მე დამშვიდებული სულითა და წმინდა სინდისით ვუმზერ ამ ფერფლსა და კვამლს.

1920 წ. 14 ივლისი

...სოფლები აქ დიდ სიმაღლეზე მდებარეობენ და, ალბათ, ოსებმა იფიქრეს, რომ ისინი ჩვენთვის მიუწვდომელი არიან! მაგრამ ახლა ყველგან ცეცხლია... გიზგიზებენ და გიზგიზებენ! საზარელი ცეცხლია... რაღაც საშინელი ფეერული სილამაზეა...»

51. ხაშურის მენშევიკური ორგანიზაციის კომიტეტის სხდომაზე 1920 წ. 17 სექტემბერს მომხსენებელმა ან. ბიბილოემა უამბო დამსწრეთ ცხინვალსა და ჯავაში არსებული ვითარების შესახებ: «სულ ერთი თვეა, რაც იქ ვმუშაობ, შემაძრწუნებელი სურათია. ძარცვა მეტად სასტიკ ხასიათს იღებს. მთელი ადმინისტრაცია, ჯარი, გვარდია, მიზნად ისახავს რაიმე შეიძინონ ძარცვით... ახლად დასახლებულებს ყველაფერი აკლიათ და ვერაფერს შოულობენ. სახლები ან გადამწვარია ან გაძარცულია. არ არის პირუტყვი, არ არის შრომის იარაღები. დააპატიმრებენ ამა თუ იმ პირს, სულ ერთიანად გაძარცავენ და ისე მიაგდებენ... ხალხი გაჩანაგებულია. არ არსებობს დაწესებულება, რომელიც ამ უწე-

სობათა წინააღმდეგ იბრძოდეს» (სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი).

52. დაპატიმრებულებს მხეცური სასჯელი მოელოდათ, მაგრამ რსფს რესპუბლიკის დროულად ჩარევის მეოხებით ისინი 1920 წ. შემოდგომაზე გაათავისუფლეს, გადაცვალეს ინგლისის ქვეშევრდომებზე, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ (იხ. «პრავდა» № 232, 1920 წ.).

53. გენერალმა კვინიტაძემ, რომელიც აჭარაში შესულ მენშევიკურ ჯარებს სარდლობდა, მოსახლეობას მუქარის შემცველი მოწოდებით მიმართა: «წინადადებას გაძლევთ, — წერდა ის, — არ გაუწიოთ წინააღმდეგობა ჩვენი ჯარების შემოსვლას ოლქში... ვინც წინაალმდეგობას გაუწევს ჯარებს, მას მოვექცევით როგორც მეამბოხეებს. იგი დახვრეტილი იქნება, ხოლო მისი და, ასევე მისი მამის, დედისა და ძმების მიწა და ქონება კონფისკებული იქნება და გადაეცემა ხაზინას, ხოლო ოჯახი გასახლებული იქნება ბათუმის ოლქიდან. სოფელი, საიდანაც სროლა ატყდება, სასტიკად დაისჯება».

54. მათში იყო მ. ორახელაშვილი და სხვები.

55. შამილი XIX საუკუნის მეორე ნახევარს სათავეში ჩაუდგა მიურიდიზმს. ეს იყო რეაქციული, ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც ინგლისის კაპიტალიზმისა და თურქეთის სულთანის სამსახურში იმყოფებოდა.

56. მენშევიკური არმიის მორალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას ახასიათებენ შემდეგი ფაქტები.

მენშევიკური არმიის მე-7 პოლკი «საიმედოდ და მტკიცე» პოლკად თვლებოდა, მაგრამ ამ პოლკის მე-3 ბატალიონი, გაგზავნილი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის საზღვარზე, ჯარისკაცთა აშკარა უკმაყოფილების გამო უკანვე დაუბრუნეს თბილისში. გენერალმა ქუთათელაძემ გასცა ბრძანება მიეღოთ ზომები, რათა თბილისში დაბრუნებისას ჯარისკაცები გზაში არ გაფანტულიყვნენ. მაშინ ჯარისკაცებმა ხელი დასტაცეს იარაღს და დაემუქრნენ მეთაურს. გზაზე ჯარისკაცთა უმრავლესობამ მიატოვა თავისი ნაწილი და სახლს მიაშურა.

დეზერტირობამ არმიაში მასობრივი ხასიათი მიიღო. ქალაქებისა და სოფლების ადმინისტრაციული დაწესებულებანი სავსე იყო დეზერტირთა საქმეებით.

აჭარაში ქართულმა ნაწილებმა დამარცხება განიცადეს, რადგან ჯარისკაცები არ ასრულებდნენ საბრძოლო ბრძანებას. ზაქათალას ფრონტზე ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს, დაეკავებინათ ზაქათალა, მიტინგი მოაწყეს და დაადგინეს არ ემოქმედათ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, ძმებს უწოდებდნენ რა წითელარმიელებს. ამის გამო მენშე-

ვიკებმა მე-3 ბატალიონი დაშალეს და 11 ჯარისკაცი დახვრიტეს.

საქართველოში რსფს რესპუბლიკის დიპლომატიურ მისიასთან მყოფი სამხედრო წარმომადგენლის 1920 წ. 24 ნოემბრის მოხსენებაში ნათქვამი იყო: «ამა წლის ნოემბრის 30 რიცხვს მიღებული ცნობებით გაუწყებთ შემდეგს: ქ. ქუთაისში დგას ფრონტელებისაგან შემდგარი 1-ლი ქვეითი პოლკი. ჯარისკაცების განწყობილება აშკარად რევოლუციურია. მეთაურთა შემადგენლობისადმი დამოკიდებულება დაძაბულია... ფრონტზე წასვლა არ სურთ. 16 ოქტომბერს საღამოს მთელი გვარდია დაშალეს, რადგან ჯამაგირი არ ეყოთ. გაისმოდა წამოძახილები: «ძირს მთავრობა», «ძირს ბურჟუაზიული დემოკრატია». მათ მხარი დაუჭირეს მუშათა წარმომადგენლებმა. ყვირილაში გვარდია ორი დღე აღელვებული იყო, ხოლო რიონში ერთი საათით შეიკრიბნენ და შემდეგ სახლში წავიდნენ იმ მოტივით, რომ შენობა გამთბარი არ არისო (საქ. სსრ ცსსა, ფ. 7, საქმე, საქართველოს რსფს რესპუბლიკის დიპლომატიურ მისიასთან მყოფ სამხედრო წარმომადგენლისა, 1920 წ. ს. 1, გვ. 167, 168, 91).

57. ნ. ჟორდანიას ხელმოწერით გამოიცა ბრძანება: «გამოეცხადოს ყველა ჯარისკაცს და გვარდიელს, რომ თუ ისინი 4 მარტს თავიანთ ნაწილებში არ გამოცხადდებიან, სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცემიან. სამართალში მიეცემიან აგრეთვე დეზერტირების მშობლები და მფარველები».

58. სპეციალური კომისიის გამოანგარიშებით, რომელიც 1927 წელს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით მუშაობდა, მენშევიკებმა მარტო განათლების სამინისტროს უწყების საცავებიდან გაიტაცეს სახლვარგარეთ 10 471 770 ოქროს მანეთის ქონება. ამას გარდა მენშევიკებმა გაძარცვეს სახელმწიფო ბანკი, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი, ხაზინა. აფხაზეთში მენშევიკების ბატონობის მანძილზე საერთო ზიანი დაახლოებითი გამოანგარიშებით განისაზღვრა 40 მილიონი ოქროს მანეთის რაოდენობით, მარტო ყოფილი პრინც ოლდენბურგსკის გაგრის სასახლიდან გაიტაცეს 3 მილიონი მანეთის ქონება. სანატორიუმებიდან — «გულრიპში» და «აგუძერა» — მათ 2 140 000 მანეთის ქონება გაიტანეს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

I. საქართველო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში 31

II. საქართველოს მშრომელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში 84

III. საქართველოს მშრომელები ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის «დამოუკიდებელი» რესპუბლიკის პერიოდში 149

IV. ბრძოლა მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ 1918 წელს 202

V. საქართველოს მშრომელების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1919 წელს 242

VI. საქართველოს კომუნისტური პარტია «ლეგალური» მუშაობის პირობებში 1920 წელს 288

VII. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოს ნაციონალურ რაიონებში 318

VIII. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში 355

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი 425

Г. ХАЧАПУРИДЗЕ

ПОБЕДА СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ В ГРУЗИИ

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси—1954

რედაქტორი ი. ხუციშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/II-1954.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდ 27,5. უე 00873.
ტირაჟი 10 000. შეკვეთის № 817.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის, 50.